ი. კვესელავა, ვ. შუბითიძე

პოლიტოლოგია

(პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა)

„ტექნიკური უნივერსიტეტი"

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ი. კვესელავა, ვ. შუბითიძე

პოლიტოლოგია

(პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა)

დამტკიცებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 27.05.2009, ოქმი №5

თბილისი
2009

პოლიტოლოგიის ეს ახალი სახელმძღვანელო ძველებისაგან განსხვავებით გამოირჩევა მრავალი თემით და შექმნილია ბოლო წლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის გათვალისწინებით. სახელმძღვანელო ძირითადად ეყრდნობა ცნობილი ამერიკელი (ე. ჰეივუდი), რუსი (ს. სოლოვიოვი, მ. მაკარენკოვი, ი. სუშკოვი, რ. მუხაევი, გ. პოლუნინა და სხვ.) და ქართველი ავტორების (ი. რეხვიაშვილი, ჯ. ჯალიაშვილი, ვ. ხოჭოლავა, ვლ. ჭანუყვაძე, ვ. ქობალია, მ. მაცაბერიძე, შ. ჯაფარიძე, გ. აბესაძე, ა. ტუკვაძე, ვ. ჭანია, თ. კიკნაძე, ო. გოგიაშვილი, ა. კუჭუხიძე, ნ. ბარათაშვილი, ვ. დოლიძე, ა. ბუცხრიკიძე, ო. ქოჩორაძე, ო. დავითაშვილი, ვ. ფერაძე, ო. ჭუმბურიძე, მ. სიორიძე, ქ. ჯიჯეიშვილი, ე. გვენეტაძე, ი. კვესელავა, ვ. შუბითიძე და სხვ.) შრომებს, მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებსა და სტატიებს. წიგნი ძირითადად გათვალისწინებულია სტუდენტების, მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის, მაგრამ იგი უთუოდ მიიქცევს პრაქტიკოს-პოლიტიკოსთა, სახელმწიფო მოხელეთა, პოლიტიკურ მკვლევართა და ექსპერტთა, მკითხველთა ფართო წრის ყურადღებას, რადგან მასში წამოჭრილი და განხილულია პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკის მრავალი ასპექტი, რომელიც ჩვენს ტრანსფორმირებად საზოგადოებაში მწვავედ დგას და კვალიფიციურ განსჯას მოითხოვს.

რედაქტორები: **ასოც. პროფესორი ქ. ჯიჯეიშვილი**
ასოც. პროფესორი ზ. კვეტენაძე

რეცენზენტები: **ასოც. პროფესორი ე. გვენეტაძე**
ასოც. პროფესორი რ. რუხაძე

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2009
ISBN 978-9941-14-744-9
http://www.gtu.ge/publishinghouse/

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

თავი I. პოლიტიკა – მოწოდება, ხელობა, ხელოვნება ------ *10*
პოლიტიკის განსაზღვრება ---------- *10*
პოლიტიკა როგორც სახელმწიფო მართვის ხელოვნება ------ *12*
პოლიტიკა როგორც საჯარო პროცესი ---------- *14*
პოლიტიკა როგორც კომპრომისი და კონსენსუსი ---------- *15*
პოლიტიკური ძალაუფლება ---------- *16*
პოლიტიკის ცნებები, მოდელები და თეორიები ---------- *17*

თავი II. მთავრობები, სისტემები და რეჟიმები ---------- *20*
ტრადიციული კლასიფიკაცია და ტიპოლოგიები ---------- *20*
„სამი სამყაროს“ ტიპოლოგია ---------- *23*
თანამედროვე მსოფლიოს რეჟიმები
და ახალი დემოკრატია ---------- *25*

თავი III. პოლიტიკური იდეოლოგიები ---------- *35*
ლიბერალიზმი და ნეოლიბერალიზმი ---------- *36*
თანამედროვე ლიბერალიზმი ---------- *39*
ნეოლიბერალიზმი ---------- *39*
კონსერვატიზმი და ნეოკონსერვატიზმი ---------- *40*
სოციალიზმი და მარქსიზმი ---------- *43*
სოციალ-დემოკრატია და მესამე გზა ---------- *49*
სხვა იდეოლოგიური ტრადიციები
ფაშიზმი ---------- *51*
ანარქიზმი ---------- *52*
ფემინიზმი ---------- *53*
იდეოლოგიის მომავალი ---------- *54*

თავი IV. დემოკრატია ---------- *56*
დემოკრატიის განსაზღვრება და მოდელები ---------- *56*
კლასიკური დემოკრატია ---------- *60*

პროტექტორალური დემოკრატია ---------- 61
განვითარების დემოკრატია ---------- 62
სახალხო დემოკრატია ---------- 64
დემოკრატია პრაქტიკაში: სხვადასხვა თვალსაზრისი ---------- 65

თავი V. სახელმწიფო ---------- 71
სახელმწიფოს არსი და ტიპები ---------- 71
სახელმწიფოს ფორმები ---------- 75
მცირე სახელმწიფო ---------- 75
სოციალურ-დემოკრატიული სახელმწიფო ---------- 77
ტოტალიტარული სახელმწიფო ---------- 78
კოლექტივილიზირებური სახელმწიფო ---------- 79
გლობალიზაცია და სახელმწიფო ---------- 79

თავი VI. ერები და ნაციონალიზმი ---------- 84
ერი, როგორც კულტურული და პოლიტიკური ერთობა ---------- 84
ნაციონალიზმის სახეები ---------- 89
ლიბერალური ნაციონალიზმი ---------- 90
კონსერვატორიული ნაციონალიზმი ---------- 92
ექსპანსიონისტური ნაციონალიზმი ---------- 93
ეროვნული სახელმწიფოს მომავალი ---------- 93

თავი VII. მსოფლიო პოლიტიკა ---------- 97
მსოფლიო პოლიტიკის არსი და
ძირითადი თეორიული სკოლები ---------- 97
იდეალიზმი ---------- 98
რეალიზმი ---------- 99
პლურალიზმი ---------- 101
მარქსიზმი ---------- 102
მსოფლიო წესრიგი XXI საუკუნეში ---------- 103

თავი VIII. ძვეყნის შიდა პოლიტიკა ---------- 107
ცენტრალიზაცია თუ დეცენტრალიზაცია? ---------- 107
ფედერაციული სისტემები ---------- 109
ფედერალიზმის ნიშნები ---------- 112
ფედერალიზმის ძლიერი და სუსტი მხარეები ---------- 114
უნიტარიზმი ---------- 115
ადგილობრივი ხელისუფლება ---------- 116
დეევოლუცია (უფლებამოსილების გადაცემა) ---------- 116
ეთნიკური და ადგილობრივი პოლიტიკა.
ნაციონალიზმის გამოცოცხლება ---------- 118

თავი IX. საზოგადოება და ეკონომიკური სისტემები ---------- 121
კაპიტალიზმის სახეობები ---------- 121
საწარმოო კაპიტალიზმი ---------- 122
სოციალური კაპიტალიზმი ---------- 124
კოლექტიური კაპიტალიზმი ---------- 125
მართვადი თუ თვითრეგულირებადი კაპიტალიზმი ---------- 126
სოციალიზმის სახეობანი ---------- 128
სახელმწიფო სოციალიზმი ---------- 129
საბაზრო სოციალიზმი ---------- 129
არსებობს თუ არა ეკონომიკაში „მესამე გზა“? ---------- 130

თავი X. პოლიტიკური კულტურა,
თვითგამორკვევა და ლეგიტიმურობა ---------- 133
სამოქალაქო კულტურა თუ იდეოლოგიური ჰეგემონია? ---------- 134
მასობრივი ინფორმაციის საშუალებები
და პოლიტიკური კომუნიკაცია ---------- 136
სოციალური კაპიტალის დეგრადაცია? ---------- 137
ლეგიტიმურობა და პოლიტიკური სტაბილურობა ---------- 139
ძალაუფლების ლეგიტიმაცია ---------- 140

ლეგიტიმურობის კრიზისი ---------- 142
რატომ ხდება რევოლუციები ---------- 143
მარქსისტული რევოლუციური თეორიები ---------- 144
რევოლუციის არამარქსისტული თეორიები ---------- 145

თავი XI. წარმომადგენლობა, არჩევნები,
ხმის მიცემა და რეფერენდუმი ---------- 149
წარმომადგენლობის თეორიები ---------- 149
მინდობილობის მოდელი ---------- 150
დელეგირების მოდელი ---------- 151
სამანდატო მოდელი ---------- 152
გაიგივების მოდელი ---------- 153
არჩევნების არსი და ფუნქციები ---------- 154
საარჩევნო სისტემები: ძლიერი და სუსტი მხარეები ---------- 157
ხმის მიცემის თეორიები ---------- 159
რეფერენდუმი ---------- 160

თავი XII. კონსტიტუციები, კანონმდებლობა
და სასამართლო სისტემები ---------- 163
კონსტიტუციები ---------- 163
კონსტიტუციების კლასიფიკაცია ---------- 164
კონსტიტუციის მიზნები ---------- 169
სახელმწიფო იურისდიქციის განსაზღვრა ---------- 169
საერთო ფასეულობების და მიზნების დადგენა ---------- 170
მმართველობის სტაბილურობის უზრუნველყოფა ---------- 170
უფლებების დაცვა ---------- 171
რეჟიმების ლეგიტიმაცია ---------- 171
რაში მდგომარეობს კონსტიტუციის მნიშვნელობა? ---------- 171
სამართალი, მორალი და პოლიტიკა ---------- 173
სასამართლო ხელისუფლება ---------- 174

წარმოადგენენ თუ არა მოსამართლეები
პოლიტიკურ ფიგურებს? ---------- 175
ქმნიან თუ არა მოსამართლეები პოლიტიკას? ---------- 178

თავი XIII. საკანონმდებლო ხელისუფლება ---------- 182
საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემები ---------- 182
სახელმწიფო მმართველობის მექანიზმები ---------- 183
საკანონმდებლო კრება ---------- 184
სახელმწიფო მმართველობის მექანიზმები ---------- 185
წარმომადგენლობა ---------- 186
თვალყურის დევნება და კონტროლი ---------- 187
პოლიტიკური გადაადგილება და მომზადება ---------- 188
რეჟიმის ლეგიტიმურობა ---------- 188
საკანონმდებლო კრების სტრუქტურა ---------- 189
ერთი თუ ორი პალატა? ---------- 191
კომიტეტის უპირატესობა და ნაკლი ---------- 193
კომიტეტები ---------- 194
საკანონმდებლო კრებების რენესანსი ---------- 198

თავი XIV. აღმასრულებელი ხელისუფლება ---------- 201
აღმასრულებელი ხელისუფლების
სტრუქტურა და ფუნქციები
ვინ ვინ არის აღმასრულებელი
ხელისუფლების სისტემაში ---------- 201
კონტროლი პოლიტიკის განხორციელებაზე ---------- 203
სახელმწიფო სამსახურის მართვა ---------- 204
გადაწყვეტილების მიღება კრიზისულ სიტუაციებში ---------- 205
რეზიდენტები ---------- 206
პრემიერ-მინისტრები ---------- 212
მინისტრთა კაბინეტი ---------- 216

პოლიტიკური ლიდერობა და მისი თეორიები ---------- 218
ლიდერობის თეორიები ---------- 219
ლიდერობის სტილი ---------- 223

თავი XV. არმია და პოლიცია ---------- 228
არმია და პოლიტიკა ---------- 228
არმიის როლი
ომის იარაღი ---------- 230
არმია როგორც ინტერესების დაჯგუფება ---------- 231
სამოქალაქო მმართველობის ალტერნატივა ---------- 233
არმიაზე კონტროლი ---------- 235
როგორ ხდება არმიაზე სამოქალაქო
კონტროლის დაწესება? ---------- 236
შინაგანი წესრიგის გარანტია ---------- 237
პოლიცია და პოლიტიკა ---------- 239
სამოქალაქო პოლიცია ---------- 240
პოლიტიკური პოლიცია ---------- 241
პოლიციური სახელმწიფოები ---------- 243

თავი XVI. საქართველოს პოლიტიკური სისტემა ---------- 247
საკანონმდებლო ხელისუფლება პარლამენტი ---------- 248
აღმასრულებელი ხელისუფლება ---------- 248
სასამართლო ხელისუფლება ---------- 250
ადგილობრივი ხელისუფლება ---------- 250
ავტონომიები ---------- 250
ცხინვალის რეგიონი ---------- 252
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ---------- 253
ადგილობრივი თვითმმართველობა ---------- 254
პოლიტიკური პარტიები ---------- 255
მასმედია ---------- 256
არასამთავრობო ორგანიზაციები ---------- 257

თავი XVII. ქართული პოლიტიკური აზრი ---------- 259
ქართული პოლიტიკური აზროვნების სათავეებთან ---------- 259
დავით აღმაშენებელი (1089-1125)
– პოლიტიკოსი და მოაზროვნე ---------- 262
შოთა რუსთაველის სოციალურ-პოლიტიკური
და რელიგიური შეხედულებები ---------- 267
ხელისუფლების დანაწილების ქართული მოდელი
(„ისნის კარავი“) ---------- 272
ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური
შეხედულებები ---------- 276
ნიკო ნიკოლაძის (1843-1928)
პოლიტიკური შეხედულებები ---------- 283
ვაჟა-ფშაველა კოსმოპოლიტიზმისა
და პატრიოტიზმის შესახებ ---------- 291

თავი XVIII. საქართველოს პოლიტიკური
ორიენტაცია: წარსული და თანამედროვეობა ---------- 294

პოლიტიკურ სიტყვათა ლექსიკონი ---------- 304

თავი I
პოლიტიკა – მოწოდება, ხელობა, ხელოვნება

პოლიტიკა საინტერესო საქმეა, რადგან ადამიანები სხვადასხვანაირები არიან და მათ შორის არ არის შეთანხმება, როგორ უნდა იცხოვრონ, ვინ და რა უნდა მიიღოს საზოგადოებიდან, ვინ არის ძალაუფლების ღირსი, როგორ უნდა იყოს გაყოფილი საზოგადოებრივი რესურსები და ბოლოს, რა არის საზოგადოებრივი ცხოვრების ფუძე – თანამშრომლობა თუ კონფლიქტი. ადამიანები ხშირად ვერ თანხმებიან იმაში, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხები, როგორ უნდა იქნას შემუშავებული კოლექტიური გადაწყვეტილებები, ვინ და როგორ უნდა გამოთქვას თავისი მოსაზრება, როგორ შეუძლია ადამიანს იმოქმედოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ა.შ. არისტოტელეს თვალსაზრისით, ყველაფერი ეს პოლიტიკას „სამეფო მეცნიერებად“ აყალიბებდა, რასაც უნდა გაეუმჯობესებინა ცხოვრების დონე და შეექმნა ღირსეული საზოგადოება. პოლიტიკა, უმთავრესად საზოგადოებრივი მოღვაწეობაა. ის ყოველთვის დიალოგია და არა მონოლოგი. ცხადია, ცალკე აღებულ ინდივიდებს, რობინზონ კრუზოს მსგავსად, ხელეწიფებათ თავისი მეურნეობის გამართვა, ხელოვნების ნიმუშის შექმნა და ა.შ. ერთადერთი, რაც მათ არ შეუძლიათ, ეს პოლიტიკით დაკავებაა. ეს იმიტომ ხდება, რომ პოლიტიკა მხოლოდ მაშინ იწყება, მხატვრულად რომ ვთქვათ, როდესაც პარასკევა ჩნდება. მრავალხმიანობა, რომელიც პოლიტიკის ფუძეში დევს, რათქმა უნდა, ბადებს კითხვას, როგორ უნდა შევისწავლოთ ეს საგანი. აქ ისევ სხვადასხვაგვარ გაგებას ვეჯახებით, რაც ამა თუ იმ საზოგადოების პრობლემას „პოლიტიკურს“ ხდის – როგორ ანალიზს საჭიროებს პოლიტიკური მოღვაწეობა, როგორ ავხსნათ იგი უფრო უკეთესად.

პოლიტიკის განსაზღვრება

ყველაზე ზოგადი სახით პოლიტიკა არის პროცესი, რომლის ფარგლებშიც ხალხი ქმნის, ინარჩუნებს და ამდიდრებს თავის თანაცხოვრების ნორმებს. ამიტომ პოლიტიკა განუყოფლადაა დაკავშირებული ისეთ მოვლენებთან, როგორებიცაა კონფლიქტი და თანამშრომლობა. ეს ასეა, რადგან საზოგადოებაში არსებობს აზრთა სხვაობა, რომელიც, ერთის მხრივ, მოხმარებას, ინტერესებსა თანაცხოვრების საერთო ნორმებს ეხება; მეორეს მხრივ, ყველა ხვდება, რომ ამ წესების შეცვლას ან მათ შენარჩუნებას აუცილებლად სჭირდება თანამშრომლობა.

პოლიტიკის არსი ხშირად დაინახება კონფლიქტების დარეგულირების პროცესში. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ფართო მიდგომის დროსაც პოლიტიკა უნდა გავიგოთ არა როგორც კონფლიქტების გადაწყვეტა, არამედ გზების ძიება მათი მოგვარებისათვის, რადგან საზოგადოებაში ყველა კონფლიქტის მოგვარება როდია შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ერთის მხრივ საზოგადოებრივი ნაირფეროვნება, მეორეს მხრივ, საზოგადო რესურსების დეფიციტი მუდამ იქნება საზოგადოების განუყოფელი ნაწილი.

ყოველგვარი ცდა უფრო ზუსტად განვსაზღვროთ ცნება „პოლიტიკა“, დაკავშირებულია ორი პრობლემის გადაწყვეტასთან.

პირველი – ეს ასოციაციების სიმრავლეა, რომლებიც ყოველდღიურად ხმარობენ ტერმინს „პოლიტიკა“. ეს მაშინ, როდესაც ტერმინები, ეკონომიკა, გეოგრაფია, ისტორია ან ბიოლოგია საზოგადოებაში მიჩნეულია როგორც სამეცნიერო დისციპლინები, პოლიტიკა კი განსხვავებულ ასოციაციებს აღძრავს. ხშირად გვესმის, რომ პოლიტიკა არის მიკერძოებული, შეუძლებელია მისი შესწავლა პირადი ემოციების გარეშე. ზოგიერთის თვალში პოლიტიკა უბრალოდ „ბინძური“ და „საეჭვო“ საქმეა, რომელიც ისეთ საქმეებთან არის დაკავშირებული, როგორიცაა ძალადობა, მაქინაციები, თვალთმაქცობა ან უბრალოდ ტყუილი. ცხადია, აქ არაფერი ახალი არ არის. მაგ., ჯერ კიდევ 1775 წელს ინგლისელი პოეტი და კრიტიკოსი სამუელ ჯონსონი ამბობდა, რომ „პოლიტიკა – მხოლოდ და მხოლოდ კარიერის გაკეთებაა ამ სამყაროში“. XIX ს. ამერიკელი ისტორიკოსი ჰენრი ადამსი ასე ახასიათებდა ამ საგანს – „ურთიერთგაუტანლობის მოწესრიგებული სისტემა“. თუმცა უნდა ითქვას, რომ პოლიტიკას აქვს მეორე, სრულიად საპირისპირო რეპუტაციაც – საზოგადოების ნაწილის თვალში პოლიტიკა უმთავრესი და საპატივცემლო საქმეა.

მეორე უფრო რთული პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ყველაზე დიდი ავტორიტეტებიც კი დღემდე ვერ შეთანხმებულან, თუ რას წარმოადგენს პოლიტიკის მეცნიერების საგანი და სხვადასხვა მეთოდებით განსაზღვრავენ მას. შეიძლება გამოიყოს ოთხი შეხედულება პოლიტიკაზე:

პოლიტიკა როგორც სახელმწიფოს მართვის ხელოვნება;

პოლიტიკა როგორც საჯარო პროცესი;

პოლიტიკა როგორც კომპრომისი და კონსენსუსი;

პოლიტიკა როგორც ძალაუფლება და რესურსების გადანაწილება.

პოლიტიკა როგორც სახელმწიფო მართვის ხელოვნება

„პოლიტიკა არ არის მეცნიერება – ეს ხელოვნებაა“ – ამ სიტყვებს გერმანიის კანცლერ ბისმარკს მიაწერენ. ცხადია, მას მხედველობაში ჰქონდა სახელმწიფოს მართვის ხელოვნება ძველი ბერძნული სიტყვის მნიშვნელობის მიხედვით. ტერმინი „პოლიტიკა“ წარმოიქმნება სიტყვიდან პოლის (polis), რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს ქალაქ-სახელმწიფოს, თითოეულ მათგანს ჰქონდა თავისი მართვის ორგანოები. მათგან ყველაზე დიდი და მძლავრი ათენი იყო, რომელიც კანონიერად ითვლება დემოკრატიის აკვნად. ისტორიულ ჭრილში სიტყვა პოლიტიკა გვაგებინებს, რომ საქმე გვაქვს თანამედროვე განსაზღვრების იმ ფორმებთან, რაც სახელმწიფოს ეხება. პოლიტიკის ასეთი გააზრება უფრო მეტად ვლინდება ყოველდღიურ მეტყველებაში, ასე მაგალითად, ადამიანზე, რომელმაც დაიკავა სახელმწიფოს ესა თუ ის თანამდებობა, ჩვენ ვამბობთ – „პოლიტიკაში წავიდა“. დღეისათვის პოლიტიკის ამგვარი გაგება რამდენამდე მოძველდა, თუმცა აკადემიურ პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებობს ტრადიცია, რომ პოლიტიკის შესწავლა ნიშნავს მთავრობის, უფრო ფართოდ კი ხელისუფლების ფუნქციონირება-შესწავლას. ეს ტრადიცია გატარებულია გავლენიანი ამერიკელი პოლიტოლოგის, დევიდ ისთონის ნაშრომებში. იგი განსაზღვრავს პოლიტიკას, როგორც „ფასეულობის გადანაწილებას“, რომელსაც ძალისმიერი სტრუქტურები ახორციელებენ. აქ ვარაუდობენ, რომ პოლიტიკა მოიცავს მხოლოდ იმ პროცესებს, რომელთა მეშვეობით მთავრობა რეაგირებს საზოგადოებრივ ზეწოლაზე, რითაც ახერხებს გაანაწილოს ფასეულობები ან ნეგატურ მოქმედებებს მიმართავს. ფასეულობად მიღებულია ის აუცილებელი თვისებები, რომლებიც მიღებულია საზოგადოების მიერ და აღიარებულია აუცილებლობად.

ასეთი მიდგომის ნაკლი არის მისი სივიწროვე. გამოდის, რომ პოლიტიკა ეფუძნება მხოლოდ იმას, რაც შიგ პოლიტიკაში ხდება – იმ საზოგადოების ორგანიზაციის სისტემაში, რომელიც სახელისუფლებო აპარატის ხელისუფლების ირგვლივ კონცენტრირდება. ასეთი გაგებით პოლიტიკა იქმნება მხოლოდ კაბინეტებში, საკანონმდებლო პალატებში, სამთავრობო უწყებებში, ხოლო განაგებენ მას ძალიან მცირე და განსაკუთრებული ჯგუფების ადამიანები.

ადამიანთა უმრავლესობა და ინსტიტუტების დიდი ნაწილი პოლიტიკის ჩარჩოებს მიღმა რჩება. ბიზნესი, სხვადასხვაგვარი ადგილობრივი გაერთიანებები, ოჯახი, სკოლა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები – ყველანი აღინიშნებიან, როგოც „არაპოლიტიკური“ სტრუქტურები, ისინი არაფრით არ არიან დაკავშირებულნი

„ქვეყნის მართვასთან“. სახელმწიფო აპარატების გაიგივება პოლიტიკასთან ნიშნავს, რომ ჩარჩოებს მიღმა რჩება საერთაშორისო ფაქტორები – ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენენ ჩვენს ცხოვრებაზე, იყო დრო, როდესაც საერთაშორისო არენაზე მოქმედებდა შიდა ჩაკეტილი ნაციონალური სახელმწიფოები, ეს ეწინააღმდეგება დღევანდელობას, როდესაც უფრო და უფრო რთული საზოგადოებები ხდებიან მართვის ობიექტები და საზოგადოების მართვას ახორციელებს არა იმდენად მთავრობა, არამედ საზოგადოებრივი და კერძო სექტორი. ამიტომ ამბობენ, რომ მოვიდა დრო, როცა უნდა შეიცვალოს ტერმინით – „მაკრომართვა“.

პოლიტიკისა და სახელმწიფოს თვალთახედვით პოლიტიკური მოღვაწეობა ხშირად ნეგატიურ ჭრილშია მოთავსებული, პოლიტიკოსებს კი არც თუ სახარბიელოდ იხსენებენ. ეს ყველაფერი ტოლობის ნიშნით ერთიანდება პოლიტიკური სფეროსა და სახელმწიფო მოღვაწეთა საქმიანობაში. ყველა კარგად იცნობს მლიქვნელ პოლიტიკოსს, რომელიც ხელისუფლებისკენ ილტვის, მაგრამ არაფერი გააჩნია საკუთარი ამბიციების გარდა. საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ვიგებთ კორუმპირებულობის ფაქტებს სახელმწიფო ეშელონებში. ამაზე ლაპარაკობენ,როგორც „პოლიტიკანობაზე“,და „ბიუროკრატებზე, რომლებიც თავიანთ სავარძელში არიან მოკალათებულნი“. აქედან გამომდინარე „ანტიპოლიტიკის“ კარგი ნიადაგი ჩნდება. ხშირად ამასთან დაკავშირებით ნიკოლო მაკიაველის ნაშრომებს მოიხსენიებენ, რომელმაც წიგნში „მთავარი“ (1513 წ.) აღწერა თავისი დროის მმართველების ვერაგობა, ცბიერება და სიმკაცრის რეალისტური სურათი.

პოლიტიკის ნეგატიური სახე საზრდოვდება ლიბერალური ფილოსოფიის მხრიდანაც: ინდივიდს ამ ფილოსოფიაში ყოველთვის მიეწერება ესა თუ ის პირადული ხასიათის დაინტერესება, პოლიტიკური ხელისუფლება, დასაწყისშივე აფუჭებს ადამიანს, რადგან ისინი ვინც „ხელისუფლებაშია“, ყოველთვის გამოიყენებს თავის ადგილს საკუთარი მიზნებისათვის სხვის ხარჯზე.

ეს მოსაზრება აისახა ლორდი აკტონის (1834-1902) ცნობილ აფორიზმში „ყველანაირი ძალაუფლება რყვნის, – აბსოლუტური ძალაუფლება კი აბსოლუტურად“.

პოლიტიკა როგორც საჯარო პროცესი

მეორე უფრო ფართო კონცეფცია პოლიტიკისა სცილდება სამთავრობო მართვას, კერძოდ, იმ მიმართულებით მიდის, რასაც ეწოდება „საზოგადო ცხოვრება“ ან „საზოგადო საქმე“. ამ მიდგომის თანახმად, განსხვავება „პოლიტიკურსა“ და „არაპოლიტიკურს“ შორის ემთხვევა განსხვავებას საჯარო და კერძო ცხოვრების სფეროებს შორის. ასეთი შეხედულებები პოლიტიკაზე გამომდინარეობს ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს შრომებიდან. თავის „პოლიტიკაში“ მან მინიშნება მოახდინა იმაზე, რომ „ადამიანი თავისთავად თავისი ბუნებით არის პოლიტიკური არსება“ და „ღირსეული ცხოვრება“ ხალხს შეუძლია მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც არის პოლიტიკა, – პოლიტიკურ თანასაზოგადოებაში. აქ პოლიტიკა წარმოდგენილია ძირითადად ეთიკურ ასპექტში: პოლიტიკა ისაა, რაც უკავშირდება „სამართლიან საზოგადოებას“, ანუ ის, რასაც არისტოტელემ „სამეფო მეცნიერება“ უწოდა. კითხვა მხოლოდ ერთში მდებარეობს – ზუსტად სად გადის საზღვარი „საჯარო“ და „პირად“ ცხოვრებას შორის. საერთოდ ამბობენ, რომ ის ემთხვევა სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების გაყოფას. სახელმწიფო ინსტიტუტებს (სახელმწიფო აპარატი, სასამართლოები, პოლიცია, ჯარი, სოციალური დაცვის სისტემა და ა.შ.). ჩვენ განვიხილავთ როგორც „საჯაროს“, რადგან ისინი პასუხს აგებენ საზოგადოების კოლექტიური ცხოვრების ორგანიზაციაზე და ამასთანავე საზოგადოების ხარჯზე ფინანსდებიან – გადასახადების სახით.

სამოქალაქო საზოგადოება შედგება „პატარა უჯრედებისაგან“, როგორც მას ედმუნდ ბიორკი უწოდებდა, ანუ ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა ოჯახი, სისხლით მონათესავე საზოგადოებები, კერძო საწარმოები, პროფკავშირები, კლუბები, ადგილობრივი თანასაზოგადოებები და სხვა მსგავსი სტრუქტურები. ისინი „კერძოა“ იმ გაგებით, რომ იქმნებიან და არსებობენ კერძო პირების ხარჯზე მათი ინტერესების გათვალისწინებით (ეკონომიკაში, სოციალურ, საყოფაცხოვრებო, პირად, კულტურულ სფეროებში და ა.შ.) და წარმოგვიდგებიან როგორც „არაპოლიტიკური“. პოლიტიკის, როგორც საზოგადოებრივი მოღვაწეობის კონცეფცია, ყოველთვის იყოფოდა „მომხრეებად“ და „მოწინააღმდეგეებად“. არისტოტელეს ტრადიციების გათვალისწინებით, პოლიტიკური მოღვაწეობა განიხილება, როგორც ღირსეული და განათლებული საქმიანობა სწორედ მისი „საჯარო“ ხასიათის გამო. უფრო მოგვიანებით ეს ტრადიცია გააგრძელა ჰანნა არენდტმა, რომელიც ნაშრომში „ადამიანური არსებობის პირობები“ (1958 წ.) წერდა იმის შესახებ, რომ პოლიტიკა არის

ადამიანური მოღვაწეობის ყველაზე მთავარი ფორმა, იმიტომ რომ აქ საქმე გვაქვს თანასწორ და თავისუფალ მოქალაქეების ურთიერთობასთან, ეს არის ის რაღაც უნიკალური, რაც ყველა ადამიანს აძლევს ცხოვრების აზრს. მიახლოვებულ აზრს გამოხატავდა ჟან-ჟაკ რუსო და ჯონ სტიუარდ მილი.

პოლიტიკა როგორც კომპრომისი და კონსენსუსი

პოლიტიკის მესამე კონცეფცია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორი გზით მიიღება გადაწყვეტილებები. პოლიტიკა განიხილება როგორც კონფლიქტების მოგვარების საშუალება კომპრომისების, მოლაპარაკებებისა და სხვა საშუალებების გზით, რომლებიც გამორიცხავენ ძალის გამოყენებას ან შიშველ ძალაუფლებას. ეს კონცეფცია აქვთ მხედველობაში, როცა ამბობენ „პოლიტიკა არის შესაძლებლობის ხელოვნება“. როდესაც ლაპარაკია პრობლემის „პოლიტიკური“ გზით გადაწყვეტაზე, მხედველობაში აქვთ სამშვიდობო მოლაპარაკება „ძალოვან“ ან „სამხედრო“ გადაწყვეტილებების წინააღმდეგ. ეს ტრადიციაც არისტოტელესაგან მოდის. სწორედ მისი პოსტულატია – იდეალური მართვის სისტემა არის „პოლიტიკა“ – „შერეული“ ფორმა, რომელიც შეიცავს როგორც არისტოკრატიულ, ასევე დემოკრატიულ ელემენტებს. ამ ტრადიციების მომხრე ჩვენს დროში გახლავთ ბერნარდ კრიკი. თავის კლასიკურ ნაშრომში „პოლიტიკის დასაცავად“ ის წერს, რომ კონფლიქტის მხარეები თანხმდებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ გააჩნიათ ძალაუფლება ან ძალა. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთ-ერთი მხარე უბრალოდ გაითელება. თუ რაიმე კონფლიქტი წარმოიშვა, ის უნდა გადაიჭრას ძალადობისა და მუქარის გარეშე. კრიკს კრიტიკოსები გამოუჩნდნენ, რომლებიც მიუთითებდნენ იმაზე, რომ ის გაერთო დასავლელი პლურალისტების მაგალითით და გააიგივა პოლიტიკა ისეთ მოვლენასთან, როგორიც ელექტორალური პროცესი და პარტიული მოწინააღმდეგეებია; რაც შეეხება ერთპარტიულ სახელმწიფოებს და სამხედრო დიქტატურას, აქ მისი პოზიცია ცოტა რამეს განგვიმარტავს. მოცემული კონცეფცია უმთავრესად მიიჩნევს კომპრომისს და კონსენსუსს. იგი პოლიტიკას დადებით ჭრილში წარმოადგენს, მაგრამ მიუთითებს, რომ ასეთ პოლიტიკაში მიდის ბრძოლა, სადაც მთავარ ხიფათს წარმოადგენს – „ნებისმიერი ფასით შემოვიდეს მკაფიო სიცხადე და გარკვეულობა“, ეს შესაძლოა იყოს დემოკრატიისადმი ბრმა მიმხრობა, ყბადაღებული ნაციონალიზმი ან სულაც მეცნიერების პრეტენზია საბოლოო ჭეშმარიტებაზეა.

პოლიტიკური ძალაუფლება

მეოთხე კონცეფცია ყველაზე ფართოა და რადიკალური. პოლიტიკას აქ არ ეთმობა რაიმე კონკრეტული სფერო მთავრობაში, სახელმწიფოსა თუ „საზოგადო ცხოვრებაში“, ის საზოგადო მოღვაწეობის ყველა დარგშია,ყველა „ნაბიჯზე“. როგორც ადრიან ლეფტივიჩი აღნიშნავს თავის ნაშრომში „რა არის პოლიტიკა? პოლიტიკური მოღვაწეობა და მისი შესწავლა“. „პოლიტიკა საზოგადო მოღვაწეობის ცენტრშია, როგორც ოფიციალურად, ასევე არაოფიციალურად, საჯარო და კერძოა, ის ყველა სოციალურ ჯგუფშია, ინსტიტუტებსა და საზოგადოებებში“; ჩვენ მას ვხედავთ ყველა საზოგადო ურთიერთობაში. ოჯახში, მცირე ჯგუფებსა თუ მეგობართა წრეში, თუ ერსა და გლობალურ თანასაზოგადოებაში. მაშინ რა განსხვავებაა პოლიტიკურსა და სხვა სახის მოღვაწეობას შორის, რაშია მისი სპეციფიკა?

ამ კითხვას ეს ტრადიცია შემდეგნაირად ხსნის: პოლიტიკა ეწოდება ყველაფერს, რაც წარმოებასთანაა დაკავშირებული, რესურსების დანაწილებასა და გამოყენებაზე საზოგადოების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, საუბარია ძალაუფლებაზე – მათ უნარზე „თავისი მიიღონ“ ხშირად ნებისმიერი საშუალებებით. ეს იდეა მშვენივრადაა რეზიუმირებული ჰაროლდ ლასუელას წიგნში „პოლიტიკა: ვინ რას ღებულობს, როდის და როგორ?“ (1936 წ.) საზოგადო ცხოვრებაში ეს ტრადიცია ითვალისწინებს ინტერესების მუდმივ კონფლიქტს, და რაც მთავარია – რესურსების დეფიციტს, რომელიც მომდინარეობს იმ უბრალო ვითარებისაგან, რომ ადამიანის სურვილები უსაზღვროა, მაგრამ მათი დაკმაყოფილების საშუალება შეზღუდული. ამიტომ აქ პოლიტიკას, როგორც წინააღმდეგობას, ისე განიხილავენ; ძალაუფლებას კი, როგორც მთავარ ინსტრუმენტს ამ წინააღმდეგობაში. ამ მიდგომას ემხრობიან ფემინისტები და მარქსისტები.

თანამედროვე ფემინიზმი საზრდოობს იდეით, რომ პოლიტიკა ძირითადად გამორიცხავს ქალების მოღვაწეობას და მას მხოლოდ ოჯახისა და ოჯახური ვალდებულებების ირგვლივ ტოვებს, მამაკაცი კი აგრძელებს მოღვაწეობას არა მხოლოდ პოლიტიკაში, არამედ სხვა საზოგადო სფეროებშიც. ამიტომ ფემინიზმის თეორეტიკოსები ეწინააღმდეგებიან საჯაროსა და პირადულის გაყოფას საზოგადოებაში,რასაც შემდგომ ლოზუნგს უყენებენ „პირადული არის პოლიტიკა“, რაშიც როგორც წყლის წვეთში ირეკლება რადიკალური ფემინიზმის მთელი ფილოსოფია.

ფემინიზმმა თავისებური ნიშა გამოყო – „ყოველდღიურობის პოლიტიკა“. აქ ყველა სახის ურთიერთობა – ოჯახში, ცოლ-ქმარს შორის, ბავშვებთან ისევე, „პოლიტიკურია“, როგორც მოსამსახურისა

და დამქირავებლის ან მთავრობისა და მოქალაქის ურთიერთობანი.

მარქსიზმი პოლიტიკაზე საუბრობს, როგორც საზოგადოების ორ დონეზე „ზედნაშენზე“ და „ბაზისზე“. თვით მარქსი პირველსაწყისად პოლიტიკას აღიქვამდა კლასიკურად, ანუ აკავშირებდა მას სახელმწიფოსთან: მაგალითად „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ (1848 წ.) ის წერს პოლიტიკურ ხელისუფლებაზე, როგორც „ერთი კლასის მიერ ორგანიზებულ ძალაუფლებაზე“. შემდგომში მან განავითარა თავისი თეორია, მიაკუთვნა პოლიტიკურ ურთიერთობას საკანონმდებლო და კულტურული ურთიერთობანი, ანუ „ზედნაშენი“. „ზედნაშენი“ „ბაზისიდან“ წარმოიშობა და მას ირეკლავს.

შემდგომში ლენინმა მოახდინა პოსტულიზება და პოლიტიკური ძალაუფლება დაუკავშირა საზოგადო კლასობრივ სისტემას, ანუ „პოლიტიკა ეკონომიკის კონცენტრირებული გამომხატველი გახადა“.

მარქსიზმის თანახმად „ეკონომიკა – უკვე პოლიტიკაა“. ზემოთ განხილულის მიხედვით, პოლიტიკა არის ხალხისადმი მტრული ძალა, იგი დაკავშირებულია ერთი ადამიანისადმი მეორის დამორჩილებასთან. რადიკალური ფემინიზმისათვის ეს აზრი ამკვიდრებს „პოლიტიკურ პატრიარქატს,“ სადაც ქალისათვის მამაკაცის ქვეშევრდომის როლია განკუთვნილი; მარქსიზმისათვის – ბურჟუაზიის მიერ პროლეტარიატის ექსპლუატაციას. ამავე თეორიაში პოლიტიკას არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ პოზიტიური მნიშვნელობა ენიჭება – როგორც იარაღს, რომლითაც საზოგადოებრივ უთანასწორობას ებრძვიან. ფემინისტები მოუწოდებდნენ ბოლო მოეღოს „სექსიზმის პოლიტიკას“ და აშენდეს ისეთი საზოგადოება, რომელშიც არ იქნება სქესობრივი დაყოფა.

მარქსისტების თვალსაზრისით „კლასების პოლიტიკა“ ისტორიას ჩაბარდება. ის მიგვიყვანს „სახელმწიფოს სიკვდილამდე“ და პოლიტიკის, კლასიკური გაგებით, დასრულებამდე.

პოლიტიკის ცნებები, მოდელები და თეორიები

ცნებები, მოდელები და თეორიები არის პოლიტიკური ანალიზის ინსტრუმენტები, მაგრამ მათთან ფრთხილი მოპყრობაა საჭირო. ცნება – ესაა საერთო იდეა, ძირითადად ერთი სიტყვით ან ერთი წინადადებით გამოხატული. მაგრამ ის უფრო მეტია, ვიდრე საკუთარი ან საზოგადო სიტყვა. მაგ. ცნება „პრეზიდენტობა“ არ განეკუთვნება რომელიმე კონკრეტულ პრეზიდენტს. იგი არის იდეატე ერთობლიობა სახელმწიფოს მეთაურის რაობაზე. ცნება ინსტრუმენტია, რომელიც გვეხმარება ფიქრის, კრიტიკის, მტკიცების, ახსნასა და ანალიზის დროს. უბრალო თვალყურის დევნება არ

გვაძლევს სრულ ცოდნას გარე სამყაროს შესახებ. ყველაფერი პირდაპირ კავშირშია პოლიტიკის სამყაროსთან: ჩვენ ვიძენთ ცოდნას, ვამდიდრებთ და ვაყალიბებთ ცნებებს, რომლებიც მსოფლიოს უსაზღვროობის არსს გვაგებინებს. ცნება და კონცეფცია თავისთავად ადამიანს მოვლენათა შემეცნებასა და გააზრებაში ეხმარება.

მოდელი და თეორია ფართე ცნებაა; ისინი იდეებია მთელ სპექტრს შეიცავენ. მოდელის სიტყვის ქვეშ ტრადიციულად ვიაზრებთ ობიექტს შემცირებული მასშტაბით. მაგ, თოჯინის სახლი ან თვითმფრინავი. მოდელის ფუნქციაა რაც შეიძლება ზუსტად გაიმეოროს ორიგინალი. მაგ. კომპიუტერული ეკონომიკის მოდელი ვერ იქნება თვითონ ეკონომიკის ფიზიკური ანალოგია. კონცეპტუალური მოდელი – უფრო ანალიტიკური ინსტრუმენტია. მოდელები შეიცავენ ურთიერთობების გარკვეულ შიგთავსს, რომლებიც წარმოგვიჩენენ ემპირიული მონაცემების აზრსა და მნიშვნელობას. პოლიტიკური ანალიზის ერთ-ერთი ყველაზე კარგი პოლიტიკური სისტემის მოდელი შეიმუშავა დევიდ ისტონმა.

მოდელს ძალიან ამბიციური მიზანი ჰქონდა, ანალიზის სისტემის საფუძველზე აეხსნა მთელი პოლიტიკური პროცესი წამყვანი პოლიტიკური აქტების ჩათვლით. რაც, თავის მხრივ, ერთ მთლიანობას ქმნის. პოლიტიკურ სისტემაში, როგორც ისტონმა ახსნა, არის „წვლილი“ და „სარგებელი“. პირველი ნიშნავს მოთხოვნას, მხარდაჭერას საზოგადოების მხრივ. მეორე – გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებს, რომელშიც სხვადასხვა პროგრამები შედის, კანონების მიღება და საზოგადო საშუალებების გაფართოება. ისტონის მოდელში პოლიტიკური პარტიები და ინტერესების ჯგუფები წარმოდგენილია როგორც „მეკარე“. მათი მთავარი ამოცანაა პოლიტიკურ სისტემაში „შეყვანის“ რაოდენობის რეგულირება. ისტონის მოდელი უკეთესად ხსნის იმას, თუ რატომ მიდიან რეპრესიასა და ძალისხმევაზე, როგორ ხდებოდა ეს ამა თუ იმ პოლიტიკურ სისტემებში. ტერმინები „თეორია“ და „მოდელი“ ხშირად იხმარება როგორც ურთიერთშემცვლელი ცნებები. ერთიც და მეორეც შემადგენელი კონცეპტუალური კონსტრუქციაა. პოლიტოლოგები იტყვიან, რომ თეორია შესაძლოა იყოს ნაკლებად ჭეშმარიტი, მოდელი კი – უფრო ნაკლებად „სასარგებლო“. თეორია და მოდელი ხშირად ურთიერთკავშირშია. რთულ პოლიტიკურ თეორიებს შეუძლიათ იყონ ილუსტრირებული რიგი მოდელებით. მაგალითად, პლურალიზმის თეორია შეიძლება აიხსნას სახელმწიფო მოდელის გამოყენებით, ელექტორატული პროცესის თეორია კი ჯგუფური პოლიტიკის მოდელით და ა.შ.

მოდელი და მიკროთეორია პოლიტიკური ანალიზის უმთავრესი თეორეტიკული ინსტრუმენტებია, რომლის ცენტრშიც ძალაუ-

ფლებისა და სახელმწიფოს პრობლემატიკა დევს: პლურალიზმი, ელიტიზმი, კლასობრივი ანალიზი და ა.შ.

ტომას კუნიმ თავის წიგნში „მეცნიერული რევოლუციის სტრუქტურა“ მაკროთეორიის წარმოდგენას უწოდა პარადიგმა, როგორც იდეოლოგიურ ტრადიციას. პარადიგმა – ურთიერთდაკავშირებული პროგნოზების, დოქტრინების და თეორიების არის კრებული, რომლებიც ხელს უწყობს გააზრების სტრუქტურულ პროცესს. ბუნებისმეტყველებაში, კლუნის მიხედვით, ყველა დროში მეფობს ერთი პარადიგმა, ძველ პარადიგმას ახალი ცვლის. ეს პარადიგმები ღებულობენ ფართო სოციალური ფილოსოფიის ფორმას, რასაც ხშირად იდეოლოგიას უწოდებენ – ლიბერალიზმს,კონსერვატიზმს,სოციალიზმს, ფაშიზმს, ფემინიზმს და ა.შ.

დასკვნები

პოლიტიკა არის მოღვაწეობა, რომლის ფარგლებშიც ხალხი ქმნის, ინარჩუნებს და ამდიდრებს საზოგადო წესებს. საზოგადო მოღვაწეობა დაკავშირებულია, ერთის მხრივ, ნაირფეროვნებასა და კონფლიქტზე, მეორეს მხრივ, – თანამშრომლობისა და ამოქმედებაზე. პოლიტიკა უმჯობესია გავიგოთ, როგორც კონფლიქტების გადაჭრის გზა, მაგრამ ყველა კონფლიქტი არ არის მოგვარებადი.

სხვადასხვა ტრადიციებით და სხვადასხვა მოაზროვნეთა მიხედვით პოლიტიკას იგებდნენ სხვადასხვაგვარად. მას სახელმწიფო მართვის ხელოვნებად აღიქვამდნენ. საზოგადო კონფლიქტების მოგვარება ხდებოდა დისკუსიებითა და კომპრომისებით. ყველაზე სადაო პრობლემა პოლიტოლოგიაში არის ის, თუ საზოგადო ცხოვრების რომელ სფეროს მოიცავს „პოლიტიკა“. ტრადიციული მიდგომით ამ სფეროს განეკუთვნებიან მხოლოდ ინსტიტუტები და ისინი, ვინც მოღვაწეობს საზოგადოების „საჯარო დაწესებულებებში“. თუ პოლიტიკას გავიგებთ, როგორც ძალოვანი ურთიერთობის პროცესს, მაშინ მას მიეკუთვნება პირადი ცხოვრების ცალკეული მხარეები.

პოლიტიკის შესწავლა მეცნიერულ ხასიათს ატარებს იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია მივიღოთ ობიექტური ცოდნა პოლიტიკის სამყაროზე, კონცეფციები, მოდელები და თეორიები უნდა გავიგოთ, როგორც პოლიტიკური ანალიზის ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ გამოვყოფთ ცოდნას უსასრულო და რთული რეალობიდან. საბოლოო ჯამში, საზოგადოებისა და პოლიტიკის ესა თუ ის გაგება ხორციელდება ფართო ინტელექტუალური კონსტრუქციის ფარგლებში – იდეოლოგიურ პარადიგმაში.

თავი II
მთავრობები, სისტემები და რეჟიმები

ძველი დროის მოაზროვნეები განასხვავებდნენ მმართველობის სხვადასხვა ფორმებს. ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ. მე-4 ს. არისტოტელემ პირველმა დაახასიათა პოლიტიკური რეჟიმები ისეთი ცნებების გამოყენებით, როგორებიცაა „დემოკრატია“, „ოლიგარქია“ და „ტირანია“.

მე-18 დასაწყისში უკვე გვაქვს მონარქიული და რესპუბლიკური სახელმწიფოები, ავტოკრატიული და კონსტიტუციური რეჟიმები. XX საუკუნეში გაჩნდა კიდევ უფრო სპეციფიკური კლასიფიკაციები. მაგ. „ცივი ომის“ პერიოდში პლანეტის პოლიტიკური სურათი წარმოგვიდგებოდა ორ დაპირისპირებულ მხარეს – დემოკრატიასა და ტოტალიტარიზმს შორის.

დღეისთვის ეს კლასიფიკაცია მოძველებული ჩანს ისეთი მოვლენების ფონზე, როგორებიცაა კომუნიზმის კრახი, აღმოსავლეთ აზიის ამოძრავება და პოლიტიკური ისლამის ჩამოყალიბება. თუმცა ჯერჯერობით გარკვეული არ არის რაზე მიანიშნებს ეს ცვლილებები – დასავლური ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფზე თუ თანამედროვე მსოფლიოს შემდგომ პოლიტიკურ ფრაგმენტაციაზე.

ტრადიციული კლასიფიკაცია და ტიპოლოგიები

სახელმწიფო მმართველობის სისტემის არსებული კლასიფიკაციების საკითხზე გადასასვლელად საჭიროა პასუხი კითხვებზე – რა არის „მთავრობა“ და რით განსხვავდება მთავრობა „პოლიტიკური სისტემების“ ან „რეჟიმებისაგან“. ტერმინი „მთავრობა“ მიეკუთვნება ინსტიტუტებსა და პროცესებს. რომლის ჩარჩოებშიც ძირითადად მიიღება კოლექტიური და, ამასთანავე, როგორც წესი, შესასრულებლად აუცილებელი გადაწყვეტილებები. პოლიტიკური სისტემა ან რეჟიმი ფართო გაგებით მოიცავს არამარტო ძალაუფლების მექანიზმებსა და სახელმწიფოს ინსტიტუტებს, ასევე სტრუქტურებსა და პროცესებს, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო ზემოქმედებს საზოგადოებასთან.

რეჟიმი არის „მმართველობის სისტემა“, რომელიც ნარჩუნდება მთავრობის ყოველგვარი ცვლილებისას. მთავრობები შეიძლება შეიცვალოს არჩევნების, დინასტიების შეცვლის, სახელმწიფო გადატრიალებების და სხვა მოვლენათა შედეგად. რეჟიმები კი იცვლება ან გარედან სამხედრო ჩარევის შედეგად, ან შიგნით რევოლუციური გადატრიალებით.

სახელმწიფოში შეიძლება ვიგულისხმოთ ნებისმიერი მექანიზმი ან ინსტიტუტი, რომელიც ხელმძღვანელობს საზოგადოებას, მხარს უჭერს მასში დაწესებულ წესრიგს, გააჩნია უნარი გამოიმუშავოს კოლექტიური გადაწყვეტილებები და განახორციელოს ისინი. გარკვეული მმართველობის ამგვარ სისტემას ჩვენ აღმოვაჩენთ თითქმის ყველა სოციალურ ინსტიტუტში – ოჯახში, სკოლაში, საქმიან სტრუქტურაში, პროფკავშირებში და სხვ. ტერმინს „სახელმწიფო მმართველობა“ ძირითადად მიაკუთვნებენ იმ ოფიციალურ და ინსტიტუციონალურ პროცესებს, რომელთა მეშვეობითაც ეროვნულ დონეზე ნარჩუნდება კანონი და წესრიგი, ხორციელდება კოლექტიური ხასიათის ქმედებანი. სახელმწიფოს ცენტრალური ფუნქციაა შეიმუშაოს, მიიღოს კანონები და ცხოვრებაში განახორციელოს.

პოლიტიკური სისტემის კლასიფიკაცია ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია ორი მიზეზით. პირველი, იგი არსებითად ამსუბუქებს პოლიტიკის და სახელმწიფო მმართველობის გაგებას, პოლიტოლოგიასა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში ცნობიერება ძირითადად მოდის შედარების გზით, ექსპერიმენტული ხასიათის მეთოდები აქ მიუღებელია.

მეორე – კლასიფიკაცია აიოლებს არა მარტო ანალიზს, არამედ მოვლენების შეფასებას. არისტოტელეს დროიდან პოლიტიკური მოაზროვნეები მიისწრაფოდნენ არა მარტო გაეგოთ, არამედ მოეხდინათ ძალაუფლების სრულყოფა. ისტორიაში არაერთხელ განხორციელდა უდიდესი არსით უტოპიური ცდები მმართველობის იდეალური სისტემის დასახატად. მაგ. პლატონის „რესპუბლიკა“, თომას მორის „უტოპია“, „მინდვრები, ფაბრიკები და სახელოსნოები“ და სხვ. ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა მივცეთ მათ გარკვეული ხარისხობრივი დახასიათება, შეფასება. მხოლოდ შედარებითი მიდგომის ჩარჩოებში შეიძლება გარკვეული მსჯელობა სხვადასხვა საკითხებზე. მაგ. „უნდა მივესალმოთ თუ არა რუსეთის, საქართველოს და სხვ. პოსტსაბჭოთა ქვეყნების გადასვლას ლიბერალურ დემოკრატიაზე?“ „ინდოეთმა უარი უნდა თქვას თუ არა ფედერალიზმზე უნიტარული სისტემის თუ რეგიონების დამოუკიდებლობის სასარგებლოდ?“, „დიდმა ბრიტანეთმა უნდა მიიღოს თუ არა დაწერილი კონსტიტუცია?“ და ა.შ.

კლასიფიკაციის ყველა სისტემას აქვს თავისი ნაკლოვანებები. არის საშიშროება იმისა, რომ არ იქნას შემჩნეული და გათვალისწინებული სხვადასხვა პირობებში ერთი და იგივე მოვლენის განსხვავებული აზრი, მაგ. იაპონიასა და მთელ აღმოსავლეთ აზიაში „სახელმწიფო“ არსით და ტიპით შეიძლება განსხვავდებოდეს იმ „სახელმწიფოსგან“, როგორც იგი ესმით დასავლეთში. ამიტომ

შედარებითი ანალიზის ჩატარებისას მხედველობაშია მისაღები ეთნოცენტრიზმის საშიშროება. კლასიფიკაციები შეიძლება იყოს დამახინჯებული ამა თუ იმ ფასეული ზეგავლენით. მაგ. იყო დრო, როცა პოლიტოლოგები აერთიანებდნენ კომუნისტურ და ფაშისტურ რეჟიმებს ერთი რუბრიკის „ტოტალიტარულის“ ქვეშ; წარმოიშვა სურათი, რომ „ცივი ომის“ წლებში დასავლეთის ლიბერალური დემოკრატიები ებრძოდნენ არსებითად იმ მტერს, რომელთანაც თანამშრომლობდნენ მეორე მსოფლიო ომში. კლასიფიკაციის ყველა ჩვენს სისტემას ახასიათებს კიდევ ერთი ნაკლი – წინ აყენებს სახელმწიფოს, ხოლო ქვეყნებს განიხილავს, როგორც მთლიან სისტემებს. გლობალიზაციის ეპოქაში ასეთი მიდგომა გაუმართლებელია.

ისტორიულად მმართველობის სისტემის ყველაზე უფრო ავტორიტეტული სისტემა იყო ის, რომელიც IV ს. ჩვ. ერამდე შეიმუშავა არისტოტელემ – მისთვის მასალად იქცა 158 ბერძნული პოლისი, რომლებიც იმ მომენტისთვის არსებობდა. არისტოტელეს შემდეგ ეს სისტემა ბატონობდა პოლიტიკურ ფილოსოფიაში კიდევ 2500 წელს. არისტოტელე თვლიდა, რომ მთავრობები ერთმანეთისგან განსხვავდება ორი კატეგორიით: „ვინ მართავს“ და „ვის ინტერესებშია ეს“. ძალაუფლება შეიძლება იყოს ერთი ადამიანის, ადამიანთა ჯგუფების ან მრავალი მოქალაქის ხელში. ყველა ამ შემთხვევაში იგი შეიძლება ემსახურებოდეს ან მმართველების ვიწრო, აშკარად ეგოისტურ ინტერესებს ან მთელი საზოგადოების ინტერესებს. ასე არისტოტელემ გამოყო მმართველობის ექვსი ფორმა: ტირანია, ოლიგარქია, დემოკრატია, მონარქია, არისტოკრატია და პოლიტია.

არისტოტელე ცდილობდა ღირსეულად შეეფასებინა მმართველობის თითოეული ფორმა, რათა განესაზღვრა მათ შორის უკეთესი. უარეს, გაფუჭებულ ფორმებს მან მიაკუთვნა ტირანია, ოლიგარქია და დემოკრატია. უფრო სრულყოფილად მიიჩნია მონარქია, არისტოკრატია და პოლიტია: ამ სისტემებში შესაბამისად ერთი ადამიანი, ადამიანთა კლასი და საზოგადოების ფართო ფენები მართავდნენ. მმართველობის ყველაზე ცუდ ფორმად არისტოტელე თვლიდა ტირანიას. მმართველობის სრულყოფილ და მდგრად ფორმად მიჩნეული იქნა პოლიტია.

არისტოტელე უპირატესობას ანიჭებდა მმართველობის „შერეულ“ ფორმას, რომელიც გააერთიანებდა თავის თავში დემოკრატიისა და არისტოკრატიის ელემენტებს, ხოლო ძალაუფლება იქნებოდა „საშუალო კლასების“ – არც მდიდრებისა და არც ღარიბების ხელში. შემდეგში არისტოტელეს თეორია განვითარებული იქნა ისეთი მოაზროვნეების მიერ, როგორებიც იყვნენ ტომას ჰობსი და

ჟან ბოდენი. ნაშრომში „საერთო კეთილდღეობის ექვსი პრინციპი“ ბოდენი დაწვრილებით განიხილავდა საკითხს იმის შესახებ, თუ ვინ არის ძალაუფლების მატარებელი სახელმწიფოებში. ის მივიდა დასკვნამდე, რომ მმართველობის უფრო მისაღებ ფორმად მიჩნეული უნდა იქნეს აბსოლუტიზმი, რამეთუ ძალაუფლების მატარებელი აქ არის მმართველი, რომელსაც აქვს უფლება უკარნახოს კანონი, თავად კი არანაირი კანონით არ იზღუდება. როდესაც ძალაუფლება ერთი ადამიანის ხელშია სახელმწიფო, ბოდენის მიხედვით, იღებს ერთიანი და განუყოფელი სუვერენიტეტის ყველა სიკეთეს. ამასთანავე მონარქიც შეზღუდულია თავის ნებაში – ღვთაებრივი კანონით ან ადამიანების ბუნებრივი უფლებით. ჰობსი სუვერენიტეტს განმარტავდა როგორც განსაკუთრებულ უფლებას იძულებით ძალაუფლებაზე. მის წიგნში „ლევიათანი“ მმართველი გამოდის შეუზღუდავი ხელისუფლების მატარებლად.

მოგვიანებით ამ იდეების რადიკალური გადასინჯვის მოთხოვნით გამოვიდნენ ადრინდელი ლიბერალური აზრის ისეთი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ ჯონ ლოკი და მონტესკიე – კონსტიტუციური მმართველობის იდეოლოგები. ლოკმა „მთავრობის ორ ტრაქტატში“ წინ წამოსწია დებულება იმის შესახებ, რომ სუვერენიტეტი „თავსდება“ არა მონარქში, არამედ ხალხში. მთავრობის ძალაუფლება კი შეზღუდული უნდა იქნას ადამიანის ბუნებრივი უფლებებით, განსაკუთრებით სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებებით. მონტესკიეს ცნობილი „კანონთა კრებული“ წარმოადგენდა საზოგადოების ჭეშმარიტად მეცნიერული გამოკვლევის ცდას, რომ თავად მონტესკიემ, აბსოლუტიზმის შეურიგებელმა კრიტიკოსმა და ინგლისის პარლამენტარული ტრადიციის ენთუზიასტმა, პირველმა წამოაყენა „ძალაუფლების დანაწილების“ წინადადება აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ინსტიტუტებს შორის. მოგვიანებით ეს პრინციპი განხორციელდა ამერიკის კონსტიტუციაში (1787).

„სამი სამყაროს“ ტიპოლოგია

XX საუკუნეში ისტორიის სვლამ კიდევ ერთხელ შეცვალა პოლიტიკური ტიპოლოგიის კრიტერიუმები. ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში წარმოიშვა ავტორიტარიზმის ახალი ფორმები – სტალინურ რუსეთში, ფაშისტურ იტალიასა და ნაცისტურ გერმანიაში; მსოფლიო გახდა გაიყო ორ სისტემად – დემოკრატიულ და ტოტალიტარულ სახელმწიფოებად. თუმცა მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმი

განადგურდა, კონტრასტი დემოკრატიასა და ტოტალიტარიზმს შორის მაინც თვალშისაცემი იყო. დაიწყო კვალიფიკაციის ისეთი სისტემის ძიება, რომელიც იქნებოდა სრულიად ობიექტური და ნეიტრალური. დროთა განმავლობაში პოპულარობა მოიპოვა ე.წ. „სამი სამყაროს“ კონცეფციამ, რომლის მიხედვით პოლიტიკური სამყარო შეიძლება დაიყოს სამ ბლოკად:

კაპიტალისტური „პირველი სამყარო“;

კომუნისტური „მეორე სამყარო“;

განვითარებადი „მესამე სამყარო“.

ამ კლასიფიკაციას აქვს თავისი ეკონომიკური, იდეოლოგიური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული განზომილებანი.

დასავლური ინდუსტრიული რეჟიმები გამოცხადებული იქნა „პირველ სამყაროდ“. ეკონომიკური თვალსაზრისით აქ მოსახლეობის ცხოვრების ყველაზე მაღალი დონეა. 1983 წ. ეს ქვეყნები, რომელშიც იყო მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 15%, ქმნიდა მსოფლიოს შიდა პროდუქტის 63% (1885 წ. მსოფლიო ბანკის მონაცემებით). ამ აზრით, კომუნისტური რეჟიმები იყვნენ „მეორეები“. მათ გაიარეს ინდუსტრიალიზაციის პროცესი და შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ თავიანთი მოსახლეობის ძირითადი მატერიალური მოთხოვნები; აქ ცხოვრობდა მსოფლიო მოსახლეობის 33%, ეს ქვეყნები აწარმოებდნენ მსოფლიო შიდა პროდუქციის 19%. აზიის,აფრიკისა და ლათინური ამერიკის ნაკლებად განვითარებული ქვეყნები გაერთიანდნენ „მესამე სამყაროდ“ იმ კრიტერიუმით, რომ ისინი ეკონომიკურად დამოკიდებული და მასობრივი სიღარიბით არიან მოცული: აქ მსოფლიო მოსახლეობის 52% ცხოვრობს და მასზე მოდის მსოფლიო სასაქონლო პროდუქციის 18%. დამანგრეველი დარტყმა სამი სამყაროს კონცეფციაზე მიიტანეს 1989-1991 წ. აღმოსავლეთ ევროპულმა რევოლუციებმა. მათი შედეგი იყო ორთოდოქსალური კომუნიზმის კრახი სსრ კავშირში და ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში,პოლიტიკური ლიბერალიზაციის და საბაზრო რეფორმების დაწყება. ამ მიმართულებით ფრენსის ფუკუიამამ განაცხადა, რომ ყველაფერი ეს ნიშნავს „ისტორიის დასასრულს“, რადგან ყოველგვარი იდეოლოგიური წინააღმდეგობები დამთავრდა დასავლური ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვებით. რაც შეეხება მეორე და მესამე სამყაროს რეჟიმებს, მათ საბოლოოდ უნდა გაიაზრონ, რომ მხოლოდ კაპიტალისტური პირველი სამყარო თავაზობს ეკონომიკური აყვავებისა და პოლიტიკური სტაბილურობის ჭეშმარიტად სწორ პერსპექტივებს.

თანამედროვე მსოფლიოს რეჟიმები და ახალი დემოკრატია

1980 წლების ბოლოდან პოლიტოლოგიაში საერთოდ არ იყო სერიოზული ცდები პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაციაში შემოეთავაზებინათ რაიმე ახალი თეორია. სამი სამყაროს კონცეფციაზე უარი თქვეს, მაგრამ როგორი უნდა იყოს დაყოფის ახალი ხაზები მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე, აქამდე უცნობია. ისტორიის დასასრულის იდეა თავისი არსით აღმოჩნდა ერთდღიანი პეპელა, რომელიც გამოფრინდა სინათლეზე მხოლოდ კომუნიზმისა და დემოკრატიზაციის კრახის გამო 1989 წლის ბოლოს და 1990 წლების დასაწყისში. დღეს გასაგებია, რომ ტრიუმფის განწყობილება, რამაც მაშინ დასავლეთი მოიცვა სინამდვილეში იყო ცივი ომის შემდეგ კმაყოფილება.

რაც შეეხება ახალი სისტემის კლასიფიკაციის კონტურებს, შეინიშნება კიდევ ერთი სიძნელე – მკაფიო კრიტერიუმების უქონლობა. უნდა ითქვას, რომ კლასიფიკაციის არცერთი სისტემა არ ეფუძნებოდა ერთადერთ კრიტერიუმს, თუნდაც ყველაზე სერიოზულს.

უნდა გავითვალისწინოთ რეჟიმის სამი ძირითადი დახასიათება – მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტები. სისტემები განსხვავდება არა მარტო თავისი კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პარამეტრებით, არამედ იმით, თუ როგორ ზემოქმედებენ ერთმანეთზე და ეს პარამეტრები ეხმარებიან ერთმანეთს რეალურ ცხოვრებაში თავისი კულტურული კონტექსტიდან გამომდინარე: მაგ. მრავალპარტიული არჩევნები და საბაზრო ეკონომიკა დასავლური საზოგადოების ლიბერალურ კულტურაში – ეს ერთია, დასავლური საზოგადოების კულტურაში განსხვავებული. ამასთანავე საჭიროა გაგება, რომ XX საუკუნის დასასრულის უღრმესი პოლიტიკური გადატრიალებების ფონზე ნებისმიერი კლასიფიკაცია დროებითი ხასიათის იქნება. თვითონ პოლიტიკური სისტემები დღეს იცვლებიან ისე სწრაფად, რომ მათი კლასიფიცირება ურთულესია. ეს ცვალებადი პოლიტიკური რეალობისა მარადიული რბოლაა.

თანამედროვე მსოფლიოში შეიძლება გამოიყოს რეჟიმების ხუთი ძირითადი ტიპი: დასავლური პოლიარქიები,ახალი დემოკრატიები, აღმოსავლეთ-აზიური რეჟიმები, ისლამური და სამხედრო რეჟიმები.

ცნება „დასავლური პოლიარქიები“, ფაქტიურად, მიეკუთვნება იმ სისტემებს,რომლებზეც ადრე ლაპარაკობდნენ როგორც ლიბერალურ დემოკრატიებზე. ეს არის სისტემები, რომელთა საწყისი

გეოგრაფიული არეალი იყო ჩრდილოეთ ამერიკა, დასავლეთ ევროპა და ავსტრალია. ამ რეჟიმებში ჰანთინგთონი განიხილავდა დემოკრატიზაციის პირველი ორი ტალღის პროდუქტს, რომელთაგან პირველი მოიცავს პერიოდს 1828 წლიდან 1926 წლამდე და ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა აშშ, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, ხოლო მეორე 1943-1962 წწ. და მოიცავს დასავლეთ გერმანიას, იტალიას, იაპონიას და ინდოეთს. თუმცა ამ სისტემების დამყარების პროცესი გადიოდა დემოკრატიზაციასა და ლიბერალიზაციაზე. ტერმინი პოლიარქია მოცემულ შემთხვევაში უფრო მისაღებია, ვიდრე „ლიბერალური დემოკრატია“. მით უმეტეს, ცნებაში „ლიბერალური დემოკრატია“ უფრო ბევრი რამაა აღებული პოლიტიკური იდეალიდან, ვიდრე სინამდვილიდან.

პოლიტიკური სისტემების აღსაწერად ცნება „პოლიარქია“ შემოტანილი იქნა დალის და ლინდბლომის მიერ ნაშრომში „პოლიტიკა, ეკონომიკა და კეთილდღეობა“, ხოლო შემდეგ განვითარებულ იქნა დალის მიერ ნაშრომში „პოლიარქია: მონაწილეობა და ოპოზიცია“. ამ ავტორთა აზრით, პოლიარქიები საზოგადოებას აძლევენ ფართო შესაძლებლობებს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. აქ დიდია პოლიტიკური აქტივობის დონე, რომლის მიღწევა ხდება მკვეთრად დამუშავებული საარჩევნო სისტემით, რაც მოქალაქეებს უფლებას აძლევს გააკონტროლოს, და თუ აუცილებელია, მოიშოროს არასასურველი პოლიტიკოსები. ამ აზრით პოლიარქიები ახლოა დემოკრატიული ელიტიზმის იმ ფორმასთან, რომელსაც იოსებ შუმპეტერი აღწერს ნაშრომში „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“. თუმცა ლინდბლომი და დალი (1985) აღიარებდნენ იმ ფაქტს, რომ პოლიარქიები იმყოფებიან დიდი კორპორაციების უზომო ზეგავლენის ქვეშ. საერთოდ, რაღაც პოლიარქიული ნიშნები დამახასიათებელია ყველა სახელმწიფოსათვის, რომელთა პრაქტიკაშიც მრავალპერიოდული არჩევნებია. თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ დასავლური პოლიარქიები ერთ თარგზეა გამოჭრილი. ზოგნი მიდრეკილნი არიან ცენტრალიზაციისა და მაჟორიტარული მმართველობისადმი. მაჟორიტარული დემოკრატიები დაფუძნებულია პარლამენტარიზმის პრინციპებზე. ყველაზე ნათელი მაგალითი აქ, რა თქმა უნდა, დიდი ბრიტანეთია, მაგრამ ამ მოდელის მრავალი ნიშანი ჩანს ახალი ზელანდიის, ავსტრალიის, კანადის, ისრაელისა და ინდოეთის პოლიტიკურ სისტემებში. ამ მოდელისგან განსხვავებით დასავლური პოლიარქიებისთვის დამახასიათებელია ძალაუფლების დაყოფა სამთავრობო და პარტიული ინსტიტუტების მთელ სპექტრზე. აშშ მმართველობის სისტემა დაფუძნებულია მთავრობის ინსტიტუტებს შორის ძალაუფლების

მკაცრ განაწილებაზე და სრულიად ნათლად გაწერილია კონსტიტუციის მუხლებში. სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით კონტინენტალურ ევროპაში საბოლოო პოლიტიკური კონსენსუსის უკან დგას პარტიათა შორის ურთიერთობა – მათი მოლაპარაკებებით, „ვაჭრობით“ და „ძალაუფლების დანაწილებით“. ბელგიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში განვითარება ჰპოვა შეთანხმებითი დემოკრატიის სისტემამ, რაც უფრო მიესადაგება ღრმა რელიგიური, იდეოლოგიური, კულტურული, რეგიონალური განსხვავებების საზოგადოებებს. კონსენსუსური ან პლურალისტული ტენდენციები ხშირად ასოცირდება კოალიციურ მთავრობასთან, ძალაუფლების დანაწილებასთან აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს შორის და ა.შ.

როგორც არ უნდა მოხდეს პოლიტიკური სისტემის კლასიფიცირება, ყველა პოლიარქიული რეჟიმი უნიკალური ერთჯერადი და განსაკუთრებულია. ამერიკულის განსაკუთრებულობა უმეტესად მოდის იქიდან, რომ ქვეყანას არ გაუვლია ფეოდალიზმი, მაგრამ იყო მიგრაციის გამოცდილება, დასახლების მოწყობა და საზღვრების განაწილება. ყველაფერი ეს გვიხსნის ჩვენ რატომაა აშშ პოლიტიკური კულტურა ასე ინდივიდუალისტური, რატომ (უნიკალური მომენტი დასავლურ პოლიარქიებს შორის) მოახდინა ქვეყანამ იმუნიტეტის დემონსტრირება სოციალისტური და ამ ტიპის სხვა მოძრაობების მიმართ).

უფრო რთულ შემთხვევას წარმოადგენს ინდოეთი. კულტურულ, რელიგიურ და ფილოსოფიურ მიმართებაში ქვეყანას ვერაფრით მივაკუთვნებთ დასავლეთს. ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის განვითარებული პოლიარქიებისგან განსხვავებით იგი უმეტესად აგრარული ქვეყანაა, სადაც განათლების დონე ოდნავ აღემატება 50%-ს. 1947 წ. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ინდოეთი წარმოადგენდა ტიპიურ პოლიარქიას, რომელმაც საკმაოდ ადვილად გადაიტანა „განსაკუთრებული მდგომარეობაც“ კი, რომელიც ინდირა განდიმ შემოიღო 1970 წ. ბოლოს.

ინდოეთის პოლიტიკური სტაბილურობა აიხსნება ინდოეთის ნაციონალური კონგრესის კასტური პოლიტიკით და, შეიძლება ითქვას, იმ „მისტიკით“, რაც ყოველთვის გარს აკრავდა ნერუ-განდის დინასტიას. დღეს არცერთი ფაქტორი აღარ არსებობს და ხდება ინდოეთის ევოლუციონირება შეთანხმებითი დემოკრატიისკენ.

მსოფლიოში დემოკრატიზაციის ახალი ტალღა ჰანთინგთონის მიხედვით დაიწყო 1994 წ. მემარჯვენე მთავრობების დამხობით საბერძნეთში, პორტუგალიასა და ესპანეთში და შემდეგ გამოიხატა ლათინურ ამერიკაში სამხედრო დიქტატორთა პოზიციების შესუსტებით და, რაც მთავარია, კომუნიზმის კრახით. 1989-1991 წ.წ. აღმო-

სავლეთ ევროპული რევოლუციები ააქტიურებს დემოკრატიზაციის პროცესებს, რომელთა მსვლელობაში ბევრი რამ ნასესხები იქნა დასავლური ლიბერალური მოდელიდან. მთავარი აქ იყო პოლიტიკაში მრავალპარტიული არჩევნებისა და ეკონომიკაში საბაზრო რეფორმების შემოღება. ბევრი პოლიტიკური რეჟიმი განიცდის გარდამავალ პერიოდს, რომელიც დროთა განმავლობაში გაიყვანს მათ დასავლური მოდელის პოლიარქიებზე. დღეისთვის უმჯობესია ეს სისტემები მივაკუთვნოთ განსაკუთრებულ გარდამავალ ტიპს. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ კომუნისტური წარსულის სიმძიმის დაძლევა შეუძლებელია მოკლე ხანში, განსაკუთრებით რუსეთში. ამ ქვეყნებში გარდამავალმა პერიოდმა მოიტანა ახალი პრობლემები, რასაც არაფერი საერთო არ ჰქონდა დასავლურ საზოგადოებათა პრობლემებთან. ეს რეჟიმები შესაბამისად ახალ დემოკრატიებად ან ნახევრად დემოკრატიულ რეჟიმებად უნდა იქნას კვალიფიცირებული.

პარადოქსულია, მაგრამ, გარკვეულ წილად, ამ სისტემებში სტაბილურობის იდეას ატარებენ კომუნისტური და ყოფილი კომუნისტური პარტიები. რუმინეთში და ბულგარეთში კომუნისტური საზოგადოების ბევრი ინსტიტუტი წარმატებით გადაბარგდა პოსტკომუნისტურ ეპოქაში, ხოლო უნგრეთში, პოლონეთსა და რუსეთში კომუნისტური პარტიები პრინციპული ან კონიუნქტურული მიზეზებით სოციალ-დემოკრატიულ პოზიციებზე დგანან.

კიდევ ერთი პრობლემების წყება დაკავშირებულია ეკონომიკური გარდაქმნის პროცესთან. „შოკური თერაპია“, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეცეპტებით მიმდინარეობს, არის ცენტრალური დაგეგმარებიდან თავისუფალ კაპიტალიზმზე გადასვლა, მან უმუშევრობის ზრდისა და ინფლაციის გამო არსებითად გააუარესა საზოგადოების სხვადასხვა ფენის მდგომარეობა და გააძლიერა სოციალური უთანასწორობა.

90-იანი წლების რთულ დროსთან შედარებით დღეს ეკონომიკური ლიბერალიზაციის ტემპები მკვეთრად შენელდა. უმეტესად, საზოგადოების უარყოფითი რეაქციის გამო საბაზრო რეფორმებზე, რაც გამოიხატა კომუნისტურ და თავისი შეფერილობით ნაციონალისტური პარტიების მხარდაჭერაში. ბოლოს, პრობლემების კიდევ ერთი წრე დაკავშირებულია სახელმწიფო მმართველობის სისუსტესთან. დღეს ეს აშკარად ჩანს ეთნიკური და ეროვნული წინააღმდეგობების აღორძინებაში. სსრკ კავშირში კომუნიზმის კრახთან ერთად მოხდა ყოფილი საბჭოთა იმპერიის დაშლა. იმ 15 დამოუკიდებელ სახელმწიფოში, რომელმაც იგი შეცვალა რუსეთის ჩათვლით, ეროვნული პრობლემები დგას ყველაზე უფრო მკვეთრად.

1992 წ. შეწყვიტა არსებობა ჩეხოსლოვაკიამ და დაიყო ჩეხეთად და სლოვაკეთად. მაგრამ უფრო დრამატული ფორმები მიიღო ნაციონალურ-ეთნიკურმა კონფლიქტმა იუგოსლავიაში, სადაც მან გამოიწვია ომი სერბეთსა და ხორვატიას შორის 1991 წ. და სამოქალაქო ომი ბოსნიაში 1992-1996 წ.

პოსტკომუნისტური რეჟიმები, რა თქმა უნდა, ასევე არაერთგვაროვანია. მთავარი განსხვავებები აქ გადის ინდუსტრიულად განვითარებულ და „დასავლურად“ მცხოვრებ ცენტრალურ ევროპის ქვეყნებს – ჩეხეთი, უნგრეთი და პოლონეთი და უფრო ჩამორჩენილ ქვეყნებს – რუმინეთი, ბულგარეთი და გარკვეულ წილად რუსეთს შორის. პირველ ჯგუფში საბაზრო რეფორმები ჩატარდა სწრაფად და შედარებით უპრობლემოდ, მეორეში ისინი არასრული იყო, გამოიწვია სერიოზული პოლიტიკური წინააღმდეგობები. სახელმწიფოების პირველი ჯგუფი ცდილობს რაც შეიძლება სწრაფად შევიდეს ევროპის კავშირში. და ბოლოს, შეუძლებელია დავივიწყოთ თვით რუსეთის უნიკალურობა, რაც გამომდინარეობს მისი იმპერიული წარსულიდან, ავტორიტარული და ექსპანსიონისტური ფორმების მიღების რუსული სახელმწიფოებრიობის მიდრეკილებიდან და იმ გარემოებიდან, რომ პეტრე I-ის დროიდან აქ პირისპირ იდგნენ დასავლური და სლავინოფილური ინტერესები და ამიტომ დღეს მას უჭირს გაერკვეს თავის კულტურულ და პოლიტიკურ ბედში.

შეუძლებელია გამოვრიცხოთ, რომ XX ს დასასრულისთვის დაწყებული აღმოსავლეთ აზიის აღმავლობა შეიძლება გახდეს უფრო მნიშვნელოვანი გლობალურ-ისტორიული პროცესი, ვიდრე კომუნიზმის კრახი. ამ ხნის განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკის ცენტრმა გადაინაცვლა დასავლეთიდან აღმოსავლეთით. უკვე XX ს ბოლო ორ ათწლეულში ეკონომიკური ზრდის მონაცემები წყნარი ოკეანის რეგიონის დასავლეთ „გარეუბანში“ ოთხჯერ აღემატებოდა ევროპისა და ამერიკის განვითარებული ეკონომიკის მონაცემებს. უფრო ნაკლებს ლაპარაკობენ აღმოსავლეთ-აზიურ პოლიტიკურ სისტემაზე. 1980-1990 წლებში მრავალპარტიული ელექტორალური სისტემები წარმატებით განვითარდა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ტაილანდი, სამხრეთ კორეა და ტაივანი. თუმცა აზიის პოლიარქიული ინსტიტუტები ისე არ ფუნქციონირებენ, როგორც დასავლეთში. არსებითი განსხვავება კულტურებს შორისაც, რაც კონფუციანიზმის ზეგავლენით დასავლურმა ფუნდამენტალიზმმა ჩამოაყალიბა. უნდა ვაღიაროთ, რომ აზიური ღირებულებანი დასავლურისგან მკვეთრად განსხვავებულია. ამა თუ იმ მიმართებით აღმოსავლეთ აზიურ რეჟიმებს აქვთ რაღაც საერთო. ისინი მეტ წილად ორგანიზებულნი არიან უფრო ეკონომიკური მიზნების გარშემო; მათი მთავარი ამოცანაა

ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ზრდას და კეთილდღეობას და არ გააფართოვონ ინდივიდუალურ უფლებათა და თავისუფლებათა ის წრე, რასაც ჩვენ ვხედავთ დასავლეთში. ეს მეტისმეტი პრაგმატიზმი აშკარად თვალშისაცემია „ხუთი ვეფხვის“ ეკონომიკურ განვითარებაში – სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჰონკონგი, სინგაპური და მალაიზია. მასვე ვხედავთ ჩინეთის განვითარებაში 1970-იანი წლების ბოლოდან და ეს ძალაუფლებაზე იმ კომუნისტური მონოპოლიის დროს, რომელიც ჯერაც არსებობს ჩინეთში. ამ სისტემებში დაფუძნებულია „ძლიერი“ მთავრობის იდეა – სახელმწიფოსადმი პატივისცემა და სათანადო მხარდაჭერა მმართველი პარტიის მხრიდან, თუნდაც ეს კომპარტია იყოს.

ხელმძღვანელი და ლიდერი აქ სარგებლობს პატივისცემით. თუმცა ლოალობის კონფუციური ტრადიციის მიხედვით, ყველაფერ ამაში შეიძლება დავინახოთ რაღაც დაფარული ან ღია ტენდენცია ტოტალიტარიზმისკენ. და ბოლოს, აქ ბევრს ფიქრობენ საზოგადოებასა და სოციალურ კავშირებზე – ოჯახი არის ამ ტრადიციის ცენტრალური ელემენტი. ჯამში ყალიბდება ის, რასაც იაპონელები უწოდებენ „ჯგუფურ აზროვნებას“, სადაც სუსტია ინდივიდუალიზმი და ადამიანის უფლებები.

როგორც სხვა სისტემები, აღმოსავლეთ-აზიური სისტემები ერთგვაროვანი არ არის. აქ ვლინდება კულტურული განსხვავებები. საინტერესოა, რომ სინგაპურის სკოლებში კონფუციური პროგრამების დანერგვა უშედეგოდ დამთავრდა. მსგავს სიტუაციას ადგილი ჰქონდა მალაიზიაში, სადაც ასევე ყველაფერი კეთდებოდა, რათა შეეფერხებინათ ჩინური ზეგავლენა და მეტად გაეძლიერებინათ ამის გარეშეც აშკარად გამოხატული ნაციონალური კულტურის ისლამური ელემენტები. ჩინეთის გადასვლამ კაპიტალისტური განვითარების გზაზე მეტწილად ჩააქრო, თუმცა ვერ გადაწყვიტა ყველა ეს წინააღმდეგობა. აქამდე, შენარჩუნებულია მკვეთრი კონტრასტი „საბაზრო სტალინიზმსა“ (ჩინური ნიმუშის) და ღრმად გამჯდარ იაპონურ დემოკრატიას შორის.

ისლამის, როგორც პოლიტიკური ძალის, აღმავლობამ მოახდინა გავლენა ჩრდილოეთ აფრიკაში, აზიის ნაწილსა და ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკის სფეროზე. ცალკეულ შემთხვევებში მებრძოლი მუსლიმანური მოძრაობები თავის თავზე იღებენ ქალაქის ღარიბთა ინტერესების რუპორის როლს მარქსიზმ-ლენინიზმში საყოველთაო იმედგაცრუების გამო და ამით უცხადებენ გამოწვევას არსებულ რეჟიმებს.

წმინდა ისლამურ სახელმწიფოდ თავისი წარმოშობის დროიდან – 1932 წ – იქცა საუდის არაბეთი. 1979 წ. ირანში

რევოლუციამ გამოიწვია ისლამური რესპუბლიკის შექმნა აიათოლა ჰომეინის მეთაურობით (1900-1989), რომელსაც შემდეგ მიბაძა სუდანმა და პაკისტანმა. სპეციფიკური და ექსტრავაგანტულიც კი გახდა ისლამის ინტერპრეტაცია ისეთ ქვეყნებში,როგორიცაა ლიბია.

ისლამი არასდროს არ იყო მხოლოდ რელიგია. ეს უფრო მთლიანი ცხოვრების წესია, რაც განსაზღვრავს ეთნიკური, პოლიტიკური და ეკონომიკური ქცევის ნორმებს როგორც ადამიანების, ასევე სახელმწიფოსთვის. „ისლამის გზა“ ეფუძნება მუჰამადის მოძღვრებას (570-632), რომელიც გადმოცემულია ყურანში, რასაც ყველა მუსლიმი აღიარებს, როგორც ღვთის სიტყვას, ასევე სურებში „გაკვალულ გზაში“, მორწმუნე მუსლიმანთა მხრივ ადათების დაცვაში.

პოლიტიკური ისლამი ისწრაფვის თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნისკენ, სადაც პოლიტიკური და სხვა ურთიერთობები დამორჩილებული იქნება რწმენის პრინციპებს. ამასთანავე არსებობს მისი განსხვავებული მიმართულებები შეურიგებელი ფუნდამენტალიზმიდან ისეთ ფორმებამდე, რომლებიც გარკვეულად ეხებიან პოლიტიკურ პლურალიზმს.

ისლამის ფუნდამენტალისტური ვერსია ასოცირებულია ირანთან. აქ სიცოცხლის ბოლომდე სათავეში იდგა აიათოლა ჰომეინი, რომელიც ხელმძღვანელობდა ისლამის რევოლუციურ საბჭოს, ორგანოს, რომელიც აერთიანებდა საეკლესიო იერარქიის 15 უმაღლეს პირს. ქვეყანაში არსებობდა საყოველთაოდ არჩეული პარლამენტი, ისლამის საკონსულტაციო ასამბლეის სახით, ყველა კანონი უნდა დამტკიცებულიყო კონსტიტუციის დაცვის საბჭოს მიერ, იგი თვალყურს ადევნებდა მათ შესაბამისობას ისლამის პრინციპებთან.

ჰომეინის გარდაცვალების შემდეგ 1989 წ. მისი მემკვიდრე ხაშემი რაფსანჯანი გადავიდა უფრო პრაგმატულ და ნაკლებად იდეოლოგიზირებულ პოლიტიკაზე. შარიათის სამართალი აქ დღემდე რჩება გაბატონებულ სამართლად და მორალურ კოდექსად. უფრო მეტად ფუნდამენტალიზმი გამოვლინდა ავღანეთში. თალიბანის რეჟიმი 1997-2001 წლებში ატარებდა თეოკრატიულ მმართველობას, სადაც ქალები სავსებით გამოირიცხნენ განათლებიდან, ეკონომიკიდან და, საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფუნდამენტალიზმი საუდის არაბეთში, თუმცა კონსერვატიული სუნიტური რეჟიმი გამოირჩევა უფრო მსუბუქი ფორმებით, ვიდრე შიიტური ირანის რევოლუციური პოპულიზმი. თვითონ მუსლიმანები არ ეთანხმებიან ისლამური რეჟიმის შეფასებებს როგორც „ფუნდამენტალისტურისას“, ხედავენ რა მასში მხოლოდ დასავლური წინასწარგანზრახულობის გამოვლენას „ეგზოტიკური“ და „დესპოტური“ აღმოსავლეთის წინააღმდეგ. იმის მა-

გალითი, რომ ისლამი სავსებით შეთავსებადია პოლიტიკურ პლურალიზმთან, არის მალაიზია. მიუხედავად იმისა, რომ ისლამი აქ არის ოფიციალური სახელმწიფო რელიგია და ქვეყნის უმაღლესი მმართველი არის სახელმწიფოს და ეკლესიის მეთაური, ქვეყანაში ჩამოყალიბდა რაღაც „მართული“ დემოკრატიის მაგვარი, სადაც მრავალპარტიული სისტემის ჩარჩოებში ძალაუფლება ეკუთვნის მალაიზიელთა ეროვნულ ორგანიზაციას პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. თუმცა 1988 წ. რეჟიმს აღმოაჩნდა ავტორიტარული ტენდენციები, და დაჭერებისა და ქვეყანაში მკაცრი ცენზურის შემოღების შემდეგ შეწყვიტა არსებობა დამოუკიდებელმა სამართალწარმოებამ..

მაშინ, როდესაც პოლიტიკური სისტემების უმრავლესობა ფორმირდება პოლიტიკური, კულტურული და იდეოლოგიური ფაქტორის ზემოქმედებით, მსოფლიოში რჩება ისეთი რეჟიმები, რომლებიც დამყარებულია წმინდა სამხედრო ძალაზე, სისტემატიურ იძულებასა და რეპრესიებზე – სამხედრო რეჟიმებზე. მათ მიაკუთვნებენ „ავტორიტარულების“ უფრო ფართო კატეგორიას. სამხედრო ყაიდის ავტორიტარიზმი ყოველთვის გავრცელებული იყო ლათინურ ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთში, აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხედრო რეჟიმები ასევე წარმოიშვა ესპანეთში, პორტუგალიასა და საბერძნეთში. როგორც წესი, სამხედრო რეჟიმის დროს ძალაუფლება გადადის სამხედრო ხელმძღვანელობის ხელში. ამასთანავე ხდება ტრადიციული პოლიტიკური და საკონსტიტუციო დაწესებულებების მოქმედების შეჩერება, ხოლო ინსტიტუტები, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება საჯარო ოპოზიციის გამოხატვა, პარლამენტი და პრესა სუსტდება ან იკრძალება.

თუმცა სამხედრო მმართველობის ყველა ფორმა ღრმად რეპრესიულია, მათ შორის მრავალი განსხვავებაა. ზოგიერთ დიქტატურაში არმია ითვისებს მთავრობაზე პირდაპირი კონტროლის ფუნქციას. ამ ნაირსახეობის კლასიკური გამოხატულებაა სამხედრო ხუნტა. როგორც ლათინური ამერიკის ისტორია გვიჩვენებს, ეს კოლექტიური სამხედრო მმართველობის ფორმაა, სადაც ყველაფერი წყდება სამეთაურო საბჭოს მიერ. მასში ჯარის სამი სახეობაა წარმოდგენილი (სახმელეთო, საზღვაო და სამხედრო-საჰაერო), ზოგჯერ ხუნტებისთვის დამახასიათებელია ჯარის სახეობებს შორის მეტოქეობა, რის შედეგადაც ძალაუფლება შეიძლება გადავიდეს ხელიდან ხელში.

სამხედრო რეჟიმის სხვა ფორმაა პირადი დიქტატურა. ამ დროს ხშირად ადგილი აქვს პიროვნების კულტს და მისწრაფებას ჩამოყალიბდეს ქარიზმატული წყობის ძალაუფლება. ამის მაგალითია გენერალური პაპანდოპულოსი საბერძნეთში (1974-1986 წ.), გენერალი პინოჩეტი ჩილეში 1973 წ. და გენერალი აბაჩა ნიგერიაში 1993-1998 წ.წ. ბოლოს, ჩვენ ვხედავთ სამხედრო დიქტატურებს, სადაც მთავარი ფაქტორი არმიის სამხედრო პოზიციაა, თვითონ გენერალიტეტი კი ამჯობინებს დარჩეს ჩრდილში და „მხოლოდ ძაფები დაქაჩოს“. სწორედ ასეთ სურათს წარმოადგენდა ბრაზილია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სადაც არმია ამჯობინებდა შეენარჩუნებინა ძალაუფლების პოლიტიკურ და სამხედრო ორგანოებად დანაწილება (ასეთ დროს არის ალბათობა იმისა, რომ საზოგადოებაში ჩაისახება სამოქალაქო მმართველობისკენ მისწრაფება და დიქტატურა ადრე თუ გვიან დათმობს თავის პოზიციებს და ადგილს დაუთმობს დემოკრატიზაციის პროცესებს).

დასკვნები

მთავრობა უნდა აღვიქვათ როგორც მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მოწესრიგებულია მმართველობა, მისი მთავარი ნიშანია – კოლექტიური გადაწყვეტის გამოტანის და მათი აღსრულების უზრუნველყოფის უნარი. ცნება „პოლიტიკური სისტემა“ ან „რეჟიმი“ მოიცავს არა მარტო მმართველობის მექანიზმებს და სახელმწიფო ინსტიტუტებს, არამედ სტრუქტურებსა და პროცესებს, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ურთიერთმოქმედებს საზოგადოებასთან.

პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაცია ორ მიზანს ემსახურება: 1. მოვლენების შეჯერებით უზრუნველყოფს მათში მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენას; 2. გვეხმარება შევაფასოთ პოლიტიკური სისტემების ესა თუ ის ხარისხი და ღირსება.

რეჟიმების კლასიფიკაციისთვის ისტორიულად არსებობდა განსხვავებული კრიტერიუმები. კლასიკური ტიპოლოგიები არისტოტელეს დროიდან გამოდიოდნენ საზოგადოების ცალკეული ინსტიტუტების საერთო.

კომუნიზმის კრახმა და დემოკრატიის პროგრესმა სერიოზული სიძნელეები შეიტანა ახალი მსოფლიოს პოლიტიკური კულტურის გაგებაში. კლასიფიკაციის ტრადიციული სისტემები მოძველდა, მით უმეტეს, რომ კლასიფიკაციებს დროებითი ხასიათი აქვთ. დღეს პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება მათში პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთზემოქმედება.

„ისტორიის დასასრულის“ თეორეტიკოსებმა გამოაცხადეს, რომ ისტორია დამთავრდა,ან მალე დამთავრდება – ლიბერალური

დემოკრატიის პრინციპების სრული გამარჯვებისთანავე. დღეს ჩვენ მართლაც ვხედავთ, რომ თანამედროვე სამყაროს პოლიტიკური სისტემების უმეტესობა წარმოადგენს დემოკრატიის ამა თუ იმ სახეობას. ამასთან არსებობს სერიოზული საფუძველი ჩავთვალოთ, რომ სინამდვილეში მსოფლიოს პოლიტიკური სისტემები ხდება უფრო რთული და მრავალსახოვანი, რაც ჩანს დასავლური პოლიარქიების, ახალი დემოკრატიების, სამხედრო დიქტატურების აღმოსავლეთ აზიისა და ისლამური რეჟიმების შედარებისას.

თავი III
პოლიტიკური იდეოლოგიები

"იდეოლოგია" – პოლიტოლოგიის ის ცნებაა, რომლის ირგვლივაც მუდმივად მიმდინარეობდა და მომავალშიც გაგრძელდება ხანგრძლივი კამათი. მართალია ეს ტერმინი ჩვენს დროში ნეიტრალური მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც ამა თუ იმ მსოფლმხედველობის უბრალო ახსნა, მაგრამ, ისტორიულად მას საკმაოდ მძიმე ბედი ერგო. იყო დრო, როდესაც მას უარყოფით მნიშვნელობას ანიჭებდნენ. პოლიტიკური შეხედულებების "იდეოლოგიად" მოხსენიება იმ დროისათვის ყველაზე გამანადგურებელი შეფასების ტოლფასი იყო.

თვითონ სიტყვა "იდეოლოგია" პირველად გამოიყენა ფრანგმა ფილოსოფოსმა დესტიუტ დე ტრასმა (1754-1836). დე ტრასისათვის იგი ნიშნავდა ახალ "მეცნიერებას იდეათა შესახებ", რომელსაც ჩვენი აზრების წარმომავლობა უნდა შეესწავლა. ფილოსოფოსი იმედოვნებდა, რომ "იდეოლოგია" დროთა განმავლობაში ისეთივე აღიარებული მეცნიერება გახდებოდა, როგორიც არის ზოოლოგია ან ბიოლოგია... მაგრამ ტერმინს ის მნიშვნელობა დაუმკვიდრდა, რომელიც XIX საუკუნეში კარლ მარქსმა მიანიჭა. მარქსი იდეოლოგიას განიხილავდა როგორც "მმართველი კლასის" იდეების გამოხატულებას, რომლებიც აშუქებდნენ ფენების ექსპლუატაციას.

ლიბერალური და კონსერვატიული ტრადიციები თავისებურად განმარტავდნენ იდეოლოგიას ტოტალიტარული იდეის წარმოქმნასთან ერთად. ლიბერალური ორიენტაციის მეცნიერებებში კარლ კოპერმა (1902-1994), ჰანა არდენტმა და ჯ.ლ. ტალმონმა, იდეოლოგიის განხილვა დაიწყეს როგორც სოციალური კონტროლის საშუალებისა, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ თანხმობასა და მორჩილებას. „ცივი ომის" პერიოდში მუშაობისას ეს თეორეტიკოსები ფაშიზმისა და კომუნიზმის იდეოლოგიას განიხილავდნენ როგორც „დახურული" აზროვნების ორ ვარიანტს. ჭეშმარიტების მონოპოლიურ ფლობაზე აცხადებდნენ პრეტენზიას და არ უშვებდა განსხვავებული აზრის არსებობას. ამ ფონზე, ლიბერალიზმი,კონსერვატიზმი და დემოკრატიული სოციალიზმი აღიქმებოდნენ არა როგორც იდეოლოგიები, არამედ როგორც „ღია" სისტემები – იმ გაგებით, რომ ისინი უშვებდნენ თავისუფალ აზროვნებას, კრიტიკასა და ოპოზიციას. უფრო მეტიც, დაჟინებით მოითხოვდნენ მათ არსებობას.

„იდეოლოგიის" კონსერვატიული გაგება შემუშავებული იქნა ისეთი მოაზროვნის მიერ, როგორიც იყო მაიკლ ოუკშოტი. იგი

გამომდინარეობდა იმ გარემოებიდან, რომ გარშემომყოფი სამყარო მთელი თავისი სირთულით ადამიანის შეგნებისათვის მიუწვდომელია. „პოლიტიკაში ადამიანები ცურავენ უძირო და უსაზღვრო ზღვაში“. ამ თვალსაზრისით იდეოლოგია გვხვდება როგორც „აზროვნების აბსტრაქტული სისტემა“ – იდეების ნაკრები, რომლებიც ამახინჯებენ პოლიტიკურ რეალობას, ვინაიდან ცდილობენ ახსნან ის, რისი ახსნაც შეუძლებელია. ამის გათვალისწინებით კონსერვატორები იდეოლოგიის ნაცვლად უპირატესობას ანიჭებდნენ პრაგმატიზმს, ტრადიციასა და ისტორიას.

ყველა ზემო აღნიშნულ მიდგომას გააჩნია ის ნაკლი, რომ მათში იდეოლოგია ნეგატიური მხრით არის წარმოდგენილი. გამოდის, რომ ზოგი პოლიტიკური დოქტრინა შეიძლება მივაკუთვნოთ იდეოლოგიას, ზოგი კი არა. მარქსი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მისი იდეები ატარებდნენ არა იდეოლოგიურ, არამედ მეცნიერულ ხასიათს; ლიბერალები უარყოფდნენ თავიანთი ფილოსოფიის მსოფლიო იდეოლოგიისადმი მიკუთვნებას; ხოლო კონსერვატორები ამტკიცებდნენ, რომ პოლიტიკაში ემხრობიან არა იდეოლოგიურ, არამედ პრაგმატულ პოზიციას. საჭიროა მოინახოს ნეიტრალური და ყოველმხრივი, ყველა პოლიტიკური ტრადიციისათვის მისაღები იდეოლოგიის კლასიფიკაცია, უნდა განვთავისუფლდეთ იმ წარმოდგენისაგან, რომ იდეოლოგია შეიძლება იყოს „ცუდი ან კარგი, ტყუილი ან მართალი, განმათავისუფლებელი ან დამმორჩილებელი“. იდეოლოგიის თანამედროვე საზოგადოებრივ-მეცნიერული გაგების ღირსება არის ის, რომ იგი აიხსნება როგორც იდეების მთლიანობა, რომელიც ამა თუ იმ მეთოდით მართავს პოლიტიკურ ქმედებას.

ლიბერალიზმი და ნეოლიბერალიზმი

ნებისმიერი პოლიტიკური იდეოლოგიების ჩამონათვალი ლიბერალიზმით უნდა იწყებოდეს, რადგან ლიბერალიზმი თავისი არსით წარმოადგენს სამრეწველო დასავლეთის იდეოლოგიას. როგორც ჩამოყალიბებული პოლიტიკური დოქტრინა ლიბერალიზმი XIX ს-ის დასაწყისში დამკვიდრდა. მისი ცალკეული ელემენტები შემდგომი 3 საუკუნის განმავლობაში ფორმირდებოდა. თავისი შინაარსით, ლიბერალიზმი იყო ფეოდალიზმის რღვევისა და საბაზრო კაპიტალისტური საზოგადოების ჩამოყალიბების შედეგი. ადრეული ლიბერალიზმი გამოხატავდა სამრეწველო, საშუალო კლასის მისწრაფებებს. მას შემდეგ ლიბერალიზმი და კაპიტალიზმი ერთმანეთისაგან ფაქტობრივად განუყოფელია. იგი თავდაპირველად სუფთა პოლიტიკური დოქტრინა იყო, რომელიც აბსოლუტიზმს, ფეოდალურ პრივილეგიებსა და მათ ურთიერთსაწინააღმდეგო კონსტიტუციურ და მოგვიანებით, წარმომადგენლობით მმართველობასაც აკრიტიკებდა.

XIX ს-ის დასაწყისისათვის განვითარება პოვა ეკონომიკურმა ლიბერალიზმმა, რომელიც პროპაგანდას უწევდა თავისუფალ კაპიტალიზმს და გმობდა სახელმწიფოს ყველანაირ ჩარევას ეკონომიკაში. XIX საუკუნის ბოლოს წარმოიშვა სოციალური ლიბერალიზმის ფორმა, რომელმაც გაათვითცნობიერა სოციალური რეფორმებისა და ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა. ასეთი მიდგომა XX საუკუნის ლიბერალიზმის დამახასიათებელი თემა გახდა.

უპირველეს ყოვლისა, ადამიანები აქ განიხილებიან როგორც ინდივიდები. ისინი უნიკალურები არიან და გააჩნიათ თანაბარი მორალური ღირსებები. ამიტომ ლიბერალიზმი ცდილობს შექმნას ისეთი საზოგადოება, სადაც ინდივიდის უზრუნველყოფილი იქნება კეთილდღეობა და ყოველ ადამიანს მეცემა შანსი სრულად მოახდინონ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზება.

პიროვნების თავისუფლება – ლიბერალიზმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, ვთქვათ,თანასწორობა,სამართლიანობა ან ძალაუფლება. ლიბერალები ამჯობინებენ ისაუბრონ “თავისუფლებაზე კანონის ფარგლებში“. ისინი ცხადად აცნობიერებენ, რომ ერთი ადამიანის თავისუფლებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სხვა ადამიანების თავისუფლებას და ეს შეიძლება გადაიზარდოს ქაოსში. ამ პრობლემის იდეალური გამოსავალი აქ წარმოგვიდგება შემდეგნაირად: ადამიანს უნდა მიეცეს თავისუფლების ის მაქსიმუმი, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის სხვა ადამიანების თავისუფლებას.

გონება – ლიბერალებს სწამთ, რომ სამყაროს გააჩნია შემეცნებითი ხასიათი. ამიტომ ისინი ამჯობინებენ ირწმუნონ ინდივიდის შესაძლებლობა დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარეობს ლიბერალებში პროგრესისა და ადამიანების შესაძლებლობების რწმენა გადალახონ წინააღმდეგობები მშვიდობიანი გზით – დისკუსიითა და მოლაპარაკებებით და არა ძალადობითა და ომით.

თანასწორობა – ინდივიდუალიზმი მოიცავს ადამიანთა თანასწორობის იდეას. იგი არ აღიარებს სოციალური თანასწორობის იდეას – შედეგების თანასწორობას. ვინაიდან ამის მაგივრად იგი ამჯობინებს ისაუბროს “შესაძლებლობების თანასწორობაზე“, რომელიც ხალხს საშუალებას აძლევს მოახდინოს საკუთარი პოტენციალის რეალიზება, რომელიც თავიდანვე არათანაბარია.

ტოლერანტობა – ლიბერალები დარწმუნებულნი არიან, რომ

ტოლერანტობა ერთდროულად პირადი თავისუფლების, კულტურისა და სხვა დანარჩენის გარანტიაა. ჯანსაღი საზოგადოების შეუცდომელ მაჩვენებლად გვევლინება პლურალიზმი, ვინაიდან იგი ხელს უწყობს შეხედულებათა გაცვლას საზოგადოებაში და გავლენას ახდენს მათ განვითარებაზე, რადგან მხოლოდ ასეთ პირობებში გამოიცდება შეხედულებათა ჭეშმარიტება თავისუფალი საბაზრო იდეების ჩარჩოებში. უფრო მეტიც, ლიბერალიზმს სჯერა,რომ საწინააღმდეგო ინტერესებს შორისაც კი არსებობს "დამკვიდრებული ჰარმონია". სწორედ ამიტომ საზოგადოებაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ისეთი კონფლიქტი, რომლის გადაწყვეტაც არ შეიძლება.

საზოგადოებრივი თანხმობა. კონსესუსი. – ლიბერალიზმის ფილოსოფიის თანახმად ძალაუფლება და ურთიერთობები დაფუძნებული უნდა იყოს საზოგადოებრივ თანხმობასა და ნებაყოფლობით შეთანხმებებზე. ყველანაირი მმართველობა უნდა ემყარებოდეს „იმ მხარეთა თანხმობას", რომელთაც ისინი მართავენ. სწორედ ამიტომ ლიბერალიზმი ემხრობა დემოკრატიის დოქტრინას და პოლიტიკურ წარმომადგენლობას.

კონსტიტუციონალიზმი – ლიბერალური იდეოლოგიისათვის ყოველთვის წარმოადგენდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წესრიგისა და სტაბილურობის გარანტს საზოგადოებაში. ყოველთვის არსებობს საშიშროება, რომ ხელისუფლებამ შეიძლება გამოავლინოს ტირანია. შესაბამისად საჭიროა მისი შეზღუდვა. საკითხის გადაჭრა ხდება სახელმწიფოს ძალაუფლების გაყოფით. ამ ამოცანის გადაჭრა ხდება სახელმწიფო ინსტიტუტებში ძალაუფლებისა და წინააღმდეგობების შეჩერებით, კოდიფიცირებული ან წერილობითი სამართლებრივი კონსტიტუციის მიღებით, რომლითაც განისაზღვრება ინდივიდის და სახელმწიფოს ურთიერთობა.

კლასიკური ლიბერალიზმი თავიდანვე ემხრობოდა ინდივიდუალიზმის უკიდურეს ფორმას. ამ ტრადიციის მქონე ადამიანები აღიქმებოდნენ როგორც ეგოისტური არსებები, რომლებიც საკუთარი მიზნების მისაღწევად იღვწოდნენ და მხოლოდ თავიანთი თავის იმედი ჰქონდათ. ისინი არიან საკუთარი ბედის გამგებელი ადამიანთა კატეგორია, ამ სიტყვის სრული გაგებით, რომელთაც არანაირი ვალდებულება არ გააჩნიათ საზოგადოებისა და ხალხის წინაშე.

კლასიკური ლიბერალიზმის იდეალად "მინიმალური სახელმწიფოს" იდეა მიიჩნეოდა, რომელიც "ღამის გუშაგის" ფუნქციას შეასრულებდა და თანამოქალაქეებს ყოველგვარი უსიამოვნო ქმედებისაგან დაიცავდა.

თანამედროვე ლიბერალიზმი

თანამედროვე ლიბერალიზმი უფრო ადვილად ურიგდება სახელმწიფოს ჩარევას საზოგადოებრივ საქმიანობაში. არსებობს ეგრეთ წოდებული სოციალური ლიბერალიზმის,ან სხვაგვარად რომ ვთქვათ,"საყოველთაო კეთილდღეობის" ლიბერალიზმის ცნება. აქ მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს ჩარევა, განსაკუთრებით სოციალური დახმარებების სახით, აფართოებს საზოგადოებრივ საზღვრებს და იცავს ადამიანს "ბედის უკუღმართობისაგან". დიდ ბრიტანეთში 1942 წ. ერთ-ერთ სამთავრობო მოხსენებაში ამ საკითხთან დაკავშირებით მითითებულია 5 "მონსტრის" შესახებ: შიმშილი, უმეცრება, დაუსაქმებლობა, ავადმყოფობა და გამფლანგველობა. ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით თანამედროვე ლიბერალიზმმა უარყო თავისუფალი კაპიტალის იდეალი. ამაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ჯ.მ. კეინსის თეორიამ იმის შესახებ, რომ ზრდა და განვითარება მიიღწევა მხოლოდ "მართვადი" ჩარჩოების ფარგლებში ან რეგულირებისას, როდესაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს ძირითადი ეკონომიკური ამოცანების გადაჭრას. მაგრამ ამავე დროს, ახალი დროის ლიბერალები მზად არიან მხარი დაუჭირონ სახელმწიფო ჩარევის იდეას მხოლოდ გარკვეული პირობების დაცვის შემთხვევაში. მათ მთავარ საზრუნავს წარმოადგენს უკიდურესად გაჭირვებული ფენის დაცვა, რომლებიც ნამდვილად უსუსურები არიან; ხოლო მიზანს – დაეხმარონ ამ ხალხს მიაღწიონ იმ დონეს, როცა ისინი შეძლებენ დამოუკიდებლად მოიწყონ საკუთარი ცხოვრება და ექნებათ თავისუფალი არჩევანის საშუალება. ყველაზე გავლენიანი თეორეტიკოსი,რომელიც შეეცადა დაეკავშირებინა ლიბერალიზმის პრინციპები "საყოველთაო კეთილდღეობის" პოლიტიკასთან და საზოგადოებრივი რესურსების გადანაწილების პრაქტიკასთან,იყო ჯონ ლოკი.

ნეოლიბერალიზმი

თავისი შინაარსით ნეოლიბერალიზმი თავისუფალი ბაზრის შესახებ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის განახლებულ ვარიანტს წარმოადგენს, რომელსაც თავის დროზე ანვითარებდნენ ფრიდრიხ ჰაიეკი, მილტონ ფრიდმანი და რობერტ ნოზიკი. ნეოლიბერალიზმი ორ ვეშაპზეა დაფუძნებული: ბაზარსა და ინდივიდზე. ნეოლიბერალიზმის მთავარი მიზანი იყო "სახელმწიფო საზღვრების გადაწევა" იმ გაანგარიშებით, რომ რეგულირებისაგან განთავისუფლებული კაპიტალისტური ბაზარი თავისთავად მოიტანს ეკონომიკურ

ეფექტს, ზრდასა და განვითარებას სახელმწიფო კი, როგორც ამ ორიენტაციის მიმდევრები ამტკიცებენ, ახშობს პირად ინიციატივას და მეწარმეობას.

ნეოლიბერალიზმის მიმდევრების განსაკუთრებულ ღელვას იწვევს საკუთრების პრობლემა. ისინი უპირატესობას ანიჭებენ არა სახელმწიფო ან ნაციონალურ, არამედ კერძო საკუთრებას ე.ი. "ყველაფერი საკუთარი კარგია, სახალხო – ცუდი". ამის მსგავსი იდეები ხშირად ასოცირდება "მყარი ინდივიდუალიზმის" სახელთან, რომელმაც გამოხატულება პოვა მარგარეტ ტეტჩერის ცნობილ ფრაზაში: „არ არსებობს ცნება საზოგადოება – არსებობენ მხოლოდ ადამიანები და მათი ოჯახები".

დღეს ეს იდეები გლობალური პროგრესის მეშვეობით იკაფავენ გზებს, რომლებიც რიგი ავტორების აზრით, გვიბრუნდება ნეოლიბერალური გლობალიზაციის სახით.

კონსერვატიზმი და ნეოკონსერვატიზმი

კონსერვატიული იდეები და დოქტრინები პირველად XVIII ს. ბოლოს ჩამოყალიბდნენ. კონსერვატიზმი დამცველად დაუდგა მოძველებული საზოგადოებრივ წყობას, მაგრამ ამავე დროს თვით ყველაზე კონსერვატიულ იდეაშიც თავიდანვე არ იყო ერთიანობა. კონტინენტალურ ევროპაში გაჩნდა მიმდინარეობა, რომელიც ღიად ატარებდა არისტოკრატიულ და რეაქციულ ხასიათს და თავიდანვე უარყოფდა ნებისმიერ ცვლილებას. ამერიკასა და ბრიტანეთში სიცოცხლისუნარიანი კონსერვატიზმის ფორმა აისახა ლოზუნგში: "შეიცვალო, რათა შეინარჩუნო".

ასეთმა მიდგომამ საშუალება მისცა კონსერვატორებს XIX ს. გადასულიყვნენ სოციალური რეფორმების პოზიციაში პატერნალისტური ლოზუნგით "ერთიანი ნაცია". ამ მოძრაობის აპოგეამ მიაღწია დიდ ბრიტანეთში 1950-იან წლებში, როდესაც კონსერვატიული პარტია ბოლოს და ბოლოს შეეგუა ომის შემდგომ წესრიგს და წამოწია დემოკრატიის საკუთარი ვერსია კეინსის სოციალური დოქტრინის სახით, მაგრამ ეს მოძრაობა 1970-იან წლებში შეეჯახა კონსერვატიულ ოპოზიციას "ახალი მემარჯვენეების" მხრიდან და მიმდინარეობა თავისებური ანტიეტატისტური და ანტიპატერნალისტური სიცხარით მიუბრუნდა კლასიკურ თემებს და ადრეული ლიბერალიზმის ფასეულობებს.

ტრადიცია – კონსერვატიული იდეის ცენტრალური თემა – "მონაპოვრის (დაგროვებულის) შენარჩუნება" – მჭიდროდ არის

დაკავშირებული ყველაფერ იმასთან, რაც დრომ გამოსცადა – ტრადიციებთან, ადათ წესებთან, ინსტიტუტებთან. აქ ტრადიცია არის წარსულში დაგროვებული სიბრძნე, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს შენარჩუნებული მომავალი თაობების საკეთილდღეოდ. ყველაფერი ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ამყარებს საზოგადოების დამოკიდებულებას სტაბილურობისა და უსაფრთხოებისადმი.

პრაგმატიზმი – კონსერვატორები ყოველთვის მიუთითებდნენ, რომ სამყარო მეტისმეტად რთულია საიმისოდ, რომ მას ადამიანის გონება ჩასწვდეს. აქედან გამომდინარეობს მათი ინსტინქტური უნდობლობა აბსრაქტული პრინციპებისა და თეორიების მიმართ. ისინი ამჯობინებენ დაეყრდნონ გამოცდილებას, ისტორიას და, რაც მთავარია, დარწმუნებულნი არიან, რომ უნდა იმოქმედონ გონივრულად, პრაქტიკულ გარემოებებთან და მიზნებთან შეთანხმებით, ერთი სიტყვით, ყველაფერ იმასთან, რაც "მუშაობს პრაქტიკაში".

იერარქია – კონსერვატორთა რწმენით ორგანულ საზოგადოებაში სხვაობა ადამიანთა სოციალურ მდგომარეობასა და სტატუსს შორის ბუნებრივი და გარდაუვალია. ყველა ადამიანს სხვადასხვა როლი და ფასეულობები აკისრია: მეწარმე და მუშა, მასწავლებელი და მოსწავლე, მშობელი და შვილი. მაგრამ ეს უთანასწორობა თავისთავად არ ქმნის კონფლიქტს, რადგან საზოგადოება კავშირებით არის გამაგრებული. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია საზოგადოების უმაღლეს ფენას. მათი მორალური ვალია იმ ადამიანებზე იფიქრონ, რომლებსაც ნაკლებად გაუმართლათ ცხოვრებაში.

ძალაუფლება და ავტორიტეტი – კონსერვატორები ყოველთვის ამტკიცებდნენ, რომ ავტორიტეტი და ძალაუფლება იქმნეს "ზევიდან". მხოლოდ ნამდვილ ლიდერს ძალუძს დაანახოს საზოგადოებას სწორი მიმართულება და მხარი დაუჭიროს მათ, ვისაც არ ყოფნის გამოცდილება, განათლება და ცოდნა. ოდესღაც ეს ყველაფერი "ბუნებრივი არისტოკრატიულობიდან" გამომდინარეობდა. დღეს კი, ავტორიტეტი და ლიდერობა ეფუძნება განათლებასა და გამოცდილებას.

საკუთრება – განსაკუთრებულ მნიშვნელობას კონსერვატორები ანიჭებენ საკუთრებას, რომელსაც ადამიანისთვის მოაქვს უსაფრთხოება და უზრუნველყოფს დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან. გარდა ამისა, ეს თავის მხრივ, ადამიანის "ექსტერიტორიზაციაა". ამავე დროს, საკუთრება დაკავშირებულია როგორც უფლებებთან, ასევე ვალდებულებებთანაც. გარკვეული გაგებით ყოველი ჩვენგანი მხოლოდ ქონების მეურვეები ვართ, რომელიც მემკვიდრეო-

ბით გვერგო წინაპრებისაგან და შემდგომში შთამომავლებს უნდა გადავცეთ.

ნეოკონსერვატიზმი ფაქტობრივად აღადგენს XIX ს. კონსერვატიზმის სოციალურ პრინციპებს. მთავარ მიზნად იგი მიიჩნევს ააღორძინოს "ავტორიტეტი" და ტრადიციული ფასეულობები დაკავშირებული ოჯახთან, რელიგიასთან და ნაციასთან. ნეოკონსერვატორების აზრით, მხოლოდ ავტორიტეტი იძლევა სტაბილორობის შენარჩუნების გარანტიას საზოგადოებაში, რამდენადაც მას თან სდევს დისციპლინა და პატივისცემა ტრადიციებისადმი,რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ ერთიანობას. ამას უპირისპირდება თვითნებობა, საკუთარი „მე"-ს კულტი, ჩვევა "მოიქცე ისე, როგორც გინდა", რომელიც ნეოკონსერვატორების აზრით, 1960-იანმა წლებმა მოიტანა.

საინტერესოა, რომ ამერიკელი ნეოკონსერვატორების უმეტესობა სინამდვილეში ყოფილი ლიბერალია,რომლებსაც იმედი გაუცრუათ კენედი-ჯონსონის ეპოქაში მომხდარმა რეფორმებმა.

"ახალი მემარჯვენეების" იდეოლოგია იმდენად გაემიჯნა კონსერვატიული იდეის მთავარ აზრს, რომ, თავის მხრივ, იგი იქცა იმ პრაქტიკის ერთგვარ კონტრევოლუციად, რომელიც ჩამოყალიბდა ომის შემდგომ პერიოდში და რომელიც ითვალისწინებდა ხელისუფლების ჩარევასა და ლიბერალური და სოციალურ-პროგრესული ღირებულებების გავრცელებას.

ამ იდეოლოგიის ფორმირება 1970-იან წლებში დაემთხვა იმ სპეციფიკურ მომენტს, როცა, ერთი მხრივ, ამოწურული აღმოჩნდა კეინზის მოძღვრება სოციალური დემოკრატიის შესახებ, რაც გამოიხატა ომის შემდგომი ეკონომიკური აღმავლობის შეწყვეტით და, მეორე მხრივ, გამოიკვეთა სოციალური კრიზისის კონტურები და ხელისუფლების ავტორიტეტის ვარდნა საზოგადოებაში. 1980-იან წლებში დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაში, "ახალმა მემარჯვენეებმა" გამოხატულება პოვეს ტეტჩერიზმსა და რეიგანიზმში. ამას მოჰყვა მასიური ძვრები საბაზრო ეკონომიკის ფორმირებაში, მაგრამ იმავდროულად "ახალი მემარჯვენეების" იდეოლოგია გახდა არა იმდენად ერთიანი და სისტემატური ფილოსოფია, რამდენადაც მცდელობა შეეთავსებინათ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ტრადიცია – "ნეოლიბერალიზმი" და "ნეოკონსერვატიზმი". მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ მიმართულებას შორის არსებობს თავისებური და იდეოლოგიური წინააღმდეგობები,მათ აერთიანებთ ლოზუნგი: "თავისუფალი ეკონომიკა და ძლიერი სახელმწიფო".

სოციალიზმი და მარქსიზმი

მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტური იდეების კვალი XVII ს. გამოჩნდა ლეველერებთან და დიგერებთან,სოციალიზმი როგორც პოლიტიკური დოქტრინა ჩამოყალიბდა XIX ს. დასაწყისში სამრეწველო კაპიტალიზმის რეაქციულ მოწინააღმდეგედ. პირველად მის სოციალურ საფუძველს წარმოადგენდნენ ხელოსნები, მაგრამ მალე იგი მზარდმა პროლეტარიატმა, ადრეული ინდუსტრიალიზაციის "ფაბრიკის ხორცმა" შეცვალა. თავის ადრეულ ფორმებში სოციალიზმი ატარებდა ფუნდამენტალურ, უტოპიურ და რევოლუციურ ხასიათს. მისი მიზანი იყო კაპიტალისტური მეურნეობის ლიკვიდაცია და მისი შეცვლა ახალი, ხარისხიანი სოციალისტური საზოგადოებით, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა საზოგადოებრივ საკუთრებაზე. ამ მიმართულების ყველაზე ავტორიტეტული მოაზროვნის კარლ მარქსის იდეებმა ფუნდამენტი ჩაუყარა XX ს-ის კომუნისტურ იდეოლოგიას. თუმცა XIX ს-ის დასაწყისში სოციალიზმში გაჩნდა რეფორმისტული დინება, რომელმაც ასახა მუშათა კლასის თანდათანობითი ინტეგრაციის პროცესი კაპიტალიზმის პირობებში – შრომის პირობების გაუმჯობესების, ხელფასების ზრდის, პროფკავშირების გაძლიერებისა და სოციალისტური მუშათა პარტიების ჩამოყალიბების გზით. რეფორმიზმმა გამოავლინა მშვიდობიანი, თანდათანობითი და სრულიად ლეგალური "საპარლამენტო გზით" სოციალიზმში გადასვლის შესაძლებლობა. ამ იდეოლოგიას გააჩნდა ორი წყარო: ეთიკური სოციალიზმის ჰუმანისტური ტრადიციები, დაკავშირებული ისეთ მოაზროვნეებთან, როგორებიც არიან: რობერტ ოუენი (1771-1858), შარლ ფურიე (1772-1837) და უილიამ მორისი (1854-1896) და ასევე მარქსისტული რევიზიონისტული შეხედულებები, რომელსაც ძირითადად ედუარდ ბერნშტეინი ავითარებდა.

XX ს. სოციალისტური მოძრაობა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად იყო გაყოფილი: რევოლუციური მიმართულების სოციალისტებად, რომლებიც გაყვნენ ლენინსა და ბოლშევიკებს და ბოლოს და ბოლოს განისაზღვრნენ როგორც კომუნისტებად. სოციალ-რეფორმატორებად,რომელთაც ლეგალური კონსტიტუციური პოლიტიკის პოზიცია ეკავათ, იმათ თავიანთ ირგვლივ შემოიკრიბეს ყველა ის ელემენტი, რომელთაც შემდგომში სოციალ-დემოკრატია დაერქვა. დებატები მიმდინარეობდა არა მარტო სოციალიზმზე გადასვლის გზებზე, არამედ იხილებოდა თვითონ სოციალისტური იდეების არსი.

სოციალ-დემოკრატებმა კატეგორიულად უარყვეს ისეთი რადიკალური ხასიათის მოთხოვნილებები, როგორიც იყო საზოგადოებრივი საკუთრება და სახელმწიფო დაგეგმარება. ცდილობდნენ

რა გაეანალიზებინათ სოციალიზმის კატეგორიებში "სახელმწიფო საყოველთაო კეთილდღეობისათვის", საზოგადოებრივი სახსრების გონებრივი გადანაწილება და სტრატეგიულ-ეკონომიკური მმართველობა. XX ს. ბოლოს ორივე მიმდინარეობამ კრიზისი განიცადა, რამაც საკმაოდ ბევრი აალაპარაკა "სოციალიზმის დასასრულზე". ყველაზე დრამატული მომენტი კი ამ შემთხვევაში იყო კომუნიზმის კრიზისი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის 1989-91 წ. რევოლუციის ინიცირებამ გამოიწვია. მაგრამ სოციალ-დემოკრატიის გარკვეულმა ნაწილმა პრინციპულად არ უარყო თავისი ტრადიციები, ამიტომ, როგორც ზოგიერთი თეორეტიკოსი ფიქრობს, დღეს ისინი არაფრით არ გამოირჩევიან ლიბერალებისაგან.

საზოგადოება – მთავარი სოციალიზმში არის შეხედულება ადამიანზე, როგორც სოციალურ არსებაზე, რომელიც მთელი თავისი არსით დაკავშირებულია სამყაროსთან.

"ყოველი ადამიანი კონტინენტის ნაწილია"... საზოგადოება, მართლაც, ადამიანის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ადამიანი ყალიბდება საზოგადოებრივი ურთიერთობების, სოციალური ჯგუფებისა და კოლექტივების ჩამოყალიბების საფუძველზე. ამიტომ სოციალისტები ადამიანთა ქმედებებს ხსნიან არა თანდაყოლილი თვისებებით, არამედ ძირითადად სოციალური ფაქტორით.

ერთობა – სოციალისტების აზრით, ხალხი, რომელიც სამყაროს ეკუთვნის, ერთმანეთთან დაკავშირებულნი უნდა იყვნენ ძმური ურთიერთობებით. ამიტომ, ეს ტრადიცია ამტკიცებს თანამშრომლობის პრიორიტეტს კონკურენციაზე და კოლექტივიზმისას – ინდივიდუალიზმზე. თანამშრომლობის დროს ხალხი აერთიანებს თავიანთ ძალებს და ამყარებენ სოციალურ კავშირებს, ხოლო კონკურენციისას ისინი უპირისპირდებიან ერთმანეთს, აქვთ მტრული და კონფლიქტური დამოკიდებულება.

სოციალური თანასწორობა – თანასწორობა სოციალიზმის ერთ-ერთი ფუნდამენტური ფასეულობაა. ხშირად სოციალიზმი ესმით როგორც ეგალიტარიზმის ერთ-ერთი ფორმა, სადაც თანასწორობის ცნება ყველაზე უფრო ფასეულია სხვა ფასეულობათა შორის. განსაკუთრებული როლი ამ იდეების ერთობლიობაში მიეკუთვნება სოციალურ თანასწორობის იდეას – თანაბარ რეზულტატებს და არა თანაბარ შესაძლებლობებს.

მოთხოვნილება – სოციალისტური იდეოლოგიის მიხედვით, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, საზოგადოებაში მატერიალური კეთილდღეობა უნდა ნაწილდებოდეს მოთხოვნილებების მიხედვით და არა სხვა მიზეზების გამო. ამ პრინციპის კლასიკურ გამოხატულებას ჩვენ ვპოულობთ მარქსისტულ ფორმულაში: "ყველასგან შესაძლებლობის მიხედვით – ყველას მოთხოვნილების მიხედვით". ამ ფილოსოფიის მიხედვით, მხოლოდ პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ იღებს ადამიანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას. მაგრამ გაურკვეველია, თუ როგორ მივაღწიოთ იმას, რომ მორალური ხასიათის ფაქტორმა გადაწონოს მატერიალური.

სოციალური კლასი – სოციალისტური იდეოლოგია ხშირად ასოცირდება კლასობრივი პოლიტიკის გარკვეულ ფორმასთან. ჯერ ერთი, საზოგადოება უპირატესად წარმოჩინდება კლასობრივი პოლიტიკის სტრუქტურებიდან გამომდინარე, სადაც კეთილდღეობა კლასობრივი მოთხოვნილებების საფუძველზე ყალიბდება. მეორეც, სოციალიზმი თავიდანვე გამოხატავდა ჩაგრული პროლეტარიატის ინტერესებს და განიხილავდა მას, როგორც სოციალური რევოლუციის და საზოგადოებრივი პროგრესის მამოძრავებელ ძალას. ამ იდეოლოგიის პოზიციიდან გამომდინარე, კლასობრივი განსხვავება გარდამავალ ხასიათს ატარებს. სოციალისტების ამოცანას წარმოადენს სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის ლიკვიდირება ან მათი მნიშვნელოვნად შემცირება,

საზოგადოებრივი საკუთრება – საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს პრინციპული პრობლემა საკუთრების განაწილების შესახებ, სოციალური იდეოლოგიისთვისაც კი საკამათო აღმოჩნდა. საკამათო არ იყო მხოლოდ ის, რომ წარმოების ხარჯზე შექმნილი საზოგადოებრივი საკუთრება, შესაძლებლობას იძლეოდა მატერიალური რესურსები ჩაეყენებინა ხალხის სამსახურში იმ დროს, როდესაც კერძო საკუთრება ბადებს ეგოიზმსა და მომხვეჭელობას, და, ბოლოს და ბოლოს, ხელს უწყობს საზოგადოების დაყოფას მდიდრებად და ღარიბებად.

როგორც ცალკე თეორიული სისტემა, მარქსიზმი ყოველთვის იყო ლიბერალიზმის მთავარი ოპონენტი. იგი ახალი დროის დასავლეთში როგორც სულიერ, ისე მის კულტურულ ცხოვრებაზე გაბატონდა. ასაზრდოებდა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას და მასთან ერთად კაპიტალიზმის სისტემის მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ძალადაც გვევლინებოდა. ყოველი შემთხვევისთვის ეს ასე იყო 1917-1991 წ.წ. თვალთახედვის არიდან არ უნდა გამოგვრჩეს სოციალური ფილოსოფიის სხვაობა, გამომდინარე კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის კლასიკურ ნაშრომებსა და XX ს-ის კომუნიზმის ფენომენს შორის, რომელიც საკმაოდ ჩამოცილდა კლასიკური მარქსიზმის პრინციპებს. სოციალიზმის კრიზისი არ უნდა განვიხილოთ როგორც მარქსიზმის დასასრული. ლენინიზმისა და სტალინიზმისაგან განთავისუფლებამ მას მისცა უნარი ახალი სუნთქვა შეიძინოს.

მარქსიზმი რთული სისტემაა. მარქსის გვიანი ნამუშევრები მნიშვნელოვნად განსხვავდება ადრეულისაგან. ერთი რამ ნათელია – თვით მარქსი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ შეიმუშავა სოციალიზმის მეცნიერული სისტემა, რომელიც არა მხოლოდ აკრიტიკებდა კაპიტალიზმს ესთეტიკური პოზიციიდან, არამედ ყოველმხრივ განმარტავდა საზოგადოებრივ-ისტორიულ პროცესებს. მარქსის იდეებმა უფრო დიდი აუდიტორია მისი გარდაცვალების შემდეგ შემოიკრიბა. ძირითადად მისი თანამებრძოლის ფ. ენგელსის, აგრეთვე გერმანელი სოციალისტების ლიდერის კარლ კაცსკის (1854-1938) და რუსი თეორეტიკოსის გიორგი პლეხანოვის (1856-1918) ნაშრომებიდან გამომდინარე, პარალელურად ყალიბდებოდა ორთოდოქსალური მარქსიზმი, რომელსაც დიალექტიკური მატერიალიზმი ეწოდა.

ისტორიული მატერიალიზმი. მარქსისტული ფილოსოფიის ძირითად იდეად გვევლინება ის, რასაც ენგელსმა ისტორიის მატერიალური გაგება უწოდა – კონცეფცია, რომელიც ასახავს ეკონომიკის მნიშვნელობას და, საერთოდ, საზოგადოებრივი წარმოების მატერიალურ პირობებს. მარქსის მიხედვით ეკონომიკური "ბაზისი", ყველა იმ ნიშნით, რომლითაც ხასიათდება "წარმოების საშუალება", წარმოადგენს ერთგვარ საფუძველს, რომელზედაც შენდება პოლიტიკური და იდეოლოგიური ურთიერთობების სისტემა.

დიალექტიკა – ჰეგელის მოძღვრებაზე დაყრდნობით, მარქსი ფიქრობდა, რომ ისტორიული განვითარება დიალექტიკურად მიმდინარეობდა წინააღმდეგობრივი ბრძოლით, რომლის შედეგიც არის განვითარების უფრო მაღალ სტადიაზე გადასვლა. თავის მატერიალურ განმარტებაში ეს იდეა აღნიშნავს, რომ ისტორიას ამოძრავებს "წარმოების საშუალებებში" ჩადებული წინააღმდეგობები და კლასებს შორის ურთიერთობები. ამ მოდელის ვერსია ვარაუდობს, რომ ისტორიული განვითარება "წარმოების საშუალებებში" წინააღმდეგობების შედეგია, რომელიც აისახება კლასობრივ ანტაგონიზმში.

კლასობრივი ბრძოლა – კაპიტალიზმის მთავარი წინააღმდეგობები წარმოქმნა კერძო საკუთრებამ, რომელმაც საზოგადოება დაყო კაპიტალისტებად, რომელთაც გააჩნიათ წარმოების საშუალებები და საკუთრებაჩამორთმეული პროლეტარიატი, რომლებიც მხოლოდ საკუთარი შრომის გაყიდვით არსებობენ. ბურჟუაზია "მმართველ კლასად" გვევლინება ყველა შესაძლო მდგომარეობაში. ისინი ფლობენ ეკონომიკურ ძალაუფლებას, სახელმწიფოს მეშვეობით ახორციელებენ თავიანთ პოლიტიკურ ძალაუფლებას და სარგებლობენ საკუთარი იდეოლოგიური ძალაუფლების ყველა უპირატესობით, რადგან მათი იდეები თავიანთი დროის "მმართველ იდეებს" წარმოადგენენ.

ზედმეტი ღირებულება – ურთიერთობა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არის შეურიგებელი ანტაგონისტური ხასიათისა. მარქსის მიხედვით მუშის ექსპლუატაციას კაპიტალისტისათვის დამატებითი შემოსავალი მოაქვს, რომელიც წარმოების პროცესში წარმოიქმნება. კაპიტალისტი ამას აღწევს მუშისათვის უფრო დაბალი ანაზღაურების გადახდით, ვიდრე მას ეკუთვნის საქონლის ღირებულებიდან გამომდინარე. დასკვნა: რამდენადაც პროლეტარიატს არ შეუძლია მუდმივად შეეგუოს ექსპლუატაციას, კაპიტალიზმი დაღუპვისათვის არის განწირული.

პროლეტარული რევოლუცია – კაპიტალიზმი დაღუპვისთვის არის განწირული და, როგორც მარქსი ამბობდა, პროლეტარიატის სახით მას საკუთარი "მესაფლავე" გააჩნია. მაგრამ კაპიტალიზმს ჯერ კიდევ მოუწევს უამრავი კრიზისისა და წინააღმდეგობის გადალახვა გარდაქმნის გზაზე. ამ დროს პროლეტარიატს უჩნდება საკუთარი რევოლუციური კლასობრივი აზროვნება. ჩნდება უამრავი მიზეზი პროლეტარული რევოლუციისათვის, რომელიც მარქსის ვარაუდით სტიქიურ ქმედებებში გამოვლინდება. მაგრამ თავის გვიანდელ წლებში იგი არ გამორიცხავდა სოციალიზმში მშვიდობიანი გზით გადასვლის შესაძლებლობას.

კომუნიზმი – მარქსის მიხედვით, პროლეტარული რევოლუციის შემდეგ უნდა დადგეს განსაკუთრებული, "სოციალისტური პერიოდი", როდესაც ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ჩასახშობად საჭირო გახდება "პროლეტარიატის დიქტატურა". კლასობრივი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ დაიწყება ჭეშმარიტი კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი, რომლის მიმდინარეობის დროსაც სახელმწიფო ინტენსიურად დაიწყებს "კვდომას". დადგება არაკლასობრივი კომუნისტური საზოგადოების ეპოქა. ყველანაირი მატერიალური სიმდიდრე საზოგადოებრივ საკუთრებაში გადავა, ხოლო საქონლის წარმოების სანაცვლოდ დაიწყება ადამიანისთვის რეალურად საჭირო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამის შემდეგ ხალხი თვითონ გახდება საკუთარი ბედის გამგებელი და მიეცემათ საშუალება თავისუფლად განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები: "თითოეული ადამიანის თავისუფალი განვითარება, ყველასათვის თავისუფალი განვითარების პირობა გახდება".

პრაქტიკაში მარქსიზმი მჭიდროდ აღმოჩნდა დაკავშირებული საბჭოთა კომუნიზმის პერიოდთან და, პირველ რიგში, ორი საბჭოთა ლიდერის – ვ.ი. ლენინისა და ი. სტალინის მოღვაწეობასთან. XX ს-ის იდეოლოგია მარქსიზმ-ლენინიზმად იწოდება და ორთოდოქსალურ მარქსიზმს წარმოადგენს იმ ელემენტების ცვლილებებით, რომელიც მასში ლენინმა შეიტანა. ძირითადი წვლილი,რომელიც მარქსიზმში

ლენინმა შეიტანა იყო რევოლუციური თეორია. ლენინი იქიდან გამომდინარეობდა, რომ მუდმივად ბურჟუაზიული იდეებისა და ბურჟუაზიული ცრურწმენების ქვეშ მყოფ პროლეტარიატს არ შეეძლო გაეთვითცნობიერებინა თავისი რევოლუციური შესაძლებლობები და არ შესწევდა უნარი ელემენტარული "ტრედიუნიონის" სიტუაციიდან გამოსულიყო, რათა გაეუმჯობესებინა საკუთარი შრომისა და ცხოვრების პირობები. ამიტომ "მუშათა კლასის ავანგარდად" საჭირო იყო რევოლუციური პარტიის არსებობა, რომელიც მეცნიერული მარქსიზმით იქნებოდა აღჭურვილი. ეს უნდა ყოფილიყო ახალი ტიპის პარტია,არა მასობრივი ორგანიზაცია, არამედ მცირე, შინაგანად შეკრული პროფესიონალი რევოლუციონერების გუნდი. ასეთი, "მუშათა კლასის ავანგარდული პარტიის" მეშვეობით მოვიდნენ 1917 წელს ბოლშევიკები ხელისუფლების სათავეში. თუმცა, ძალიან მალე "პროლეტარიატის დიქტატურა" "კომუნისტური პარტიის დიქტატურად" ამოტრიალდა, რომელიც საბჭოთა ერთპარტიული სახელმწიფოს "მამოძრავებელ ძალად" იქცა. 1930-იანი წლების სტალინის "მეორე რევოლუციამ" ქვეყანა უფრო ძლიერად გადააბრიალა, ვიდრე 1917 წლის რევოლუციამ. საბჭოთა სახელმწიფოს ძირფესვიანად შეცვლის შემდეგ სტალინმა შექმნა ორთოდოქსალური კომუნიზმის სისტემა, რომელიც 1945 წლის შემდეგ დაინერგა აღმოსავლეთ ევროპაში, ჩინეთში, ჩრდ. კორეასა და კუბაში. ეკონომიკის პირველი ხუთწლედი დაიწყო 1928 წ. და ეკონომიკაში კერძო სექტორის სწრაფი აღმოფხვრით დამთავრდა. ამას 1929 წ. სოფლის მეურნეობის სრული კოლექტივიზაცია მოჰყვა. მთელი ეკონომიკა სახელმწიფო კონტროლის ქვეშ გადავიდა და სახელმწიფო დაგეგმარების სისტემას დაექვემდებარა.

ასეთივე ღრმა იყო ქვეყანაში პოლიტიკური ცვლილებები. 1930—ანი წლების განმავლობაში სტალინმა სსრკ-ში დიქტატურა დაამყარა. პარტიაში აღმოფხვრა სიტყვის თავისუფლება, სახელმწიფო მოხელეები და სამხედრო მოსამსახურეები ოპოზიციისაგან გაწმინდა. სსრკ გახდა ტოტალიტარული სახელმწიფო. რეპრესიები და ტერორი ცხოვრების ნორმად იქცა. გორბაჩოვისეული გარდაქმნა (1985-1991) ცდილობდა თავი დაეხსნა დრომოჭმული ცენტრალიზებული დაგეგმარების სისტემისაგან. ზედაპირზე ამოხეთქა ძალამ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ღრმად იყო ჩამალული და რომელმაც გაამგზავრა კომუნიზმი ლ. ტროცკის თქმით "ისტორიის სანაგვე ყუთზე".

მარქსიზმის ბევრად რთულმა და "რაფინირებულმა" ფორმამ თანამედროვე მარქსიზმის სახით, გავრცელება პოვა დასავლეთ ევროპაში. თანამედროვე მარქსისტებმა თავი დააღწიეს ფორმულას – "ბაზისი – ზედნაშენი" და უარი თქვეს კლასობრივი ბრძოლის შეხედულებებზე, როგორც სოციალური ანალიზის ალფასა და ომეგაზე. მათ იდეებს ხანდახან ნეომარქსიზმის კვალიფიკაციას ანიჭებენ. პირველები, ვინც მარქსიზმი ჰუმანისტურ ფილოსოფიად წარმოადგინეს,იყვნენ უნგრელი მარქსისტი გეორგ ლუკასი (1885-1971) და იტალიელი ანტონიო გრამში, რომელიც 1929-35 წლებში თავის "ციხის რვეულებში" წერდა, რომ კაპიტალიზმი ემყარება არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ და კულტურულ ფაქტორებსაც. გრამშმა ამას "იდეოლოგიური ჰეგემონია" უწოდა.

მრქსიზმის უფრო აშკარად ჰეგელიანური მიმართულება განავითარა ფრანქფურტის სოციოლოგიურმა სკოლამ, რომლის წამყვანი ლიდერები იყვნენ: თეოდორ ადორნო (1903-1969), მარქს ჰორკჰაიმერი (1895-1973) და ჰერბერტ მარკუზე. ფრანქფურტელმა თეორეტიკოსებმა განავითარეს "კრიტიკული თეორია", რომელიც ჰეგელის ფილოსოფიის, მარქსისტული ეკონომიკისა და ფროიდის ფსიქოლოგიის შეხამებას წარმოადგენდა და რამაც დიდი გავლენა იქონია 1960-იანი წლების "ახალ მემარჯვენეებზე".

სოციალ-დემოკრატია და მესამე გზა

სოციალ-დემოკრატიას არ ახასიათებს ის თეორიული მთლიანობა და თანმიმდევრობა,რაც ახასიათებს კლასიკურ ლიბერალიზმს ან რადიკალურ სოციალიზმს. იმ დროს, როდესაც ლიბერალიზმი იდეოლოგიურად ბაზრის, ხოლო სოციალიზმი საზოგადოებრივი საკუთრების მომხრეა, სოციალ-დემოკრატია მუდმივად ეძებს წონასწორობას ბაზარსა და სახელმწიფოს, საზოგადოებასა და ინდივიდს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალ-დემოკრატებისათვის ბაზრის აღიარება მეტად მტკივნეული აღმოჩნდა, მაგრამ ისინი ამ მოსაზრებას ხსნიდნენ არა იდეოლოგიური, არამედ პრაგმატული თვალსაზრისით ელექტორატის მოთხოვნილებების საფუძველზე. მაგ. შეიძლება მოვიყვანოთ რეფორმისტული აქტი, როდესაც XX ს.-ის დასაწყისში, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო ედუარდ ბერნშტეინის რევიზიონიზმი. მოგვიანებით, მაგდეგბურგის ყრილობაზე, 1959 წელს გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ საბოლოოდ თქვა უარი მარქსიზმზე და შეიარაღდა პრინციპით: "კონკურენცია სადაც საჭიროა, – დაგეგმარება სადაც აუცილებელია".

სოციალ-დემოკრატების თვისება იყო ზრუნვა ყველაზე სუსტი, განდგომილი ფენის მიმართ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი იბადება კითხვა: რამდენად შეიძლება მივაკუთვნოთ ისინი სუფთა სოციალისტურ ტრადიციებს. ეს იდეები სათავეს ღებულობს ფართო საინფორმაციო წყაროებიდან: თანაგრძნობის ჰუმანური ეთიკიდან, სამყარო-

სათვის ინდივიდის მიკუთვნების სოციალისტური იდეებისაგან, თანაბარი შესაძლებლობებისა და პოზიტიური თავისუფლების ლიბერალური ფილოსოფიისაგან და, ბოლოს, კონსერვატიზმისათვის დამახასიათებელი პატერნალისტური წესების დადგენით. მაგრამ როგორი ზეგავლენაც არ უნდა მოეხდინა მათზე სოციალ-დემოკრატიას ყველაფერი ყოველთვის მთავრდებოდა ლოზუნგით "სახელმწიფოს კეთილდღეობა", საზოგადოებრივი საშუალებების გადანაწილება დაბალი ფენებისა და სოციალური სამართლიანობის სასარგებლოდ. ყველაფერი ეს შესაძლოა კარგი იყო კეინზიანური ბატონობის ეპოქაში, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ყველა დარწმუნდა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკაში ფართოდ ჩარევის შემთხვევაში შეიძლება კაპიტალიზმის "ჰუმანიზირება", სრული დასაქმება და ბოლოს და ბოლოს ზღვარის შენარჩუნება მდიდრებსა და ღარიბებს შორის. სიღარიბის შემცირებასთან ერთად ინდუსტრიულ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის მკვეთრმა ვარდნამ სოციალ-დემოკრატია დააყენა აუცილებლობის წინაშე გადაეხედათ თავიანთი პოზიციებისათვის.

"მესამე გზა" ზუსტი ტერმინია და ბევრი ინტერპრეტაცია გააჩნია. ეს იმით აიხსნება, რომ ეს მოძრაობა თავიდანვე ეყრდნობოდა სხვადასხვა იდეოლოგიურ ტრადიციებს. ესენია: უახლესი ლიბერალიზმი, "ერთიანი ნაციის" კონსერვატიული პრინციპი და თანამედროვე სოციალ-დემოკრატია. "მესამე გზის" კონცეფცია სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიერ იყო წამოწეული. აშშ-ში "ახალი დემოკრატებისა" და ბილ ქლინთონის მიერ, ბრიტანეთში "ახალი დემოკრატებისა" და ტონი ბლერის მიერ. აგრეთვე სხვადასხვა თეორეტიკოსების მიერ გერმანიაში, ჰოლანდიაში, იტალიასა და ახალ ზელანდიაში. განსხვავებების მიუხედავად ჩამოყალიბებულ იდეოლოგიაში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე საერთო თემა. პირველი, ყველა სისტემამ, რომელიც აგებულია პრინციპით "ზემოდან – ქვემოთ" და რომლებიც ოდნავ მაინც ემხრობა სახელმწიფოს ჩარევას, განსაკუთრებით კი სოციალისტურმა სისტემებმა, სრულიად ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობები. მეორე, გლობალიზაციის კვალდაკვალ კაპიტალიზმი განიცდის ტრანსფორმირებას "ცოდნის ეკონომიკაში", რომელიც ემყარება ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, ინდივიდუალური მომზადების წახალისებასა და სამუშაო ძალის მობილურობას. ნეოლიბერალიზმის საპირისპიროდ "მესამე გზის" იდეოლოგია სახელმწიფოს ცნობს სიცოცხლისათვის აუცილებელ როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ ძალად, იმ განმარტებით, რომ სახელმწიფოს მოვალეობაა ხელი შეუწყოს ნაციონალური ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას განათლებისა და პროფესიული მომზადების გზით, ასევე შეაკავოს გლობალური საბაზრო სტი-

ქიურობა ადგილობრივი კავშირებისა და მთლიანად სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მეშვეობით. ამ კუთხით "მესამე გზის" პოლიტიკა წარმოჩინდება როგორც ლიბერალური კომუნიტარიზმის სახესხვაობა, რომელიც "ახალი ინდივიდუალიზმის" დეკლარირებისას, საჭიროებს ბალანსს, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებებსა და მეწარმეობას შორის, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ ვალდებულებებისა და მორალური პასუხისმგებლობას შორის. და ბოლოს, კიდევ ერთი თვისება "მესამე გზის" იდეოლოგიისა, რომელიც უარყოფს ყველანაირ ევალიტარიზმს, თანაბარი შესაძლებლობების პრინციპის დეკლარირებასა და მერიტოკრაციას – ამ ორიენტაციის პოლიტიკური მოღვაწეები რეფორმების აუცილებლობას ხედავენ არა იმისთვის, რომ მუდმივად, "აკვნიდან სამარემდე" უზრუნველყონ ხალხი, არამედ „ხელი შეუწყონ ადამიანს, რათა ადამიანი თვითონ დაეხმაროს თავს", იქნება ეს შეღავათები თუ სტიპენდია განათლებისთვის; უზრუნველყოს ის კატეგორია, რომლებიც თვითონ არიან დაინტერესებულნი საქმიანობით და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვთ. ამ იდეოლოგიას კრიტიკოსებიც გამოუჩნდა, მიუთითებდნენ რა, რომ ასეთი მიდგომა საკმაოდ წინააღმდეგობრივია და მათი გადაჭრა პრაქტიკულად რთული და შეუძლებელიც კია.

სხვა იდეოლოგიური ტრადიციები
ფაშიზმი

ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და სოციალიზმი სათავის XIX ს-ში იღებს, ხოლო ფაშიზმი XX ს-ის პირმშოა. შეიძლება ითქვას, იგი ორ მსოფლიო ომს შორს პერიოდში ჩამოყალიბდა. ფაშისტური იდეოლოგიის ზოგიერთი ელემენტი XIX ს-ის ბოლოს გამოვლინდა, მაგრამ საბოლოო სახე ამ იდებს პირველმა მსოფლიო ომმა და მისმა შედეგებმა, კერძოდ, პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის ნაზავმა მისცა. ამ მოძრაობის ორი ძირითადი პირმშოა: მუსოლინის ფაშისტური დიქტატურა იტალიაში 1922-43 წ.წ. და ჰიტლერის ნაცისტური დიქტატურა გერმანიაში 1933-45 წ.წ. ცალკეული ნეოფაშისტური და ნეონაცისტური რეციდივები შეიმჩნეოდა XX ს-ის ბოლოს, რომელიც ეკონომიკურმა კრიზისმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ გამოიწვია.

თავის დროზე, გარკვეული აზრით, ფაშიზმი ჩამოყალიბდა როგორც პროტესტი იმ ფასეულობათა და იდეათა საწინააღმდეგოდ, რომელიც დამონირდება საფრანგეთის რევოლუციის დროიდან. რაციონალიზმი, პროგრესი, თავისუფლება, თანასწორობა – ყველაფერი ეს

უარყოფილი იყო ჰეგემონიის, ბელადიზმის, ძალაუფლებისა და ომის სახელით. ამიტომ ფაშიზმში მკვეთრად ფიგურირებს ძლიერი "ანტი", ძირითადად იქ, რაც მისთვის მიუღებელია. ფაშიზმი ანტიკომუნიზმის, ანტიკაპიტალიზმის, ანტილიბერალიზმის, ანტიინდივიდუალიზმის და ა.შ. სახესხვაობაა. მიუხედავად ამისა, შეიძლება გამოვყოთ ცენტრალური თემა – ერთიანი ნაციის ორგანული სურათი. ინდივიდი ამ შემთხვევაში არაფერს არ ნიშნავს, ის აუცილებლად უნდა შეერწყას კოლექტივს, ჯგუფს ან კავშირებს. ფაშისტური იდეალია – "ახალი ადამიანი". ეს არის პასუხისმგებლობის, მოვალეობის, ღირსების გრძნობით აღსავსე გმირი, რომელიც მზად არის ფიურერის ერთი სიტყვის გამო სიცოცხლე გაწიროს ერისა და ნაციის დიდებისათვის. თუმცა, მოძარობის შიგნით იყო განსხვავებებიც. იტალიური ფაშიზმი მიისწრაფოდა ეტატიზმის უკიდურესი ფორმისაკენ. როგორც ფაშიზმის ფილოსოფოსმა ჯენტილემ (1875-1944) აღნიშნა: "ყველაფერი სახელმწიფოსთვის, არაფერი სახელმწიფოს წინააღმდეგ. არაფერი სახელმწიფოს გარეთ". გერმანიის ნაციონალ-სოციალიზმი კი ეჟრდნობოდა რასიზმ-სემიტიზმს, ებრაელობა გამოცხადებული იყო ბოროტებად და აღმოფხვრას ექვემდებარებოდა.

ანარქიზმი

პოლიტიკურ იდეოლოგიებს შორის ანარქია უნიკალურია – არც ერთ ანარქიულ პარტიას არსად და არასდროს არ მიუღწევია ძალაუფლებისათვის. მიუხედავად ამისა, ანარქიზმი საკმაოდ გავლენიანი მოძრაობა იყო. ესპანეთში, საფრანგეთში, რუსეთსა და მექსიკაში XX ს-ის დასაწყისამდე, ანარქიას, როგორც იდეოლოგიას დღესაც თავისი ადგილი უკავია პოლიტიკურ დისკუსიებში; როგორც ანტითეზას იმ ტრადიციული მრწამსის მიმართ, რომ საზოგადოება არ არსებობს კანონის, ხელისუფლებისა და სახელმწიფოს გარეშე. ანარქიზმის მთავარი იდეაა პოლიტიკური ძალების მიუღებლობა ყველა მის გამოვლინებაში, განსაკუთრებით, სახელმწიფოს სახით. ანარქისტები მხარს უჭერენ საზოგადოებას სახელმწიფოს გარეშე, სადაც ხალხი თვითონ მოაგვარებს ყველა პრობლემას, თავისუფლად შეთანხმდებიან და ითანამშრომლებენ ერთმანეთთან. საინტერესოა, რომ ეს იდეოლოგია თავის დროზე ვითარდებოდა ორი მოწინააღმდეგე ტრადიციის – ლიბერალური ინდივიდუალიზმისა და სოციალისტური კომუნიტარიზმის ზეგავლენით. ამიტომ ანარქიზმი წარმოადგენს რაღაც საშუალოს ლიბერალიზმსა და სოციალიზმს შორის – "ულტრალიბერალიზმისა" და "ულტრასოციალიზმის" ერთიანობას.

ფემინიზმი

მიუხედავად იმისა, რომ ფემინიზმზე საუბრები ჯერ კიდევ ძველ ჩინეთში შეიძლება აღმოვაჩინოთ, ამ სფეროში არანაირი თეორიები არ არსებობდა სანამ 1792 წ. არ გამოჩნდა მერი ვოლსტოუნკრაფტის წიგნი "ქალთა უფლებების დაცვა". უფრო ფართო აუდიტორია ფემინიზმმა მოიზიდა 1840-50-იან წლებში, როდესაც დასავლეთის ქვეყნებში დაიწყო სუფრაკისტების მოძრაობა, რომელთა მიზანი იყო ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მინიჭება. ეს იყო ე.წ. "ფემინიზმის პირველი ტალღა". მას შემდეგ, რაც XX ს-ის დასაწყისში დასავლეთის უმეტეს ქვეყნებში ქალებს როგორც იქნა მიანიჭეს ამომრჩევლის უფლებები, მოძრაობა გარკვეული დროის განმავლობაში ნათელი მიზნისა და ძირითადი პრინციპის გარეშე დარჩა. 1960-იან წლებში აგორდა ფემინიზმის "მეორე ტალღა". მასში აისახა ქალთა პოლიტიკური ემანსიპაციის რადიკალური და იმ დროისათვის უფრო რევოლუციური მოთხოვნები. დღეს ჩვენ ვხვდებით უამრავ ფემინისტურ თეორიებსა და იდეებს. მათში შეიძლება გამოვყოთ მათი გამაერთიანებელი სურვილი – გააძლიეროს ქალის როლი საზოგადოებაში. ფემინიზმს წითელ ზოლად გასდევს იდეა იმის შესახებ, რომ საზოგადოებას ახასიათებს სქესთა შორის პრინციპული უთანასწორობა,რომ გაბატონებული სისტემა კაცისა ქალზე აუცილებლად უნდა იქნეს გადალახული.

გამოყოფენ სამ განსხვავებულ ფემინისტური ტრადიციას: ლიბერალური ორიენტაციის ფემინიზმი, რომელიც წარმოდგენილია ისეთი სახელებით, როგორებიც არიან მერი ვოლსტოუნკრაფტი და ბეტი ფრიდენი. ისინი პრობლემას განიხილავდნენ იმ კუთხით, რომ საზოგადოება ქალს იმაზე ბევრად ნაკლებ უფლებებსა და საშუალებებს ანიჭებდა, ვიდრე მამაკაცს. თანაბარი უფლებებისათვის ბრძოლამ რეფორმისტული ხასიათი მიიღო. საუბარია "სახალხო სფეროს" მთლიან რეფორმაზე, რათა ამაღლდეს ქალის პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსი, მიეცეს მას განათლების მიღებისა და კარიერის გაკეთების შესაძლებლობა. ფემინიზმის სოციალისტური საუბრების ძირითადი თემა იყო ქალის როლი კაპიტალისტური წარმოების სისტემის ჩაორჩოებში. ისინი მიუთითებდნენ, რომ ქალი ოჯახის საქმიანობას არის მიჯაჭვული, რითაც იგი ათავისუფლებს მამაკაცს საოჯახო მეურნეობის უღლისაგან. ამასთან ერთად, ქალები ზრდიან მუშახელის მომავალ თაობას კაპიტალისტური ფაბრიკებისათვის, რომელიც თავისი არსით შრომის სარეზერვო არმიაა.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი "ფემინიზმის მეორე ტალღაში" ფემინისტური კრიტიკის აღმოცენებაა, რომელიც არანაირად არ

არის დაკავშირებული ჩვეულებრივ იდეოლოგიასთან. რადიკალური ფემინიზმის მოძღვრება დარწმუნებულია, რომ სქესობრივი სხვაობა ბევრად უფრო ღრმაა და პოლიტიკური მნიშვნელობით საზოგადოების წყალგამყოფი. მთელი საზოგადოება – ახალი და ძველი – ამ ხედვით პატრიარქალურია. ქეით მილეტის (1969) თქმით: ეს სისტემა "სამყაროს ერთ ნაწილს – კაცებს საშუალებას აძლებს აკონტროლონ მეორე ნაწილი – ქალები". რადიკალური ფემინიზმი სექსუალური რევოლუციის აუცილებლობის მომხრეა, რომელიც ყველაფერთან ერთად შეცვლის არა მარტო პოლიტიკურ, არამედ პირადულ, ოჯახურ ცხოვრებას. მისი დამახასიათებელი ლოზუნგია – "პირადული არის პოლიტიკური". მართალია, საქმე არ დადის იქამდე, რომ მამაკაცში "მტერი დაინახო". მხოლოდ მის უკიდურეს ფორმებში რადიკალური ფემინიზმის მოუწოდებს ქალებს დაშორდნენ მამაკაცთა საზოგადოებას.

იდეოლოგიის მომავალი

XX ს. დასასრულს ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ იდეოლოგიები გამოიფიტნენ ან უკიდურეს შემთხვევაში დაკარგეს თავიანთი პირველადი მნიშვნელობა. 1950-იან წლებში დაიწყო, მას შემდეგ, რაც II მსოფლიო ომში ფაშიზმი დამნარცხდა და დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში დაიწყო კომუნისტური კრიზისი. დაიწყო დისკუსიები "იდეოლოგიის დასასრულის" შესახებ. დენიელ ბელმა თავის ნაშრომში – "იდეოლოგიის დასასრული? პოლიტიკური იდეების გამოფიტვა 1950-იან წლებში" – განაცხადა, რომ კაცობრიობამ აბსოლუტურად ამოწურა პოლიტიკური იდეების მარაგი. ბელის მიხედვით, ეკონომიკამ პოლიტიკაზე გაიმარჯვა. მაგრამ დღეისთვის ირკვევა, რომ მომენტი, რომელზეც ბელი წერდა, სინამდვილეში იყო არა იდეოლოგიის დასასრული, არამედ იდეოლოგიური კონსენსუსის ფართო გამოვლინება წამყვან პოლიტიკურ პარტიებს შორის. ამან გამოიწვია პოლიტიკური დებატების დროებით შეწყვეტა, მიზეზი გახდა "კაპიტალიზმის საყოველთაო კეთილდღეობის" კეინზისეული მსჯელობების წარმატება. დისკუსია განაახლა ფრესის ფუკუიამამ თავის ნაშრომში "ისტორიის დასასრული". ფუკუიამა არ ამტკიცებდა იმას, რომ პოლიტიკურმა იდეოლოგიამ სრულიად დაკარგა მნიშვნელობა. იგი ამტკიცებდა,რომ ლიბერალურმა დემოკრატიამ აჯობა ყველა მოწინააღმდეგეს და ეს გამარჯვება საბოლოოა. ესსე აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის კრახის ფონზე იწერებოდა ამ მოვლენებში, ფუკუიამამ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის დასასრული შენიშნა. მაგრამ ეს პრობლემის ერთდაერთი ხედვა არ არის. მაგ. ენტონი გიდესი (1994) ამტკიცებს, რომ გლობალიზაციის ეპოქაში ტრადიციების დაცემისა და სოციალური რეფლექსურობის გაძლიერებისას ყველა იდეოლოგია ზედმეტია. კიდევ ერთ მიდგომას გვთავაზობს პოსტმოდერნიზმი, ამტკიცებს რა, რომ ყველა იდეოლოგია თავისი არსით არის მოდერნიზაციის პროდუქტი, რომელიც დღეს დასრულდა. აქვე უნდა გავიაზროთ, რომ იდეოლოგიის, ისტორიის ანდა მოდერნიზაციის ერის დასასრულის მტკიცება, თავისთავად იდეოლოგიზირებულია. მათ არ შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ მოვიდა იდეოლოგიის დასასრული. ამის მაგივრად ისინი ამტკიცებენ, რომ დისკუსია იდეოლოგიაზე ბუნებრივი და რეალურია, ხოლო იდეოლოგიური აზრის მოძრაობა უსასრულო პროცესია.

დასკვნები

იდეილოგია პოლიტიკურ თეორიას პოლიტიკურ პრაქტიკასთან აკავშირებს. იგი წინააღმდეგობრივი პოლიტიკური ტერმინია, რომელიც გარკვეული პოლიტიკური ფილოსოფიური კატეგორიაცაა. იდეოლოგია არის მსოფლმხედველობრივი ღირებულებების ერთგვარი კრებული, თუმცა მეორე მხრივ პოლიტიკური მოძრაობის ფორმასაც იძენს პოლიტიკური ლიდერების, პარტიებისა და ჯგუფების ქმედებებში ვლინდება.

იდეოლიგიების სისტემურ ხასიათს ატარებენ, მათ საკუთარი პრინციპები და იდეები აქვთ. თუმცა მათი სისტემურობა და ურთიერთკავშირი მხოლოდ ფარდობითია, რადგან ყოველი იდეოლოგია საკუთარ თავში დაპირისპირებულ ტრადიციებსა და წინააღმდეგობებსაც მოიცავს.

იდეოლოგიათა მნიშვნელობა დროის მიხედვით იცვლება, ანუ იმის შესაბამისად თუ რამდენად მიესადაგება იგი არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებას.

იდეოლოგიურ დასასრულდე დღესაც არ წყდება კამათი. XX საუკუნეში ფაშიზმისა და კომუნიზმის დაამარცხებამ ხელი შეუწყო მოსაზრების დამკვიდრებას, რომ იდეოლოგიურმა დაპირისპირებამ ადგილი უნდა დაუთმოს ეკონომიკური თანამშრომლობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპს. თუმცა მალე გამოჩნდა ფრენსის ფუკუიამას „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი", რომელის ლიბერალური დემოკრატიის პლანეტის მასშტაბით გამარჯვებას გვაუწყებდა. პოსტმოდერნიზმი კი ყოველგვარი იდეოლოგიისადმი ყავლგასულობაზე საუბრობს. ასე რომ, კვლავაც დრო გვიჩვენებს ამ შეხედულებათა ავკარგიანობას.

თავი IV
დემოკრატია

დემოკრატიის განსაზღვრება და მოდელები

„დემოკრატიის“ გაგება ჩვენთან ძველი საბერძნეთიდან მოვიდა, იმ სიტყვების მსგავსად, რომლებიც „კრატია“-ზე მთავრდება (ავტოკრატია, არისტოკრატია, ბიუროკრატია). ტერმინი „დემოკრატია“ დაფუძნებულია ბერძნულ სიტყვაზე „კრატია“, რაც მმართველობას, ხელისუფლებას ნიშნავს. „დემოკრატია“ კი, შესაბამისად, – „დემოსის ძალაუფლებას“ (დემოსი ნიშნავს „ხალხს“, თუმცა ბერძნები თავდაპირველად ასე უწოდებდნენ „სიღარიბეს“ ან „მასას“). ეს ცნება „ხალხის მმართველობა“ დღეს ცოტა რამეს თუ გვეუბნება. საქმე იმაშია, რომ დემოკრატიის პრობლემა თვითონ ამ ტერმინის გავრცელებადობა გახდა, რომელიც ხანდახან უშლის კიდევაც ხელს დემოკრატიის როგორც სერიოზული პოლიტიკური კონცეფციის გაგებას. რამდენადაც დემოკრატია დღეს-დღეისობით „კარგ რამედ“ ითვლება, ის უკვე მჭიდროდ დამკვიდრდა ისეთ სიტყვათა ლექსიკონში,რომელიც მნიშვნელოვნად უდრის ხმამაღალ „ვაშას“ განსაზღვრული იდეების კომპლექსის ან ძალაუფლების კონცეფციის მოსამართით. როგორც ბერნარდ კრიკი (1993 წ) აღნიშნავდა: „დემოკრატია საზოგადოებრივი პოლიტიკის ლექსიკონში შესაძლოა ერთ-ერთი ყველაზე არასანდო სიტყვა იყოს“.

პრობლემის ანალიზი ყველაზე უკეთ შეიძლება დავიწყოთ აბრაამ ლინკოლნის მოხსენებით,რომელიც 1864 წელს გეტისბერგში ამერიკის სამოქალაქო ომის დროს წარმოთქვა. იგი საუბრობდა დემოკრატიაზე, როგორც „ხალხის მმართველობაზე ხალხიდან და ხალხისათვის“.

ამ სიტყვებიდან ნათელია, რომ დემოკრატია აკავშირებს მთავრობას ხალხთან, მაგრამ თვითონ ეს კავშირი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით: საკუთრივ როგორც **ხალხის** ძალაუფლება; როგორც ძალაუფლება მათი, **ვინც გამოვიდა ხალხიდან** და როგორც მმართველობა **ხალხის ინტერესებისათვის.**

ის, თუ როგორ გავიგოთ ეს კომპონენტები, ყოველთვის იყო ყველაზე ცხელი პოლიტიკური და იდეოლოგიური დისკუსიების საგანი. საქმის არსი თავს იყრის შემდეგ 3 კითხვასთან:

- რა არის ხალხი?
- სახელდობრ როგორი აზრია ჩადებული ხალხის მმართველობაში?
- რამდენად შორს შეუძლია და უნდა გავრცელდეს ხალხის ძალაუფლება?

დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია პოლიტიკური თანაბრობის პრინციპი,იდეა იმაზე,რომ პოლიტიკური ძალაუფლება რაც შეიძლება ფართოდ და თანაბრად გადანაწილდეს. მაგრამ საკითხი იმაში მდგომარეობს, როგორ სოციალურ დონეზე და როგორ სოციალურ ჩარჩოში უნდა გავრცელდეს იგი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვინ შედის ცნება „ხალხი“-ს შემადგენლობაში? ერთი შეხედვით პასუხი ნათელია: „დემოს“-ში ან „ხალხში“ უნდა ვიგულისხმოთ ყველა ადამიანი ანუ ქვეყნის ყველა მაცხოვრებელი, თუმცა პრაქტიკულად ყველა დემოკრატიული სისტემა ზღუდავდა პოლიტიკურ მონაწილეობას და ამავე დროს ძალიან მკაცრად.

ძველი ბერძენი ავტორები დემოსში მოიაზრებდნენ, უმრავლესობას – ღარიბებს, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ საკუთრებას. ამიტომ აქ სიტყვა „დემოკრატია“ გამოხატავდა არა პოლიტიკური თანაბრობის იდეას, არამედ პოლიტიკური ბალანსის დარღვევას ღარიბების სასარგებლოდ. ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში პოლიტიკური მონაწილეობა შემოიფარგლებოდა მოსახლეობის მცირე ნაწილით – 20 წელს გადაცილებული მამაკაცებით. გამოირიცხებოდნენ ქალები, მონები და უცხოელები. დასავლეთის ქვეყნების უმეტესობაში შემდგომშიც არსებობდა ამომრჩეველთა უფლებების მკაცრი შეზღუდვა, განსაკუთრებით ქონებრივი ცენზით ან ქალთა დისკრიმინაციით. დიდ ბრიტანეთში ამომრჩეველთა უფლება საყოველთაო მხოლოდ 1928 წლიდან გახდა, როცა ამომრჩევლის ყუთთან ქალები დაუშვეს. აშშ-ში ამას მიაღწიეს 1960 წ-დან; მაშინ ბევრ სამხრეთ შტატში აფროამერიკელები პირველად დაუშვეს არჩევნებზე. შვეიცარიაში ქალებმა არჩევნების უფლება მიიღეს 1971 წლიდან.

რამდენადაც ყველა საზოგადოებაში არსებობს შინაგანი უთანხმოება, პრაქტიკაში დამკვიდრდა ხალხის სხვაგვარი დეფინიცია, როგორც საზოგადოების უმრავლესობისა. ხალხი შეიძლება გავიგოთ ასევე, როგორც თავისუფალი და თანასწორი ინდივიდების ერთობლიობა, რომელთაგან თითოეულ მათგანს აქვს უფლება მიიღოს საკუთარი გადაწყვეტილება. შეხედულების ეს ბოლო თვალსაზრისი არა მარტო აშკარად ეწინააღმდეგება **მაჟორიტარიზმის** ნებისმიერ ფორმას, არამედ გულისხმობს, რომ საბოლოო ჯამში ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება საყოველთაოდ აუცილებელია დემოსისთვის, რაც რადიკალურად ზღუდავს დემოკრატიული პრინციპების გამოყენებას.

დემოკრატიის უმთავრესი კონცეფციები დაფუძნებულია პრინციპზე: „მთავრობა ხალხისაგან“. ის ნიშნავს, რომ ხალხი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობით არსებითად მართავს თავის თავს და საკუთარ და საზოგადოების ბედს განსაზღვრავს.

მაგრამ ამ მონაწილეობას აქვს სხვადასხვა ფორმები. თუ ჩვენ ვსაუბრობთ პირდაპირ დემოკრატიაზე, მაშინ ხალხის მონაწილეობაში იგულისხმება უშუალო და განუწყვეტელი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში რეფერენდუმის მეშვეობით, მასობრივი შეკრებებით. დემოკრატიული მონაწილეობის ალტერნატიული და უფრო ჩვეულებრივი ფორმა არის პოლიტიკური არჩევნები. აქ ჩნდება ე.წ. წარმომადგენლობითი დემოკრატიის დამახასიათებელი თვისება, როცა მოქალაქეები ირჩევენ მათ, ვინც მიიღებს გადაწყვეტილებას მათი სახელით. ხმის მიცემის დემოკრატიული ხასიათი ერთის მხრივ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საზოგადოებამ „მოისროლოს ნაძირალები“ და ამგვარად უზრუნველყოს პოლიტიკოსების ანგარიშგება საზოგადოებისადმი.

არსებობს დემოკრატიის ისეთი მოდელებიც, რომლებიც ეფუძნება პრინციპს: „მთავრობა ხალხისათვის“. აქ ხალხს უტოვებენ პირდაპირ ან ირიბად პოლიტიკური მონაწილეობის მცირე შესაძლებლობას. ყველაზე გროტესკული მაგალითია ე.წ. ტოტალიტარული დემოკრატიები, ფორმირებული ისეთი ფაშისტური დიქტატურის დროს, როგორიც იყო მუსოლინის და ჰიტლერის რეჟიმები. მათი სწრაფვა „დემოკრატიულობაზე“ ეფუძნებოდა იმ იდეას,რომ მხოლოდ ლიდერს შეეძლო ხალხის ნამდვილი ინტერესის გამოხატვა. ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ „ჭეშმარიტი დემოკრატია“ შეიძლება მხოლოდ აბსოლუტური დიქტატურის დროს. ამ დროს „ხალხის ხელისუფლება“ გამოიხატებოდა ყოვლისშემძლე ბელადისადმი თავმოხრის რიტუალში ყრილობების სახით, მარშებით, ე.წ. საზეიმო კონცერტებით, შოუებით, პიარ-აქციებით, დემონსტრაციებით და ა.შ. ზოგჯერ ამას წარმოადგენდნენ როგორც პლებიცისტურ დემოკრატიას, თუმცა ტოტალიტარულ დემოკრატიაში ყველა ჩვეულებრივი გაგება დემოკრატიულ მმართველობაზე თავდაყირა დგას, ისინი ახდენენ ერთი მნიშვნელოვანი მომენტის ილუსტრაციას, სახელდობრ, „მმართველობა უშუალოდ ხალხის მეშვეობით“ (საზოგადოების აქტიური პოლიტიკური მონაწილეობით) და „მმართველობა ხალხისათვის“ (მმართველობა ხალხის ინტერესებისათვის) შორის შეიძლება იყოს უშველებელი დისტანცია. ამიტომ წარმომადგენლობითი დემოკრატიის მომხრეები ყოველთვის მიისწრაფიან საზოგადოების მონაწილეობა პოლიტიკაში დაიყვანონ ხმის უბრალო მიცემაზე, იმის შიშით, რომ თვითონ საზოგადოებას შეუძლია არ ეყოს ჭკუა, გამოცდილება და განათლება, რათა თვითონ განახორციელოს მმართველობა.

როცა გავარკვიეთ რა არის ხალხი და როგორ უნდა მართავდეს იგი, აუცილებელია განვიხილოთ საკითხი: რამდენად ფართოდ უნდა ვრცელდებოდეს მისი მმართველობა? როგორია საზღვრები „დემოკრატიის სამყაროსი?“ როგორი საკითხები უნდა გადაწყვიტოს ხალხმა და როგორი – ცალკეულმა მოქალაქეებმა? ლიბერალურ ინდივიდუალიზმზე აშენებული დემოკრატიის მოდელები პოლიტიკის ვიწრო გაგებით ჩვეულებრივ გულისხმობს დემოკრატიული სფეროების შეზღუდვას პოლიტიკით. პოლიტიკით ამ პოზიციიდან დემოკრატიის მიზანია დაამკვიდროს რაღაც საერთო კანონების კრებული, რომლის ჩარჩოებშიც ინდივიდებს ექნებათ შესაძლებლობა მაქსიმალურად თავისუფლად განახორციელონ პირადი ინტერესები.

არსებობს სხვა სახის შეხედულება დემოკრატიაზე, მაგ: სოციალისტების და რადიკალ-დემოკრატების თეორიები რადიკალური დემოკრატიის შესახებ, რომლის მიხედვით ადამიანებს აქვთ საწყისი უფლება მიიღონ მონაწილეობა ნებისმიერი გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მათ ცხოვრებას ეხება. დემოკრატიაში აქ იგულისხმება კოლექტიური პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ყველაფერ ამას. საკუთრების განსაზოგადოება და მუშათა თვითმმართველობის შემოტანა გაიგება როგორც ეკონომიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის საშუალება.

ამრიგად, პოლიტიკური დემოკრატიის მაგივრად სოციალისტები მოუწოდებდნენ „საზოგადოებრივი დემოკრატიისაკენ“ ან „საწარმოო დემოკრატიისაკენ“.

ფემინიზმის წარმომადგენლებიც ასევე მოითხოვენ ოჯახური ცხოვრების დემოკრატიზაციას, რომელიც გაგებულია, როგორც საყოველთაო მონაწილეობის უფლება ოჯახური და პირადი ცხოვრებისას გადაწყვეტილების მიღებაში.

დემოკრატიის უკანასკნელი გაგება კონკრეტიზირდება დამატებითი ეპითეტით „ლიბერალური“. თუმცა სინამდვილეში არსებობს დემოკრატიის რამდენიმე კონკურენტული თეორია ან მოდელი, რომელთაგან თითოეული მათგანი გვთავაზობს სახალხო ხელისუფლების საკუთარ ვერსიას. ეს ცხადყოფს არამარტო დემოკრატიული ფორმებისა და მექანიზმების მრავალსახეობას,არამედ ლოგიკური საფუძვლების სხვადასხვაობას, რომელზედაც შესაძლოა დაფუძნდეს დემოკრატიული იდეები. ისეთ გავრცელებულ ტერმინზეც კი, როგორიცაა „ლიბერალური დემოკრატია“, სინამდვილეში არსებობს სრულიად სხვადასხვა და ურთიერთსაპირისპირო პოზიციები. საერთოდ, შეიძლება გამოიყოს დემოკრატიის 4 სხვადასხვა მოდელი:

- კლასიკური დემოკრატია
- პროტექციული დემოკრატია
- განვითარების დემოკრატია
- სახალხო დემოკრატია

კლასიკური დემოკრატია

დემოკრატიის კლასიკური მოდელი დაკავშირებულია პოლისთან (ძვ. ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო), ხელისუფლების იმ სისტემასთან, რომელმაც მიიღო განვითარება საბერძნეთის უდიდეს და ყველაზე ძლიერ ქალაქ-სახელმწიფოში – ათენში. პირდაპირი დემოკრატიის ფორმა, რომელიც არსებობდა ათენში ჩვ.წ.აღ.-მდე VI-V ს.ს., ხშირად გაიგება, როგორც პოლიტიკური მონაწილეობის ერთადერთი იდეალური სისტემა. ამ მოდელმა გავლენა მოახდინა უფრო გვიანდელ მოაზროვნეებზე, როგორიც იყო რუსო და მარქსი. ათენის დემოკრატია თავის თავში მოიცავდა პირდაპირი სახალხო ხელისუფლების სპეციფიკურ სახეს, რომელსაც თანამედროვე მსოფლიოში ძალიან შეზღუდულად გამოიყენება. დემოკრატია ათენში გაიგივებული იყო მმართველობასთან სახალხო კრების მეშვეობით. ყველა ძირითად გადაწყვეტილებას იღებდა კრება, რომელშიც ყველა მოქალაქე შედიოდა. იგი იკრიბებოდა არანაკლებ 40-ჯერ წელიწადში. თანამდებობები, როგოროც წესი, გათვლილი იყო ხანმოკლე დროზე. სახალხო კრების აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენდა დიდი საბჭო, რომელშიც შედიოდა 500 მოქალაქე, აგრეთვე არსებობდა 50 მოქალაქის კოლეგია, რომელიც წინადადებას აწვდიდა დიდ საბჭოს. კოლეგიის თავმჯდომარე ასრულებდა ამ მოვალეობას მხოლოდ ერთ დღეს და ამ მნიშვნელოვანი საპატიო ადგილის დაკავება შეეძლო მხოლოდ ერთხელ ცხოვრებაში. ერთადერთი გამონაკლისი დაიშვებოდა 10 სამხედრო სარდლისათვის.

ათენის დემოკრატიის მნიშვნელოვანი ნიშანი იყო მოქალაქეთა პოლიტიკური აქტივობის დონე. ისინი არა მარტო მონაწილეობდნენ რეგულარულ შეხვედრებში, არამედ უმრავლესობა მზად იყო დაეკავებინა ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუმცა ამ დემოკრატიას ჰყავდა თავისი კრიტიკოსებიც. მათ შორის განსაკუთრებით გავლენიანი იყო ფილოსოფოსი პლატონი. ის აკრიტიკებდა პოლიტიკური თანაბრობის პრინციპს. ნაშრომში „რესპუბლიკა“ პრობლემის გადაწყვეტას ის ხედავდა იმაში, რომ ძალაუფლება გადასცემოდათ მეფე-ფილოსოფოსებს. ათენის დემოკრატიის მთავარი ნაკლი იყო ის, რომ გადაწყვეტილების მიღებაში მოსახლეობის ზოგიერთი კატეგორია არ მონაწილეობდა. მონაწილეობის უფლება ჰქონდათ მხოლოდ ათენში დაბადებულ მამაკაცებს 20 წლის ზევით. მონებს (მოსახლეობის უმეტესობა), ქალებს და უცხოელებს არ ჰქონდათ არავითარი პოლიტიკური უფლება. გასაგებია, რომ ათენელებს ჰქონდათ შესაძლებლობა მიეძღვნათ მთელი დრო პოლიტიკისთვის იმის წყალობით, რომ მონათმფლობელობა ათავისუფლებდა მათ რამდენადმე დაძაბული მოვალეობებისაგან. ამ აზრით ათენური პოლისი თავის თავში მოიცავდა დემოკრატიული იდეალების სრულიად საპირისპირო მოდელს. მიუხედავად ამისა პოლიტიკურ ცხოვრებაში ხალხის პირდაპირი და განუწყვეტელი მონაწილეობის კლასიკურმა მოდელმა გამოყენება ჰპოვა უფრო მოგვიანებითაც. იგი დევს რეფერენდუმის საფუძველში, განსაკუთრებით კონსტიტუციურ საკითხებთან დაკავშირებით და ახალი დემოკრატიული გამოცდილების დანერგვის დრო. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ სახალხო თათბირი და ელექტრონული დემოკრატია.

პროტექტორალური დემოკრატია

აღორძინების პერიოდში XVII-XVIII ს.ს. დემოკრატიული იდეები ძლიერ განსხვავდებოდა ძვ. ბერძნული კლასიკური დემოკრატიისგან. დემოკრატიას განმარტავდნენ არა როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმს, არამედ როგორც საშუალებას, რომლითაც ხალხს შეეძლო შემოესაზღვრა თავი თავიანთ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევისაგან. აქედანაა სახელწოდება „პროტექტორული დემოკრატია“. დემოკრატიის ასეთი გაგება დამახასიათებელი იყო ადრეული ლიბერალური მოაზროვნეებისათვის.

შეუზღუდავი მმართველობისადმი შიშის გამო, ჯონ ლოკი XVIII ს. ამტკიცებდა, რომ ხმის პოლიტიკური უფლება მომდინარეობს ადამიანის ბუნებრივი უფლებისაგან, კერძოდ, საკუთრების უფლებისაგან. თანამედროვე გაგებით თვითონ ლოკს ძნელად შეიძლება ეწოდოს დემოკრატი, რამდენადაც ის თვლიდა, რომ ხმის პოლიტიკური უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ საკუთრების მფლობელებს, რადგან მხოლოდ ისინი ფლობენ იმ ბუნებრივ უფლებას, რომელსაც შეუძლია შეზღუდოს სახელმწიფო მმართველობა. უფრო რადიკალური გაგება საყოველთაო არჩევნების თაობაზე ჰქონდათ XVIII ს. უტილიტარიზმის ისეთ თეორეტიკოსებს, როგორებიც იყვნენ იერემია ბენტანი და ჯეიმს მილი (1773-1836 წწ).

უტილიტარიზმი დემოკრატიის დასაბუთებაში ეყრდნობოდა ინდივიდუალური ინტერესების დაცვის ან მხარდაჭერის აუცილებლობას.

დემოკრატიის დაფუძნებას ინდივიდის დაცვის პრინციპზე აქვს მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადამწყვეტი მნიშვნელობა. პროტექტორალური კონცეფცია მაინც თავის თავში მოიცავს შეზღუდულ და არა პირდაპირი დემოკრატიის ფორმას. ეს უპირველესად და უმთავრესად კონსტიტუციური დემოკრატიის სისტემაა, ფუნქციონ-

ირებადი განსაზღვრული ფორმებით და არაფორმალური უფლებით, უზრუნველყოფილი ძალაუფლების გაყოფით აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებად, აგრეთვე უფლებით ადამიანის ძირითადი უზრუნველყოფილი – სიტყვის უფლებით, გადაადგილების თავისუფლებითა და თვითნებობისაგან დაცვით.

პროტექტორული დემოკრატია ორიენტირებულია მოქალაქეთათვის რაც შეიძლება უფრო ფართო შესაძლებლობების მიცემაზე, რათა მან იცხოვროს ისე, როგორც უნდა. თვალნათელია, რომ ის დაკავშირებულია თავისუფალი კაპიტალიზმის პრინციპთან და კონცეფციასთან, რომ სწორედ ინდივიდი უნდა აღიჭურვოს მაქსიმალური პასუხისმგებლობით თავის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე.

განვითარების დემოკრატია

დემოკრატიის თავდაპირველი თეორია უფრო მეტად პიროვნების უფლებების და ინტერესების დაცვით იყო დაკავებული, მაგრამ მალე მასში გაჩნდა არსებითად ახალი აქცენტი – საზოგადოებისა და ადამიანის განვითარების შესახებ. ამ ჭრილში აღმოცენებული ახალი კონცეფციები შეიძლება მივაკუთვნოთ მოდელს, რომელსაც განვითარების დემოკრატია ჰქვია. ყველაზე თამამი მიდგომა ამ სფეროში თავისი დროისთვის წამოაყენა ჟან-ჟაკ რუსომ. ბევრი თვალსაზრისით რუსოს იდეებმა, რომლებიც გადაჭრით უარყოფდნენ დემოკრატიის ლიბერალური კონცეფციის ბატონობას,მომავალში გავლენა მოახდინეს როგორც მარქსისტულ, ისე ანარქისტულ ტრადიციებზე, უფრო მოგვიანებით – „ახალ მემარცხენეებზე“.

რუსოსთვის დემოკრატია იყო საშუალება, რომლის დახმარებითაც ადამიანები მოიპოვებდნენ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. რუსო გამოდიოდა დემოკრატიის გაგების იმ ჩარჩოდან, რომელსაც დაჰყავს იგი არჩევნებამდე და წინ სწევდა პირდაპირი დემოკრატიის იდეას, რომელიც ძალიან რადიკალური იყო თავისი დროისათვის. მისი თეორიით მოქალაქეები „თავისუფლები არიან მხოლოდ მაშინ, როცა ისინი თვითონ პირდაპირ და განუწყვეტლივ მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში“. შემთხვევითი არაა, რომ მან მოგვცა მკაცრი კრიტიკა არჩევნების იმ სისტემისადმი, რომელიც დიდ ბრიტანეთში იყო. „საზოგადოებრივ ხელშეკრულება“-ში (1762).

რუსოს თეორია დაეხმარა თანამედროვე იდეის ფორმირებას, რომლითაც 1960-70-იან წლებში გამოვიდნენ „ახალი მემარცხენეები“.

საქმე ეხება „მონაწილეობის საზოგადოებას“, – საზოგადოებას, რომელშიც თეორიულად მოქალაქეს ექნება სრული თავისუფლება გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის დროს. ამას ვერ მივაღწევთ მთავარი საზოგადოებრივი ინსტიტუტების – ოჯახის, სამუშაო ადგილისა და ადგილობრივი საზოგადოების, ასევე პოლიტიკური ინსტიტუტების – პარტიის, ინტერესთა ჯგუფის, საკანონმდებლო ორგანოების ღიაობის, ანგარიშგებისა და დეცენტრალიზაციის გარეშე.

ამ მოდელის საფუძვლად დევს კონცეფცია „დაბალი“ დემოკრატიის ან როგორც მას უწოდებდნენ „ბალახის ფესვების დემოკრატიის“ კონცეფცია. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ პოლიტიკური ძალაუფლება უნდა ამოვიდეს ძალიან დაბალი დონიდან მაღლა.

განვითარებადი დემოკრატიის კონცეფციის უფრო ზომიერი ვარიანტი,დაკავშირებული წარმომადგენლობითი მთავრობის ლიბერალურ მოდელთან, ჩამოყალიბებულია ჯონ სტუარდ მიდის მიერ. დემოკრატიის მთავარ ღირსებად მიდი განიხილავდა იმას, რომ ის უზრუნველყოფს ადამიანის შესაძლებლობების ჰარმონიულ და უმაღლეს განვითარებას. პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა ამაღლებს მოქალაქის შეგნების დონეს და ზრდის ადამიანის გრძნობას, ერთი სიტყვით, განავითარებს მას. დემოკრატია აქ წარმოგვიდგება როგორც განათლება. ამიტომაც მიდი მოუწოდებდა გაფართოებულიყო მოქალაქეთა მონაწილეობის სფეროები პოლიტიკაში. სთვლიდა, რომ ხმის უფლება უნდა იყოს მიცემული ყველა ადამიანისათვის, გარდა გაუნათლებლებისა. ამომრჩევლის უფლებას ის ავრცელებდა ქალებზეც. ეს იყო იმ დროისათვის ყველაზე რადიკალური იდეა. მის თეორიაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა ძლიერი და დამოუკიდებელი ადგილობრივი ხელისუფლებაც, ლიბერალური აზრის სხვა წარმომადგენლებისგან განსხვავებით ის არ სცნობდა ფორმალური პოლიტიკური თანასწორობის იდეას ისევე, როგორც თავის დროზე პლატონი. აქედან მომდინარეობს მისი წინადადება მრავალჯერადად ხმის მიცემაზე – ისეთი სისტემის შექმნაზე, რომლის დროსაც არაკვალიფიციურ მუშას ექნება ერთი ხმა, კვალიფიციურს – ორი, კოლეჯდამთავრებულსა და მეცნიერს კი – 5-6. მაგრამ მიდს ასეთ შემთხვევაში ჰქონდა სერიოზული ეჭვები, რომელიც ალექსის დე ტოკვილმა თავის ცნობილ ფრაზაში გაახმიანა: „უმრავლესობის ტირანია“. დემოკრატია ამ თვალსაზრისით ყოველთვის ატარებს თავის თავში იმის საშიშროებას, საზოგადოების სულიერი ცხოვრება შეიძლება მსხვერპლად იქნას მიტანილი უმრავლესობის სურვილთან და მაშინ გამეფდება ერთფეროვნება და მოსაწყენი კონფორმიზმი.

სახალხო დემოკრატია

ტერმინი „სახალხო დემოკრატია“ მოდის იმ ორთოდოქსალური კომუნისტური რეჟიმიდან, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ჩვენ ვიყენებთ მას ფართო გაგებით, მივაკუთვნებთ რა მას მარქსისტული ტრადიციებით წარმოშობილ დემოკრატიის სრულიად განსხვავებულ მოდელებს. ისინი ცოტა არ არის და ყველა ისინი არიან შთამბეჭდავ კონტრასტში გავრცელებულ ლიბერალურ დემოკრატიულ მოდელებთან. მარქსისტები, როგორც ცნობილია,ყოველთვის ემიჯნებოდნენ ლიბერალურ ან პარლამენტარულ დემოკრატიას, ხედავდნენ რა მასში უფრო მეტად „ბურჟუაზიულ“, „კაპიტალისტურ“ მმართველობის ფორმას. ამ იდეალს მათ მიმართეს იმიტომ, რომ მასში არსებობს თანასწორობის იდეა. „დემოკრატია“ აქ ნიშნავდა სოციალურ თანასწორობას აგებულს საკუთრების განზოგადებაზე. მარქსი დარწმუნებული იყო იმაში, რომ საკმარისია დაამარცხო კაპიტალიზმი და დემოკრატია ადრე თუ გვიან გაიმარჯვებს. მართალია, ნამდვილ კომუნიზმამდე ჯერ კიდევ შორია, ამიტომ საჭირო იქნება ე.წ. გარდამავალი პერიოდი მისთვის დამახასიათებელი „პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურით“. ასე მოვა „ბურჟუაზიული დამოკრატიის“ შემცვლელად სრულიად ახალი სისტემა – „პროლეტარული დემოკრატია“. მარქსისტული დემოკრატიის მოდელი კომუნისტურ საზოგადოებაში დაკავშირებულია უფრო ლენინის სახელთან. 1917 წელს ლენინის ლოზუნგში „მთელი ძალაუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა საბჭოებს“, იყო პარიზის კომუნის სულისკვეთება, მაგრამ, პრაქტიკულად, ძალაუფლება ძალიან მალე გადავიდა ბოლშევიკთა პარტიის ხელში. ლენინის აზრით, ეს იყო „მშრომელთა კლასის ავანგარდი“, შეიარაღებული მარქსიზმით და ამიტომაც ჰქონდა უნარი გაეგო პროლეტარიატის ჭეშმარიტი ინტერესები. ეს თეორია გახდა „ლენინური დემოკრატიის“ ქვაკუთხედი საბჭოთა კავშირში და შემდეგ მიღებული იქნა კომუნისტური რეჟიმების მიერ, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი ცენტრალური დებულება. ამ სისტემის მთავარი სისუსტე იყო, რომ იგი არ ითვალისწინებდა კონტროლს კომპარტიის ძალაუფლებაზე,განსაკუთრებით მისი ლიდერების მიმართ და შესაბამისად, ისინიც არ გახდნენ ის სინამდვილეში პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული მუშათა კლასის წინაშე. ისიც საკითხავია, თუ მოვახდენთ არისტოტელეს კითხვის პერიფრაზირებას პლატონისადმი – ვინ დაიცავს კომუნისტურ პარტიას?

დემოკრატია პრაქტიკაში: სხვადასხვა თვალსაზრისი

დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმების შესახებ კამათი არ წყდება, მაგრამ დღეს უფრო მეტს კამათობენ იმაზე, თუ როგორ მუშაობს დემოკრატია პრაქტიკულად. ძირითადად საუბარი მიდის ლიბერალური დემოკრატიის მოდელზე, რომელიც ასე თუ ისე აღიარებულია მთელს მსოფლიოში, თუმცა შინაგანად მასში გვხვდება წინააღმდეგობებიც.

ლიბერალური დემოკრატიის მოდელი დაფუძნებულია შეჯიბრებითობაზე, მასში ყველაფერი წყდება ამომრჩეველთა არჩევანით და ძალაუფლება ეკუთვნის მას, ვინც გაიმარჯვებს არჩევნებში, არჩევნები კი დაფუძნებულია ყველა მოქალაქის ფორმალურ პოლიტიკურ თანასწორობაზე. აქ სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება ერთმანეთისაგან მკვეთრად არიან გამიჯნული: საზოგადოება ყალიბდება დამოუკიდებელი სოციალური ჯგუფებისაგან და ორგანიზებულია საბაზრო ე.ი. კაპიტალისტური ეკონომიკის პრინციპებზე.

ლიბერალურ დემოკრატიასთან დაკავშირებით არსებობს კითხვებიც: ეფექტურად უზრუნველყოფს თუ არა ეს მოდელი ნამდვილ განაწილებას პოლიტიკურ ხელისუფლებაში. საბოლოო ანგარიშში მოგებულია თუ წაგებულია საზოგადოება, შესაბამისობაშია თუ არა პოლიტიკური თანასწორობა ეკონომიკურ უთანასწორობასთან? თეორეტიკოსები სხვადასხვანაირად პასუხობენ ამ კითხვებზე. იმის მიხედვით, თუ როგორი პასუხი გვაქვს, უნდა გამოვყოთ შემდეგი ძირითადი მიდგომები: პლურალიზმი, ელიტიზმი, კორპორატივიზმი, ახალი მემარჯვენეები, მარქსიზმი.

პლურალისტული იდეები დაკავშირებულია ლიბერალურ პოლიტიკურ ფილოსოფიასთან, კერძოდ, ლოკისა და მონტესკიეს ნაშრომებთან. მაგრამ მას უფრო სისტემატური ფორმა მისცა ჯეიმს მედისონმა, რომელმაც პირველად ჩამოაყალიბა პლურალიზმის პრინციპები.

დღეისთვის პოლიტიკური პლურალიზმის თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება რობერტ დალი, რომელმაც ემპირიული ანალიზის საფუძველზე საინტერესო დასკვნები გააკეთა.

ტერმინ „პლურალიზმს“ აქვს ორი გაგება: ფართო და ვიწრო. ფართო გაგებით იგია მრავალფეროვანი და მრავალსახეობითი შეხედულებათა სისტემა. ტერმინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მრავალპარტიულობის აღსანიშნავად (პოლიტიკური პლურალიზმი); ეთიკური ფასეულობების მრავალფეროვნების (ეთიკური პლურალიზმი) ან კულტურული ნორმების (კულტურული პლურალიზმი) გამოსახატავად. იგი გულისხმობს, რომ თავისთავად მრავალფერ-

ოვნება წარმოადგენს საზოგადოების სასურველი და ჯანსაღი განვითარების აუცილებლობას, რადგან ის ხელს უწყობს პიროვნების დაცვას და წარმოადგენს არეალს დისკუსიებისათვის.

უფრო ვიწრო გაგებით პლურალიზმი ესაა კონცეფცია პოლიტიკური ხელისუფლების განაწილების შესახებ. მისი არსი იმაშია, რომ ძალაუფლება არ უნდა იყოს კონცენტრირებული ელიტისა და წამყვანი კლასის ხელში. ამ შემთხვევაში პლურალიზმი ჩვეულებრივ განიხილება, როგორც „ჯგუფური პოლიტიკის“ თეორია, რომელიც გულისხმობს, რომ ინდივიდების ინტერესი უნდა გამოვლინდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით.

ელიტური მიდგომის იდეოლოგიები და მისი მომხრეები თვლიან, რომ ძალაუფლება საზოგადოებაში ეკუთვნის ელიტებს. ამას მიიჩნევენ საზოგადოების ყოფის ნორმალურ და დადებით ან არასასურველ, მაგრამ გამოსწორებად პროცესად. კლასიკური ელიტიზმის თეორეტიკოსებია ვილფრედო პარეტო, გაეტანო მოსკა და რობერტ მიხელსი. მათი მტკიცებით დემოკრატია ბრიყვული დაბნეულობაა, რამდენადაც პოლიტიკური ძალა ყოველთვის ეკუთვნის პრივილეგირებულ უმცირესობას – ელიტას.

პარეტომ გამოჰყო ადამიანთა ორი ფსიქოლოგიური ტიპი, რომლებსაც მართვის უნარი გააჩნიათ – „მელიები“, რომლებიც მართავენ ეშმაკობით და ლომები,რომლებიც მიზანს ძალადობით და იძულებით აღწევენ.

მიხელსმა შემოგვთავაზა მეორენაირი მიდგომა, რომელიც ეხება ნებისმიერ ორგანიზაციას, როგორი დემოკრატიულიც არ უნდა გვეჩვენებოდეს ის. მასში ხდება ხელისუფლების კონცენტრაცია ადამიანთა მცირე ჯგუფის ხელში, რომელთაც დომინირების, ორგანიზაციისა და გადაწყვეტილებათა მიღების უნარი გააჩნიათ, სხვათა საწინააღმდეგოდ. მიხელსმა ამას უწოდა „ოლიგარქიის რკინის კანონი“. უფრო გვიან ჯეიმს ბარნეხმმა დაამუშავა „ბიუროკრატიული მმართველობის“ ცნება. ის ამტკიცებდა რომ, ყველა ინდუსტრიულ საზოგადოებაში, როგორც კაპიტალისტურში, ასევე სოციალისტურშიც მმართველი კლასი გამოირჩევა სამეცნიერო ტექნიკური ცოდნითა და ადმინისტრირების ხელოვნებით.

თანამედროვე პოლიტიკური თეორეტიკოსები უფრო მეტად საუბრობენ იმაზე, თუ რა შორსაა ცალკეული პოლიტიკური სისტემები დემოკრატიულ იდეალისაგან. ასეთ პოზიციას აფიქსირებს რაიტა მილსი თავის ცნობილ გამოკვლევებში, რომლებშიც ნაჩვენებია, რომ აშშ-ში ბატონობს ძალზე ვიწრო წრე სხვადასხვა დაჯგუფებებიდან. „ხელისუფლებრივი ელიტა“ წარმოქმნილია დიდი ბიზნესის არმიისა და სამრეწველო კომპლექსის დაჯგუფებიდან. პრეზიდენტის ირგვლივ არსებულ ძალაუფლებრივ ელიტას აქვს შესაძლებლობა მიიღოს „ჭეშმარიტად ისტორიული“ გადაწყვეტილებანი, განსაკუთრებით თავდაცვასა და საშინაო პოლიტიკაში, ასევე ეკონომიკურ სტრატეგიაში.

ძალაუფლებრივი ელიტის ამ მოდელიდან ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა, რომ სინამდვილეში ამერიკულ დემოკრატიაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

ამასთან ზოგიერთი თეორეტიკოსი ამტკიცებს, რომ ზოგ შემთხვევებში ელიტის ძალაუფლება არ გამორიცხავს პოლიტიკური ანგარიშსწორების პროცესს, აქ საუბარია კონკურენტული ელიტიზმის კონცეფციაზე გამომდინარე ელიტის შეჯიბრებითობის ფაქტიდან.

ანტონი დაუნსმა კონკრეტული ელიტიზმის მოდელზე დაყრდნობით დაამუშავა „დემოკრატიის ეკონომიკური თეორია“, სადაც გვთავაზობს შემდეგ კონცეფციას: არჩევნებზე მეტოქეობა ქმნის თავისებურ პოლიტიკურ ბაზარს, სადაც პოლიტიკოსები წარმოდგენილია მეწარმეებად, რომლებიც მიილტვიან მიიღონ ძალაუფლება, ამომრჩევლები კი – მომხმარებლებად, რომლებიც ხმას აძლევენ მათი სურვილებისა და არჩევანის გამომხატველ პარტიას.

ამ შემთხვევაში სისტემა ღიაა და შეჯიბრებითი არჩევნების დემოკრატიულობა გარანტირებულია, რადგან ხელისუფლება გადაეცემა იმ პარტიას, რომლის ფილოსოფია, ფასეულობანი და პოლიტიკა შეესაბამება ამომრჩეველთა უმრავლესობის ინტერესებს.

როგორც შუმპეტერი ამბობს: „დემოკრატია – ეს პოლიტიკური ძალაუფლებაა“. ელიტების კონკურენცია როგორც დემოკრატიული პოლიტიკის მოდელი ზუსტად ხსნის ლიბერალურ-დემოკრატიული სისტემის ნამდვილ მექანიზმს.

ელიტების კონკურენცია ყოველ შემთხვევაში არის დემოკრატიის სუსტი ფორმა. ელიტის შეცვლის დროს საზოგადოებას ენიჭება ძალიან მოკრძალებული როლი – რამდენიმე წელიწადში ერთხელ გადაწყვიტოს თუ რომელი ელიტა დაიწყებს მართვას მისი სახელით. ეს კი იწვევს საზოგადოების პასიურობას, გულგრილობასა და გაუცხოებას.

იგი სათავეს იღებს იმ პერიოდიდან, როდესაც ფაშისტურ იტალიაში ცდილობდნენ შეექმნათ ე.წ. „კორპორატიული სახელმწიფო“, სადაც გადაწყვეტილებას მიიღებდნენ მმართველები და მუშები. აღნიშნული მიდგომის თეორეტიკოსები მიუთითებენ იმაზე, რომ წამყვანი ინდუსტრიული სახელმწიფოების განვითარებაში შეიმჩნევა საერთო პროცესები. საუბარია „სამმხრივი მთავრობის“ მთელი სპექტრის ჩამოყალიბების იდეაზე, სადაც მმართველობა ხორციელდება ორგანიზაციული სტრუქტურებით, რომლებიც ერთმანეთთან

პირდაპირ აკავშირებს სახელმწიფო ჩინოვნიკებს, საქმიან წრეებსა და პროფკავშირებს. ამის საფუძველზე ყალიბდება ნეოკორპორატივიზმი ან ლიბერალური კორპორატივიზმი.

ეკონომიკური ინტერესების პირდაპირი ჩართვა სახელმწიფოებრივ მმართველობაში გამოვლინდა ომის შემდგომ პერიოდში ისეთ ქვეყნებში, როგორებიც იყვნენ შვეცია, ნორვეგია, ჰოლანდია და ავსტრია. აქ ხელისუფლების ძირითად ამოცანას მმართველობისა და ეკონომიკის რეგულაცია წარმოადგენდა. სახელმწიფო ესწრაფვოდა ეკონომიკური მომსახურების უზრუნველყოფას, რაც უკავშირდებოდა ინსტიტუციონალურ სქემას, რომლის ჩარჩოებში საზოგადოების სხვადასხვა კატეგორიები მხარს უჭერდნენ ქვეყნის საერთო ეკონომიკურ სტრატეგიას. იქ, სადაც სახელმწიფოებრივი ჩარევა ეკონომიკურ ცხოვრებასა და ბაზრის გაფართოებაში შეზღუდული იყო (როგორც, მაგ. დიდ ბრიტანეთში 1979 წლის შემდგომ) უარს ამბობდნენ კორპორატივიზმზე.

„ახალი მემარჯვენეების“ გამოჩენა მოხდა 70-იან წლებში დემოკრატიზმის კრიტიკით. მათ დაიწყეს საუბარი საზოგადოების „დემოკრატიულ გადატვირთვაზე“, ასევე პოლიტიკური სისტემის პარალიზებაზე მეტისმეტი ელექტორატული ზეწოლის გამო. მკაცრი კრიტიკის ქვეშ მოექცა კორპორატივიზმიც, საქმე იმაში იყო, რომ „ახალი მემარჯვენეების“ თეორეტიკოსები – თავისუფალი ბაზრის მტკიცე მომხრეები მიიჩნევდნენ, რომ ეკონომიკა ყველაზე უკეთესად მუშაობს მაშინ, როდესაც მთავრობა მას არ აწუხებს.

როგორც დევიდ მარკანდი შენიშნავდა, ახალი მემარჯვენეების მიდგომის თვალსაზრისი იმაში მდგომარეობდა, რომ „დემოკრატია უფროსებისათვის – ეს იგივე იყო, რაც შოკოლადი ბავშვისათვის“. რაც უვნებელია პატარა დოზით, მაგრამ მავნებელია დიდი დოზით. ამიტომ „ახალი მემარჯვენეების“ თეორეტიკოსებს აქვთ მიდრეკილება დაინახონ დემოკრატიაში არა სოციალური გარდაქმნის, არამედ მთავრობის თვითნებობისაგან დაცვის საშუალება.

მარქსისტული შეხედულება დემოკრატიაზე დაფუძნებულია კლასობრივ ანალიზზე. მარქსიზმის მიხედვით არ შეიძლება პოლიტიკური ხელისუფლების არსი განვიხილოთ ვიწრო გაგებით. საჭიროა უფრო ღრმად ჩახედვა, რადგან პოლიტიკური ძალაუფლება ასახავს ეკონომიკური ძალაუფლების განაწილებას. მარქსიზმი აკრიტიკებს ლიბერალურ და პლურალისტურ დემოკრატიებს, საუბრობს ელიტისტურ თეორიებზეც.

მაგრამ თანამედროვე მარქსისტები სულაც არ ხედავენ ელექტორალურ დემოკრატიაში მთლიან ბუტაფორიასა და მოტყუებას.

ევროკომუნისტებმა მაგალითად უარყვეს სოციალისტური

რევოლუციის იდეა და მთლიანად გადავიდნენ მშვიდობიანი, კანონიერი და დემოკრატიული „სოციალიზმის გზის“ იდეოლოგიაზე. თუმცა ნეომაქრსისტები, ისეთები, როგორებიც იყვნენ იურგენ ჰამერმანსი და კლაუს ოფე, ძველებურად მიუთითებდნენ კაპიტალისტური დემოკრატიის შიდა არასტაბილურობაზე და წინააღმდეგობებზე.

პრაქტიკაში ყველაზე აღიარებული დემოკრატიის მოდელია ლიბერალური დემოკრატია. მისი ძლიერი მხარეები მდგომარეობს იმაში, დემოკრატიის ეს ფორმა დაფუძნებულია რეგულარულ არჩევნებზე, ფუნქციონირებს რა პარტიული შეჯიბრებისა და ელექტორატული სისტემის საფუძველზე, ის იცავს ზუსტ ზღვარს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის და სანქციას აძლევს თავისუფალი, დამოუკიდებელი სოციალური ჯგუფებისა და კერძო საკუთრების ფუნქციონირებას.

არსებობს დემოკრატიის უამრავი მოდელი, რომელშიც თითოეული მათგანი გვთავაზობს დემოკრატიული მმართველობის საკუთარ ვერსიას. ესაა კლასიკური დემოკრატია, რომელიც დაფუძნებულია სახალხო თვითმმართველობის პრინციპებზე; პროტექტული დემოკრატია, რომელიც გამომდინარეობს თავისუფლების ინდივიდუალური გაგებისაგან; განვითარების დემოკრატია, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოების პოლიტიკურ გაფართოებაზე და სახალხო დემოკრატია, სადაც ცენტრალური საკითხი არის ურთიერთობები კლასებს შორის. კლასიკური დემოკრატია, რომელიც მომდინარეობს ათენის პოლიტიკური სისტემიდან, ისტორიაში შევიდა იმით, რომ მარტო აქ ხორციელდებოდა ხალხის უშუალო ძალაუფლება. პროტექტიული დემოკრატია ანიჭებს ხალხს მაქსიმალურ თავისუფლებას პირადი ცხოვრების მოსაწყობად. განვითარების დემოკრატიის ღირსება იმაშია, რომ ახასიათებს რა პოლიტიკურ მონაწილეობას, ის ამასთან აფართოებს თავისუფლების სფეროს და ინდივიდის პირად განვითარებას. სახალხო დემოკრატია ორიენტირებულია არა იმდენად ინდივიდის პოლიტიკური უფლებების გაფართოებაზე,რამდენადაც მის ეკონომიკურ ემანსიპაციაზე.

დასკვნები

დემოკრატიის ცნება, როგორც სერიოზული პოლიტიკური კონცეფცია, ზოგჯერ ძალიან ძნელად გამოიყენება. ტერმინში ჩადებულია ღია სხვადასხვა მნიშვნელობები – მასების ძალაუფლებიდან დაწყებული და მმართველობის ფორმებით დამთავრებული, რომლებიც დაფუძნებულია საზოგადოების პირდაპირ და მუდმივ პოლიტიკურ მონაწილეობაზე, უმრავლესობის ძალაუფლებაზე, პარტიული

კონკურენციის სისტემასა და საყოველთაო საარჩევნო უფლებებზე.

ისტორიულად დისკუსიები დემოკრატიის ბუნებაზე 3 საკითხის ირგვლივ ტრიალებდა. პირველი – რა არის ხალხი და რამდენად უნდა ვრცელდებოდეს მათზე პოლიტიკური ძალაუფლება? მეორე – შეუძლია თუ არა ხალხს მართოს თავისი თავი თვითონ თუ ეს ფუნქცია უნდა გადასცეს პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც აქვთ პრეტენზია წარმოადგენდნენ საზოგადოებას? მესამე – რა საკითხები ექვემდებარება კოლექტიურ გადაწყვეტას დემოკრატიულ პროცესში?

თავი V
სახელმწიფო

სახელმწიფოს არსი და ტიპები

ტერმინის „სახელმწიფო“-ს მიმართ არსებობს იდეალისტური, ფუნქციონალური და ორგანიზაციული მიდგომა.

იდეალისტური მიდგომა დამახასიათებულია ჰეგელის ნაშრომებისათვის, სადაც სახელმწიფო ეთიკურ საზოგადოებას წარმოადგენს, გამსჭვალულს საერთო სიმპათიით. თუმცა სახელმწიფოს ეთიკურ კატეგორიაში განთავსებით, იგი უძლური ხდება გვიჩვენოს ზუსტი ზღვარი სახელმწიფო და არა სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის.

ფუნქციონალური მიდგომა სახელმწიფოსადმი იმაზეა ფოკუსირებული, თუ როგორია სახელმწიფო ინსტიტუტების როლი და მიზნები. აქ სახელმწიფოს მთავარი ფუნქციაა საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება, კერძოდ, სახელმწიფო წარმოგვიდგება როგორც ინსტიტუტების კომპლექსი, რომელიც ამყარებს წესრიგსა და სტაბილურობას საზოგადოებაში.

რაც შეეხება ორგანიზაციულ მიდგომას, აქ სახელმწიფო წარმოგვიდგება მართვის აპარატის ყველაზე ფართო მნიშვნელობით. ეს არის ინსტიტუტების კომპლექსი, რომელთაც აქვთ აშკარად გამოხატული „სახალხო“ ხასიათი იმ აზრით, – ის პასუხობს კოლექტიური საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციას და ფინანსირდება საზოგადოების ხარჯზე.

თანამედროვე სახელმწიფოს წარმოშობა დაკავშირებულია ევროპასთან (XV-XVI სს.), როდესაც აქ წარმოიშვა პირველი ცენტრალიზებული მართვის ორგანოები, რომლებმაც თანმიმდევრულად დაიქვემდებარა სხვა ინსტიტუტები და სტრუქტურები, როგორც სასულიერო, ისე არისტოკრატიული, ხოლო ვესტფალიის სამშვიდობო მოლაპარაკებაში (1680 წ.) პირველად იყო ფორმულირებული „სახელმწიფო სუვერენიტეტი“.

სახელმწიფო მმართველობის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ყველა კანონის დაცვას და სჯის მათ დამრღვევებს, ე.ი. „კანონით დაშვებული ძალადობის“ მეშვეობით (მაქს ვებერი) გამოხატავს თავის სუვერენიტეტს.

სახელმწიფო ხელისუფლებაზე ფართო ცნებაა. ხელისუფლება მისი ნაწილია. თუ სახელმწიფო არის ისტორიულად ჩამოყალიბებული და სამუდამო, ხელისუფლება არის დროებითი, რომელიც მოდის და მიდის. ხელისუფლება არის საშუალება, რომლის

მეშვეობითაც სახელმწიფო ახორციელებს ხელისუფლებას, ის სახელმწიფოს ტვინია, რომელიც ხელს უწყობს მის არსებობას და გამოხატავს იმათ პარტიულ მიდრეკილებებს, ვინც იმყოფება ხელისუფლების სათავეში.

პოლიტოლოგიის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ყოველთვის იყო სახელმწიფო ძალაუფლების ბუნების საკითხი. პოლიტოლოგიაში გამოყოფენ სახელმწიფოს ოთხ თეორიას: პლურალიზებულს, კაპიტალისტურს,სახელმწიფო ლევიათანისა და პატრიარქალურს.

პლურალიზებული სახელმწიფოს თეორია იხრება ლიბერალური ტრადიციისკენ. სახელმწიფო აქ წარმოგვიდგება როგორც „რეფერი“ საზოგადოებაში, რომელიც ყურადღებას არ აქცევს ან ნაკლებად აქცევს სახელმწიფოსა და მის ინსტიტუტებს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „ხელისუფლებას“.

სახელმწიფოს თეორიის საწყისები ვითარდება XVII საუკუნეში ისეთი თეორეტიკოსების მიერ, როგორებიც არიან თომას ჰობსი და ჯონ ლოკი. ყველაზე მეტად ამ პოლიტოლოგებს აწუხებთ კითხვა პოლიტიკური ვალდებულებების შესახებ.

XX საუკუნეში ამ იდეებზე დაყრდნობით წარმოიშვა პლურალისტული იდეოლოგიის სახელმწიფო. როგორც საზოგადოების კონცეფცია,პლურალიზმის თანახმად ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლება დანაწილებულია ფართოდ და თანაბრად. ყოველი სახელმწიფო რეაგირებს სახელმწიფოებრივ აზრზე. ასე რომ სახელმწიფო შეიძლება შევადაროთ ფლიუგერს, რომელიც შებრუნდება იმ მხარეს, საითკენაც მიუთითებს საზოგადოება.

მარქსიზმი გვთავაზობს კაპიტალისტური სახელმწიფოს სრულიად სხვა გაგებას. მას არაფერი აქვს საერთო „ნეიტრალური რეფერის“ პოლიტიკასთან, რომლიდანაც გამომდინარეობენ პლურალიზმის თეორეტიკოსები. მარქსიზმის თანახმად, სახელმწიფო არ შეიძლება იქნას განხილული საზოგადოების არაეკონომიკურ სტრუქტურაში; კლასიკური ფორმულირებით, ეს არის კლასობრივი ჩაგვრის იარაღი, რომელიც წარმოიშობა კლასობრივი სისტემიდან და არის მისი ანარეკლი.

მარქსიზმის მთავარი აზრი იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო, რომელსაც წარმოშობს კაპიტალისტური კლასი, გვევლინება, ან დამონების იარაღად, ან კიდევ კლასობრივი ანტაგონიზმის შერბილების მექანიზმად. მაგრამ მარქსის დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი არ იყო მთლიანად ნეგატიური. ის თვლიდა, რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდში „პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა“ შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც აბსოლუტურად კონსტრუქციული ძალა; ამასთან ერთად კაპიტალ-

ისტური სისტემის დანგრევა გამოიწვევდა ბურჟუაზიული კლასის დაშლას და ხელს შეუწყობდა ახალი, პროლეტარული სახელმწიფოს შექმნას.

მარქსის მემკვიდრეობაში არსებული წინააღმდეგობები დაუტოვეს თანამედროვე მაქრსისტებს ან და ნეომარქსისტებს, რათა თვითონ მოახდინონ სახელმწიფო ხელისუფლების ფართო ანალიზი. აქ დიდი როლი ითამაშა იტალიელი მარქსისტის ანტონიო გრამშის შრომებმა, სადაც ამტკიცებდა, რომ მმართველი კლასი ცდილობს მოიპოვოს ბატონობა არა ღია ძალდატანებით, არამედ იდეოლოგიური მანიპულაციებით. გრამშისთვის ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობა ნარჩუნდება „ჰეგემონიით“ – მისი ბატონობით სასულიერო და კულტურულ ცხოვრებაში, რაშიც სახელმწიფო თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს.

სახელმწიფოს სახე, როგორც „ლევიათანი“ (მონსტრი, რომელიც დაკავებულია თავის თავის გამოკვებით და გაზრდით სიგრძესა და სიგანეში) განმტკიცებული იყო თანამედროვე პოლიტიკურ აზროვნებაში და თანამედროვე თეორეტიკოსების შრომებში. საერთოდ კი ეს შეხედულება წარმოიშვა კლასიკური ლიბერალიზმის დროს. ამ შეხედულების თანახმად, სახელმწიფო არ უნა ჩაერიოს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში, რადგან ეს ემუქრება პიროვნების თავისუფლებასა და ქვეყნის ეკონომიკის უსაფრთხოებას. აქ უკვე სახელმწიფო გვევლინება არა როგორც მსაჯი, როგორც ეს პლურალისტებს მიაჩნდათ, არამედ როგორც უცერემონიო „ძიძა“, რომელიც მიდის საზოგადო ინტერესების წინააღმდეგ (განსხვავებული ნიშანი მარქსიზმისგან!) და ეს ინტერესები ყოველთვის მოითხოვს სახელმწიფოს როლისა და პასუხისმგებლობის გაზრდას. „ახალი უფლების“ თეორეტიკოსები ამით გვიჩვენებენ, რომ XX საუკუნის მოძრაობა სახელმწიფოს ჩარევის უფლების გაფართოვებით, სინამდვილეში არ იყო პასუხი საზოგადოების მოთხოვნებზე – ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ასევე კაპიტალიზმის სტაბილურობაზე კლასობრივი ურთიერთობის შერბილების ხარჯზე – არამედ ეს იყო სახელმწიფოს შინაგანი დინამიკა.

თანამედროვე იერარქიული სახელმწიფოს იდეა წამოვიდა ფემინისტური თეორიიდან. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ფემინისტებს საკუთარი თეორია აქვთ სახელმწიფოს შესახებ. საერთოდ ფემინისტები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ სახელმწიფოს, რადგან ისინი იკვლევენ მამაკაცის ბატონობას საზოგადოებაზე, რომლის ფესვებიცაა ოჯახური და ეკონომიკური ურთიერთობები. რა თქმა უნდა, ზოგიერთი ფემინისტი არ ეთანხმება სახელმწიფოს საზოგა-

დოებრივ გაგებას, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მამაკაცი არ ფლობს მონოპოლიას მოცემულ ძალადობაზე. უნდა ითქვას, რომ ფემინიზმმა გაამდიდრა დისკუსია სახელმწიფოს შესახებ სრულიად ახალი მიდგომებითა და საინტერესო კონცეფციებით.

ლიბერალური ფემინიზმის წარმომადგენლები, რომლებიც თვლიდნენ, რომ მიაღწევდნენ სქესების თანასწორობას საზოგადოებრივი ურთიერთობების თანმიმდევრული გადაწყობით, სინამდვილეში ემხრობიან სახელმწიფოს შესახებ პლურალისტურ მოსაზრებას. ისინი იქიდან გამოდიან, რომ როდესაც ქალს უარს ეუბნებიან იურიდიულ და პოლიტიკურ თანასწორობაზე, განსაკუთრებით ხმის მიცემასთან დაკავშირებით, სახელმწიფო უპირატესობას ანიჭებს კაცს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, სახელმწიფოს მაინც უჭირავს ნეიტრალური პოზიცია, რადგან ადრე თუ გვიან ამის გამოსწორება შეიძლება. ამიტომ ლიბერალური ფემინისტები დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ ყველა საზოგადოებრივ ჯგუფს (ქალების ჩათვლით) აქვს თანაბარი პოტენციალი სახელმწიფოს წინაშე და სწორედ ამიტომ შესაძლებელი ხდება საზოგადოებრივი სამართლის მიღწევა. ამასთან ერთად სახელმწიფო წარმოგვიდგება ღია ფერებში: ითვლება, რომ მისი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩარევით შესაძლებელია სქესების უთანაბრობის პრობლემის მოგვარება და საზოგადოებაში ქალის ადგილისა და როლის გამტკიცება. როგორც მარქსიზმში, ფემინიზმშიც განვითარდა სპეციფიკური ინსტრუმენტალური და სტრუქტურული ვერსიები.

ინსტრუმენტალური განშტოება წარმოგვიდგენს სახელმწოფოს „აგენტად“ ან „ინსტრუმენტად“, რისი საშუალებითაც მამაკაცი ახორციელებს თავის ინტერესებს და ამკვიდრებს და აძლიერებს იერარქიას. მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფოს მართავენ მხოლოდ მამაკაცები, რომლებიც ყველაფერს თავისთვის აკეთებენ.

ფემინიზმის ინსტრუმენტალური ვერსიისგან განსხვავებით, რომლის ანალიზის სფერო სახელმწიფო ელიტაა, ხოლო სტრუქტურული ვერსია მიისწრაფის დაგვანახოს, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები თითქოსდა ჩაშენებულია უფრო ფართო პატრიარქიული სისტემის ხელისუფლებაში. განსაკუთრებულ ინტერესს ამ რადიკალურ ფემინიზმში იწვევს ფენომენი „სახელმწიფო საყოველთაო კეთილდღეობისათვის“. მათი აზრით, ეს არის პატრიარქიის ახალი სახეობა. მთელი ეს სისტემა თავის „პატრიარქობას“ იმით გამოხატავს, რომ ხდება ქალის გადასვლა კერძო დამოუკიდებლობიდან სახალხო სფეროში, სადაც იგი ხვდება „დიდი“ სახელმწიფოს მეთვალყურეობის ქვეშ. ასე რომ, სახელმწიფოს ჩარევა ქალის სფეროში გამოიწვევს ქალის დამოუკიდებლობის ახალი სფეროს ჩამოყალიბებას.

სახელმწიფოს ფორმები

ყველა არსებული კონცეფცია სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, ასე თუ ისე, დაკავშირებულია კითხვებთან – რა როლს თამაშობს სახელმწიფო, როგორია მისი ვალდებულებები, რით უნდა იყვნენ დაკავებულები სახელმწიფოები და რა ფუნქციები უნდა დარჩეს კერძო პირების ხელში. ამ კითხვების გარშემო ბრუნავს როგორც საარჩევნო პოლიტიკა, ასევე პარტიული კონკურენცია. ანარქისტების გამოკლებით, რომლებიც სახელმწიფოს ნაკლებად დადებითი მხრიდან ახასიათებენ, სოციალური რევოლუციის მიმდევრებიც კი, რომლებიც დეკლარირებდნენ ლენინის ლოზუნგს „დავანგრიოთ სახელმწიფო“, ხედავდნენ მასში რაღაც საჭიროს – პროლეტარიატის სახელმწიფო მიაჩნდათ აუცილებელ გარდამავალ რგოლად კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასასვლელად. შეკითხვაზე – თუ რა როლს უნდა სრულებდეს სახელმწიფო და როგორი უნდა იყოს ბალანსი მასა და საზოგადოებას შორის – სხვადასხვაობაა. ჩვენ გამოვყოფთ სახელმწიფოს შემდეგ სახეებს:

– მცირე (მინიმალური სახელმწიფო)
– განვითარებადი სახელმწიფო
– სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო
– კოლექტივიზებური სახელმწიფო
– ტოტალიტარული სახელმწიფო

მცირე სახელმწიფო

„რაც შეიძლება ნაკლები სახელმწიფო“ ყოველთვის იყო კლასიკური ლიბერალიზმის ლოზუნგი. ეს ტრადიცია თავისი ფესვებით მიდის „საყოველთაო მოლაპარაკების“ თეორიამდე, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ის მაინც ნეგატიურ შეხედულებას გამოხატავს სახელმწიფოს მიმართ. იგი თვლის, რომ მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია ადამიანის ქცევები მოაქციოს განსაზღვრულ ფარგლებში და ამით დაიცვას ადამიანები, რათა მათ არ შეავიწროვონ ერთმანეთის უფლებები. სახელმწიფო აქ გამოდის თავისი **პროტექციონალური** ფუნქციით, რომელიც მდგომარეობს მსოფლიო წესრიგისა და სოციალური კეთილდღეობის დაცვაში, როდესაც ხალხი წყვეტს, თუ როგორ ურჩევნია ცხოვრება. ლოკის თქმით, სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს როგორც ღამის გუშაგმა, რომელსაც სთხოვენ დახმარებას უწესრიგობის დროს, მაგრამ ასეთი შეხედულება მაინც უტოვებს „ღამის გუშაგს“ ან „მცირე სახელმწიფოს“ სამ მნიშვნელოვან ფუნ-

ქციას. პირველი და მთავარი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შინაგანი წესრიგი; მეორე – მან უნდა აკონტროლოს შეთანხმებათა უზრუნველყოფა; მესამე – სახელმწიფომ უნდა დაიცვას ქვეყანა გარეგანი საფრთხისაგან. ასეთი სახელმწიფოს ინსტიტუციონალური აპარატი მჭიდრო კავშირშია პოლიციასთან, სასამართლო სისტემასთან და ჯართან, ხოლო ეკონომიკური, კულტურული და სოციალური სხვა საქმეები ეკისრება ინდივიდს, რომელიც არის საზოგადოების განუყოფელი ნაწილი.

„მცირე სახელმწიფოს“ პრობლემა თანამედროვე პერიოდში წამოყენებული იქნა „ახალი მემარჯვენეების“ მიერ. „ახალი ლიბერალიზმის“ თავისუფალი ბაზრის ეკონომიკური თეორიებისგან განსხვავებით. ახალი მემარჯვენეების ფილოსოფიის მიხედვით **სახელმწიფოს ეკონომიკური როლი** უნდა იყოს შერწყმული ორ ფუნქციასთან: ნაციონალური ვალუტის სტაბილიზაციასა („ჯანმრთელი ფულის“ ლოზუნგი,რომელიც აღნიშნავს მცირე ან ნულოვან ინფლაციას) და საღი კონკურენციის მხარდაჭერასთან, მონოპოლიების კონტროლსა და ფიქსირებულ ფასებთან ბრძოლასთან. დღესდღეობით მცირე სახელმწიფოს მაგალითებს ხედავენ ისეთ აზიურ სახელმწიფოებში, როგორებიცაა ტაივანი, სინგაპური და მალაიზია, მაგრამ არ აღნიშნავენ თუ რაოდენ დიდ როლს თამაშობს აქ სახელმწიფო ეკონომიკის მართვაში ინვესტიციების გადანაწილებაში, განათლებასა და პროფესიონალურ მომზადებაში.

განვითარებადი სახელმწიფო. განვითარებადი სახელმწიფოების ყველაზე ნათელი მაგალითი იყო XIX ს. დიდი ბრიტანეთი და აშშ, მაგრამ არსებობს ერთი საერთო წესი: სახელმწიფო რაც უფრო გვიან იწყებს ინდუსტრიალიზაციის პროცესს, მით უფრო დიდი როლი ენიჭება სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებაში. დღესდღეობით განვითარებადი სახელმწიფოს ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს ჩარევას ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში ერთი მიზნით, რომ გააძლიეროს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი. ამასთან ერთად იგულისხმება, რომ ბაზრის ადგილას ფუნქციონირებს დაგეგმვის და კონტროლის „სოციალისტური“ სისტემა – საუბარი მიდის სახელმწიფოსა და საქმიან ხალხს შორის ურთიერთობის აწყობაზე, რომელსაც თან სდევს **კონსერვატიული და ნაციონალური ლოზუნგები.**

განვითარებადი სახელმწიფოს კლასიკურ სახეს წარმოადგენს იაპონია. მეიძის ეპოქაში 1868-1912 წლებში იაპონურმა სახელმწიფომ დაამყარა მჭიდრო ურთიერთობები ძაიბაცუსთან – ძლევამოსილ, საქმიან და ოჯახურ იმპერიასთან, რომელიც შემდგომში მბრძანებლობდა იაპონიის ეკონომიკაში მეორე მსოფლიო ომამდე. 1945

წლიდან განვითარების გეგმა მიღებული იქნა საშინაო ვაჭრობის სამინისტროს მიერ, რომელიც იაპონიის ბანკთან ურთიერთობით აწარმოებდა ინვესტიციურ პროცესებს ქვეყანაში და ხელს უწყობდა მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაზრდას. ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩარევის ასეთი ფორმები საფრანგეთშიც შეიმჩნეოდა, სადაც მემარჯვენეებიცა და მემარცხენეებიც ყოველთვის აღიარებდნენ ეკონომიკური დაგეგმვის აუცილებლობას, ხოლო უმაღლესი ჩინოვნიკები თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნევდნენ ნაციონალური ინტერესების საგუშაგოზე დგომას, ეკონომიკური განვითარება ასევე მიდიოდა „პარტნიორული სახელმწიფოს“ გზით, რომელიც აკავშირებს სახელმწიფოს დიდ ბიზნესთან და პროფკავშირებთან. საბოლოოდ, ეკონომიკური გლობალიზაციის კვალდაკვალ წარმოიქმნება სახელმწიფოები, რომლებიც ადგანან კონკურენციის გზას. ისინი ეკონომიკურ ვეფხვებად ითვლებიან (tiger economies) აღმოსავლეთ აზიაში: აქ სახელმწიფოს გამოყოფილი აქვს სისტემატიური საერთაშორისო კონკურენციის საფუძველზე განვითარების შორსგამოზნული სტრატეგიის გამომუშავების ფუნქცია.

სოციალურ-დემოკრატიული სახელმწიფო

იმ დროს, როდესაც განვითარებადი სახელმწიფო მიმართავს ეკონომიკაში ჩარევის გზას ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად, სოციალ-დემოკრატები აკეთებენ ამასვე „სოციალური თანასწორობის“ ლოზუნგებით (social justice) სოციალური ურთიერთობების შეცვლის მიზნით. ავსტრალიასა და შვედეთში სახელმწიფო ყოველთვის იყენებდა როგორც განვითარების პრიორიტეტებს, ასევე სოციალ-დემოკრატიულ პრინციპებს. მიუხედავად ამისა,ამ მიდგომებს შორის არსებობს ურთიერთწინააღმდეგობები. როგორც დიდი ბრიტანეთის მაგალითზე დაგვანახა დევიდ მარკანდმა, მეორე მსოფლიო ომის დასრულების პერიოდში სახელმწიფომ საფუძვლიანი ევოლუცია განიცადა სოციალ-დემოკრატიული მიმართულებით, ის არ გახდა განვითარებადი სახელმწიფო. სოციალ-დემოკრატიული გაგების გასაღები იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ქვეყნებში მოხდა საზოგადოებაში ძვრა „ნეგატიურიდან“ „პოზიტიურისკენ“, რაც გახდა ადამიანის თავისუფლების გაფართოების მიზეზი. ამ ფონზე სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო უცებ გახდა იდეალი როგორც ახალი თაობის ლიბერალებისთვის, ასევე სოციალ-დემოკრატებისთვისაც.

სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოს მიზანი მდგომარე-

ობს არა იმდენად კარგი, წესიერი ცხოვრების პირობების შექმნაში, არამედ იგი თვითონ მიისწრაფვის ამ ცხოვრებაში მონაწილეობისკენ, რათა საზოგადოებას დაეხმაროს საბაზრო ეკონომიკის ნეგატიური გამოვლინების დასათრგუნავად, ამიტომ იგი ნაკლებადაა ორიენტირებული მატერიალურ მიზნებზე და უფრო მეტ ყურადღებას უთმობს თანასწორ და სამართლიან განაწილებას. პრაქტიკაში საუბარი მიდის სიღარიბის აღმოფხვრასა და სოციალური უთანასწორობის შემცირებაზე. სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოს ორ დიდ ვეშაპს წარმოადგენენ **კეინზიანელობა და სოციალური დახმარების სისტემა.** კეინზიანელების ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია მართოს კაპიტალიზმი ისეთი სახით, რომ უზრუნველყოს ეკონომიკის აღმავლობა და სრული დასაქმება. მაგრამ ეს ყველაფერი არ გამორიცხავს ცენტრალური დაგეგმვის ელემენტებს, კლასიკური კეინზიანური სტრატეგია დამყარებულია მოთხოვნილების მართვის ფიქსირებულ ინსტრუმენტზე. ამის საფუძველზე წარმოიქმნა კეთილდღეობის სახელმწიფოები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან თავიანთი მოქალაქეების საცხოვრებელი პირობების განვითარებისათვის.

ტოტალიტარული სახელმწიფო

სახელმწიფოს ჩარევის ყველაზე უხეში და ყოვლისმომცველი ფორმები საზოგადოებრივ ცხოვრებაში იკვეთება ტოტალიტარულ სახელმწიფოში. ტოტალიტარიზმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნას ისეთი სახელმწიფო, რომელიც კაცობრიობის ყოფის ყველა მხარის მომცველი იქნება. ასეთი სახელმწიფო თავისი კონტროლის ქვეშ აყენებს არა მხოლოდ ეკონომიკას, არამედ კულტურას, რელიგიას, ოჯახურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებს. ტოტალური რეჟიმის დამახასიათებელი სახელმწიფოები – ჰიტლერის გერმანია და სტალინური საბჭოთა კავშირია, მაგრამ დღესად არსებობს ამ ნიშნების მატარებელი სახელმწიფოები. ასეთი სახელმწიფოები დამოკიდებულები არიან პოლიციაზე, სახელმწიფო კონტროლზე და მათ იდეოლოგიურ განშტოებებზე. რა თქმა უნდა, აქ სამოქალაქო სფერო სრულიად განადგურებულია და „პირადი“ ცხოვრება უფრო გართულებულია. ამისკენ მიისწრაფოდნენ იტალიელი ფაშისტები, რომ „პიროვნება“ სრულიად ჩაეხშოთ საზოგადოებაში. ფიქრობენ, რომ მუსოლინის იდეა ტოტალიტარული სახელმწიფოს შესახებ, უახლოვდება ჰეგელისებურ „ეთიკური საზოგადოების“ გაგებას, როგორც, რომელიც მიჯაჭვულია ალტრუიზმთან.

კოლექტივილიზირებური სახელმწიფო

თუ ჩვენს მიერ განხილული სახელმწიფოები ახორციელებენ ჩარევას ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ეკონომიკის მხარდაჭერის მიზნით, კოლექტივიზირებული სახელმწიფო ეკონომიკას აქცევს საკუთარი კონტროლის ქვეშ. ასეთი სახელმწიფოების ყველაზე ცნობილი მაგალითებია – სსრკ და თითქმის მთელი აღმოსავლეთ ევროპა სოციალისტური ბანაკის დაშლამდე. თავის მთავარ მიზნად კოლექტივიზირებული სახელმწიფო ისახავდა სადი ეკონომიკის შექმნას, მართვადი სამინისტროების ქსელითა და დაგეგმვის ორგანოებით. ასე წარმოიქმნა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკა ფუნქციონირებადი დირექტიული დაგეგმვის პრინციპებზე და მართვადი კომუნისტური პარტიის მიერ. სახელმწიფოებრივი კოლექტივიზაციის იდეა წარმოიქმნა უფრო ფართო სოციალური დოქტრინიდან, საერთო ქონების უპირატესობაზე და არა კერძო საკუთრებაზე. მთელი პრობლემა მხოლოდ იმაშია, რომ ამ მიზნის განხორციელებისთვის საჭირო იყო უფრო მეტად კონსტრუქციული მიდგომა სახელმწიფოსადმი, ვიდრე წარმოდგენილია მარქსისა და ენგელსის ნაშრომებში.

მარქსი და ენგელსი არ გამორიცხავდნენ ნაციონალიზაციის აუცილებლობას. ენგელსი თვლიდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში სახელმწიფო კონტროლი უნდა იქნეს დამყარებული ფაბრიკებზე, ბანკებზე, ტრანსპორტზე და ა.შ. მაგრამ ისინი ხედავდნენ პროლეტარიატში მხოლოდ დროებით მოვლენას. ამის საწინააღმდეგოდ სსრკ არ წავიდა გადაშენების გზით – პირიქით, იგი თანდათანობით იკრეფდა ძალას. სტალინის დროს სოციალიზმი გახდა ეტატიზმის ტოლი, ხოლო სოციალიზმის მშენებლობას თან სდევდა სახელმწიფოს პრეროგატივების გაფართოვება და აპარატის გაძლიერება. საბოლოოდ, როცა ხრუშჩოვმა 1962 წ. გამოაცხადა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დრო დასრულდა, სახელმწიფოს დაერქვა ერთიანი საბჭოთა ხალხის სახელმწიფო.

გლობალიზაცია და სახელმწიფო

სახელმწიფოსთვის და ერისათვის ყველაზე დიდი საშიშროება მოაქვს გლობალიზაციის პროცესს. საერთოდ, გლობალიზაცია ეს არის პროცესი, როცა პლანეტის ერთ წერტილში მომხდარ მოვლენას დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია პლანეტის მეორე წერტილში მყოფი ხალხის ცხოვრებაზე. ამის ერთ-ერთი მაგალი-

თია გლობალური ეკონომიკას, სადაც ცალკეულ სახელმწიფოს აღარ შეუძლია გავლენა იქონიოს საერთაშორისო კაპიტალის დინებაზე. ამ ყველაფრის შედეგი ბევრი სახელმწიფოსთვის დრამატულია. ნათელი გახდა, რომ სახელმწიფოს რჩება საკმაოდ შეზღუდული შესაძლებლობები საკუთარი ეკონომიკის მართვისათვის, უფრო მეტიც, გლობალურ კონტექსტში „ნაციონალური“ ეკონომიკური სტრატეგია საერთოდ არ ფუნქციონირებს. დაიწყო საერთო უკანდახევა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკისაგან, რადგან საერთაშორისო კონკურენციის გაძლიერებამ გამოიწვია გადასახადებისა და ხელფასების შემცირების საჭიროება. გლობალიზაციის გამოვლინებაა ისიც, რომ დღეს სახელმწიფოს უჭირს მრავალნაციონალური კომპანიების კონტროლი – კორპორაციებს უადვილდებათ მომსახურებისა და ინვესტიციების გადაადგილება მთელ მსოფლიოში. დიდი გავლენა აქვს პოლიტიკურ გლობალიზაციასაც, ეს ჩანს საერთაშორისო და ნაციონალურ ორგანიზაციებში, როგორებიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპის კავშირი, ნატო და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ევროპის კავშირში სახელმწიფო ძალაუფლებას ემუქრება ეროზია, რადგან ყველაზე სერიოზული გადაწყვეტილებები მიიღება საყოველთაო ევროპულ და არა ეროვნულ დონეზე.

არსებობს მოსაზრება, რომ გლობალიზაციას მივყავართ სახელმწიფოს ძირფესვიანი გარდაქმნისაკენ ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. სუვერენიტეტის იდეა, როგორც სახელმწიფოებრიობის ნიშანი და როგორც სახელმწიფოს მეფობის იდეა, გარკვეულ ტერიტორიაზე უკვე მთლიანადაა ამოწურული, ყოველ შემთხვევაში. დღევანდელი სახელმწიფო ფუნქციონირებს „პოსტ-სუვერენულ“ პირობებში – საზღვრების გახსნისა და საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების პირობებში. მაგრამ ამ ყველაფერს არ მივყევართ სახელმწიფოს გაქრობისკენ, ვინაიდან შეიძლება წარმოიქმნას ახალი ტიპის სახელმწიფო. სოციალ-დემოკრატიული ორიენტაციისა და კოლექტივიზებურის მსგავსი სახელმწიფოს ადგილას მოდიან „კონკურენციის“ უნარის მქონე სახელმწიფოები, რომლებიც უკეთესად მოერგნენ გლობალური ეკონომიკის მოთხოვნებს. დღეს ყველაზე მეტად ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ გაზარდონ განათლების ხარისხი და პროფესიონალური მომზადება,რათა იპოვონ გზა ეკონომიკური წარმატებისკენ ახალ მაღალტექნოლოგიურ ეკონომიკაში, გააძლიერონ ბაზრის რეაგირების შესაძლებლობები ახალ გამოძახებაზე, გადაწყვიტონ ამა თუ იმ სოციალური ჯგუფების პრობლემა და ამ ყველაფერთან ერთად შეინარჩუნონ და გააძლიერონ საზოგადოების მორალური მდგომარეობა. პოლიტიკურ გლობალიზაციას, შეუძლია როგორც გაზარდოს

სახელმწიფოს ძალაუფლება და ასევე შეამციროს კიდევაც. ასეთი შემთხვევისთვის წარმოიშვა „გაერთიანებული სუვერენიტეტის“ კონცეფცია. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოები, რომლებიც იმოქმედებენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, იქნებოდნენ სუსტები და არაეფექტურები, ხოლო გაძლიერდებიან, თუ კი ითანამშრომლებენ საერთაშორისო და რელიგიური ინსტიტუტებთან შეთანხმებით. აქ მაგალითად გამოგვადგება ევრიკავშირის მინისტრების კრება – იგი არის ევროკავშირის მთავარი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც შექმნეს წევრმა სახელმწიფოებმა საერთო ევროპულ ფორუმზე, სადაც მიიღება საერთაშორისო გადაწყვეტილებები.

1980-1990 წლებში აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში აღნიშნული იყო ყველაზე აგრესიული თავდასხმები სახელმწიფოზე „ახალი მემარჯვენეების“ მიერ. ეს ახალი მოძრაობა გამოიხატა დერეგულიზაციაში,პრივატიზაციასა და სამუშაო პრინციპების შეღწევით საზოგადოების დახმარებაში. ამისდა მაგვარი მიმდინარეობა სხვა ქვეყნებშიც დაიწყო. ყველაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა პოსტკომუნისტურ აღმოსავლეთში, სადაც სწრაფად მოხდა სახელმწიფო მანქანის დემონტაჟი. ყველა ცალკეულ სახელმწიფოში „სახელმწიფო დაქანების“ ტემპი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენად მოქმედებდა იქ ანტისახელმწიფო ფილოსოფია **„კერძო კარგია – საზოგადოებრივი ცუდია“**, მაგრამ მოქმედებდნენ უფრო ძლიერი ფაქტორებიც. პირველ რიგში საუბარი მიდის იმ ზეწოლაზე, რომელიც აძლიერებს საერთაშორისო კონკურენციას და აქედან გამომდინარე უფრო ეფექტური და მოქნილი პოლიტიკის შექმნის აუცილებლობაზე – **„სახელმწიფოდან“ „მაკრო მმართველობისაკენ“.**

მმართველობის ძველი მეთოდები, რომლებიც წარმოგვიდგენენ ხელისუფლების მკაცრ იერარქიას, რომლებიც უკვე არ მოქმედებენ საზოგადოებასთან მიმართებაში და სახელმწიფოსა და საზოგადოების მკაცრი გაყოფა, როგორც ჩანს, მოძველდა.

სუბსახელმწიფოებრივი მმართველობისას საბოლოოდ სახელმწიფო ეჯახება კიდევ ერთ გამოწვევას, რომელიც გამომდინარეობს მმართველობის დეცენტრალიზების ყველაზე პოპულარული მოთხოვნიდან, გადაიტანონ მისი ფუნქციები საყოველთაო ნაციონალურიდან ადგილობრივი მმართველობის დონეზე და შემდგომში კიდევ უფრო გააღრმავონ პატარა საზოგადოებრივ დაჯგუფებებში. რა თქმა უნდა, ეს პროცესი არ ატარებს საყოველთაო ხასიათს, მაგრამ მსოფლიოს ბევრ ადგილებში ლოკალური პოლიტიკის როლი მკვეთრად გაიზარდა. მაგ. დიდ ბრიტანეთში 1999 წელს შეიქმნა შოტლანდიის პარლამენტი და უელსის ასამბლეა, რამაც დაახლოვა სახელმწიფო ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა ესპანეთი, საფრანგეთი და იტალია,

სადაც პოლიტიკური პროცესი უკვე დიდი ხანია მიდის მმართველობის ქვემოთ გადაცემის ხაზით. შოტლანდიისათვის გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითთმმართველობის არჩევის ფართო სისტემა, ეს დღეს უფლებას გვაძლევს დიდ ბრიტანეთზე ვილაპარაკოთ, როგორც ფედერაციულ რესპუბლიკაზე. ევროპაში განვითარება ჰპოვეს ისეთმა ძლიერმა ტენდენციებმა, რომ გამოვიდა დოქტრინა „ევროპის რეგიონები“, დოქტრინის თანახმად ადგილობრივი ინსტიტუტები და ჯგუფები იღებენ უფრო და უფრო მეტ უშუალო მიდგომის საშუალებას ევროგაერთიანების ორგანოებთან ნაციონალური ხელისუფლების გავლით. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა მრავალდონიანი მმართველობის მეთოდები, რომლებიც მოიცავენ სუბსახელმწიფო, სახელმწიფო და ზესახელმწიფო ორგანოების მმართველობას. იქმნება სურათი, რომელიც სავსებით არ შეეფერება ტრადიციულ გაგებას სახელმწიფოს შესახებ. მსოფლიო გახდა ყველაზე დრამატული ძალების გამოვლინებისა და სახელმწიფოს სრული დაცემის მოწმე. ნაციონალურმა უთანხმოებამ 1993 წელს ჩეხოსლოვაკია მიიყვანა გაყოფამდე ჩეხეთად და სლოვაკეთად, 1990 წლის დასაწყისში იუგოსლავიაში ჩამოყალიბდა საშიში დაპირისპირება ნაციონალიზმსა და ეთნიკურს შორის, რასაც სამოქალაქო ომი და იუგოსლავიის დაშლა მოჰყვა.

დასკვნები

სახელმწიფო – ეს არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სუვერენულ მმართველობას მის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე. სახელმწიფო ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელიც გვევლინება, როგორც მისი ნაწილი, იქვემდებარებს ყველა სახალხო ორგანოსა და ქმნის ხელისუფლებას ამის საფუძველზე.

არსებობს სახელმწიფოს მრავალი თეორია. პლურალიზმის თეორეტიკოსები სახელმწიფოში ხედავენ არბიტრს საზოგადოებაში დაპირისპირებულ ძალთა შორის. მარქსიზმი დარწმუნებულია იმაში, რომ სახელმწიფო კლასობრივი სისტემის სადარაჯოზე დგას, იგი ავიწროვებს ღარიბ კლასებს, რითაც ვითომდა ახშობს კლასობრივ ანტაგონიზმს.

„ახალი მემარჯვენეები“ გვიხატავენ სახელმწიფოს მონსტრად, რომელიც ყოველთვის გაფართოებისკენ მიისწრაფვის. რადიკალური ფემინიზმის თეორეტიკოსები მიგვანიშნებენ სახელმწიფოში პატრიარქალური ნიშნების არსებობაზე, სადაც კაცის ბატონობაა საზოგადოებასა და პოლიტიკაში.

სახელმწიფოს იდეას ჰყავს საკუთარი პროტაგონისტები და

ანტაგონისტები. სახელმწიფოს პროტაგონისტები ხედავენ მასში ინდივიდის დაცვის საშუალებას ან კოლექტივიზირებული ქცევის საშუალებებს, ანტაგონისტები, თავის მხრივ, თვლიან, რომ სახელმწიფო ირეკლავს გაბატონებული საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესებს ან კიდევ სხვა რაიმე ინტერესებს, რომელიც გამოყოფილია საზოგადოებისგან.

ისტორიულად სახელმწიფოები ასრულებდნენ სხვადასხვა ფუნქციას, მცირე სახელმწიფოები ბიძგს იძლევიან საზოგადოებრივი ყოფის მოგვარებისაკენ. განვითარებადი სახელმწიფოები მიისწრაფიან ეკონომიკის განვითარებისაკენ და კავშირებისკენ. სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო მიისწრაფის შეცდომების გამოსწორებისაკენ. კოლექტივიზირებული სახელმწიფო აყენებს მთელ ეკონომიკურ ყოფას თავისი მმართველობის ქვეშ. ტოტალიტარული სახელმწიფო მთლიანად პოლიტიკურს ხდის მთელ საზოგადოებას და ართულებს მის ცხოვრებას.

თანამედროვე სახელმწიფო ეჯახება სხვადასხვა საშიშროებებს. მათ შორის მთავარია: გლობალიზაცია და ზენაციონალური ორგანოების ჩამოყალიბება.

თავი VI
ერები და ნაციონალიზმი

ერი, როგორც კულტურული და პოლიტიკური ერთობა

ყველა კითხვა, რომელიც იბადება ნაციონალიზმის ფენომენის გარშემო, უმეტეს შემთხვევაში მიმდინარეობს იქიდან, რომ არ არსებობს ერების ერთიანი გაგება. ტერმინი "ეროვნება" (ერი) მიესადაგება სრულად განსხვავებულ გამოვლინებებს – სახელმწიფოს, ქვეყანას, ეთნიკურ ჯგუფს.

ცხადია, სადავოა როგორია ეროვნების სახასიათო ნიშნები. რა განასხვავებს ერებს სხვა სოციალური ჯგუფებისაგან და სხვა გაერთიანებებისაგან.

ზუსტი განსაზღვრების მოცემა არ არის ადვილი, იმიტომ რომ ერები გვევლინება როგორც თვითმყოფადი, ობიექტური და სუბიექტური, შექმნილი კულტურული და პოლიტიკური ხასიათით. ობიექტური თვალსაზრისით ერი არის კულტურული გაერთიანება – იგივე, რაც ხალხის ჯგუფი, რომლებიც საუბრობენ ერთ ენაზე, აქვთ ერთი რელიგიური მრწამსი, აკავშირებთ საერთო ისტორიული წარსული და ა.შ. ზუსტად ასეთი გაგება დევს ნაციონალიზმის ტერმინში. მაგ: კანადაში ქ. კვებეკის მცხოვრებნი გამოირჩევიან იმით, რომ ისინი საუბრობენ ფრანგულად, როცა მთელი კანადა საუბრობს ინგლისურად. ეროვნული პრობლემები ინდოეთში უკავშირდება რელიგიურ დაპირისპირებას. მაგ: „სიქჰების დავა პუნჯაბში "მშობლიური სახლისათვის" – (ხალისტანი) ან ქაშმირელი მუსულმანების ბრძოლა ქაშმირის პაკისტანთან მიერთებისათვის. საქმე იმაშია, რომ ერის განსაზღვრა ერთი რომელიმე კონკრეტულ ფაქტორით შეუძლებელია, რადგან სინამდვილეში ერები თავის თავში აიგივებენ უფრო ფართო კომბინაციებს, სპეციფიკურ კულტურულ, ეთნიკურ და რასობრივ შტრიხებს. შვეიცარიელები დარჩნენ შვეიცარიელებად, იმის მიუხედავად, რომ ქვეყანაში ადგილობრივი დიალექტების გარდა საუბრობენ სამ ენაზე (ფრანგულად, გერმანულად და იტალიურად). განსხვავება კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის მკვეთრად ვლინდება სამხრეთ ირლანდიაში, დიდი ბრიტანეთის დანარჩენი ტერიტორიისთვის კი პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო გერმანიაში ეს პრობლემასაერთოდ არ არსებობს. ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ საბოლოო ჯამში ერი არის ის, რასაც სუბიექტურად იგებს მასზე მიკუთვნებული ხალხი – ეს თავისებური პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური კონსტრუქციაა.

სხვა ნებისმიერი ჯგუფის ან გაერთიანებისაგან ერს ანსხ-

ვავებს ის, რომ მასზე მიკუთვნებული ხალხი თვითონ აცნობიერებს თავს როგორც ერს. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ერებზე საუბარი შეიძლება მაშინ, როცა მასზე მიკუთვნებული ხალხი აცნობიერებს თავს მთლიან პოლიტიკურ გაერთიანებად, რაშიც გამოიხატება განსხვავება ერსა და ეთნიკურ ჯგუფს შორის. ეთნიკური ჯგუფიც ასევე დაკავშირებულია შინაგანი ერთიანობის გრძნობით და საერთო კულტურით, მაგრამ ერებისაგან განსხვავებით მას არ აქვს პოლიტიკური მისწრაფებები. ერები ხომ ისტორიულად ყოველთვის მისწრაფოდნენ იმისკენ, რომ მიეღოთ ან შეენარჩუნებინათ თავიანთი სახელმწიფოებრობა და დამოუკიდებლობა, უკიდურეს შემთხვევაში კი იმისაკენ, რომ უზრუნველეყოთ ავტონომია ან სრულუფლებიანი წევრობა ფედერაციის ჩარჩოებში, თუნდაც, სახელმწიფოების კონფედერაციაში.

ერები (ლათ. – nasci – დაბადება). ეს რთული ფენომენია წარმოქმნილი კულტურული, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების ერთობლიობით.

კულტურული გაგებით ერი წარმოადგენს ხალხის გაერთიანებას, დაკავშირებულთ საერთო ტრადიციებით, ენით, რელიგიითა და ისტორიით, თუმცა თითოეული ერისთვის ეს ფაქტორი ინდივიდუალურად მოქმედებს.

პოლიტიკური გაგებით ერი არის ხალხის გაერთიანება, რომელიც თავს აცნობიერებს, როგორც ბუნებრივად შექმნილ პოლიტიკურ ერთობას, რომელიც უპირველესად გამოხატავს მისწრაფებას სახელმწიფოებრიობის განვითარების ან შენარჩუნებისაკენ. ასევე ამ ერში სახელმწიფოებრიობის თვითშეცნობისკენ.

ფსიქოლოგიური გაგებით ერი არის ხალხის გაერთიანება, დაკავშირებული ერთმანეთთან შინაგანი ლოიალობითა და პატრიოტიზმით, მაგრამ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს ერის ობიექტურ განსაზღვრებას, რადგან მას ადამიანი ნებისმიერ შემთხვევაში მიეკუთვნება.

პრობლემის სირთულე მხოლოდ ამით არ განისაზღვრება. ნაციონალიზმის ფენომენი მაშინვე უსხლტება მკაცრ ანალიზს იმიტომ, რომ თვით საკუთარი მრავალსახეობები სხვადასხვაგვარად იგებენ ენებს. გამოყოფენ ორ კონცეფციას; პირველი – წარმოადგენს ერის უპირველესად კულტურულ ერთობად, ამასთანავე ხაზს უსვამს მატერიალურსა და სულიერს შორის ღრმა ეთნიკური კავშირების მნიშვნელობას.

მეორე აქცენტს აკეთებს სამოქალაქო – საზოგადოებრივ და პოლიტიკურ კავშირებზე. გვთავაზობს რა თავის შეხედულებას ერის წარმომავლობაზე, ორივე კონცეფციამ ჰპოვა ადგილი ნაციონალიზმის სხვადასხვა მიმდინარეობაში.

იდეა იმის შესახებ, რომ ერი უპირველეს ყოვლისა აღიქმება,

როგორც ეთნიკური და კულტურული ერთობა, სამართლიანად ითვლება ერის – "პირველ" (საწყის) კონცეფციად. (ლაფონტი, 1968)). ეს იდეა ფესვებს იღებს XVIII საუკუნის გერმანიაში ჰერდერისა და ფიხტეს (1762-1814) შრომებში.

ჰერდერის თანახმად ყველა ერის თვისება (ხასიათი) განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ბუნებრივი გარემო, კლიმატი და ფიზიკური გეოგრაფია, – ფაქტორებით, რომლითაც ფორმირდება ცხოვრების სტილი, შრომითი ჩვევები, უნარები, უპირატესობები და ადამიანთა მიდრეკილებები (კერძოდ, შემოქმედებითი).

უპირატესობას ჰერდერი ენის ფაქტორს ანიჭებს. მასში ის ხედავს ხალხისთვის დამახასიათებელ ტრადიციულ და ისტორიულ თვისებებს. ჰერდერის აზრით, ყველა ნაციას (ერს) გააჩნია თავისი „სული", რომელიც პოულობს გამოვლინებას სიმღერებში, მითებში, ლეგენდებში და არის ყველაფრის საწყისი ხელოვნებაში. ჰერდერის ნაციონალიზმი მიზანშეწონილია გავიგოთ, როგორც კულტურიზმი, სადაც პირველ პლანზე წამოწეულია ნაციონალური ტრადიციები და კოლექტიური მეხსიერება და არავითარ შემთხვევაში სახელმწიფოებრობა.

ჰერდერის კულტურიზმის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ერი არის ერთობა, რომელიც სათავეს ღებულობს შორეული წარსულიდან და იარსებებს მანამ, სანამ იარსებებს კაცობრიობა. ასეთივე პოზიციაზე დგანან თანამედროვე სოციალური ფსიქოლოგები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ხალხის მოთხოვნილებების შედეგად წარმოიქმნა დაჯგუფებები. მათ შეიძინეს უსაფრთხოების გრძნობა, ერთობა და თანამონაწილეობა.

კაცობრიობის ერებად დაყოფა, ამ თვალსაზრისით, განპირობებულია ადამიანთა მიდრეკილებით გაერთიანდნენ იმათთან, ვისთანაც ახლოს არიან წარმოშობით, კულტურითა და ცხოვრების წესით.

წიგნში "ერები და ნაციონალიზმი" (1983) ერნეს გელნერმა აჩვენა რომ ნაციონალიზმი დაკავშირებულია მოდერნიზაციასთან, განსაკუთრებით, ინდუსტრიალიზაციის პროცესით. მისი კონცეფციით, კაპიტალისტურ ეპოქამდე საზოგადოება შეკრული იყო სხვადასხვა კავშირებითა და კვანძებით, რომელიც ფეოდალიზმისათვის იყო დამახასიათებელი. წარმოქმნილმა ინდუსტრიულმა შენაერთებმა თვითონ დაადეს ფასი სოციალურ მობილურობას, დამოუკიდებლობასა და კონკურენციას; კულტურული ერთობის შესანარჩუნებლად საჭირო გახდა ახალი იდეოლოგია. ასეთი იდეოლოგიის როლი თავის თავზე აიღო ნაციონალიზმმა. პოსტულატმა ნაციონალიზმისა და მოდერნიზაციის კავშირის შესახებ გამოიწვია წინააღმდეგობა ენტონი სმიტის მხრიდან, რომელმაც ნაშრომში "ერების ეთნიკური ფესვები" (1986) აჩვენა შერწყმა თანამედროვე ერებსა და უძველესი დროიდან არსებულ ეთნიკურ ერთობებს შორის: ასეთ ერთობებს მან დაარქვა ეთნოსები.

სმიტის მიხედვით ერები არიან ისტორიულად განპირობებული ფენომენები, რომლებიც ყალიბდებიან არსებულ კულტურულ და ენობრივ მემკვიდრეობაზე. ეთნოსები წინ უსწრებენ ნაციონალიზმის სხვა ფორმას. სმიტი ადასტურებს იმ აზრს, რომ თანამედროვე ერები გაჩდნენ მაშინ, როცა უკვე ფორმირებულმა ეთნოსებმა აიტაცეს პოლიტიკური სუვერენიტეტის იდეა. ევროპაში ეს მოხდა XVIII-XIX ს.ს. მიჯნაზე, აზიასა და აფრიკაში – XX-ს-ში.

მიუხედავად იმისა, როგორ წყდება საკითხი ერის წარმოშობის შესახებ, სავარაუდოა, რომ ნაციონალიზმის ზოგიერთი ფორმა არის კულტურული და არა პოლიტიკური ხასიათის მატარებელი.

კულტურული ნაციონალიზმი ღებულობს ნაციონალური თვითდამკვიდრების ფორმას, გამოხატულს ერთობის სახით, სადაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ნაციონალურ სიამაყესა და თავმოყვარეობას. მაგალითად შეიძლება მოყვანილი იქნას ვალიის ნაციონალიზმი, რომელიც ვლინდება არა მხოლოდ დამოუკიდებლობის იდეოლოგიაში, არამედ ერის მისწრაფებაში შეინარჩუნოს ენა და კულტურა.

"შავი ნაციონალიზმი" აშშ-ი და დასავლეთ ინდოეთში, აგრეთვე ევროპის სხვადასხვა ნაწილებში კულტურული ხასიათისაა. მთავარ იდეას აქ წარმოადგენს ის, რომ შავკანიან ხალხს უნდა გააჩნდეს თავისი აზროვნება და თავმოყვარეობის გრძნობა.

გერმანელი ისტორიკოსი ფრიდრიხ მინეკსი ყოფს ერებს "კულტურულ" და "პოლიტიკურებად". მისი შეხედულებით "კულტურული" ერები ეთნიურად ერთგვაროვანნი არიან, ეთნოსი და ერი ერთ შემთხვევაში თითქმის სინონიმებია. კულტურულ ერებად თვლიდა ის ბერძნებს, გერმანელებს, რუსებს, ინგლისელებს, ირლანდიელებს. მაგრამ მის კონცეფციაში კულტურულ ერებს განეკუთვნებიან ისეთი ეთნიკური ჯგუფები, როგორიცაა – ჩეჩნები. ეს ერები ითვლებიან ორგანულ ერებად. ისინი წარმოიქმნენ ბუნებრივი ისტორიული და არა პოლიტიკური პროცესების დროს. "კულტურული" ერების ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არიან ისტორიულად დეტერმინირებული, მყარი და შინაგანად გაერთიანებული ნაციონალური ერთობა. მეორე მხრივ, ისინი აცხადებენ პრეტენზიას, იყვნენ ეთნოსის წევრები და დაიმკვიდრონ თავიანთი ნაციონალურობა". ასეთი ერები თავისთავს თვლიან დიდი ნათესაური ოჯახის წევრებად. არ შეიძლება გახდე რუსი, ინგლისელი, გერმანელი მარტო მისი ენის შესწავლით და რწმენის მიღებით. ასეთი გამონაკლისები

წარმოქმნიან ნაციონალიზმის ჩაკეტილ და კონსერვატორულ ფორმებს.

ისინი, ვინც ერს თვლიან პოლიტიკურ ორგანიზმად, აქცენტს აკეთებენ საზოგადოებრივ კავშირებზე მისი პოლიტიკური სპეციფიკით. ერი ამ ტრადიციით წარმოადგენს ხალხთა ერთობას, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულია კულტურით თუ ეთნიკური მდებარეობით.

იდეამ "საერთო თავისუფლების ნების" შესახებ ხორცი შეისხა ფრანგული რევოლუციის (1789 წ.) ნაციონალური დოქტრინებში. მმართველობა უნდა იყოს დამყარებული საერთო ნების პრინციპებზე, ის უარყოფდა როგორც მონარქიის, ასევე ყველა არისტოკრატული პრივილეგიების არსებობას. სუვერენიტეტი მომდინარეობს ხალხიდან. ფრანგულმა რევოლუციამ დაამკვიდრა ნაციონალიზმის ეს ახალი სახე, მისი იდეალებით თავისუფლებაზე, თანასწორობაზე, ძმობაზე, აგრეთვე თეორიით ერის შესახებ, რომელიც თავად წარმოადგენს ხელისუფლებას.

იდეა იმის შესახებ, რომ ერი არის პოლიტიკური და არა ეთნიკური ერთობა, გაიზიარა ბევრმა თეორეტიკოსმა. ერიკ ჰაბსბაუმმა იპოვა მრავალი მტკიცებულება, რომ ერები არ წარმოადგენენ არაფერს გარდა "შექმნილი ტრადიციებისა". ის ამტკიცებდა რომ მისი წარმოქმნა დაფუძნებულია მითზე და მითია ნაციონალიზმის წარმომქმნელი. ამ თვალსაზრისით ნაციონალიზმი წარმოშობს ერებს და არა პირიქით. კითხვითი ნიშნის ქვეშ ამ დროს დგება "მშობლიური ენის" იდეა, რაც გადაეცემა თაობიდან თაობას და მასში აისახება ნაციონალური კულტურა. სინამდვილეში ენაც განიცდის ცვლილებებს, რადგან ყველა თაობას შეაქვს მასში კორექტივები. ისმის კითხვა, შეიძლება ერი წარმოიქმნას თავისუფლებისკენ ლტოლვის ან დემოკრატის განვითარების შედეგად? თუ ეს უბრალოდ პოლიტიკოსების ეშმაკობის გამოვლინებაა.

მაინეკეს აზრით ასეთი ერების მიკუთვნება თავისუფლად შეიძლება ისეთ კატეგორიასთან, როგორიცაა "პოლიტიკური". ასეთი ერებისათვის მოქალაქეობის მომენტს აქვს უფრო სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობა, ვიდრე ეთნიკური მდებარეობას.

პოლიტიკური ერების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენენ ქვეყნები – დიდი ბრიტანეთი, აშშ და საფრანგეთი. ნაციონალობა ბრიტანელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მათთვის ძალიან ფასეულია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ტახტის ერთგულება, პარლამენტის მიმართ პატივისცემა და ა.შ.

აშშ არის ემიგრანტთა ქვეყანა. ნაციონალური იდენტურობა აქ არ შეიძლებოდა განვთიარებულიყო, რადგან არ არსებობს საერთო კულტურულ-ისტორიული საწყისები, ამერიკული ერის იდეა ჩამოყალიბდა განათლების, კულტივირებისა და პატივისცემის საფუძველზე. ისეთი საერთო ღირებულებების მიმართ, როგორიცაა თავისუ-

ფლების დეკლარაცია და აშშ კონსტიტუცია.

ანალოგიურად ფრანგების ნაციონალური იდენტურობა ემყარება ფრანგული რევოლუციის პრინციპებს (1789 წ).

ასეთი ერებისათვის დამახასიათებელია ერთი რამ. ისინი ჩამოყალიბდნენ ნებაყოფლობით. მისდევდნენ ერთ საერთო პრინციპს და მიზანს. მათთვის დამახასიათებელია ნაციონალიზმის განსაკუთრებული სტილი – ტოლერანტობა და დემოკრატიულობა.

ნაციონალური იდენტურობისაკენ სწრაფვის მომენტში დიდ წინააღმდეგობებს წააწყდნენ განვითარებადი ქვეყნებიც. ეს ერები ხასიათდებიან როგორც "პოლიტიკური" ორი გაგებით. პირველი – მათ სახელმწიფოებრიობა მოიპოვეს კოლონიალიზმის დამარცხების შემდეგ; მეორე – ისტორიულად ეს ერები ჩამოყალიბდნენ ყოფილი მეტროპოლების მიერ გამოყოფილ ტერიტორიულ საზღვრებში.

ნაციონალიზმის სახეები

ნაციონალიზმის პოლიტიკურ არსზე მიმდინარეობს ცხარე კამათი. ერთი მხრიდან, ის არის სავსებით პროგრესული და განმათავისუფლებელი ძალა. მეორე მხრივ, მას შეუძლია გადაიქცეს რწმენის ირაციონალურ და რეაქციულ სიმბოლოდ. ის ყოველთვის უკეთებდა დემონსტრირებას ყველა ხასიათის "პოლიტიკურ განშტოებას". ამ მიზეზის გამო შეიძლება უკეთ განვიხილოთ ნაციონალიზმი, როგორც ერთიანი პოლიტიკური ფენომენი, არამედ როგორც "ნაციონალიზმების" გაერთიანება, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტრადიციების ერთობლიობა, ერთმანეთთან დაკავშირებული იმით, რომ ყველა ერთად და თითოეული თავისებურად, აღიარებენ ერის პოლიტიკურ მნიშვნელობას.

როცა ყალიბდება ნაციონალიზმი კოლონიზატორული და დამპყრობლური სახით, სავარაუდოა, რომ იგი განმათავისუფლებელ ძალად არ მოგვევლინება. ის როდესაც ხდება სოციალური რღვევის და დემოკრატიული ცვლილებების ნაყოფი, როგორც წესი, ბრუნდება იზოლაციონიზმის იდეოლოგიით, ქსენოფობიის და რასიზმის მიუხედავად.

ნაციონალიზმი პოლიტიკურ სფეროში წარმოჩინდება შემდეგ სახეობებში.

- ლიბერალური ნაციონალიზმი (liberal nationalizm).
- კონსერვატორული ნაციონალიზმი (Konservative..)
- ექსპანსიური ნაციონალიზმი (Expansionist..)
- ანტიკოლონიური ნაციონალიზმი (anticolonial..)

ლიბერალური ნაციონალიზმი

ლიბერალური ნაციონალიზმი შეიძლება ჩაითვალოს ევროპული ლიბერალიზმის კლასიკურ ფორმად.

კონტინენტალურ ევროპაში ნაციონალად ყოფნა ნიშნავდა ლიბერალობას და პირიქით. ყველაზე მკვეთრად ეს გამოვლინდა იტალიის განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ("რისორჟომენტო"-აღორძინება), რომლის მთავარი ფიგურაც იყო ჯუზეპე მაზინი. ჯუზეპე მაზინი (1805-1872) – იტალიური ნაციონალური მოძრაობის ლიდერი. ლიბერალური რესპუბლიკანიზმის ურყევი მიმდევარი. გადაასახლეს ჯერ საფრანგეთში, შემდეგ ინგლისში. 1848 წელს, როცა ევროპას რევოლუციის ტალღამ გადაუარა, ის ცოტა ხნით ჩამოვიდა იტალიაში და მიიღო მონაწილეობა მილანის განთავისუფლებაში. 1848 წლის შემდეგ მაზინი იტალიაში აღარ დაბრუნებულა. მისმა შრომებმა დიდი გავლენა მოახდინეს ევროპასა და ამერიკელ ემიგრანტებზე. ასეთივე მსოფლმხედველობას იზიარებდა სიმონ ბოლივა, რომელიც სათავეში ედგა ლათინოამერიკულ განმათავისუფლებელ მოძრაობას XIX საუკუნეში. მან დიდი წვლილი შეიტანა ესპანელთა განდევნაში ("ესპანური ამერიკიდან"). ლიბერალური ნაციონალიზმის განსაკუთრებულობა აიხსნება იმით, რომ ის აკავშირებს სუვერენიტეტის იდეით შეპყრობილ ერებს. რომ ევროპელი ნაციონალისტები XIX ს-ში იბრძოდნენ ისეთი მრავალენოვანი იმპერიის წინააღმდეგ, რომლებიც მძაფრად ავლენდნენ ავტოკრატიისა და დესპოტიზმის თვისებებს.

მაზინი იბრძოდა გააერთიანებინა არამარტო იტალიური სახელმწიფოები, არამედ გადაეგდო ავსტრიის ავტოკრატიული უღელი. ამიტომ ამ მოძრაობის მთავარი ლოზუნგი იყო ნაციონალური თვითგამორკვევის პრინციპი.

ერის თვითგამორკვევის უფლება – ეს არის პრინციპი,რომლის თანახმადაც ერი არის სუვერენული ერთობა; თვითგამორკვევა ამასთანავე გულისხმობს დემოკრატიულ მმართველობას.

ლიბერალური ნაციონალიზმი ეყრდნობა გარკვეულ პრინციპებს. ის არ ანიჭებს უპირატესობებს ერებს,პირიქით,მის ლოზუნგებში მოუწოდებს, რომ ყველა ერს აქვს თავისუფლებისა და თვითგამორკვევის უფლება. ამის მიხედვით, ლიბერალური ნაციონალიზმის იდეალად ითვლება სუვენერული ეროვნული სახელმწიფო. ლიბერალების თვალსაზრისით ნაციონალიზმი ხელს უწყობს არამარტო პოლიტიკურ თავისუფლებას, არამედ სტაბილურობის და მშვიდობის შესანარჩუნებლად მექანიზმების შემუშავებას. ლიბერალიზმისთვის ერების ცნება არ არის საბოლოო, ის იმის იქითაც იხედება. ამისთვის მას ორი მიზეზი გააჩნია. პირველი,როგორც ცნობილია, ლიბერალები ინდივიდუალიზმის პოზიციებს ეყრდნობიან. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ყველა ხალხი, მიუხედავად რასისა, სარწმუნოებისა, სოციალური სტატუსისა და ეროვნებისა, ტოლფასოვანია. ანიჭებენ რა ლიბერალები უფრო მეტ უპირატესობას ინდივიდებს,ვიდრე ერებს, მათთვის დასაშვებია ისიც, რომ შეიძლება დაირღვეს სუვერენიტეტი (ნაციონალური). ამასთანავე ლიბერალიზმისთვის დამახასიათებელია სიფრთხილე. სუვერენული ეროვნული სახელმწიფო შეიძლება დაეშვას "საწყის, ჩვეულებრივ მდგომარეობამდე", რადგან განუსაზღვერლი თავისუფლება აძლევს ხალხს ერთმანეთის დაჩაგვრის საშუალებას, ასეთი სახელმწიფოები ეროვნული სახელმწიფოს ლოზუნგს ამოფარებული შეიძლება ატარებდეს ექსპანსიონისტურ და დამპყრობლურ პოლიტიკას. თავისუფლება არ უნდა ეჯახებოდეს კანონებს, ეს ეხება როგორც ინდივიდს, ასევე ერს. აი ამიტომ, ლიბერალები ყოველთვის პირველები იდგნენ ორგანიზაციების რიგებში, საერთაშორისო უფლებების სისტემების გასაძლიერებლად და შესანარჩუნებლად. (ეს წევრი ქვეყნებია გაერო,ევროსაბჭო,ეროვნული ლიგა).

ლიბერალური ნაციონალიზმის კრიტიკა წარმოებს ორი მიმართულებით.

პირველი: მათ მომხრეებს ადანაშაულებენ, რომ ისინი ხედავენ მის მხოლოდ ნათელ მხარეებს, მათი ნაციონალიზმი ძალიან შელამაზებულია, ტოლერანტული და რაციონალური. ისინი თვალებს ხუჭავენ მის შავ-ბნელ საქმეებზე, როცა ხალხს ყოფენ ორ ჯგუფად "მე" და "ისინი" (ტრაიბოლიზმის გამოვლინება).

მეორე: არასწორად შეიძლება ჩაითვალოს ეროვნულ სახელმწიფოთა ერთობის სახით სამყაროს მოწყობის ლიბერალურ-ნაციონალური იდეალი, რომელიც თავის დროზე პერსონიფიცირებული იყო ვ. ვილსონის ფიგურაში, მას თავის დროზე ემხრობოდა ევროპის საკმაოდ დიდი ნაწილი. რომლებიც თვლიდნენ, რომ თითქოს ერები იკავებდნენ მკაფიოდ გარკვეულ და მათთვის ხელსაყრელ სივრცეებს და სახელმწიფოები უნდა ჯდებოდნენ მკაცრად გამიჯნულ ტერიტორიულ საზღვრებში. სინამდვილეში ეროვნული სახელმწიფოები მოიცავენ უამრავ რელიგიურ, ენობრივ და რეგიონალურ დაჯგუფებებს, რომელთაგანაც რომელიღაც მაინც გამოთქვამს პრეტენზიას "ერის" სტატუსზე. მაგ.: ყოფილი იუგოსლავია, რომელიც თავის დროზე ვერსალელმა მშვიდობისმყოფელებმა განსაზღვრეს, ჩათვალეს, როგორც "სლავთა ქვეყანა". სინამდვილეში ის ყოველთვის დასახლებული იყო სხვადასხვა რელიგიურ-ეთნიკური ერთობებით, რომელთაც გააჩნდათ ენა და ისტორია. ამას მოჰყვა ეთნიკური წმენდის საშიშროება და ეს მოხდა კიდეც ბოსნიელი სერბების მხრიდან.

კონსერვატორიული ნაციონალიზმი

კონსერვატორული ნაციონალიზმი ჩამოყალიბდა უფრო გვიან, ვიდრე ლიბერალური ნაციონალიზმი. დროის მსვლელობის კვალდაკვალ ისინი ერთმანეთს უახლოვდებოდნენ. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ბისმარკი, რომელიც მზად იყო დაეყენებინა გერმანული ნაციონალიზმი პრუსიის სადარაჯოზე და დიზრაელი მისი იდეალით "ერთი ერის" - შესახებ.

დღევანდელ სამყაროში, ნაციონალიზმი გახდა რწმენის სიმბოლო ბევრისთვის, კერძოდ, კონსერვატორებისთვის. დიდ ბრიტანეთში ეს აისახა ომის შემდეგ (ფოლკლენდის ომი 1982 წ. – გამოუცხადებელი ომი ბრიტანეთსა და არგენტინას შორის), როცა ბრიტანეთი აცხადებდა პრეტენზიას ფოლკლენდის კუნძულებზე.

ნაციონალიზმის გამოვლინება იყო აგრეთვე აშშ-ს საგარეო პოლიტიკის გააქტიურება – რეიგანის დროს, როცა ის შეიჭრა გრენადაში და დაბომბა ლივია. ბუშის დროს – შეიჭრნენ პანამაში და იომეს სპარსეთის ყურეში.

კონსერვატორული ნაციონალიზმის მიმდევრების საფიქრალია არა ნაციონალური თვითგამორკვევა მსოფლიო მასშტაბით, არამედ გზები, რათა მოიპოვონ სოციალური ერთობა და საზოგადოებრივი წყობა. ერი მათი გაგებით არის "ორგანული ერთი საერთო", რომელიც მიილტვის იმათკენ, ვისაც მის მსოფლმხედველობას იზიარებს, ჰგავს ცხოვრების წესით და გარეგნულადაც მისი შესაფერია – ერთი სიტყვით უშიშროებას და თანამონაწილეობას ისინი ეძებენ და პოულობენ მხოლოდ ნაციონალურ ერთობებში.

ითვლება, რომ იმიგრაციას შეუძლია დაშალოს ჩამოყალიბებული ნაციონალური, კულტურული და ეთნიკურად იდენტური ერთობა, ის შეიძლება გახდეს მუდმივი მტრობისა და კონფლიქტების მიზეზი. კონსერვატორული ნაციონალიზმის ლოზუნგით ტარდება ანტიიმიგრაციული კომპანიები ბრიტანეთის ნაციონალურ პარტიაში. ნაციონალური იდენტურობის სხვა საფრთხე განიხილება ზენაციონალური სტრუქტურებისა და გლობალიზაციის კულტურის განვითარების დროს.

თუ კონსერვატორული მმართველობა მხარს უჭერს საზოგადოებრივ ენთუზიაზმს შიდაპოლიტიკური აქციებით, მაშინ ეს მიუთითებს პოლიტიკოსების ოპორტუნიზმზე. კულტურული სიწმინდის შესანარჩუნებლად და გამყარებული ტრადიციების ხელშეუხებლობისათვის კონსერვატორები ემიგრანტებს და უცხოელებს განიხილავენ, როგორც მუდმივ საშიშროებას ერისათვის.

ექსპანსიონისტური ნაციონალიზმი

ნაციონალიზმის მესამე ფორმა ატარებს აგრესიულ, ექსპანსიონისტურ თვისებას. ექსპანსიონიზმში მრავალმხრივ უპირისპირდება ლიბერალურ ნაციონალიზმს თანასწორობისა და თვითგამოკვლევის პრობლემებთან დაკავშირებით. პირველად თავისი აგრესიულობა ამ ტიპმა გამოავლინა XIX საუკუნის ბოლოს,როცა ევროპულმა სახელმწიფოებმა ნაციონალური დიდების მოსაპოვებლად გააჩაღეს ომები აფრიკისათვის. კოლონიალური პოლიტიკისაგან ევროპული ნაციონალიზმი გამოირჩეოდა იმით, რომ მასში პირველად გამოვლინდა საზოგადოებრივი ნაციონალიზმი, (სახალსო ნაციონალიზმი), რომელთა თვალშიც იმპერიის შექმნა იყო საკითხი ნაციონალური პრესტიჟისათვის უპირველესი საკითხი.

ტერმინი (ექსპანსიონისტური) – ეკუთვნის ფრანგ ნაციონალისტს შარლ მორეს, "აქსიონ ფრანსეს" ორგანიზაციის პირველი ფრთის ლიდერს ("აქსიონ ფრანსე" – მონარქიულ-რელიგიური ორგანიზაცია საფრანგეთში, 1899 დაარსდა წ. შეწყვიტა არსებობა 1944 წ.). ის ქადაგებდა ერის აბსოლუტურ პირველობას, რომელიც ახლოს იყო ფორმულასთან "ერი-ყველაფერია, ადამიანი-არაფერი". ერის არსებობის ცნება მისთვის იმდენად ამაღლებული იყო, რომ ადამიანი მასში (ამ ერის შემადგენლობაში) მაშინ ღებულობდა მნიშვნელობას, როცა ის მთლიანად დაუთმობდა თავის თავს ნაციონალურ მოძრაობას.

ასეთი იდეოლოგიები მთლიანად წყვეტს კავშირს ნაციონალიზმსა და დემოკრატიას შორის. ნაციონალიზმის აგრესიული ფორმა ახოცირდება შოვინიზმთან, (ეს სიტყვა წარმოიშვა "ნიკოლა შოვენის" სახელისაგან). აქ საუბარიც კი არ შეიძლება ერთა შორის თანასწორობაზე. იგულისხმება, რომ ერები ბევრია და ყველას თავისი გზა აქვს – ერთნი გაჩნდნენ საბატონოდ, მეორენი-დასამორჩილებლად. თავის ერს შოვინისტი თვლის ერთადერთად და განუმეორებლად – "ხალხის რჩეულად".

ექსპანსიური ნაციონალიზმის კიდევ ერთ ლეიტმოტივად წარმოგვიდგება ნაციონალური აღმავლობის (აღორძინების) იდეა.

ეროვნული სახელმწიფოს მომავალი

ეროვნული სახელმწიფო – ეს არა მხოლოდ პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმაა, არამედ პოლიტიკური იდეალიცაა. პირველ შემთხვევაში ეს არის დამოუკიდებელი ერთობა, რომელიც შეკრულია

ერთიანი მოქალაქეობით და ნაციონალიზმით. ამ მხრივ იგი ეწინააღმდეგება მრავალნაციონალურ იმპერიებს და სახელმწიფოებს.

მეორე შემთხვევაში ეს არის პრინციპი,მაზინის მიერ ჩამოყალიბებული "ერთი ერი – ერთი სახელმწიფო".

XX საუკუნის დასასრულს სულ უფრო ხშირად დაიწყეს საუბარი, რომ დასრულდა ნაციონალური იდეოლოგიების ეპოქა, იმიტომ, რომ მათ სავსებით ამოწურეს თავისი ამოცანა – შეექმნათ ეროვნულ სახელმწიფოთა სამყარო.

თვითონ ისტორია მუშაობს ამგვარი სახელმწიფოს შექმნაზე. ამგვარი სახელმწიფოს ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ის ერთდროულად აერთიანებს საზოგადოებას პოლიტიკური და კულტურული ფაქტორებით ეთნიკურ ერთობათა საზღვრებში, სადაც გაერთიანებულნი არიან საერთო წარსულისა და კულტურის მქონე ხალხი, იგი ამ შემთხვევაში იდეალურად ემთხვევა – მოქალაქეობის სფეროს. ამიტომ ბევრი ამბობს, რომ ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოქმნა თავის დროზე განპირობებული იყო ბუნებრივი და კანონზომიერი პროცესებით, სხვა საზოგადოებრივი ჯგუფი არ შეიძლებოდა ისტორიულად ჩამოყალიბებულიყო მყარ პოლიტიკურ ერთობად – გარდა ერისა.

რამდენადაც ეროვნული სახელმწიფოები ასე თუ ისე არის მრავალგვარი ეთნოსისა და კულტურის მქონე, ამიტომაც ეთნიკურ ფონზე პოლიტიკის გატარება წარმოადგენს ეროვნული სახელმწიფოს მოდულს. ეროვნული სახელმწიფოს გარე საფრთხემ შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა. – ეს არის:

– შეიარაღების სფეროში პროგრესი (ატომური შეიარაღება).

– ეკონომიკის გლობალიზაცია – აქვს თუ არა მომავალი ეროვნულ სახელმწიფოს, სადაც არცერთი ნაციონალური მმართველობა პასუხს არ აგებს ეკონომიკაზე?

– თვითონ ეროვნულ სახელმწიფოს ინსტიტუტი, რომელიც საფრთხეს უქმნის გარემოს და ირღვევა გლობალური ეკოლოგიური თანასწორობა.

და ბოლოს, სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებისაგან, ეროვნული სახელმწიფოები განსხვავდებოდნენ იმით, რომ ის აერთიანებდა ხალხს საერთო ნაციონალური კულტურით და საერთო ტრადიციებით. დღეს კი ტრანსნაციონალური და გლობალური კულტურის წარმოშობა ასუსტებს მის ამ დადებით მხარესაც.

დასკვნები

ერის ბუნება განისაზღვრება კულტურული და პოლიტიკური ფაქტორების შერწყმით. კულტურული მხრიდან ერი წარმოადგენს ხალხთა ერთობას, დაკავშირებულს საერთო რელიგიით, ენით, ისტორიით და ტრადიციებით. საბოლოოდ ერები განსაზღვრავენ თავიანთ თავს როგორც ერთობას, რომელიც შეკრულია მოქალაქეობრივი აზროვნებით და მიილტვიან შექმნან ან შეინარჩუნონ სახელმწიფოებრიობა.

ნაციონალიზმი გვევლინება სხვადასხვა პოლიტიკური და კულტურული ფორმებით. კულტურული ნაციონალიზმი ატარებს ერის განახლების იდეას. პოლიტიკური ნაციონალიზმი ერს ხედავს, როგორც ჩაკეტილ ერთობას და ამიტომაც წინა პლანზე სწევს სუვერენიტეტისა და თვითგამორკვევის იდეას.

ზოგიერთი პოლიტიკური მოაზროვნე ნაციონალიზმს თვლის ახალი დროის ფენომენად, რომელიც დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციასა და დემოკრატიის განვითარებასთან. ზოგი მის ფესვებს უკავშირებს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. ნაციონალიზმი სხვადასხვაგვარია. ყოველი სახეობის ჩამოყალიბების შემთხვევაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისტორიული გარემოება და პოლიტიკური მიზნები, რომელსაც ისინი მისდევდნენ.

არსებობს პოლიტიკური ნაციონალიზმის რამდენიმე ნაირსახეობა: ლიბერალური ნაციონალიზმი ემყარება ერის თვითგამორკვევის საერთო უფლებას; კონსერვატორული ნაციონალიზმი უპირატესობას ანიჭებს პატრიოტისმს; ექსპანსიური ნაციონალიზმი არის აგრესიის და დამყრობლური ხასიათის მატარებელი; ანტიკოლონიალური ნაციონალიზმისთვის კი დამახასიათებელია ბრძოლა ნაციონალური და სოციალურ-ეკონომიკური განთავისუფლებისათვის.

თანამედროვე პოლიკულტურალიზმის ფილოსოფია ასე თუ ისე ყოველთვის ურყევს საფუძველს ნაციონალიზმს. ყველაზე ნაკლებ პრობლემას უქმნის ლიბერალურ ნაციონალიზმს,რამდენადაც ის ხედავს ერში უფრო მეტად პოლიტიკურ, ვიდრე კულტურულ-ეთნიკურ ერთობას და მოითხოვს, კულტურათა მრავალსახეობა არ ეწინააღმდეგებოდეს ტოლერანტობისა და პიროვნული თავისუფლების პრინციპებს. კონსერვატორები კი კულტურის მრავალსახეობაში ხედავენ ერისათვის პირდაპირ საფრთხეს, ხალხთა უნდობლობის, მტრობისა და ძალადობის საწყისს.

დღემდე პოპულარულობით სარგებლობს პოლიტიკური ორგანიზაციის ძირითადი ფორმა "ეროვნული სახელმწიფო". ის არის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ბირთვი. მას ბევრი ღირსება გააჩ-

ნია. ის აერთიანებს საზოგადოებას კულტურულად, პოლიტიკურად, ეთნიკურად, და აძლევს დამოუკიდებლობისა და თვითგამორკვევის უფლებას.

ახლანდელ დროში ეროვნული სახელმწიფოები აწყდებიან რიგ პრობლემებს. ვრცელდება სხვადასხვა ტენდენციები, რომლებსაც განაპირობებს ეთნიკური ფაქტორები. საჭიროა გამოინახოს გადაწყვეტილებები რათა თავი დააღწიონ საერთაშორისო ეკოლოგიური კრიზისიდან.

თავი VII
მსოფლიო პოლიტიკა

მე-20 საუკუნის დასასრულმა კაცობრიობას დაანახა, რომ მსოფლიო, გახდა ერთი „გლობალური სოფელი“. გლობალიზაციამ სრულებით შეცვალა პოლიტიკის ადრინდელი გაგება და თვით პოლიტიკური ურთიერთობების არსი. პოლიტიკის ტრადიციული აღქმა „ჩახლართული“ იყო სახელმწიფოსთან. სწორედ სახელმწიფო ითვლებოდა პოლიტიკაში მთავარ აქტორად, ხოლო პოლიტიკური ანალიზის ცენტრში სახელმწიფოს შემოქმედების ნაციონალური დონე იდგა. ასეთი გაგებიდან ბუნებრივად მომდინარეობდა ის, რომ შესაძლებელია გაგვევლო მკვეთრი ხაზი საგარეო და საშინაო პოლიტიკას შორის, ანუ მათ შორის რასაც ადგილი ჰქონდა ეროვნული სახელმწიფოს შიგნით და რაც ხდებოდა მის საზღვრებს გარეთ. ამ უკანასკნელს აანალიზებდა ახალი და დამოუკიდებელი დისციპლინა – „საერთაშორისო ურთიერთობები“. გლობალიზაციამ გააფერმკრთალა საზღვრები „საშინაო“ და „საგარეოს“ შორის, კაცობრიობა მიმართა ერთიანი „გლობალური საზოგადოების“ გზისკენ. მიუხედავად ამისა ეროვნული სახელმწიფო კვლავ მთავარ აქტორად ითვლება საერთაშორისო არენაზე, დღეს შეუძლებელია უარვყოთ ისიც, რომ მნიშვნელოვნად იზრდება ზეეროვნული ორგანოებისა და ტრანსეროვნული სტრუქტურების მნიშვნელობა.

მსოფლიო პოლიტიკის არსი და ძირითადი თეორიული სკოლები

პოლიტიკა რომ მიმართულია საზოგადოების არა მარტო შიგნით, არამედ გარეთაც, ხალხს ესმოდა უძველესი დროიდან, დაწყებული იმ ომებითა და კონფლიქტებით ქალაქ-სახელმწიფოთა შორის, რასაც ადგილი ჰქონდა ძველ საბერძნეთში. საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სისტემა წარმოიშვა მხოლოდ ცენტრალიზებული სახელმწიფოების წარმოშობის შემდეგ XVI-XVII სს. ამ პროცესმა თავისი გამოხატულება ჰპოვა ვესტფალიის შეთანხმებაში (1948 წ.), რომლითაც დასრულდა ოცდაათწლიანი ომი და ევროპულმა სახელმწიფოებმა პირველად, ოფიციალურად აღიარეს სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპი. მოგვიანებით სახელმწიფოთა ეროვნულ სისტემაში ჩაერთო აშშ, როცა 1908 წელს ესპანეთთან გამარჯვების შემდეგ მსოფლიო თანამეგობრობის თვალში იგი უდიდეს სახელმწიფოდ

იქცა და იაპონია, რომელმაც მიიღო იგივე სტატუსი 1904-1905 წლებში რუსეთთან გამარჯვებით. XIX საუკუნის ბოლოს იმპერიალიზმმა და ევროპულმა „ბრძოლამ კოლონიებისათვის“ აფრიკასა და აზიაში საერთაშორისო სისტემას შემატა ნამდვილი მსოფლიო.

მე-20 საუკუნე გახდა მომსწრე მსოფლიო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა. კონფლიქტური ურთიერთობები და თანამშრომლობა სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის გავრცელდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ყველაზე დრამატული სახით ეს გამოვლინდა პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) მეორე მსოფლიო ომისა (1939-1945) და „ცივი ომის“ (Cold War) პერიოდში.

XX საუკუნის ბოლოს ნათელი გახდა, რომ იცვლებოდა პოლიტიკური ცხოვრების არსი. კითხვის ქვეშ აღმოჩნდა თვით საშინაო და საგარეო პოლიტიკის ასპექტებად დაყოფა, ასე ჩვეულებრივი რომ იყო ადრე. დღეს ამ რთული და მრავალმხრივი ცვლილებების შესახებ საუბრობენ გლობალიზაციის სახელით.

სხვადასხვა ტენდენციების ანალიზისათვის დასაწყისში აუცილებელია გამოვარკვიოთ სხვადასხვა მიდგომები, რომელთა პოზიციიდანაც განიხილებოდა საერთაშორისო და მსოფლიო პოლიტიკა. ამ მხრივ არსებობდა შემდეგი ძირითადი სკოლები: იდეალიზმი; რეალიზმი; პლურალიზმი და მარქსიზმი.

იდეალიზმი

პოლიტიკური იდეალიზმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი საერთაშორისო პოლიტიკას აღიქვამს სამართლის მორალური ფასეულობებისა და ნორმების პოზიციიდან. მას ნაკლებად აინტერესებს ემპირიული ანალიზი (ანუ ის, თუ სახელმწიფოები რეალურად როგორ იქცევიან). უფრო მეტად ნორმატიული მომენტების (ანუ ის, როგორ უნდა იქცეოდნენ ისინი). ანალიზზე აკეთებს აქცენტირებას, ამიტომ მას ხანდახან განიხილავენ როგორც უტოპიის სახესხვაობას. ისტორიის მსვლელობისას შემუშავებულ იქნა პოლიტიკის იდეალისტური თეორიის მრავალი ტიპი. მაგალითად, შუა საუკუნეებში თომა აქვინელი (1224-1274) მსჯელობდა იმის შესახებ. თუ რაც წარმოადგენდა „სამართლიანი ომი“, რისთვისაც განიხილავდა მმართველთა მოქმედებებს ერთმანეთთან მიმართებაში, ზნეობრივი თვალსაზრისით. იგი ამტკიცებდა, რომ ომი შესაძლებელია გამართლებული იქნეს, თუ დაცულია სამი პირობა. **პირველი,** ომი უნდა გამოაცხადოს სრულუფლებიანმა მმართველმა; **მეორე,** საქმე, რის გამოც მიმდინარეობს ომი, სამართლიანი უნდა იყოს იმ აზრით, რომ

მისი მიზანი უნდა წარმოადგენდეს უსამართლობის გამოსწორებას; **მესამე,** ასეთ ომში უნდა ეყრდნობოდე სიკეთეს და გაექცე ბოროტებას, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცე სიმკაცრესა და სიხარბეს. მოგვიანებით ემანუელ კანტმა შემოგვთავაზა მსოფლიო მმართველობის პროექტის მსგავსი რამ. მისი აზრით, მორალი და გონება ერთდროულად ეუბნება ადამიანს, რომ არ უნდა იყოს ომი და მომავალში კაცობრიობა მიაღწევს „საერთო სამუდამო მშვიდობას“.

იდეალიზმის ფორმათა უმრავლესობა შეესაბამება ინტერნაციონალიზმს, ანუ ადამიანის საქმიანობა უნდა მოეწყოს საკაცობრიო მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში და არა მარტო ნაციონალურ პრინციპებზე დაყრდნობით. ეს შეხედულება, თავის მხრივ, გამოხატულებას პოულობს იმ წინადადებაში, რომ ხალხის ცხოვრება, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე, უნდა მოეწყოს ჰარმონიისა და თანამშრომლობის საწყისებზე. იდეალიზმის ერთ-ერთ გავლენიან ფორმად იქცა ლიბერალიზმი.

ყველაზე ძლიერ ბიძგს იდეალიზმის აღორძინებისთვის წარმოადგენს იმის გააზრება, რომ სამხედრო დანახარჯების ესკალაციის შედეგად მსოფლიო ატომური განადგურების წინაშე დადგა, რაშიც დასავლეთი და აღმოსავლეთი ათწლეულების მანძილზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. წარმოიშვა მოძრაობა მშვიდობისათვის, ყველაზე ფართო ინტერნაციონალური ფილოსოფიიდან პაციფიზმზე – ომისა და ძალადობის ნებისმიერი ფორმის უარყოფა – აქცენტირების შედეგად ნეოიდეალიზმის პრინციპებმა გამოხატულება ჰპოვა „მსოფლიო საზოგადოების“ კონცეფციაში, რომლის წარმოქმნა დაკავშირებულია ავსტრალიელი დიპლომატისა და მეცნიერის ჯონ ბერტონის სახელთან. „მსოფლიო საზოგადოების“ კონცეფცია თვლის, რომ ეროვნულ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის იდეა დაბერდა, – მის ადგილზე მოდის სახელმწიფოთა რთული და ურთიერთდამოკიდებული ურთიერთობების მოდელი, რომელსაც ბერტონმა „აბლაბუდა“ უწოდა. ბუნებრივია, იქიდან გამომდინარეობდა, რომ ტრადიციულმა საერთაშორისო პოლიტიკამ ადგილი უნდა დაუთმოს საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებაში არაძალადობრივ საშუალებებს და სახელმწიფოთა თანამშრომლობას.

რეალიზმი

რეალისტური ტრადიცია, რომელსაც ხანდახან პოლიტიკურ რეალიზმსაც უწოდებენ, თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს უძველეს თეორიად საერთაშორისო პოლიტიკაში. მისი ჩანასახი შეი-

ძლება დავინახოთ ფუკიდიდესთან პელოპონესის ომის ისტორიაში (431 წ. ჩვ. წ.აღ.-მდე) და სუნ-ცზის კლასიკურ ნაშრომში სტრატეგიის შესახებ „ომის ხელოვნება“, რომელიც დაიწერა ჩინეთში დაახლოებით იმავე პერიოდში. პოლიტიკური რეალიზმის სხვა ცნობილი ფიგურები არიან მაკიაველი და თომას ჰობსი. მაგრამ გაბატონებულ პარადიგმად რეალიზმი XX საუკუნეში – ორი მსოფლიო ომის მსვლელობის შემდეგ გახდა. იმ დროს, როცა იდეალიზმი ეყრდნობა საერთაშორისო ურთიერთობების ეთიკურ მხარეს, რეალიზმისათვის დამახასიათებელია სხვა სპექტრი – სახელმწიფოთა ძალოვანი პოლიტიკა (Power politics), სადაც სახელმწიფოები მიყვებიან საკუთარ ინტერესებს. მისი არსით სახელმწიფო მთავარია საერთაშორისო არენაზე და მომავალში სუვერენული, იგი იმოქმედებს დამოუკიდებლად, უფრო მეტიც, ნაციონალიზმის აღზევებითა და ერი-სახელმწიფოების შექმნით, სახელმწიფო ხდება, შინაგანად მჭიდროდ დაკავშირებულ პოლიტიკურ თანასაზოგადოებად, სადაც ყველა ემორჩილება ერის ინტერესებს.

რეალიზმის წამყვანმა თეორეტიკოსებმა ემანუილ კანტმა და ჰანს მორგენთაუმ გააკრიტიკეს იდეალიზმი – ინტერნაციონალიზმსა და საერთაშორისო ურთიერთობებში ბუნებრივი ჰარმონიის არსებობასთან დაკავშირებით. მაგ: კარი ამტკიცებდა, რომ ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში გულუბრყვილო იმედებმა საერთაშორისო სამართალზე და კოლექტიურ უსაფრთხოებაზე ხელი შეუშალა ატლანტიკის ორივე მხარის პოლიტიკოსებს გაეაზრებინათ გერმანული ექსპანსიის საფრთხე და შეეჩერებინათ იგი. რადგან მსოფლიოში არ არის იმაზე მაღალი ძალაუფლება ვიდრე სუვერენული სახელმწიფო, ხაზს უსვამენ რეალისტები, საერთაშორისო პოლიტიკა ხორციელდება „ბუნების კანონებით“, ანუ ანარქიით და არამც და არამც ჰარმონიით. საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი სახელმწიფო ფიქრობს საკუთარ ნაციონალურ ინტერესებზე, პირველ რიგში საკუთარ გადარჩენასა და საკუთარი ტერიტორიული საზღვრების დაცვაზე.

ამის საფუძველზე რეალისტები აქცენტს აკეთებენ ძალის როლზე საერთაშორისო ურთიერთობებში, ძალას კი საომარ კატეგორიად მიიჩნევენ. საერთაშორისო ანარქია მათთვის არც ერთ შემთხვევაში არ აღნიშნავს პერმანენტულ კონფლიქტს და მუდმივ ომს. ისინი ამტკიცებენ, რომ კონფლიქტიც და თანამშრომლობაც სახელმწიფოთა შიდა სისტემაში უმრავლეს შემთხვევაში ემორჩილება ძალთა ბალანსის ლოგიკას (balance of power).

ამასთან რეალისტები არ თვლიან, რომ საერთაშორისო წესრიგის შიგნით ნამდვილად მოქმედებენ „ბუნების კანონები“, რადგან

ძალაუფლება, სიმდიდრე და რესურსები სახელმწიფოთა შორის თანაბრად არაა განაწილებული. ამ სისტემის მთავარ მონაწილეებს მინიჭებული აქვთ დიდი სახელმწიფოების როლი (great power) („ცივი ომის“ წლებში მათ ზესახელმწიფოებს უწოდებდნენ). საერთოდ ადგილი აქვს სახელმწიფოთა იერარქიას, რომელიც საერთაშორისო სისტემაში წესრიგს ქმნის, რამდენადაც დიდი სახელმწიფოები ასე თუ ისე აკონტროლებენ დაქვემდებარებულ სახელმწიფოებს სავაჭრო ბლოკებიდან. „ცივი ომის“ წლებში ყოველივე ამან გამოიწვია ბიპოლარული მსოფლიო წესრიგის დამკვიდრება, სადაც ამერიკასა და სსრკ-ს ძალოვან ბლოკებს შორის წინააღმდეგობებმა თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა. რეალისტების მტკიცებით სწორედ ბიპოლარობამ შეძლო მშვიდობის შენარჩუნება.

80-იან წლებში უოლტისა და სხვა თეორეტიკოსების ზეგავლენით განვითარება პოვა ნეორეალიზმმა, რომელიც იგივე პოზიციებს უჭერს მხარს, საერთაშორისო ურთიერთობებში, როცა გადამწყვეტ მნიშვნელობას ძალას ანიჭებს. ამ მიმართულების მომხრეები მსოფლიო პროცესებს ხსნიან არა იმდენად სახელმწიფოთა მიზნებითა და დეკლარაციებით, რამდენადაც საერთაშორისო სისტემის სტრუქტურული ფაქტორებით.

პლურალიზმი

პლურალისტური მიდგომა საერთაშორისო პოლიტიკისადმი დამახასიათებელია აშშ-სთვის, შეინიშნება 1960-1970-იანი წლებიდან და წარმოადგენს ერთგვარ ზედნადებს ლიბერალურ იდეებსა და ფასეულობებზე. თავისი არსით პლურალიზმი წარმოადგენს სოციალურ-პოლიტიკურ კონცეფციას, როგორიცაა ძალისა და ძალაუფლების გაფანტვა კონკურენტულ სტრუქტურებსა ან ჯგუფებში. პლურალიზმი როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა კონცეფცია, გამოდის სახელმწიფო – „იმცენტრული“ მოდელის ალტერნატივად, რომელსაც ეყრდნობა რეალიზმი. ბოლო მოდელის ილუსტრაციად გამოდგება ჯონ ბერტონის მოსაზრებები „ბილიარდის მაგიდასთან“ დაკავშირებით. როგორც მაგიდა ბურთებით, რომლებიც წარმოადგენენ ხისტ ობიექტებს, ეჯახებიან ერთმანეთს და ამავდროულად ერთმანეთს აძლევენ მოძრაობის საშუალებას, რეალიზმიც მის მსგავსად წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკას. პლურალიზმის მომხრეთა აზრით ეს სრულებით მცდარი შეხედულებაა, რადგან იქ არ არსებობენ ტრანსეროვნული აქტორები – ტრანსეროვნული კორპორაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები, არ არის სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება,

განსაკუთრებით, ეკონომიკურ სფეროში.

ამიტომ პლურალიზმი გვთავაზობს „სხვადასხვაგვარ აქტორთა მოდელს“, სადაც ეროვნულ მმართველთა როლთან ერთად ხაზი აქვს გასმული იმას, რომ საერთაშორისო ურთიერთობები დღეს ყალიბდება უფრო მეტად ფართო ფაქტორებისა და ინტერესთა ჯგუფების ზეგავლენით და „საგარეო სუვერენიტეტის“ პრინციპი,რომელზეც ცოცხლობს რეალიზმი, უნდა შეიცვალოს მეტად თავმდაბალი გაგებით, მოქმედ სტრუქტურათაგან დამოუკიდებლად. ეს პოლიტიკაში ისეთი სტრუქტურების ჩართვის საშუალებას იძლევა, როგორიცაა „გრინპისი“, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, კორპორაცია „კოკა-კოლა“ და ვატიკანი. და ეს ჩართვა ხდება გათანაბრებულად, ასე ვთქვათ, საფრანგეთისა თუ არგენტინის სახელმწიფოსთან. სინამდვილეში კი პლურალიზმი კითხვის ქვეშ აყენებს დამოუკიდებელ მოქმედ აქტორებს და თვლის, რომ მსოფლიო პოლიტიკის ყველა სუბიექტი მოქმედებს შეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების წრედში. სწორედ ასეთი მიდგომის ფარგლებში, „კუბის კრიზისის“ ანალიზისას ალისონმა (1971) გვაჩვენა, რომ სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები ხშირ შემთხვევაში გამომდინარეობს არა იმდენად ეროვნული ინტერესების „რაციონალური“ თანმიმდევრობიდან, რამდენადაც ჩინოვნიკთა და პოლიტიკოსთა ბიუროკრატიული გარემოდან.

საბოლოოდ, პლურალიზმმა მისცა საშუალება გაეაზრებინათ საერთაშორისო ურთიერთობებში ისეთი ტენდენცია, როგორიცაა ძალოვანი პოლიტიკიდან ჩამოშორება. მოცემული მიდგომის მომხრეები თვლიან, რომ ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში თანამშრომლობისკენ და ინტეგრაციისკენ მოძრაობა ბოლოს მსოფლიო პოლიტიკის მთავარ მაგისტრალურ ღერძად იქცევა.

მარქსიზმი

მარქსისტული შეხედულებები საერთაშორისო ურთიერთობებზე განსხვავდება სხვა პარადიგმებისაგან, და ეს სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მარქსიზმი მთავარ მნიშვნელობას აძლევს ეკონომიკურ ძლიერებას და საერთაშორისო კაპიტალის შემოქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ მარქსი ძირითადად ნაციონალური კაპიტალიზმის სტრუქტურებითა და ძირითადად ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ანტაგონისტური ურთიერთობებით იყო დაკავებული, მისი ნაშრომები ეხება საერთაშორისო ურთიერთობებსაც – საკმარისია გავიხსენოთ მისი კონცეფცია იმის შესახებ, რომ მშრომელი

ხალხის სოლიდარობა არ ცნობს ნაციონალურ საზღვრებს.

თანამედროვე მარქსისტებმა, ანუ ნეომარქსისტებმა, უარყვეს მარქსისა და ლენინის კლასიკური მოდელი. ნეომარქსისტული მიდგომის თავისებურება მდგომარეობს შემდეგში: იმ დროს, როცა კლასიკური მარქსიზმი ხაზს უსვამს წინააღმდეგობებს ნაციონალურ „კაპიტალიზმთა“ შორის, ნეომარქსისტები ყურადღებას ამახვილებენ მასზე, როგორ ვითარდებოდა გლობალური კაპიტალისტური სისტემა მე-20 საუკუნეში.

ამ სისტემის მთავარ დამახასიათებელ ნიშანს, ნეომარქსისტების თანახმად, წარმოადგენს კლასობრივ ინტერესთა ორგანიზაცია საერთაშორისო საფუძველზე – მრავალნაციონალური კორპორაციების ქსელის სახით.

მსოფლიო წესრიგი XXI საუკუნეში

1989 წლის 9 ნოემბერს დემონსტრაციები აღმოსავლეთ ბერლინში გაიმართა ბერლინის კედლის დასანგრევად – ეს „ცივი ომის“ მთავარ სიმბოლოს წარმოადგენდა. 1990 წლის გაზაფხულზე კუვეიტის კრიზისის პერიოდში, როცა ერაყის აგრესიის წინააღმდეგ ჩამოყალიბდა ყველაზე ფართო საერთაშორისო კოალიცია, აშშ-ის პრეზიდენტმა გამოაცხადა „ახალი მსოფლიო წესრიგი“. 1990 წლის ნოემბერში ვარშავის შეთანხმებისა და ნატოს წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს პარიზში და ოფიციალურად გამოაცხადეს კონფრონტაციის ერის დასასრული. „ცივი ომის“ წიგნში გადაიშალა ბოლო გვერდი, მაგრამ დარჩა კითხვები: როგორ დაიწყო „ცივი ომი“? რამ შეაჩერა იგი და რატომ არ გადაიზარდა ნამდვილ ომში? და რას ნიშნავდა მისი დამთავრება: ვინ მოიგო?

ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ ისეთი რთული ისტორიული პროცესი, როგორიცაა „ცივი ომის“ დასაწყისი და დასასრული, არ შეიძლება აიხსნას რომელიმე ერთი მიზეზის საშუალებით. სწორედ ამიტომ ვხვდებით აზრთა და ფატების მრავალფეროვნებას, რომელზეც ამჯერად ყურადღებას არ გავამახვილებთ. ავღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ 1980-იანი წლების მოვლენები მომზადებული იყო 1970-იანი წლების დაძაბულობის განმუხტვის პოლიტიკის შედეგად. განმუხტვამ აიძულა მხარეები გადაესინჯათ თავისი სტრატეგიული პრიორიტეტები. 1980-იანი წლების მოძრაობამ მშვიდობისათვის კითხვის ქვეშ დააყენა ზესახელმწიფოების ყველა შეთანხმება. ყველაზე ფართო მასშტაბით „ცივი ომის“ დასასრულმა გამოხატულება ძალთა გლობალურ ბალანსში ჰპოვა.

XXI საუკუნის საერთაშორისო სისტემა განსხვავებული იქნება წინა პერიოდების საერთაშორისო სისტემისაგან: აქ ყველა სახელმწიფო – დიდიც, და ზესახელმწიფოებიც იცხოვრებენ ურთიერთდამოკიდებულ სიტუაციაში და გაიზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობაც.

გლობალიზაცია წარმოადგენს რთულ კონცეფციას. მიუხედავად იმისა, რომ დისკუსია მის გარშემო 1980-იანი წლებიდან მოდის, მისი გამოყენების სფერო დღესდღეისობითაც არ არის დადგენილი, მან შეიძლება აღნიშნოს პოლიტიკური, გლობალური მარკეტინგული სტრატეგია, კაცობრიობის დღევანდელი და პერსპექტიული მდგომარეობა, და ბოლოს იდეოლოგიაც კი.

გლობალიზაცია შესაძლებელია განვიხილოთ ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ განზომილებაში. ეკონომიკური გლობალიზაციის გაგებაში ჩადებულია იდეა იმის შესახებ, რომ დღეს არცერთი ნაციონალური ეკონომიკა არ წარმოადგენს კუნძულს. ისინი დიდი თუ მცირე სახით ჩართულნი არიან მსოფლიო ეკონომიკაში. კომუნიზმის კრახმა დააჩქარა გლობალიზაცია: გლობალურ კაპიტალისტურ სისტემას შეემატა სახელმწიფოთა მსხვილი ბლოკი, რომელიც ადრე მის გარეთ რჩებოდა.

კულტურული გლობალიზაცია ქმნის პირობებს იმისათვის, რომ ინფორმაცია, საქონელი და იმიჯი, წარმოებული ქვეყნის ამა თუ იმ ნაწილში, მოექცნენ ერთ გლობალურ დინებაში, რომლის გარდაუვალ შედეგს წარმოადგენს ერებს, რეგიონებსა და ხალხს შორის კულტურული განსხვავებების მეტნაკლები გაწონასწორება.

პოლიტიკურ გლობალიზაციას, პირველ რიგში, ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობის ზრდაში. მათ შორის არსებობს კლასიფიკაცია. არსებობს ტრანსნაციონალური ორგანიზაციები, რომლებიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს არა რომელიმე სახელმწიფოს შიგნით, არამედ სახელმწიფოთა შორის. ასეთი ორგანიზაციების უმრავლესობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა, ესენია: გაერო, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა, ევროპის საბჭო, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია და ა.შ.

გლობალიზაციის კრიტიკოსები, თავის მხრივ, თვლიან, რომ კაპიტალიზმი უთანასწორობისა და ექსპლუატაციის ტოლფასია და აყალიბებს სიღარიბისა და უსამართლობის ახალ ფორმებს.

გლობალიზაცია – ეს მსოფლიოს ურთიერთკავშირის რთული სისტემაა, სადაც ერთ რეგიონში მომხდარი მოვლენა, ერთ რეგიონში მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება ზემოქმედებას ახდენს დედამიწის სხვა ბოლოს მცხოვრებ ხალხზე. გლობალიზაციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დაშორება და ტერიტორიალური საზღვრები ერებსა და სახელმწიფოებს შორის ადრინდელი ურთიერთობის ფორმებს ცვლის. ეს, ერთის მხრივ, არ ნიშნავს იმას, რომ ყველა „ლოკალური“, „ნაციონალური“ სუბიექტი დღეიდან ემორჩილება „გლობალურ“ ფაქტორებს. სწორი იქნება თუ ავღნიშნავთ, რომ პოლიტიკური პროცესი ღრმავდება და ფართოვდება და ადგილობრივი მოვლენები ნაციონალური და გლობალური მასშტაბებით უფრო მეტად ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე.

ზოგიერთი თეორეტიკოსები გლობალიზაციაში ითვალისწინებენ თანამშრომლობისა და ჰარმონიის ტენდენციებს, მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად გლობალიზაციის პროცესი აგრძელებს ახალ წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებს. ეს ტენდენცია ნათლად ჩნდება საერთო ნაციონალური მართვის მოდელის ეფექტურობის შემცირებაში და რეგიონალიზაციის პროცესის გაძლიერებაში. ვინაიდან ტრადიციულ ნაციონალურ სახელმწიფოს ურთულდება უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საზოგადოების სტაბილურობა და ეკონომიკური კეთილმოწყობა, ეს ამოცანები გადადის მეზობელი და გეოგრაფიულად ახლომდებარე სახელმწიფოებთან თანამშრომლობის სფეროში. ამავე დროს ურთიერთდამოკიდებულება გლობალიზაციასა და რეგიონალიზაციას შორის ჯერ-ჯერობით ნათელი არაა. შესაძლებელია, რეგიონალიზაცია გავიგოთ როგორც პირველი ნაბიჯები გლობალიზაციისაკენ: ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდა. სწორედ რომ რეგიონალური დონით უნდა დაიწყოს რეგიონალური სტრუქტურების მიერ ხიდის გადება ნაციონალურ სახელმწიფოებსა და გლობალურად მოქმედ ძალთა შორის. მეორე მხრივ, რეგიონალიზაცია შესაძლებელია საპირისპირო მიმართულებით მოქმედებდეს და წარმოადგენდეს წინააღმდეგობის ფორმას გლობალიზაციის წინაშე. ყველაზე ნათელ ისტორიულ პრეცედენტად შესაძლებელია გვემსახუროს ღია საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დაცემა XIX საუკუნის ბოლოს. საერთაშორისო დაძაბულობის, რომელიც გამოწვეული იყო პროტექციონიზმის (იმპორტის შეზღუდვა ტარიფებისა და კვოტების საშუალებით ნაციონალური წარმოების დასაცავად) შედეგად, სახელმწიფოთა ეკონომიკურმა პაქრობამ გამოიღო ისეთი შედეგი, როგორიცაა პირველი მსოფლიო ომი. ასე თუ ისე, რამდენადაც ერი უკვე აღარ წარმოადგენს იმ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური წესრიგის განვითარებას საზოგადოებაში, მომავალში ამ ამოცანამ, შესაძლებელია, გადაინაცვლოს რეგიონებთან.

რეგიონალიზაციის მამოძრავებელ ძალად გამოდიოდნენ სტრატეგიული, ეკონომიკური და, შესაძლებელია, კულტურული ხასიათის განსაზღვრული ფაქტორები. რეგიონალური ორგანიზაციები აღმოცენდნენ 1945 წლის შემდეგ. მნიშვნელოვან ორგანიზაციებად

ითვლებოდნენ ნატო და ვარშავის შეთანხმების ქვეყნების ორგანიზაცია. კომუნიზმის კრახამდე, 1989-1991 წლებში ნატო და ვარშავის პაქტი არ იყვნენ აქტიურები. „ცივი ომის“ დამთავრების შემდგომ ნატო დარჩა ერთ-ერთ მსხვილ სამხედრო ორგანიზაციად რეგიონალური მასშტაბით, მაგრამ რადიკალურად შეიცვალა მისი მიზნები და როლი. დღეს ნატო ფართოვდება, ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები ერთი მეორის მიყოლებით შედიან ნატო-ში, რათა უზრუნველყონ სამხედრო და პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

ყველაზე დიდი ბიძგი რეგიონალიზაციას მაინც ეკონომიკამ მისცა. ზოგიერთი რეგიონალური სავაჭრო ბლოკი, მაგალითად ევროპის ეკონომიკური კავშირი, ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მაგრამ უმრავლესობა 1990 წლიდან წარმოიშვა.

თავი VIII
ქვეყნის შიდა პოლიტიკა

როცა ვლაპარაკობთ საერთაშორისო პოლიტიკაზე, ერი და სახელმწიფო წარმოადგენს ერთიან, მთლიან წარმონაქმნს. თუმცა სინამდვილეში თვითოეულ მათგანს გააჩნია შიდა სტრუქტურა, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ხელისუფლების სხვადასხვა საფეხურებად.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა ქვეყანაში არსებობს ტერიტორიული დანაყოფები თავისი შესაბამისი მმართველობითი ორგანოებით – ცენტრალური (ნაციონალური) და აგრეთვე ყოვლისშემძლე რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლებით. ეს არის სახელმწიფო კონსტიტუციის საკითხი – ქვეყანა არის **ფედერაციული** თუ **უნიტარული** სახელმწიფო. ამასთან ორივე შემთხვევაში ყალიბდება სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებული დანაწილება, რომლის ფარგლებშიც წარმოიქმნება ურთიერთობა ცენტრსა და რეგიონს შორის. განვითარების განსხვავებული დონის მიუხედავად, ყველა თანამედროვე სახელმწიფოში მოქმედებს ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები: ერთი მხრივ, საერთაშორისო და სხვადასხვა ფაქტორების, ეკონომიკური კავშირების განვითარება, მეორე მხრივ, XXI ს-ის დასაწყისისათვის ყველგან გაძლიერდნენ ძალები, რომლებმაც გამოიწვიეს ეთნიკური, რეგიონალური და ადგილობრივი პოლიტიკის გამოცოცხლება, ცენტრიდანული განწყობა.

ცენტრალიზაცია თუ დეცენტრალიზაცია?

ყველა თანამედროვე სახელმწიფოში არსებობს ცენტრალური (ნაციონალური) და რეგიონალური (პროვინციული და ადგილობრივი) სახელმწიფო ორგანოები. ასეთი დაყოფა, პირველ რიგში, დაკავშირებულია ტერიტორიულ ფაქტორებთან,მაგრამ პრინციპები, რომლიდანაც ის წარმოიქმნება, განსხვავებულია. გადამწყვეტი მნიშვნელობა თვითოეულ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს კონსტიტუციას, რომელიც განსაზღვრავს დამოკიდებულებას ცენტრსა და რეგიონს შორის.

ცენტრალური ხელისუფლების გარეშე სახელმწიფო, რომელიც აწარმოებს საერთაშორისო ურთიერთობებს: დიპლომატიასა და თავდაცვას, ვერ იარსებებს საერთაშორისო არენაზე. გარდა ამისა, ცენტრალური ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე რეგიონალური

ორგანოები ვერ შეძლებენ თანამშრომლობას იმ საკითხებში, რომლებშიც მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ ცენტრალური ხელისუფლების ამოცანაა სახელმწიფოს ეკონომიკურ ცხოვრებას უხელმძღვანელოს და გადაწყვიტოს საერთაშორისო საკითხები.

ფედერალიზმის მეორე ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ ხელისუფლების გადანაწილებით ის ქმნის ზემოქმედების და ურთიერთგაწონასწორების სისტემას, რაც მართალია, ყოველთვის მუშაობს უფლებისა და თავისუფლების დაცვის საქმეში. როგორც თავის დროზე გამოხატა ჯეიმს მედისონმა „უნდა მოვიქცეთ ისე, რომ ზოგიერთი ადამიანის ამბიციები აწონასწორებდნენ სხვების ამბიციებს“. ფედერალიზმის ცენტრალურმა სისტემებმა, (მაგ: ამერიკული, ავსტრალიური, კანადური), გამოიმუშავეს პოლიტიკოსების შემოწმების უფრო სანდო საშუალებები, ვიდრე უნიტარულმა სისტემებმა, მაგრამ უნდა გავიგოთ, რომ ეს სისტემები, ჩაფიქრებული ჯანმრთელი კონკურენციის შესაქმნელად, სახელმწიფო ორგანოებში შესაძლებელია ასეთივე წარმატებით გარდაიქმნას ხელისუფლების უუნარობის მიზეზადაც. ფედერალური სისტემის სისუსტე ის არის, რომ ცენტრალური ხელისუფლების გაკონტროლების ნებისმიერი შესაძლებლობა, აძნელებს სხვადასხვა თამამი ეკონომიკური და სოციალური პროგრამის განხორციელებას. ასე მაგ.: რუზველტის „ახალი კურსი“ აშშ-ში მნიშვნელოვნად დაზარალდა უმაღლესი სასამართლოს პოზიციის გამო, რომელიც დადგა შტატების დასაცავად ფედერალური ხელისუფლებისაგან. 1980-იან წლებში რონალდ რეიგანმა მიზანმიმართულად გამოიყენა ფედერალიზმი იარაღად „დიდი“ ხელისუფლების წინააღმდეგ და სოციალური დახმარების გასაწევად ეკონომიკურად ჩამორჩენილი მოსახლეობისადმი. „ახალი ფედერალიზმის“ ლოზუნგის ქვეშ რეიგანი შეეცადა შეემცირებინა სოციალური დანახარჯების ზრდა. პასუხისმგებლობა ფედერალური ხელისუფლების ნაცვლად დააკისრა სუსტი შტატების ხელისუფლებას. მაშასადამე, ფედერალიზმი უზრუნველყოფდა ინსტიტუციონალურ მექანიზმს, რომელიც შესაძლებელს ხდიდა საზოგადოებაში ერთობა ყველა და ყველანაირ შიდა განსხვავებებს შორის. უნდა ითქვას, რომ ამ დამოკიდებულებით ის გამოდგება მხოლოდ მცირერიცხოვანი და მრავალეთნიკური რეგიონებისთვის, ამ შემთხვევაში ის შეუცვლელია. ამერიკული ფედერალიზმის ძირითადი მნიშვნელობაა არა ის, რომ თავდაპირველად აკავშირებდა 13 შტატს, არამედ ის, რომ მან მისცა ქვეყანას ინსტიტუციონალური მექანიზმის პრობლემების გაფართოების შესაძლებლობა, რაც გამოწვეული იყო ემიგრაციის გაზრდით XIX ს-ის შუა ხანებში.

სახელმწიფოებრივ საქმიანობაში, კერძოდ, საშინაო პოლიტიკაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ნაციონალურ ერთობას, რომელიც უნდა უზრუნველყოს ძლიერმა ცენტრალურმა ხელისუფლებამ. მისი ამოცანაა თანაბარუფლებიანობისა და თანასწორობის მიღწევა, ეკონომიკური განვითარების განხორციელება და სხვა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ცენტრისა და რეგიონის დამოკიდებულება. აქ ძირითად როლს თამაშობს სახელმწიფოს კონსტიტუციური სისტემა, რომელიც გვაძლევს ცენტრსა და რეგიონს შორის დამოკიდებულების საერთო სქემას.

თანამედროვე მსოფლიოში ტერიტორიალური მოწყობის რამდენიმე ძირითადი მოდელია ცნობილი, მათ შორის **უნიტარული, ფედერაციული** და **კონფედერაციული.**

ნაციონალურ სახელმწიფოთა დონეზე კონფედერაციათა მაგალითები იშვიათია. თავის დროზე კონფედერაციული იყო აშშ-ში. ყველაზე ცნობილი თანამედროვე კონფედერაციებს შორის არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დ.ს.თ.), საიდანაც გამოვიდა საქართველო 2008 წელს.

ფედერაციული სისტემები

მმართველობის ფედერაციული სისტემები ტიპურია თანამედროვე მსოფლიოსათვის. დედამიწის მოსახლეობის 1/3 ცხოვრობს ფედერაციულ სახელმწიფოში. მათ შორისაა აშშ, ბრაზილია, ავსტრალია, პაკისტანი, მექსიკა, შვეიცარია, ნიგერია, მალაიზია, კანადა, რუსეთი და ა.შ. თუმცა მსოფლიოში არ არსებობს ორი აბსოლუტურად ერთნაირი ფედერაცია. ყველას აქვს საერთო – სუვერენიტეტი, გაყოფილი ცენტრალურ და პერიფერიულ ინსტიტუტებს შორის. ეს ნიშნავს, რომ უკიდურეს შემთხვევაში თეორიულად მაინც არც ერთ მმართველობის სისტემის დონეს არ შეუძლია გავლენა მოახდინოს მეორეს მმართველობაზე. ამ აზრით, ფედერაცია გამოდის შუალედური ფორმით პოლიტიკურ საზოგადოებაში, რაღაც საშუალო კონფედერაციასა (რომლის სუვერენიტეტი გამოდის პერიფერიული ინსტიტუტებისაგან) და უნიტარულ სახელმწიფოებს შორის (რომელშიც მთელი ძალაუფლება ეკუთვნის პერიფერიულ რეგიონალურ ინსტიტუტებს).

ფედერაციული სისტემები წარმოადგენენ მთელ რიგ კომპრომისებს ქვეყნის ერთიანობის პრინციპებსა და რეგიონალურ მრავალფეროვნებებს შორის, ასევე ეფექტურ ცენტრალურ ხელისუფლებასა და მომხმარებელს შორის.

თუ გადავხედავთ თანამედროვე ფედერაციებს (ან ფედერაციული პრინციპის სახელმწიფოებს), დავინახავთ, რომ მათ ბევრი საერთო აქვთ, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი თითქოს ამ ფორმას ესადაგებიან.

1. მათი მსგავსება ჩვენ შეგვიძლია მოვიძიოთ მათივე ისტორიებში. უფრო ხშირად ისინი ყალიბდებიან უკვე არსებულ ერთიან პოლიტიკურ საზოგადოებად, რომელთაც ამავე დროს სურთ შეინარჩუნონ საკუთარი თვითმყოფადობა, ხანდახან ავტონომიაც. ამის მაგალითია მსოფლიოში პირველი ფედერაციული სახელმწიფო – აშშ, თუმცა ინგლისის ყოფილი 13 კოლონია ამერიკაში საკმაოდ მალე დარჩა უკმაყოფილო კონფედერაციულ სისტემაში ურთიერთდამოკიდებულებით. თვითოეული მათგანი უკვე იყო პოლიტიკური ტრადიციის მატარებელი, ისინი ისწრაფოდნენ უფრო ახალი ცენტრალიზებული დამოკიდებულებისკენ. მაგ: ისეთი ყოფილი პრივილეგირებული ტერიტორიები, როგორიცაა როდ-აილენდი და კონნეკტიკუტი, ჯერ კიდევ კოლონიების დროს ფლობდნენ საკმაოდ ფართო პოლიტიკურ თავისუფლებას, ხოლო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ისინი აგრძელებდნენ კოლონიალური მუხლების გამოყენებას კონსტიტუციის სახით.

1787 წ. ფილადელფიის კონსტიტუციის კონვენციასა და აშშ-ს კონსტიტუციის რატიფიკაციისათვის გამართულ დებატებში გამოჩნდა ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისადმი ყოფილი კოლონიების უარყოფითი დამოკიდებულება. „ნაციონალისტური პოზიცია“ რატიფიკაციის სასარგებლოდ ჩამოყალიბებული იქნა სტატიებში, რომლებიც დაბეჭდილი იყო კრებულში „ფედერალისტი“. მისი ავტორები იყვნენ ალექსანდრე ჰემილტონი, ჯეიმს მედისონი და ჯონ ჯეი, რომლებიც ბეჭდავდნენ კოლექტიური ფსევდონიმით „პუბლიუსი“, ისინი მოითხოვდნენ ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების ჩამოყალიბებას, რომელიც ხელს შეუწყობდა ასევე შტატებისა და ხალხის თავისუფლებას. კონსტიტუცია რატიფიცირებული იქნა 1789 წ., მას შემდეგ, როცა მიღებული იქნა ბილი უფლებათა შესახებ და კონსტიტუციის მეათე შესწორება, ანუ როცა ჩამოყალიბდა იმის გარანტია, რომ ძალაუფლება ოფიციალურად კი არ გადაეცემა ფედერალურ ხელისუფლებას, არამედ „დარჩებათ შესაბამისად შტატებს და ხალხს“. ეს გახდა ამერიკული ფედერალიზმის კონსტიტუციური საფუძველი, ასეთივე სურათს ჩვენ ვხედავთ გერმანიის გაერთიანებაში 1871 წ. ძირითად როლს აქ თამაშობდა პრუსია, მაგრამ სწორედ ფედერაციული იდეა დაეხმარა მას განემუხტა ის საშიშროება, რომელსაც დანარჩენი 38 სახელმწიფო, რომლებიც უხსოვარი დროიდან მიეჩვიენ დამოუკიდებლობას, განიცდიდნენ ცენტრალიზაციის წინ. ეს რეგიონალური ავტონომიის ტრადიცია დროებით იქნა შეწყვეტილი ნაცისტების მიერ და დამტკიცდა ფედერაციული გერმანიის რესპუბლიკის კონსტიტუციაში 1949 წ. ეს დოკუმენტი ანიჭებს უფლებას 11 გერმანულ მიწას შექმნას საკუთარი კონსტიტუცია (გერმანიის გაერთიანების შემდეგ ეს რიცხვი გადიდდა 16-მდე).

2. ფედერაციის ჩამოყალიბებაზე იმოქმედა ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა გარედან მუქარა და ახალი სახელმწიფოების სწრაფვა საერთაშორისო საქმეებში მნიშვნელოვანი როლის შესასრულებლად. პატარა, სტრატეგიულად დაუცველ სახელმწიფოებს მსხვილ პოლიტიკურ გაერთიანებებში შესვლის სერიოზული მიზეზი აქვთ. თავისუფლების მოპოვების შემდეგ ამერიკის შტატებმა იმედგაცრუება განიცადეს „კონფედერაციის სტატუსის“ გამო, რომელიც არ აძლევდა მათ საშუალებას შესაბამის დიპლომატიურ დონეზე დაედოთ ხელშეკრულებები, შესულიყვნენ კავშირებში და ა.შ. გერმანული სახელმწიფოების მზადყოფნა XIX ს-ში შეექმნათ ფედერალური კავშირი და შეგუებოდნენ ქვეყნის გაპრუსებას დიდი ქვეყნების წინააღმდეგობებით – განსაკუთრებით ავსტრიისა და საფრანგეთიდან მოსალოდნელი აგრესიით აიხსნება. ასევე ფედერაციული ევროპისკენ მიმართული მოძრაობა, დაწყებული 1952 წ. დაარსებული ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული ეკონომიური გაერთიანებით (EOYC) და 1957 წ. ჩამოყალიბებული ევროპული ეკონომიკური გაერთიანება, აიხსნება საბჭოთა აგრესიითა და ევროპის გავლენის გაზრდით ორპოლარულ ძალად გაყოფილ მსოფლიოში.

3. **ქვეყნების გეოგრაფიული სიდიდე.** შემთხვევითი არაა, რომ ფედერალური მოწყობისაკენ მიისწრაფოდნენ ტერიტორიულად დიდი სახელმწიფოები: აშშ, კანადა (ფედერაცია გახდა 1867 წ), ბრაზილია (1891), ავსტრალია (1901), მექსიკა (1917) და ინდოეთი (1947 წ.). საქმე იმაშია, რომ დიდი ტერიტორიების მქონე ქვეყნებს უნიტარულ სისტემებში ძალიან უჭირთ შეინარჩუნონ ცენტრისკენ მიმართული ტენდენციები, გამომდინარე საზოგადოების კულტურული მრავალფეროვნებიდან და ღრმად ფესვებგადგმული ადგილობრივი ტრადიციებიდან. მაშასადამე, ფედერალიზმის ხელისშემწყობი საბოლოო ფაქტორი, ესაა კულტურული და ეთნიკური საზოგადოების არაერთგვაროვნება: ფედერალიზმი ამ შემთხვევაში გადაიქცევა თავისებურ ინსტიტუციონალურ პასუხად. მაგ: კანადის ათობით პროვინციას ახასიათებს არა მარტო რეგიონალური ტრადიციები, აგრეთვე ენობრივი და კულტურული განსხვავებები ინგლისურენოვან და ფრანგულენოვან მოსახლეობებს შორის. ინდოეთში არსებული 25 შტატის თვითმმართველობა დაკავშირებულია პირველ რიგ-

ში ენით, მაგრამ პენჯაბისა და ქაშმირის შტატში დიდ როლს თამაშობს რეგიონული ფაქტორი. ასეთივე პრინციპითაა ჩამოყალიბებული ნიგერიის კონსტიტუცია, რომელიც შედგება 19 შტატისგან, იგი ითვალისწინებს რელიგიურ და თემურ განსხვავებებს, ასევე ჩრდილოეთის და სამხრეთის თავისებურებებს.

ფედერალიზმის ნიშნები

ყოველი ფედერაციული სისტემა უნიკალურია: თითოეულ მათგანში ყალიბდება თავისებური დამოკიდებულება ფედერალურ ხელისუფლებასა და შტატის ხელისუფლებას შორის, რაც განისაზღვრება არა მარტო ქვეყნის კონსტიტუციით, არამედ პოლიტიკური, იურიდიული, გეოგრაფიული, კულტურული და სოციალური პირობებით, რომელსაც ადგილი აქვს თვითოეულ შემთხვევაში. ზოგჯერ ქვეყანაში შექმნილი პარტიული სისტემა არა ნაკლებ გამოსახავს ცენტრისა და რეგიონის დამოკიდებულებას, ვიდრე ძალაუფლების კონსტიტუციური განაწილება სახელმწიფო მმართველობის დონეებს შორის. მაგ: სსრ კავშირის ფედერაციული სისტემა, რომლის კონსტიტუცია, აშშ-სგან განსხვავებით, ფიქტიურად ითვალისწინებდა თითოეული რესპუბლიკის უფლებას გამოყოფაზე, იყო მკაცრად ცენტრალიზებული კომუნისტური პარტიის ხაზის შედეგი. მსგავსი სიტუაციაა მექსიკაში, სადაც ინსტიტუციონალურ-რევოლუციური პარტიის გაბატონებული მდგომარეობა ეწინააღმდეგებოდა ფედერაციულ სისტემას, შექმნილს ამერიკული მოდელით. მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ, რომ აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიასა და ინდოეთში დეცენტრალიზებული პარტიული სისტემები პირიქით, აძლიერებენ შტატების და რეგიონალური მთავრობის პოლიტიკურ თვითმყოფადობას.

ფედერაციის კონკრეტული ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა „ხელისუფლების გაყოფის“ სისტემაში აღმასრულებელი (executive) და საკანონმდებლო (legistative) შტოები (ეს ყველაზე ტიპიურად გამოხატულია აშშ საპრეზიდენტო სისტემაში) ან მასზე დაფუძნებული საპარლამენტო სისტემა, სადაც საშემსრულებლო და საკანონმდებლო ხელისუფლება „მთლიანად შედუღებულია“. საქმე იმაშია, რომ პირველი მოდელი გვთავაზობს, რომ ხელისუფლება სახელმწიფოში იყოფოდეს არა მხოლოდ ფუნქციონალური, არამედ ტერიტორიალური ხაზითაც, რის შედეგად მთავრობის ორ დონეს შორის ყალიბდება მრავალი შეხების წერტილი. წარმოიშობა რთული დამოკიდებულება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დონეებს შორის, რისი მაგალითიცაა ამერიკული

და შვეიცარიული სისტემები. პარლამენტარული სისტემა წარმოშობს ე.წ. „საშემსრულებლო ფედერალიზმს“, რომელშიც ფედერალიზმის გაწონასწორებას ძირითადად ხელს უწყობს დამოკიდებულება საშემსრულებლო ორგანოებს შორის მთელ ქვეყანაში. ამის მაგალითებია კანადა და ავსტრალია.

განსხვავებების მიუხედავად თითქმის ყველა ფედერაციულ სისტემას ახასიათებს შემდეგი საერთო თვისებები:

ორი, შედარებით დამოუკიდებელი, მმართველობის დონე.

ფედერაციულ სისტემებში ხელისუფლების ცენტრალური პრეროგატივა (ფედერაციული დონე) და რეგიონალური ხელისუფლება (შტატის ან ნებისმიერი წარმონაქმნის დონე) ისეა განსაზღვრული, რომ გამორიცხულია ერთი დონის მიერ მეორე დონის უფლებებში ჩარევა. თითოეულ მათგანს, თუმცა სხვადასხვა მოცულობით, თავისი საკანონმდებლო და საშემსრულებლო სახელმწიფო ორგანოები, გადასახადების გადახდის შესაძლებლობა და დაფიქსირებული დამოუკიდებლობა გააჩნიათ. რა თქმა უნდა, სხვადასხვა ქვეყანაში თითეული მმართველობის დონე და მათი ერთმანეთზე ზეგავლენის შესაძლებლობა სხდასხვანაირად ყალიბდება. მაგ: გერმანიაში და ავსტრიაში მოქმედებს სისტემა „ადმინისტრაციული“ ფედერალიზმი, სადაც ცენტრალური ხელისუფლება პოლიტიკის ძირითად საკითხებს წყვეტს, რეგიონალური ხელისუფლება კი პასუხისმგებელია გადაწყვეტილების შესრულებაზე კონკრეტულ მომენტში.

ფედერაციულ სისტემებში თითოეული სახელმწიფო დონის მმართველობის უფლებები და მოვალეობები იურიდიულადაა განმტკიცებული, ანუ, წერილობითი კონსტიტუციით. ამიტომ ცენტრსა და რეგიონს შორის დამოკიდებულება რეგლამენტირებულია. თითოეული დონის დამოუკიდებლობა იმითაა გარანტირებული, რომ არც ერთ მათგანს არ შეუძლია ცალმხრივად კონსტიტუციის შეცვლა; აშშ-ში კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად საჭიროა ორივე პალატის ორგანოების მხარდაჭერა. ავსტრალიასა და შვეიცარიაში კონსტიტუციაში შესწორებისათვის საჭიროა რეფერენდუმით დამტკიცება.

აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის შტო, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული კანონმდებლობის შესრულებაზე და ნაციონალური პოლიტიკის გატარებაზე.

საკანონმდებლო ხელისუფლება არის სახელმწიფო მმართველობის შტო, რომელსაც აქვს კანონმდებლობის განსაკუთრებული უფლებები და პასუხისმგებელია კონსტიტუციით განსაზღვრულ წესრიგსა და კანონზე.

ფედერალიზმის ძლიერი და სუსტი მხარეები

უნიტარული სისტემებისაგან განსხვავებით ფედერალიზმისათვის დამახასიათებელია ის, რომ კონსტიტუცია უზრუნველყოფს ადგილობრივი და რეგიონალური ხმების ინტერესების დაცვას. შტატებს და პროვინციებს გააჩნიათ მრავალი დამოუკიდებელი უფლება და, ასე თუ ისე, ყოველთვის წარმოდგენილნი არიან ცენტრალური ხელისუფლებით, თუმცა ფედერალურ სისტემებში შტატებსა და პროვინციებს აქვთ განსაზღვრული უფლებები.

ამერიკული სისტემა თავიდან მოქმედებდა „ორმაგი ფედერალიზმის“ პრინციპით, რომლის დროსაც ფედერალური ხელისუფლების პოლიტიკის სფერო შტატებში მკაცრად იყო განსაზღვრული.

XIX ს-ის ბოლოსთვის ამ სისტემამ ადგილი დაუთმო ე.წ. „კოოპერაციულ ფედერალიზმს“ – სისტემას, რომლის დროსაც ცენტრი მხარს უჭერს შტატებს და უფრო პატარა ადმინისტრაციულ ერთეულებს და სხვადასხვაგვარი „დოტაციებითა“ და დახმარებებით ისინი უფრო დამოუკიდებელი ხდებიან ხელისუფლებისაგან, განსაკუთრებით 1930 წლიდან, როცა „ახალი კურსის“ ჩარჩოებში გამოჩნდნენ სხვადასხვანაირი ეკონომიკური და სოციალური პროგრამები.

ფედერალიზმის დადებითი მხარეა ის, რომ ხელისუფლების გადანაწილებით ის ქმნის ურთიერთგაწონასწორების სისტემას. როგორც ჯეიმს მედისონი აცხადებდა: „უნდა მოვიქცეთ ისე, რომ ზოგიერთი ადამიანის ამბიციები აწონასწორებდნენ სხვების ამბიციებს“.

ამასთან ფედერალურ სისტემას ახასიათებს სისუსტეებიც, რომლებიც ვლინდებიან ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან კონტროლის გატარებისას, რაც აძნელებს სხვადასხვა თამამი ეკონომიკური და სოციალური პროგრამების განხორციელებას. მაგ. გასული საუკუნის 80-იან წლებში რონალდ რეიგანმა მიზანმიმართულად გამოიყენა ფედერალიზმი იარაღად „დიდი“ ხელისუფლების წინააღმდეგ. „ახალი ფედერალიზმის“ ლოზუნგის ქვეშ რეიგანი შეეცადა შეემცირებინა სოციალური დანახარჯების ზრდა. პასუხისმგებლობა დაეკისრა სუსტი შტატების ხელისუფლებას ფედერალური ხელისუფლების ნაცვლად.

ფედერალიზმთან დაკავშირებულია სხვა საშიშროებებიც: ხელისუფლების გაყოფის შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას ცენტრიდანული ძალები, რაც იწვევს სახელმწიფოს დანაწევრებას. თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ფედერაციული სისტემები არამდგრადია შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე. ის გადახრილია ან ცენტრალიზაციისკენ, რასაც მივყავართ უნიტარიზმამდე, ან დეცენტრალიზაციისკენ, რაც შემდგომში უნდა გამოიხატოს ქვეყნის დანაწევრებით.

ამის მაგალითია კანადის ფედერალიზმი. აქ ფედერაციული სისტემის მიზანი იყო პოლიტიკური კავშირის შექმნა, რომელიც შესაძლებელს ხდიდა ინგლისურენოვანი და ფრანგულენოვანი მოსახლეობის მშვიდ თანაცხოვრებას, მაგრამ ეს ცდა უიღბლო გამოდგა. ამის საპასუხოდ ფრანგულენოვანი კვებეკი 1980 წლიდან აღდგა იმ მაგიური ფორმულის საძებნელად, რომელიც საბოლოოდ გადაწყვეტდა კვებეკის საკითხს კანადის ფედერაციის მონაწილეობაში. 1987 წ. მიღწეული ხელშეკრულებით კვებეკმა მიიღო განსაკუთრებული სტატუსი ფედერაციაში, მაგრამ სამი წლის შემდეგ მოხდა გამოსვლები „ასიმეტრიული ფედერალიზმის“ პრინციპის წინააღმდეგ. კვებეკმა მოითხოვა ავტონომიის მაღალი დონე, რაშიც ინგლისურენოვანმა ფრანგებმა დაინახეს ქვეყნის ერთიანობის საშიშროება. 1995 წლის რეფერენდუმზე კვებეკის მოსახლეობამ მცირე უპირატესობით უარი თქვა კანადიდან მთლიანად გამოყოფის ვარიანტზე, რასაც მოითხოვდა და მოითხოვს კვებეკის სეპარატისტული პარტია.

უნიტარიზმი

თანამედროვე სახელმწიფოების უმრავლესობას აქვს უნიტარული მმართველობის სისტემა, რომელშიც სუვერენიტეტის მატარებლად წარმოგვიდგება საერთო ეროვნული მასშტაბის და მნიშვნელობის მქონე ერთი ინსტუტუტი. თეორიულად მაინც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას შეუძლია მიიღოს და შეცვალოს ნებისმიერი კანონი. მისი უფლებები არ შემოიფარგლება რომელიმე კოდიფიცირებული ან დაწერილი კონსტიტუციით; მის მიერ მიღებული კანონები პრიორიტეტულია ყველანაირ კანონებთან დამოკიდებულებაში ინგლისსა და შოტლანდიაში.

რადგანაც კონსტიტუციურ ძალაუფლებას უნიტარულ სისტემაში ფლობს ცენტრი, მმართველობის ნებისმიერი სხვა სისტემა პერიფერიული ან ადგილობრივი შეთანხმებულია ცენტრთან.

მაგრამ პრაქტიკაში დამოკიდებულება ცენტრსა და რეგიონს შორის უნიტარულ სისტემებში ნაკლებად რთულია, ვიდრე ფედერაციულში. აქ ცენტრი გადასცემს თავის უფლებამოსილებას, რაც ცენტრსა და რეგიონს შორის დამოკიდებულებას აძლევს სპეციფიკურ ხასიათს.

ადგილობრივი ხელისუფლება

ადგილობრივი ხელისუფლება მთლიანად ექვემდებარება ცენტრალურ ხელისუფლებას, ფედერალურ სისტემაში კი შტატსა და ოლქს. აშშ-ში არსებობს 86 ათასი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო, რომლებშიც დაკავებულია 11 მილიონი ადამიანი. 8 მილიონი ადამიანი კი მუშაობს ფედერალური ცენტრისა და შტატების ორგანოებში. ადგილობრივი მმართველობის სტატუსი კონსტიტუციურად მაღალია და ადგილებზე არჩეული პოლიტიკოსები ფლობენ განსაკუთრებულ ლეგიტიმურობას.

პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებული პარტიული ხასიათი სულ უფრო „პოლიტიზირებულს“ ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებას ადგილებზე, მით უმეტეს თუ ადგილებზე აქტიურად მოქმედებს ეროვნული პარტია.

ამასთან ქვეყანაში დეცენტრალიზაციის სხვადასხვა დონე აღინიშნება. მაგ. დიდ ბრიტანეთს ტრადიციულად აქვს ადგილობრივი მმართველობის შედარებით დეცენტრალიზებული სისტემა, სადაც ხელისუფლება ადგილებზე ფლობს საკმაოდ ფართო თავისუფლებას.

1982-1986 წლებში საფრანგეთში ამოქმედდა დეცენტრალიზაციის პოლიტიკური პროგრამა, აქამდე საფრანგეთში უპირატესობას ფლობდა მკაცრი ადმინისტრაციული კონტროლის სისტემა, რომელსაც ახორციელებდნენ ძირითადად პრეფექტები 96 ფრანგულ დეპარტამენტში, რის გამო ეს სისტემა ძალიან წააგავდა ბრძანებას ზემოდან – ქვემოთ.

რეგიონალური მმართველობის რეფორმამ გააფართოვა ადგილობრივი ადმინისტრაციის უფლებამოსილებანიც. პრეფექტები შეიცვალნენ ადგილზე არჩეული პრეზიდენტის კომისრებით, რომლებიც ძირითადად ეკონომიკური დაგეგმარების პრობლემებს წყვეტენ.

აღნიშნული რეფორმების საერთო მიზანი იყო საფრანგეთში შეექმნათ ყველაზე დეცენტრალიზებული სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც სათავეს 1789 წლის რევოლუციის შემდგომი პერიოდიდან იღებდა.

დევოლუცია (უფლებამოსილების გადაცემა)

დევოლუცია არის ზემდგომთან დაქვემდებარებული ინსტიტუტებისადმი უფლებამოსილების გადაცემა უნიტარულ სახელმწიფოში, ისე რომ არ გარდაიქმნას ფედერაციად.

ისტორიულად ყველაზე ადრე დევოლუცია დაიწყო ესპანეთში, რომელიც 1570 წლიდან უნიტარული სახელმწიფო იყო. ამასთან ერთად ესპანეთი 50 პროვინციად იყო დაყოფილი, რომლებიც ამა თუ იმ დონის ხარისხის თვითმმართველობას ფლობდნენ.

გენერალ ფრანკოს შემდეგ ესპანეთში დაიწყო ყველაზე ფართო დემოკრატიული პროცესი, რომლის ფარგლებში შემდგომი განვითარება ჰპოვა დევოლუციამ: 1979 წ. ავტონომიის უფლება მოიპოვა 17-მა ტერიტორიამ. რეგიონალური მმართველობის ახალი კურსის საფუძვლად იქცა საკანონმდებლო კრება, რომელსაც მიენიჭა დიდი უფლებამოსილება ადგილობრივ პოლიტიკაში. რეფორმა განხორციელდა კატალონიელების მოთხოვნის საპასუხოდ და ბასკების ქვეყნისათვის ავტონომიის მისანიჭებლად, თუმცა მიუხედავად ამისა, ამას მოჰყვა სეპარატისტული მოძრაობის (ეტა) გაფართოება.

ამავე დროს დევოლუცია მიმდინარეობდა საფრანგეთში, სადაც მთავრობა შეეცადა გადაეწყვიტა ნაციონალური და რეგიონალური უმცირესობების პრობლემები (ბრიტანია და აკვიტანია), რომლებსაც ზოგან უკვე მიღებული ჰქონდა ეთნიკური ნაციონალიზმის ფორმა. 1982 წელს 22 რეგიონალური ორგანო გარდაიქმნა სრულფასოვან რეგიონალურ ხელისუფლებად, რომლის სათავეში მოექცა პირდაპირი ხმის მიცემის უფლებით არჩეული კავშირი.

ამავდროულად განსაკუთრებული სტატუსი – „კოლექტიური ტერიტორიის“ ფართო თვითმმართველობით მიენიჭა კორსიკას, სადაც აგორდა ადგილობრივი სეპარატიზმის და ტერორიზმის ტალღა. მთლიანად ევროპის კონტინენტზე დეცენტრალიზაციის ტენდენციებმა იმძლავრა და 1980 წ. წარმოიშვა იდეა „რეგიონების ევროპა“. ამავდროულად რეგიონული და პროვინციული მმართველობა ფართოდ იყენებს შესაძლებლობას მიიღოს პირდაპირი ფინანსური დახმარება, რეგიონალური განვითარების ევროპული ფონდიდან.

დევოლუციის პროცესი შედარებით ნელა ვითარდებოდა დიდ ბრიტანეთში – ერთ-ერთ ყველაზე ცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოში. დევოლუცია აქ დღის წესრიგში მაშინ დადგა, როცა სწრაფად დაიწყო ზრდა შოტლანდიურმა ნაციონალიზმმა. რეალურად ადგილებზე უფლებამოსილების გადაცემა დაიწყო მხოლოდ 1999 წელს, როდესაც უდიდეს და ყველაზე ძლიერ ახალ ორგანიზაციად იქცა შოტლანდიური პარლამენტი, რომელიც უფლებამოსილი გახდა შეეცვალა გადასახადები და მიეღო პირველადი კანონები შიდა პოლიტიკის საკითხებზე.

ადმინისტრაციული დევოლუციის მაგალითია უელსის საკანონმდებლო კრება, რომელმაც ვერ მიიღო კონტროლი გადასახადებზე და რომელსაც გააჩნდა მხოლოდ საგადასახადო სისტემა.

დევოლუციის მომხრეების მტკიცებით შოტლანდიისა და

უელსისათვის თვითმმართველობის უფლების გადაცემის შემთხვევაში ქვეყნის სეპარატისტული და ცენტრისკენული ძალები შემცირდება და მრავალეროვანი ბრიტანეთი ამ პროცესიდან უფრო კონსოლიდირებული გამოვა, ვიდრე ოდესმე იყო. ხოლო კრიტიკოსები მიიჩნევენ (შოტლანდიაში კი იმედოვნებენ), რომ დევოლუცია საბოლოოდ დაშლის დიდ ბრიტანეთს.

ამრიგად ასე თუ ისე, დევოლუცია გაერთიანებულ სამეფოში მიმდინარეობს, და იძენს ერთგვარ კვაზიფედერაციულ ხასიათს, თუმცა ხელისუფლების ახალი ორგანოები შოტლანდიაში, უელსში და ჩრდილოეთ ირლანდიაში, ქვეყნის კონსტიტუციაში არაა გათვალისწინებული, მაგრამ ისინი ფლობენ თავის ლეგიტიმურობას და პოლიტიკურ სიმტკიცეს. ეს მათ თავის დროზე რეფერენდუმით აქვთ მიღებული, მაგრამ მაინც ყველაზე მთავარი ის არის, რომ ისინი ცდილობენ უფრო გაზარდონ საკუთარი ხარისხი, რაც გამოიწვევს მათ გარშემო შექმნილი მოსახლეობის კონსოლიდირებას, საერთოეროვნული იდენტური გრძნობების გაძლიერებას, ასეთ შემთხვევაში ყველაზე დამაჯერებელი სცენარი იქნებოდა ტრანსფორმაცია, გაერთიანებული სამეფოს გარდაქმნა ფედერაციის მიმართულებით, უარესი კი – მისი დაშლა.

ეთნიკური და ადგილობრივი პოლიტიკა. ნაციონალიზმის გამოცოცხლება

პოლიტიკური პროცესების დეცენტრალიზაციაზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი ქვეყნის დაშლაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ისეთი ახალი ფაქტორი, როგორიცაა ეთნოპოლიტიკის გაძლიერება და ადგილობრივი სეპარატიზმი.

ეთნიკური თვითშეგნება განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამძაფრდა. ეს ზუსტად XX საუკუნის 60-იან წლებში მოხდა. უნდა ითქვას, რომ ეთნიკური ფაქტორის გამოვლინება პოლიტიკაში უმრავლესი ანალიტიკოსებისათვის საერთოდ მოულოდნელი იყო.

60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში დასავლეთ ევროპის მრავალ ნაწილში და ჩრდილოეთ ამერიკაში წარმოიშვა წმინდა ეთნიკური ხასიათის მოძრაობა ეთნიკური ხასიათის ლოზუნგებით. ყველაზე მკაფიო მაგალითი გახდა კვებეკი კანადაში, შოტლანდია და უელსი დიდ ბრიტანეთში, კატალონია და ბასკების ქვეყანა ესპანეთში, კორსიკა საფრანგეთში და ფლანდრია ბელგიაში. ეს გახდა უძლიერესი დეცენტრალიზაციის ფაქტორი,

ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში თან მოჰყვა უფრო ღრმა პოლიტიკური გარდაქმნები და გამოიწვია კონსტიტუციის რადიკალური გადასინჯვა. იტალიაში ეს პროცესი მოხდა 90-იან წლებში, როცა ჩამოყალიბდა ჩრდილოეთის ლიგა ლომბარდიაში. ეთნიკური აქტიურობის გამოვლინებას ადგილი ჰქონდა კანადის და ამერიკის ადგილობრივ მოსახლეობაში, ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში.

ეთნოპოლიტიკის წინამორბედ პროტოტიპად თვლიან ე.წ. „შავ“ ნაციონალიზმს, რომელმაც თავისი განვითარების ზენიტს მიაღწია 60-იან წლებში, როცა მკვეთრად გააქტიურდა როგორც რეფორმისტული, ისე რევოლუციური ფრთა.

ზოგადად „შავ“ ნაციონალიზმში ნათლად ჩანს ეთნიკური პოლიტიკის ერთი მთავარი მოტივი – ადამიანების უარყოფითი დამოკიდებულება შეეგუონ თავის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მარგინალურობას, როცა ადგილი აქვს რასობრივ ჩაგვრას. ამ გაგებით ეთნოპოლიტიკა წარმოგვიდგება პოლიტიკური განთავისუფლების იდეის გამტარებლად, თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის და სისტემატიური არასრულფასოვანი ცხოვრების პირობების შესაბამისი საზოგადოების კატეგორიებისათვის.

ეთნიკური თვითგაცნობიერების აღმასვლამ საშუალება მისცა ჩრდილო ამერიკის და დასავლეთ ევროპის შავკანიან მოსახლეობას, ეპოვა ხერხები, რათა დაპირისპირებოდა გაბატონებული თეორების სტრუქტურას, რომელიც ტრადიციულად ხაზს უსვამდა მათ უფრო დაბალ განვითარებას და მოითხოვდა, რათა წინ აღდგომოდნენ.

კომუნიზმის კრახმა აღმოსავლეთ ევროპაში გამოიწვია ეთნიკური დაპირისპირებები და რეგიონალური კონფლიქტები ყოფილ სსრ კავშირში, ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიაში, გამოიწვია ნგრევა ძველის და ახალი ნაციონალური სახელმწიფოების შექმნა, რისთვისაც არსებობდა მრავალი მიზეზი. მათ შორის იყო ისიც, რომ კომუნისტურმა რეჟიმმა მიჩქმალა და იატაკქვეშეთში გადაიტანა ეთნიკური და ნაციონალური თვითშეგნება; ეთნიკური და რეგიონალური ნაციონალიზმი ანტიკომუნიზმის და ანტისაბჭოურობის გამოვლინების ფორმად იქცა; პოლიტიკური არასტაბილურობა და ეკონომიკური გაჭირვება წარმოშობილი კომუნიზმის კრახის შედეგად, აღმოჩნდა ნოყიერი ნიადაგი ეთნოპოლიტიკისათვის.

დასკვნები

საბოლოოდ წინამდებარე თავის დებულებები დასკვნის სახით შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

1. ყველა ტენდენციას – როგორც ცენტრალიზაციას, ისე დეცენტრალიზაციას – აქვს თავისი უპირატესობა. ცენტრალიზაციის უპირატესობა ისაა, რომ იგი ხელს უწყობს სახელმწიფოს მოქმედებას საერთაშორისო არენაზე. უპირატესობას ანიჭებს ეკონომიკური ცხოვრების ეფექტურ ხერხებს, აძლიერებს ნაციონალურ ერთობას და რეგიონების არათანაბარი განვითარების დაძლევის ტენდენციას.

თავის მხრივ დეცენტრალიზაცია იძლევა საშუალებას გაფართოვდეს საზოგადოების პოლიტიკური მონაწილეობის სფერო, „დააახლოვოს“ ხელისუფლება ხალხთან და გააძლიეროს ურთიერთზეგავლენის და ურთიერთგაწონასწორების სისტემა სახელმწიფო მმართველობაში.

2. ორ შედარებით გავრცელებულ ფორმებად გვევლინება ფედერალური და უნიტარული სისტემები. ფედერალიზმი დაყოფილი სუვერენიტეტის იდეაზეა დაფუძნებული. ხელისუფლება გაყოფილია ცენტრისა და რეგიონის მმართველობას შორის. უნიტარულ სისტემებში პირიქით სუვერენიტეტი ეკუთვნის ერთს და ერთადერთ საერთო ეროვნული მასშტაბის ინსტიტუტს – ცენტრს, რომელიც წყვეტს ტერიტორიული ორგანიზაციების ძალაუფლების საკითხებს სახელმწიფოში.

3. პოლიტიკური დეცენტრალიზაცია ეთნიკური და რელიგიური ფაქტორებით სტიმულირდება. ეთნოპოლიტიკის ჩამოყალიბება დაკავშირებულია იმასთან, რომ ეთნოსი აყალიბებს განსაკუთრებულ „ორგანულ“ გრძნობას – ადამიანისა და საზოგადოებას შორის, რომელიც ახასიათებს შედარებით დიდი მასშტაბის ერებს. გარდა ამისა, ეთნიკური ნაციონალიზმის აღზევება მსოფლიო გლობალიზაციის რეაქციად ითვლება.

4. კაცობრიობა სულ უფრო მეტად წუხს იმაზე, რომ თანამედროვე სახელმწიფოში ხალხს უქრება „ერთობის“ გრძნობა. ადამიანი უბრუნდება პასუხისმგებლობის იდეას სხვა ადამიანებისა და საზოგადოების მიმართ, ეს იწვევს ავტორიტეტის პატივისცემას და ტრადიციული ღირებულებების და კულტურის გაძლიერებას.

თავი IX
საზოგადოება და ეკონომიკური სისტემები

ეკონომიკური სისტემა – ეს არის წარმოების ორგანიზაციის ფორმა, რომლის დროსაც ხდება საქონლისა და მომსახურების განაწილება და გაცვლა. მარქსიზმი ყოველივე ამას უწოდებს „წარმოების სახეობებს“. ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ეკონომიკური სისტემები, რომლებიც ობიექტურად არსებობენ, იდეებთან და დოქტრინებთან ერთად, და ეკონომიკური სისტემა, რომლებშიც მათი პროპაგანდა ხდება. კაპიტალიზმზე ზოგჯერ საუბრობენ არა მხოლოდ როგორც ეკონომიკურ სისტემაზე, არამედ როგორც გარკვეულ იდეოლოგიაზე, რომელიც იცავს კერძო საკუთრებას, მიუთითებს კონკურენციის მნიშვნელობაზე და ამტკიცებს, რომ ერთიან კეთილდღეობას მივაღწევთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა დაიცავს კერძო ინტერესებს. უფრო რთულია სოციალიზმი, რომელშიც იგულისხმება როგორც ფასეულობათა განსაზღვრული სისტემა, თეორია და შეხედულებანი, ასევე ეკონომიკური ცხოვრების ის წესი, რომელზე დაყრდნობითაც ეს ღირებულებები ხორციელდება ყოველდღიურობაში.

ორასი წლის განმავლობაში ეკონომიკური დისკურსები იმართება ორი სრულიად ურთიერთსაპირისპირო სისტემის ირგვლივ. ესენია – კაპიტალიზმი და სოციალიზმი. პოლიტიკური შეხედულებები ბოლოს დავიდნენ ერთ მეტად მარტივ აზრამდე: – „ვინც მხარს არ უჭერს სოციალიზმს, ის კაპიტალიზმის მომხრეა.“ და პირიქით. მემარცხენეები მოითხოვდნენ სოციალიზმს, მემარჯვენეებს კი არაფერი ჰქონდათ კაპიტალიზმის საწინააღმდეგო.

კაპიტალიზმის სახეობები

მეურნეობის პირველი კაპიტალისტური ფორმები წარმოიშვა ევროპაში XVI-XVII ს. უპირატესად ფეოდალური საზოგადოების წიაღში. მათ ახასიათებდათ მათი ისეთი ნიშნებით, როგორიცაა ნატურალური ხასიათის აგრარული წარმოება, მკაცრი სოციალური იერარქია და ასევე უფლება-მოვალეობების მკაცრი სისტემა. კაპიტალიზმი თავდაპირველად სოფლის მეურნეობის პროდუქტების ვაჭრობაში გამოვლინდა.

სწრაფვა წარმოების გაფართოებისაკენ გადაიზარდა ეგრეთ წოდებულ „აგრარულ რევოლუციაში“, რომელიც ითვალისწინებდა საერთო მოხმარების მინერალგამოლეული უამრავი მიწების ნაყოფიერების ზრდას მეცნიერების უახლესი მეთოდებით. XVIII ს-ის შუა

წლებში ჯერ დიდ ბრიტანეთში, შემდეგ აშშ-ში და ბოლოს მთელ ევროპაში დაიწყო ინდუსტრიული რევოლუცია, რომელიც დაკავშირებული იყო მანქანური ქარხნული წარმოების გავრცელებასთან. იგი უზრუნველყოფდა მოსახლეობის გადადგილებას მიწიდან ქალაქებში. საბოლოო ჯამში კაპიტალიზმი და ინდუსტრიალიზმი ისე გადაიხლართა ერთმანეთში, რომ კლასიკურ კაპიტალიზმად სწორედ ინდუსტრიალ კაპიტალიზმს მიიჩნევენ. კაპიტალიზმის თანამედროვე ფორმებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- საწარმოო კაპიტალიზმი;
- სოციალური კაპიტალიზმი;
- კოლექტიური კაპიტალიზმი.

საწარმოო კაპიტალიზმი

კაპიტალიზმის ეს ფორმა ითვლება წმინდა კაპიტალიზმად, განსაკუთრებით ანგლო-ამერიკულ სამყაროში, ანუ თავისებურ იდეალად, რომლისკენაც მიისწრაფვიან ან უნდა მიისწრაფვოდნენ მისი სხვა ფორმები. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ მოდელზე უარი თქვეს მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში აშს-სა და დიდი ბრიტანეთის გამოკლებით.

საწარმოო კაპიტალიზმი დაფუძნებულია ეკონომიკური მეცნიერების უდიდესი მცოდნეების იდეებზე. ესენია: ადამ სმიტი (1723-1790) და დავიდ რიკარდო (1772-1823), მათი იდეები შემდეგ იქნა განვითარებული თანამედროვე თეორეტიკოსების მილტონ ფრიდმენისა და ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის მიერ. მისი მთავარი არსი არის საბაზრო კონკურენციის ეფექტურობის შეუქცევადობის რწმენა. ადამ სმიტის განთქმული გამონათქვამის მიხედვით „ჩვენი ვახშმისათვის ხორცის მჭრელს ან მელუდეს ან კიდევ მებულკეს კი არ უნდა ვუმადლოდეთ, არამედ იმას, რომ ისინი იცავენ თავიანთ კერძო ინტერესებს“. აშშ-ში ამგვარმა ფილოსოფიამ თავისუფალი ბაზრის შესახებ თითქმის ნულამდე მიიყვანა საზოგადოებრივი საკუთრება და სოციალური უზრუნველყოფის სისტემა. ყველა წინასწარი საქმიანობა აშშ-ში უმკაცრესადაა ორიენტირებული მოგებაზე, ხოლო მთავარი საყრდენი კეთდება შრომის ნაყოფიერებაზე.

აშშ-ის ეკონომიკური მიღწევები ადასტურებენ საწარმოო კაპიტალიზმის სიცოცხლისუნარიანობას. შესამჩნევი ეკონომიკური ვარდნის მიუხედავად პროდუქციის წარმოების მაჩვენებელი ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ უფრო მაღალია, ვიდრე გერმანიასა და იაპონიაში.

გლობალური ეკონომიკის შექმნის კვალდაკვალ ეკონომიკის

პრინციპები გავრცელდა აშშ-ს საზღვრებს გარეთ. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო მარკეტიზაციის სხვადასხვაგვარ გამოვლინებას. გაძლიერებულმა საერთაშორისო კონკურენციამ იძულებული გახადა მთავრობები უარი ეთქვათ რეგულარულ ეკონომიკაზე და დაეწიათ საგადასახადო ტარიფები დამატებითი, მათ შორის შიდა ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. გაჩნდა ე.წ. “ახალი პოლიტიკური ეკონომიკა”, “შიშველი” ეკონომიკური მმართველობის ფორმა, რის შედეგადაც სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევა ეკონომიკაში იზღუდება, ხოლო ეკონომიკური ცხოვრების დაწყების მსაზღვრელი ხდება ბაზარი.

ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას აქვს ორი მნიშვნელოვანი თავისებურება: 1) ყურადღება მახვილდება ტექნოლოგიურ ინოვაციებზე და განვითარებაზე; განსაკუთრებით ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებაზე, ყოველივე ამან აშშ-ში XXI საუკუნის 90-იან წლებში წარმოშვა ტურბოკაპიტალიზად ცნობილი მოვლენა.

მეორე თავისებურებად ითვლება ის, რომ მთავრობებმა სულ უფრო მეტი საშუალებების დაბანდება დაიწყეს ადამიანურ რესურსში, რადგან ითვლება, რომ განათლებისა და პროფესიონალიზმის მომზადების დონის ამაღლება გააძლიერებს ეროვნულ მეურნეობაში საზოგადოების აქტივობასა და ადაპტურობას.

ამასთან ერთად საწარმოო კაპიტალიზმს გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებებიც, რომელთაგან ყველაზე არსებითი არის საზოგადოებაში მატერიალური უთანაბრობის გაღრმავების ტენდენცია, რომლის თვალსაჩინო მაგალითია აშშ-ში სიღარიბის ისეთი დონე, რომლის მსგავსსაც ვერ შევხვდებით ევროპაში; და ნაკლებად განათლებული და “დახმარების მომლოდინე” ადამიანების რიცხვის ზრდა. შემდეგი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ საწარმოო კაპიტალიზმის “ტურბოს” თვისება სინამდვილეში, შესაძლოა, დაკავშირებულია არა იმდენად ბაზრის დინამიზმთან და ტექნოლოგიურ ინოვაციებთან, რამდენადაც მომხმარებელთა მზადყოფნასთან – გახარჯონ ფული კრედიტებში, ხოლო წარმოებებმა მოახდინონ კაპიტალიზმის ინვესტირება. ამიტომაც მოცემულ ეკონომიკურ სისტემისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელია განსაკუთრებული მგრძნობიარობა ფინანსური ბაზრების კაპრიზებთან და მეწარმეთა და მომხმარებელთა განწყობილებათა ცვლილებებთან. ამის კარგი მაგალითია 2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და მისი მძიმე შედეგები ამ ქვეყნებში.

სოციალური კაპიტალიზმი

ტერმინი "სოციალური კაპიტალიზმი" განეკუთვნება კაპიტალიზმის სახესხვაობას, რომელმაც განვითარება ჰპოვა ცენტრალური და დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში. თავდაპირველად ის ჩამოყალიბდა გერმანიაში, მაგრამ ამა თუ იმ ფორმით მისმა პრინციპებმა გამოყენება ჰპოვეს როგორც ავსტრიაში, ბენილუქსის ქვეყნებში, შვეციაში, საფრანგეთსა და სკანდინავიის უმეტეს ნაწილში. იდეოლოგიურად ეს სახესხვაობა ეყრდნობა უფრო მეტად ფრიდრიჰ ლისტის (1789-1846) მიერ შემოთავაზებულ მოქნილ და პრაგმატულ მიდგომას, ვიდრე სმიტისა და რიკარდოს მკაცრ საბაზრო პრინციპებს. ლისტს კარგად ესმოდა პოლიტიკის როლი ეკონომიკაში და იცავდა იმ შეხედულებას, რომ მრეწველობის ახლად წარმოშობილი დარგების დასაცავად მცდარი საერთაშორისო კონკურენციისაგან აუცილებელია მოხდეს ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ჩარევა.

გერმანიაში სოციალური კაპიტალიზმი ეფუძნება კავშირს სამრეწველო და ფინანსურ კაპიტალს – სამრეწველო კორპორაციებსა და რეგიონალურ ბანკებს შორის, რომლებიც ხშირ შემთხვევაში კორპორაციების მთავარ აქციონერებს წარმოადგენენ. ეს კავშირები შეადგენენ იმ ღერძს, რომლის გარშემოც განვითარდა გერმანიის ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მთავარი აქ იყო ორიენტაცია გრძელვადიან კაპიტალდაბანდებებზე და არა დაუყოვნებლივ სარგებელზე. კაპიტალიზმის ეს სახესხვაობა (რომელსაც ზოგჯერ უწოდებენ რეინ-ალპურ კაპიტალიზმს) განსხვავდება ანგლო-ამერიკულისაგან იმითაც, რომ აქ ბიზნესსა და პროფკავშირებს შორის სოციალურ პარტნიორობაზე კეთდება აქცენტი.

სოციალური კაპიტალიზმის ღირსებები დამაჯერებლად იქნა დემონსტრირებული იმ "ეკონომიკური სასწაულით", რომელმაც 1960 წლისათვის ომით გაჩანაგებული გერმანია გადააქცია ლიდერ ეკონომიკურ სახელმწიფოდ ევროპაში. კაპიტალდაბანდებათა მაღალმა და მყარმა დონეებმა კადრების განათლებასა და მომზადებასთან დაკავშირებით პროფესიონალურ მომზადებასა და გადამზადებაში, საშუალება მისცეს გერმანიას მიეღწია ევროპაში შრომის ნაყოფიერების ყველაზე მაღალი დონისათვის. მაგრამ მიუხედავად ამისა ყველა როდი აღიარებს სოციალურ-საბაზრო მოდელის ღირსებებს. მისი ერთ-ერთი ნაკლოვანება მდგომარეობს იმაში, რომ მსხვილი ბიზნესი, რომელიც დამოკიდებულია კონსულტაციებზე, მოლაპარაკებებსა და კონსენსუსზე, დროდადრო კარგავს მოქნილობასა და ბაზრის ცვალებად პირობებთან სწრაფად შეგუების უნარს. ამ მოდელის კიდევ ერთი ნაკლოვანება დაკავშირებულია კეთილდღეობის

პროგრამების სოციალური ხარჯების შედარებით მაღალ დონესთან, რომელსაც მივყავართ საგადასახადო ტვირთის გაძლიერებამდე, როგორც სამუშაოს მიმცემისათვის, ასევე მომუშავესათვის. ამიტომაც იმ დროს, როდესაც სოციალური ბაზრის ენთუზიასტები თვლიან, რომ ბაზარი უწყვეტი სახით უნდა იყოს დაკავშირებული სოციალურ განვითარებასთან, მისი კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ "სოციალური კაპიტალიზმი" სხვა არაფერია, თუ არა "ტერმინოლოგიური წინააღმდეგობა". მათი თვალსაზრისით მუდმივად ზრდადი სოციალური პროგრამების დაფინანსება იწვევს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შემცირებას და, მაშასადამე, იწვევს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ეკონომიკური საფუძვლის შესუსტებას.

კოლექტიური კაპიტალიზმი

კაპიტალიზმის ეს მესამე მოდელი ჩამოყალიბდა იაპონიაში II მსოფლიო ომის შემდეგ. შემდგომში მასში შევიდნენ აღმოსავლეთ აზიის "ვეფხვები" (სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური და სხვ.) მოგვიანებით კი – ჩინეთი. კოლექტიური კაპიტალიზმის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ აქ მთავარი არჩევანი კეთდება ხანგრძლივ ურთიერთობაზე გათვლილ თანამშრომლობაზე, რის გამოც ეკონომიკა იმართება არა ფასწარმოქმნის უპიროვნო მექანიზმებით, არამედ ორგანულად ერთმანეთთან შერწყმული საზიარო ბაზრებით. სისტემა უმაღლესი ხარისხის სტაბილურობით ხასიათდება, რაც უზრუნველყოფს იაპონურ ფირმებს თავისუფალი კაპიტალით და საშუალებას აძლევს მათ ორიენტირებულნი იყვნენ სულ უფრო და უფრო გრძელვადიან პერქსპექტივებზე და არა მოკლევადიან ან საშუალო ვადიან მოგებაზე. იაპონიის საზოგადოებრივი ცხოვრების ქვაკუთხედი არის ფირმები. მუშები (განსაკუთრებით მამაკაცები დიდ საწარმოებში) არიან ფირმის "წევრები", რაც წარმოუდგენელია აშშ-ში და თვით სოციალურ – საბაზრო ევროპაშიც კი. საერთო საქმის მიმდევრობის, დაძაბული შრომისა და უკუგების საპასუხოდ ფირმის მუშაკებს ტრადიციისამებრ ეძლევათ მთელი სიცოცხლის მანძილზე პენსიები, სოციალური დაცვის გარანტიები და თავისუფალი დროისა და დასვენების ფართო შესაძლებლობები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბრიგადულ მუშაობასა და ამხანაგური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც სრულიად მიღწევადია მენეჯერებისა და მუშების არც თუ ისე დიდი სახელფასო სხვაობების პირობებში. ამ ვითარებამ იაპონურ სისტემას „ხალხურობის" სახელიც კი შესძინა.

ამ თვალსაზრისით ნიმუშად გვევლინება საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, რომელიც აგრძელებს იაპონური ეკონომიკის მართვას მეთვალყურეობს "ინდიკატური" დაგეგმარების სისტემის მეშვეობით. იყო დრო, როდესაც იაპონიის ეკონომიკა ახდენდა სრულიად სხვა თვისებების დემონსტრირებას – კაპიტალიზმის თვისებას, რომელიც მაქსიმალურ მოგებაზე იყო ორიენტირებული. მეორე მსოფლიო ომის წინ ქვეყანაში დაიწყო ეკონომიკური გარდაქმნები, რომლებიც ომის შემდგომ პერიოდში საბოლოოდ წარმოგვიდგა ნამდვილ ეკონომიკურ სასწაულად. წარმოიქმნა ეკონომიკური ზესახელმწიფო, რომელიც ინვესტიციების ამჟამინდელი დონის შენარჩუნების შემთხვევაში სულ მალე ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოდ იქცევა მსოფლიოში. მაგრამ თვით იაპონური ფენომენიც შეიძლება მალე გამკრთალდეს ჩინეთის ფონზე, სადაც ზრდის ტემპები უფრო მაღალია, ვიდრე აღმოსავლეთ აზიურ "ვეფხვებთან". თუმცა ყველაფრისათვის საჭიროა საფასურის გადახდა: ძვირი დაუჯდა იაპონიას წარმატება, ერთიანობისა და თანამშრომლობის მიმზიდველი იაპონური მოდელის ფასადის მიღმა იმალება კოლოსალური დატვირთვა, რომელსაც განიცდიან იაპონელი მუშები და მათი ოჯახის წევრები, გრძელი სამუშაო დღე და მძიმე სამუშაო პირობები. საკმაოდ მცირე დრო რჩება იმისათვის, რასაც ჰქვია "პიროვნება". იაპონურ მეურნეობაში "ფირმა-ოჯახების" სიჭარბეს დაჰკრავს ნეოფეოდალიზმის იერი, თავისი მოვალეობებითა და მორჩილებებით, სადაც მორჩილება, რა თქმაუნდა დგას უფლებებზე მაღლა. ამ მოდელის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ მას ყოველთვის თან ახლავს ტენდენცია ავტორიტარიზმისაკენ, ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ჩინეთი, თავისი ახალგაზრდა კაპიტალიზმით და ძველი ერთპარტიული კომუნისტური სისტემით. და ბოლოს, აღმოსავლეთ აზიაში ეკონომიკის ჩამონგრევამ 1997-1999 წლებში თვალნათლივ დაგვანახა, თუ რაოდენ არამყარი და მყიფეა ეკონომიკური წარმატება, როდესაც ის არ ემყარება ფინანსურ სტაბილურობას.

მართვადი თუ თვითრეგულირებადი კაპიტალიზმი

მსოფლიო კაპიტალიზმის სახესხვაობათა მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ პრობლემას წარმოადგენს საჭირო წონასწორობის მიღწევა პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის. მუშაობს თუ არა კაპიტალისტური ეკონომიკა უკეთ, თუკი მთავრობა საერთოდ არ ერევა მასში, თუ მდგრადი ზრდა და საყოველთაო

აყვავება მხოლოდ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვის მეშვეობით ხდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია, თუკი შევადარებთ ორ ხვადასხვა ეკონომიკურ სტრატეგიებს – კეინსიანიზმსა და მონეტარიზმს. თავისი ნაშრომით "დასაქმების, ინტერესისა და ფულის საერთო თეორია" (1936) კეინსმა გამოწვევა გაუგზავნა კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას და ეს გამოწვევა მდგომარეობდა იმ იდეის სრულ უარყოფაში, რომ თავისუფალი ბაზარი ბადებს საჭირო ეკონომიკურ წესრიგს. laisser-faire პოლიტიკას, რომელმაც თავის დროზე აღმართა ბარიერი მთავრობასა და ეკონომიკას შორის, ამტკიცებდა კეინსი, ჰქონდა მხოლოდ ერთი ისტორიული შედეგი – არასტაბილურობა და უმუშევრობა, რომლებმაც მიაღწიეს აპოგეას 1930 წლების დიდი დეპრესიის დროს.

კეინსის მიხედვით 1930 წლებში კაპიტალისტური ეკონომიკა აღმოჩნდა დეპრესიაში იმის გამო, რომ უმუშევრობის ზრდისას საბაზრო მექანიზმებმა განაპირობეს ხელფასების დაცემა, რამაც თავის მხრივ კიდევ უფრო შეამცირა მოთხოვნილება საქონელსა და მომსახურებაზე. კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდნენ თავისუფალი ბაზრის დოქტრინის ფუნდამენტალური დოგმები: კეინსი ამტკიცებდა, რომ ეკონომიკური აქტიურობის დონე პირდაპირ დამოკიდებულებაშია "ერთიან მოთხოვნასთან", ანუ ეკონომიკაში მოთხოვნების საერთო დონესთან, რომლის მართვასაც ხელისუფლება დაბეგვრისა და ხარჯვის პოლიტიკის მეშვეობით ახორციელებს. როდესაც უმუშევრობა იზრდება, მთავრობამ უნდა მოახდონოს ეკონომიკის სტიმულირება ან საზოგადოებრივი ხარჯების გაზრდით ან გადასახადების შემცირებით. თუკი ამის შედეგად წარმოიქმნება საბიუჯეტო დეფიციტი, ამკიცებდა კეინსი, ეს სრულიად გამოსწორებადია, რამდენადაც ეკონომიკის ზრდა, გარკვეული დროის შემდეგ საშუალებას მისცემს მთავრობას შეაგროვოს გადასახადები და მას არ მოუწევს ვალებით დიდხანს ცხოვრება. ამასთან ეკონომიკის ასეთ სტიმულირებას თან ახლავს მულტიპლიკატორის ეფექტი. კოლექტიური მოთხოვნილების მართვა კეინსის მიხედვით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მოახდინა რევოლუცია ეკონომიკურ პოლიტიკაში. მაშინ ვარაუდობდნენ, რომ ბოლოსდაბოლოს მიიღეს ეკონომიკური განვითარების დონის სტაბილური ზრდისა და მდგრადი ზრდის უზრუნველსაყოფად უტყუარი საშუალება. კეინსიანისტობა 1950-60 წლებში ეკონომიკური აღმავლობის "ხანგრძლივი ბუმის" სინონიმი გახდა. პირველი ეჭვები კეინსიანისტების პოსტულატებთან მიმართებაში გაჩნდა 1970-იან წლებში "სტაგფლაციის" (უმუშევრობისა და ინფლაციის ერთდროული ზრდა) დადგომასთან ერთად. პოლიტიკური თვალსაზრისით, კეინსიონისტობა დააზიანა მისმა პრინციპმა – "შეაგროვე გადასახ-

ადები და გახარჯე”-ს პოლიტიკამ, რომელმაც თავისუფალი ბაზრის ეკონომისტების აზრით, ბოლოს და ბოლოს ამოწურა საქმიანი ინიციატივა და მეწარმეობა; ეკონომიკური ზრდა კი შეუძლებელი გახდა მუდმივად მაღალი ინფლაციის (ფასების საერთო ზრდა) გამო. ამ სიტუაციაში აღორძინდა მონეტარისტული იდეები.

მონეტარიზმის აღმავლობამ, რომელიც მოხდა ისეთი ეკონომისტების ძალისხმევით, როგორიცაა ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი და მილტონ ფრიდმენი, გამოიწვია ეკონომიკური პრიორიტეტების რადიკალური ძვრები – უმუშევრობასთან ბრძოლის ამოცანებიდან ინფლაციასთან ბრძოლა. მოძრაობა, რომელსაც 1988 წლებში სათავეში ჩაუდგნენ ტეტჩერის მთავრობა დიდ ბრიტანეთში და რეიგანის ადმინისტრაცია აშშ-ში, თავის მთავარ ეკონომიკურ ამოცანას ხედავდა იმაში, რომ უზრუნველეყო “ჯანმრთელი ფულები”. ახალი ფილოსოფიით, მთავრობის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ინფლაცია განიდევნოს ეკონომიკიდან.

სოციალიზმის სახეობანი

თანამედროვე სოციალისტები დღეისათვის კაპიტალიზმს მიიჩნევენ ერთადერთ საიმედო ვარიანტად საზოგადოებრივი სიმდიდრის შესაქმნელად. ამიტომ მათი მხრიდან საუბარი მიდის კაპიტალიზმის არა მოსპობაზე, არამედ მის რეფორმირებზე. შენარჩუნდა შეხედულება იმის თაობაზე, რომ სოციალიზმი კაპიტალიზმზე “მაღლაა” როგორც ეთიკური, ასევე ეკონომიკურ მიმართებაში. სოციალისტების ნაშრომში პარამეტრებით ეკონომიკური მოდელების დიდი რაოდენობა იყო, მათ შორის მთავარი იყო მარქსიზმი.

მარქსს არ აუღწერია მომავალი სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური წყობილება, ის შემოიფარგლა მხოლოდ ზოგიერთი საერთო პრინციპის მითითებით. რა თქმა უნდა,ის ვარაუდობდა, რომ კერძო საკუთრება შეიცვლებოდა კოლექტიურით ან საზოგადოებრივით. მარქსი შორს იყო ნაციონალიზაციისა და ცენტრალური დაგეგმვის იდეისაგან, ყველაფერი იმისაგან, რაც უნდა გამხდარიყო XX საუკუნის საბჭოთა ეკონომიკის დამახასიათებელი ნიშნები.

არსებობს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სოციალიზმის მოდელი:

- სახელმწიფო სოციალიზმი
- საბაზრო სოციალიზმი.

სახელმწიფო სოციალიზმი

1917 წელს ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ საბჭოთა კავშირი იყო პირველი, ვინც გამოიყენა სოციალისტური ეკონომიკის მოდელი. ლენინის “ახალი ეკონომიკური პოლიტიკის” მიუხედავად, ამ სისტემამ ვერ მიიღო საბოლოო განვითარება სტალინის “მეორე რევოლუციამდე”. ამიტომ სოციალიზმის ამ ფორმამ მიიღო სახელწოდება ეკონომიკური სტალინიზმი. სისტემა ეყრდნობოდა მთელი საკუთრების ნაციონალიზაციას. ფაქტიურად, მთელი ეკონომიკური რესურსები უნდა გადასულიყო პარტიულ-სახელწიფოებრივი აპარატის კონტროლის ქვეშ, რომელიც აკონტროლებდა ვაჭრობას და დააწესებდა ფასებს, ხელფასებს, გადასახადებს და სუბსიდიებს. გეგმების შესრულების პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ეკონომიკის სამინისტროებს, რომლებიც გააკონტროლებდნენ ეკონომიკის სექტორებს და გაუძღვებოდნენ საბჭოთა კავშირის ბანკების, ქარხნებისა და მაღაზიების მუშაობას. როდესაც 1989-1991 წლებში მოხდა სახელმწოფოებრივ-სოციალისტური მოდელის დანგრევა საბჭოთა კავშირში, დაიწყეს ლაპარაკი იმაზე,რომ ეკონომიკური დაგეგმვის იდეამ დისკრედიტაცია გაუკეთა თავის თავს. მაგრამ მაინც, საბჭოური დაგეგმვის სისტემას ჰქონდა ისტორიული ღირებულებები, რის შედეგადაც 1941 წლისათვის საბჭოთა კავშირში შეიქმნა მძიმე ინდუსტრია, რამაც უზრუნველყო ქვეყნის გამარჯვება ფაშიზმთან ბრძოლაში. დაგეგმვის სისტემა დაეხმარა საბჭოთა კავშირს აღმოეფხვრა უსახლკარობა, უმუშევრობა და სრული გაჭირვება. და მაინც, არაფერს არ შეუძლია დაფაროს ცენტრალიზებული დაგეგმვის პრინციპული ნაკლოვანებები. მემარცხენე ორიენტაციის კრიტიკოსების აზრით, საბჭოური დაგეგმვის სისტემა იგივე სახელწიფო კაპიტალიზმი იყო.

საბაზრო სოციალიზმი

ზეცენტრალიზებული საბჭოთა ეკონომიკის მოდელის ალტერნატივად ხშირად მოიაზრებდნენ სოციალიზმის პრინციპებს დინამიკური საბაზრო კონკურენციით. ასეთი ძიება მიმდინარეობდა 1949 წლიდან იუგოსლავიაში პრეზიდენტ ტიტოსა და სტალინის კონფლიქტის შემდეგ, ასევე უნგრეთში 1956 წელს ანტისაბჭოური გამოსვლების შემდეგ და 1985-1990 წწ. მიხეილ გორბაჩოვის საბჭოთა გარდაქმნის წლებში.

საბაზრო სოციალიზმის იდეა ბევრს იმით იზიდავს, რომ მას შეუძლია შეასწოროს ცენტრალიზებული დაგეგმვის სერიოზული

ნაკლი. არ შეიძლება ითქვას, რომ სოციალისტურმა ბაზარმა საერთოდ არ იცის დაგეგმვა და დარეგულირება, რადგან სინამდვილეში შემოთავაზებული ვარიანტებიდან "რელიასტური" ან "სიცოცხლისუნარიანი" სოციალიზმი არასოდეს არ გამოდიოდა საერთო დაგეგმვის კონცეფციიდან, მხოლოდ ცდილობდა მასში ჩაერთო უფრო ფართო კავშირები მწარმოებლებთან.

ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ იუგოსლავიური და უნგრული გამოცდილებები აღმოჩნდნენ ნაკლებად წარმატებული, ვიდრე საბჭოური. საბაზრო სოციალიზმის მთავარი სისუსტე იმაში მდგომარეს, რომ თვითმმართველობა სინამდვილეში უპირისპირდება საბაზრო დისციპლინას.

არსებობს თუ არა ეკონომიკაში „მესამე გზა"?

ეკონომიკაში "მესამე გზის" იდეას, რომელსაც არ ექნებოდა კაპიტალიზმის და სოციალიზმის ნაკლოვანებები, მიმართავდნენ სხვადასხვა პოლიტიკური ტრადიციების წარმომადგენლები, არ გამოირიცხება ფაშიზმიც. ამ იდეის რეალიზაცია პირველად სცადა მუსოლინმა, მოგვიანებით მას დაუბრუნდნენ მოზლი დიდ ბრიტანეთში და პერონი არგენტინაში. თავისი ლიბერალური ვარიანტისაგან განსხვავებით, ფაშისტური კორპორატივიზმი ემყარება ბიზნესისა და შრომის ორგანულ და სულიერ ერთობას. 1945 წლის შემდეგ "მესამე გზით", სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ელემენტების შეთავსების გზით წავიდა შვეცია. სოციალ-დემოკრატიული "მესამე გზა" შეიძლება განვიხილოთ როგორც სოციალისტური კაპიტალიზმის მემარცხენე ვერსია. 1990 წლიდან "მესამე გზის" იდეოლოგიაში აშკარად დაიწყო შემოსვლა პოსტსოციალურმა მოდელმა.

ეკონომიკური საზოგადოების ორგანიზაციის განსხვავებული მიდგომა შემოგვთავაზეს ეკოლოგიური მოძრაობის თეორეტიკოსებმა. მათი თვალსაზრისით კაპიტალიზმიც და სოციალიზმიც არის ინდუსტრიალიზმის "სუპერიდეოლოგიის" ერთი და იგივე გამოვლინება. "მწვანე ალტერნატივა" მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკური პრიორიტეტი უნდა გახდეს ეკოლოგია, ე.ი. სისტემის შესაძლებლობა შეინარჩუნოს თავისი ეკოლოგიური ჯანმრთელობა და არსებობის პერსპექტივა. ეკოსოციალისტების თვალსაზრისით მთავარი დამნაშავე გარშემო სივრცის განადგურებაში არის კაპიტალიზმი თავისი შემოსავლის ზრდის მუდმივი მისწრაფებებით.

უნდა შეწყდეს ბუნების განხილვა, როგორც ამოუწურავი

რესურსების წყაროსი, რომელიც მხოლოდ ადამიანური მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება და შეიქმნას საერთოდ განსხვავებული ღირებულებების სისტემა, რომელიც ეკოლოგიას ეკონომიკაზე მაღლა დააყენებს და მორალს – მატერიალურ საკითხებზე მაღლა. ასეთ იდეებზე არის დაფუძნებული "ბუდისტური ეკონომიკისის" კონცეფცია, რომელიც წარმოადგინა ე.ფ. შუმახერმა (1973 წ).

დასკვნები

ეკონომიკა გავლენას ახდენს პოლიტიკაზე. ძალაუფლებისათვის ბრძოლაში პარტიები ეჯიბრებიან ერთმანეთს დაპირებებში, რომ დააჩქარებენ ეკონომიკურ ზრდას, შეამცირებენ ინფლაციას და ა.შ. ამომრჩეველი ხმას აძლევს კანდიდატს იმისდა მიხედვით, თუ რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნება ის. არჩევნების შედეგი პირდაპირ დამოკიდებულია ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ასწლეულის მანძილზე იმართებოდა იდეოლოგიური დისკუსიები იმის შესახებ, თუ საკუთრების რომელ საშუალებას აქვს მეტი უპირატესობა.

კაპიტალიზმი და სოციალიზმი ტრადიციულად განიხილება, როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო ეკონომიკური ფორმები. კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია სასაქონლო წარმოება, კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე და საბაზრო ორგანიზაცია. სოციალიზმი არსებობდა სახელმწიფო ან კოლექტიური საკუთრებით, ცენტრალური დაგეგმარებითა და თეორიულად – ადამიანის მოთხოვნების უშუალო დაკმაყოფილებით.

არც კაპიტალიზმი და არც სოციალიზმი არ არსებობდნენ სუფთა ფორმებში. კაპიტალიზმის ერთ სახეობაში აქცენტი კეთდება მეწარმის სრულ თავისუფლებაზე და სუფთა "საბაზრო" ინდივიდუალიზმზე. სოციალური სამართლის მნიშვნელობას აღიარებენ. ზოგისათვის მთავარი საზოგადოებრივი თანამშრომლობის პრინციპებია, რომლებიც ორიენტირებულნი არიან გრძელვადიან მიზნებზე. სოციალიზმის მრავალსახეობებში ან ყველაფერს წყვეტდა სახელმწიფო ან ცდილობდნენ მორგებას კომპრომისის სახით.

ყველა საბაზრო სისტემები ასე თუ ისე რეგულირებადია. რეგულირების მომხრეები ამტკიცებენ, რომ ბრენდის მმართველობის გარეშე შეუძლებელია შეაჩერო ბაზრის თვითნებური ტენდენციები არასტაბილურობისაკენ, რომელიც იწვევს კრიზისსა და უმუშევრობას, ოპონენტები კი ამტკიცებენ, რომ ყველაფერ ამას მივყავართ საბაზრო წონასწორობის დარღვევისაკენ, რაც აუცილებლად შემობრუნდება არაეფექტურობისა და არაკონტროლირებადი ინფლაციისაკენ.

საზოგადოებრივი სტრუქტურა, კერძოდ, მისი შიდა დაყოფა სოციალურ ფენებად და ჯგუფებად სხვადასხვაგვარ ზემოქმედებას ახდენს პოლიტიკაზე. ყველა საზოგადოებაშია საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი პოლიტიკური განწყობა და პოლიტიკური კულტურა. სოციალური სტრუქტურა განსაზღვრავს პოლიტიკური ქცევის შესაბამის ფორმებს და მართვაში მონაწილების ფორმებს. თანამედროვე საზოგადოება შინაგანად დაყოფილია ისეთ საფუძვლებზე, როგორიცაა რასა, კლასი და სქესი. კლასების მნიშვნელობა დღეს შესაძლებელია ნულამდე შემცირებულიყო, რომ არ აღმოცენებულიყო სამოქალაქო უფლებებისა და ქალთა უფლებების მოძრაობები, რომლებმაც რასა და სქესი ისეთივე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ფაქტორად აქცია, როგორიც ოდესღაც იყო კლასი.

თავი X
პოლიტიკური კულტურა, თვითგამორკვევა და ლეგიტიმურობა

პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხორციელდება ხალხის ცნობიერებაში, რადგან პოლიტიკა ყალიბდება ჩვენი იდეებით, ღირებულებებითა და წარმოდგენებით იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ორგანიზებული საზოგადოება. ეს ხდება ჩვენი მოლოდინითაც, იმედითა და სახელმწიფოს მიმართ სიფრთხილით და ბოლოს ერთად აღებული, შეიძლება იყოს გაცილებით უფრო მთავარი, ვიდრე პოლიტიკური რეალიები – ესე იგი სინამდვილეში საზოგადოებაში განაწილებულია ძალაუფლება, რესურსები და შესაძლებლობები. ჩვენს მიერ რეალობის აღქმა, არა თუ შეიძლება გახდეს მთავარი, ზოგ შემთხვევაში ის თვითონ არის რეალობა. ყოველივე ეს მიუთითებს იმის მნიშვნელობაზე, რასაც პოლიტიკური კულტურა ეწოდება.

ხალხის წარმოდგენები და ღირებულებები პოლიტიკაზე, ასევე იმ სახელმწიფოებრივ წყობილებაზე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, მოცემულია მათსავე ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, ყოველთვის წამოიჭრება კითხვები – სამართლიანია თუ არა ეს წყობა? აქვს თუ არა მას არსებობის უფლება? პოლიტოლოგები ყოველთვის საუბრობენ რეჟიმის ლეგიტიმურობის პრობლემაზე, ლეგიტიმურობა ხომ – ეს არის პოლიტიკური სტაბილურობის და სიცოცხლისუნარიანობის გასაღები, რეჟიმის არსებობის გარანტია.

წარსულის მოაზროვნეები პოლიტიკის განხილვისას აღიარებდნენ, რომ საზოგადოებისათვის დიდ როლს თამაშობენ ღირებულებები და ხალხის რწმენა, თუმცა ამას პოლიტიკურ კულტურას არ უწოდებდნენ. ბერკი ბევრს წერდა ტრადიციებზე და ადათ-წესებზე, მარქსი – იდეოლოგიაზე, ჰერდერი – „ნაციონალურ სულზე“. მაგრამ ყველანი ერთად თანხმდებოდნენ იმაზე, რომ **ღირებულებებს და ხალხის ტრადიციებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა საზოგადოებრივი წყობის სტაბილურობისათვის და სიცოცხლისუნარიანობისათვის.** პოლიტოლოგთა ინტერესი კი პოლიტიკური კულტურის იდეის მიმართ წარმოიშვა მხოლოდ 1950-1960-იან წლებში, როდესაც ადამიანური ქცევის ახალი მეთოდით შესწავლამ შეცვალა საგნის მიმართ ტრადიციული მიდგომა. ამ სფეროში კლასიკურ ნაშრომად იქცა ალმონდის და ვერბას „სამოქალაქო კულტურა“ (1963), რომელიც ხუთი ქვეყნის – აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის და მექსიკის პოლიტიკური

სპეციფიკის ანალიზისთვის იყო გამოყენებული. ნაშრომი ცდილობდა აეხსნა, თუ რატომ განიცადეს კრიზისი მსოფლიო ომებს შორის პერიოდში იტალიის, გერმანიის და სხვა ქვეყნების თითქოს და სრულიად დემოკრატიულმა მთავრობებმა და რატომ მიიკვლევს დემოკრატია ასეთი წვალებით გზას?

1970-1980-იან წლებში კი ინტერესი პოლიტიკური კულტურისადმი ოდნავ დაეცა, მაგრამ 1990-იან წლებში, როდესაც დაიწყო კომუნიზმის ნგრევა აღმოსავლეთ ევროპაში და დემოკრატიული ქვეყნების შენება,ამას მოჰყვა მყარ დემოკრატიულ ქვეყანაში – ამერიკაში ლაპარაკი „სოციალური კაპიტალის კრიზისზე“ და სამოქალაქო აქტიურობის დაცემაზე. გამწვავდა დისკუსიები იმაზე, რომ ხომ არ ხდებოდა პოლიტიკური კულტურის ფორმირება ელიტარული ჯგუფების იდეებით და ინტერესებით და თუ როგორ როლს თამაშობს საზოგადოებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და რა დონეზე შეუძლია სახელმწიფოს მანიპულირება პოლიტიკური კომუნიკაციით დღეს.

პოლიტიკური კულტურა – კულტურა – ფართო გაგებით არის ხალხის ცხოვრების წესის გამოსახვა. სოციოლოგები და ანთროპოლოგები ავლებენ ზღვარს „კულტურასა“ და „ბუნებას“ შორის. კულტურას უწოდებენ იმას, რაც შთამომავლობას გადაეცემა სოციალური მექანიზმებით და არა ბიოლოგიური მემკვიდრეობით. პოლიტოლოგები ამ ტერმინს უფრო ვიწრო გაგებით იყენებენ. აქ ის ეხება ხალხის ფსიქოლოგიურ ორიენტაციას და განსაზღვრავს ხალხის ურთიერთობას ისეთი ფენომენისადმი, როგორიცაა პარტია, ხელისუფლება, კონსტიტუცია. ეს ყველაფერი გამოიხატება მრწამსში, ღირებულებებში და სიმბოლოებში. პოლიტიკური კულტურის საზოგადოებრივ აზრთან არევა არ არის მისაღები, რადგანაც ის განისაზღვრება ღრმად დაფუძნებული ღირებულებებით და არა ხალხის რეაქციით, კონკრეტული პოლიტიკური პრობლემის შემთხვევაში.

სამოქალაქო კულტურა თუ იდეოლოგიური ჰეგემონია?

ბევრი ავტორი პოლიტიკურ კულტურაზე საუბრისას ეყრდნობა სამოქალაქო კულტურას, ცნებას შემოღებულს მეცნიერებაში ალმონდისა და ვერბას მიერ (1963; 1980). ისინი მიისწრაფოდნენ დაედგინათ, თუ როგორი პოლიტიკური კულტურა უწყობს ხელს დემოკრატიას. ზემოთ ხსენებულმა ავტორებმა ის სამ ტიპად დაჰყვეს – „აქტიური კულტურა“ (პოლიტიკური მონაწილეობის კულტურა), „პასიური კულტურა“ (ქვეშევრდომობის კულტურა) და „ლოკალური კულტურა“.

მათი კონცეფციით **„აქტიური კულტურისათვის“** დამახასიათებელია მოქალაქეების ცოცხალი ინტერესი პოლიტიკისადმი, მასში მონაწილეობას ისინი თვლიან საჭიროდ და უმთავრესად. **„პასიურ კულტურაში“ –** ისინი გამოდიან უფრო ობიექტად, ვიდრე სუბიექტად, რომელსაც აქვს გავლენის შეზღუდული შესაძლებლობა მთავრობაზე. აქ მთავარია მოქალაქეების მზადყოფნა დაემორჩილონ ხელისუფლებას. **„ლოკალური კულტურა“ –** განსხვავდება მოქალაქეობრივი გრძნობის უქონლობით. ხალხი აქ საკუთარ თავს უკავშირებს არა ეროვნებას, არამედ საკუთარ გარემოცვას და არა აქვს პოლიტიკაში მონაწილეობის არც სურვილი, არც შესაძლებლობა. ალმონდი და ვერბა საბოლოოდ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სამოქალაქო კულტურა სინამდვილეში ყოველთვის აერთიანებს სამივე პოლიტიკური კულტურის კომპონენტებს. დემოკრატიის სიმყარეს მათი აზრით უზრუნველყოფს ისეთი პოლიტიკური კულტურა, რომელშიც ნაპოვნია ოქროს შუალედი მოქალაქეების აქტიურობასა და პასიურობას შორის და სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს მხოლოდ იმ აუცილებლობას, რომლის შესრულებაც შეუძლებელია.

სამოქალაქო კულტურის დამკვიდრება არც ისე ადვილია. ეს დაგვანახა დასავლეთ გერმანიამ და იტალიამ. ფაშიზმის დამარცხების შემდეგ ვერცერთ ქვეყანაში ვერ ჰპოვა განვითარება აქტიურმა პოლიტიკურმა კულტურამ. თუ გერმანიაში დომინირებდა პასიური მორჩილების კულტურა,იტალიაში არ აღმოფხვრილა ლოკალური პოლიტიკური კულტურის ნიშნები.

მარქსიზმში განვითარდა კულტურის ორი თეორია. პირველის მიხედვით კულტურა ატარებს კლასობრივ ხასიათს, რადგან ერთიკლასის წარმომადგენლებს, როგორც წესი, აქვთ ერთი და იგივე ინტერესები და იმყოფებიან ერთნაირ ეკონომიკურ მდგომარეობაში. მათ ექნებათ მსგავსი იდეები, რწმენა და მიზნები. მარქსის სიტყვებით „ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ხალხის ყოფიერებას, არამედ მათი სოციალური ყოფიერება განსაზღვრავს (ყოფიერება) ცნობიერებას: ამიტომ პროლეტარიატის კულტურა ყოველთვის განსხვავდება ბურჟუაზიის კულტურისაგან. კულტურის მეორე თეორიის მიხედვით, მმართველი კლასის იდეები (რომელსაც მარქსი უწოდებდა „იდეოლოგიას“) ადვილად ვრცელდება საზოგადოებაში და ამიტომ იქცევა ეპოქის „გაბატონებილ აზრად“. ამგვარად მისთვის თავისი დროის პოლიტიკური და თუნდაც სამოქალაქო კულტურა იქნებოდა ბურჟუაზიული იდეოლოგია. იდეოლოგიის ფუნქცია მარქსის მიხედვით გულისხმობს იმას, რომ დაჩაგრული კლასი იძულებულია შეეგუოს თავის მდგომარეობას, ამას ემსახურებოდა ყველანაირი სახის მითების გავრცელება. მოგვიანებით ეს ყველაფერი მარქსიზმმა გან-

საზღვრა, როგორც ბურჟუაზიული „ჰეგემონია“.

თანამედროვე მარქსისტები შორის არინ პრობლემის ასეთ გაგებასთან და სულაც არ თვლიან, რომ ბურჟუაზიის გაბატონებული კლასი განსაზღვრავს კაპიტალისტური საზოგადოების ინტელექტუალურ და კულტურულ ცხოვრებას. ისინი ამბობენ, რომ საზოგადოებაში კონკურენციას უწევენ ერთმანეთს.

(ბურჟუაზიული იდეოლოგია მარქსისტული ტერმინია და ნიშნავს იდეებს და თეორიებს, რომლებიც კაპიტალისტური წყობის წინააღმდეგობის დაფარვით ემსახურებიან ბურჟუაზიის ინტერესებს).

ამ პოზიციის ცნობილი წარმომადგენელი იყო იტალიელი მოაზროვნე და პოლიტიკოსი **ანტონიო გრამში** XX საუკუნეში. თავის თანამედროვე საზოგადოებაში გრამშმა დაინახა, რომ ბურჟუაზიის გაბატონება თავის თავს უზრუნველყოფს არა მხოლოდ მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლებით, არამედ კულტურით, სულიერ ყოფაში, ამგვარი ჰეგემონიით: მისი ღირებულებები ვრცელდება სამოქალაქო საზოგადოების მეშვეობით – მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, ეკლესიური ინსტიტუტებით, ახალგაზრდული მოძრაობებით. აქედან გამომდინარე, სოციალიზმის გამარჯვებისათვის საჭიროა „იდეებს შორის ბრძოლა“, სადაც პროლეტარულმა ღირებულებებმა,თეორიებმა და პრინციპებმა უნდა განდევნონ,ან უკიდურეს შემთხვევაში, შეავიწროვონ ბურჟუაზიული.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და პოლიტიკური კომუნიკაცია

იმის შესახებ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იძენენ პოლიტიკურ მნიშვნელობას,დაიწყეს ლაპარაკი XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც საზოგადოებაში შემოვიდა მასობრივი წიგნიერება და ყველასათვის გახდა ხელმისაწვდომი პრესა. მაგრამ დრომ თან მოიტანა ახალი ტექნიკური და სოციალური ცვლილებები, და გაირკვა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გახდნენ პოლიტიკური პროცესის სრულყოფილი, საკმაოდ დამოუკიდებელი და უაღრესად ძლიერი ფაქტორი.

ამ ყველაფერში გამოვლინდა სამი ტენდენცია. დროთა განმავლობაში შემცირდა ეგრეთ წოდებული პოლიტიკური სოციალიზაციის „პირველადი“ ფაქტორების გავლენა, ისეთებზე, როგორიცაა ოჯახი და საზოგადოებრივი კლასი. ადამიანი ბავშვობიდან იღებდა რაღაც პოლიტიკურ (კვალს) „აცრას“. უკვე ზრდასრულ ასაკში მისი

შეხედულებები იცვლებოდა, მაგრამ ის კვალი რჩებოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე. თანამედროვე საზოგადოება კი თავისი სოციალური და გეოგრაფიული მობილურობით, ინდივიდუალიზმის დაფუძნებითა და სამომხმარებლო ღირებულებებით, ამკვიდრებს სრულიად განსხვავებულ სიტუაციას. დღეს, არჩევნებზე ხალხი თვითონ წყვეტს, თუ ვის მისცეს ხმა, იქიდან გამომდინარე, თუ რას ლაპარაკობს და პირდება კანდიდატი. აქედან მოდის მასობრივი ინფორმაციების პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდა, რადგან დღეს სწორედ მათ მიაქვთ პუბლიკამდე ინფორმაცია პოლიტიკური პრობლემებისა და პროგრამების შესახებ, ასევე კანდიდატის ან პარტიის არჩევის ვარიანტიც.

დღეს გასაგებია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პირდაპირ აყალიბებენ საზოგადოებრივ აზრს, გემოვნებას. ხალხს რჩება მხოლოდ აირჩიოს რომელიმე პოლიტიკური გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებით გაემართონ საარჩევნო ურნებისაკენ. მიუხედავად ამისა, არსებობს სხვადასხვა შეხედულებები მასობრივი ინფორმაციების საშუალებების პოლიტიკურ როლზე.. თეორიებს შორის უმთავრესია შემდეგი მოდელები: **პლურალისტური მოდელი, გაბატონებული იდეოლოგიის მოდელი, საბაზრო მოდელი და ელიტის ფასეულობათა მოდელი.**

პოლიტიკური სოციალიზაცია – არის პროცესი, რომლის მიმდინარეობისას ხალხი იძენს და გამოიმუშავებს მოსაზრებებს და ღირებულებებს, რომლებიც შემდეგ თაობებს გადაეცემა.

პროპაგანდა – არის მიზანმიმართული ინფორმაციის გავრცელება იმ მიზნით, რომ ჩამოყალიბდეს საჭირო აზრი და მოახდინოს პროვოცირება განსაზღვრულ პოლიტიკურ მოქმედებაზე, მანიპულირების მიზნით.

„ახალი ამბების მიწოდების ხელოვნება“ – არის ინფორმაციის მოწოდება ისეთი ხერხით, რომ გამოიწვიოს სასურველი ეფექტი და განსაკუთრებული რეაქცია „ეკონომიკურ ჭეშმარიტებაზე“.

სოციალური კაპიტალის დეგრადაცია?

ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოებში, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა მისცა დამატებითი ინტერესი პოლიტიკური კულტურის პრობლემატიკას. საქმე ისაა, რომ რამდენიმე თაობის ცხოვრებაში სახელმწიფომ ამოძირკვა, ან მინიმუმამდე დაიყ-

ვანა ის სოციალური და პოლიტიკური კავშირები, რომელსაც ეყრდნობა დემოკრატიული პოლიტიკა. სამოქალაქო საზოგადოების და საზოგადოებრივი ასოციაციების ჯგუფების სფერო, დამოუკიდებელი სახელმწიფოსაგან, რომელიც შეიცავს კერძო წარმოებას, ინტერესთა ჯგუფებს და ა.შ. აქ შეგვიძლია გავიხსენოთ ალექსის დე ტოკვილის აზრი, რომელმაც XIX საუკუნეში ახსნა ამერიკის დემოკრატიულობა იმით, რომ ამერიკელები მიდრეკილნი არიან ასეთი საზოგადოებრივი ასოციაციების დაარსებისადმი. მაგრამ როგორც კი გაჩნდა ინტერესი პოსტ-კომუნისტური ქვეყნების პოლიტიკური კულტურისადმი, ის გავრცელდა მომწიფებულ დემოკრატიების პოლიტიკურ პრობლემებზეც.

რობერტ პატნემმა მოსახლეობის სამოქალაქო აქტიურობის ტრადიციები განსხვავებით ახსნა, რაც ვლინდება ისეთ მოვლენაზე, როგორიცაა განსხვავებული საარჩევნო აქტიურობის დონე. პატნემმა ყურადღება მიაქცია აშშ-ის სოციალური „კაპიტალის დაცემას“, რომლის არსებობა აისახა იმაში, რომ 1965 წლიდან კლუბების, ნებაყოფლობითი საზოგადოებების და ყველანაირი ტიპის ასოციაციების რიცხვი შემცირდა 25-50%-ით, მკვეთრად შემცირდა საზოგადოებრივ, ქალაქურ, სასკოლო კრებებზე დასწრება, შემცირდა პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანება, მათი ნებაყოფლობითი მოღვაწეობა.

თავიანთი აზრი აქვთ კონსერვატიული ორიენტაციის თეორეტიკოსებსაც: სოციალური კაპიტალის მართვა ასოცირდება ტრადიციებთან „ტრადიციულ ღირებულებებთან“. ის ღირებულებები და წარმოდგენები, რომლებიც გადაეცემა თაობიდან თაობას, აარსებენ თავისი ტიპის ცხოვრების კულტურულ საფუძველს.

კონსერვატიულად განწყობილი პოლიტიკოსები ყოველთვის მოუწოდებენ ღირებულებების გაძლიერებისაკენ, რადგან მათში ხედავენ შინაგანი გამთლიანებისა და საზოგადოებრივი პოლიტიკური სტაბილურობის გასაღებს. 1980-იან წლებში **მარგარეტ ტეტჩერი** გამოვიდა მოწოდებით, იმუშაონ ეგრეთ წოდებული „ვიქტორიანული ღირებულებების“ აღორძინებაზე დიდ ბრიტანეთში. ამის შემდეგ ანალოგიური, მაგრამ ნაკლებად წარმატებული ინიციატივით „პირველსაწყისისკენ დაბრუნებისაკენ“ 1990-იან წლებში გამოვიდა ჯონ მეიჯორი. ზუსტად ასე აპელირებდა აშშ-ში რონალდ რეიგანი „საზოგადოებრივი იდეოლოგიის“ მემკვიდრეობისადმი, რაც ამერიკელებში აისახა თავიანთი დასავლური თავდაჭერილობით. ხშირად ტრადიციული ღირებულებები უკავშირდება ისეთ ინსტიტუტებს, როგორიცაა ოჯახი, ეკლესია და ეროვნება, ანუ ის ყველაფერი, რაც ისტორიაში განასახიერებს ფხიანობას, თვითნებობას და მდგომარეობას.

ტრადიციული ღირებულებების დაცვა გახდა ერთ-ერთი

უმთავრესი მოტივი ნეოკონსერვატორებისთვის, რომლითაც აშშ-ში გამოვიდნენ ისეთი სოციალური მოაზროვნეები, როგორებიც არიან **დენიელ ბელი** და **ირეინგ კრისტოლი,** რომლებმაც წინ წამოსწიეს სულიერი ღირებულებების დანგრევა ბაზრის სტიქიის გამო.

კიდევ ერთი აზრი სოციალური კრიზისის პრობლემაზე, ამტკიცებს, რომ საუბარი უნდა მიმდინარეობდეს არა სამოქალაქო კულტურის შემცირებაზე და სოციალური კავშირების შესუსტებაზე, არამედ მათი ფორმების შეცვლაზე.

ინგლჰარტის აზრით, ყველაფერი ეს ხდება ამჟამინდელი მატერიალური კეთილდღეობის და „პოსტმატერიალისტური“ ღირებულებების (განსაკუთრებულად ახალგაზრდებში), გავრცელების გამო. 1960-იანი წლებიდან ხალხი უმეტესად განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში ეგუებოდა ეკონომიკურ უსაფრთხოებას და მატერიალურ კეთილდღეობას, ყველა და ყველანაირი ტრადიციული წარმოდგენები – სექსზე, ქორწინებაზე, ცქევის ნორმებზე შეიცვალა, ლიბერალური, უწესო ღირებულებებით, რომ არ ვთქვათ „ყოვლად უმსგავსოთი“.

ტრადიციული პოლიტიკური ურთიერთობები და კავშირები კი პირიქით დასუსტდნენ, მათ ჩაენაცვლენ ისეთი საკითხები, როგორიცაა ფემინიზმი, ატომური განიარაღება, ცხოველების უფლებები და გარემო. შესაძლებელია იმიტომ მიმდინარეობს ასეთი მოვლენები, როგორც პარტიებში წევრების შემცირება და საარჩევნო აქტიურობის დაცემა. მეორეს მხრივ კი, ისეთი საპროტესტო აქციების წარმოშობა, რომლებიც დაკავშირებულები არიან რაღაც ერთი საერთო პრობლემით. პოსტფორდიზმის თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ასეთი ტიპის ცვლილებები, იყო აბსოლუტურად შეუქცევადი და წარმოადგენდნენ საზოგადოების საერთო ეკონომიკური და პოლიტიკური ინდივიდუალიზმისაკენ მოძრაობის შედეგებს.

ლეგიტიმურობა და პოლიტიკური სტაბილურობა

პოლიტიკური სისტემის ან რეჟიმის ლეგიტიმურობის პრობლემა, ან შეკითხვა იმაზე, იღებს თუ არა ეს საზოგადოება ამა თუ იმ რეჟიმს, როგორც „კანონიერს“, „სამართლიანს“, და ა.შ. დაკავშირებულია ძველ და მთავარ თემასთან – ესაა პოლიტიკური ვალდებულება. პრობლემა მიდის უბრალო კითხვამდე: რატომ არიან მოქალაქეები ვალდებულნი აღიარონ სახელმწიფოს ძალაუფლება? არის თუ არა ასეთი მიდგომა სახელმწიფოსადმი და მისი კანონებისადმი დამორჩილება – ხალხის მოვალეობა? თანამედროვე პოლიტიკურ დისკუსიებში ლეგიტიმურობა ესმით არ იმდენად, როგორც მორ-

ალური ვალდებულებების პრობლემა, რამდენადაც კითხვა, თუ რატომ უნდა გააკეთონ მათ ეს.

ლეგიტიმურობა (ლათინურად ლეგიტიმას – კანონიერად გამოცხადება) ფართო გაგებით ნიშნავს „კანონიერებას“, „სწორობას“, „სამართლიანობას“. ეს არის ის ძალაუფლება, რაც ორგანოებს აძლევს ავტორიტეტს საზოგადოების თვალში. კანონიერება სულაც არ აძლევს სახელმწიფოს ან მთავრობას, საზოგადოების ან ცალკე მოქალაქეების პატივისცემის გარანტიას.

ძალაუფლების ლეგიტიმაცია

ლეგიტიმურობის პრობლემის, როგორც სოციოლოგიური მოვლენის კლასიკური გამოკვლევა, დაიწყო მაქს ვებერმა. ვებერი ცდილობდა „ბატონობის სისტემის“ კლასიფიცირებას და სურდა აეხსნა ის საფუძვლები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ სისტემის ლეგიტიმურობას. მან პოლიტიკური ძალაუფლების მრავალფეროვანი ბუნება მიიყვანა „იდეალურ ტიპებამდე“ და კონცეფტუალურ მოდელებამდე. ეს იდეალური ტიპებია:

– ძალაუფლება, რომელიც ეყრდნობა ტრადიციებს – ტრადიციული ძალაუფლება

– ძალაუფლება, რომელიც ეყრდნობა ქარიზმას – ქარიზმატული ძალაუფლება

– ძალაუფლება, რომელიც ეყრდნობა კანონს რაციონალური თვისებების საფუძველზე – რაციონალურ-სამართლებრივი ძალაუფლება.

თითოეული ამ სამიდან, ფლობს პოლიტიკური ლეგიტიმურობის საკუთარ ბუნებას და წყაროს, რომლებშიც ხალხი თვლის შესაძლებელს და აუცილებელს დაემორჩილოს სახელმწიფოს.

პოლიტიკური ლეგიტიმურობის პირველი ტიპი – ვებერის მიხედვით, დაფუძნებულია ისტორიულ ადათ-წესებზე და ტრადიციაზე, ტრადიციული ბატონობა მიიჩნევა როგორც ლეგიტიმური, იმიტომ, რომ ის არსებობდა ისტორიულად, მას აღიარებდნენ წინა თაობები, როგორც წესი ასეთი ძალაუფლება ეყრდნობოდა კონკრეტულ ნორმებს – გამძლე და უეჭვო ადათ-წესებს, რომლებსაც არ სჭირდებათ დასაბუთება, რადგან ისინი არსებობდნენ უხსოვარი დროიდან. ტრადიციული ძალაუფლების დამახასიათებელ ჩვევებს ჩვენ ვპოულობთ თემებში, ან პატარა ჯგუფებში, სადაც ის არსებობს პატრიარქატის ფორმით ან გერონტოკრატიით (უფროსების ავტორიტეტული ბრძანებლობა).

ლეგიტიმურობის მეორე ტიპი ეს არის **ქარიზმული ბატონობა,** ეს საუბარი მიდის ავტორიტეტზე, იმ ბატონობაზე, რომელიც თითქოს და თავისით წარმოიშვება ძლიერი პიროვნებისაგან, მისი „ქარიზმიდან“. ქარიზმატული ძალაუფლება, რომელიც სრულად არ არის დაკავშირებული სტატუსთან, საზოგადოებრივ მდგომარეობასთან, ან სახელმწიფოს იერარქიულ ადგილთან, ფუძნდება ლიდერის თვისებებზე, რათა თავისკენ მიიზიდოს ხალხი: ისტორიულად ასეთ ძალაუფლებას ფლობდნენ ისინი, ვისშიც ხედავდნენ გმირებს ან წმინდანებს. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ახალი ისტორიის პოლიტიკური ლიდერები,დე გოლი,კენედი,ტეტჩერი ფლობდნენ ასეთი ავტორიტეტის გარკვეულ ელემენტებს. არ შეიძლება მათ ვუწოდოთ ქარიზმატული ლიდერები, ისინი ყველანი იყვნენ სახელმწიფო მოღვაწეები პრობლემის თანამედროვე გაგებით. ასეთ მაგალითად პოლიტოლოგები თვლიან ნაპოლეონს, მუსოლინის, ჰიტლერს, აიათოლა ჰომეინის, ფიდელ კასტროს და პოლკოვნიკ კადაფს.

ვებერის პოლიტიკური ლეგიტიმურობის მესამე ტიპი – რაციონალურ-სამართლებრივი, ასოცირდება მკვეთრად განსაზღვრულ წესებით, რომელიც წარმოდგენილია სამართალში, კანონში. ეს ძალაუფლება დამახასიათებელია ბევრი თანამედროვე სახელმწიფოსათვის. პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, ან ნებისმიერი სხვა მაღალი რანგის ოფიციალური სახის უფლებამოსილებას საბოლოოდ ყოველთვის აქვს თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული, ფორმულირებული კონსტიტუციური ნორმები, რომლებშიც დაწერილია რისი უფლება აქვთ და რისი არა. ამ თანამდებობების პირებისათვის, ამ ძალაუფლების ფორმის უპირატესობა ისაა, რომ ის დაკავშირებულია „ადგილთან“ და არა „ადამიანებთან“.

ბითჰემი თვლის, რომ ძალაუფლება შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად სამი პირობის შესრულებისას. უპირველესად ის უნდა წარმოებდეს დადგენილი წესების მიხედვით, წარმოდგენილი ოფიციალურად მიღებულ კანონებში, ან დაწერილ ნორმებში. მეორე – ეს წესები უნდა იყვნენ აღიარებული ყველას მიერ, როგორც აუცილებელი – ვინც მართავს და ვინც იმართებიან, მესამე – საზოგადოების მხრიდან არ უნდა იყოს იმის ნიშნები, რომ ის არ ეთანხმება არსებულ რეჟიმს. დიდ ბრიტანეთში უკანასკნელი პირობა იყო დაცული 1990-იან წლებში, როდესაც საზოგადოებამ დაინახა, რომ ლიდერების და მათი პოლიტიკა უკიდურესად არაპოპულარულია, მაგრამ ეს მთავრობა, რომელიც მოვიდა ხელისუფლებაში არჩევნების გზით, უნდა წავიდეს ამავე გზით.

აქ წარმოიშვება ძალაუფლების ლეგიტიმურობის ორი მნიშვნელოვანი მომენტი. პირველი – მრავალპარტიული სისტემა და

არჩევნების აუცილებლობა, რადგან მხოლოდ ამ პირობით საზოგადოებას შეუძლია გამოხატოს თავისი პრინციპული თანხმობა, ან არსებული ძალაუფლების სისტემის უთანხმოება. მეორე – ამა თუ იმ კონსტიტუციის შედგენისას, აუცილებელია ასახული იყოს საზოგადოების პოზიცია. ასე ვთქვათ, როგორ პირობაზე არიან ისინი თანახმა, რომ შეიძლებოდეს მათი მართვა.

ლეგიტიმურობის კრიზისი

ვებერის აზრისაგან საკითხის განსხვავებული გაგებით, გამოვიდნენ ნეომარქსიზმის თეორეტიკოსები. თუ ორთოდოქსული მარქსიზმი უბრალოდ იცილებდა ლეგიტიმურობის პრობლემას, რადგან მას ხედავდა როგორც ბურჟუაზიული ცნობიერების მითს, ახალი მარქსისტები, გრამშის კვალდაკვალ, მზად არიან აღიარონ, რომ კაპიტალიზმი ინარჩუნებს თავის რესურსს იმიტომ, რომ შეუძლია უზრუნველყოს საზოგადოების პოლიტიკური მხარდაჭერა. ისეთმა ნეომარქისტებმა, როგორებიც იყვნენ ჰაბერმასი და კლაუს ოფე, გადაიტანეს ყურადღება კლასების პრობლემატიკიდან ლეგიტიმურობის წარმოების მექანიზმზე (დემოკრატიული პროცესი, მრავალპარტიული სისტემა, სოციალური მხარდაჭერა, რეფორმები და ა.შ.). ამასობაში ისინი არ უარყოფდნენ იმ გარემოებასაც, რომ პოლიტიკურ სისტემაში, თუ ის დაფუძნებულია კლასების პრინციპულ უთანხმოებაზე,ასე თუ ისე ყოველთვის იქნება სიძნელეები ლეგიტიმაციასთან.

მსგავსი პრობლემა განიხილებოდა 1970-იანი წლების დისკუსიებში, ეგრეთ წოდებულ „სამთავრობო დატვირთვაზე“. ისეთმა მკვლევარებმა, როგორებიც იყვნენ ენტონი კინგი და რიჩარდ როუზი, ყურადღება მიაქციეს იმას, რომ მთავრობები ხდებიან უფრო რთულად ფუნქციონირებადი, იმის გამო, რომ საზოგადოება უყენებს უფრო მეტ მოთხოვნილებებს.

1980-1990-იანი წლების პოლიტიკურ ტენდენციებს შეიძლება შევხედოთ, როგორც ლეგიტიმურობის კრიზისს და „სამთავრობო გადატვირთვის“ პრობლემის რეაქციას. პრიორიტეტების გადახედვაზე ყველაზე დიდი შეძახილები ისმოდა „ახალი მემარჯვენეების“ მხრიდან. ისეთმა პოლიტოლოგებმა, როგორებიც იყვნენ სამუელ ბრიტანი, დაიწყეს ლაპარაკი სახელმწიფოს საყოველთაო კეთილდღეობის ფისკალურ კრიზისზე და „დემოკრატიის ეკონომიკური წინააღმდეგობის“ შესახებ. 1990-იანი წლების რეიგანის მთავრობამ აშშ-ში და ტეტჩერის დიდ ბრიტანეთში დაიწყეს მუშაობა საზოგადოების მოლოდინის „შემცირებაზე“, პასუხისმგებლობის გადატანით მთავრობიდან ინდივიდებზე. ისინი ამბობდნენ, რომ ეკონომიკური კეთილდღეობის საკითხი დამოკიდებულია ადამიანის პირად პასუხისმგებლობაზე, ყოველმა მოქალაქემ თვითონ უნდა იზრუნოს თავის თავზე – შრომით, სამედიცინო დაზღვევით, დანაზოგით, პენსიით და ა.შ. მთავრობამ მოიხსნა პასუხისმგებლობა უმუშევრობის გამო. წამოიჭრა იდეა იმის შესახებ, რომ არსებობს უმუშევრობის ბუნებრივი პროცენტი, რომელიც იზრდება მხოლოდ იმიტომ, რომ ხარბი მუშები ფასების აწევით თვითონვე რჩებიან უმუშევრები.

რატომ ხდება რევოლუციები

რეჟიმის ლეგიტიმურობა უზრუნველყოფს პოლიტიკურ სტაბილურობას და სიცოცხლისუნარიანობას თუ ის დაკარგავს მას, მაშინ უნდა აირჩიოს ორიდან ერთი: ან რეპრესიების გზა, ან განახორციელოს ძირეული პოლიტიკური ცვლილებები.

უმრავლესობა, ვინც მოღვაწეობს პოლიტიკაში, ხელს მოაწერდნენ მარქსის იმ გამოთქმას, რომელიც ფოიერბახის თეზისებში დაწერა: ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვა საშუალებებით ხსნიდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ შეეცვალათ იგი, ამ საკითხისადმი სხვადასხვა პოლიტიკური მოაზროვნეებს სხვადასხვა დამოკიდებულება ჰქონდათ, მაშინ როცა კონსერვატიზმისთვის დამახასიათებელია „ლტოლვა შენარჩუნებისადმი“ ტრადიციების და მონაცვლეობის სახელით, ლიბერალები და სოციალისტები, როგორც წესი, ყოველთვის იდგნენ ცვლილების მხარეზე, რადგან მასში ხედავდნენ პროგრესს. პროგრესთან კი ასოცირდება ადამიანური გონების ნიჭი აამოძრაოს ისტორია წინ, ცოდნის შეძენით და უფრო სრულყოფილი საზოგადოების შექმნით.

გავიგოთ თუ არა საზოგადოებრივი ცვლილებები, როგორც პროგრესი ან რეგრესი, ზრდა თუ დაცემა. ისინი ყოველთვის არიან არსი, პროდუქტი ერთ-ერთისა ორი პროცესიდან – **ევოლუციისა** ან **რევოლუციისა.** ევოლუციურ ცვლილებებად მიღებულია რეფორმები – თანდათანობით და ნელ-ნელა განხორციელებადი, გაუმჯობესება წარმოშობილი, სოციალური ან პოლიტიკური სისტემის ფარგლებში. ეს ცვლილებებია მემკვიდრეობითობის შენარჩუნება. პრაქტიკაში ეს ნიშნავს რომელიმე ინსტიტუტის რეორგანიზაციას, ვიდრე მის გაუქმებას. რევოლუცია, ეს რადიკალური გადატრიალებაა, ის მთლიანად ცვლის პოლიტიკურ წყობას და გამოიხატება წარსულთან კავშირის მკვეთრი, ხან კი უხეში, ძალადობრივი გაწყვეტით. ბუნებრივია საკითხი რევოლუციების ბუნებაზე (ყოველთვის იყო) იმ ისტორიულ, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოებაზე, რომლებიც მათ წარმოშობენ,

ყოველთვის იყო ყველაზე მძაფრი დისკუსიების საგანი.

პირველად ცნება „რევოლუცია“ მიეკუთვნებოდა ციკლური ხასიათის ცვლილებებს (ინგლისურად სიტყვა რევოლვე – ბრუნვა, მობრუნება, დაბრუნება საწყის მდგომარეობაში) –აზრი, რომელსაც მაგალითად ატარებდა „სახელოვანი რევოლუცია“ (1688) ინგლისში. მაგრამ საფრანგეთის რევოლუციით (1789) დადგინდა ტერმინის თანამედროვე გაგება. ამ დროიდან ტერმინი აღნიშნავს რადიკალური ცვლილებების პროცესს და ძველი პოლიტიკური წყობის ნგრევას. რევოლუციები – ეს არის საზოგადოებრივი გადატრიალება, უეცარი ხასიათის მასიური ქმედებები, ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის იღებენ ძალადობრივ ხასიათს. რევოლუცია განსხვავდება სახელმწიფო გადატრიალებისაგან. რევოლუციის განსხვავება ბუნტისა და აჯანყებებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ ის იწვევს კარდინალურ ცვლილებებს (ცვლილებები ამ პოლიტიკურ სისტემაში) პოლიტიკაში, ან უბრალოდ ცვლას ერთი მმართველი ელიტისა მეორეთი.

მარქსისტული რევოლუციური თეორიები

ცნებაში **„რევოლუცია“** მარქსიზმი დებს განსაკუთრებულ აზრს. მთლიანად ვიზიარებთ იმ იდეას, რომ რევოლუციებს აქვთ პოლიტიკური ხასიათი.

მარქსისტების უმრავლესობა განიხილავდა ინგლისურ, ამერიკულ და ფრანგულ რევოლუციებს როგორც განსაკუთრებულ „ბურჟუაზიულ“ რევოლუციებს, რაც სინამდვილეში იყო თანდათანობითი გადასვლა წარმოების კაპიტალისტურ საშუალებებზე გადასვლა. ამგვარად, მარქსისტული პოზიციიდან რევოლუციის აზრი არა უბრალოდ მკვეთრი და დრამატული გადატრიალებაა, არამედ ხანგრძლივი და ღრმა საზოგადოებრივი ცვლილებების პერიოდი. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში რევოლუცია დაიწყო 1917 წ. და გრძელდებოდა სსრკ – დაშლამდე – 1991 წ. თუმცა ვერ შეასრულა თავისი ამოცანა „კომუნიზმის აშენებისა“.

მარქსიზმის თანახმად, რევოლუციის მიზეზს წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობა, ანტაგონისტური კონფლიქტი ექსპლუატატორებსა და ექსპლუატირებულებს შორის. ამიტომ ყველა კლასობრივი საზოგადოება ისტორიულად განწირულია. მარქსი თვლიდა, რომ რევოლუცია აღნიშნავს იმ მომენტს, როცა კლასობრივი წინააღმდეგობები გადაიზრდება ღია ბრძოლაში, რომლის დროსაც ერთი კლასი დაამხობს და გადააყენებს მეორეს. თუ ფრანგულ რევოლუციას, მარქსიზმი განსაზღვრავს როგორც ბურჟუაზიულს,

რუსულ რევოლუციას უწოდებს „პროლეტარულს“.

1917 წლის რუსულმა ბოლშევიკურმა რევოლუციამ ლენინის ხელმძღვანელობით შეიტანა მარქსისტულ თეორიაში ორი ახალი მომენტი. პირველი, თუ მანამდე საკითხი ესმოდათ ისე, რომ თითქოს კლასობრივი წინააღმდეგობები თვითონ ანგრევენ საზოგადოებას,როდესაც ამისათვის მომწიფდება პირობები, ლენინისთვის ეს პრობლემა არ არსებობდა. ის თვლიდა, რომ რევოლუციას კი არ უნდა უცადო, არამედ უნდა განახორციელო. ბოლშევიკებმა ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს 1917 წლის ოქტომბერში და ეს მაშინ, როცა ბურჟუაზიული რევოლუცია ქვეყანაში მოხდა რამოდენიმე თვით ადრე და პროლეტარიატი არ იყო მრავალრიცხოვანი და გამოცდილი. პარტიაში მუშათა კლასის ავანგარდის როლი იკისრეს ბოლშევიკებმა (მოგვიანებით პარტიას გადაარქვეს სახელი და ეწოდა კომუნისტური პარტია) მკვეთრად თუ ვიტყვით, უფრო მეტად ეს იყო გადატრიალება, ვიდრე სახალხო რევოლუცია. თებერვლის რევოლუციისაგან განსხვავებით, რომელმაც დაამხო მონარქია, 1917 წ. ოქტომბერში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს არა მასებმა, არამედ პატარა, მაგრამ კარგად შედუღაბებულმა რევოლუციონერებმა.

შემდეგი სრულიად ახალი მომენტი კლასიკურ მარქსიზმთან შედარებით გახლდათ პროლეტარიატის ნაცვლად „რევოლუციურ კლასად“ გლეხობის გამოცხადება. რაღაც ჩანასახი ამ იდეისა უკვე ჰქონდა ლენინსაც,როდესაც ის 1917 წ. ამბობდა კავშირზე ქალაქის პროლეტარიატსა და გლეხობას შორის, ეს იდეა გაიფურჩქნა ჩინეთის რევოლუციაში 1949 წ. მაო ძედუნის ხელმძღვანელობით. ჩინეთის რევოლუცია გაიშალა სოფლებში და არა მსხვილ ქალაქებში. ამ იდეას მოგვიანებით სესხულობდნენ აზიის, ლათინური ამერიკის და აფრიკის მარქსისტები.

რევოლუციის არამარქსისტული თეორიები

მარქსიზმის გარდა არსებობს მთელი რიგი სხვა რევოლუციური თეორიები. მარქსიზმთან ისინი თანხმდებიან იმის აღიარებაში, რომ ამ პრობლემას აქვს საზოგადოებრივი წინააღმდეგობები, მაგრამ ვერ თანხმდებიან ორ სერიოზულ პუნქტში. პირველი, უმრავლესობის აზრით პოლიტიკური ხასიათის მოვლენები აუცილებელი არ არის იყოს გამოხატული უფრო ღრმა ეკონომიკური და სოციალური პროცესებით, რევოლუცია მათში აისახება, არა როგორც სოციალური სისტემა, არამედ როგორც პოლიტიკური გარდაქმნა. მეორე, აქ არაა ლაპარაკი რევოლუციის გარდაუვალობაზე (ე.ი. იმაზე, რომ

ისინი წარმოიშვებიან ისტორიის ლოგიკიდან) ამიტომ მათში ხედავენ კონკრეტული პოლიტიკური და სოციალური გარემოებების შედეგს.

მაგალითად, წიგნში „რევოლუციური ცვლილებები“ (1966) ჩალმერს ჯონსონი ამტკიცებს, რომ რევოლუციები წარმოიშვება „მრავალჯერადი დისფუნქციების“ პირობებში, როდესაც პოლიტიკური სისტემა ინგრევა სხვადასხვა ზემოქმედებით, ხანდახან ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული მოთხოვნებით საზოგადოების მხრიდან.

წიგნში „ძველი წყობა და ფრანგული რევოლუცია“ (1856) ტოკვილმა შეამჩნია, რომ რევოლუციები იშვიათად წარმოადგენენ მოსახლეობის მასიური სიღატაკის შედეგს. სიღატაკეს და გაჭირვებას ჰყავთ თავისი თანამგზავრები: სასოწარკვეთილება, მორჩილება და სრული პოლიტიკური პასიურობა. რევოლუცია მისი შეხედულებებით ხდება მაშინ, როცა სახელმწიფო არბილებს თავის პოლიტიკას, ხანგრძლივი, მკაცრი მმართველობის შედეგად, როგორც ის ამაზე წერდა „ხელისუფლებისთვის ყველაზე საშიში მომენტი დგება მაშინ, როცა ის იწყებს რეფორმებს“. მაგალითად ზუსტად ასე საქმე განვითარდა საფრანგეთში,როდესაც ლუდოვიკ XVI 1788 წ. შეკრიბა გენერალური შტატები. არ არის გამორიცხული, რომ ზუსტად ასე მოხდა ევროპაში გორბაჩოვის რეფორმის შედეგად. 1986 წელს იმის მაგივრად, რომ დაეკმაყოფილებინა საზოგადოება მის მოთხოვნებში, შეეცვალა პოლიტიკური სისტემა, რეფორმამ მხოლოდ შეათბო საზოგადოებრივი მოლოდინი და გააჩაღა რევოლუციური ვნებები.

ტედა სკოცპოლი ფრანგული, რუსული და ჩინური რევოლუციების შედარებით ანალიზში გვაძლევს რევოლუციების სოციალურ-სტრუქტურულ ახსნას. ის მიგვითითებს იმაზე, რომ ხშირად რეჟიმები ინგრევა თავისი შინაგანი არაეფექტურობითა და საერთაშორისო მდგომარეობის სისუსტით. გადამწყვეტი მნიშვნელობა რევოლუციური სიტუაციების წარმოშობისას ხშირად ჰქონდათ ომებს და ინტერვენციებს. ეს მოხდა ჩინეთში 1911-1949-ში და რუსეთში 1905 და 1917 წლებში. შინაგანად სახელმწიფო რევოლუციების საფრთხეში თავს იგდებს მაშინ, როცა მას არ შეუძლია დაეყრდნოს არმიას, ან ვერ რისკავს წავიდეს ფართომასშტაბიან რეპრესიებზე. მთლიან სიტუაციას თუ დავაპირისპირებთ ჩინელი სტუდენტების 1989 წ. ტიანანმინის მოედანზე გამოსვლის მკაცრ ჩახშობას და თითქმის უსისხლოდ კომუნისტური რეჟიმის რღვევას აღმოსავლეთ ევროპაში, ამავე წლის შემოდგომაზე და ზამთარში, უკანასკნელ შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორი გახდა ის, რომ სსრკ გორბაჩოვის დროს არ წავიდა რეპრესიებზე, ან ამ შემთხვევაში ჩარევაზე, როგორც ამას

ჰქონდა ადგილი აღმოსავლეთ გერმანიაში 1949 წ. და ჩეხოსლოვაკიაში 1968 წ.

– პოლიტიკური კულტურა არის ხალხის ფსიქოლოგიური განწყობის ერთობლიობა ისეთ პოლიტიკურ ობიექტებზე, როგორიცაა პარტია, ხელისუფლება, კონსტიტუცია – განწყობა, გამოხატული პოლიტიკურ პოზიციებში, მრწამსში, სიმბოლოებში და ღირებულებებში. საზოგადოებრივი აზრისაგან პოლიტიკური კულტურა განსხვავდება იმით, რომ ის ფორმირდება ისტორიულად ჩამოყალიბებული ფასეულობების საფუძველზე და არა წარმოდგენით და რეაქციისთ კონკრეტულ პოლიტიკაზე, კონკრეტულ პრობლემაზე და პიროვნებაზე.

– პოლიტიკური განწყობილება და ინდივიდების ან ჯგუფების ფასეულობების ფორმირება ხდება პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც იდეოლოგიური ზემოქმედების პროცესი გაწეული ადამიანზე მთელი მისი ცხოვრების მანძილზე, ან როგორც ფასეულობების გადაცემა უფროსი თაობიდან უმცროსისათვის. სოციალიზაციის მთავარ გარემოს წარმოადგენს ოჯახი, განათლების სისტემა, რელიგია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და სახელმწიფო მთლიანად.

– სამოქალაქო კულტურის ცნება იწვევს მრავალმხრივ კამათს. ასე თუ ისე ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება გარკვეული ფსიქოლოგიური განწყობის ერთობლიობა (პოლიტიკური მონაწილეობა, კანონებისა და სახელმწიფოს პატივისცემა) რომელზეც დამოკიდებულია დემოკრატიული საზოგადოების სტაბილურობა. ამასთან ერთად სამოქალაქო კულტურა სამართლებრივად განიხილება, როგორც შედეგი და როგორც დემოკრატიის წინაპირობა. ზოგჯერ სამოქალაქო კულტურის დისკუსიებში გაზვიადებულია ხალხის პოზიციური ორიენტაციის მნიშვნელობა პოლიტიკურ სფეროში და სათანადოდ არ ფასდება საზოგადოებრივი კულტურის ფაქტორების არაერთგვაროვნება. ამასთან ერთად რადიკალები და მარქსისტები იხრებიან იმ იდეისკენ, რომ გაბატონებული კულტურა თავს ახვევს საზოგადოებას, ზევიდან პრივილეგირებული ჯგუფების ინტერესებს.

– ჩვენს დროში მნიშვნელოვნად გაიზარდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (მის) მნიშვნელობა, როგორც საზოგადოებრივი, ასე ტექნოლოგიური ფაქტორების. ზოგჯერ მათ მოღვაწეობას წარმოგვიდგენენ, როგორც იდეების ბაზარს, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებრივ დისკუსიებს და ელექტორატს აძლევს უფრო ფართო არჩევანს. სხვაგვარი პოზიციიდან განიხილება, როგორც მმართველი კლასის პროპაგანდისტული იარაღი, როგორც საშუალება ელიტის ფასეულობების გასავრცელებლად, ან როგორც უბრალ-

ოდ ასახვა საზოგადოების სხვადასხვა ფენის შეხედულებებისა ან გემოვნების.

– ზოგჯერ ამბობენ, რომ თანამედროვე საზოგადოება დაავადებულია სოციალური კაპიტალის ეროზიით, საზოგადოების მოქალაქეობრივი აქტიურობის დონის დაცემით. სოციალური და კულტურული ცვლილებებისას ამაში ხედავენ შედეგს.

– პოლიტიკური სტაბილურობა დამოკიდებულია რეჟიმის ლეგიტიმურობაზე – ხელისუფლების ავტორიტეტზე საზოგადოების თვალში. ისტორიულად ხელისუფლების ლეგიტიმაცია ხორციელდებოდა ისეთ საფუძველზე, როგორიცაა ტრადიცია, ხარიზმა ან სამართალი. თანამედროვე სახელმწიფო ეყრდნობა ლეგიტიმურობის მე-3 ტიპს, რომელიც ვარაუდობს კანონის უდავო ძალაუფლებას და ხელისუფლების მოღვაწეობის დეტალურ რეგლამენტაციას.

– თანამედროვე სახელმწიფოები დგანან ლეგიტიმურობის კრიზისის წინაშე, რაც არის საზოგადოებაში დაგროვილი მრავალი სტრუქტურული წინააღმდეგობების შედეგი. ლეგიტიმურობის კრიზისი ძირითადად დაკავშირებულია წინააღმდეგობებით სახელმწიფოს გაზრდილ როლზე ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებს შორის. ერთის მხრივ თავისუფალი ბაზრის მოთხოვნათა, მეორეს მხრივ, სახელმწიფოებს შორის მოთხოვნილებით ერთსა და იმავე დროში დააკმაყოფილონ ზრდადი საზოგადოებრივი მოთხოვნილებები და შეინარჩუნონ თავისუფალი ბაზრის დინამიკა.

– რევოლუციების ფენომენი ახსნილია სხვადასხვაგვარად: როგორც საზოგადოების ღრმა წინააღმდეგობების გამოვლენა, წონასწორობის დაკარგვა პოლიტიკურ სისტემაში. საზოგადოებრივი მოლოდინის ზრდის შედეგი, სახელმწიფოს მიერ გაუმართლებელი პოლიტიკის და ბოლოს, როგორც სახელმწიფოს ეფექტურობის სწრაფი ვარდნისა.

თავი XI
წარმომადგენლობა, არჩევნები, ხმის მიცემა და რეფერენდუმი

არჩევნები პოლიტიკური პროცესის ერთ-ერთი მთავარი აქტია. ალბათ ბევრი ადამიანი სვამს პოლიტიკისათვის საჭირო ასეთ კითხვას: საინტერესოა, როგორი ეშმაკური ხერხით მოხდა იმ ხალხის ხელისუფლებაში მოხვედრა? აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს უშუალოდ ჩვენი არჩევნების შედეგია. მოკლედ, როგორც არ უნდა ვიფიქროთ, არჩევნები ეს არის დემოკრატია მოძრაობაში, რომელიც ხალხს საშუალებას აძლევს ასე თუ ისე აკონტროლოს მთავრობა. უკიდურეს შემთხვევაში კი თავი შეგვიძლია იმით დავიმშვიდოთ, რომ არსებობს შესაძლებლობა ეს „არამზადები“ გარეთ გამოვყაროთ.

არჩევნები წარმომადგენლობის პრინციპზე ფუნქციონირებს. მისი მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში: პოლიტიკოსებს, რომლებიც „ხალხის მსახურად“ იწოდებიან, აქვთ უფლება მათი სახელით იმოქმედონ. დემოკრატია თავის კლასიკურ ვარიანტში ითვალისწინებს მოქალაქეთა პირდაპირ და უწყვეტ მონაწილეობას ხელმძღვანელობაში. დღეს უკვე პოლიტიკური წარმომადგენლობა იძლევა გარანტიას მაქსიმალურად მუახლოვდეს იდეალს „ხალხის მთავრობა“. შემდეგ კი იბადება კითხვები:

– როგორ განვახორციელოთ ასეთი წარმომადგენლობა პრაქტიკაში?

– როგორია პოლიტიკოსების არჩევის საუკეთესო საშუალება?

– რას ნიშნავს სინამდვილეში ხმის მიცემის შედეგები არჩევნებში?

წარმომადგენლობის თეორიები

მე-19, მე-20 საუკუნეებში, როდესაც ადგილი ჰქონდა დემოკრატიის გავრცელებას, ისმოდა კითხვა, თუ ვინ უნდა ფლობდეს წარმომადგენლობას? ისინი უნდა იყვნენ უაღრესად განათლებული, პოლიტიკურ სფეროში გარკვეული ძლიერი სქესის წარმომადგენლები, თუ უბრალოდ ქვეყნის საარჩევნო ასაკს მიღწეული თაობა. დღესდღეობით ეს საკითხი გადაწყვეტილია. ფორმალურად ის ხორციელდება საერთო საარჩევნო უფლებითა და პრინციპით „ერთი ადამიანი – ერთი ხმა“.

ჩვენ ასევე უნდა შევძლოთ იმის გაგება, რომ წარმომადგენ-

ლობა არ დაიყვანება არჩევნებამდე და ხმის მიცემამდე, რომ არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატები არ ითვლებიან „წარმომადგენლებად“ მარტო იმიტომ, რომ მათ გაიმარჯვეს არჩევნებში. უფრო მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რა შემთხვევაში ითვლება ადამიანი ვიღაცის წარმომადგენლად და რას წარმოადგენს იგი – თავის ამომრჩეველთა შეხედულებებს, მათ სისხლხორცეულ ინტერესებს, სხვადასხვა ჯგუფებს თუ სხვა რამეს?

წარმომადგენლობის საერთო თეორია არ არსებობს. არსებული რამდენიმე თეორია კი ყალიბდება გარკვეულ იდეოლოგიურ ან პოლიტიკურ საფუძველზე, რას წარმოადგენს წარმომადგენლობის პრინციპი? ამ და სხვა ამგვარი კითხვებით დაინტერესებულნი არიან არა მხოლოდ პოლიტოლოგები, არამედ პოლიტიკოსები, რამდენადაც სხვადასხვა წარმომადგენლობის მოდელები წარმოგვიდგენენ პოლიტიკური მოქმედების სხვადასხვა მოდელს.

არჩეული პოლიტიკოსები ვალდებულნი არიან მკაცრად ხელმძღვანელობდნენ იმ პროგრამითა და პოზიციით, რომელთაც ისინი გამოთქვამენ არჩევნების დროს. მით უფრო თუ მათ ამოცანას წარმოადგენს საზოგადოების აზრისა და ინტერესების გათვალისწინება.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პოლიტიკური სისტემის შიგნით შესაძლოა ფუნქციონირებდეს სხვადასხვა წარმომადგენლობის პრინციპი, რადგანაც ითვლება, რომ არცერთი ცალკე აღებული მოდელი არ წყვეტს ყველა პრობლემას.

წარმომადგენლობა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ოთხი წესით:

- მინდობილობა (trusteeship)
- დელეგირება (delegation)
- მანდატი (The mandate)
- გაიგივების მოდელი (resemblance).

მინდობილობის მოდელი

ნდობით აღჭურვილ პირად ითვლება ადამიანი, რომელიც თავის თავზე იღებს ფორმალურ პასუხისმგებლობას სხვა ადამიანის საკუთრების დაცვის ან საქმის წარმართვისათვის. პოლიტიკაში წარმომადგენლობის ამ მოდელის კლასიკურ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს ედმუნდ ბიორკის გამოსვლა ამომრჩევლებთან ბრისტოლში 1774 წელს. „დიახ, თქვენ ირჩევთ თქვენს წარმომადგენელს, მაგრამ არჩევის მომენტიდან ის არა მხოლოდ ბრისტოლის

წარმომადგენელია, არამედ იმავდროულად პარლამენტის წევრიც. წარმომადგენელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს თქვენთვის და თავისთვის დაიტოვოს მხოლოდ თავისუფალი აზრის უფლება, მაგრამ სწორედ ამით გემსახურებათ ის თქვენ და მოღალატედ ჩაითვლება მაშინ, როცა სამსხვერპლოდ გაიმეტებს თავის სწორ აზრს, თქვენი ცვალებადი აზრების სასარგებლოდ.“

ბიორკის მიხედვით, წარმომადგენელი მაშინ ემსახურება თავის ხალხს, როცა ამ საქმისათვის ავლენს თავის ჯანსაღ აზროვნებას. წარმომადგენლობა, თავის მხრივ, ითხოვს დაკისრებული მორალური მოვალეობის შესრულებას იმ ხალხისაგან, რომელთაც წილად ხვდათ ბედნიერება მიეღოთ განათლება; ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ მომავალში არჩეულმა წარმომადგენლებმა გადაწყვეტილება დამოუკიდებლად უნდა მიიღონ.

ჯ.ს. მილის აზრით მართალია ყველა ადამიანს აქვს წარმომადგენლობაზე უფლება, მაგრამ ყველას აზრს არა აქვს ერთნაირი წონა პოლიტიკაში, ამიტომ მან წამოაყენა იდეა ხმათა წონადობასთან დაკავშირებით, რომლითაც ოთხ ან ხუთ ხმას არჩევნებში მონაწილეობისათვის მიიღებდნენ დიპლომისა და სამეცნიერო ხარისხის მქონე კანდიდატები, 2-3 ხმას კვალიფიციური მუშაკები და მმართველნი, ერთ ხმას კი – არაკვალიფიციური მომუშავეები. ის თვლიდა, რომ ამ იდეის დახმარებით ჭკვიანი ამომრჩეველი ხმას მისცემდა არა იმ წარმომადგენელს, რომელიც გამოხატავს საყოველთაოდ მისაღებ შეხედულებებსა და აზრს, არამედ იმათ, ვისაც შეუძლია ბრძნულად აზროვნება და წინდახედული მოქმედება, იმათ, ვინც გამოირჩევა ალტრუიზმით და სოციალური პასუხისმგებლობით.

თავისი სიმართლე ჰქონდათ წარმომადგენლობითი რადიკალური დემოკრატიის წარმომადგენლებსაც. მაგ. თომას პეინის აზრით, თუ პოლიტიკოსებს მივცემთ სრულ თავისუფლებას გადაწყვეტილების მიღების დროს, ისინი უბრალოდ ისარგებლებენ თავიანთი ინტერესების სასიკეთოდ და ხალხის ნაცვლად დარჩებათ მხოლოდ – წარმომადგენლობა

დელეგირების მოდელი

დელეგატად იწოდება ადამიანი, რომელიც წარმოადგენს სხვა ხალხს მკაცრად ჩამოყალიბებული დავალებებისა და ინსტრუქციის საფუძველზე. აქ აქცენტი კეთდება, რომ დელეგატი უბრალოდ წარმოადგენს ვიღაცის შეხედულებებს და ინტერესს და მას არა აქვს უფლება (გამონაკლისი შემთხვევების გარდა) მიიღოს ესა თუ ის

გადაწყვეტილება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სავაჭრო წარმომადგენლობა, ელჩები, რომელთაც მკაცრად რომ ვთქვათ, არ გააჩნიათ არავითარი უფლება მიიღონ გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად. სხვა მაგალითი – პროფკავშირის წევრი, რომელიც გაგზავნეს კონფერენციაზე, წინასწარ არის ინფორმირებული, როგორ მისცეს ხმა და რა თქვას, მას გააჩნია ინსტრუქცია. ბიორკის აზრით, ეს არ არის წარმომადგენელი, არამედ არის დელეგატი. ამ მოდელის დეტალები თავის დროზე ითვალისწინებდნენ მექანიზმს, რომელიც არჩეულ პოლიტიკოსებს ავალდებულებდა ბოლომდე მიყოლოდნენ მინიშნებულ თემატიკას, რომელსაც ისინი წარმოადგენდნენ.

„დელეგირებული წარმომადგენლობის“ ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ ის აფართოებს საზოგადოების მონაწილეობას პოლიტიკაში და აძლევს მას საშუალებას აღკვეთოს პროფესიონალ პოლიტიკოსთა ეგოისტური მისწრაფებანი.

ვინაიდან პროფესიონალ პოლიტიკოსებს არა აქვთ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უფლება, მათგან არ უნდა ველოდოთ ლიდერობას, რომ არაფერი ვთქვათ სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე. იმის მაგივრად, რომ გაუძღვენ ხალხს წინ, ორგანიზება გაუწიონ და სულიერად გააძლიერონ ისინი, მათ უწევთ ყველაზე კარგ შემთხვევაში „გაახმოვანონ“ თავიანთი ამომრჩეველთა შეხედულებები, ცუდ შემთხვევაში კი – უბრალოდ არ გაითვალისწინონ ისინი.

სამანდატო მოდელი

მანდატი არის ინსტრუქცია ან ბრძანება.

ორი წინამორბედი მოდელი ისტორიულად შეიქმნა მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა თანამედროვე პოლიტიკური პარტიები. ამიტომ მათ შორის საუბარი მიდიოდა წარმომადგენლობაზე ინდივიდუალურ საფუძველზე, თუმცა დღეს ხალხს იშვიათად ირჩევენ მისი პირადი მონაცემებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. მათში უფრო ხედავენ მათი პარტიის „რიგით მებრძოლებს“. ცხადია, წარმოიშვა ახალი წარმომადგენლობის თეორიები, რომელთა შორის ყველაზე მეტად ზეგავლენა მოახდინა კონცეფციამ იმაზე, რომ თუ პარტია იმარჯვებს არჩევნებზე, ის იღებს საზოგადოებისგან მანდატს და ეს მანდატი ნიშნავს მათი საარჩევნო პროგრამის მოწონებას და უფლებამოსილების მიღებას მის ცხოვრებაში გასატარებლად. ასე მიიღო 2004 და 2008 წლებში გამარჯვებულმა საქართველოს ნაციონალურმა მოძრაობამ ქვეყნის მართვის მანდატი. როგორც

ნებისმიერ შემთხვევაში იტყვის ყველა პარტიის ლიდერი,პარტიისგან საჭიროა ერთობა და დისციპლინა. ამ მოდელში პოლიტიკოსი ამომრჩეველს ემსახურება არა იმით, რომ დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, არამედ იმით, რომ თავისი პარტიისა და მისი პოლიტიკური მიმდინარეობის ერთგულია.

ამ დოქტრინის ძლიერ მხარედ გვევლინება ის, რომ სწორედ ითვალისწინებს პარტიის პრაქტიკულ მნიშვნელობას და პარტიის პოლიტიკას. უფრო მეტიც, მასთან ერთად უფრო ადვილია გაიგო რას ნიშნავს არჩევნების შედეგები. ამ მოდელსაც ჰყავს თავისი კრიტიკოსები. ისინი თვლიან, რომ ის პირველ რიგში ემყარება საეჭვო შეხედულებებს არჩევნებთან დაკავშირებით. ის გვთავაზობს, რომ ამომრჩეველი პარტიას აირჩევს მათი პოლიტიკური პროგრამების ან პრობლემების მიხედვით, მაგრამ სინამდვილეში ამომრჩეველი არც ისე რაციონალურად მოაზროვნე და კარგად ინფორმირებული პირია, როგორც ითვალისწინებს აღნიშნული მოდელი.

პრაქტიკაში, როგორც ცნობილია, საქმეში ერევა სრულიად ირაციონალური ფაქტორები: ლიდერის პიროვნება,პარტიის იმიჯი, დიდი ხნის წინ ფორმირებული უპირატესობა და სოციალური ხასიათის ფაქტორი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროგრამები სავსებით დამაჯერებელია, პირველ რიგში ამომრჩევლებს იზიდავთ მხოლოდ მანიფესტის პუნქტები: მესამე დოქტრინა მანდატისა თავის მხრივ „მახეა“, რომლის გათვალისწინებით წარმომადგენლობას ხელები აქვს შეკრული.

გაიგივების მოდელი

წარმომადგენლობის ამ თეორიას არ აინტერესებს, რა გზით იქნენ არჩეულნი წარმომადგენლები. მათთვის მთავარია, რომ მათ შეიძლება სრული მასშტაბით წარმოადგინონ თავიანთი ამომრჩეველთა ჯგუფი, მოახდინონ მათი პერსონიფიცირება, გაიგივდნენ მათთან.

თანამედროვე საზოგადოებაში მსგავსი რამ შეიძლება ვნახოთ ე.წ. „რეპრეზენტიული ჭრილის“ მეთოდში, რომელიც გამოიყენება ბაზრის კონტროლსა და საზოგადოების აზრის კვლევისას. ამ ლოგიკით წარმომადგენლობითმა მთავრობამ მინიატურულად უნდა ასახოს მთელი საზოგადოება, ყველა წარმომადგენლობითი ჯგუფისა და ფენის ჩათვლით. წარმომადგენელთა ასეთ იდეას უწოდებენ „წარმომადგენლობა მიკროკოსმოსში“, რომელსაც ტრადიციულად იცავდნენ სოციალისტური და რადიკალური თეორეტიკოსები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფოს შეიძლება მართავდეს

არასაკმარისი წარმომადგენლობა, სადაც არაადეკვატურადაა წარმოდგენილი მუშათა კლასი, ქალები და ეთნიკური უმცირესობა. ეს კი ამ კატეგორიის წარმომადგენელთა ინტერესების იგნორირების მაჩვენებელია.

მოცემული კონცეფცია ამბობს, რომ ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესების წარმოდგენა შეუძლია სინამდვილეში მხოლოდ ამ ჯგუფიდან გამოსულ ხალხს, რომელთაც გააჩნიათ ერთნაირი გამოცდილება.

ამ მოდელის წარმომადგენლობის იდეა თავიდანვე ჩასმულია ვიწრო ჩარჩოებში. სავარაუდოა, რომ ქალმა შეიძლება წარმოადგინოს ქალი, შავკანიანმა სხვა შავკანიანი და ასე შემდეგ, მაგრამ თუ ყველა წარმომადგენლები წარმოადგენენ მხოლოდ მათი ჯგუფის ინტერესებს, საზოგადოებისათვის „გარანტირებულია“ სოციალური პრობლემები და კონფლიქტები. ვინ იფიქრებს ასეთ სიტუაციაში საერთო სიკეთეზე, საზოგადოების ერთიან ინტერესებზე? და ბოლოს მოცემული თეორიის იდეალები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ განსაზღვრული ელექტორატული არჩევნებით და პირადი თავისუფლების პრინციპით.

არჩევნების არსი და ფუნქციები

მართალია პოლიტიკური ვნებათაღელვა წარმომადგენლობის პრინციპის ირგვლივ კვლავ ძველებურად ბობოქრობს, მაგრამ მათი აზრი რაღაც საკითხში მაინც ემთხვევა ერთმანეთს. წარმომადგენლობითი დემოკრატია შეუძლებელია არჩევნებისა და ხმის მიცემის გარეშე. არჩევნები თავისებურად არასაკმარისი პირობაა პოლიტიკური წარმომადგენლობისა, მაგრამ ის მაინც აუცილებლობას წარმოადგენს. თეორეტიკოსები უფრო შორს მიდიან და ამტკიცებენ, რომ არჩევნები დემოკრატიის სულია. ასეთ პოზიციას იცავდა იოსებ შუმპეტერი თავის წიგნში „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“, სადაც დემოკრატია იშიფრებოდა როგორც „ინსტიტუციონალური მექანიზმი“.

თეორეტიკოსები რაღაც მომენტში ეთანხმებიან შემპეტერს. მაგ. იმ საკითხში, რომ სისტემის დემოკრატიულობა დამოკიდებულია ნორმებზე და მექანიზმებზე, რომლებიც არეგულირებს არჩევნებს. საჭიროა გარკვევა თუ არჩევნების როგორი ფორმები არსებობს.

I – პირველ რიგში საუბარი უნდა მიდიოდეს თუ რომელი თანამდებობები და პოსტები უნდა იყვნენ არჩევითი სახელმწიფოში.

II – მოქალაქეთა რა კატეგორიებზე ვრცელდება საარჩევნო

უფლება? როგორც აღინიშნა, ხმის მიცემის უფლების განსაზღვრა, სქესით, რასით და ასე შემდეგ წარსულს ჩაბარდა, მაგრამ რამდენიმე პრობლემა მაინც რჩება, კერძოდ აშშ-ს ბევრ შტატში იბადება კითხვა, უნდა გაიარო რეგისტრაცია თუ არა? ბევრი მოქალაქე არც რეგისტრაციას გადის და არც ხმას აძლევს. ავსტრალიაში, ბელგიაში და იტალიაში კი არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულოა. ალბათ ჯობს საქართველოშიც ასე იყოს ამ ეტაპზე.

III – როგორ ხდება ხმის მიცემა? საბჭოთა კავშირში 1989 წლამდე ნორმად ითვლებოდა ღია ხმის მიცემა. დღემდე მსოფლიოს ბევრ ორგანიზაციაში არჩევა ხდება ხელის აწევით, მაგრამ საერთოდ თანამედროვე პოლიტიკური არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით. ხანდახან ეს იწოდება, როგორც „ავსტრალიური ბიულეტენი“,რადგან ეს პრინციპი პირველად გამოიყენეს 1856 წელს ავსტრალიაში. ითვლება, რომ ფარული კენჭისყრა გარანტიას იძლევა „გულახდილი“ არჩევისა მათთვის, ვინც გამორიცხავს კორუფციას და ამომრჩეველთა დაშინებას, მაგრამ აქ მაინც ის არის მნიშვნელოვანი, თუ რამდენად იყო ამომრჩეველი სწორად ინფორმირებული, როგორ ტარდებოდა წინასაარჩევნო კამპანია და ბოლოს რამდენად კეთილსინდისიერად ხდება ხმის დათვლა (ეს დიდი პრობლემაა დღემდე საქართველოში).

IV – არის თუ არა არჩევნები კონკურენტული? ეს უმნიშვნელოვანესი კითხვაა, რამდენადაც მხოლოდ ნახევარში იმ ქვეყნებისა, სადაც ტარდება არჩევნები, ამომრჩევლებს ეძლევათ საშუალება ამოირჩიონ კანდიდატები ან პარტიები. კომუნისტურ ქვეყნებში ყოველთვის იყო ერთი კანდიდატის არჩევის უფლება. კანდიდატთან დაკავშირებული საკითხები ირკვეოდა პარტიებში, არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე. და ბოლოს, როგორ ტარდება არჩევნები? ჩვენ ვნახავთ, რომ არსებობს ბევრი საარჩევნო სისტემა და თითოეულ მათგანს გააჩნია პოლიტიკური და კონსტიტუციური ასპექტები.

რამდენადაც არსებობს არჩევნების და საარჩევნო სისტემების სხვადასხვა სახეობა, მის ფუნქციასთან დაკავშირებით რაიმეს თქმა ცოტა ძნელია. დასაწყისისთვის მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ 1980-90 წწ. კომუნისტური რეჟიმის რღვევა განაპირობა იმანაც, რომ ამ ქვეყნებში არ არსებობდა ლიბერალურ-დემოკრატიული საარჩევნო სისტემა – არჩევნების საყოველთაობა, წინასაარჩევნო ბრძოლა, ფარული ხმის მიცემა.

1. **პოლიტიკური კორპუსის შევსება** – დემოკრატიულ სახელმწიფოებში არჩევნები ითვლება პოლიტიკური რეკრუტირების მთავარ წყაროდ. პროცესი ასე გამოიყურება: პარტია წამოაყენებს თავის კანდიდატურებს, წინა-

საარჩევნო კამპანიაში პოლიტიკოსები ახდენენ საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირებას, ავლენენ ხარიზმატულ თვისებებს, ორატორულ ხელოვნებას, საკუთარ ფიზიკურ მონაცემებსაც. ეს ყველაფერი გამოდის იმ ჩარჩოებიდან, რაც საჭიროა მომავალი მოვალეობების შესასრულებად.

2. **მთავრობის ფორმირება** – არჩევნების შედეგების მიხედვით მთავრობა ფორმირდება მხოლოდ იმ სახელმწიფოში, სადაც მიღებულია სახელმწიფო მეთაურთა არჩევის პრინციპი,მაგ. როგორიცაა აშშ-ში და საფრანგეთში. არჩევნების შედეგებზე დამოკიდებულია წარმომადგენლობის ფორმირება საპარლამენტო მმართველობაში. ერთ პარტიას შეუძლია მიიღოს პარლამენტის უმრავლესობა. პროპორციულ წარმომადგენლობით სისტემაში მთავრობის ფორმირება ხდება არჩევნების შემდეგ შესაბამისი მოლაპარაკებით. აქ მთავრობის ფორმირება ხდება არჩევნების შემდეგ შესაბამისი მოლაპარაკებით. აქ მთავრობის ფორმირება და გადადგომა შეიძლება ახალი არჩევნების გარეშეც (მაგ. ჩვენთან).

3. **საზოგადოების პოლიტიკური განათლება** – წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას ამომრჩეველზე ზემოქმედებენ ინფორმაციის ტალღები; ეს ხდება პარტიებზე, კანდიდატებზე, მომდევნო პოლიტიკის შესაძლო მიმართულებებზე და ა.შ. უნდა ითქვას, რომ საზოგადოების პოლიტიკურ განათლებაზე ის მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მხრიდან იქნება ინტერესი იმაზე, თუ რა ითქმის და როგორ ითქმის. უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ ისიც, რომ რადგანაც კანდიდატები და პარტიები უფრო მეტად მიისწრაფიან დაარწუნონ ამომრჩეველი, მათგან სავსებით მოსალოდნელია არასრული ან დამახინჯებული ინფორმაციები.

4. **სისტემის ლეგიტიმაცია** – ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ავტორიტარული რეჟიმებიც კი ატარებენ არჩევნებს, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არჩევნების პროცესი ყოველთვის ანიჭებს რეჟიმს ლეგიტიმურობას. საზოგადოების თვალში ეს ხდება იმიტომ, რომ საარჩევნო კამპანიას აქვს თავისი ცერემონია და რიტუალი. ეს კი ყოველთვის სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა, მაგრამ მთავარი შეიძლება იყოს ის, რომ მოქალაქეების მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესში თუნდაც ასეთი უბრალო

ფორმით, როგორიცაა ხმის მიცემა, ასე თუ ისე გამოხატავს მათ თანხმობას მოცემულ პოლიტიკურ სისტემასთან.

5. **ელიტის გაძლიერება** – ასევე არჩევნები შეიძლება იყოს საშუალებაც, რომლითაც ელიტას შეუძლია მასებით მანიპულირება და მათი კონტროლი. აქ უპრიანი იქნება გავიხსენოთ პრუდონი, რომელიც ამბობდა, რომ „საყოველთაო საარჩევნო უფლება – ეს არის კონტრრევოლუცია“. აქ საუბარია იმაზე, რომ არჩევნებთან ერთად პოლიტიკური წინააღმდეგობანი, რომელიც ყოველთვის არსებობენ საზოგადოებაში, რბილდებიან და საერთოდ კონსტიტუციურ ფორმებს იღებენ, შედეგად მთავრობები იცვლება, რეჟიმი კი – რჩება. არჩევნები ამასთან მიმართებაში წარმოადგენენ უფრო მეტად საიმედო ინსტრუმენტს ელიტის ხელში, რადგან იგი ქმნის მთავრობაზე საზოგადოების კონტროლის შთაბეჭდილებას.

6. **ამომრჩეველთა გათვითცნობიერება.**

საარჩევნო სისტემები: ძლიერი და სუსტი მხარეები

საარჩევნო სისტემა წარმოადგენს წესების კრებულს, რომელიც არეგულირებს არჩევნების ჩატარებას. ეს წესები ფართოდ განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნებში. მთლიანობაში საარჩევნო სისტემები განსხვავდებიან შემდეგი ნიშნებით:

1. ამომრჩევლებს ამოსარჩევად ეძლევათ ან კანდიდატები, ან პარტიები.
2. ამომრჩეველს შეუძლია ხმა მისცეს ერთ ან რამდენიმე კანდიდატს, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მან ისინი უნდა დაალაგოს პრიორიტეტის მიხედვით.
3. ელექტორატი – შეიძლება იყოს დაყოფილი ან არ იყოს საარჩევნო უბნებად.
4. ერთ საარჩევნო უბანში შეიძლება ირჩეოდეს ან ერთი ან რამდენიმე კანდიდატი.
5. აუცილებელი არჩევისათვის ხმების პროცენტები შეიძლება თამაშობდეს ეგრეთ წოდებულ „უბრალო უმრავლესობასა“ და „აბსოლუტურ უმრავლესობას“ შორის, რომელიც მიღებულია მოცემულ სისტემაში (მაგ. 5%-იანი ბარიერი საქართველოში).

საერთო ანალიზისთვის საარჩევნო სისტემები შეიძლება დაიყოს ორ დიდ კატეგორიად, გამომდინარე იქიდან, მიღებული ხმები იქნება თუ არა გადათვლილი რომელიმე სამთავრობო ორგანოს მიერ. აქ ერთმხრივ ჩვენ ვხედავთ **მაჟორიტარულ სისტემას**, რომელშიც გამარჯვებული პარტიები იღებენ პროპორციულად მეტ ადგილს, ვიდრე მათ მიიღეს ხმები არჩევნებში. ეს უზრდის შანსს ცალკე მდგომ პარტიებს ჩამოაყალიბონ საპარლამენტო უმრავლესობა და მართონ დამოუკიდებლად. ასეთი სიტუაცია დამახასიათებელია დიდ ბრიტანეთში, სადაც საფუძვლიანად გამყარდა იდეა ერთპარტიული მმართველობისა, რადგან დაწყებული 1935 წლიდან, არც ერთი პარტია არასოდეს იღებდა უმრავლეს ხმებს არჩევნებში. მეორეს მხრივ, არსებობს **პროპორციული სისტემა,** რომელიც გარანტიას იძლევა თანასწორ, ან მიახლოებით თანასწორ ურთიერთმიმართებაში ხმებს შორის, რომლებიც მიიღო პარტიამ არჩევნებში. ასეთ სისტემაში მცირეა შესაძლებლობა ერთპარტიული მთავრობის ჩამოყალიბებისა.

ელექტორალური ქცევა – ელექტორალური ქცევის პრობლემებისადმი ინტერესის ზრდა დაემთხვა ბიჰევიორიზმის გავრცელებას პოლიტოლოგიაში. რადგანაც ხმის მიცემა არის მეტნაკლებად გავრცელებული და საკმარისად მოზომილი ფორმა პოლიტიკური ქცევისა, ამიტომ ის გახდა ობიექტი საარჩევნო გამოკვლევის და სტატისტიკური ანალიზის ახალი მეთოდებისა.

ბიჰევიორისტული რევოლუციის აპოგეაში ბევრს სჯეროდა, რომ ხმის მიცემის შესწავლა გახდიდა გასაგებს პოლიტიკური საიდუმლოებების ამოხსნას და საშუალებას მისცემდა მასიური პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური კანონების ჩამოყალიბებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ოცნებას ახდენა არ ეწერა, ის მაინც მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა პოლიტიკურ ანალიზში. ელექტორალურ ქცევაზე გავლენას ახდენს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფაქტორები. მოკლევადიან ფაქტორებში. მთავარი ფაქტორი არის ეკონომიკის მდგომარეობა არჩევნების დროს, რადგან ქცევას პირდაპირი კავშირი აქვს მთავრობის პოპულარობასა და ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის, როგორიცაა უმუშევრობა, ინფლაცია და მოსახლეობის შემოსავლები.

სხვა მოკლევადიანი ფაქტორი პარტიული ლიდერის პიროვნული და საზოგადოებრივი რეპუტაციაა. კიდევ ერთი ფაქტორი არის ის, თუ როგორ სტილში და რამდენად ეფექტურად ატარებს პარტია თავის წინასაარჩევნო კამპანიას. კამპანია შეიძლება გაგრძელდეს სამი კვირიდან ორ წლამდე. ამ დროს დიდ როლს თამაშობს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები, რომლის შედეგებს შეუძლიათ პარტიის პოზიციის როგორც გაზრდა, ისე შესუსტება.

ბოლო მოკლევადიანი ფაქტორი არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (მის) როლი, რომელსაც სავსებით შეუძლია ქონდეს გრძელვადიანი მნიშვნელობა. თუ მაგალითად კონკრეტული პრესის ორგანოების მფლობელები სისტემატურად გააშუქებენ მოვლენის ამა თუ იმ ტენდენციას. საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ მთელი ეს შეხედულება ფასს კარგავს, თუ კი მას ავიღებთ ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ფაქტორების კონტექსტის გარეთ. ამასთან დაკავშირებით შეიძლება განვიხილოთ ხმის მიცემის განსხვავებული მოდელები, მათგან მთავარია:

I – პარტიასთან იდენტიფიკაციის მოდელი (party identification model)

II – სოციოლოგიური მოდელი (sociological model)

III – რაციონალური არჩევის მოდელი (rational - choice model)

IV – გაბატონებული იდეოლოგიის მოდელი (dominant – ideology model).

ხმის მიცემის თეორიები

პარტიასთან იდენტიფიკაციის მოდელი – აქ თავში დგას წმინდა ფსიქოლოგიური ფაქტორები, ამომრჩევლები აქ არიან ის ხალხი, რომლებიც ტრადიციულად მხარს უჭერს თავის პარტიას და ხმის მიცემა არის ამ დამოკიდებულების გამოხატულება, მაგრამ არ არის შედეგი რაიმე შეხედულებისა, დაკავშირებული ამა თუ იმ პოლიტიკურ პრობლემასთან, კანდიდატის პიროვნებასთან, წინასაარჩევნო კამპანიის პირობებთან ან მასმედიის გავლენასთან.

დღეს აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში და სხვა ქვეყნებში ადამიანებს აქვთ ადრინდელი ჩვეულება მიუძღვნას თავი ამა თუ იმ პარტიას, ისევე, როგორც მისცეს მას ხმა არჩევნების დროს.

სოციოლოგიური მოდელი – სოციოლოგიური მოდელი აკავშირებს ადამიანის ელექტორალურ ქცევას მის კუთვნილებასთან გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფთან და ვარაუდობს, რომ ხმის მიცემის დროს ის ჩვეულებრივ გაყვება სქემას, რომელიც შეესაბამება მოცემული ჯგუფის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას. ეს მოდელი მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უფრო გვიანდელ კავშირებს, რომელიც აისახება არსებობაზე განსხვავებულ ჯგუფებში და კატეგორიებში. ამ დამოკიდებულებაში მეტნაკლებად მნიშვნელოვანია ფაქტორები: საზოგადოების დაყოფა კლასობრივ, სქესობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ ჯგუფებად და ტერიტორიული კუთვნილების საფუძველზე.

რაციონალური არჩევის მოდელი – მოდელი, რომელიც ხსნის ელექტორალურ ქცევას ამომრჩევლის რაციონალური არჩევით. აქ აქცენტი გადადის სოციალიზაციის პროცესიდან და სოციალური ჯგუფების ფსიქოლოგიის თავისებურებიდან ინდივიდზე, ხოლო ხმის მიცემა აიხსნება როგორც ამომრჩევლის რაციონალური აქტი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ამა თუ იმ პარტიებს პირადი ინტერესის საფუძველზე. სხვა სიტყვებით, ხმის მიცემა არის უბრალოდ გარკვეული მიზნის მიღწევის საშუალება და არა ამა თუ იმ პოლიტიკური პოზიციის, თუ ჩვევის გამოხატულება.

გაბატონებული იდეოლოგიის მოდელი – ამ მოდელს მიეკუთვნება ელექტორალური ქცევის რადიკალური თეორიები, რომლებშიც მთავარი როლი ენიჭება იდეოლოგიური მანიპულირების მომენტებს და ამომრჩევლის კონტროლს. ეს თეორიები ახლოა სოციოლოგიურ მოდელთან. ამ თეორიით ჯგუფები და ინდივიდები თავიანთ მდგომარეობას აღიქვამენ იმგვარად, როგორც მათ უნერგავს განათლების სისტემა, სახელმწიფო და განსაკუთრებით – მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. მაგ. დიდ ბრიტანეთში კლასობრივი იდეოლოგიის ზეგავლენის შემცირებასთან ერთად გაიზარდა მასმედიის როლი ელექტორალურ ქცევაზე.

შედეგები აქ ასეთია: თუ ამომრჩევლის პოზიცია ყალიბდება გაბატონებული ოდეოლოგიით, მაშინ პარტიებიც ატარებენ იმ პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ამ იდეოლოგიას.

რეფერენდუმი

ეს არის ხმის მიცემა, რომელშიც ელექტორატი, როგორც წესი გამოიხატება, როგორც საზოგადოებრივი პოლიტიკის განცალკევებული საკითხი. რეფერენდუმი არის შესაძლებლობა პირდაპირი დემოკრატიის არსენალიდან და მისი მიზანია საზოგადოებრივ ინსტიტუტზე შეხედულებების არა უარყოფა, არამედ მისი დამატებითი მხარდაჭერის გარანტირება. რეფერენდუმი შეიძლება იყოს აუცილებლობით ნაკარნახევი. მას შეუძლია იქონიოს კანონშემოქმედი ინიციატივა და ასევე სხვა საკითხების გადაწყვეტის ორგანიზება. რეფერენდუმის ძლიერი მხარე ისაა, რომ იგი განსაზღვრავს არჩეული ხელმძღვანელობის (მთავრობის) უფლებებს. რეფერენდუმი არის იდეა, რომელიც იუწყება, რომ ხელისუფლების პოლიტიკა არაა განცალკავებული საზოგადოებრივი აზრისაგან. იგი უზრუნველყოფს ელექტორატის პოლიტიკურ მონაწილეობას უფრო ფართო მოცულობის ინფორმაციებში და აძლიერებს სისტემის ლეგიტიმურობას,აძლევს საზოგადოებას საშუალებას თავიანთი შეხედულებების გამოხატვისა კონკრეტულ პრობლემაზე. რეფერენდუმი წარმოადგენს საშუალებას, რომლითაც შესაძლებელია რთული კონსტიტუციური კითხვების გადაწყვეტა, ასევე ისეთ პრობლემებზე საზოგადოებრივი აზრის გამოხატვა, რომელიც არ გამოდის არჩევნებზე.

რეფერენდუმის უარყოფითი მხარეებია:

სერიოზული პოლიტიკური მასშტაბის გადაწყვეტილების უფლებას აძლევენ მათ, ვინც უფრო განათლებულია და არიან მასობრივი ინფორმაციის მოქმედების ქვეშ.

- აფიქსირებენ საზოგადოებრივ აზრს მხოლოდ დროის მოკლე მონაკვეთში.
- აძლევენ პოლიტიკოსებს პოლიტიკური ინფორმაციის მანიპულაციისა და რთული გადაწყვეტილების გამოტანის საშუალებას.
- კითხვებზე რომელსაც (სჭირდება ცალსახა გადაწყვეტა) „კი“ ან „არა“ აქვთ (ორაზროვანი) აზრი.
- popur soveregenty. მაგრამ თვალში საცემია მათი ყარყოფითიც.

1. ამომრჩეველთა შენიშვნებით მჭიდროდ ბოჭავენ რა წარმომადგენლებს, ეს შეიძლება გახდეს კონფლიქტის წყარო. ბერკლი ამაზე ამბობდა: „სწორედ ეს იყო მოსალოდნელი, როცა პარლამენტის წევრები მოქმედებენ არა როგორც ხალხის წარმომადგენლები, არამედ როგორც ამომრჩეველთა ელჩები.“

2. ვინაიდან პროფესიონალ პოლიტიკოსებს არა აქვთ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უფლება, მათგან არ უნდა ველოდოთ ლიდერობას,რომ არაფერი ვთქვათ სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე. იმის მაგივრად, რომ გაუძღვე ხალხს წინ, ორგანიზება გაუწიო და სულიერად გააძლიერო ისინი, მათ უწევთ ყველაზე კარგ შემთხვევაში „გაახმოვანონ“ თავიანთი ამომრჩეველთა შეხედულებები, ცუდ შემთხვევაში - კი უბრალოდ არ გაითვალისწინონ ისინი.

დასკვნები

წარმომადგენლობა არის საზოგადოებრივი საქმიანობის ფორმა, როდესაც პიროვნება ან გარკვეული ჯგუფი საზოგადოების გაცილებით ფართო სპექტრის სახელით ლაპარაკობს ან მოქმედებს. წარმომადგენლობის უფლება ენიჭემა არჩევნების გზით ხალხის მიერ არჩეულ დელეგატს ან საზოგადოების რომელიმე რჩეულ პირს, ან კიდევ რჩეულთა ჯგუფს.

მართალია თანამედროვე რეალობაში წარმომადგენლობა არჩევნებს უკავშირდება, მაგრამ პოლიტიკური წარმომადგენლობისათვის მხოლოდ არჩევნები საკმარისი პირობა არ არის. არჩევნების წინაპირობა უნდა იყოს კონკურენტუნარიანობა, დემოკრატიული გარემო, თავისუფლება, საყოველთაო ხმის უფლება და ამ ხმების დაცვა. თუ ეს არ არის წარმომადგენლობა მხოლოდ ფორმალური ხასიათის მატარებელი იქნება.

არჩევნები დემოკრატიული პოლიტიკური ცხოვრების აუცილებელი პირობაა. არჩევნები უზრუნველყოფს პოლიტიკური თანამდებობების დაკავებას, წარმომადგენლობითი ორგანოს შეკრებას, მთავრობის დაკომპლექტებას. იგი სერიოზულ ზეგავლენას ახდენს პოლიტიკურ კურსზე. არჩევნები იმავდროულად ამყარებს ლეგიტიმურობის ხასიათს და ხელს უწყობს პოლიტიკური ელიტის გაძლიერებას.

საარჩევნო სისტემებში გაბატონებბული მდგომარეობა უჭირავს მაჟორიტარულ ან პროპორციულ არჩევნებს. მაჟორიტარულ სისტემებში დიდია ერთპარტიული მმართველობის შესაძლებლობა იმიტომ, რომ მსხვილი პარტიები, ჩვეულებრივ, მიღებულ ხმებთან შედარებით პროპორციულად მეტ ადგილს იკავებენ საკანონმდებლო ორგანოებში. პროპორციულ სისტემებში შედარებით თანაბარი შეფარდებაა მოპოვებული ადგილებსა და მიღებულ ხმებს შორის, რითაც კოალიციური მთავრობის ალბათობა საგრძნობლად მატულობს.

არჩევნებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავად ინდივიდის „შესწავლის“ თვალსაზრისითაც. იგი პირდაპირ უკავშირდება ამომრჩევლის გადაწყვეტილებების განმსაზღვრელ ფაქტორებს. არჩევნები ამომრჩევლის ქცევის შემსწავლელი მექანიზმია. იგი ნათელს ხდის იმასაც, თუ რამდენად მოქმედებს იდეოლოგიური წნეხი ამომრჩევლის პიროვნულ არჩევანზე.

თავი XII
კონსტიტუციები, კანონმდებლობა და სასამართლო სისტემები

1970-იან წლებში, კონსტიტუციონალური პრობლემატიკა კვლავ მოექცა პოლიტოლოგების ყურადღების ცენტრში – უმეტესად განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში, მიღებული იქნა ახალი კონსტიტუციები, ხოლო პოლიტიკური კონფლიქტები, იქ, სადაც მათ ჰქონდათ ადგილი, ხშირად მიმდინარეობდა, ქვეყანაში კონსტიტუციონალური რეფორმების გატარების მოთხოვნით. ყოველივე ამან, თავისთავად გამოიწვია უფლებრივი და სასამართლო სისტემების გადახალისება, მართალია თეორიულად მოსამართლეები და სასამართლო სისტემები, მკვეთრად არიან გამიჯნულნი პოლიტიკისაგან, პრაქტიკაში, მრავალ ქვეყანაში ისინი გარდაიქმნენ საკვანძო პოლიტიკურ ინსტიტუტებად, რომლებიც სულ უფრო მეტ გავლენას ახდენენ საჯარო პოლიტიკაზე.

კონსტიტუციები

ტრადიციულად, კონსტიტუციას განიხილავდნენ ორი მნიშვნელობით:

პირველ რიგში მიიჩნეოდა, რომ ისინი ზუსტად ასახავდნენ არსებულ მართვის სისტემას და იძლეოდნენ ზოგად წარმოდგენას საზოგადოების საკვანძო ინსტიტუტებისა და მათი ფუნქციების შესახებ, ხოლო **მეორეს მხრივ,** ტრადიციულად, იგი განიხილებოდა როგორც ლიბერალური დემოკრატიის ქვაკუთხედი და მისი განმსაზღვრელი ნიშანი. მაგრამ ორივე წარმოდგენა მცდარია. მთლიანობაში **კონსტიტუციის მიზანია** – ერთგვარი „ჩარჩოების“ დადგენა, რომლის საზღვრებშიც ხორციელდება მმართველობითი და პოლიტიკური მოღვაწეობა, რაც არსებითად არ სრულდება. შეგვიძლია ავიღოთ ნებისმიერი ქვეყნის კონსტიტუცია და დავინახავთ, რომ არის რაღაც მათში არასწორად გამოთქმული, მხედველობიდან გამორჩენილი. თუმცა კონსტიტუციონალიზმის იდეა მჭიდროდაა დაკავშირებული ლიბერალურ ფასეულობებთან. ისტორიის მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, რომ კონსტიტუციები თავისუფლად შეიძლება იყოს არადემოკრატიული და აგრეთვე ავტორიტარულიც, როგორც კომუნისტურ და განვითარებად ქვეყნებში. მაშინ რატომ იწყება ნებისმიერი მმართველობითი სისტემის ანალიზი მისი ძირითადი კანონის განხილვით? პასუხი არის მხოლოდ ერთი – რადგანაც, კონსტიტუცია თავის მხრივ წარ-

მოადგენს, უკიდურესად საყოველთაო წესების კრებულს, რომლითაც ფუნქციონირებს მოცემული პოლიტიკური სისტემა – ანუ ესაა ის წესები, რომლებიც „მართავენ სახელმწიფოს“. მსგავსად იმისა, თუ როგორ აყალიბებს სახელმწიფო მოწესრიგებულ მმართველობას საზოგადოებაში, ისე კონსტიტუციას შეაქვს სტაბილურობა და წესრიგი სახელმწიფო ინსტიტუტების ქმედებებში.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ მთავრობა უნდა ემორჩილებოდეს რაიმე წესების კრებულს, მომდინარეობს შორეული წარსულიდან. ამგვარი ისტორიული კოდექსები ცოცხლობენ იდეით, რომ ყოველივე მიწიერი უნდა ემორჩილებოდეს საღმრთო ძალებს: ეგვიპტელი ფარაონები აღიარებდნენ „სამართლიანობის“ ძალაუფლებას საკუთარ თავზე, ჩინელი იმპერატორები – ზეციურს, ისრაელის მეფეები – „მოსეს კანონებს“, ხოლო არაბი ხალიფები – „შარიათის კანონებს“. არცთუ იშვიათად,უმაღლესი პრინციპები ხორციელდებოდა ჩვეულებრივ კანონებში, მაგრამ ისინი არ წარმოადგენდნენ კონსტიტუციებს, ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით.

1787 წ. პირველი „დაწერილი“ კონსტიტუციის მიღების შემდეგ – რომელიც იყო ამერიკული კონსტიტუცია და ფრანგული დეკლარაცია: ადამიანისა და მოქალაქის უფლებების“ შესახებ, არ იქნება შეცდომა თუ ვიტყვით, რომ კონსტიტუცია XVIII საუკუნის პროდუქტია. ეს დოკუმენტები წარმოადგენდნენ ნიმუშებს სხვა ქვეყნებისათვის და დღესდღეობით მათ მაგალითზე შეგვიძლია შევისწავლოთ ის, თუ როგორ იქმნებოდა დროთა განმავლობაში სხვადასხვა კონსტიტუციები.

კონსტიტუციის მიღება თავისთავად წარმოადგენს სერიოზულ გარდატეხას პოლიტიკურ პროცესებში, რომელიც არცთუ იშვიათად დაკავშირებულია ომთან, რევოლუციასთან, დამოუკიდებლობის მოპოვებასთან და ა.შ. ახალი კონსტიტუცია პირველ რიგში ეს არის ახალი პოლიტიკური წესრიგის დამყარების საშუალება, მას შემდეგ რაც ძველი, ამა თუ იმ მიზეზის გამო განიცდის მარცხს.

კონსტიტუციების კლასიფიკაცია

კონსტიტუციების კლასიფიკაციას მრავალი საფუძველი გააჩნია:

– კონსტიტუციის ფორმა (აქ გამოიყოფა: დაწერილი და დაუწერელი, კოდიფიცირებული და არაკოდიფიცირებული კონსტიტუციები).

– არსებული კანონის ადაპტაციის უნარი, ცვალებადი პოლიტიკური მდგომარეობის მიმართ.

– თუ რა ხარისხით სრულდება არსებული კანონი (იგი შეიძლება სრულდებოდეს სრულად, ან ატარებდეს ნომინალურ ხასიათს).

– კონსტიტუციის შინაარსი და მისგან დადგენილი ინსტიტუტების პოლიტიკური ხასიათი. (ეს შეიძლება იყოს მონარქიის ან რესპუბლიკის, ფედერალური ან უნიტარული სახელმწიფოს, საპრეზიდენტო ან საპარლამენტო მმართველობის ფორმის კონსტიტუციები).

უმთავრესად ითვლება სხვაობა დაწერილ და დაუწერელ კონსტიტუციებს შორის. თეორიის თანახმად დაწერილი კონსტიტუციები განხორციელებულია კანონში, ხოლო დაუწერელი – ჩვეულებებსა და ტრადიციებში. პირველი წარმოადგენს ერთგვარ ფაქტებს, რადგანაც ისინი რეალურად არსებობენ, ხოლო მეორე, როგორც ორგანული სისტემები, თანდათანობით ვითარდება ისტორიის მსვლელობის პროცესში – თუმცა პრობლემის ამგვარი გაგება დღესდღეისობით მოძველებულად ითვლება.

კანონები, რომლებიც გავლენას ახდენენ უმრავლეს სახელმწიფოებზე, ძირითადად წარმოადგენენ დაწერილ კონსტიტუციებს, ხოლო დაუწერელი კონსტიტუციები შემორჩენილია 3 ლიბერალურ დემოკრატიულ სახელმწიფოში – ისრაელში, ახალ ზელანდიასა და დიდ ბრიტანეთში, ასევე ისეთ არადემოკრატიულ სახელმწიფოებში, როგორებიცაა – ბუტანი, საუდის არაბეთი და ომანი. ამგვარი „დაყოფა“ საკმაოდ პირობითი და არაზუსტია. არც ერთი კონსტიტუცია არ შეიძლება ჩაითვალოს სრულად „დაწერილად“, რადგან არც ერთი მათგანი არ მოიცავს მოცემული პოლიტიკური სისტემის ყველა მხარეს. მინიმუმამდეა ისეთი კონსტიტუციები, სადაც მოიხსენიებოდა მაინც პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკურ ინტერესთა ჯგუფები საზოგადოებაში და ასევე არ არსებობს აბსოლიტურად „დაუწერელი“ კონსტიტუციებიც, რომლებიც, საერთოდ არ ეყრდნობიან კანონს და მხოლოდ დაუწერელი წესებით, ჩვეულებებითა და ტრადიციებით ცოცხლობენ.

სინამდვილეში ყველა კონსტიტუცია თავის მხრივ, წარმოადგენს დაწერილი და დაუწერელი ნორმების სპეფიციკურ კომბინაციას. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საფრანგეთი და გერმანია, კონსტიტუციური დოკუმენტები მოქმედებენ, როგორც კოდექსები, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი პოლიტიკური ინსტიტუტების კომპეტენცია და მოვალეობები – აქცენტი კეთდება დაწერილ ნორმებზე: მაგ. აშშ-ს კონსტიტუცია, რომელიც შედგება 7000 სიტყვისაგან, ძალიან ზოგადად განსაზღვრავს საერთო პრინციპებს და გვაძლევს ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის „ზოგად“ სქემას. ზოგიერთი რეალურად კონსტიტუციური მნიშვნელობის ამერიკული ინსტიტუ-

ტი, როგორიცაა კონგრესის კომიტეტები, პირველადი არჩევნები და სახელმწიფო სამსახურის ორგანიზაცია, თავისთავად ჩამოყალიბდა ისტორიული განვითარების პროცესში. სხვა კონსტიტუციები, რომელთაც სიტყვის სრული მნიშვნელობით შეიძლება ვერ ვუწოდოთ „დაუწერელი“, უფრო მეტად ეყრდნობიან ჩვეულებრივი სამართლის ელემენტებს (კონვენციებს), მაგ. დიდი ბრიტანეთის მინისტრთა მიერ განხორციელებული „სამეფო პრეროგატივა“, მათი ინდივიდუალური და კოლექტიური მოვალეობები პარლამენტის წინაშე და ა.შ. – მთლიანად ეყრდნობა დაუწერელ წესებს.

მთელ მსოფლიოში, რა თქმა უნდა, უპირატესად მიაჩნიათ დაწერილი კონსტიტუციების არსებობა, აქედან გამომდინარე, არა მარტო შემცირდა დაუწერელი კონსტიტუციები, არამედ იქ, სადაც ისინი კიდევ არსებობდნენ, მოხდა მათი სამართლებრივი ნაწილის გაფართოება. მაგ: ისრაელში 1948 წ. სახელმწიფოს წარმოქმნა მოხდა ყოველგვარი ძირითადი კანონის გარეშე, ქნესეტმა საკმაოდ სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება, დროთა განმავლობაში კონსტიტუციის მიღების აუცილებლობის შესახებ. დიდ ბრიტანეთში კი, მიღებული იქნა ე.წ. „პროცედურული შეკითხვები მინისტრებზე“, რომელმაც მოახდინა, მანამდე მეტად არეული კონვენციების ფორმულირება. ახალ ზელანდიაში 1986 წ. მიიღეს კონსტიტუციური აქტი, რომელმაც გააერთიანა ყველა არსებული და ერთმანეთთან მცირედ დაკავშირებული კანონები და პრინციპები, ხოლო 1990 წლიდან აქტი „უფლებების შესახებ“.

ასე რომ, ამგვარი დაყოფა საკმაოდ პირობითია და უფრო ნათლად წარმოსადგენია განსხვავება არაკოდიფიცირებულ და კოდიფიცირებულ კონსტიტუციებს შორის. კოდიფიცირებულ კონსტიტუციებში ყველაფერი უმნიშვნელოვანესი ფორმულირებულია მხოლოდ ერთ დოკუმენტში, რომელსაც ვუწოდებთ „დაწერილ კონსტიტუციებს“. ისინი უკვე წარმოადგენენ კანონებს და მათი შესრულება აუცილებელია ყველა პოლიტიკური ინსტიტუტისათვის, რომლებიც თავად ითვლებიან კანონმდებლებად. აქედან გამომდინარე, კოდიფიცირებული კონსტიტუცია აყალიბებს კანონთა იერარქიას.

უნიტარულ სახელმწიფოებში არსებობს ორსაფეხურიანი კანონთა სისტემა, სადაც კონსტიტუცია უზენაესია ჩვეულებრივ კანონზე, რომელიც მიიღება საკანონმდებლო კრების მიერ. ფედერალურ სახელმწიფოებში ამას ემატება მესამე საფეხური უფრო „დაბალი“ სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი კანონების სახით. მეორეს მხრივ კოდიფიცირებული დოკუმენტის სტატუსი, შედარებით მაღალია, რადგანაც უიშვიათესად ხდება მასში შესწორებებისა და დამატებების შეტანა.

მინიმალურია მსოფლიოში არაკოდიციფირებული კონსტიტუციების რაოდენობა და ამასთანავე, ისინი საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დიდი ბრიტანეთის კონსტიტუცია, რომელიც უმჯობესია განვმარტოთ როგორც არაკოდიფიცირებული, მაგრამ ნაწილობრივ დაწერილი კონსტიტუცია, ეყრდნობა „წყაროთა“ მთელ რიგს, რომელთაგანაც უმნიშვნელოვანესად ითვლება: პარლამენტის მიერ მიღებული კანონები, ჩვეულებითი სამართალი და ყველა შესაძლო იურიდიული კვლევები, რომლებიც განმარტავენ დაუწერელი კონსტიტუციის ელემენტებს. თუ პოლიტიკურ სისტემას არ გააჩნია კოდიფიცირებული კონსტიტუცია, ეს პირველ რიგში ნიშნავს, რომ მასში პარლამენტი უსიტყვო ძალაუფლებითა და სუვერენიტეტითაა გამოხატული – მას აქვს მინიჭებული ნებისმიერი კანონების მიღების და მასში შესწორების შეტანის უფლება და სახელმწიფოში არ არსებობს სხვა ინსტიტუტი, რომელიც უფლებამოსილია რაიმე მხრივ მოახდინოს მიღებული კანონის ცვლილება, ან უგულვებელყოფა. ამგვარი კანონმდებლური უფლებები გააჩნია ქნესეტს ისრაელში და დიდი ბრიტანეთის პარლამენტს, სადაც ეს მდგომარეობა დიდი ხანია საზოგადოების განხილვის საგნად გადაიქცა.

კონსტიტუციების კლასიფიკაცია, აგრეთვე ხდება იმის მიხედვითაც, თუ რამდენად „ხისტი“ ან „მოქნილია“ იგი: რა პროცედურების საფუძველზე შეიძლება ცვლილებების და დამატებების შეტანა მოცემულ კონსტიტუციაში? შეუძლია თუ არა მას შეესაბამებოდეს ცვალებად ისტორიულ რეალობას? და ა.შ. ერთი შეხედვით შეიძლება მივიჩნიოთ, რომ კოდიფიცირებული კონსტიტუცია არაა მოქნილი, რადგანაც იგი მკაცრად არის დაფიქსირებული ქვეყნის ძირითად კანონში, ხოლო არაკოდიფიცირებული კი, მოქნილი და ადაპტირებადი, რადგანაც მისი შემადგენელი კანონები მიიღება ჩვეულებრივი კანონმდებლობითი წესრიგით და ბევრი რამ დამოკიდებულია დაუწერელ წესებსა და მიმდინარე პოლიტიკური გამოცდილებაზე.

კონსტიტუციის მოქნილობის დონე შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, რაც არ დგას პირდაპირ კავშირში იმასთან, თუ რამდენად ზუსტად არის განსაზღვრული მისი პრინციპები და ნორმები. 1787 წლიდან აშშ-ს კონსტიტუციამ, მიუხედავად მასში შეტანილი სხვადასხვა ცვლილებებისა, მოაღწია დღევანდელობამდე, მაშინ, როცა საფრანგეთს ამავე ისტორიულ პერიოდში გააჩნდა არანაკლებ 17 კონსტიტუციისა. შესწორებათა შეტანის პროცედურები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, სირთულის დონის მიხედვით. მაგ: ავსტრალიაში, დანიაში, ირლანდიაში და ესპანეთში, კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის ან მათი რატიფიკაციისათვის მოითხოვება

რეფერენდუმის ჩატარება. სხვა შემთხვევებში ამგვარი ცვლილებების შეტანა შეუძლია საპარლამენტო უმრავლესობას და როგორც, მაგალითად ჩაწერილია გერმანიის ძირითად კანონში, კონსტიტუციური შესწორებების შეტანისას აუცილებელია მას ხმა მისცეს ერთდროულად ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის ორმა მესამედმა, ხოლო ამერიკაში ამისათვის მოითხოვება კონგრესის ორივე პალატის 2/3 და შტატების 3/4 (აშშ-ის კონსტიტუციაში დღემდე მხოლოდ 26 შესწორება შევიდა).

ნამდვილად მოქმედ კონსტიტუციად მხოლოდ ის კონსტიტუცია შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ორ კრიტერიუმს: 1) ხელისუფლების პრაქტიკული მოღვაწეობა უნდა მიესადაგებოდეს კონსტიტუციის მდგომარეობას; 2) კონსტიტუცია რეალურად უნდა ზღუდავდეს (განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევდეს) ხელისუფლების მოქმედებებს.

იმისთვის, რომ კონსტიტუციამ იმუშაოს, უნდა ვისაუბროთ არა მხოლოდ მის ცალკეულ ნორმებზე, არამედ იმ კონსტიტუციურ რეჟიმზეც, რომელსაც საზოგადოებაში ემორჩილება ყველა, ხელისუფლების ჩათვლით. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ მეტნაკლებად ყველა კონსტიტუცია ირღვევა. ზოგიერთ მათგანს შეიძლება ვუწოდოთ ნომინალური კონსტიტუცია: მათი შინაარსი ზუსტად ასახავს მოცემულ ქვეყანაში მმართველობის სისტემას, მაგრამ არ წარმოადგენს რაიმე რეალურ „წინაღობას“ მთავრობისათვის. მაგ: ისეთ კომუნისტურ ქვეყნებს, როგორიცაა საბჭოთა კავშირი, ჭონდათ კონსტიტუცია, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად, ცხადდებოდა პარტიის მონოპოლია ძალაუფლებაზე. ამგვარი კონსტიტუციები არ მოქმედებდნენ, რადგანაც იგივე პარტია მკაცრად აკონტროლებდა უმაღლეს სასამართლო ინსტანციებს, რომელნიც ფორმალურად კონსტიტუციის შესრულებას აქცევდნენ ყურადღებას. სხვა მთავრობებში კონსტიტუციებს ხშირად გააჩნიათ მხოლოდ „ფასადური“ ხასიათი და ასრულებენ პროპაგანდისტულ როლს, აქ კონსტიტუცია და პოლიტიკური პრაქტიკა სრულიად გამიჯნულია ერთმანეთისაგან. ამგვარი სიტუაცია დამახასიათებელია დიქტატორულ და ავტორიტარულ მთავრობებში.

კონსტიტუციების კლასიფიკაციის კიდევ ერთი საფუძველია მათი შემადგენლობა – შინაარსი და კიდევ ის, თუ ზუსტად რომელ ინსტიტუციონალურ სტრუქტურას აყალიბებენ ისინი საზოგადოებაში. უპირატესად ეს არის მონარქიის და რესპუბლიკის კონსტიტუციები. პირველ შემთხვევაში, ძალაუფლება რეალურად არის მემკვიდრე მმართველის ხელში, ხოლო რესპუბლიკაში ძალაუფლება გააჩნია საზოგადოებას.

აუცილებელია განვასხვავოთ საპრეზიდენტო და საპარლამენტო კონსტიტუციები. აქ მნიშვნელოვანია ურთიერთდამოკიდებულება აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს შორის. საპარლამენტო სისტემებში აღმასრულებელი ძალაუფლება გამომდინარეობს საკანონმდებლო შტოდან და ანგარიშვალდებულია მასთან, ხოლო საპრეზიდენტო სისტემებში ორივე შტო, ძალაუფლების გადანაწილების პრინციპის შესაბამისად, ერთიმეორისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს.

ბოლოს კი, პლურალისტური და მონოპოლისტური კონსტიტუციები. პირველი დამახასიათებელია ტიპური ლიბერალური დემოკრატიისთვის, სადაც ძალაუფლება კონცენტრირებულია საზოგადოებაში, მეორე კი, კომუნისტური და ავტორიტარული მთავრობებისათვის, სადაც ძალაუფლება განუყოფლად, თუმცა კი ფორმალური ნორმების დაცვით, მიეკუთვნება მმართველ პარტიას ან ბელადს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კონსტიტუციის არსებობა არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში სრულდება კონსტიტუციონალიზმის პრინციპი.

კონსტიტუციის მიზნები

კონსტიტუცია უმნიშვნელოვანესია ორგანიზაციების მმართველობისათვის, მაგრამ ისმის კითხვა: რატომ არის მთავრობებისა და ინსტიტუტების ფუნქციონირება თითქმის შეუძლებელი კონსტიტუციის გარეშე? შეკითხვის სირთულეც ისაა, რომ სინამდვილეში კონსტიტუციას არ გააჩნია რაიმე ფორმულირებული მიზანი, მას შეიძლება ჰქონდეს რამოდენიმე ფუნქცია და ისინი შეიძლება ემსახურებოდნენ განსხვავებულ მიზნებს:

– სახელმწიფო იურისდიქციის განსაზღვრა.
– საყოველთაო ფასეულობებისა და მიზნების დადგენა.
– მმართველობის სტაბილურობის უზრუნველყოფა.
– თავისუფლებათა დაცვა.
– რეჟიმების ლეგიტიმაცია.

სახელმწიფო იურისდიქციის განსაზღვრა

კონსტიტუცია, ეს არის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთგვარი „სავიზიტო ბარათი“ – რაღაც ისეთი, რაშიც იგი გამოხატავს საკუთარ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტზე. ახ-

ალი სახელმწიფოს წარმოქმნა, დამოუკიდებლობის მოპოვება, დიდი სახელმწიფოს დაშლა, ან რამოდენიმე პატარა სახელმწიფოთა გაერთიანება, ყოველთვის მიმდინარეობს ახალი კონსტიტუციის შემუშავებითა და მიღებით. შეიძლება ასევე ითქვას, რომ სახელმწიფოები მხოლოდ მაშინ იქმნებიან, როდესაც ისინი იღებენ კონსტიტუციას, რადგანაც მის გარეშე ისინი არც ერთ ტერიტორიაზე არ ფლობენ იურისდიქციას და არც სახელმწიფო მექანიზმს, რომელსაც უნარი აქვს განახორციელოს ეს იურისდიქცია.

საერთო ფასეულობების და მიზნების დადგენა

კონსტიტუცია, არა მარტო სახავს სახელმწიფოს საერთო პრინციპებს, არამედ მოიცავს პოლიტიკური ფასეულობების, იდეალების და მიზნების ფართო სპექტრს, ამიტომაც კონსტიტუცია არ შეიძლება იყოს პოლიტიკურად ნეიტრალური, იგი ყოველთვის გამსჭვალულია აშკარა ან ფარული იდეოლოგიური შინაარსით. კონსტიტუციის ავტორები ყოველთვის ცდილობდნენ ჩაედოთ, მათ მიერ შექმნილ რეჟიმებში, რაიმე საერთო ფასეულობების კრებული, მისწრაფებები და არსებული პოლიტიკის თავისებური ლექსიკონი. ხშირ შემთხვევაში ეს მიზნები ფორმულირებულია კონსტიტუციის პრეამბულაში – ნაციონალური იდეების თავისებურ დეკლარაციაში. ეს იდეალები შეიძლება იყოს ნებისმიერი დემოკრატიის, თავისუფლების, სახელმწიფოს საყოველთაო კეთილდღეობის მიზნებისადმი ერთგულებით დაწყებული, სოციალიზმის, ფედერალიზმის და ისლამის გამარჯვებისათვის ბრძოლით დამთავრებული.

მმართველობის სტაბილურობის უზრუნველყოფა

კონსტიტუციები – უფლებამოსილების, ვალდებულებების და ფუნქციების თავისებურ მონახაზს წარმოადგენენ. მმართველობის სტაბილურობის უზრუნველყოფა, განსაზღვრავს რა უფლებამოსილების, ვალდებულების და ფუნქციების გადანაწილებას სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის, კონსტიტუციას ორგანიზაციულ რეჟიმში აყენებს, რითაც ეს კონსტიტუციები ახდენენ სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულების ფორმულირებას და რეგლამენტირებას, ამასთანავე უზრუნველყოფენ შესაძლებელი უთანხმოებების და კონფლიქტების გადაწყვეტას.

უფლებების დაცვა

ლიბერალური დემოკრატიის სახელმწიფოებში თავისთავად იგულისხმება, რომ კონსტიტუციის უმთავრესი მიზანი არის, ასე თუ ისე შეზღუდოს სახელმწიფოს მოღვაწეობის სფერო, პიროვნების თავისუფლების დაცვით, – ანუ კონსტიტუცია ეს არის მმართველობის ერთგვარი შეზღუდვა.

კონსტიტუციები რეალურად შეიცავენ სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის ამგვარ ურთიერთდამოკიდებულებას, რითაც მმართველობითი ძალაუფლების სფერო მკაცრად გამიჯნულია ინდივიდუალური თავისუფლების სფეროსაგან, ეს კი მიიღწევა მოქალაქეთა უფლებების და თავისუფლების განსაზღვრით.

რეჟიმების ლეგიტიმაცია

კონსტიტუციის კიდევ ერთი ფუნქციაა მოცემული პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაციის საშუალებები და მიზნები, რის გამოც მას იღებენ ისეთი რეჟიმის ქვეყნებშიც, სადაც მას მხოლოდ ფორმალური, ან სულაც ფასადური როლი აკისრია.

ლეგიტიმაციურ პროცესს აქვს ორი განზომილება. კონსტიტუციის არსებობა, თითქმის აუცილებელი წინაპირობაა საერთაშორისო გაერთიანებაში ყოფნის და ამ სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოთა მხრიდან აღიარებისათვის.

რაში მდგომარეობს კონსტიტუციის მნიშვნელობა?

ის, რომ კონსტიტუცია მნიშვნელოვანია, თავისთავად ცხადია, ივარაუდება, რომ ნებისმიერი კონსტიტუცია, მარტო იმითაცაა კარგი, რომ შემოაქვს პოლიტიკური სტაბილურობა საზოგადოებაში, ზღუდავს ხელისუფლებას, საიმედოდ იცავს უფლებებსა და თავისუფლებას. ამგვარი რწმენა, არსად ისე არ არის განვითარებული, როგორც აშშ-ში, რომელიც ლუი ჰარტლის სიტყვებით რომ ვთქვათ „კონსტიტუციურ კულტამდე“ მიდის. დროდადრო ეს რწმენა სერიოზული გამოცდის წინაშე დგება, როგორც მაგალითად უოტერგეიტის სკანდალის შემთხვევაში, როცა გაირკვა, რომ 1972 წ. საარჩევნო კამპანიისას, პრეზიდენტი ნიქსონი თეთრი სახლის მადალჩინოსანი თანამშრომლების უკანონო ქმედებებს მალავდა. ნიქსონის გადადგომამ 1974 წ., მის შემცვლელ, ჯერალდ ფორდს მისცა უფლება გამოეცხადებინა, რომ მათი კონსტიტუცია მუშაობს, რი-

თაც გაიმეორა კონსტიტუციონალიზმის მთავარი პოსტულატი, რომ მათ აქვთ კანონების და არა ხალხის მთავრობა.

კონსტიტუციები „მუშაობს“ განსაზღვრულ ვითარებაში. ისინი რეალურად ურუნველყოფენ საკუთარ მიზნებს მხოლოდ მაშინ, როცა ეს მიზნები მოქცეულია მთელ რიგ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ფაქტორებთან ერთიან კონტექსტში. ძირითადად აქ მნიშვნელოვანია საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ფაქტორი.

პიროვნების თავისუფლებისა და პოლიტიკური შეჯიბრის პრინციპის უზრუნველმყოფელი კონსტიტუციური ნორმები, შეიძლება სრულიად უსაფუძვლო აღმოჩნდეს ისეთი საზოგადოებისათვის, რომელიც მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არ გასცდენია კოლექტიური ტრადიციების საზღვრებს, უფრო მეტად კი მაშინ, როდესაც ასეთ სახელმწიფოებს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტიათ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პირველადი ამოცანები.

მეორე საკვანძო ფაქტორია სრულდება თუ არა კონსტიტუცია საზოგადოების მმართველი წრეების მიერ და შეესაბამება თუ არა იგი საზოგადოებაში გაბატონებული ჯგუფების ინტერესებსა და ფასეულობებს. აქ ჩვენ ვხელმძღვანელობთ ვაიმარის რესპუბლიკის კონსტიტუციით გერმანიაში: მიუხედავად იმისა, რომ მასში ფორმულირებული იყო საკმაოდ შთამბეჭდავი უფლებებისა და თავისუფლებების კრებული, იგი უარყოფილი იქნა 1930-იან წლებში, როცა ჰიტლერმა დაიწყო ნაცისტური დიქტატურის დამყარება. მიზეზი ერთია: ვაიმარის რეჟიმის დემოკრატიული ბუნება არამარტო ეწინააღმდეგებოდა ნაცისტების მისწრაფებას, არამედ მან ვერ მიიღო გამოხმაურება, ეკონომიკური კრიზისისა და წარმომადგენლობითი მმართველობის იდეის მიმართ გულგრილად განწყობილი საზოგადოებისაგან. ინდოეთში, 1975-77 წწ. და პაკისტანში გენერალ ზიაულ-ხაკის პერიოდში 1977-81 წწ-ებში, კონსტიტუციები არ მოქმედებდნენ, საომარი მდგომარეობის გამო, არმიის ინტერესები აქ აღმოჩნდა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე კონსტიტუციური დეტალები.

და ბოლო ფაქტორია კონსტიტუციური ადაპტაცია, უნარი შეინარჩუნოს თავისი მნიშვნელობა, ყველა და ყველანაირი პოლიტიკური მდგომარეობის პირობებში. კონსტიტუცია უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი, რათა შეინარჩუნოს თავისი მნიშვნელობა ხანგრძლივად, მაგრამ არა უსასრულოდ. მოქნილი, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში საერთოდ აღარ იქნება იგი კონსტიტუცია. მაგალითად აშშ-ს კონსტიტუცია, თავიდანვე ფლობდა თავისუფლების საკმაო დონეს, რათა გადაელახა საკუთარი ნაკლოვანებები. ამიტომაც, მმართველობითმა სისტემამ გამოიმუშავა დროის მოთხოვნებზე შეგუების უნარი, შესწორებების მიღების მექანიზმმა კი, შესაძლებელი გახადა ქვეყნის პოლიტიკური

ინტერესების დემოკრატიზაცია. XX ს. კანონთა გადახედვის სისტემის მეშვეობით, გაფართოვდა პრეზიდენტის ხელისუფლება, მოხდა ძალაუფლების გადანაწილება ფედერალური ცენტრის სასარგებლოდ და უფრო მეტი პრიორიტეტი მიენიჭა ინდივიდის უფლებრივ მდგომარეობას. ყველა ეს ცვლილება განხორციელდა ერთი კონსტიტუციის საზღვრებში და მისი ძირითადი პრინციპები, განახლებულ მდგომარეობაში, ხელშეუხებლად შენარჩუნდა.

სამართალი, მორალი და პოლიტიკა

ურთიერთდამოკიდებულება სამართალსა და მორალს შორის პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სამართალი და მორალი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სამართალი – სოციალური კონტროლის ყველაზე მოხერხებული ფორმაა, იგი გვკარნახობს, რა შეიძლება და რისი კეთება იკრძალება. მორალი, სამართლისგან განსხვავებით, ეხება ეთიკური წესრიგის საკითხება, რა არის „კარგი“ და რა „ცუდი“, როგორ უნდა მოვიქცეთ და როგორ არა. კანონი ობიექტურია – ეს საზოგადო რეალობაა. მორალი სუბიექტურია – იგი ადამიანის სინდისის საკითხია. პლატონისა და არისტოტელესგან მომდინარე, ბუნებრივი სამართლის თეორიები ყოველთვის არსებობდნენ იმ პრინციპით, რომ სამართალი ეყრდნობა, ან უნდა ეყრდნობოდეს ამა თუ იმ მორალურ საფუძველს.

იმ უზარმაზარი როლის მიხედვით, რომელსაც კანონი საზოგადოებაში თამაშობს, გასაგებია, რომ სამართალს აგრეთვე ენიჭება უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა, მწვავე დებატების საგანი ყოველთვის იყო ის, თუ როგორ შეესაბამება, ან უნდა შეესაბამებოდეს იგი პოლიტიკას. სამართლის როლი მდგომარეობს იმაში, რომ დაცული იყოს საზოგადოების თითოეული წევრი და არ მოხდეს ზეწოლა მათ თავისუფლებებზე და უფლებებზე, რადგანაც ამგვარი მფარველობა ვრცელდება ყველა ადამიანზე და ასევე მთელ საზოგადოებაზე. ლიბერალიზმის თანახმად, სამართალი იძენს პრინციპულად ნეიტრალურ ხასიათს და ამ გაგებით იგი პოლიტიკაზე „ზემდგომია“.

კლასიკური ლიბერალიზმის მიხედვით, კიდევ ერთი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ თუ კანონის უმთავრესი მიზანი არის ადამიანის უფლებების და თავისუფლების დაცვა, იმავდროულად უნდა ხდებოდეს თავად კანონის მოქმედების სფეროს შეზღუდვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანონი „კარგია“ მხოლოდ მაშინ, როცა იგი აფართოებს და არ ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას.

სამართალზე განსხვავებულ შეხედულებას გვთავაზობენ კონსერვატიული მოძღვრების თეორეტიკოსები. აქ განიხილება აზრი იმის შესახებ, რომ წესრიგი და კანონი იმ დონეზეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მოხდა მათი ერთგვარი შერწყმაც. ტრადიცია ეყრდნობა ორ წყაროს. პირველი ღრმად პესიმისტურია. ესაა ჰობსისეული ტრადიცია, რომელიც ამტკიცებდა, რომ ადამიანს სიცოცხლის ბოლომდე გააჩნია სამუდამო და დაუოკებელი ძალაუფლების წყურვილი.

მეორე მოტივი ეფუძნება აზრს, რომ საზოგადოებრივი სტაბილურობა დამოკიდებულია იმაზე, გააჩნიათ თუ არა ადამიანებს ერთნაირი ფასეულობები და საერთო კულტურა. ამ პოზიციის კლასიკურ გამოხატულებად იქცა პატრიკ დევლინის წიგნი „იძულება მორალისკენ“, სადაც მტკიცდება, რომ საზოგადოებას გააჩნია სრული უფლება, ხელი შეუწყოს „საზოგადოებრივ მორალს“ კანონების მეშვეობით. მასში საზოგადოება უფლებამოსილია დაცული იყოს იმისგან, რასაც ეწოდება „არატრადიციული მოქცევის საშუალებები“ – მსგავსად ჰომოსექსუალიზმის და ნარკომანიისა.

1980-90-იან წლებში „ახალმა მემარჯვენეებმა“ დაიკავეს ამასთან ძალიან ახლო პოზიცია, „ტრადიციული მორალისა“ და „საოჯახო ფასეულობების“ წინ წამოწევთ და მოთხოვნით, რომ ყველაფერი მიეკუთვნება სამართლებრივ დაცვას.

სასამართლო ხელისუფლება

სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფო მმართველობის ნაწილია, რომელიც საჭიროა პრობლემათა სამართლიანი გადაწყვეტისათვის. მოსამართლეთა უმთავრეს დანიშნულებად სამართლის დაცვა ითვლება, მათ მიერ ხდება კანონის „კონსტრუირება“. სასამართლო ხელისუფლების დანიშნულება სხვადასხვაგვარად ვლინდება სახელმწიფო და პოლიტიკურ სისტემებში. ძირითადად, იგი მნიშვნელოვანია კოდიფიცირებული კონსტიტუციის მქონე სახელმწიფოებში, სადაც სასამართლო ხელისუფლება განმარტავს კონსტიტუციას და ამასთანავე განიხილავს კონფლიქტებს სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებსა და ასევე სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის.

სასამართლო ხელისუფლების მნიშვნელობა დღეისათვის იზრდება საერთაშორისო სამართლის მზარდი მნიშვნელობის გამოც. აქ შემდეგი ინსტიტუტები მოქმედებენ: გაეროს სასამართლო ორგანო არის საერთაშორისო სასამართლო ჰააგაში – ფორუმი, სადაც

სახელმწიფოთა შორის დავა და დაპირისპირება განიხილება. რადგანაც საერთაშორისო სამართალი დაფუძნებულია სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პრინციპზე, ეს სასამართლო პროცესი იმართება მხოლოდ კონფლიქტის ყველა მხარეთა თანხმობის საფუძველზე.

საერთაშორისო სასამართლომ ააღორძინა ნიურნბერგის ტრიბუნალის იდეა (1945-46), რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლებრივი დევნა ხორციელდება საომარი დანაშაულის ან კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო. საერთაშორისო სასამართლომ წარმოადგინა ბრალდებები და მიაღწია მთელი რიგი პიროვნებების დაპატიმრებას. მათ შორის იყო იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი, სლობოდან მილოშევიჩი.

ამას გარდა, არსებობს მთელი რიგი საერთაშორისო სასამართლოები, რომელთაც გააჩნიათ რეგიონალური იურისდიქცია, როგორიცაა ევროსასამართლო ლუქსემბურგში და ევროსასამართლო ადამიანის უფლებათა დაცვის განხრით სტრასბურგში.

სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება და ლიბერალურ-დემოკრატიულ სისტემებში მისი მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი არის ის, რომ მოსამართლეები წარმოადგენენ სრულიად დამოუკიდებელ და არაპოლიტიკურ ფიგურებს. მათი უნარი, იყვნენ პოლიტიკაზე „მაღლა“, განიხილება, როგორც პირველადი გარანტია იმისა, რომ სამართალი რეალურად განცალკევებულია პოლიტიკისაგან. შეიძლება ითქვას, რომ ეს სასამართლო ხელისუფლების არასწორი გაგებაა. უმჯობესია, იგი განიხილებოდეს, როგორც პოლიტიკური და არა უბრალოდ სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც არჩევს კონფლიქტებს და გამოდის სახელმწიფოს სახელით. მათ გადაწყვეტილებებს ყოველთვის გააჩნიათ ესა თუ ის პოლიტიკური მნიშვნელობა. თუმცა, ამ საკითხებთან არის ორი არცთუ საბოლოოდ „პასუხგაცემული“ შეკითხვა, რომლებიც ხშირად ხდება დისკუსიის საგანი. პირველი – წარმოადგენენ თუ არა მოსამართლეები პოლიტიკურ ფიგურებს? და მეორე – ქმნიან თუ არა მოსამართლეები პოლიტიკას, ანუ იჭრებიან თუ არა ისინი საკუთარი გადაწყვეტილებებით პოლიტიკოსების კომპეტენციაში?

წარმოადგენენ თუ არა მოსამართლეები პოლიტიკურ ფიგურებს?

იყო და არის სახელმწიფოები, სადაც არასდროს არ უთქვამთ, რომ მათი სასამართლო არის ნეიტრალური და მიუკერძოებელი. ორთოდოქსული კომუნისტური რეჟიმების დროს „სოციალისტური

კანონიერების“ პრინციპი ნიშნავდა,რომ სასამართლო განმარტავს კანონს „მარქსიზმ-ლენინიზმის“ სტილში. ამ სისტემაში მოსამართლეები იყვნენ უბრალო პაიკები, რომელნიც ემსახურებოდნენ რეჟიმის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მიზნებს, რაც მეტნაკლებად გამოვლინდა 1930-იან წლებში სსრკ-ს „საჯარო პროცესების“ დროს. ამგვარი იდეოლოგიური ზეწოლის და პოლიტიკური დევნის ინსტიტუტს წარმოადგენდა გერმანული სასამართლო ნაციზმის წლებში.

სხვა სახელმწიფოებში, მოსამართლეებისგან ყოველთვის მოელოდნენ უმკაცრეს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს. იქ, სადაც უდიდესია ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის ზეგავლენა,კანონის ავტორიტეტი ზუსტადაც რომ დაკავშირებულია მის არაპოლიტიკურ ხასიათთან და იგი ხორციელდება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მოსამართლეების მიერ. უნდა გვესმოდეს, რომ პოლიტიკა შეიძლება შეიჭრას სასამართლო ხელისუფლების სფეროშიც. პრობლემას გააჩნია „შიდა“ და „გარე“ ასპექტი. „გარე“ – მდგომარეობს იმაში, რომ მოსამართლეებზე შეიძლება მოახდინონ ზეწოლა პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა – პარტიებმა, საკანონმდებლო კრებებმა და ა.შ., ხოლო „შიდა“ – იმაში, რომ მოსამართლეებს შეიძლება ჰქონდეთ წმინდა პოლიტიკური ხასიათის სიმპატიები ან ანტიპატიები. გარე ასპექტთან დაკავშირებით არსებობს „სასამართლო დამოუკიდებლობის“ პრინციპი (judicial independence) და მიჩნეულია,რომ მოსამართლეები მკაცრად ემორჩილებიან მას. ლიბერალური დემოკრატიის უმრავლეს სახელმწიფოებში, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია იმითაც, რომ მოსამართლეთა თანამდებობა საიმედოდაა დაცული (არ შეიძლება მისი უბრალო გათავისუფლება) და საზოგადოებაში, ასე თუ ისე შეზღუდულია მოსამართლეებისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა ღია კრიტიკა. სასამართლოთა დამოუკიდებლობა შეიძლება იყოს კომპრომეტირებული იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკური ინსტიტუტები, საკმაოდ მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი მოსამართლეთა რეკრუტირებასთან და კარიერისტული წინსვლის პროცესებთან (მაგ. დღევანდელ საქართველოში).

აშშ-ში, მოსამართლეს თანამდებობა უკავია სამუდამოდ თუ კი იგი არ არღვევს „ღირსეული ქცევის“ ნორმებს. უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეები ინიშნებიან პრეზიდენტის და მტკიცდებიან სენატის მიერ. 1930-იან წლებში, რუზველტსა და სასამართლოს შორის უთანხმოების დროს, პრაქტიკაში თანდათანობით შემოვიდა უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის წმინდა პოლიტიკური პრინციპი: პრეზიდენტი ირჩევს კანდიდატურებს,მათი პარტიული კუთვნილების და იდეოლოგიური ერთგულების მიხედვით.

ამავე საფუძვლით, სენატი უფლებამოსილია დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს ისინი. 1954-69 წწ. აშშ-ში უმაღლესი სასამართლოს ლიბერალური და 1969 წლიდან, უფრო კონსერვატიული ტენდენციები, განპირობებული იყო ზემოქმედების გარე ფაქტორებით. დიდ ბრიტანეთში მოსამართლეები, აგრეთვე ინიშნებოდნენ მოცემულ მომენტში არსებული მთავრობის მიერ, ხოლო უფროსი მოსამართლეები ლორდ-კანცლერის რეკომენდაციით, პრემიერ-მინისტრის მიერ. დაუწერელი წესების მიხედვით, ამგვარი დანიშვნა უნდა ხდებოდეს სრულიად მიუკერძოებლად. თუმცა საქმეში ხშირად იჭრება წმინდა პოლიტიკური მოტივები, როგორც ეს მოხდა კონსერვატიული პარტიის ყოფილი მრჩევლის და პროფკავშირების უფლებრივი შეზღუდვის მომხრე, ლორდ დონალდსონის შემთხვევაში.

ყველაზე მეტად გარეგან პოლიტიკურ ზეგავლენას ექვემდებარება კონსტიტუციური სასამართლო საფრანგეთში. ფრანგული პოლიტიკური სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, მას უკავია მყარი პოზიციები, როგორც საკანონმდებლო კრების, ასევე მთავრობასთან მიმართებაში. ორივე შემთხვევაში, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, ამა თუ იმ აქტის არაკონსტიტუციურობის შესახებ. ამ სასამართლოს წევრები, უფრო ხშირად არიან გამოცდილი პოლიტიკოსები, ვიდრე პროფესიონალი იურისტები. საფრანგეთის პრეზიდენტი, ნაციონალური კრების და სენატის თავმჯდომარეები, თითოეული თავისი მხრიდან, წარმოადგენენ დასანიშნად სასამართლო შემადგენლობის მესამედ ნაწილს – უმეტესად პარტიული მოსაზრებების გათვალისწინებით. იაპონიაში, უმაღლეს სასამართლოს ნიშნავს მინისტრთა კაბინეტი, ხოლო უმაღლესი მოსამართლეები, რომელთაც წარადგენს კაბინეტი, გადიან დანიშვნის პროცედურას იმპერატორთან.

სასამართლო დამოუკიდებლობა, ერთი პრობლემაა, მეორეც, სასამართლო ხელისუფლებას ყოველთვის აქვს საკუთარი შიდა ტენდენციები, რომლებიც გამოხატავს მოსამართლეთა კულტურას და ფასეულობათა ორიენტაციას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ როგორ ხდება მოსამართლეთა რეკრუტირება, არამედ ის, თუ ვის შემოსავენ მოსამართლის მანტიით. სოციალისტების მხრიდან, უკვე დიდი ხანია ისმის კრიტიკა სასამართლო სისტემის მისამართით, რომ იგი ასახავს მოცემულ საზოგადოებაში გაბატონებულ ფასეულობებს და ამიტომ ატარებს შინაგან ტენდენციებს, არსებული პოლიტიკური და სოციალური წესრიგის გაძლიერებისადმი. ამავე ტენდენციაზე მუშაობს სასამართლოს სოციალური შემადგენლობა და საერთოდ ის სტატუსი, რაც ამ პროფესიას გააჩნია საზოგადოებაში. გრიფიტმა აჩვენა, რომ ასეთი კონსერვატორუ-

ლი ტენდენცია, ყოველთვის იყო დიდი ბრიტანეთის მაღალ ეშ-ელონებში და იგი მომდინარეობს უმაღლესი სასამართლოს სოციალური ერთფეროვნებიდან. მოსამართლეთა ზოგადი პორტრეტია – თეთრკანიანი მამაკაცი, უმაღლესი საშუალო კლასიდან, რომელმაც დაამთავრა პრივილეგირებული საშუალო სკოლა. შემდეგ კი ოქსფორდი. ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ მოსამართლეებს აქვთ ამოჩემებული დამოკიდებულება – ქალების, ეთნიკური უმცირესობების და საერთოდ ნებისმიერი საზოგადოებრივი ჯგუფისადმი, რომელიც არაადეკვატურადაა წარმოდგენილი მოსამართლეთა კორპუსში. სხვა მაგალითია აშშ-ს უმაღლესი სასამართლო. მიუხედავად იმისა, რომ 1950-იანი წლებიდან მასში ყოველთვის იყო აფროამერიკელი მოსამართლე, ხოლო დღესდღეობით ორი მოსამართლე – ქალია, მისი შემადგენლობისათვის ეხლაც დამახასიათებელია ანგლოსაქსური წარმოშობის თეთრკანიანი მამაკაცი, პროტესტანტი უმაღლესი ან საშუალო ფენის წარმოდგენილი. ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგ. ავსტრალიაში იყო მცდელობა, სასამართლო ექციათ სოციალურად უფრო რეპრეზენტაციულად. 1980 წლიდან მოსამართლეები აქ რეკრუტირებენ, არა მარტო პროფესიონალი იურისტებიდან, არამედ აკადემიური წრეებიდანაც, მაგრამ აქედან გამომდინარე, სასამართლოს კრიტიკოსებიც კი აღიარებენ, რომ ასეთი ტიპის ექსპერიმენტები შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე და სასამართლოს, საზოგადოების მიკროკოსმოსად ქცევა შეიწირავს იმ პროფესიონალიზმს და გამოცდილებას, რომელიც დამახასიათებელია სასამართლო კორპორაციისათვის.

ქმნიან თუ არა მოსამართლეები პოლიტიკას?

მოსამართლის, როგორც კანონის უბრალო მსახურის „ხატი“, ყოველთვის მითი იყო. არც ერთ კანონს, იურიდიულ ტერმინს ან პრინციპს, არ აქვს ერთი რომელიმე ყველასათვის ნათელი მნიშვნელობა. მოსამართლეები განმარტავენ კანონებს და იმავდროულად, აწყდებიან მათ მრავალრიცხოვან გაგებას და შესაძლო ახსნას. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი კანონი ისეთია, როგორსაც მას ხედავს ან ახორციელებს მოსამართლე, მაგრამ პრაქტიკაში, რა თქმა უნდა, მოსამართლეებს არ აქვთ კანონთა „თვითნებური“ განმარტების სრული თავისუფლება და თვითონ კანონიც არასდროს არის ისეთი ბუნდოვანი, რომ იგი ისე განმარტო, როგორც მოგესურვება. ყველაფერი დამოკიდებულია ორ ფაქტორზე. პირველი, ეს არის კანონის სიზუსტე და დეტალურობა ზოგადი წესებით. რაც უფრო ფართოა

კანონების და კონსტიტუციური ნორმების ფორმულირება, მით მეტი თავისუფლებაა მათი განმარტებისათვის. მეორე ფაქტორი, ეს არის კოდიფიცირებული ან დაწერილი კონსტიტუციის არსებობა ან არარსებობა. ამ დოკუმენტის არსებობა ყოველთვის ზრდის მოსამართლეთა კორპორაციის სტატუსს, შემოაქვს რა ისეთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი, როგორიცაა კანონის გადახედვა, კონსტიტუციასთან შესაბამისობის ან შეუსაბამობის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მექანიზმის ჩანასახები აღინიშნება XVII ს-ის დასაწყისში ინგლისში, იგი მაინც უფრო ამერიკული „აღმოჩენა“ და მსოფლიოში პირველი დაწერილი კონსტიტუციის შედეგია. თუმცა, აშშ-ს კონსტიტუციაში არ არის მინიშნება კანონთა გადახედვის შესახებ, იგი მაინც იძლევა გარკვეულ საფუძველს ამასთან დაკავშირებით. ლოგიკურად,თუ სახელმწიფო ინსტიტუტებს მიეწერებათ ქცევის სამართლებრივი სტანდარტები, მაშინ არსებობს ამ ყველაფერზე დაკვირვების პირდაპირი აუცილებლობა და არ არსებობს ამისთვის უკეთესი ინსტიტუტი, ვიდრე სასამართლო (უფრო ზუსტად, უმაღლესი სასამართლო). ეს სისტემა ამუშავდა 1803 წელს, როცა უმაღლესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ „რომელიღაც კანონი“ 1789 წლიდან, შეუსაბამობაშია აშშ-ს კონსტიტუციასთან. ამან, უმაღლესი სასამართლო, რობერტ დალის თქმით, გადააქცია პოლიტიკურ ინსტიტუტად, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს ნაციონალური პოლიტიკის სადავო საკითხებთან დაკავშირებით.

ამერიკის ისტორიაში, საკმაოდ ნათლად ჩანს უმაღლესი სასამართლოს პოლიტიკური როლი. მაგ. XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში, უმაღლესმა სასამართლომ, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩაურევლობის იდეოლოგიის გავლენით მოქმედებდა, მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რომლითაც შემცირდა საკანონმდებლო როლი ეკონომიკურად შესუსტებული საზოგადოებრივი ფენების სოციალურ მხარდაჭერაზე, სახელდობრ, 1930-იანი წლების დასაწყისში, მან დაბლოკა რუზველტის „ახალი კურსი“. აუცილებელი გახდა „სასახლის გადატრიალება“ 1937 წელს. შემდეგ მოხდა „ახალი კურსის“ მომხრე მოსამართლეთა დანიშვნა, რათა უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების მხარდაჭერით მომხდარიყო სახელმწიფოს გარკვეული მონაწილეობა ეკონომიკურ და საზოგადოებრივ საქმეიანობაში. 1950-60-იან წლებში, უმაღლესმა სასამართლომ მიიღო მთელი რიგი სერიოზული გადაწყვეტილებები, სკოლებში რასობრივი სეგრეგაციის გაუქმებასთან და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების, რაოდენობრივი შემადგენლობის გათანაბრებასთან დაკავშირებით. ბევრ შემთხვევაში, უმაღლესი სასა-

მართლო წინ მიუძღოდა კონგრესსა და თეთრ სახლს და ზოგჯერ უკვალავდა გზას სხვა კანონმდებლობებს, როგორც ეს იყო 1960-იანი წლების სამოქალაქო უფლებების პრობლემასთან დაკავშირებით. შემდგომში უმაღლესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, აბორტის კანონების კონსტიტუციურობის შესახებ და ეს მოხდა მაშინ, როცა ყველა არჩეული ხელისუფლება უარს აცხადებდა ამ მეტად საჩოთირო პრობლემის განხილვაზე. თუმცა იმ დროის სასამართლო აქტივიზმმა იკლო, მას შემდეგ, რაც განხორციელდა კონსერვატორული დანიშვნები, რესპუბლიკელი პრეზიდენტების – ნიქსონის, რეიგანის და უფროსი ბუშის მიერ, მაგრამ სრულიად მაინც არ შემცირდა უმაღლესი სასამართლოს გავლენა, რაც გამოიხატებოდა სიკვდილით დასჯისადმი გამუდმებულ წინააღმდეგობაში და აბორტის შეზღუდვების თანდათანობითი შემოტანით. მაგრამ ყველაზე მაღალი პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო ფლორიდის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება 2000 წლის დეკემბერში, როცა საპრეზიდენტო არჩევნების საკამათო შედეგები ჯორჯ ბუშ უმცროსის სასარგებლოდ გადაწყდა. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, ანალიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ უმაღლესმა სასამართლომ საზოგადოების არჩევანის დეზავუირება მოახდინა.

სასამართლო სისტემის სირთულის უაღრესად საინტერესო მაგალითია დავა ინდირა განდისა და ინდურ სასამართლოებს შორის 70-იან წლებში. გამომდინარე იქიდან, რომ ინდოეთს გააჩნია საკუთარი დაწერილი კონსტიტუცია, აქ მაინც არ იყო მიღწეული საჭირო ბალანსი, სასამართლო ინსტანციასა და ვესტმინისტრულ საპარლამენტო სისტემებს შორის. უპასუხა რა, მზარდ საზოგადოებრივ კრიტიკას, რომელიც მიმართული იყო ინდირა განდის მმართველობის ავტოკრატიული სტილისადმი, ინდოეთის უმაღლესმა სასამართლომ 1975 წ. მას ბრალი დასდო არჩევნების დროს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში და აუწყა ხუთი წლით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. თუმცა სასამართლომ შეაჩერა საკუთარი გადაწყვეტილება, ინდირა განდიმ მოკლე დროში გამოაცხადა საომარი მდგომარეობა, რითაც გაუჩნდა შესაძლებლობა, დაეპატიმრებინა ასობით პოლიტიკური ოპონენტი და შემოეღო უმკაცრესი ცენზურა. სასამართლო მთლიანად დაუბრუნდა საკუთარ საქმეს მხოლოდ მაშინ, როცა 1977 წლის მარტში, გაუქმდა საომარი მდგომარეობა, რის შემდეგაც იგი განსაკუთრებული სიფრთხილით მოქმედებდა და არასდროს შედიოდა ღია კონფრონტაციაში არსებულ ხელისუფლებასთან.

სასამართლო მოღვაწეობის პოლიტიკური მხარე, უფრო ნაკლებადაა გამოხატული იქ, სადაც კოდიფიცირებული კონსტიტუცია

არ არის. მიზეზი ერთია, დაუწერელი კონსტიტუციების არსებობისას, სასამართლო მოკლებულია სამართლებრივი სტანდარტის იმ საფუძველს, რაზეც შეიძლება შემოწმდეს კონსტიტუციურია თუ არა ესა თუ ის პოლიტიკური აქტი ან სამთავრობო გადაწყვეტილება მაინც.

აუცილებელია გვესმოდეს, რომ სასამართლო ხელისუფლების უფლება კანონთა გადახედვის შესახებ, შეიძლება გამოყენებული იქნას შეზღუდულ მასშტაბებშიც, მაგ. ამა თუ იმ მინისტრის ქმედების არაკონსტიტუციურად გამოცხადებისათვის.

დასკვნები

კონსტიტუცია წარმოადგენს სახელმწიფოს უზენასე კანონს, რომლის მიზანია სახელისუფლებო ინსტიტუტების დანიშნულებისა და უფლება-მოვალეობების დადგენა და ურთიერთობათა განსაზღვრა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის.

კონსტიტუციის დანიშნულებაა სახელმწიფო ძალაუფლების ლეგიტიმაცია, კერძო მოქალაქეთა დაცვა სახელმწიფოს მხრივ ძალადობისაგან, სახელისუფლები მიზნებისა და ღირებულებების გამოკვეთა.

კონსტიტუციასა და რეალურ პოლიტიკას შორის სხვაობა უდავოა. კონსტიტუცია ქმედითია მხოლოდ მაშინ, როცა მას პოლიტიკური კულტურა უმაგრებს ზურგს, როცა მას იცავენ და პატივს სცემენ მმართველები, როცა იგი ეხმიანება გაბატონებული ჯგუფების ინტერესებს და შესაძლებელი ხდება მისი შეთავსება ცვალებად პოლიტიკურ გარემოებებთან.

კანონმდებლობის პოლიტიკისაგან გამოცალკევება მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და არაპარტიულობის დაცვით ხერხდება. თუმცა, ეს დამოუკიდებლობა არცთუ ისე იოლი მისაღწევია – მართლმსაჯულების სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე დანიშვნის პროცესში პოლიტიკური ინსტიტუტების ხშირი ჩარევის შედეგად.

პოლიტიკურ პროცესებში მოსამართლეთა ჩარევას ხელს უწყობს ისიც, რომ ამ კანონთა შემდგენელნი ხშირად თავად ისინი არიან. მოსამართლეების გავლენა იმის მიხედვით განიზომება, რამდენად მკაფიოდ და დეტალურადაა ჩამოყალიბებული კანონი, რამდენად იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას, დაწერილი თუ დაუწერელი კონსტიტუცია მოქმედებს ქვეყანაში; და აქვთ თუ არა მოსამართლეებს სამართლებრივი შესწორების შეტანის უფლება მინიჭებული.

თავი XIII
საკანონმდებლო ხელისუფლება

პოლიტიკურ ლექსიკონში არსებობს უამრავი სახის ტერმინი, რომლებიც აღნიშნავენ საკანონმდებლო პოლიტიკურ ინსტიტუტებს (კონგრესი აშშ-ში, ეროვნული კრება საფრანგეთში, წარმომადგენლობითი პალატა იაპონიაში, პარლამენტი სინგაპურში, დეპუტატთა კონგრესი ესპანეთში და სხვ.). პოლიტიკური ტერმინის რანგში სიტყვა „ასამბლეა“ (ანუ შეკვრა) ჩვეულებრივ ასოცირდება წარმომადგენლობასთან და წარმომადგენლობით მმართველობასთან. ფრანგულ ენაში ის ყველაზე ახლოს არის სიტყვასთან „ხალხი“, ამიტომ ზოგჯერ ამ ტერმინს იყენებენ მხოლოდ ქვედა, ხალხის მიერ არჩეულ ორპალატიან პარლამენტში (მაგ. პაკისტანში, საფრანგეთში).

ძირითადად ფუნქციონირებს სამი სახელისუფლო შტო: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება.

საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემები

ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი გასაღები არის ის, თუ როგორ არის განსაზღვრული ურთიერთობა ასამბლეებსა და მთავრობას შორის, ანუ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. ხდება ისეც, რომ ყალიბდება ფორმა „ასამბლეა-მთავრობა“.

გაერთიანებული აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებით. მაგ: ასეთი სისტემა, გარკვეული ხნით აღმოცენდა რობესპიერისა და იაკობინელების ეპოქაში საფრანგეთის რევოლუციის დროს. სხვა შემთხვევაში, მაგ: ორთოდოქსალურ-კომუნისტური რეჟიმების დროს, საკანონმდებლო კრება და მთავრობა ექვემდებარება „მმართველ პარტიას“. საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს შორის ურთიერთობისას პოლიტიკური სისტემები ჩვეულებრივ ორიდან ერთ-ერთ კატეგორიას მიეკუთვნებიან – ეს სახელმწიფო ან საპრეზიდენტო სისტემაა. ლიბერალური სახელმწიფოების უმრავლესობამ ისტორიულად მიიღო საპარლამენტო სისტემის ფორმა.

სახელმწიფო მმართველობის მექანიზმები

მე-14 ს. ინგლისში შეიქმნა ორი პალატა: თემთა პალატა და ლორდთა პალატა: პირველში წარმოდგენილია რაინდები და ბურჟუები, მეორეში ლორდები და სამღვდელოება. პარლამენტის უზენაესობის პრინციპი – პარლამენტის ხელისუფლების უპირატესობა სამეფო გვირგვინთან – დამტკიცდა 1688 წლის რევოლუციით, ხოლო ანგარიშვალდებულება მთავრობისა პარლამენტის წინაშე – საარჩევნო უფლების განვითარების მიხედვით. ანალოგიური საპარლამენტო სისტემები აღმოცენდნენ ისეთ სახელმწიფოებში, როგორებიც არიან გერმანია, შვეცია, ინდოეთი, იაპონია, ახალი ზელანდია და ავსტრალია. ამ სისტემების მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შერწყმა: აქ მთავრობას „საპარლამენტო“ ხასიათი აქვს, რამდენადაც ის ფორმირდება პარლამენტის წევრებისაგან და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. ამ სისტემის ღირსება ის არის, რომ ის უზრუნველყოფს საკმაოდ თავისუფლად ფუნქციონირებად და ამასთან ერთად პასუხისმგებელ მთავრობას (responsible goverment). მთავრობა თავისულად ფუნქციონირებს იმდენად, რამდენადაც ის ეყრდნობა პარლამენტის ნდობას და სწორედ ამიტომ ის ხშირ შემთხვევაში საკმაოდ ადვილად იღებს საჭირო კანონებს. მოკლედ, ამ სისტემით მას შეუძლია მშვიდად „შეუდგეს საქმეს“. ის აგრეთვე წარმოადგენს პასუხისმგებელ მთავრობას, რამდენადაც მართავს, სანამ იგი პარლამენტის ნდობით სარგებლობს.

თეორიულად ბოლო სიტყვა ყოველთვის ეკუთვნის პარლამენტს, რამდენადაც მას უფლება აქვს გადააყენოს მთავრობა.

სამწუხაროდ, საპარლამენტო სისტემები ხშირად მოლოდინს არ ამართლებენ, არის რა თქმა უნდა, გამონაკლისები. მაგ: შვეცია, სადაც განვითარებული სისტემის შემთხვევაში საკანონმდებლო ასამბლეის (pukcgas) კონსულტაციებს აქვთ უდიდესი პოლიტიკური პოზიციები, რათა დაარღვიოს მთავრობის მუშაობის მშვიდი რიტმი. საპარლამენტო ხელისუფლებას უმრავლეს შემთხვევაში მუდმივად თან სდევს პრობლემა – „საღმასრულებლო ელემენტის ბატონობა“. დიდ ბრიტანეთში,მკაცრი პოლიტიკური დისციპლინის და დისპროპორციული საარჩევნო სისტემის შერწყმისას, მთავრობას, რომელსაც ჰყავს დისციპლინირებული უმრავლესობა თემთა პალატაში, ყოველთვის შეუძლია აკონტროლოს პარლამენტი. ამასთან დაკავშირებით ორდმა ჰეილშემმა (1976 წ.) დიდი ბრიტანეთის მთავრობას უწოდა „არჩევითი დიქტატურა“ – დიქტატურა არჩევითი სისტემით.

საკანონმდებლო კრება

საპარლამენტო სისტემები არ არის დაზღვეული არც სუსტი მთავრობისაგან და არც პოლიტიკური არასტაბილურობისაგან. ჩვეულებრივ ასე ხდება, როდესაც პარტიული სისტემა დამსხვრეულია, ხოლო საარჩევნო სისტემა უფრო პროპორციულია. მაგ: საფრანგეთის რესპუბლიკაში 12 წლის განმავლობაში შეიცვალა 25 მთავრობა. ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო დაყრდნობოდა ეროვნული კრების სტაბილურ უმრავლესობას, სადაც კომუნისტები მარცხნივ და „გოლისტები“ მარჯვნივ განწყობილნი იყვნენ შეურიგებლობისათვის რესპუბლიკის რეჟიმის წინააღმდეგ. ამასთან პრობლემები ჰქონდა იტალიასაც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სადაც უმაღლეს დონეზე პოლარიზებული მრავალპარტიული სისტემა ისე დატრიალდა, რომ 1945 წლიდან 2004 წლამდე ქვეყანაში მთავრობა 62-ჯერ შეიცვალა.

საპარლამენტო სისტემის მთავარი ალტერნატივაა სახელმწიფო მართვის საპრეზიდენტო სისტემა. საპრეზიდენტო სისტემები დაფუძნებულია ხელისუფლების დაყოფის მკაცრ მეთვალყურეობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ საკანონმდებლო სათათბირო და მთავრობა ფორმალურად დამოუკიდებელნი არიან ერთმანეთისაგან და ირჩევიან ცალ-ცალკე. კლასიკური მაგალითია აშშ, სადაც ეგრეთ წოდებული „მამა-დამფუძნებლები“ იყვნენ შეწუხებულები იმით, რომ აღეკვეთათ ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლების აღმოცენება, იმის შიშით, რომ ბრიტანული მონარქიის მსგავსი არ აღმოცენებულიყო.

აშშ-ის კონგრესი, პრეზიდენტი და უმაღლესი სასამართლო არიან ერთმანისაგან დამოუკიდებული ინსტიტუტები, მაგრამ ერთმანეთზე ზემოქმედებენ და ზღუდავენ ერთმანეთის ძალაუფლებას. კონგრესი ღებულობს კანონებს, მაგრამ პრეზიდენტს შეუძლია მას ვეტო დაადოს, ხოლო კონგრესს, თავის მხრივ, შეუძლია ვეტო გადალახოს, თუკი ასეთ გადაწყვეტილებას ხმას მისცემს ორივე პალატის წევრთა 2/3. შემდეგ, პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობის უხუცესს და სასამართლოს წევრებს, მაგრამ იგი უნდა დაამტკიცოს სენატის უმაღლესმა პალატამ.

ამ ტიპის საპრეზიდენტო სისტემა, აშშ-ს გარდა,მთელ ლათინურ ამერიკაშია. საფრანგეთში მეხუთე რესპუბლიკამ მიიღო „ჰიბრიდული“ ანუ ნახევრადსაპრეზიდენტო ფორმა, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება „ორჭოფობს“ იმ გაგებით, რომ დამოუკიდებლად არჩეული პრეზიდენტი მოქმედებს პრემიერ-მინისტრთან და კაბინეტთან „კავშირში“, რომელნიც ფორმირებულნი არიან ეროვნული სათათბიროსა და მასზე დაქვემდებარებული წევრებისგან. მსგავსი ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა ფუნქციონირებს ფინეთშიც, სადაც

პრეზიდენტი უპირატესად დაკავებულია საგარეო პოლიტიკით, ხოლო მინისტრთა კაბინეტი – საშინაო პოლიტიკით.

საპრეზიდენტო სისტემის პრინციპული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან განცალკევებით ის ქმნის თავისებურ საშინაო დაძაბულობას – არენას, რომელიც სასიკეთოა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. როგორც თავის დროზე თქვა ჰობსმა, „თავისუფლება – ეს არის ხელისუფლება, რომელიც დანაწევრებულია წვრილ-წვრილ ულუფებად“. აშშ-ში აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერების საფრთხე ბლოკირდება კონგრესის სახელისუფლო უფლება-მოსილების ფართე წრეებისაგან: კონგრესს აქვს უფლება გამოაცხადოს ომი და გააძვიროს გადასახადები, სენატი რატიფიცირებას ახდენს მოლაპარაკებებზე და ამტკიცებს პრეზიდენტის მიერ დანიშვნებს. ორ პალატას შეუძლია გაერთიანება პრეზიდენტის იმპიჩმენტისათვის, მაგრამ ასეთ ფრაგმენტულ ხელისუფლებას აქვს თავისი უარყოფითი მხარეებიც.

საპრეზიდენტო სისტემები შეიძლება იყოს ვეებერთელა და არაეფექტური. ამერიკული სისტემის კრიტიკოსები მიუთითებენ იმაზე, რომ „პრეზიდენტი – გთავაზობთ, კონგრესი – განაგებს“, ამას ყოველთვის მოყვება ე.წ. ინსტიტუციონალური უძრაობა. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც თეთრი სახლი (პრეზიდენტი) და კაპიტოლიუმი (კონგრესი) კონტროლდება ურთიერთმოქიშპე პარტიებით, მაგრამ ასეთი სიტუაცია შეიძლება მოხდეს მაშინაც, როდესაც ორივე ფრთა კონტროლდება ერთი და იგივე პარტიით, როგორც ეს იყო კარტერის (1977-1981) წლებში. ასეთ პრობლემას საფრანგეთში ჰქვია „არასახარბიელო თანაცხოვრება“ – სიტუაცია, სადაც პრეზიდენტი იძულებულია იმუშაოს პოლიტიკურად არამეგობრულ და მისდამი მტრულად განწყობილ პრემიერ-მინისტრთან და ეროვნულ სათათბიროსთან, როგორსაც ორჯერ ჰქონდა ადგილი მიტერანის დროს 1986-1988 და 1993-1995 წლებში.

სახელმწიფო მმართველობის მექანიზმები

ევროპის პარლამენტი არ წარმოადგენს საკანონმდებლო სათათბიროს. ევროპის სამართალი ხორციელდება ცხოვრებაში მინისტრთა საბჭოს მიერ (EC). დიდ ბრიტანეთშიც, სადაც პარლამენტი სუვერენულია, მინისტრები კანონშემოქმედებას ახორციელებენ და ეს ყოველთვის არ ექცევა პარლამენტის კონტროლის სფეროში. მაგ: ბრიტანეთის პარლამენტის წევრებს აქვთ შესაძლებლობა საკუთარი კანონპროექტების წამოყენებისათვის. აშშ-ში, სადაც კონგრე-

სი წარმოადგენს ყველაზე ძლიერ დამოუკიდებელ საკანონმდებლო ორგანოს მსოფლიოში, საპრეზიდენტო ინიციატივებზე მოდის განსახილველი კანონპროექტების 80%. არის შემთხვევები, როცა საპარლამენტო კონსულტაციების ჩატარებისას, კანონპროექტების ნახევარი გადაიწერება ხოლმე. დიდი ბრიტანეთში მთავრობა იშვიათად ითმენს წარუმატებლობას წარმომადგენელთა პალატაში. ეს ყველაფერი გამომდინარეობს იქიდან, რომ ამ პარლამენტში კანონი კი „არ მიიღება“, არამედ „ატარებენ“ მისი გავლით.

წარმომადგენლობა

ასამბლეები თამაშობენ მთავარ წარმომადგენლობით როლს: ისინი უზრუნველყოფენ კავშირს სახელმწიფო მმართველობასა და საზოგადოებას შორის. მე-18 საუკუნეში ეს საინტერესოდ გამოიხატა ლოზუნგში, რომლის ქვეშაც 13 ამერიკული კოლონია აღსდგა ბრიტანული მმართველობის წინააღმდეგ – „არავითარი გადასახადები წარმომადგენლობის გარეშე“. ხმის უფლების გაფართოებამ საერთო სახალხო საარჩევნო უფლებამდე ასამბლეები გადააქცია თავისებურ სახალხო ფორუმებად – ორგანოებად, სადაც თითქოს ხალხი იყო ჩართული, ამიტომ ადგილი, ძალაუფლება და პარლამენტის ავტორიტეტი ამა თუ იმ პოლიტიკურ სისტემაში განიხილება, როგორც მისი დემოკრატიულობის განსაკუთრებული მაჩვენებელი.

წარმომადგენლობა – ეს რთული პრინციპია თავისი სხვადასხვა შინაგანი წინააღმდეგობებით. აშშ-ში წარმომადგენელთა პალატისა და სენატის წევრები ყველაზე უფრო შეწუხებულნი არიან იმით, თუ როგორ „დაბრუნდნენ ნადავლით შინ“. ამ მიზნით კონგრესი არც თუ ისე კარგი ადგილია „პოლიტიკის საკეთებლად“. ის უფრო ბლოკირებას ახდენს პრეზიდენტის პროგრამაზე, ვიდრე წამოაყენებს თავის რომელიმე ჯანსაღ ალტერნატივას.

სსრკ-ში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში მრავალპარტიული სისტემისა და რეალური არჩევნების არარსებობა წარმომადგენლობას სხვა ტვირთს ატარებინებდა – „აესახა“ საზოგადოება მთლიანად. აშშ-ში დანახარჯის მეოთხედი კონგრესის არჩევნებზე იფარება ე.წ. პოლიტიკური ქმედებების კომიტეტებისაგან. პროფესიული ლობირების გაფურჩქნა ხდება 1980 წლიდან ბრიტანეთში, რომელმაც გამოიწვია აქ სერიოზული შიში, რომ პარლამენტის წევრები სხვადასხვა საქმიანი ინტერესებიდან გამომდინარე თავიანთი ამომრჩევლების ინტერესებს ნაკლებად დაიცავდნენ.

თვალყურის დევნება და კონტროლი

იმ დროს, როდესაც ასამბლეების საკანონმდებლო და წარმომადგენლობითი როლი შესამჩნევად დაეცა, საუბრობენ მათ შესაძლო თავაშვებულობასა და კონტროლზე აღმასრულებელ ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში. ასამბლეები ამყარებენ თავიანთ ფუნქციებს – უზრუნველყონ საზოგადოებისადმი პოლიტიკური მართვის პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება. ამ გაგებით სპეციალურმა ინსტიტუციონალურმა მექანიზმმა ჰპოვა განვითარება ასამბლეების უმეტესობაში.

საპარლამენტო სისტემები აგზავნიან კითხვებს მინისტრების მისამართით, სადაც ზოგიერთ თემებზე საჭიროა პასუხი ზეპირი ან წერილობითი ფორმით. კლასიკური მაგალითი – „შეკითხვების დრო“ დიდი ბრიტანეთის თემთა პალატაში, იძლევა შესაძლებლობას კვირაში ერთხელ დაუსვან კითხვა პრემიერ-მინისტრს და თვეში ერთხელ – სხვა მინისტრებს. გერმანიში და ფინეთში მიღებულია „ინტერპოლაციის“ პრაქტიკა, სადაც ზეპირ კითხვებს სჭირდება ხმის მიცემა ასამბლეაში, რათა დადგენილ იქნას ნდობის ხარისხი მიღებულ კითხვებზე. შეკითხვები, რომლებსაც მოჰყვება დებატები, გამოდიან სპეციფიური პრობლემების ჩარჩოებიდან და იძენენ უფრო საერთო მნიშვნელობას, ამიტომ მოსამზადებელი სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი კონცენტრირდება სეციალურ კომიტეტებში.

ასამბლეებს ყოველთვის არ შეუძლიათ ასეთი კონტროლის განხორციელება აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებაში. ჩინეთის სახალხო-ეროვნულ საბჭოში, პარტიის მონოპოლიამ ასამბლეა გადააქცია პროპაგანდის უბრალო იარაღად – შეკრებად, სადაც სამთავრობო პოლიტიკა უცვლელად ღებულობს ერთსულოვან თანხმობას. სხვა ქვეყნებში დიდ როლს თამაშობს პარტიული დისციპლინა.

სრული და ზუსტი ინფორმაციების გარეშე შეუძლებელია კონტროლი მთავრობაზე. მთელ რიგ ქვეყნებში (აშშ, საფრანგეთი, ჰოლანდია, კანადა და ავსტრალია) მიღებულია კანონები, რომ საპარლამენტო წარმომადგენლები უნდა ფლობდნენ სხვადასხვა შესაძლებლობას სოლიდური საგამომძიებლო და საექსპერტო მხარდაჭერისათვის. აქ ჩვენ ვხედავთ საოცარ კონტრასტებს – უხვ ფინანსირებას, აშშ-ს კონგრესის წევრების უზრუნველყოფასა და დიდი ბრიტანეთის პარლამენტის არც თუ ისე მაღალანაზრაურებად ცუდად დაკომპლექტებულ და გადატვირთულ სამსახურს.

პოლიტიკური გადაადგილება და მომზადება

საკანონმდებლო კრებები ხშირად მოქმედებენ, როგორც პოლიტიკური რეკრუტირების არხები. აქ ვლინდება აშესაძლებლობა და ტალანტი იმ ხალხისა, რომელიც შემდეგ პოლიტიკური ლიდერი ხდება. ნაკლებად, მაგრამ ეს ეხება ავტორიტარულ სახელმწიფოებსაც, სადაც საკანონმდებლო კრებები შტამპს ადებს გადაწყვეტილებებს გარედან, ამიტომ იშვიათად იზიდავენ სერიოზულ პოლიტიკოსებს საპრეზიდენტო სისტემიდან, სადაც ხელისუფლების დანაწილებისას აღმასრულებელ ხელისუფლებას არ შეუძლია თავისთვის ასამბლეის წევრების რიგებიდან რეკრუტირება. ისეთი პრეზიდენტები, როგორებიც იყვნენ კენედი და ნიქსონი, დასაწყისში იყენებდნენ კონგრესის წევრების ხმას, თუმცა ქვეყნის საერთო ტენდენცია მდგომარეობს იმაში, რომ პრეზიდენტებად ხდებიან ყოფილი გუბერნატორები, მაგრამ საპარლამენტო სისტემებში ყოფნა აუცილებელი პირობაა მინისტრებისა და პრემიერ-მინისტრების კარიერისათვის. ბევრ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში საკანონმდებლო კრებები ზრდის ლიდერების მომავალ თაობას, რომლებსაც ეძლევათ შანსი და შესაძლებლობები დააგროვონ აუცილებელი პოლიტიკური გამოცდილება, მაგრამ ასამბლეები ამ დავალებებს ვერ უმკლავდებიან. რა თქმა უნდა, პოლიტიკოსი პარლამენტში ყოველთვის ისწავლის რიტორიკას, ან „სიტყვის წამოსროლის ხელოვნებას“, მაგრამ მას აქვს უფრო ნაკლები შანსი დაეუფლოს აქ იმ ბიუროკრატიულ და სამმართველო გამოცდილებას, რომელსაც ითხოვენ მთავრობაში. მით უმეტეს, ასამბლეები ნაწილობრივ „აფუჭებენ“ პოლიტიკოსებს, ასწავლიან რა ყველანაირ წესებსა და ღირებულებებს, რომლებიც მხოლოდ განაცალკევებენ მათ ამომრჩევლებისაგან და რიგითი პარტიული მუშაკებისაგან. ყოველი შემთხვევისთვის დადგენილია, რომ პარლამენტარ-სოციალისტებისათვის პარლამენტარიზმის იდეა უფრო ახლოსაა, ვიდრე სოციალიზმი.

რეჟიმის ლეგიტიმურობა

პარლამენტის ბოლო ფუნქციაა – ითანამშრომლოს რეჟიმის ლეგიტიმაციასთან. პარლამენტი აქ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასრულებს თავის როლს იმაში, რომ საზოგადოებამ მიიღოს არსებული მართვის სისტემა, როგორც „კანონიერი“, „სწორი“, „გარდაუვალი“ და ა.შ. სწორედ ამ მიზეზით ავტორიტარული და ტოტალიტარული რესპუბლიკებიც კი მოთმინებით იტანენ ასამბლეებს, რა

თქმა უნდა მაშინ, როცა მათ არა აქვთ რეალური მნიშვნელობა და შესაძლებლობა გავლენა იქონიო პოლიტიკაზე. ამას გარდა, ასამბლეები ასრულებენ განმანათლებლობით დავალებებს, ზოგჯერ ძალიან მნიშვნელოვანს, რამდენადაც საპარლამენტო დებატები აძლევს ხალხს ინფორმაციას მთავრობაზე და მთავარ პრობლემაზე იმ პოლიტიკური დროის წესრიგის შესახებ, რომელიც დგას ქვეყნის წინაშე.

დღეს საკანონმდებლო კრების პროპაგანდის და განათლების ფუნქცია უფრო იპყრობს მასიურ საინფორმაციო საშუალებებს.

ელექტრონული მედიის გავრცელება, საშუალებას აძლევს მთავრობას პირდაპირ მიმართოს მილიონობით ამომრჩეველს და არ უნდა იყოს დამოკიდებული, როგორც უწინ, საპარლამენტო ანგარიშებზე. როგორც შედეგი, დღეს საკანონმდებლო კრების ავტორიტეტი უფრო მეტად დამოკიდებულია არათუ მათ საკონსტიტუციო სტატუსზე, არამედ იმ ყურადღებაზე, რომელსაც მათ პრესა უთმობს. ამ მიზეზით ასამბლეები ზოგჯერ ისე შეწუხებულები არიან იმით, რომ სხდომა ტელევიზიით შუქდება. აშშ-ში კონგრესის მოსმენას არ ექნებოდა ისეთი ზემოქმედება საზოგადოებაზე, რომ არ ყოფილიყო მისი ტელევიზიით გაშუქების ტრადიცია. დიდ ბრიტანეთში ტელევიზია არ დაიშვებოდა თემთა პალატაში 1989 წლამდე. სწორედ ამ წელს პირველად იქნა ტელევიზია დაშვებული საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში.

საკანონმდებლო კრების სტრუქტურა

საკანონმდებლო შეკრებები განსხვავდებიან ერთმანეთისგან დამოკიდებულებით. მისი წევრები ასე ვთქვათ, შეიძლება იყვნენ არჩეულები, დანიშნულები ან მემკვიდრეობით მიიღონ თავიანთი ადგილები, შეიძლება ამ პრინციპების კომბინაციაც; შემდეგ, თუ მისი წევრები ექვემდებარებიან არჩევნებს, მათი არჩევა შეუძლია მოსახლეობას ან რეგიონებს, ან კიდევ შტატებს. საარჩევნო უფლება შეიძლება იყოს საყოველთაო ან შეზღუდვებით, ამასთან ერთად შეიძლება იყოს სხვადასხვა საარჩევნო სისტემები. ფართოდ განსხვავდება საკანონმდებლო კრების მასშტაბები. პატარა რესპუბლიკა ნაყრუს, რომელიც მდებარეობს წყნარი ოკეანის დასავლეთ ცენტრალურ ნაწილში, ასამბლეაში ჰყავს 18 წევრი. საწინააღმდეგო პოლუსზე ჩვენ ვხედავთ 2000 კაციან სახალხო კრებას ჩინეთში, სადაც თითოეული დეპუტატი წარმოადგენს 350 ათას კაცზე მეტს. ამასთან მთავარი სტრუქტურული განსხვავება საკანონმდებლო კრებებს შორის არ არის ის, რომ შედგებიან თუ არა ისინი ერთი ან ორი პალატისაგან და რა როლს თამაშობენ მათში კომიტეტები.

მივაქციოთ ყურადღება. როგორია ორპალატიანი სისტემა ძლიერი და სუსტი მხარეებით.

ორპალატიანი სისტემის ძირითადი ღირსება ასეთია:

- ზედა პალატები ზღუდავენ ქვედა პალატების ხელისუფლებას და აფერხებენ „უმცირესობის დიქტატურას“.
- ორპალატიანი შეკრება უფრო ეფექტურია, ვიდრე ერთპალატიანი, იგი აღმასრულებელი ორგანოს ძალაუფლებას ზღუდავს, იმდენად რამდენადაც, არა ერთი, არამედ ორი პალატა ავლენს მთავრობის მოქმედების ამა თუ იმ ნაკლს.
- ორპალატიანი კრება აფართოებს წარმომადგენლობას და ნებას რთავს თითოეულ პალატას გამოხატოს ამომრჩეველთა სხვადასხვა ინტერესი.
- მეორე პალატის არსებობა იძლევა უფრო ხარისხიანი და გულმოდგინე საკანონმდებლო მუშაობის გარანტიას. ამასთან ერთად, მეორე პალატა ამ სამუშაოს ნაწილს თავის თავზე იღებს, პირველი პალატის შესაძლო შესცდომების გამოსწორებით.
- მეორე პალატას შეუძლია გამოვიდეს კონსტიტუციის მეთვალყურეობის გარანტად, შეაჩეროს სადავო კანონპროექტების მიღება და უფრო მეტი დროს დაუთმოს განხილვებს და დებატებს.

ორპალატიანი სისტემის ნაკლი შეიძლება იყოს შემდეგი:

- ერთპალატიანი კრება უფრო ეფექტურია იმიტომ, რომ მეორე პალატის არსებობამ შეიძლება გაართულოს საკანონმდებლო პროცესი.
- ორი პალატა ხშირად ეწინააღმდეგება დემოკარტიული გამოვლინებების პრინციპებს,განსაკუთრებით როცა მათი წევრები ან ინიშნებიან ან ირჩევიან არაპირდაპირი წესით.
- ორპალატიანი სისტემები იხრებიან ინსტიტუციონალური კონფლიქტისაკენ
- ორპალატიანი კრებები ზღუდავენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესთან ხელმისაწვდომობას. საკანონმდებლო კითხვებში ბოლო სიტყვა ეკუთვნის გაერთიანებულ კომიტეტებს.
- მეორე პალატები ხშირად არიან კონსერვატიულები, რომლებიც გამოდიან პოლიტიკური ელიტის ინტერესების მატარებლად.

ერთი თუ ორი პალატა?

ოდესღაც იუგოსლავია ექსპერიმენტს ატარებდა ხუთპალატიანი პარლამენტით, 1984 წლიდან 1999 წლამდე სამხრეთ აფრიკას ჰქონდა სამპალატიანი ასამბლეა. ასამბლეების უმეტესობას გააჩნია ერთი ან ორი პალატა. ერთპალატიანი ასამბლეები იყო აქამდე გავრცელებული აფრიკაში, დღეს ასეთს წარმოადგენს ჩინეთის საკანონმდებლო კრება. ამასვე ვხედავთ მთელ რიგ პოსტსოციალურ სახელმწიფოებში, რომლებსაც მემკვიდრეობით ერგოთ თავიანთი ასამბლეები წინა დროებიდან. საინტერესოა რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ერთპალატიანი ასამბლეების ტენდენცია მთელ მსოფლიოში იყო თვალსაჩინო: ისრაელმა 1948 წელს დაამკვიდრა ერთპალატიანი პარლამენტი (ქნესეთი), მეორე პალატები გააუქმეს 1950 წელს ახალ ზელანდიაში, 1954 წელს – დანიაში, 1970 წელს – შვეიცარიაში. არსებობს ზოგიერთი მოწმობა იმის სასარგებლოდ, რომ ერთპალატიანი ასამბლეები უფრო ეფექტურია და მისაღები ვიდრე ორპალატიანები. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება არც თუ ისე ბევრი და შედარებით სოციალური საზოგადოების მოთხოვნებს. აბატ სიეესის ცნობილი გამონათქვამის მიხედვით (1789 წ.) „თუკი ზედა პალატა ეთანხმება ქვედას, ის არ არის საჭირო, თუ არ ეთანხმება საზიანოა”. სახელმწიფოთა უმეტეს ნაწილს ორ პალატიანი ასამბლეები აქვთ.

საქმე იმაშია რომ ორპალატიანი პარლამენტები გამოდიან ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის პრინციპით. ეს იმიტომ,რომ სახელდობრ ეს პრინციპი ყველაზე მეტად გამოხატავს წინააღმდეგობებს, როგორც პარლამენტის შიგნით, ასევე პარლამენტისა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის.

ყველა 16 ფედერაციულ სახელმწიფოს აქვს ორპალატიანი პარლამენტი, 14 ამათგან ზედა პალატას წარმოადგენს პროვინციები ან შტატები. უკანასკნელს შუძლია ჰქონდეს ან თანაბარი წარმომადგენლობა, როგორც ავსტრალიაში შვეიცარიასა და აშშ-შია, ან იყვნენ წარმოდგენილები თავიანთი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, როგორც ავსტრიასა და გერმანიაშია. არაფედერაციულ სახელმწიფოებში ზედა პალატა ასრულებს დავალებას, გადაწყვიტოს რეგიონალური წინააღმდეგობები. პოლიტიკური სისტემების უმრავლესობაში კონსტიტუციურად და პოლიტიკურად მეორე პალატა ექვემდებარება პირველს, რომელიც მოიაზრება როგორც სახალხო უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა. უფრო მეტად ეს დამახასიათებელია საპარლამეტო სისტემებისათვის, სადაც მთავრობა ანგარიშვალდებულია ქვედა პალატის წინაშე და თითქმის ფორმირდ-

ება მისის წევრებისაგან. ნორვეგიაში და ჰოლდანდიაში ყველა კანონპროექტი, ხოლო ინდოეთში, კანადასა და დიდ ბრიტანეთში ყველა ფინანსური კანონპროექტი შეაქვთ ქვედა პალატაში განსახილველად. ამასთან ერთად მეორე პალატას შეიძლება ჰქონდეს ვეტოს დადების უფლება. იაპონიაში პირველ პალატას შეუძლია უმრავლესობის 2/3 – ით გადალახოს მეორე პალატის ნებისმიერი გადაწყვეტილება. დიდ ბრიტანეთში ლორდთა პალატას შეუძლია ერთი წლით გადადოს დაუფინანსებელი კანონმდებლობის განხილვა და შეუძლია აგრეთვე ვეტო დაადოს საპარლამენტო არჩევნების გადატანის ვადებს. უმეტეს შემთხვევაში მეორე პალატის სისუსტე მომდინარეობს იქიდან, რომ მას უფრო ვიწრო წარმომადგენლობა ჰყავს. გერმანიაში ,ავსტრიასა და ინდოეთში მის წევრებს ირჩევენ არაპირდაპირი გზით, ბელგიაში მალაიზიასა და ირლანდიაში ერთმანეთს ერწყმის არჩევნები და დანიშვნებიც. ბრიტანეთში ლორდთა პალატა „ნომინირებს" ორპალატიანი ანსაბლეის უფრო ძლიერ ვერსიას. იტალიაში დეპუტატთა პალატა და სენატი ირჩევა პირდაპირი არჩევნების გზით და სარგებლობს თანაბარი საკანონმდებლო ხელისუფლებით. საარჩევნო კოლეგია, რომელიც ორივე პალატას ირჩევს, აქ ასევე ირჩევს პრეზიდენტს, ხოლო პრემიერ მინისტრს და მინისტრთა საბჭოს კოლექტიური პაუხისმგებლობა აქვს ყველა საკანონმდებლო შეკრების წინაშე. აშშ-ს კონგრესი შეიძლება წარმოადგენდეს ასამბლეის ერთადერთ მაგალითს, რომელშიც დომინირებს ზედა პალატა. საგადასახადო დაბეგვრის ყველა კანონი შეაქვთ წარმომადგენლობით პალატაში, მხოლოდ სენატს აქვს უფლება მოლაპარაკების რატიფიცირება მოახდინოს და დანიშვნები დაამტკიცოს.

საკანონმდებლო ხელისუფლების ყველაზე დიდი პრობლემა ორ პალატას შორის მოსალოდნელი კონფლიქტია, როდესაც მათ აქვთ ერთნაირი ძალაუფლება, აუცილებელია რადაცნაირი მექანიზმი, რომელიც დაეხმარება მას შესაძლებელი უთანხმოების გადაწყვეტაში. ხშირად, ასეთი მექანიზმის როლს ჩვენ ვხედავთ აშშ-ს კონგრესის კომიტეტის სახით, რომელშიც გაერთიანებულია ორივე პალატის წამყვანი ფიგურები და რომლებსაც ნება დართული აქვთ შესაბამის შემთხვევებში გამოიმუშაონ კომპრომისული გადაწყვეტილება, თუმცა ქვედა პალატა (ბუნდესტაგი) საკანონმდებლო ფუნქციით არის მთავარი, ზედა პალატას (ბუნდესრატს) აქვს ვეტოს უფლება კონსტიტიციური მნიშვნელობის საკითხებზე, ასევე მიწებთან დაკავშირებით. უთანხმოების წამოჭრის შემთხვევაში ისინი გადაეცემა გაერთიანებულ შემთანხმებლურ კომიტეტს, რომელიც შედგება ორივე პალატის თანაბარი რაოდენობის წევრებისაგან.

ორპალატიანი ასამბლეების კიდევ ერთი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ ისინი მიესალმებიან კონსერვატიულ ტენდენციებს. თუ რომელიმე პალატა ასრულებს თავის ფუნქციას კონსტიტუციური სტრუქტურის დასაცავად, როდესაც რთულდება რადიკალური ან სადავო ხასიათის კანონების გასვლა, ასეთი ტენდენცია შეიძლება გამართლებული იქნას. ხდება ისეც, რომ მეორე პალატა ბლოკავს ან არ აღიარებს კანონებს, რომლებიც მიღებულია დემოკრატიულად არჩეული ქვედა პალატის მიერ. პარადოქსულია, მაგრამ შიძლება საწინააღმდეგოც, ბოლო დროს ამერიკის სენატი უფრო ლიბერალური იყო ვიდრე წარმომადგენელთა პალატა, ხოლო დიდ ბრიტანეთში 1980-იან წლებში ლორდთა პალატა გამოვიდა უფრო ძლიერ მოწინააღმდეგედ ტეტჩერის მთავრობის მიმართ, ვიდრე თემთა პალატა.

კომიტეტის უპირატესობა და ნაკლი

კომიტეტი – ეს არის არც თუ ისე დიდი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება რომელიმე დიდი ორგანოს წევრებისაგან და აქვს განსაკუთრებითი უფლებამოსილება. სპეციალური კომიტეტები მაგალითად იქმნებიან რომელიმე კონკრეტული დავალების გადასაწყვეტად და ისინი დაითხოვებიან ამ დავალების შესრულების შემდეგ. მუდმივი კომიტეტები ფლობენ გრძელვადიან უფლებამოსილებას. კომიტეტებმა დაიწყეს უფრო მნიშვნელოვანი როლის თამაში ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში.

კომიტეტის უპირატესობისაგან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

კომიტეტებში შეიძლება წარადგინო სხვადასხვა შეხედულებები, აზრები და ინტერესები

კომიტეტები უფლებას აძლევენ ჩაატარონ უფრო გრძელვადიანი, ყოვლისმომცველი და დეტალური დისკუსიები.

მათ ხელეწიფებათ უფრო ეფექტური და ჩქარი გადაწყვეტილებების მიღება. საწინააღმდეგო აზრის შეზღუდვა.

კომიტეტებში შეიძლება შრომის დანაწილება, რომელიც ხელს შეუწყობს დაგროვილ ცოდნას და გამოცდილებას. ამასთან კომიტეტები მაინც იმსახურებენ კრიტიკას.

ის ვინც აფუძნებს კომიტეტს შეუძლია დაბრკოლების გარეშე მისით იმანიპულიროს.

კომიტეტების მუშაობაში ჩადებულია ტენდენცია ცენტრალიზაციისაკენ, განსაკუთრებით მაშინ, თუ თავჯდომარის როლი განუსაზღვრელია.

კომიტეტები ზღუდავენ შეხედულებების და ინტერესთა სპექტრს რომელიც ყურადღებით მიიღება გადაწყვეტილების მიღებისას.

კომიტეტები ცდილობენ თავიანთ წევრებს ძირითადი სამუშაოსაგან ყურადღება გადაატანინონ და ამით ხელს უწოდებენ "ცრუწარმომადგენლობის" ფენომენს.

კომიტეტები

სხვადასხვა სახის კომიტეტი არის თითქმის ყველა სახის ასამბლეაში, უფრო მეტიც, ვარაუდობენ, რომ ამ სისტემის გავრცელება საკანონმდებლო შეკრებებზე თუ სხვადასხვა ინსტიტუტში ავლენს თანამედროვე პოლიტიკის სპეციალურ ნიშანს. კომიტეტები, როგორც ამბობენ, გამოხატავენ ხელისუფლების არსს საკანონმდებლო შეკრებებზე; ვუდრო ვილსონის სიტყვებით კონგრესის ძალაუფლება, ეს კომიტეტების ხელისუფლებაა, კონგრესი თავის სესიაზე – ეს პუბლიკისთვისაა. კონგრესი კომიტეტში კომიტეტის სხდომისათვის – ეს მუშაობაა. შემთხვევით არაა, რომ ასამბლეის მუშაობაზე მათი კომიტეტების მიხედვით ამბობენ: "ძლიერ ასამბლეებში ძლიერი კომიტეტია, სუსტში – სუსტი".

საკანონმდებლო კრებებზე კომიტეტებს აქვთ სამი ფუნქციიდან ერთი მაინც:

1. დეტალურად განიხილავენ საკანონმდებლო ინიციატივებს და დღის წესრიგში არსებულ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ფინანსებთან. ამ ფუნქციით ისინი არა მარტო ამსუბუქებენ საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის სიმძიმეს, არამედ მათ შეუძლიათ კანონპრექტის უფრო გულმოდგინე და ზუსტი ანალიზი, ვიდრე ეს შესაძლებელია "პარლამენტის ტრიბუნიდან". ჩვეულებრივ, ყველაფერი ეს ხდება მუშა კომიტეტებში, რომელთა კომპეტენცია შეიძლება იყოს უფრო ფართო და მოქნილი, როგორც ეს დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთშია, ან ვიწროსპეციალიზირებული, როგორც გერმანიასა და აშშ-შია.

2. კომიტეტები იქმნებიან მთავრობის საქმიანობის გასაკონტროლებლად. ამ შემთხვევაში, ისინი იქმნებიან მუდმივი და სპეციალიზირებულნი, რადგან მათ რომ შეასრულონ თავიანთი დავალებები, გარდაუვალია ისეთივე დონე ექსპერტიზისა, ცოდნისა და ინფორმაციულობის, როგორსაც ფლობენ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები. აშშ-ს კონგრესში მაგალითად ამ ფუნქციებს აკისრებენ მუდმივად მუშათა კომიტეტებს, იმ დროს, როგორც კი დიდ ბრიტანეთის და საფრანგეთის ეროვნულ კრებაზე ყალიბდება რამდენიმე სამეთვალყურეო კომიტეტი არამუდმივი ფუნქციებით.

3. განსაკუთრებულ შემთხვევებში, უწინარეს ყოვლისა მათ, რომლებსაც ყველაზე მეტად აღელვებთ საზოგადოება და ითხოვენ თავისებურ გამოძიებას იქმნება სპეციალური კომიტეტები, არც თუ ისე დიდი ხნის წინ აშშ-ს ისტორიაში მაგალითად გამოძიებებისათვის უფრო ცნობილი კომიტეტი იყო ირვინის კომიტეტი უოტერგეიტსის საქმეზე და წარმომადგენელთა პალატის ანტიამერიკული საქმიანობის კომიტეტი, რომელმაც გაითქვა სახელი თავისი მაკარტიზმით.

მსოფლიოს საკანონმდებლო კრებები შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად:

1. ასამბლეები, რომლებიც პოლიტიკას აკეთებენ, ფლობენ საკმაო დამოუკიდებლობას და აქტიურად ზემოქმედებენ პოლიტიკურ პროცესებზე.

2. ასამბლეებს, რომლებიც გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე, შეუძლიათ ასე თუ ისე შეცვალონ პოლიტიკური პროცესი, რომ მხოლოდ და მხოლოდ რეაგირება მოახდინოს აღმასრულებელი ხელისუფლების ინიციატივაზე.

3. ასამბლეები, რმლებიც ექვემდებარებიან აღმასრულებელ ხელისუფლებას, ფლობენ მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას პოლიტიკაზე და უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ „შტამპს" ადებენ გადაწყვეტილებას, რომლებიც მათ კედლებს მიღმა მიიღეს.

ასამბლეები, რომლებიც ქმნიან პოლიტიკას მსოფლიოში ძალიან ცოტაა. რეალური პოზიციური გავლენა რომ აღმოუჩინოს პოლიტიკურ პროცესს, ასამბლეა უნდა პასუხობდეს სამ კატეგორიას:

1. ფლობდეს საკმაოდ კონსტიტუციურ სტატუსს და ავტორიტეტს.

2. აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან უნდა ფლობდეს რეალურ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

3. უდნა ჰქონდეს საკმარისი მონოლითურობა.

თანამედროვე პერიოდში ყველაზე ნათელი, შეიძლება ერთადერთიც, პოლიტიკის მკეთებელი ასამბლეა არის აშშ-ს კონგრესი. ეს შეიძლება იყოს უნიკალური მოვლენა.. ძალაუფლების დაყოფა აძლევს კონგრესს კონსტიტუციონალურ დამოუკიდებლობას და მისგან გამომდინარე სხვადასხვა სახის უფლებას. ის გარემოება, რომ შიდაპარტიული კავშირები აქ შედარებით სუსტია, პრეზიდენტს უფლებას ართმევს ჩვეულებრივი ხერხებით ზემოქმედება მოახდინოს საკანონმდებლო პროცესებზე. სურათს სრულყოფილს ხდის კომიტეტების საკმაოდ მოზრდილი სისტემა, და ბოლოს, კონგრეისის რეფორმების დროიდან 1946-ე პერსონალის მიზიდვის მხრივ და ინფორმაციის მოსაპოვებლად ის ფლობს ისეთ რესურსებს, რომ ამ კუთხით საერ-

თოდ საჭიროებს თეთრი სახლის მხარდაჭერას. ამ უპირატესობების მიუხედავად, კონგრესმა მეოცე საუკუნის დასაწყისში თავისი ზეგავლენა დაკარგა: „ახალი კურსის" დაწყებიდან კონგრესი და მასთან ერთად ამერიკელი საზოგადოება პოლიტიკური ლიდერის ძიებაში არიან. კონგრესის მთავარი ტვირთი პრეზიდენტის საკანონმდებლო პროგრამების განხილვა იყო. კონგრესის, როგორც პოლიტიკის ინიციატორის როლი შესამჩნევად სუსტდებოდა ვითარებაში, როდესაც კონგრესი ექცეოდა „იმპერიული" პრეზიდენტების ზეგავლენის ქვეშ. „უოტერგეიტსის სკანდალის" შემდეგ კონგრესი გამოცოცხლდა და უფრო მტკიცედ დადგა თეთრ სახლთან მიმართებაში და ამასთანავე მან მთელი რიგი რეფორმებიც გაატარა საკომიტეტო სისტემებში. ზეგავლენა შეუმცირდა მის თავჯდომარეებს, ხოლო პარტიული დისციპლინა კი უფრო განმტკიცდა: პარტიები დანიშვნებზე ახდენენ ზეგავლენას. კონგრესის უფრო ნათელი ცდა, აეღო თავის ხელში საჯარო პოლიტიკის კონტროლი, ეკუთვნის არჩევნების შემდგომ პერიოდს (1994), როდესაც რესპუბლიკური უმრავლესობა წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ნიუტონ გინგრიჩენმა წამოაყენა რადიკალური პროგრამა გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების შემცირების შესახებ ლოზუნგით: „აწარმოო მოლაპარაკება ამერიკასთან". პოლიტიკის მკეთებელი ასამბლეების სხვა მაგალითის დანახვა შეიძლებოდა სსრკ-ში, სადაც გორბაჩოვის პოლიტიკური პროგრამის მთავარ კომპონენტად 1980-იან წლებში იყო „მუდმივად მომსმენი" სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს შეცვლა საერთო სახალხოდ არჩეული დეპუტატთა საბჭოს მიერ. კონსტიტუციის მუხლით ხელისუფლებაზე პარტიული მონოპოლის შეცვლის შესახებ კვალდაკვალ შეიქმნა ანალოგიური პარლამენტები ყველა თხუთმეტ საბჭოთა რესპუბლიკაში – პირველი და ისტორიულად ახალი სიტუაცია ქვეყნისათვის, რასაც პოლიტიკური პლურალიზმი ჰქვია. როდესაც 1991 წ. კონსერვატორულმა ძალებმა მოახდინეს პუტჩი გორბაჩოვის გადაყენების მიზნით, პარლამენტის შენობაში მოგვევლინა ელცინი, რომელიც ჩაუდგა სათავეში ბრძოლას პუტჩისტებთან.

პუტჩის კრახი და საბჭოთა კავშირის დაშლა 1991 წ. დეკემბერში ელცინს შემოუბრუნდა იმით, რომ მას განუდგა პარლამენტი,რომელიც მტრულად უყურებდა მის ლიბერალურ პოლიტიკას. ელცინი იძულებული გახდა გაენთავისუფლებინა თავისი მთავრობის ძირითადი მინისტრები და შეენელებინა ქვეყნის ეკონომიკური რეფორმები. სწორედ ამ პერიოდში რუსეთის პარლამენტი მოქმედებდა როგორც „პოლიტიკის მკეთებელი ასამბლეა". ყველაფერი დამთავრდა 1993 წ. ოქტომბერში, როდესაც კონსერვატორებმა კვლავ მოაწყვეს ამბოხება ელცინის მცდელობის გამო დაეთხოვა პარლამენტი, რომელსაც შემდეგ მოყვებოდა თეთრი სახლის სამხედრო გზით აღება და პრეზიდენტის მმართველობის შემოღება. ახალი კონსტიტუციით, რომელიც მიღებული იქნა 1993 წ. უმაღლესი საბჭო შეიცვალა ფედერალური სათათბიროთი, რომელიც შედგებოდა სახელმწიფო დუმისაგან (ქვედა პალატა) და ფედერაციის საბჭო (ზედა პალატა), თუმცა ფედერალურმა სათათბირომ გამოიმუშავა სერიოზული საკანონმდებლო პოტენციალი, მისი სხვა ფუნქციები, რომლებიც ასამბლეებს ახასიათებს, ჯერ კიდევ ძლიერნი არ არიან.

საპარლამენტო სისტემისათვის უფრო დამახასიათებელნი არიან არა „ასამბლეები", რომლებიც ქმნიან პოლიტიკას, „არამედ ასამბლეები, რომლებიც ზემოქმედებენ პოლიტიკაზე".

თუ რა დოზით შეუძლია ასამბლეას ზემოქმედება პოლიტიკაზე, განისაზღვრება ორი ფაქტორით: 1. რამდენად გამძლეა მმართველი პარტიის პოზიცია და 2. რამდენად შეუძლია ამ პარტიას შეინარჩუნოს შინაგანი ერთიანობა.

საპარლამენტო სისტემები, რომლებიც შეეჩვივნენ ერთი პარტიის ხანგრძლივ მმართველობას, ჩვეულებრივ აქვთ ძალიან სუსტი ასამბლეები, რადგანაც ისინი იმყოფებიან აღმასრულებელი ხელისუფლების მკაცრი გავლენის ან კონტროლის ქვეშ. საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკაში თავის დროზე იქნა მიღებული მიზანმიმართული მცდელობა პარლამენტის შესასუსტებლად, რადგან თავი აერიდებინათ იმ კონფლიქტური და ობსტრუქციული პოლიტიკისაგან, რომელმაც ზიანი მიაყენა მეოთხე რესპუბლიკას. აღმოცენდა ახალი, უფრო რაციონალური სისტემა, სადაც პრეზიდენტი დომინირებს უპირატესად თავისი პარტიის გასაკონტროლებლად, და ასევე თავისი უფლების საფუძველზე ნაციონალური კრების დასათხოვად იმის გათვალისწინებით, რომ შემდეგში მოაგროვოს უფრო სოლიდური უმრავლესობა. ასე მოიქცა დეგოლი 1962-1968 წ.წ. ხოლო მიტერანი 1981-1988 წლებში. დეგოლმა შეამცირა ნაციონალური კრების შესაძლებლობები, შეზღუდა მისი კანონშემოქმედების უფლებამოსილება იმით, რომ დააწესა საკონსტიტუციო საბჭო უფლებით უზრუნველყო კონსტიტუციონალური კანონების შესაბამისობა. 1981 წელს, როდესაც გოლისტების ბატონობა დამთავრდა, ნაციონალურ კრებებს ისევ გაუჩნდა შესაძლებლობა გავლენა მოეხდინა პოლიტიკაზე, ხოლო მიტერანი იძულებული იყო ეთანამშრომლა გოლისტების მთავრობასთან ჟაკ შირაქის მეთაურობით. იგივე განმეორდა კონფრონტაციაში ჟორპენის სოციალისტურ მთავრობასთან. უფრო ნათელ სურათს იძლევიან ადრე არსებული ასამბლეები, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ კომუნისტურ რეჟიმს, და განვითარებადი ქვეყნების ასამბლეები. უმკაცრესი პარტიული კონტროლი და არჩევნებზე შეჯიბრის არარსებობა, ნიშ-

ნავდა, რომ ასამბლეები იმუშავებდნენ მთავრობის გადაწყვეტილებათა ერთსულოვანი მხარდაჭერის ატმოსფეროში. კონტროლი ოდნავ დასუსტდებოდა თუ არა, რეჟიმები უმალ განიცდიდნენ რყევას. მაგ: „სოლიდარობის“ დამაჯერებელმა გამარჯვებამ 1989 წ. პოლონეთის საპარლამენტო არჩევნებზე ძირი მოუთხარა კომუნისტურ მმართველობას, რომელიც აქ 1945 წლიდან არსებობდა. აზიის და აფრიკის განვითარებად ქვეყნებში ასამბლეები ახდენდნენ საზოგადოების ინტეგრირებას, ვიდრე რეალურად მოქმედებდნენ პოლიტიკაზე. მთავარი მათი ფუნქციაა უზრუნველყონ პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაცია.

ასამბლეის მნიშვნელობის თავისებური მაჩვენებელი ამნაირ სახელმწიფოებში არის შემდეგი: დიქტატურის ხელისუფლებაში, მოსვლისთანავე თუ არ დახურეს, აჩერებენ პარლამენტის მუშაობას.

ასამბლეის როლის დაცემაზე დიდი ხანია საუბრობენ, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერების შესახებ შეშფოთება უტოლდება ბოუროკრატიას და 19 საუკუნის ბოლოსთვის აღწევს პიკს. შეშფოთება აიხსნება იმით,რომ მონტესკიეს და ლოკის დროიდან ასამბლეები იყვნენ წარმომადგენლობითი, მთავრობის იდეის მთავარი მატარებლები. საკითხავია, სჭირდება თუ არა კარგი მმართველობა ძლიერ ასამბლეას. პარლამენტის ძალაუფლება შეიძლება იყოს მთავარი, განუსაზღვრელი, მეტისმეტი, განსაკუთრებით მაშინაც, როცა ამის გამო პოლიტიკური პროცესი იწყებს „ერთ ადგილზე გაჩერებას“. ამასთან დაკავშირებით, მაგალითად აშშ-ს კონგრესში არიან არამარტო აღტაცებული ენთუზიასტები, არამედ კრიტიკოსებიც. დღეს ყველა თანახმაა, რომ მე-20 საუკუნეში ასამბლეების ძალაუფლება და სტატუსი შეიცვალა უარესისკენ,შეიძლება თუ არა აქ ლაპარაკი ასამბლეების როლის დაცემაზე ან მათი მიზნების და ფუნქციების შეცვლაზე? – ეს უკვე სხვა საკითხია.

ამ ცვლილებებბის გამოწვევის მთავარი ფაქტორებია:

- დისციპლინარული პოლიტიკური პარტიის აღმოცენება;
- „დიდი მთავრობის“ გამოვლენა;
- ასამბლეების ორგანიზაციული სისუსტე;
- ინტერესთა ჯგუფების გავრცელება და მასობრივი ინფორმაციების საშუალებებზე ძალაუფლების გაძლიერება.

საკანონმდებლო კრებების რენესანსი

ბოლო ხანებში პარლამენტები იქცნენ ახალი „პოლიტიკური კომუნიკაციების მექანიზმებად“, და ჩვენ ვხედავთ იმ მზადყოფნას, თუ როგორი ასამბლეები უღებენ თავიანთ კარებს ჟურნალისტებს და

ორატორებს (უნდა გვახსოვდეს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ როგორც ასამბლეების აღზევება, ასევე ტალახში ამოსვრა). უფრო თვალნათელია ტენდენცია პარლამენტების პროფესიონალური მუშაობისათვის. აშშ-ის კონგრესის მაგალითზე ბევრი ასამბლეა ამაგრებს თავის კომიტეტებს, აფართოებს თავიანთ პერსონალებს და თითოეულს ანიჭებენ მეტ შესაძლებლობას.

უფრო მეტიც, დიდ ბრიტანეთში და სხვა სახელმწიფოებში ასამბლეები ხდებიან უფრო დამოუკიდებელნი. ამ დროს პარტიები შინაგანად მეტად დისციპლინირებულები ხდებიან. დღეს ყველაზე მეტად ინფორმირებულნი ამომრჩევლები არიან და ისინი პარლამენტში თავიანთი წარმომადგენლობისაგან უფრო მეტს მოითხოვენ, მეორე მხრივ, იმდენად განათლებული და კარგად მომზადებული პარლამენტარები უფრო ნაკლებად არიან მზად იმოქმედონ ვინმეს მითითებით. საერთო გაგება იმისა, რომ პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაცია და სტაბილურობა უკავშირდება მისი პარლამენტის ხარისხს, იძლევა გარანტიას: თუ სადმე ასამბლეა ხდება უფრო სუსტი, ამის შესახებ აუცილებლად იქნება პროტესტი გამოხატული. საკითხი დგას ასე: საჭირო ბალანსის მოძებნა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ფრთებს შორის ვერ გაექცევა სუფთა ნორმატიულ მოთხოვნებს იმასთან მიმართებაში, რომ საზოგადოება ერთი მხრივ, საჭიროებს პოლიტიკურ წარმომადგენლობას, მეორე მხრივ – ძლიერ მთავრობას.

დასკვნები

- ტერმინი „საკანონმდებლო კრება“ (სათათბირო), „ასამბლეა“, „ლეგისლატურა“ და „პარლამენტი“ იხმარება, როგორც სინონიმები. ტერმინი „ასამბლეა“ (კრება), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ინსტიტუტი სხვა გაგებით წარმოადგენს თითონ ხალხს, რომელმაც ნდობა გამოუცხადა არაპროფესიონალ პოლიტიკოსებს და არა სახელმწიფო ჩინოვნიკებს. ტერმინი „ლეგისლატურა“ არც თუ ისე ზუსტია, რამდენადაც ასამბლეები იშვიათად ფლობენ მონოპოლიას საკანონმდებლო ხელისუფლებაზე. ტერმინი „პარლამენტი“ აქცენტს აკეთებს იმ მომენტზე, რომ ასამბლეები ფორუმებს ემსახურებიან სადისკუსიოდ და პოლიტიკური პრობლემების ძირფესვიანი განხილვისათვის.
- საპარლამენტო სისტემა – სისტემაა, რომელშიც სახელმწიფო მმართველობა რეალიზდება პარლამენტის მეშვეობით. პარლამენტის წევრებისაგან ყალიბდება ხელისუფლება და ეს ხელისუფლება პარლამენტს ექვემდებარება. საპრეზიდენტო სისტემა დამ-

ყარებულია ძალაუფლების განაწილებაზე ასამბლეის და აღმასრულებელ ინსტიტუტებს შორის. ამით იქმნება სისტემა, რომელშიც ორი დამოუკიდებელი შტო ერთმანეთზე ზემოქმედებს და ძლიერ გავლენას ახდენს.

- ასამბლეები განასახიერებენ თავიანთ თავში კავშირს სახელმწიფო მმართველობის სისტემის და საზოგადოებას შორის – ეს თავისებური კომუნიკაციური არხია, რომლის მეშვეობით საზოგადოება სახელმწიფოს უზრუნველყოფს მხარდაჭერით, სახელმწიფო კი საზოგადოების მოთხოვნილებებზე რეაგირებს. ასამბლეის მთავარი ფუნქციებია – კანონების მიღება, წარმომადგენლობითი ორგანოს სახით მოქმედება, სახელმწიფოს მიმართ იყოს თავისებურ მაკონტროლებელ ინსტანციად, განახორციელოს პოლიტიკოსების რეკრუტირება და მოცემული პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობას მხარი დაუჭიროს.
- ასამბლეა ერთი ან ორი პალატისაგან შედგება. ორპალატიანობის უპირატესობა იმაშია, რომ ის აიძულებს პოლიტიკურ სისტემაში შეკავებას და მასი მოაქვს უფრო ფართო წარმომადგენლობის იდეა, რაც უფრო მნიშვნელოვანია ფედერაციული სისტემებისათვის. მისი ნაკლი იმაში გამოიხატება, რომ პოლიტიკური პროცესი მასში ხშირად ნელდება და ზოგჯერ ჩიხში შედის. საკანონმდებლო პროცესის მაღალ დონეს პარლამენტის კომიტეტი განსაზვრავს: ძლიერ ასამბლეას ჰყავს – ძლიერი კომიტეტი; სუსტს – სუსტი.
- ასამბლეა იშიათად აკეთებს პოლიტიკას, ჩვეულებრივად ის მარტო გავლენას ახდენს პოლიტიკაზე, ან და მთლიანად კონტროლირდება აღმასრულებელი ხელისუფლებით. ძალაუფლების მოცულობა, რომელსაც ფლობს ასამბლეა, რიგი ფაქტორებით განისაზღვრება; ასამბლეის კონსტიტუციური ძლევამოსილებებით, აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხით, პარტიული სისტემის ხასიათით და ასამბლეის შიდა მონოლიტურობის ხარისხით.
- ასამბლეის დაცემა შეწუხებას გამოხატავს, იმიტომ რომ ისინი ყოველთვის ასოცირდებოდნენ წარმომადგენლობითი და პასუხისმგებელი მთავრობის იდეალთან. ასამბლეები კარგავენ თავიანთ უწინდელ მნიშვნელობას იმის გამო, რომ გამოჩნდნენ პარტიები ძლიერი საშინაო პოლიტიკური დისციპლინით. გაიზარდა მთავრობის როლი, აღმასრულებელი ხელისუფლება უფრო საფუძვლიანად აყალიბებს და ამყარებს პოლიტიკას, ვიდრე პარლამენტი და ბოლოს, გამოჩნდა მრავალგვარი ინტერესთა ჯგუფები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და მათი მნიშვნელობა სისტემატურად მატულობს.

თავი XIV
აღმასრულებელი ხელისუფლება

აღმასრულებელი ხელისუფლება სახელმწიფოს აბსოლუტურად აუცილებელი ატრიბუტია. პოლიტიკურმა სისტემებმა შეიძლება იფუნქციონირონ კონსტიტუციის, საკანონმდებლო კრების, სასამართლოსა და პარტიის გარეშე, მაგრამ მათ არ შეუძლიათ არსებობა აღმასრულებელი ხელისუფლების გარეშე, ვინაიდან რომ არა ეს უკანასკნელი სახელმწიფო ვერ შეიმუშავებდა საკუთარ პოლიტიკას და შესაბამისად ვერც ცხოვრებაში გაატარებდა მას.

აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა და ფუნქციები
ვინ ვინ არის აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში

აღმასრულებელი ხელისუფლება არის სახელმწიფოებრივი მართვის სისტემის განშტოება, რომელიც პასუხისმგებელია "შესრულებაზე", ანუ პოლიტიკის განხორციელებაზე. პრაქტიკაში მისი პასუხისმგებლობის სფერო ბევრად უფრო ფართო და რთულია, ვიდრე აღნიშნული განსაზღვრა გულისხმობს. აგრეთვე რთულია აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაც. პირველ რიგში აღმასრულებელი ხელისუფლების სიტემა მოიცავს „პოლიტიკურ" და „ბიუროკრატიულ" ელემენტებს ანუ პოლიტიკოსებსა და სახელმწიფო მოხელეებს, უფრო ფართოდ კი, პოლიტიკისა და ადმინისტრაციის სფეროებს. ასევე, აღმასრულებელი ხელისუფლების შიგნით არსებობს დანაყოფები სტატუსისა და პასუხისმგებლობის სფეროების მიხედვით. იმ დროს, როდესაც ასამბლეები მუშაობენ პარლამენტთან თანასწორობის ფორმალურ პრინციპზე დაყრდნობით, აღმასრულებელი ხელისუფლება, როგორც წესი, მართავს "პირამიდის პრინციპს" ანუ იერარქიულ ორგანიზებას. მარტივად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში ვიღაცას უფრო მეტი, ვიღაცას კი უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება.

უფრო მკაფიო განსხვავება პოლიტიკურ და ბიუროკრატიულ ელემენტებს შორის, ყოველ შემთხვევაში თეორიულად მაინც, ვლინდება საპარლამენტო სისტემებში მათთვის დამახასიათებელი პოლიტიკური რეკრუტირების განსაკუთრებული მექანიზმებით. აქ აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს პოლიტიკურ რგოლს (პრემიერ-მინისტრი და კაბინეტის მინისტრები) შეადგენენ პარლამენტში არჩეული პოლიტიკოსები, რომლებიც პასუხ-

ისმგებელნი არიან პარლამენტის წინაშე. მათი ამოცანაა – შეიმუშაონ და გაატარონ თავიანთი პარტიისა და იდეოლოგიური პრიორიტეტების შესაბამისი პოლიტიკა. თუმცა, უფრო ფართოდ "აღმასრულებელი ხელისუფლების ოფიციალური პირები" საკუთარ თავში აერთიანებენ სახელმწიფო მოხელეებსაც – პროფესიონალებს, რომლებიც ინიშნებიან მთავრობაში და საკუთარ მინისტრებთან მიმართებაში პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და ლოიალურობის პრინციპზე დაყრდნობით აღასრულებენ ადმინისტრაციულ პოლიტიკას.

უფრო მარტივია საუბარი აღმასრულებელი ხელისუფლების შიგნით იერარქიული საფეხურების შესახებ. უპირველეს ყოვლისა მისი ბუნებრივი ტენდენციაა ერთი პიროვნების გარშემო კონცენტრირება. როგორც მონტესკიე წერდა: "ხელისუფლების ეს შტო, რომლის მუდმივი საზრუნავია შესრულების სისწრაფე, უკეთესად იმართება უფრო ერთი, ვიდრე მრავალი პირის მეშვეობით". მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ ორი თანამდებობის არსებობაზე, რომელსაც ერთი და იმავე პიროვნება ითავსებს: ერთი მხრივ, არის სახელმწიფოს მეთაური – ხშირად სიმბოლური ფიგურა, რომელსაც გააჩნია მხოლოდ ფორმალური ძალაუფლება, მეორე მხრივ კი – მთავრობის მეთაური, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს მთავარ აღმასრულებელ პირს ფართო პოლიტიკური პასუხისმგებლობით. მაშინ, როდესაც აშშ-ის, რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტები (პოლიტიკური ჟარგონით რომ ითქვას) "ატარებენ ორ ქუდს", ანუ საკუთარ თავში აერთიანებენ ორივე კატეგორიას, საპარლამენტო სისტემებში კი ზემოთ წარმოდგენილი ეს ორი პოსტი გაყოფილია: აქ აღმასრულებელი ხელისუფლების მთავარი პირი პრემიერ-მინისტრია, ხოლო სახელმწიფო მეთაურის პოსტი როგორც წესი უკავია პიროვნებას, რომელიც პარტიულ და სხვა ინტერესებს ხელმძღვანელობს.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში მეთაურის შემდეგ დგანან მინისტრები (სხვა ტრადიციით – მდივნები), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პოლიტიკის ცალკეულ მიმართულებებზე. მათი მიმართულებების მნიშვნელობიდან გამომდინარე (როგორც წესი უფრო მნიშვნელოვან ფიგურებად ითვლებიან ეკონომიკისა და საგარეო საქმეთა მინისტრები) და იმის მიხედვით, შედიან თუ არა ისინი კაბინეტში (არიან თუ არა კაბინეტის წვრები) მინისტრებს შორის წესდება გარკვეული იერარქია.

მარტივად რომ ითქვას, აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური რგოლის ამოცანაა, „წინ გაუძღვეს საზოგადოებას", განახორციელოს მასში პოლიტიკური ლიდერობა. იგი შესაძლებელია წარმოვიდგინოთ როგორც სახელმწიფოს ძირითადი ბირთვი. აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური რგოლის წევრებს ყოველთვის უხდებათ რამდენიმე ფუნქციის შესრულება, ზოგჯერ ერთდროულადაც კი. მეტად მნიშვნელოვან დარგებს წარმოადგენენ:

- ცერემონიალური ხასიათის მოვალეობები;
- პოლიტიკის განხორციელებაზე კონტროლი;
- პოლიტიკური ლიდერობა,როგორსაც მას საზოგადოება ხედავს;
- სახელმწიფო სამსახურის მართვა;
- კრიზისულ სიტუაციებში გადაწყვეტილებების მიღება.

სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები, უფრო ნაკლებად კი მინისტრები ერთგვარად განასახიერებენ სახელმწიფოს. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების პერსონიფიცირებით ისინი სიმბოლურად წარმოადგენენ საკუთრივ მთელი ქვეყნის ერთიანობას. ამ როლს უმთავრესად ფორმალური და ცერემონიალური ხასიათი აქვს, რომელიც ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როგორიცაა სახელმწიფო ღონისძიებები, საზღვარგარეთული ვიზიტები, საერთაშორისო კონფერენციები, ხელშეკრულებების რატიფიკაცია და სახელმწიფო კანონებზე ხელის მოწერა. არსებობს პოლიტიკური სისტემები, სადაც ასეთი ცერემონიალური მოვალეობების შესრულება ეკისრება „არამმართველ" პრეზიდენტს ან მონარქს მაშინ, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა პირები დაკავებულნი არიან სახელმწიფოს ყოველდღიური საქმეებით. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მოცემული როლი ცდება უბრალო ცერემონიალურობის ჩარჩოებს და რეალურად მას გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

კონტროლი პოლიტიკის განხორციელებაზე

აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური რგოლის მთავარი ამოცანაა პოლიტიკური პროცესისათვის მიმართულების მიცემა და მისი კონტროლი; საზოგადოება მისგან მოელის „მართვა-გამგეობას". უნდა ითქვას, რომ ამ როლის მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა XX საუკუნეში, როდესაც სახელმწიფო ინტენსიურად აფართოვებდა თავის ვალდებულებებს. უპირველეს ყოვლისა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს მატარებელთაგან მოელიან ეფექტური ეკონომიკური და სოციალური პროგრამების განხორციელებას, რომლებიც მთლიანად უპასუხებენ სულ უფრო გართულებულ საზოგადოებათა მოთხოვნებს, ასევე სახელმწიფოს მრავალფ-

ეროვანი საგარეო კავშირების დამყარებას დანარჩენ მსოფლიოსთან, სადაც ძლიერდება ურთიერთდამოკიდებულება. ყოველივე ამის ერთ-ერთი შედეგია საკანონმდებლო უფლებამოსილებებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების საშუალებების გაფართოვება, სადაც უკანასკნელი აშკარად ავიწროვებს ასამბლეის ტრადიციულ პასუხისმგებლობათა სფეროს.

სახელმწიფო სამსახურის მართვა

თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური აკონტროლებს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების პროცესს, მას აგრეთვე უხდება მასთან დაქვემდებარებული სახელმწიფო სამსახურის სისტემის კონტროლიც. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მწვერვალი, მინისტრები და მდივნები წარმოადგენენ სახელმწიფო მართვის „უმაღლეს ეშელონს“, რომელიც წარმართავს სახელმწიფო მანქანას. ამ საქმიანობას გააჩნია თავისი სექტორები: აქ ყველა მინისტრი პასუხისმგებელია თავის პოლიტიკურ მიმართულებაზე; შესაბამისად გაყოფილია სახელმწიფო სამსახურის სისტემაც. სისტემის კოორდინირება ხდება ზემოდან, რისთვისაც არსებობს სხვადასხვა ფორმის კაბინეტი.

ცხადია, არსებობს გარკვეული ეჭვები მოცემული სახელმწიფო მანქანის ეფექტურობასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, რამდენადაც აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკურ რგოლში შედიან არაპროფესიონალი პოლიტიკოსები, საკუთარი სამინისტროების მართვისათვის, რომლებიც დღეს უზარმაზარი მასშტაბებით გამოირჩევიან, მათ ხშირად არ ყოფნით კომპეტენცია, ხელმძღვანელობის გამოცდილება და ადმინისტრაციული ცოდნა. შემდეგ, სამთავრობო მანქანის ცალკეული ქვედანაყოფები განუხრელად მისდევენ საკუთარ ინტერესებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამისკენ მათ გარედან უბიძგებენ ინტერესთა მსხვილი ჯგუფები. დაბოლოს, ბიუროკრატიას პრინციპში გააჩნია საკუთარ ინტერესებზე ფიქრის ტენდენცია, რომლებიც აუცილებელი არ არის, რომ ემთხვეოდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების ინტერესებს, რის გამოც იგი ხანდახან სასტიკად ეწინააღმდეგება კონტროლს თავისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან.

გადაწყვეტილების მიღება კრიზისულ სიტუაციებში

საკანონმდებლო ხელისუფლებასთან შედარებით აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა არის მისი უნარი იმოქმედოს სწრაფად და გაბედულად. როდესაც ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ იქმნება კრიზისული სიტუაცია, ამაზე სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლება რეაგირებს: ამისათვის მას გააჩნია ყველა საორგანიზაციო საშუალება და „ლიდერობის“ აუცილებელი რესურსი. ამიტომ არის, რომ მსოფლიოს საკანონმდებლო კრებები, როგორც წესი აღმასრულებელ ხელისუფლებას გადასცემენ თითქმის დიქტატორულ უფლებამოსილებას ომის შემთხვევაში, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს – საგანგებო უფლებამოსილებას ბუნებრივი კატასტროფების, ტერორისტული საფრთხის, მასშტაბური საწარმოო გაფიცვებისა და სამოქალაქო არეულობის შემთხვევაში. ცნობილია, რომ „საგანგებო მდგომარეობის“ გამოცხადების უფლებით არაერთხელ ბოროტად უსარგებლია აღმასრულებელ ხელისუფლებას, ხშირად იმისთვის, რათა სავსებით კონსტიტუციური ქმედების საფარველის ქვეშ დაესუსტებინა ან საერთოდ გაენადგურებინა ოპოზიცია, მაგ. 2007 წლის ნოემბერში ასე მოიქცა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება, როცა დაარბია მიტინგი და გაუსწორდა ოპოზიციას.

როგორც უკვე აღინიშნა, აღმასრულებელი ხელისულების პოლიტიკური რგოლის ძალაუფლება ძლიერდებოდა პოლიტიკის დემოკრატიზაციის, საზოგადოებრივ საქმეებში სახელმწიფოს ჩარევის, დაბოლოს, მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური გლობალიზაციის მზარდი ტენდენციების კვალდაკვალ. XX საუკუნეში ხელისუფლების ამ შტომ არსებითად გააფართოვა საკუთარი აღმასრულებელი და საკანონმდებლო უფლებამოსილებათა სფერო, დაამყარა ყველაზე მტკიცე კონტროლი გაზრდილ ბიუროკრატიულ მანქანაზე და საერთოდ საზოგადოებისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების შეხედულების თანახმად გახდა „მთავარი ძალა“ სახელმწიფოში. ყოველივე ამან კი, თავის მხრივ, გავლენა იქონია აღმასრულებელი ხელისუფლების შიდა ორგანიზაციასა და მის შიგნით ფუნქციათა განაწილებაზე. მკვლევართა საერთო აზრის თანახმად ამგვარი პროცესებით ყველაზე მეტი სარგებელი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურმა ნახა. დღეს სახელმწიფოთა მეთაურებს ისეთი პოლიტიკური და საზოგადოებრივი სტატუსი აქვთ, რომ ეს მათ საკუთარ კაბინეტთან და საერთოდ მთელ პოლიტიკურ გარემოცვასთან შედარებით მიუწვდომელ სიმაღლეზე აყენებს. მაგრამ საკვირველია, თუ როგორ ეთავსება ხელისუფლების

ცენტრალიზაციის და პერსონიფიკაციის აღნიშნული სურათი იმ პრეცენდენტებს, როდესაც სახელმწიფოთა მეთაურები ვერ უმკლავდებიან ლიდერობის ტვირთს და თავს ვერ ართმევენ საქმეს,რომლის განსახორციელებლადაც მათ ირჩევენ თავიანთ პოსტებზე. დიდადაა დამოკიდებული აღმასრულებელი ხელისუფლების რთული დინამიკა, რომელიც უფრო გასაგები გახდება თუკი ცალ-ცალკე განვიხილავთ პრეზიდენტების, პრემიერ-მინისტრებისა და კაბინეტების როლს.

თითოეული ამ კატეგორიისათვის გასათვალისწინებელია ძალაუფლების შემდეგი სამი ასპექტი:

- ფორმალური ან ოფიციალური განზომილება – თუ როგორ არის მათი უფლებამოსილებები განსაზღვრული კონსტიტუციაში და ჩაწერილი იმ ინსტიტუციონალურ გარემოში, სადაც ისინი ახორციელებან თავიანთ საქმიანობას;
- არაოფიციალური განზომილება – პიროვნული თვისებები, პოლიტიკური ხელოვნება და პოლიტიკოსის გამოცდილება, მისი გავლენა პარტიასა და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე;
- გარეგანი განზომილება – პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური ფაქტორები,რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფოში და მის ფარგლებს გარეთ.

რეზიდენტები

პრეზიდენტი წარმოადგენს სახელმწიფოს ოფიციალურ მეთაურს, იგი ფლობს ტიტულს, რომელიც სხვა პოლიტიკურ სისტემებში ეკუთვნის მონარქს, ან ვთქვათ, იმპერატორს. საჭიროა მივუთითოთ განსხვავება ე.წ. „კონსტიტუციურ“ და „აღმასრულებელ“ პრეზიდენტებს შორის. „კონსტიტუციური“ პრეზიდენტი (მაგალითად ინდოეთი, ისრაელი და გერმანია) არის ფიგურა, რომლიც ძირითადად გვხვდება საპარლამენტო სისტემებში; მისი უფლებამოსილებები უმეტესწილად შემოიფარგლება ცერემონიალური ხასიათის მოვალეობებით. ასეთ შემთხვევაში ძალაუფლება ეკუთვნის პრემიერ-მინისტრსა და მინისტრთა კაბინეტს. ამ თავში ჩვენ ვისაუბრებთ „აღმასრულებელ“ პრეზიდენტებზე – ფიგურებზე, რომლებიც თავიანთ თავში აერთიანებენ სახელმწიფოს ოფიციალური მეთაურის ფუნქციებსა და რეალურ აღმასრულებელ ხელისუფლებას. ასეთი სახის პრეზიდენტობა დამახასიათებელია ე.წ. საპრეზიდენტო სახელმწიფო სისტემებისათვის.

ამ სისტემებში პრეზიდენტის ძალაუფლება შეიძლება ატარებდეს, როგორც შეზღუდულ, ასევე შეუზღუდავ ხასიათს. პირველ შემთხვევაში მისი უფლებამოსილებები შეზღუდულია მაგ. ისეთი ფაქტორით, როგორიცაა კონსტიტუცია; მოცემულ საზოგადოებაში მიღებული ესა თუ ის დემოკრატიული ნორმა; პარტიული კონკურენცია; ხელისუფლების განაწილება, მაგრამ იგი გაწონასწორებულია საჯაროდ არჩეული პარლამენტის მიერ. ამ სახის პრეზიდენტობის ტიპიური მაგალითია აშშ. არსებობენ აგრეთვე ნახევრად საპრეზიდენტო სისტემები (semi-prezidental system) მაგალითად, როგორიცაა საფრანგეთში, საქართველოსა და ფინეთში. იმ სისტემებში, სადაც პრეზიდენტის უფლებამოსილებები შეუზღუდავია, ის გამოდის თითქმის აბსოლუტური ძალაუფლების მატარებლად, რაც ამ რეჟიმს აახლოებს დიქტატურასთან. ამგვარ სურათს ჩვენ ვაწყდებით სახელმწიფოებში სადაც ერთპარტიული სისტემებია. ასეთ ქვეყანათა რიცხვშია ლიბია, ინდონეზია, ერაყი.

ამერიკული მოდელის საპრეზიდენტო სისტემამ მთელს მსოფლიოში წარმოშვა მიბაძვის მრავალი მაგალითი, განსაკუთრებით ლათინურ ამერიკაში, მოგვიანებით კი ისეთ პოსტ-კომუნისტურ სახელმწიფოებში, როგორიცაა პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი და რუსეთი, თუმცა რუსეთის გამოკლებით, საპრეზიდენტო სისტემების უმრავლესობა ფუნქციონირებს საპარლამენტო სისტემების ჩარჩოებში. ამერიკის კონსტიტუციის შემქმნელები გადასცემდნენ რა აღმასრულებელ ხელისუფლებას პრეზიდენტს, აცნობიერებდნენ, რომ ამით ისინი ქმნიდნენ თავისი არსით „სამეფოს დემოკრატიული არჩევნებით“. მაგრამ მიისწრაფვოდნენ რა ძალაუფლების წინააღმდეგ ბოროტად გამოყენებისკენ, რომელიც მათი რწმენით დამახასიათებელი იყო ბრიტანეთის სამეფო კარისთვის, მათ შეიმუშავეს პარლამენტის, პრეზიდენტისა და სასამართლო სისტემების შორის ხელისუფლების განაწილების საკმაოდ რთული და გონებამახვილური მექანიზმი. რიჩარდ ნოიშტადმა (Richard Neustadt, 1964) ამ პროცესს – „ხელისუფლების განაწილება მისი ერთობლივად განხორციელებისას“ ეწოდა. თუმცა პრეზიდენტს გადაეცა სახელმწიფოს ოფიციალური მეთაურის, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურისა (კონგრესის მიერ მიღებულ კანონებზე ვეტოს დადების უფლებით), შეიარაღებული ძალების მთავარსარდლისა და საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელის უფლებამოსილებები. ყოველივე ეს თავდაპირველად გაწონასწორებული იყო კონგრესისათვის მინიჭებული უფლებამოსილებებით. კონგრესი, ძირითადად, აცხადებს ომს და შეუძლია გადალახოს პრეზიდენტის ვეტო, სენატს კი ეკუთვნის ხელშეკრულებების დამტკიცებისა და რატიფიცირების უფლება. სინამდვილეში,

საინტერესოა, რომ XX საუკუნის დასაწყისამდე პრეზიდენტობა იყო მეორე ინსტიტუტი, პირველი კი ეროვნულ პოლიტიკაში კონგრესს ეკუთვნოდა.

პრეზიდენტობა აშშ-ში გარდაქმნა ორმა ტენდენციამ. პირველ რიგში, ეროვნული ეკონომიკა იმგვარად ვითარდებოდა, რომ გარკვეული პერიოდიდან მთავრობას მოუხდა უარი ეთქვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაურევლობის ტრადიციულ დოქტრინაზე და დაიწყო ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო ფართოდ რეგლამენტირება. შემდეგ, მსოფლიოში საკუთარი პოზიციების გაფართოებით, აშშ-მა უარი თქვა მისთვის ტრადიციული იზოლაციონისტურ პოლიტიკაზე, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთოდ გადაიქცა ბიპოლარული მსოფლიოს (დღეს კი, შეიძლება ითქვას ერთპოლარული მსოფლიოს) ზესახელმწიფოდ. პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის „ახალი კურსის“ შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტები იქცნენ აქტიურ საკანონმდებლო ძალად, ხოლო 1945 წლიდან ასე ვთქვათ, გაეხვივნენ „თავისუფალი მსოფლიოს ლიდერების“ მანტიაში. უფრო მეტიც, თავის დროზე პრეზიდენტმა ჯონსონმა და ნიქსონმა ისე მარტივად შეძლეს ვიეტნამში ომის ესკალაცია (თუნდაც კონგრესის მხრიდან ომის ფორმალურად გამოცხადების გარეშე), რომ ბევრი თეორეტიკოსი არტურ შლიზინგერის (Arthur Schlisinger, 1974) კვალდაკვალ ალაპარაკდა ამერიკულ „იმპერიულ პრეზიდენტობაზე“, რომელმაც გაარღვია კონსტიტუციური ჩარჩოები და რომელიც თავის ნებასურვილს კარნახობს ხელისუფლების დანარჩენ ორ შტოს.

თუმცა საპრეზიდენტო ხელისუფლება ხშირად წარმოგვიდგება სხვადასხვა მხარეების კუთხითაც. იოშტადთის კლასიკური კვლევის „საპრეზიდენტო ხელისუფლების“ (Presidential Powwer, 1964) დასკვნები, თავის მნიშვნელობას დღესაც ინარჩუნებენ: უმეტესწილად პრეზიდენტის ხელისუფლება არის „დარწმუნების, ვაჭრობის, სხვადასხვა მოქმედებებისაკენ წაქეზებისა და ლოიალობის,ზოგჯერ შემოვლის ძალაუფლება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში დიქტატი“. თავიანთი პოლიტიკური პროგრამისათვის გზის გასაკვლევად ამერიკის პრეზიდენტებს უხდებათ ოთხ პოლუსს შორის ლავირება. ესენია:

- კონგრესი;
- ფედერალური ჩინოვნიკები;
- უზენაესი სასამართლო;
- მასობრივი საინფორმაციო საშუალებები.

ყველაზე მნიშვნელოვანი აქ რა თქმა უნდა არის ურთიერთობები პრეზიდენტსა და კონგრესს შორის. აშშ-ში საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად წარმატებული ან წარუმატებელი იყო ესა თუ ის კონკრეტული პრეზიდენტი, განისაზღვრება კონგრესთან „ურთ-

იერთობის თავისებური სკალით“. ამასთან ითვალისწინებენ, თუ რამდენი საკუთარი საკანონმდებლო პროგრამის გატარება შეძლო პრეზიდენტმა კონგრესის წინააღმდეგობის გავლით. ვიეტნამის ომისა და უოტერგეიტის სკანდალის შემდეგ ამერიკელ პრეზიდენტებს უპირისპირდებოდა კიდევ უფრო „ჯიუტი“ კონგრესი, რომელიც მიისწრაფვოდა ძველი პოზიციების დაბრუნებისაკენ. ამის ერთ-ერთ გამოვლინებად იქცა 1974 წლის კანონი, რომელიც ადგენდა, რომ ამერიკული სამხედრო კონტინგენტის საზღვარგარეთ გაგზავნისათვის საჭირო იყო კონგრესის თანხმობა. კიდევ უფრო მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ის, რომ აშშ-ში სუსტი პარტიული სისტემის პირობებში პრეზიდენტი არსებითად მოკლებულია შესაძლებლობას აკონტროლოს საკანონმდებლო პროცესი, როგორც ეს საპარლამენტო სისტემებშია. ამის პრაქტიკული მნიშვნელობა აღმოაჩინა პრეზიდენტმა კარტერმა 1970-იან წლებში: კონგრესი შეიძლება მტრულად იყოს განწყობილი პრეზიდენტის მიმართ მაშინაც კი, როდესაც უმრავლესობა ორივე პალატაში ამ უკანასკნელის პარტიას ეკუთვნის.

მაგრამ კიდევ უფრო სუსტდება პრეზიდენტის პოზიციები, როდესაც კონგრესზე კონტროლს ახორციელებს არა მისი, არამედ ოპოზიციური პარტია. ეს პრობლემა შეექმნა პრეზიდენტ კლინტონს მას შემდეგ, რაც 1994 წლის არჩევნების შემდეგ კონგრესი „რესპუბლიკელების“ ხელში გადავიდა. ჯორჯ ბუშ უმცროსის პოზიციები ასევე შესუსტდა 2001 წელს, როდესაც დემოკრატებმა, მას შემდეგ, რაც მათ მიემხრო მხოლოდ ერთი რესპუბლიკელი, მიიღეს უპირატესობა კონგრესში. დაბოლოს, ამერიკელი პრეზიდენტების მუდმივ თავსატეხად რჩება ის, რომ კონგრესმენები, მიუხედავად მათი პოლიტიკური კუთვნილებისა, უმეტესად „საკუთარი შტატის მოსახლეობის“ (folks back home) საქმეებსა და ინტერესებზე ფიქრობენ. ეს ისეთ გავლენას ახდენს საშინაო პოლიტიკაზე, რომ ქვეყანაში უკვე საუბრობენ „პრეზიდენტობის გაორებაზე“. არსებობს ე.წ. „საშინაო პრეზიდენტი“, რომელიც მუდმივად განიცდის წარუმატებლობებს და შესწევს უნარი გაუძლოს ოპონენტებთან მორიგ დაპირისპირებას, და საერთაშორისო ლიდერობის აშკარა თვისებების მქონე ე.წ. „საგარეო პრეზიდენტი“. პრეზიდენტი კლინტონიც კი, რომელიც თავის წინასაარჩევნო პროგრამაში ეკონომიკაზე კონცენტრირების პირობას დებდა, ძალიან მალე, როგორც ეს ერთმა მიმომხილველმა შენიშნა „საერთაშორისო პოლიტიკისაკენ გადაიხარა“. დღევანდელ აშშ-ში კი ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენის შემდეგ.

თეორიულად ფედერალური მოხელეების აპარატი იმისთვის

არსებობს, რომ მოემსახურონ პრეზიდენტს, პრაქტიკაში კი ის ხშირად ქმნის დაბრკოლებებს. თუმცა პრეზიდენტები უმაღლეს და საშინაო დონის თანამდებობებზე საშუალოდ 3000-მდე დანიშვნას ახორციელებენ, – ეს ზღვაში წვეთია აშშ-ში სახელმწიფო მოხელეთა რაოდენობასთან შედარებით, რომელიც 2მლნ.-ზე მეტს შეადგენს. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ეს ჩინოვნიკები ყველა შესაძლო სიტუაციაზე რეაგირებენ თავისებურად და ხშირად არა ისე, როგორც პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია. როგორც ოდესღაც ვუდრო ვილსონის დროს სამხედრო-საზღვაო ძალთა მთავარსარდალი თავის უწყებაში არსებული სიტუაციის შესახებ წერდა: „ეს ბუმბულის მატრასს ჰგავს: შენ მას გამეტებით ურტყამ, მას კი არაფერი მოსდის“.

მსგავსი სირთულეები არსებობს უზენაეს სასამართლოსთან ურთიერთობებშიც. 1950-იანი წლებიდან სასამართლო ასრულებს მნიშვნელოვან როლს აშშ-ის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მუდმივად აიძულებს პრეზიდენტებს შეეგუონ მის წამყვან პოზიციებს. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს წევრები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ, სენატს აქვს უფლება არ დაამტკიცოს ესა თუ ის წევრი (როგორც ამას ადგილი ჰქონდა ორჯერ ნიქსონის პრეზიდენტობის დროს და ერთხელ რეიგანის პერიოდში), ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ მოსამართლის დანიშვნის შემდეგ, იგი აღარ ექვემდებარება პრეზიდენტის კონტროლს, ვინაიდან მოსამართლე საკუთარ თანამდებობაზე რჩება სიცოცხლის ბოლომდე. 1930-იან წლებში უზენაესმა სასამართლომ დაბლოკა პროგრამა „ახალი კურსის“ საკმაოდ დიდი ნაწილი სანამ, საბოლოოდ, თავად რუზველტმა არ მოახდინა „გადატრიალება“ და შეცვალა საკუთარი იდეოლოგიური პრიორიტეტები. მეორე მაგალითი: ეიზენჰაუერმა თავის დროზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე დანიშნა ე. უორენი მხოლოდ იმისათვის, რათა აღმოეჩინა, რომ ეს უკანასკნელი პოლიტიკურად მეტისმეტად აქტიური იყო და კონსტიტუციასაც ძალზედ ლიბერალურად განმარტავდა.

დაბოლოს, განსხვავებულად მყარდება ურთიერთობები პრეზიდენტებსა და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს შორის. მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს დიდი მნიშვნელობა აქვს პრეზიდენტებისათვის, რომელთაც ძალიან ხშირად ესაჭიროებათ „კონგრესზე გავლით“ პირდაპირი აპელირება საზოგადოებასთან. ყველაზე უკეთ ამ ამოცანას თავს ართმევდა ოდესღაც მსახიობი და ჟურნალისტი – რონალდ რეიგანი. თუმცა პრეზიდენტების წარუმატებლობების მიზეზი, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებიც შეიძლება გახდეს. აშშ-ში მასობრივი საინფორმაციო საშუალებებ-

ის შესახებ ხშირად საუბრობენ, როგორც მეოთხე ხელისუფლებაზე, რაც მათი „მუდმივად სიმართლისმაძიებლის“ რეპუტაციისა და დამოუკიდებლობის აღიარებაზე მიუთითებს. უოტერგეიტის სკანდალის გამოძიებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ 1974 წელს პრეზიდენტმა ნიქსონმა გადაწყვიტა თანამდებობიდან გადამდგარიყო, ხოლო მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში „უაიტვოტერის საქმის“[1] (whitewater affair) გაშუქებამ სერიოზულად შეარყია კლინტონის ადმინისტრაციის პოზიციები 1990-იანი წლების დასაწყისში.

ის, რომ საპრეზიდენტო სისტემებს პოტენციურად ახასიათებს კონფლიქტები პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის, აჩვენა პოსტ-კომუნისტურ რუსეთში განვითარებულმა მოვლენებმაც, როდესაც რუსეთის ფედერაციის უზენაესი სათათბირო ელცინისეული „შოკური თერაპიის“ მოწინააღმდეგეთა კონტროლის ქვეშ მოექცა. მაშინ ელცინმა შეძლო ხელისუფლების შენარჩუნება არმიის მხარდაჭერის მეშვეობით, რომელმაც 1993 წლის ოქტომბერში ჩაახშო პარლამენტის გამოსვლა. ამის შემდეგ მოხდა „საპრეზიდენტო კონსტიტუციის“ მიღება. მიუხედავად ყველაფრისა, პრეზიდენტობის რუსულმა მოდელმა მაინც არ მიიღო შეუზღუდავი ხასიათი, რადგანაც ელცინი მიისწრაფვოდა ეპოვნა წონასწორობა რუსეთის პოლიტიკურ სისტემაში უკიდურესად დინამიურ და ცვალებად, მაგრამ ამასთანავე წინააღმდეგობით აღსავსე პროცესებს შორის. მხოლოდ პუტინმა შეძლო 2000 წელს რუსეთისათვის დაებრუნებინა მისი ტრადიციული ისტორიული ცენტრალური ხელისუფლება. დღეს ეს არის ძლიერი პრეზიდენტობა, რომელიც ეფუძნება რუსეთში ე.წ. „კანონის დიქტატურას“.

სხვაგვარი მდგომარეობაა ნახევრად საპრეზიდენტო სისტემებში, როგორიცაა საფრანგეთი, ავსტრია, ფინეთი და პორტუგალია. ეს არის თავისებური სახის ჰიბრიდული სისტემები. საპრეზიდენტო სისტემების მსგავსად აქ ცალკე არჩეული პრეზიდენტი აღჭურვილია უფლებამოსილებათა ფართო წრით, ხოლო საპარლამენტო სისტემების მსგავსად, მთავრობა წარმოდგენილია კაბინეტითა და პრემიერ-მინისტრით სათავეში, რომელიც ფორმულირებულია პარლამენტის დეპუტატებისაგან და ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. ფინეთსა და ავსტრიაში ეს სისტემა ფუნქციონირებს აღმასრულებელი ხელისუფლების განაწილების საფუძველზე, რაც პრეზიდენტს საშუალებას აძლევს კონცენტრირება მოახდინოს საგარეო პოლიტიკასა და კონსტიტუციური მნიშვნელობის პრობლემებზე, ხოლო პრემიერ-მინისტრსა და კაბინეტს – საშინაო პოლიტიკაზე.

ეს სისტემა, რომელიც თავის დროზე საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკაში შეიქმნა და შეივსო 1961 წ. პრეზიდენტის დამოუკიდე-

ბლად არჩევის პრინციპით,სულ უფრო რთული ხდება. ერთი მხრივ, საფრანგეთის პრეზიდენტი, აშშ-ის პრეზიდენტის მსგავსად, წარმოადგენს რა სახელმწიფოს ოფიციალურ მეთაურს, მთავრობის მეთაურსა და მთავარ ფიგურას, რომელიც ახორციელებს დანიშვნებს უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზე, აირჩევა შვიდი წლის ვადით; ამასთან იგი აკონტროლებს საარჩევნო პროცესს, აქვს უფლება დაითხოვოს ეროვნული კრება. მეორე მხრივ, კი მისი ძალაუფლება შეზღუდულია იმ კუთხით, რომ მთავრობას, ყოველთვის ესაჭიროება ეროვნული კრების მხარდაჭერა.

პრემიერ-მინისტრები

როგორც წესი, თანამედროვე სახელმწიფოებს მართავენ საპარლამენტო სახის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურები, ანუ პრემიერ-მინისტრები. საპრეზიდენტო სისტემისაგან აღნიშნულ სისტემას განასხვავებს სამი თავისებურება. (1) რამდენადაც აქ აღმასრულებელი ხელისუფლება მომდინარეობს საკანონმდებლო კრების, უპირველეს ყოვლისა კი პარტიისაგან, ამიტომ ზოგიერთ სისტემას ესაჭიროება დამატებითი ფიგურა – სახელმწიფოს ოფიციალური მეთაური. შენარჩუნებულია კონსტიტუციური მონარქის როლი თუ იქნება არჩეული „არამმართველი“ პრეზიდენტი, – ორივე შემთხვევაში ამ ფიგურათა ფუნქციები, როგორც წესი, დაყვანილია წმინდა ცერემონიალური ხასიათის მოვალეობებამდე. (2) თუკი აქ აღმასრულებელი ხელისუფლება მომდინარეობს ისევდაისევ საკანონმდებლო კრებისაგან, ასეთ შემთხვევაში პოლიტიკური წრის (პერსონალის ჩათვლით) გაყოფა აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს შორის არ ხდება იმ სახით, როგორც ეს დამახასიათებელია საპრეზიდენტო სისტემებისათვის. (3) მთავრობის მეთაური ამ სისტემაში უშუალოდ ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო კრებისადმი, ყოველ შემთხვევაში, მისი ქვედა პალატის მიმართ მაინც და ხელისუფლებაში რჩება მანამდე, სანამ სარგებლობს კანონმდებელთა ნდობით.

პრემიერ-მინისტრები (გერმანიაში – კანცლერი, ჰოლანდიაში – მინისტრი-პრეზიდენტი, სხვა სისტემების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას კიდევ სხვა ტიტულები) წარმოადგენენ მთავრობათა მეთაურებს, რომელთა ძალაუფლება მომდინარეობს პარლამენტში უმრავლესობის პარტიის ან პარტიული კოალიციისაგან. ფორმალურად მათ გაცილებით უფრო მოკრძალებული უფლებამოსილებები გააჩნიათ, ვიდრე პრეზიდენტებს – საპრეზიდენტო სისტემებში. ამ უფლებამოსილებათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია „პატრონაჟის“ უფლება, რომელიც გულისხმობს მინისტრების თანამდებობებზე დანიშვნისა და დათხოვნის, აგრეთვე აღმასრულებელი ხელისუფლების ზედა რგოლის თანამშრომელთა დაწინაურებისა და დაქვეითების შესაძლებლობას. თუმცა, მაგალითად, ჰოლანდიასა და ავსტრალიაში ამისთვისაც საჭირო პარლამენტში უმრავლესობის პარტიის სანქცია. აქედან გამომდინარე, იოლი არ არის პრემიერ-მინისტრის „თანამდებობრივი მოვალეობების“ აღწერა: ვფიქრობთ, შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ყველაფერი დაიყვანება იქამდე, თუ როგორ წყვეტს საკითხს თავად პრემიერ-მინისტრი, უფრო სწორად კი, რამდენად გააჩნია მას პრობლემის გადაწყვეტის უნარი.

პრაქტიკაში ყველაფრის განსაზღვრა ხდება ორი მომენტის გათვალისწინებით. უპირველეს ყოვლისა ესაა ურთიერთობები კაბინეტთან, ცალკეულ მინისტრებთან და სამინისტროებთან. შემდეგ მოდის ურთიერთობები პარტიასთან, მერე კი საკანონმდებლო კრებასა და საერთოდ საზოგადოებასთან. კაბინეტის მხარდაჭერა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ შემთხვევაში, როდესაც პრემიერ-მინისტრს აღიქვამენ როგორც „პირველს თანასწორთა შორის“, მსგავსად დიდ ბრიტანეთში, ინდოეთსა და ავსტრალიაში დამკვიდრებული ტრადიციისა. ასეთი სტატუსის მქონე პრემიერ-მინისტრი იძულებულია იმოქმედოს კაბინეტის მიერ გადაწყვეტილების კოლექტიურად მიღების სისტემის მიხედვით, ამიტომ მისი ძალაუფლების რეალური მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, შეძლებს თუ არა იგი პატრონაჟის შესაძლებლობების, კაბინეტში თავისი სტატუსისა და სამთავრობო მანქანაზე საკუთარი კონტროლის შეთავსების გზით, აიძულოს მინისტრები შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. ასე მაგალითად, გერმანიის კანცლერი კონსტიტუციურად უფლებამოსილია განსაზღვროს სამთავრობო პოლიტიკის საერთო მიმართულებები, მაგრამ კონსტიტუციის იგივე მუხლი ზღუდავს მის ძალაუფლებას და მინისტრებს აძლევს თავიანთ სამინისტროებში დამოუკიდებლად მოქმედების გარანტიას.

პოლიტოლოგები ერთსულოვანნი არიან იმ თვალსაზრისით, რომ კონსტიტუციურ სისტემებს შორის არსებული ყოველგვარი განსხვავების მიუხედავად, ბოლო დროს საგრძნობლად გაძლიერდა პრემიერ-მინისტრების ძალაუფლება. ნაწილობრივ ეს იმით არის გამოწვეული, რომ თანამედროვე, ელექტრონულ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს ახასიათებთ ყურადღების გამახვილება პიროვნებაზე და არა პრობლემებზე, რის გამოც პრემიერ-მინისტრი ხდება თავისი პარტიის ერთგვარი „ბრენდი“. უმაღლეს დონეზე შეხვედრებისა და საგარეო პოლიტიკური ვიზიტების პრაქტიკის გაფართოება პრემიერ-მინისტრებს „საკუთარი სახელმწიფოს განსახიერე-

ბის“ ელფერს ძენს, აგრეთვე, სინამდვილეში ამ ასპარეზზე მათ უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევათ თავი წარმოაჩინონ ეროვნულ ლიდერებად. პოლიტოლოგები წერენ იმის შესახებ, რომ პრემიერ-მინისტრები საბოლოოდ გათავისუფლდნენ საკუთარი კაბინეტის მიერ შეზღუდვებისაგან და ამიტომ უკვე შესაძლებელია საუბარი ისეთ ახალ ფენომენზე, როგორიცაა „პრემიერ-მინისტრის მთავრობა“. ამგვარ პრეცენდენტს ადგილი ჰქონდა ინდოეთში, სადაც ინდირა განდიმ და მისმა ვაჟმა რაჯივმა შექმნეს „იმპერიული პრემიერობის“ მსგავსი მმართველობა, რომელმაც უმაღლეს მწვერვალს 1975-1977 წლების საგანგებო მდგომარეობის პერიოდში მიაღწია, ეს იყო შედეგი იმისა, რომ კონგრესის პარტია დიდი ხნის განმავლობაში ურყევად ფლობდა პარლამენტის უმრავლესობას, ხოლო განდის დინასტიამ დაამყარა უდავოდ ყველაზე ძლიერი კონტროლი ცენტრალური მთავრობის აპარატსა და ინდოეთის საზოგადოების მეტად მნიშვნელოვან სეგმენტებზე.

პრემიერ-მინისტრის ძალაუფლების გაძლიერება ხდებოდა დიდ ბრიტანეთშიც. საერთოდ ეს მოვლენა განპირობებულია მრავალი ფაქტორით. კერძოდ:

- პრემიერ-მინისტრზე ბევრი საკითხი და პიროვნებაა დამოკიდებული, განსაკუთრებით იმ შესაძლებლობების გათვალისწინებით, რასაც მას „პატრონაჟის“ პრინციპი აძლევს;
- პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს მინისტრთა კაბინეტს, მასვე ეკუთვნის კომიტეტების დაფუძნებისა და მისი პერსონალის დანიშვნის უფლება;
- პრემიერ-მინისტრი დომინირებს პარლამენტშიც უმრავლესობის პარტიის ლიდერის სახით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ეს უმრავლესობა აკონტროლებს ქვედა პალატას;
- პრემიერ-მინისტრი მეთაურობს ადმინისტრაციულ აპარატს და საერთოდ მთელ სახელმწიფო მანქანას;
- პრემიერ-მინისტრს გააჩნია პირდაპირი საშვი მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან, რაც მას ამომრჩევლებთან უშუალოდ აახლოვებს.

ერთი სიტყვით, დღევანდელი პრემიერ-მინისტრი დგას სახელმწიფოს ადმინისტრაციული და პოლიტიკური პირამიდის სათავეში; მინისტრთა კაბინეტები კი, ბევრი პოლიტოლოგის აზრით, ტრანსფორმირდებიან ერთგვარი ამერიკული სტილის სათათბირო ორგანოებად, რომლებიც საკმაოდ შეზღუდულ მონაწილეობას იღებენ პოლიტიკის გატარების პროცესში. დიდ ბრიტანეთში ასეთი სიტუაცია შეიქმნა 1980-იან წლებში მარგარეტ ტეტჩერის დროს, რომელ-

მაც შეძლო რადიკალურად შეეცვალა სახელმწიფოებრივი ხელისუფლება და მისი ხასიათი. საკუთრივ, ტონი ბლერმა სწორედ ამ საფუძველზე დაამყარა 1997 წელს საკუთარი პრემიერობა.

ალბათ, ტეტჩერის პრემიერობის ყველაზე სახასიათო თვისება იყო ის, რომ იგი საკუთარ თავში ხედავდა „პრემიერს, რომელიც არწმუნებს“,– პოლიტიკოსს,რომელიც იდეოლოგიურ ლიდერობას ახორციელებს, რითაც უზრუნველყოფს პარტიის შიდა ერთიანობას. რკინის ლედის მოღვაწეობის ისტორიაში ტეტჩერიზმის[2] სახელით შევიდა. ანალოგიურად ბლერმა იმდენად მკაფიოდ მოახდინა პარტიის ორიენტირება „მოდერნიზაციის პროექტებზე“, რომ მას „ახალ ლეიბორისტულ პარტიად“ ან კიდევ „მესამე გზის“ პარტიად მოიხსენიებენ. მაიკლ ფოულის აზრით (Michael Foley, 2000) ყოველივე ეს იძლევა იმაზე საუბრის საშუალებას, რომ დიდ ბრიტანეთში დამყარდა ერთგვარი „ბრიტანული პრეზიდენტობა“. პრემიერ-მინისტრებში უკვე შეინიშნება პრეზიდენტის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი შემდეგი თვისებები:

- დინსტანცირება საკუთარი პარტიისა და კაბინეტისაგან, იდეოლოგიური სპექტრის შიგნით საკუთარი თავის დამოუკიდებლად პოზიციონირება;
- საზოგადოებასთან პირდაპირი აპელირების პოპულისტური ტენდენცია განაცხადით ამა თუ იმ ფენის მეტად სანუკვარი იმედების გამომხატველის როლზე;
- საარჩევნო კამპანიის პერსონალიზაცია, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში დომინირებული ტენდენციით ყურადღების გამახვილება არა პრობლემებზე, არამედ პიროვნებაზე, როგორც შესაბამისი პარტიის ან მთავრობის „ბრენდზე“;
- პოლიტიკური მანდატის პერსონალიზაცია, საკუთარი ხელისუფლების წყაროდ არა პარტიის, არამედ ელექტორატის მიჩნევის საშუალება; რაც შეეხება პარტიას – მას შეუძლია გამოვიდეს პრეტენდენტად ე.წ. „პარტიული სინდისის“ მფარველის როლზე;
- პერსონალური მრჩევლების გამოყენება მინისტრთა კაბინეტისა და ჩინოვნიკების უმაღლესი რგოლის საპირწონედ.

პრემიერ-მინისტრებს, რომლებსაც ზურგს საპარლამენტო უმრავლესობა უმაგრებს, შეიძლება გააჩნდეთ დღევანდელი პრეზიდენტებისაგან განსხვავებულად ძლიერი ხელისუფლება, თუმცა ამგვარ ხელისუფლებასაც აქვს თავისი შეზღუდვები. პარტიული ერთიანობის დაცვის პრინციპის მიხედვით მინისტრთა კაბინეტში წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა ფრაქცია და იდეოლოგიური მიმართულება. (კანადაში იცავენ ენობრივი და რეგიონალური წარ-

მომადგენლობის პრინციპსაც), ერთგვარად იზღუდება პრემიერთა მოქმედების თავისუფლებაც. შეიძლება ასეც ითქვას: პრემიერ-მინისტრები ფლობენ ისეთ ხელისუფლებას, როგორის საშუალებასაც იძლევა კაბინეტი, პარტია და შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა. ამ მხრივ აღსანიშნავია ინდოეთის გამოცდილება, სადაც 1970-იანი წლების საგანგებო მდგომარეობის ექსცესების შემდეგ ერთი-მეორის მიყოლებით მოსულმა პრემიერ-მინისტრებმა დესაი, სინგჰმა და რაომ შეამცირეს სახელმწიფო აპარატი, გამოავლინეს ავტონომიური სამინისტროებისადმი პატივისცემა და მზადყოფნა ნაკლებად ჩარეულიყვნენ შტატების მთავრობათა საქმეებში.

საინტერესოა ისიც, რომ ბრიტანეთში მარგარეტ ტეტჩერის უზარმაზარი გავლენა აიხსნება არა იმდენად მისი „რკინის“ ხასიათითა და იდეოლოგიური სიმტკიცით, რამდენადაც მისი პრემიერობის პერიოდში შექმნილი უაღრესად ხელსაყრელი მდგომარეობით. ეს იყო ლეიბორისტული ოპოზიციის კრიზისი,1982 წლის ფოლკლენდის გამარჯვება, 1980-იანი წლების შუა პერიოდში მსოფლიო ეკონომიკის გამოცოცხლება, რის შედეგადაც კონსერვატორებმა ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვეს საპარლამენტო არჩევნებში. მაგრამ მიუხედავად ამისა, 1990 წლის ნოემბერში მან მაინც დაკარგა ხელისუფლება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ პოზიციის მერყევ ხასიათზე, რომელსაც პრემიერ-მინისტრები იკავებენ.

მინისტრთა კაბინეტი

აღმასრულებელი ხელისუფლების თითქმის ყველა სისტემას ამა თუ იმ ფორმით გააჩნია საკუთარი მინისტრთა კაბინეტი (ან უბრალოდ კაბინეტი). კაბინეტი არის წამყვანი მინისტრების თავისებური კომიტეტი, რომლებიც თავიანთ სამინისტროებს ან უწყებებს წარმოადგენენ. (არ შეიძლება მინისტრთა კაბინეტის გაიგივება საფრანგეთსა და ევროკავშირში არსებულ კაბინეტთან, რომელიც გულისხმობს ცალკეულ მინისტრთან მომუშავე პოლიტიკურ მრჩეველთა ჯგუფს). კაბინეტების ჩამოყალიბება იქცა საპასუხო მოვლენად აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ მოთხოვნილებებზე კოლექტიურ, კოლეგიალურ მართვაში. უპირველეს ყოვლისა, კაბინეტები საკანონმდებლო კრებასა და მთლიანად საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში აღმასრულებელ ხელისუფლებას აძლევენ განსაზღვრულ კოლექტიურ ფორმას; კაბინეტის გარეშე სახელმწიფო მართვა იქნებოდა უბრალოდ ინსტრუმენტი ერთი ადამიანის ხელში. კომიტეტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს სამთავრობო პოლიტიკის კოორდინირებას. რომ არა ის, მთავრობა იქნებოდა ერთმანეთთან კონკურენტული უწყებების მექანიკური კონგლომერატი, რომლებიც მუდმივად იბრძოლებდნენ მზის ქვეშ საკუთარი ადგილის გაფართოებისათვის, – პროცესი, რომელიც კარგადაა ცნობილი ნაცისტური გარმანიის მაგალითით.

მრავალფეროვანი სისტემებისა და სახელმწიფოების არსებობის პირობებში განსხვავებულია კაბინეტის ფუნქციები და პოლიტიკური მნიშვნელობა. ისეთ საპრეზიდენტო სისტემებში, როგორიცაა აშშ, კაბინეტი უმეტესწილად ასრულებს პრეზიდენტთან არსებული სათათბიროს ფუნქციას, რითაც რეალურად ახდენს პოლიტიკის ფორმირებას; უფრო მეტიც, XX საუკუნის მეორე ნახევარში სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების ზრდა უმეტესწილად მიმდინარეობდა კაბინეტის ფარგლებს გარეთ – უმთავრესად კი პრეზიდენტის აღმასრულებელი აპარატის გაფართოების გზით. ქვეყნებში, სადაც ჩამოყალიბდა კლასიკური სახის კაბინეტები – დიდ ბრიტანეთში, ბრიტანეთის თანამეგობრობისა და ევროპის რამდენიმე სახელმწიფოში, იტალიის, შვედეთისა და ნორვეგიის ჩათვლით, მინისტრთა კაბინეტი, თეორიულად მაინც, აგვირგვინებს აღმასრულებელი ხელისუფლების პირამიდას.

პრაქტიკაში კი მაინც რთულია ჭეშმარიტად კოლექტიური ხელმძღვანელობის მაგალითების პოვნა, რომელიც ასახავდა მარქსისტულ-ლენინურ დებულებას იმის შესახებ, რომ არა ბელადი, არამედ კომუნისტური პარტია წარმოადგენს ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას საბჭოთა საზოგადოებაში. თუმცა რეალურად, სკკპ ცკ-ის გენერალურ მდივნებს, სტალინით დაწყებული, იმდენად მტკიცედ ეპყრათ პოლიტბიუროსა და მინისტრთა საბჭოს სადავეები, რომ თითოეულმა მათგანმა შეძლო სიცოცხლის ბოლომდე დარჩენილიყო ხელისუფლებაში, გარდა ხრუშოვისა, რომელიც 1964 წელს გახდა პარტიული გადატრიალების მსხვერპლი, გამონაკლისს წარმოადგენს ასევე გორბაჩოვი. გერმანიასა და საერთოდ მთელს კონტინენტალურ ევროპაში როგორც წესი არ საუბრობენ კაბინეტების შესახებ, რადგანაც აქ სამინისტროები იმდენად სპეციალიზირებულნი არიან,რომ მინისტრები, მათი ძლიერი სურვილის მიუხედავად მაინც ვერ შეძლებდნენ საკუთარი თავი „საერთო გუნდის წევრებად“ მიეჩნიათ. ისეთ კლასიკური კაბინეტური მთავრობის სახელმწიფოშიც კი, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, საკმაოდ რთულია საუბარი კაბინეტის შესახებ, როგორც მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოზე და კიდევ უფრო ნაკლებადაა შესაძლებელი მისი, როგორც კოლექტიური დემოკრატიული მართვის სტრუქტურის წარმოდგენა.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრების ხელისუფლების გაფართოებით არა მხოლოდ დარღვეულ იქნა ბრიტანული მთავრობის კოლეგიალური ხასიათი, არამედ სამთავრობო პოლიტიკის გართულებამ გამოიწვია ის, რომ გადაწყვეტილებათა უმეტესობა მიიღება „განსხვავებულ რგოლებში“, კაბინეტამდე კი ასე ვთქვათ, უკვე დასრულებული სახით მიდის. აღნიშნული პროცესი იმიტომ მიმდინარეობს, რომ პოლიტიკის შემუშავებაში სულ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ცალკეულ სამინისტროებს, კომიტეტებსა და სპეციალიზირებულ ქვეკომიტეტებსაც კი.

მეორე მხრივ, შეცდომა იქნებოდა კაბინეტის მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის ფასადად მიჩნევა. აღსანიშნავია, რომ ბევრ პრემიერ-მინისტრს საკმაოდ ძვირად დაუჯდა თანამედროვე სახელმწიფოებრივი მართვის კოლექტიური ელემენტების უგულვებელყოფა. გერმანელი კანცლერები, როგორც წესი, ითვლებიან უფრო ძლიერ ფიგურებად, ვიდრე ბრიტანელი პრემიერები, რამდენადაც მათი პოსტიდან გადასაყენებლად საჭიროა ე.წ. „კონსტრუქციული უნდობლობის ვოტუმი“: ბუნდესტაგი უფლებამოსილია მთავრობა გადააყენოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მზად იქნება დანიშნოს ახალი მთავრობა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი კანცლერი შმიდტი 1982 წელს იძულებული გახდა თანამდებობიდან გადამდგარიყო, მას შემდეგ, რაც თავისუფალ დემოკრატთა მცირე პარტია გამოვიდა მისი კოალიციის რიგებიდან და შეუერთდა ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას ჰ. კოლით სათავეში. საერთოდ, კოალიციები კაბინეტებში ყოველთვის ართულებენ მდგომარეობას, რაშიც, ვთქვათ, საკუთარი გამოცდილების მაგალითზე, მუდმივად რწმუნდებიან იტალიელი პრემიერები. თუმცა ერთპარტიულ კაბინეტებსაც ძალუძთ აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურისათვის პრობლემების შექმნა.

პოლიტიკური ლიდერობა და მისი თეორიები

გარკვეული თვალსაზრისით პოლიტიკური ლიდერობის თემა შესაძლებალია მოძველებული ჩანდეს, საზოგადოების დაყოფა ბელადებად და მათ მიმდევრებად ხომ დამახასიათებელი იყო იმ უძველესი პოლიტიკური კულტურისათვის, რომელიც დემოკრატიას უსწრებდა წინ, როდესაც ბელადებმა „ყველაფერი უკეთ იცოდნენ“ და საჭირო იყო დანარჩენების განათლება, ერთად შეკრება და მათთვის მიმართულების მიცემა. რა თქმა უნდა, ლიდერები დემოკრატიასაც ჭირდება, მხოლოდ ამ შემთხვევაში თავად ლიდერობა შეზღუდულია ყველა შესაძლო საშუალებით: ლიდერებისაგან მოითხ-

ოვენ საჯარო ანგარიშვალდებულებასა და დადგენილი წესის თანახმად მუდმივად არსებობს მათი თანამდებობიდან გადაყენების შესაძლებლობა. თუმცა ასევე გაიზარდა ლიდერობის მნიშვნელობაც: ფსიქოლოგიაში სპეციალური დარგიც კი წარმოიშვა, რომელიც სწავლობს ლიდერებისა და ხელმძღვანელების ხასიათსა და მოტივაციებს (კრესელი, 1993).

ყოველივე ამას თავისი მიზეზები აქვს. კერძოდ, თანამედროვე დემოკრატიული პროცესი თითქოს თავადვე აიძულებს პოლიტიკოსებს ყოველნაირად გამოავლინონ ლიდერის თვისებები, რამდენადაც სხვაგვარად რთულია ამომრჩეველთა შორის წარმატებების მოპოვება. ამავე მიმართულებით მუშაობს მასობრივი საინფორმაციო საშუალებები (განსაკუთრებით ტელევიზია), რომელთათვისაც პიროვნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკა; მაგრამ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებიც კი თავის მხრივ, პოლიტიკოსებისათვის იქცევა იმ ინსტრუმენტად, რომლის საშუალებითაც საკმაოდ მოსახერხებელია საზოგადოებისათვის საკუთარი თავის ჩვენება ყველაზე მომგებიანი პოზიციიდან. ბოლოსდაბოლოს საკუთრივ საზოგადოებას წყურია ხელმძღვანელობა: ხდება რა სულ უფრო რთული და ფრაგმენტირებული, იგი დაჟინებით მოითხოვს და საჭიროებს ისეთი ადამიანების გამოჩენას, რომლებიც პასუხს მოუძებნიან კითხვას, თუ რა ხდება მსოფლიოში. ვითარების პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ დღეს ლიდერობა უპრეცენდენტოდ მნიშვნელოვანია.

ლიდერობის თეორიები

პოლიტიკური ლიდერობის საკითხთან დაკავშირებით არსებობს მრავალი შეკითხვა. რამდენად შეესაბამება ლიდერობა თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპებს?ის ახდენს ადამიანების შთაგონებასა და მოტივირებას, თუ თრგუნავს მათ და ართმევს ინიციატივას? უნდა აღგვაფრთოვანებდნენ ძლიერი ლიდერები თუ უნდა ვუფრთხოდეთ მათ? მსგავსი კითხვების უკან დგას სხვადასხვა წარმოდგენები ლიდერობის პოლიტიკური ხასიათის შესახებ. შეიძლება გამოვყოთ ოთხი თეორია, რომლებიც ლიდერობას განიხილავენ როგორც:

- პიროვნულ თვისებას;
- სოციოლოგიურ მოვლენას;
- ორგანიზაციულ იმპერატივს;
- პოლიტიკური ჩვევების ნაკრებს.

ტრადიციული გაგებით ლიდერობა წარმოადგენს იშვიათ, მაგრამ ბუნებრივ ნიჭს. როგორც არისტოტელემ თქვა, „ადამიანებს დაბადებიდან ბედით განსაზღვრული აქვთ, რომ ერთნი უნდა ბატონობდნენ, მეორენი კი მორჩილებდნენ“. ამ შემთხვევაში საუბარია ლიდერის წმინდა პიროვნულ თვისებებზე, რომელთაც ჩვენ ხშირად ვხედავთ იმ ადამიანებში, რომლებიც მიეკუთვნებიან ე.წ. „ბედისწერის რჩეულთა“ ტიპს. ამ კონცეფციის უკიდურეს ვერსიას წარმოადგენს ფაშისტური იდეები „ფიურერის“ ანუ უზენაესი ბელადის შესახებ (იგი ყოველთვის არის მამაკაცი), რომელსაც შესწევს ძალა მასებს გაუძღვეს უმაღლესი მიზნებისაკენ, – ეს წარმოდგენა გარკვეულწილად გამომდინარეობს ფრიდრიხ ნიცშეს კონცეფციიდან „ზეკაცის“ შესახებ, რომელიც ამაღლდა გაძლიერებული მორალის „ჯოგურ ინსტინქტებზე“ და მიაღწია სრულ ბატონობას საკუთარ თავზე. უფრო ზომიერი ფორმით იგივე ტრადიცია ქადაგებს ქარიზმის შესახებ, რომელიც მოიაზრება, როგორც პიროვნების ძალაუფლება და ავტორიტეტი. ქარიზმატული ლიდერების კლასიკურ მაგალითებს წარმოადგენენ ჰიტლერი, კასტრო, ნასერი[3] და ტეტჩერი, თუმცა ქარიზმატული თვისებების დანახვა შესაძლებელია სხვა ლიდერების პოლიტიკური ქცევის გარკვეულ მომენტებში, მაგალითად, ფ.დ. რუზველტის ცნობილ „საუბრებში ბუხართან“, საერთოდ ტელეკამერებთან თავდაჭერის იმ უნარში, რომელსაც ფლობს თითქმის ყველა თანამედროვე პოლიტიკური ხელმძღვანელი. სამწუხაროდ, ძალზედ ცოტაა ნელსონ მანდელასა[4] და დალაი ლამას[5] მსგავსი ლიდერები, რომელთა ავტორიტეტებიც ეფუძნება განსაკუთრებულ ზნეობრივ თვისებებს.

თანამედროვე პოლიტოლოგია და პოლიტიკური ფსიქოლოგია ძალიან ხშირად იკავებს ამ მიდგომასთან დაახლოებულ პოზიციებს და კონცენტრირებას ახდენს უმთავრესად ლიდერების პიროვნულ თვისებებზე. ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე ადრეული სამეცნიერო კვლევა ჩაატარეს ზიგმუნდ ფროიდმა (1856-1939) და უილიამ ბულიტმა და შექმნეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვუდრო უილსონის საკამათო პორტრეტი (ფროიდი და ბულიტი, 1967). ასევე შეიძლება გავიხსენოთ ჰაროლდ ლასუელის პიონერული ნაშრომი „ფსიქოპათოლოგია და პოლიტიკა“ (Harold Lasswell Psychopathology and Politics, 1988), სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ თავიანთ საქმიანობაში ლიდერებს ამოძრავებთ შინაგანი პათოლოგიური კონფლიქტები, რომლებიც რაციონალიზირდებიან მხოლოდ საჯარო აქტივობის დონეზე. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ხმაურიანი პოლემიკა გამოიწვია ჯეიმს ბარბერის (James Barber, 1988) მიერ ჩატარებულმა კვლევამ პოლიტიკური ლიდერობის შესახებ.

ბარბერმა მოგვცა ამერიკელი პრეზიდენტების თავისებური ტიპოლოგია შემდეგი ორი პარამეტრის მიხედვით: (1) რამდენად „აქტიურები“ ან „პასიურები“ იყვნენ ისინი თავიანთი მოვალეობების შესრულების დროს (რამდენად გულმოდგინედ ასრულებდნენ ისინი თავიანთ მოვალეობებს) და (2) რამდენად „პოზიტიურად“ ან „ნეგატიურად“ ეკიდებოდნენ საკუთარ პრეზიდენტობას, მის პოლიტიკურ მისიას. გამოიყო ოთხი ტიპი:

- აქტიურ-პოზიტიური;
- აქტიურ-ნეგატიური;
- პასიურ-პოზიტიური;
- პასიურ-ნეგატიური.

ამ კვლევის მიხედვით „აქტიურ-პოზიტიური“ ტიპის მაგალითებს მიეკუთვნებიან კენედი, ჯორჯ ბუშ-უფროსი და კლინტონი. „აქტიურ-ნეგატიური“ ტიპი წარმოდგენილია ჰარდინგითა და რეიგანით. ნიქსონი მოხვდა „პასიურ-პოზიტიურ“ პრეზიდენტთა კატეგორიაში, კულიჯი და აიზენჰაუერი კი – „პასიურ-ნეგატიურში“. ბარბერის თეორიის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ იგი უგულვებელყოფს პრეზიდენტობის შეცვლის შესაძლებლობას: ასე მაგალითად, ჯორჯ ბუშ-უმცროსმა თავისი პრეზიდენტობა დაიწყო „პასიურ-პოზიტიური“ ტიპით,მაგრამ აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი ტერორისტული თავდასხმის შემდეგ იგი აშკარად გადავიდა „აქტიური“ ტიპის ჯგუფში.

ლიდერობის შემდეგი კონცეფცია მასში განიხილავს სოციოლოგიური ფენომენის უპირატესობას. ამ მიდგომის მიხედვით, ლიდერებად კი არ იბადებიან,არამედ ადამიანს ლიდერად „აქცევს“ გარკვეული სოციალურ-ისტორიული მდგომარეობა. აქ ლიდერი თავის ნებას კი არ ახვევს საზოგადოებას, არამედ პირიქით, იგი თავად გამოდის საზოგადოებრივი მნიშვნელობის მატარებლად. ყველაზე მეტად ამგვარი მიდგომა დამახასიათებელია მარქსიზმისათვის, რომლის თანახმადაც, საზოგადოება ვითარდება ეკონომიკური ფაქტორებისა და კლასობრივი ბრძოლის გავლენით. ამ თეორიისათვის მნიშვნელოვანია არა ლიდერის პიროვნება,არამედ ის საზოგადოებრივი ინტერესები, რომლებსაც იგი გამოხატავს. მარქსი გამონაკლისს ხედავდა ბონაპარტიზმში[6] იმ სახით რა სახითაც ის ჩამოყალიბდა საფრანგეთში სახელმწიფოებრივი გადატრიალების შემდეგ და რომელსაც ახორციელებდა ლუი ბონაპარტი 1851 წელს. ამ რეჟიმში მარქსმა დაინახა წმინდა პიროვნული დიქტატურა, რომელიც ჩამოყალიბდა იმ განსაკუთრებულ ისტორიულ მომენტში, როდესაც ბურჟუაზიამ დაკარგა ძალაუფლება, ხოლო პროლეტარიატი მოუმზადებელი აღმოჩნდა, რათა ხელში აეღო მართვის სადავეები. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი

მარქსი ვარაუდობდა,რომ ლუი ბონაპარტის დიქტატურა მაინც გამოხატავდა კლასების, კერძოდ მაშინდელ საფრანგეთში რიცხობრივად გაზრდილი წვრილი გლეხობის ინტერესებს. ანალოგიურად ტროცკი (იხ. გვ. 443) აანალიზებდა რა სსრკ-ში სტალინიზმის რეჟიმს, წერდა იმის შესახებ, თუ რამდენად დიდი როლი შეასრულა სახელმწიფო აპარატმა სტალინის აღზევებაში. ამავე თემასთან ახლოს მდგომი კიდევ ერთი იდეის თანახმად ლიდერობა კოლექტიური ქცევის შედეგია. როგორც ოდესღაც თავის პიონერულ ნაშრომში „ბრბო“ (The crowd, 1895) გუსტავ ლებონი წერდა, ლიდერები ყოველთვის მიჰყვებიან მასას და არასოდეს პირიქით.

ლიდერობის მესამე კონცეფცია ამ ფენომენს განმარტავს წმინდა ტექნიკური და რაციონალური თვალსაზრისით: აქ იგი წარმოდგენილია როგორც საპასუხო მოვლენა ნებისმიერი თანამედროვე ორგანიზაციის, განსაკუთრებით კი ისეთის მოთხოვნილებებზე, რომელიც შიდა ერთიანობასთან და ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული სირთულეებით გამოირჩევა. ამ გაგებით ლიდერობის ფენომენი „მხარდამხარ“ მისდევს ბიუროკრატიის ფენომენს. თანამედროვე ფართომასშტაბიანი ორგანიზაციები საჭიროებენ ფუნქციების სპეციალიზაციასა და შრომის დანაწილებას, ეს კი თავის მხრივ ქმნის თანამდებობებისა და მოვალეობების იერარქიას. ასეთ ვითარებაში აუცილებლად წარმოიქმნება ლიდერობა, რომელიც ძალიან ახლოს დგას ვებერისეულ რაციონალურ-სამართლებრივ ხელისუფლებასთან: იგი მეტნაკლებად უპიროვნოა და ეფუძნება ფორმალურ, მკაფიოდ გაწერილ წესებს. აუცილებელია გავიხსენოთ, რომ, როდესაც სახელმწიფო მართვამ შეიძინა კონსტიტუციური ხასიათი,პოლიტიკურ ლიდერებს განკარგულებაში გადაეცათ ბიუროკრატიული აპარატი. უნდა აღინიშნოს,რომ ლიდერობის ამგვარი „ბიუროკრატიული“ გაგება უპირისპირდება დემოკრატიულ პროცესს, რომელიც ლიდერებს აიძულებს მოიპოვონ და შეინარჩუნონ ძალაუფლება, და პირიქით, მოახდინონ თავიანთი ქარიზმისა და წმინდა პიროვნული თვისებების დემონსტრირება.

დაბოლოს,უკანასკნელი კონცეფცია ლიდერობას ახასიათებს, როგორც თავისებურ „ნასწავლ როლს“, უნარს, ჩვევას, ერთი სიტყვით როგორც ხელოვნებას, რომელსაც შეიძლება დაეუფლოს ადამიანი და პრაქტიკაში განახორციელოს ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, წინასწარაა ნავარაუდევი,რომ ლიდერი მოახდენს მასებით მანიპულირებას, მაგრამ მეორე მხრივ, ამაში ჩანს მასობრივი კომუნიკაციების ეპოქაში არსებული დემოკრატიული პროცესის გარდაუვალი ხასიათი. ამ კონცეფციასთან ახლოს დგას პიროვნების კულტის პრობლემატიკა, რომელიც იქმნებოდა ისეთი პიროვნული ძალაუ-

ფლების სიმტკიცისათვის, როგორებიც იყო, მაო ძედუნის, პოლკოვნიკ კადაფისა და სადამ ჰუსეინის რეჟიმები. უფრო მეტიც, ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქარიზმატული ფიგურების არსებობა სინამდვილეში გულმოდგინე და გეგმაზომიერი მუშაობის შედეგია. ასე მაგალითად, სტალინი საკუთარი მიზნებისათვის ნერგავდა ლენინის კულტს, რასაც ემსახურებოდა მავზოლეუმის დაარსება წითელ მოედანზე, ათასობით ძეგლი და ათიათასობით ლენინის სახელობის ქუჩა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამის შემდეგ „ლენინის საქმის გამგრძელებელს“ ისღა დარჩენოდა ეცადა როდის გადავიდოდა აღნიშნული კულტი მასზე.

თავის დროზე საკმაოდ გულმოდგინედ ხდებოდა ნიურნბერგში ჰიტლერის გამოსვლის ინსცენირება, რაზეც პასუხისმგებელი იყო ალბერტ შპეერი. დეტალურად მუშავდებოდა ფიურერის ყოველი სიტყვა და ჟესტი: მთელი წარმოდგენა იმგვარად ეწყობოდა, რომ ჰიტლერის გამოჩენისათვის ატმოსფერო უკიდურესად ემოციური ყოფილიყო. შეუძლებელია იმის თქმა,რომ თანამედროვე ლიდერებს არა აქვთ მოთხოვნილება სათანადოდ წარმოაჩინონ საკუთარი თავი, თუმცა, ტელევიზიის ეპოქაში ისინი იძულებულნი არიან იყვნენ უფრო თავმდაბლები და კეთილმოსურნენი, ვიდრე ეს მათ მიტინგებისა და პოლიტიკური დემონსტრაციების ეპოქაში მიეცათ თავისი თავისთვის, მაგრამ თავისი „როლი“, თუნდაც სატელევიზიო კამერების წინ დღესაც ბევრს ავიწყდება: თანამედროვე პერიოდში ამას უკვე მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წინასწარ მომზადებული მრჩევლები და PR-ის ოსტატები ემსახურებიან.

ლიდერობის სტილი

ცნება „ლიდერობის სტილი“ განეკუთვნება იმ მოდელებსა და სტრატეგიებს,რომელთა მეშვეობითაც ლიდერი ცდილობს საკუთარი მიზნების განხორციელებას. ერთმხრივ, რომ არ არსებობენ ერთნაირი სახის ლიდერები, ასევე განარჩევენ ლიდერობის მეთოდებსა და სტილს, რომლებიც განაპირობებენ ამა თუ იმ სტრატეგიის არჩევას. უფრო ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თავად პოლიტიკოსის პიროვნებასა და მიზნებს, იმ ინსტიტუციონალურ გარემოს, რომელშიც იგი იმყოფება, ასევე ხელისუფლებაში მოსვლის მექანიზმს, რომელიც მოცემულ პოლიტიკურ სისტემაში მოქმედებს, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებსა და საზოგადოების უფრო ფართო პოლიტიკურ კულტურას. მკვლევარები გამოყოფენ ლიდერობის სამ სტილს (ბერნსი, 1978):

- „ჩაურევლობის სტილი“;
- „კოორდინატორის სტილი“;
- „რეფორმატორიეს სტილი“.

„ჩაურევლობის“ სტილისათვის დამახასიათებელია ლიდერის გამოსვლა პიროვნული პასუხისმგებლობისა და კომპეტენტურობის ვიწრო წრიდან: ხატოვნად რომ ვთქვათ, ურიცხვი სამინისტროებისა და უწყებებისაგან შემდგარი სახელმწიფო მანქანის „საჭესთან ყოფნა“ არ არის მისი სტიქია. ასეთი ლიდერის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ რეიგანი, რომელსაც ნაკლებად აღელვებდა საკუთარი ადმინისტრაციის ყოველდღიური საქმეები. როგორც ჩანს, თავდაპირველად ჯორჯ ბუშ-უმცროსიც ცდილობდა თავისი მრჩევლებისათვის უფლებამოსილებათა ფართო წრის დელეგირებას, სანამ ე.წ. „ბრძოლამ ტერორიზმთან“ არ აიძულა მიეღო ლიდერობის უფრო აქტიური სახე. რასაც „ჩაურევლობის“ ტიპი არ გამორიცხავს, ეს არის წმინდა იდეოლოგიური ხასიათის ლიდერობა,უფრო მეტიც, იგი გულისხმობს საკითხებზე სტრატეგიული ხედვის აუცილებლობას. გარდა ამისა, აღნიშნულ მიდგომას აქვს კიდევ ერთი ძლიერი მხარე: რამდენადაც ხელქვეითებს ეძლევათ მეტი თავისუფლება, ასეთ პირობებში იოლად ჩნდება გუნდური სულისკვეთება, ლიდერს კი, ყოველდღიური საქმეებისაგან ჩამოცილების შემდეგ, ეძლევა უფრო მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ელექტორალურ პრობლემებზე კონცენტრირების საშუალება. ამ ტიპის სუსტ მხარეს წარმოადგენს ის, რომ ცუდად ხდება საერთო სამთავრობო პოლიტიკის კოორდინირება, ხოლო მინისტრებსა და უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებს ეძლევათ მოქმედების მეტისმეტად უკონტროლო თავისუფლება. თუკი დავუბრუნდებით რეიგანის თემას, მაშინ აღსანიშნავია ისიც, თუ რამდენად გაუთვითცნობიერებელი იყო იგი „ირან-კონტრას“ საკითხში, მიუხედავად იმისა, რომ ცსს-სა და თეთრი სახლის თანამშრომელთა მუშაობაზე პასუხს სწორედ ის აგებდა.

„კოორდინატორის“ ტიპი გულისხმობს სახელმწიფო მართვის პროცესში ლიდერის საკმაოდ აქტიურ და გაცილებით უფრო გულმოდგინე მონაწილეობას, თუმცა ამ სახის ლიდერები უფრო ხშირად ამოდიან წმინდა პრაგმატული მოსაზრებიდან – შეინარჩუნონ ერთიანობა საკუთარი პარტიის რიგებში, დაიცვან ერთიანი ხაზი მთავრობაში და გააფართოვონ ელექტორატის მხარდაჭერა. ხატოვნად მათ შეიძლება ეწოდოთ ბროკერები – შუამავლები, რომლებიც კოლეგიალურ მთავრობაში მუდმივად არიგებენ ოპონენტებს, ეძებენ კომპრომისებს და ერთმანეთში აწონასწორებენ ფრაქციებს. აშშ-ში ამ ტიპის ლიდერები იყვნენ ლინდონ ჯონსონი და ჯორჯ ბუშ-უფროსი, დიდ ბრიტანეთში კი – ჰაროლდ ვილსონი და ჯონ

მეიჯორი. ამ ფიგურებში ყოველთვის შეინიშნებოდა მენეჯერისა და ტექნოკრატის თვისებები: მათთვის ყველაზე მაღლა დგას საქმე, სხვა დანარჩენი კი ადვილად რეგულირდება. თუმცა ამ ტიპს აგრეთვე გააჩნია საკუთარი „აქილევსის ქუსლიც“: ამ სახის ლიდერებში ადვილად შეიძლება დავინახოთ ოპორტუნისტები – პოლიტიკოსები მკაფიო პრინციპებისა და ნათელი მიზნების გარეშე. ხშირად ისინი არც მალავენ ამას. მაგალითად, ჯორჯ ბუშ-უფროსმა 1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე განაცხადა, რომ მას არ ესმის ისეთი ცნებები, როგორიცაა „სტრატეგიული ხედვა“, რითაც საგრძნობი ზიანი მიაყენა საკუთარ რეპუტაციას.

ლიდერობის მესამე სახეა „რადიკალი რეფორმატორის“ ტიპი. ასეთი ლიდერები არიან არა იმდენად კოორდინატორები,რამდენადაც შთაგონების სუბიექტები, უფრო მეტიც, ისინი არიან ვიზიონერები, წინასწარმეტყველები, წინამძღვრები. მათთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ პრინციპული იდეოლოგიური რწმენა,არამედ ასევე პოლიტიკური თავისუფლება იმისთვის, რათა განახორციელონ საკუთარი იდეები. ისინი არ ეძებენ კომპრომისებსა და კონსენსუსებს, არამედ მთავრობაში მხარდაჭერისათვის პირდაპირ აპელირებენ თავიანთ მებრძოლებთან, საკუთარ პარტიასთან, დაბოლოს, მთლიანად საზოგადოებასთან. გარდნერმა ამასთან დაკავშირებით შენიშნა (Howard Gardner, 1966): ლიდერი არის ადამიანი,„რომელიც ქმნის ლეგენდას“; მისი ძლიერება კი იმით განისაზღვრება,თუ რამდენად კარგად განასახიერებს თავად ის ამ ლეგენდას და შესწევს თუ არა ძალა გაუძღვეს საზოგადოებას.

ასე მაგალითად, გენერალმა დე გოლმა მოახდინა ყველაფრისა და პოლიტიკურ ლიდერობაზე ყველანაირი წარმოდგენის გადატრიალება არა მარტო იმით, რომ შეიქმნა მეხუთე საპრეზიდენტო რესპუბლიკა, არამედ იმითაც, რომ საკუთარ თავზე აიღო „სამშობლოს მამისა“ და „საფრანგეთის ლიდერის“ როლი. ხელმძღვანელობის ანალოგიური ტიპი დამახასიათებელი იყო მარგარეტ ტეტჩერისთვისაც,რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა ლოზუნგით „რწმენის მთავრობა“. დღეს ისეთი ცნებების ხშირი გამოყენება, როგორიცაა „გოლიზმი“ და „ტეტჩერიზმი“, ყველაზე კარგად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად დიდი გავლენა იქონიეს ამ პიროვნებებმა პოლიტიკასა და იდეოლოგიაზე.

მაგრამ რა სახის მმართველობასაც არ უნდა მიმართონ, პოლიტიკურმა ლიდერებმა დღეს კარგად იციან,რომ მათ წინაშე დგას გაცილებით უფრო რთული პრობლემები, ვიდრე მათი წინამორბედის დროს იდგა. ამის ხაზგასმა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ლიდერისადმი საზოგადოებრივი მიდგომა,მათი საქმიანობის

შეფასება გავლენას ახდენს ადამიანების დამოკიდებულებაზე პოლიტიკის მიმართ. პირველი პრობლემა, რომელიც დღევანდელი პოლიტიკური ლიდერების წინაშე დგას მდგომარეობს იმაში,რომ თავად საზოგადოება იმდენად რთული გახდა, იმდენად დიდია მასზე გლობალური ხასიათის პროცესების გავლენა, რომ პოლიტიკოსებისათვის სულ უფრო რთული ხდება „საქმის კეთება“. ისინი თითქოს განწირულები არიან წარუმატებლობისათვის, რომ საზოგადოებას იმედს გაუცრუებენ. მეორე პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: პოლიტიკური ლიდერობა სუსტდება იმ მხრივ, რომ საზოგადოებრივი ცნობიერებიდან ქრება ის სრულიად ნათელი და გასაგები წარმოდგენა, რომელიც დამახასიათებელი იყო ძველი დროის იდეოლოგიისათვის. დღეს გაცილებით რთულია „ლეგენდის შექმნა“ და მის კვალდაკვალ საზოგადოების გაძღოლა, ვიდრე ეს წარსულში იყო შესაძლებელი.

მესამე პრობლემის თანახმად დღევანდელი საზოგადოება იმდენად მრავალფეროვანი და ფრაგმენტული ხდება,რომ ლიდერებს სულ უფრო უძნელდებათ მისთვის ისეთი პროგრამის შეთავაზება, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთო კულტურასა და ღირებულებებზე. დაბოლოს მეოთხე პრობლემის მიხედვით დღეს არსებობს ყველანაირი საფუძველი იმისათვის, რომ ვისაუბროთ საზოგადოების „პოლიტიკურ“ და „არაპოლიტიკურ“ ჯგუფებს შორის განხეთქილებაზე,რადგანაც დღევანდელი პოლიტიკური ლიდერები უმეტესად წარმოადგენენ კარიერისტ პოლიტიკოსებს, რომლებიც თავიანთი ცხოვრების სტილით, მსოფლმხედველობითა და ენითაც კი ძალიან დაშორებულნი არიან რიგითი მოქალაქეების მასებისაგან. რა თქმა უნდა პოლიტიკოსებს შეუძლიათ ისაუბრონ უბრალო ხალხის იმ იმედებსა და მოლოდინებზე, რომლებსაც თავადვე გამოხატავენ, მხოლოდ სწორედ უბრალო ხალხისათვის ეს ყველაფერი უკვე „ძალზედ შორეულია“. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებაში იზრდება განკერძოება ტრადიციული პოლიტიკისაგან და ლიდერის ძიებას იგი სრულიად სხვა სფეროებში იწყებს.

დასკვნები

• სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი შტო პასუხისმგებელია პოლიტიკის „შესრულებაზე“ – მის რეალიზაციაზე. ეს შტო იყოფა „პოლიტიკურ“ და „ბიუროკრატიულ“ ნაწილებად: პირველი წარმოადგენს საკუთრივ „მოქმედ მთავრობას“ ან „ადმინისტრაციას“, მეორე – სახელმწიფო მოხელეთა კორპუსს. უნდა გვესმოდეს, რომ პოლიტიკური პროცესის დღევანდელი სირთულეების

პირობებში ამ ორ ნაწილს შორის ზღვარის გავლება ხშირად არც ისე იოლია;

• აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური ასრულებს რამოდენიმე მნიშვნელოვან ფუნქციას: წარმოადგენს სახელმწიფოს ცერემონიალური ხასიათის ღონისძიებებს, ახორციელებს პოლიტიკის შემუშავების პროცესის სტრატეგიულ ხელმძღვანელობას, აკონტროლებს სახელმწიფო სამსახურის აპარატს, კრიზისულ ვითარებაში იღებს სასიცოცხლო მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს;

• საპრეზიდენტო სისტემებში აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც ითავსებს სახელმწიფო მეთაურისა და მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებებს, მაგრამ ამავე სისტემაში მის საპირწონედ გვევლინება პარლამენტი, რომელიც ფლობს კონსტიტუციურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. საპარლამენტო სისტემებში პრემიერ-მინისტრი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს ორ სფეროში: ერთში იგი დაკავშირებულია კაბინეტთან, ცალკეულ მინისტრებთან და სამინისტროებთან, მეორეში კი – საკუთარ პარტიასა და საკანონმდებლო კრებასთან, რომელიც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს მისი ხელისუფლების წყაროს;

• ხელისუფლება, რომელსაც ფლობენ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები, არსებითად გაძლიერდა ისეთი ფაქტორების ზეგავლენით, როგორიცაა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ტენდენცია, უპირატესად გააშუქოს მოვლენის გარეგნული და წმინდა პიროვნული ასპექტები; ანალოგიური მექანიზმი, რომელიც მოქმედებს ელექტორალურ პროცესში; უმაღლეს დონეზე შეხვედრებისა და საერთაშორისო ვიზიტების პრაქტიკის გაფართოება; და ბოლოს, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა რთულ სტრუქტურაში პოლიტიკური და იდეოლოგიური ლიდერობის საჭიროება. თუმცა სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა ხელისუფლებას გააჩნია თავისი საპირწონეები, კაბინეტების, პარტიების, საკანონმდებლო კრბების და სახელმწიფო სამსახურის აპარატების სახით;

• პოლიტოლოგები განსხვავებულად განიხილავენ პოლიტიკური ლიდერობის საკითხს. მას განიხილავენ როგორც წმინდა ინდივიდუალური უნარის – ქარიზმის განსახიერებას და როგორც სოციოლოგიურ ფენომენს,სადაც ლიდერები წარმოადგენენ ამა თუ იმ სოციალურ-ისტორიული საკითხების არსსა და აზრს; როგორც პასუხს ორგანიზაციაში ერთიანობისა და გუნდური მუშაობის პრინციპს; „კოორდინატორის“ ტიპს მუდმივად თან ახლავს წონასწორობის ძიება მთავრობაში ფრაქციებსა და ინტერესებს შორის; „რადიკალი-რეფორმატორის“ ტიპი აქცენტს აკეთებს საზოგადოების სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე.

თავი XV
არმია და პოლიცია

არც ერთი პოლიტიკური სისტემა არ არსებობს მხოლოდ და მხოლოდ თავისი პოლიტიკური ლეგიტიმურობის ან ადმინისტრაციული ეფექტიანობის ძალით. ყველა ისინი, ვინ მეტად და ვინ ნაკლებად თავისი სიღრმისეული ფესვებით ფლობენ ძალაუფლებას, იძულებითი ხასიათისაა, რაც ხორციელდება არმიისა და პოლიციის საშუალებით. ამ ძალაუფლებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფუნქციები და პოლიტიკური ამოცანები. არმია შეიძლება იყოს ორიენტირებული გარეშე მიზნებისაკენ, მაგრამ ამასთანავე საშინაო საქმეებისაკენ; მას გამოიყენებენ საზოგადოებრივი უწესრიგობის ჩასახშობად ან არაპოპულარული მთავრობის მხარდასაჭერად. მას (ძალაუფლებას) შეუძლია გამოვიდეს არენაზე როგორც მთელი რიგი ინტერესების მძლავრ დამცველს და გამტარებელს ან გახდეს სამხედრო რეჟიმის საფუძველი სამოქალაქო რეჟიმის დამხობის შემდეგ. პოლიციასაც შეუძლია ასევე დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და სამოქალაქო თავისუფლება, ან გადაიქცეს პოლიტიკური რეპრესიების იარაღად, მით უმეტეს გადაიქცეს პოლიციური სახელმწიფოს საფუძვლად. ამ ინსტიტუტების პოლიტიკური ძალა იმდენად უზარმაზარია, რომ კითხვები იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია და როგორ უნდა გააკონტროლოს საზოგადოებამ ის, არასოდეს არ მოხსნილა პოლიტიკის დღის წესრიგიდან.

არმია და პოლიტიკა

ამ საკითხის განხილვისას უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ტიპის შეიარაღებული ძალების სათავეები იწყება გვიანდელი შუასაუკუნეების პერიოდში, მაშინ, როცა ევროპის სახელმწიფოებმა დაიწყეს რეგულარული არმიების შექმნა. XIX საუკუნეში არმია გადაიქცა საზოგადოებრივ ინსტიტუტად, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პროფესიონალური სარდლობა – ინსტიტუტი, რომელიც მკვეთრად იყო გამიჯნული მთელი საზოგადოებისაგან. შემდეგ კი დადგა ევროპული კოლონიალიზმის ეპოქა და არმიის ამ მოდელმა გავრცელება ჰპოვა მთელს მსოფლიოში, რითაც გახდა თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი კომპონენტი. ერთადერთ გამონაკლისს დღეისათვის წარმოადგენს პუერტო-რიკო და ისიც იმიტომ, რომ ამ სახელმწიფოს უსაფრთხოება დაცულია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო შეიარაღებული ძალებით.

არმია წარმოადგენს სავსებით განსაკუთრებულ პოლიტიკურ ინსტიტუტს. მისი თავისებურება ისაა, რომ მისი უპირატესობა სამოქალაქო ინსტიტუტებზე გამოიხატება ოთხი ფაქტორით. პირველ რიგში არის რა ომის იარაღი, არმია ფლობს თავის ხელში შეიარაღების თითქმის მთელ მონოპოლიას და გააჩნია დათრგუნვითი ხასიათის უზარმაზარი პოტენციალის ძალაუფლება. რამდენადაც მას შეუძლია მხარი დაუჭიროს ნებისმიერ რეჟიმს, ან დაამხოს იგი, არმიის ამ რეჟიმთან ურთიერთობაზეა დამოკიდებული მისი არსებობა. მეორეს მხრივ, შეიარაღებული ძალები თავისი არსით არიან უმაღლეს დონეზე ორგანიზებული დისციპლინარული სტრუქტურები, აქ არსებობს ზედმიწევნით მკაფიოდ გარკვეული იერარქია და მტკიცედაა დამკვიდრებული ბრძანებათა შესრულების კულტურა. გარკვეულწილად ეს არის ბიუროკრატიის ლოგიკურად უკიდურესი ვარიანტი იმ გაგებით, როგორც ეს ესმოდა მ. ვებერს. ყველაფერი ეს აძლევს არმიას არაჩვეულებრივად ორგანიზებულ ეფექტურობას, თუმცა მეორეს მხრივ, შეიძლება ყველაფერ ამას მისცეს კონსერვატიზმის ელემენტების ელფერი. მესამეც, არმიისათვის დამახასიათებელია სავსებით სპეციფიკურ კულტურათა და ღირებულებათა მთელი ნაკრები: ესე იგი, სამხედრო პროფესიის ის სულისკვეთება, რომელიც უბიძგებს ხალხს იომონ, მოკლან, და თუ საჭირო იქნა, მოკვდნენ კიდეც, არმია აღიქმება როგორც განსაკუთრებით კონსერვატიული და ძალზე ავტორიტარული ინსტიტუტი (რადგანაც მასში დამკვიდრდა დისციპლინის,მორჩილების,წოდებათა ურთიერთდაქვემდებარების, ვალდებულებისა და ღირსების ტრადიციები), მაგრამ შეიძლება იყოს სხვა პოლიტიკური იდეალების მომხრეც – ასე მაგალითად, რევოლუციური სოციალიზმის, როგორც ესაა ჩინეთში, ან ისლამური ფუნდამენტალიზმის, როგორც ეს ირანშია და ბოლოს, მეოთხეც, შეიარაღებული ძალები შეიძლება ჩავთვალოთ და თვით ისინიც აღიქვამენ თავის თავს როგორც ძალას, რომელიც დგას პოლიტიკაზე მაღლა: ვარაუდობენ, რომ არის რა სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და ერთიანობის (მთლიანობის) გარანტი, შეიარაღებული ძალები ემსახურებიან საერთო ეროვნულ ინტერესებს. ერთი მხრივ, ეს აძლევს არმიას ყველაზე მაღალ საზოგადოებრივ სტატუსს – ხოლო მეორე მხრივ, მან იმავე მიზეზით შეიძლება გამოიჩინოს მიდრეკილება პოლიტიკაში ჩარევისადმი, მაშინ, როდესაც არმიის სარდლობა დარწმუნებულია, რომ ქვეყნის ეროვნული ინტერესები საფრთხის წინაშე დგანან.

და ბოლოს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთოდ არც ისე ადვილია ილაპარაკო ეროვნული არმიების ბუნებისა და ხასიათების შესახებ, რადგანაც მათ შეუძლიათ ითამაშონ ძალზე განსხვავე-

ბული სხვადასხვა როლი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. არმია შეიძლება წარმოადგენდეს შემდეგს:

- ❖ ომის იარაღს;
- ❖ პოლიტიკური წესრიგისა და სტაბილურობის გარანტს;
- ❖ ინტერესთა სპეციფიკურ ჯგუფს;
- ❖ სამოქალაქო მართვის ალტერნატივას.

არმიის როლი ომის იარაღი

არმიის მთავარი ამოცანაა – საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ იქნას როგორც ომის იარაღი სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ. სწორედ ამ მიზეზით რეგულარული არმიების ჩამოყალიბება დაემთხვა ევროპის ახალი ისტორიის საწყის პერიოდში სახელმწიფოთა სისტემის ჩამოყალიბებას. მაგრამ პრინციპულ მომენტს წარმოადგენს ის, რომ შეიარაღებული ძალები უნდა ყოფილიყვნენ მზად არა მარტო სახელმწიფოს დაცვისათვის, არამედ თავდასხმითი ამოცანების შესრულებისთვისაც. გარეშე აგრესიის წინააღმდეგ თავდაცვისუნარიანობის აუცილებლობის უზრუნველყოფამ სწორედ რომ გადააქცია არმია თანამედროვე სახელმწიფოს აუცილებელ ელემენტად, რომელიც ასევე საჭიროა სახელმწიფოსათვის როგორც პოლიცია, სასამართლო ან, ვთქვათ, ფოსტა. მაგრამ, უნდა ავღნიშნოთ, რომ სახელმწიფოს თავდაცვის ფუნქციასთან, რაც ისედაც ნათელია, დაკავშირებულია ისევ არმიის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია თვით არმიის ბუნება და მისი რაოდენობა.

ერთი მხრივ, შეიარაღებული ძალები უნდა იყვნენ საკმაოდ ძლიერნი, რათა შეძლონ აგრესიის მოგერიება, მაგრამ კიდევ უფრო უკეთესია, თუ გამოვრიცხავთ ამ საშიშროებას პოტენციური აგრესორის შეშინების პრინციპით. აქ პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ამ შემთხვევაში ყოველთვის იწყებოდა გამალებული მზადება შეიარაღებისათვის, კიდევ მეტიც, იწყებოდა ომი, იმდენად, რამდენადაც თავდაცვითი პოტენციალის ზრდა აღიქმებოდა მეზობელი სახელმწიფოების მიერ როგორც თავდასხმითი პოტენციალის გაძლიერება და შედეგად იწვევდა საერთაშორისო დაძაბულობას. სწორედ ასეთი ვითარება იყო მაგალითად მაშინ, როდესაც დაიწყო საზღვაო შეიარაღების გამალებული ზრდა დიდ ბრიტანეთსა და იმპერიულ გერმანიას შორის პირველი მსოფლიო ომის (1914 წელი) დაწყების წინ, რაც გახდა ომის დაწყების მიზეზი. მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ის, რომ გამალებულმა შეიარაღებამ შეიძლება ხელი

შეუწყოს ძალაუფლებათა ბალანსს საერთაშორისო ურთიერთობებში და შედეგად შეამციროს ომის საშიშროება, როგორც ეს იყო ცივი ომის წლებში.

მეორე შემთხვევაში, თუკი არმია თავის თავზე იღებს თავდაცვით როლს, ის წირავს თავის თავს ხანგრძლივი უმოქმედობისათვის. ამ დროს მან უნდა შეინარჩუნოს მაღალი ბრძოლისუნარიანობა, რომელიც მას შეიძლება არასოდეს დასჭირდეს.

უფრო მეტ მკაცრ პოლიტიკას არმიისადმი მიმართებაში ატარებდა საბჭოთა კავშირში სტალინი„ 1930-იანი წლების დასაწყისში ჩატარებული სამხედრო რეფორმის დროს, რომელიც მიმართული იყო არმიის პროფესიონალიზაციაზე, მოსალოდნელი საფრთხის წინაშე, რომელიც გერმანიის მხრიდან მოდიოდა. 1937 წელს ის უცბად ჩაიხშო სისხლში: დაიხვრიტა ყოველი ხუთიდან 3 საბჭოთა მარშალი და არმიის 15 სარდლიდან ყოველი 13. საერთოდ საბჭოთა სარდლების 90 პროცენტმა, პოლკოვნიკების 80 პროცენტმა და საშუალო წოდების დაახლოებით 30 000 ოფიცერმა დაკარგეს თავისი თანამდებობანი და ზოგიერთმა მათგანმა სიცოცხლეც კი. გამოცდილებისა და არმიის მომზადების თვალსაზრისით, არმია ფაქტობრივად აღმოჩნდა შეუიარაღებელი და დემორალიზებული იმ მომენტში, როცა მას 1939-40 წლებში მოუხდა ომი ფინეთთან.

უმეტეს შემთხვევაში არმიაში შეღწევის მოდელი ითვალისწინებს არა იმდენად პოლიტიკურად არასაიმედო მეთაურების მოშორებას, რამდენადაც სწორი პოლიტიკური შეხედულებებისა და ფასეულობების პროპაგანდას. ერაყის ხელისუფლებაში სადამ ჰუსეინის 1979 წლიდან მოსვლის დროიდან, ბასის მთავრობა ყოველნაირად ნერგავდა პანარაბულ ნაციონალიზმს, არაბთა გაერთიანებას და მათ გათავისუფლებას „დასავლური იმპერიალიზმისაგან“ და სიონიზმისაგან. სწორედ ასეთი მიზნებით ხსნიდა რეჟიმი 1980 წელს ირანის ტერიტორიაზე შეჭრას, აგრეთვე 1990 წელს კუვეიტის ანექსიის მცდელობას.

არმია როგორც ინტერესების დაჯგუფება

ზემოთ წარმოდგენილი იყო მოსაზრება შეიარაღებული ძალების შესახებ, როგორც პოლიტიკურ ინსტრუმენტებზე, რომელიც მთავრობას იყენებს თავის შიდა პოლიტიკურ და საერთაშორისო სამსახურში, სინამდვილეში კი აქცევს მათ ინსტრუმენტად, რომელთაც მთავრობისგან პირწმინდად აქვთ წართმეული ყველა საკუთარი ინტერესი; ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს იყო რაღაც ინტერესების დაჯგუფება და ყველა მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებით ცდი-

ლობდა ზემოქმედება მოეხდინა პოლიტიკის არსზე. ამ საქმეში კი ის ფლობდა ზემოქმედებისა და ზეგავლენის ყველა საიმედო ბერკეტს.

პირველ რიგში არმია ინფორმაციისა და ცოდნის უზარმაზარი მატარებელია; თუმცა თეორიის თანახმად იგი უნდა ემორჩილებოდეს სამოქალაქო ხელმძღვანელობების განკარგულებებს და უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკურად ნეიტრალურ ძალას. ძნელი წარმოსადგენია, რომ მთავრობა არ უსმენდეს მას, ყოველ შემთხვევაში იმ საკითხებში, რომლებიც ეხება სამხედრო სტრატეგიას, თავდაცვას და უბრალოდ საერთაშორისო პოლიტიკას.

მეორეც, შეიარაღებული ძალები მონაწილეობენ ძირეული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესის შუაგულში, ისინი ფლობენ ხელისუფლების საკუთარ ინსტიტუციონალურ ბაზას. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ბაზები მაგალითად, ახორციელებენ თავის გავლენას უშუალოდ თავდაცვის სამინისტროს – პენტაგონის, ეროვნული უშიშროების საბჭოს და აგრეთვე შეიარაღებული ძალების საკითხების საკონგრესო კომიტეტების საშუალებით. და ბოლოს, მესამე რიგში არმია თავის მხრივ მუდმივ „დივიდენდებს“ იღებს იმიტომ, რომ საზოგადოება ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უშიშროების საკითხებს; ერთი სიტყვით, გამოხატავენ რა თავის აზრს სამხედრო სიძლიერის და სამხედრო ხარჯების ზრდის შესახებ, სამოქალაქო პოლიტიკოსებს შეუძლიათ ამომრჩეველთა დამატებითი ხმების იმედი იქონიონ.

„საზოგადოებრივი არჩევანის“ კონცეფცია ჩინოვნიკების მიმართ ამბობს, რომ ყველაზე მეტად ისინი წუხან თავის კარიერაზე და უფრთხილდებიან მას. ასევე შეიძლება დამაჯერებლად ვთქვათ სამხედრო სარდლობის მიმართ, რომ ის მოწადინებულია გზა გაუკვალოს იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მუშაობენ არმიის სტატუსზე და საზოგადოებაში მისი განსაკუთრებული მდგომარეობის გაფართოება-გაუმჯობესებაზე. ამ შემთხვევაში არმია წარმოადგენს კლონირების ჯგუფს, რომელიც იყენებს პოლიტიკური ძალაუფლების ყველა შესასვლელს, ოღონდაც მიაღწიოს სამხედრო ბიუჯეტის ზრდას.

დღეს თითქმის საყოველთაოდ აღიარებულია, რომ „ცივ ომს“ თავის დროზე ამძაფრებდნენ აშშ-სა და სსრკ-ს სამხედრო სახელმწიფო კომპლექსები. ამასთანავე ორივე მხარე იყო დაინტერესებული იმით, რომ მეორე მხარის თავდაცვითი შესაძლებლობანი წარმოეჩინათ გადაჭარბებულად და იქიდან გამომდინარე სტრატეგიული მუქარები. ზოგიერთი მონაცემებით საბჭოთა კავშირის ხარჯებმა სამხედრო და მომიჯნავე მიზნებისათვის XX ს. 80-იან წლებში მიაღწიეს საერთო ეროვნული პროდუქციის 80 პროცენტს, ხოლო თავდაცვითი კომპლექსი იყო განვითარებადი ეკონომიკის ერთადერთი ეფექტური სექტორი. ამავე დროს აშშ-ს სამხედრო ხარჯები იყო საერთო ეროვნული ხარჯების არაუმეტეს 6 პროცენტი. რეალური გაანგარიშებით ეს იყო 10 პროცენტით ნაკლები საბჭოთა კავშირთან შედარებით.

ანალოგიური რამ ხდებოდა საქართველოში, როცა სამხედრო ხარჯები 2000 წლის 15 მილიონიდან გაიზარდა 900 მილიონ დოლარამდე, თუმცა რუსეთთან ომი 2 დღეში წავაგეთ. აგრეთვე არის საფუძველი გვეთქვა, რომ 1991 წ. „სპარსეთის ყურეში წარმოებული ომის“ უკან იდგნენ ამერიკის წამყვანი სამხედრო მეიჯარე-გამრიგებლები. ამით მათ მიეცათ საშუალება გაეკეთებინათ უახლესი სამხედრო მიღწევების დემონსტრირება. მაგალითად ისეთის, როგორიც იყო თვითმფრინავი „სტელსი“, ფრთიანი და „პატრიოტის“ სისტემის რაკეტები და ამის შედეგად მიეღწიათ კიდევ უფრო მეტი სამხედრო ასიგნებისათვის. მეორე მხრივ არ იქნებოდა სწორი დავინახოთ შეიარაღებულ ძალებში „ომის გამჩაღებელი“, მაგალითად ამერიკის პრეზიდენტის ბუშის მთავარი სამხედრო მრჩეველი კოლინ პაუელი უხალისოდ დათანხმდა სამხედრო გადაწყვეტილებას „ყურეში კრიზისის“ შესახებ, რადგანაც მას ეშინოდა მატერიალური და მორალური ზარალის, რომელიც შეიძლება განეცადა ამერიკის შეიარაღებულ ძალებს ამ ომში ყოველგვარი ნათელი პოლიტიკური მიზნების განსაზღვრის გარეშე. უმცროსი ბუშის დროსაც მას უკვე აშშ-ს სახელმწიფო მინისტრის პოსტი ეჭირა, დანარჩენ მაღალჩინოსან სამხედრო პირებთან ერთად არაერთხელ გამოუთქვამს აზრი იმის შესახებ, რომ ტერორიზმთან ომში საჭიროა მოიქცე მხოლოდ მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული და სტრატეგიული მიზნების არსებობისას, რათა აშშ-ს არმია არ იყოს ჩათრეული გაჭიანურებულ სამხედრო ოპერაციებში.

სამოქალაქო მმართველობის ალტერნატივა

სამხედროები არ არიან ყოველთვის თანახმა, რომ წარმოადგენდნენ ინტერესთა დაჯგუფებას და თავის მიზნებს აღწევდნენ სამოქალაქო პოლიტიკოსების საშუალებით: ფლობენ რა შეიარაღებას და იძულებითი ძალაუფლების უზარმაზარ პოტენციალს სამხედროები დრო და დრო პირდაპირ ერევიან პოლიტიკაში. ცალკეულ შემთხვევებში ასეთმა მოქმედებამ შეიძლება მოახდინოს სამხედრო მმართველობის დაფუძნება. არმიას აქვს იმის საშუალება, რომ შეინარჩუნოს ნებისმიერი არაპოპულარული რეჟიმი და ამასთანავე დაამხოს

იგი. გარემოებანი, რომელთა დროსაც სამხედროები მოდიან მმართველობაში, განიხილება შემდგომ ნაწილში. ჯერ კი ვისაუბრებთ იმ ფორმების შესახებ, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება სამხედრო მმართველობა. სამხედროებს გააჩნიათ მთელი რიგი თავისებურებანი, რომელთაგანაც ბუნებრივია მთავარია ის, რომლის საშუალებითაც სამხედრო დიქტატურაში ძალაუფლების განაწილება ხდება მკაცრი სუბორდინაციის პრინციპებით და გადაიქცევა „მბრძანებლობისა და დაქვემდებარების“ ჯაჭვად.

სამხედრო მმართველობის ერთ-ერთი სახეობაა – **ხუნტა** (წარმოსდგება ესპანური სიტყვისაგან JUNTA, რაც ნიშნავს საბჭოს მართვას). არის რა უმთავრესად ლათინო-ამერიკული გამოვლინება, ხუნტა წარმოადგენს საკუთრივ სამხედრო კოლექტიური მმართველობის ტიპს, რომლის ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენს ყველა ფეხოსანი საზღვაო და საჰაერო ჯარების წარმომადგენელთა საბჭო კლასიკურ ხუნტაში. ასე მაგალითად, 1978-83 წლების არგენტინაში სამოქალაქო პოლიტიკოსები სრულიად ჩამოშორებული იქნა ხელისუფლებისაგან, ხოლო პროფკავშირები და საერთოდ ჩვეულებრივი პოლიტიკური მოღვაწეობა საერთოდ აიკრძალა ქვეყანაში. ძალზე ხშირად ჯარების სხვადასხვა სახეობათა და ცალკეულ პიროვნებათა შორის მეტოქეობის გამო ძალაუფლება ხუნტაში გადადის ხელიდან ხელში. სხვა შემთხვევებში სამხედრო დიქტატურა თავს იყრის ერთი კაცის ირგვლივ: ამის მაგალითებია – პოლკოვნიკი პოპადოპულოსი 1974-84 წლების საბერძნეთში, 1973 წლის გადატრიალების შემდეგ გენერალი პინოჩეტი ჩილეში, გენერალი აბაცა 1993-98 წლების ნიგერიაში. აფრიკისათვის ამასთანავე დამახასიათებელია ისეთი მოვლენა, როგორიც იყო უმცროსი ოფიცრების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება: ასე იყო განაში 1979 წელს, როცა აქ ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ლეიტენანტმა ჯერი როულინგსმა, და ლიბერიაში 1980 წელს, როცა სამხედრო გადატრიალება მოაწყო სერჟანტმა სამუელ დოუმ.

როცა სამხედრო რეჟიმები ხელისუფლებაში მოდიან, ისინი აუქმებენ სამოქალაქო თავისუფლებებს და თრგუნავენ საზოგადოების პოლიტიკური აქტივობის ყველა წყაროებს: სიტყვის თავისუფლებას, დემონსტრაციებს, იკრძალება ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები და პროფკავშირები, მასობრივი ინფორმაციის წყაროებში მყარდება უმკაცრესი ცენზურა. ხშირად საქმე მთავრდება იმითაც, რომ სამხედროები ასეთ სიტუაციებში ამჯობინებენ „ ჩრდილში გასვლას“ და ფორმალურად გადასცემენ ძალაუფლებას რომელიმე „მეტნაკლებად აქტიურ სამოქალაქო ხელისუფლებას“. ასე მაგალითად მოხდა მაბუტუს მმართველობის დროს ზაირში, როდესაც ის მოვიდა ხელისუფლებაში

1965 წელს სამხედრო გადატრიალების შედეგად, მაგრამ შემდეგ მან ამჯობინა ჩამოშორებინა არმია პოლიტიკური ცხოვრებიდან და თვითონ ემართა სახელმწიფო ე.წ. „რევოლუციისთვის სახალხო მოძრაობის“ საშუალებით, რომელიც თვით მანვე დააარსა. 1960-70 წლებში ეგვიპტის სახელმწიფო, სამხედრო მმართველობიდან გადავიდა ავტორიტარულ სამხედრო მმართველობაზე გაალ ნასერისა და ანვარ სადათის დროს, რომლებიც თვით არმიის რიგებიდან მოვიდნენ. ამ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ქვეყანაში სამოქალაქო კაბინეტების ფორმირებამ და პარტიათა ჩამოყალიბებამ მოახდინეს რეჟიმის ლეგიტიმაცია, ხოლო ნასერმა და სადათმა მიაღწიეს არმიისგან შედარებით თავისუფლებას.

მაგრამ ზოგიერთ სამხედრო რეჟიმს ისეთი ბედიც ეწევა, როგორიცაა სრული კრახი. როცა არმია კომპრომეტირებულია სრული სამხედრო მარცხით. ამისათვის კი საჭიროა, რომ საზოგადოებაში ოპოზიციამ მიაღწიოს ისეთ გასაქანს, რომ მისი შეჩერება არ შეიძლებოდეს მარტო რეპრესიებით. ამის მაგალითს წარმოადგენს 1978 წელს ბერძენი გენერლების რეჟიმის დამხობა, როცა თურქეთმა ხელში ჩაიგდო კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილი და მეორე მაგალითი 1983 წელს არგენტინის ხუნტის დამხობა, როდესაც მან წააგო ფოლკლენდის ომი, მაგრამ ფილიპინების დიქტატორის მარკოსის დამხობა 1986 წელს მოხდა განსაზღვრულ ფაქტორთა კომბინაციით. ეს იყო მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისკენ, რომელსაც სათავეში ედგა კორასონ აკინო. და დიპლომატიური ზეწოლა აშშ-ს მხრიდან, მაგრამ აკინოს გამოცდილებამ გვიჩვენა ის, რომ თუ კი არმია გამოვიდა ყაზარმებიდან გარეთ, რათა მიიღოს უშუალო მონაწილეობა პოლიტიკაში, მისი უკან შებრუნება არაა ადვილი: მან ხელისუფლებაში ყოფნის 18 თვის განმავლობაში გადაიტანა სამხედრო გადატრიალების 3 ცდა.

არმიაზე კონტროლი

შეიარაღებული ძალების დიდი სიძლიერის არსებობისას შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი წარმოადგენენ პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს თუ არა, უმთავრეს ფაქტორს მაინც. სინამდვილეში ეს ასე არ არის, პოლიტიკაში არმიის პირდაპირი ჩარევის შემთხვევები, სამოქალაქო მთავრობის დამხობის მცდელობით საერთოდ არც ისე ბევრია და ყველა ისინი ძირითადად შემოფარგლულია ლათინური ამერიკით, აფრიკით და აზიის ცალკეული ნაწილებით. დასავლურ დემოკრატიებს კი, წარსულში ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოებს,

არსებითად არ განუცდიათ სერიოზული სამხედრო გადატრიალებანი. საერთო წესებიდან ერთ-ერთ გამონაკლისს წარმოადგენდა 1945 წელს: საფრანგეთი 1958 წელს და 1961 წლებში (პირველი გადატრიალების შედეგი იყო მეოთხე რესპუბლიკის დამხობა, მეორე ვერ მოხერხდა); პორტუგალია 1974 წელს, როცა არმიამ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება „ნაციის სახელმწიფოს მხრიდან ხელყოფის აცილების მიზნით“ და ესპანეთი 1981 წელს, როცა მისმა შეიარაღებულმა ძალებმა სცადეს სახელმწიფო გადატრიალება. რაც შეეხება კომუნისტურ სამყაროს, აქ შემდეგი გამონაკლისია: არშემდგარი გადატრიალება ჩინეთში 1971 წელს,როცა ლონ ბიაო ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ცდილობდა; პოლონეთში 1981 წელს ხელისუფლებაში გენერალ იარუზელსკის მოსვლა; და აგვისტო „პუტჩი“ მოსკოვში 1991 წელს, რამაც რამოდენიმე დღით ჩამოაშორა გორბაჩოვი ხელისუფლებას.

როგორ ხდება არმიაზე სამოქალაქო კონტროლის დაწესება?

საერთო ჯამში გამოყოფენ კონტროლის ორი ტიპის მექანიზმებსა და მეთოდებს, რომლებიც იძლევა ასეთი კონტროლის განხორციელების საშუალებას. 1957 წელს სამუელ ჰანთინგტონი ამასთან დაკავშირებით ამბობდა „ობიექტური“ და „სუბიექტური“ მეთოდების შესახებ, ხოლო ერიკ ნორდლინგერი 1977 წელს იყენებდა ტერმინებს – „ლიბერალური მეთოდი“ და „შეღწევის მეთოდი“. ლიბერალური ანუ ობიექტური მოდელი, არმიასა და სამოქალაქო ხელისუფლების დამოკიდებულებათა შორის ყველაზე მკაფიოდ გამოიკვეთა დასავლეთის იარადად მოაზრებაში. მილიტარიზაციის შესახებ ლაპარაკობენ იმ შემთხვევაშიც,როცა არმია სცილდება მისთვის განსაზღვრული ამოცანების ფარგლებს და ახდენს სახელმწიფო მმართველობის უზურპირებას (უზურპაცია – ძალაუფლების უკანონოდ ხელში ჩაგდება, სხვისი ძალაუფლების მითვისება).

როდესაც არმია გამოიყენება თავდასხმითი ან ექსპანსიური მიზნებისათვის, მისი როლი უფრო მნიშვნელოვანი ხდება. იმისათვის, რომ განახორციელო ომი სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, საჭიროა, შეიარაღებულ ძალებს შეეძლოთ და სურდეთ, გახდნენ იარაღი, და რომ საზოგადოებაში იყოს ამ მიზანთა საკმაოდ მტკიცე მხარდაჭერა. ექსპანსიური სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელია სამხედრო ხარჯების მაღალი დონე, გენერალიტეტის ჩართვა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (მილიტარიზმი – შეიარაღებისა და ომისათვის მზადების რეაქციული პოლიტიკა) იმ იდეათა და ფასეულობათა გავრცელების საქმეში, რაც ასოცირებულია სამხედრო საქმესთან, მთელ საზოგადოებასთან. მილიტარისტული რეჟიმის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ჰიტლერის „მესამე რეიხი“ გერმანიაში, დღევანდელი რუსული არმია, რომელიც გაეროს წევრ მეზობელ, სუვერენულ ქვეყანას თავს დაესხა 2008 წელს და მისი ნაწილის ოკუპაცია მოახდინა.

შინაგანი წესრიგის გარანტია

შეიარაღებული ძალების ძალაუფლების უდიდეს პოტენციალს მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს არა მარტო საგარეო საქმიანობისათვის, არამედ მათ უდიდესი როლის შესრულება შეუძლიათ სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკაში, თუმცა არმიების ძალა მიმართულია სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ. ამოცანები, რომლებსაც წყვეტენ შეიარაღებული ძალები, ბუნებრივია, განსხვავდებიან სისტემიდან სისტემამდე და სახელმწიფო მნიშვნელობით. არასამხედრო ხასიათის ერთ-ერთი ტიპური ამოცანა, რომლის შესრულებაც შეიძლება დაეკისროს, არმიას, ესაა მონაწილეობ ბუნებრივ კატასტროფებში, მაგრამ ასეთი რამე ხდება განსაკუთრებულ შემთხვევებში და მას პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს. ამის თქმა არ შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა ჯარი გამოიყენება სამოქალაქო არეულობების და უწესრიგობის ჩასახშობად ან რომელიმე სერიოზული საზოგადოებრივი წინააღმდეგობის გადასაწყვეტად.

აშშ-ში მაგალითად, არმია უზრუნველყოფდა 1950-1960 წლებში რასობრივი დესეგრეგაციის შესახებ ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებას. დიდ ბრიტანეთში არმია გამოიყენებოდა განსაკუთრებული სიტუაციების გადასაწყვეტად და 1970-1980-იან წლებში სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად, როცა ქვეყანა მოიცვა საწარმოო-სამრეწველო კონფლიქტებმა. ხშირად ასეთი ქმედება იწვევს კრიტიკას, და არა იმიტომ, რომ არმიებს აქ ენიჭებათ ფუნქციები, რომლებიც განეკუთვნება პოლიციას, არამედ იმიტომაც, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა არმიის ტრადიციული ნეიტრალიტეტის პრინციპი.

სამხედრო გადატრიალებანი ხდება განსაზღვრულ ვითარებაში. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ:

– ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობა;

– საზოგადოების თვალში სამოქალაქო მთავრობების მიერ თავისი ლეგიტიმურობის დაკარგვა;

– კონფლიქტურობა სამხედროებსა და სახელმწიფოს მთავრობას შორის დამოკიდებულებაში;

– შესაბამისი საერთაშორისო ვითარება, რომელიც ხელს უწყობს გადატრიალებას.

ძალზე თვალნათლივ ჩანს სამხედრო გადატრიალების კავშირი ეკონომიკურ ჩამორჩენილობასთან. ნიგერიაში სამოქალაქო მთავრობის ჩამოგდება 1983 წელს მოხდა ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო ნავთობზე ფასების დაცემით. იქმნება განხეთქილების საშიშროება არმიაში. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ყველაზე დიდხანს სამხედრო რეჟიმები ინარჩუნებენ თავის რეჟიმს მსოფლიოს იმ ნაწილში, რომლებიც ადრე წარმოადგენდნენ კოლონიებს – ლათინურ ამერიკაში,ახლო აღმოსავლეთში, აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

სამხედროები საერთოდ ყოველთვის ცდილობენ მოაწყონ იმის დემონსტრირება, რომ ასეთ შემთხვევებში მათ ამოძრავებთ კეთილშობილური ზრახვები და მიზნები: იმის აუცილებლობა, რომ მოსპონ კორუფცია, დასძლიონ განხეთქილება საზოგადოებაში, გადაარჩინონ ერი. მაგრამ არასოდეს არ შეიძლება იმის თქმა, რომ ყველაფერ ამაში არ არის მათი საკუთარი ინტერესები. სამხედრო გადატრიალებანი ძალზე ხშირად უბრალოდ ისახავენ ცდას, რომ შეინარჩუნონ არმიის პრივილეგიები, დამოუკიდებლობა ან პრესტიჟი, თუ საქმეში არაა სერიოზული პოლიტიკური ამბიციები.

შზოგჯერ არმიის გადაწყვეტილება – ჩაიგდოს ძალაუფლება ხელში, შეიძლება იქნეს ნაკარნახევი მოსაზრებით, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ვითარებასთან. ძალიან ცოტაა ისეთი მაგალითები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ სამხედრო გადატრიალება, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა მოხდეს ის, სრულებითაც არ ეხებოდა მეზობელი ქვეყნის ინტერესებს, რეგიონალურ ან საერთაშორისო ორგანიზაციებს ან საერთაშორისო საზოგადოებებს. ზოგიერთ შემთხვევაში სამხედროები იმიტომ აწყობენ ძალოვან გამოსვლას, რომ მათზე ახდენენ ზეწოლას გარედან. სწორედ ასეთი შემთხვევა მოხდა ჩილეში: აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ალიენდეში ხედავდა კუბის რეჟიმის მომხრე კომუნისტს, რომლის რეფორმები ემუქრებოდა ამერიკის მრავალფეროვნულ კორპორაციებს არსებულს ჩილესა და მთელს ლათინურ ამერიკაში.პინოჩეტმა კი მიიღო აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსაგან ყოველგვერი კონსულტაციები: აშშ მას აძლევდა გარანტიას და პირდაპირ დიპლომატიურ მხარდაჭერას გადატრიალების წარმატების შემთხვევაში.

პოლიცია და პოლიტიკა

პოლიცია, ისევე, როგორც არმია, არის დათრგუნვის სახელმწიფო აპარატის ნაწილი, მაგრამ განსხვავება მათ შორის თვალნათელია: შეიარაღებული ძალების როლი მდგომარეოს იმაში, რომ ის არის მოწოდებული უზრუნველყოს ქვეყნის თავდაცვა, პოლიციის როლი მდგომარეობს იმაში, რომ მან უნდა დაიცვას ქვეყნის შინაური წესრიგი. დღევანდელი თავისი სახით პოლიციური ძალები ემსგავსებიან მე-19 საუკუნის პოლიციას, როდესაც ინდუსტრიალიზაციის პროცესმა უკიდურესობამდე გაამწვავა დასავლეთის საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი. ლიბერალური თვალსაზრისით პოლიციაში ხედავენ უმთავრესად ნეიტრალურ ინსტიტუტს, რომლის ამოცანაც მდგომარეობს იმაში, რომ მან დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და ადამიანთა უფლებები და თავისუფლებები. ამ კუთხით პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: პოლიცია ეყრდნობა ფართო საზოგადოებრივ კონსესუსს და ფლობს მაღალი ხარისხის ლეგიტიმურობას,რამდენადაც მოქალაქეები დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ პოლიცია ხელს უწყობს საზოგადოებრივი წესრიგის სტაბილურობას და უზრუნველყოფს ხალხის პირად უსაფრთხოებას, იცავს რა მათ ერთიმეორისაგან, ამასთანავე ის დაკავებული წესრიგის დაცვით და სხვა პოლიტიკური ფუნქციები მას არც ჰქონდა და არც ექნება.

კონსერვატიული თვალსაზრისით პოლიციის როლი მდგომარეობს იმაში, რომ მხარი დაუჭიროს სახელმწიფო ძალაუფლებას, უზრუნველყოს მისი კანონიერი შესრულება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ეს მიდგომა, რომელსაც აქვს პესიმისტური შეხედულება ადამიანის ბუნებაზე, ხაზს უსვამს იმას, რომ პოლიციას აქვს მნიშვნელობა როგორც საზოგადოების ძალოვანი ინსტიტუტისა, რომელსაც ძალუძს თუ კი დასჭირდება, ყველაზე უფრო მკაცრად იმოქმედოს საზოგადოებრივი მღელვარებისა და სამოქალაქო უწესრიგობის სიტუაციებში. ამ შემთხვევაში პოლიცია განიხილება, როგორც პოლიტიკური კონტროლის მექანიზმი.

რადიკალური თვალსაზრისი მეტად კრიტიკულია პოლიცია-ხელისუფლების მიმართ. ამ მიმართებით პოლიცია წარმოადგენს დათრგუნვის ინსტრუმენტს, რაც უფრო სახელმწიფოს ხელშია, ვიდრე საზოგადოებისა და ემსახურება პირველ რიგში ელიტას, ვიდრე მასებს. მარქსისტული ვერსიით პოლიციის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ის უნდა იდგეს საკუთრების და საერთოდ კაპიტალის ინტერესების სადარაჯოზე.

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ პოლიციელების როლი დამოკ-

იდებულია იმ პოლიტიკურ სისტემაზე, რომლის ნაწილსაც ისინი წარმოადგენენ და იმას, თუ რომელი ამოცანებისათვის იყენებენ მათ სახელმწიფო ან მოქმედი მთავრობა. ამ თვალსაზრისით განასხვავებენ სამოქალაქო პოლიციას – ესე იგი დაყოფას, რაც გამოხატავს სახელმწიფოთა დაყოფას ლიბერალურ სახელმწიფოებად და ეგრეთ წოდებულ პოლიტიკურ სახელმწიფოებად.

სამოქალაქო პოლიცია

როდესაც ვლაპარაკობთ სამოქალაქო პოლიციაზე, მაშინ საუბარი მიდის ისეთ ძალებზე, რომელთა მოქმედების სფეროც შემოფარგლება მხოლოდ სამართლის კანონით, ეს სწორედ ის პოლიციაა, როგორსაც ხშირად წარმოადგენს საზოგადოება – „პოლიცია არსებობს მხოლოდ იმისთვის, რომ ებრძოლოს დანაშაულს“. მაგრამ უნდა ვიცოდეთ ერთი რამ, რომ წესრიგის დაცვა, ვთქვათ, ინდოეთის სოფელში სულ სხვაა, ხოლო წესრიგის დაცვა თანამედრონე ნიუ-იორკში, პარიზსა და სანკტ-პეტერბურგში სულ სხვა. ცნობილია, რომ პატარა და ერთგვაროვანი გაერთიანებანი საკმაოდ კარგად უმკლავდებიან საკუთარი ძალებით წესრიგის დაცვის საქმეს. სულ სხვა სურათი გვაქვს უფრო მეტ მასშტაბურ და ფრაგმენტალურ (სოციალური და კულტურული თვალსაზრისით) საზოგადოებაში, სადაც ადამიანებს შორის დამოკიდებულება თითქმის სრულიად დეპერსონალიზებულია. ამ შემთხვევაში სხვადასხვა ქვეყნის პოლიცია, რომელიც **განიცდის** ინდუსტრიალიზაციის ერთი და იგივე მოდელების შექმნას, შეეჯახება არსებითად ერთი და იგივე ამოცანებს: სატრანსპორტო სამართალდარღვევებს, მანქანების გატაცებას, ქუჩის დანაშაულს, ორგანიზებულ დანაშაულს და ამ დროს საპოლიციო ძალების ორგანიზება და ტაქტიკა იღებს მსგავს ხასიათს.

შეიძლება ვილაპარაკოთ სამოქალაქო პოლიციის სხვადასხვა მოდელების შესახებ. არსებობს პოლიციის კონკრეტული საზოგადოება. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ პოლიცია მუდამ უნდა იყოს ადამიანთა კომპაქტური ცხოვრების ამა თუ იმ ადგილებში, ხოლო მოქალაქეების მხრიდან იგულისხმება მათი თანამშრომლობა დანაშაულებათა გამოძიებასა და გახსნაში, ამას გარდა არსებობს კიდევ დანაშაულობათა პროფილაქტიკის საერთო ამოცანა, საზოგადოებაში ისეთი ფასეულობების და ურთიერთდამოკიდებულებების დამკვიდრება, რომლებიც მიმართულია სწორედ ამ ამოცანების შესასრულებლაად. ასეთი კონცეფცია დამახასიათებელია დიდი ბრიტანეთისათვის და კიდევ უფრო მეტად იაპონიისათვის. იაპონელ

პოლიციელს მოეთხოვება, რომ ის იცნობდეს თავის სამოქმედო უბანს, იცნობდეს ყველა ოჯახს და საწარმოს, რომლებიც განლაგებულია მის ტერიტორიაზე. სწორედ ამას ემსახურებიან ის სპეციალური საგუშაგოები (კუბანი) ან მუდმივი საპოლიციო უბნები (ჩუზაისო). ასეთი მეთოდის წარმატება მდგომარეობს იმაში, რომ ეს წარმატება პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ექცევიან მოქალაქეები პოლიციელს, როგორც გაერთიანების საპატიო წევრს და მზად არიან, რომ ყოველთვის იყვნენ მეთვალყურეობის ქვეშ. დიდ ბრიტანეთში ეკონომიურობის თვალსაზრისით ეს სისტემა რამდენადმე შეამცირეს 1860-70 წლებში, მაგრამ ასევე გააფართოვეს 1980-იანი წლების ქალაქებში აგორებული უწესრიგობების გამო.

მეორე მხრივ, არსებობს პოლიციის მოდელი, რომელიც მოქმედებს „სახანძრო ბრიგადის“ პრინციპით,აქ მთავარია მისი უნარი, თუ როგორი სისწრაფით მოახდენს იგი რეაგირებას სამართალდარღვევებზე რათა სწორედ სიჩქარის წყალობითა და რეაქციებით გადაწყვიტოს არა მარტო ოპერატიული, არამედ პროფილაქტიკური ამოცანები. როგორც წესი, ამ მოდელში მიღებულია უფრო მკაცრი, თითქმის სამხედრო მეთოდები, აქ აგრეთვე უმეტესად ეყრდნობიან იარაღის უახლეს ტექნოლოგიებს და სახეობას. ასეთი მოდელი დამახასიათებელია ყველაზე მეტად ავტორიტარული და ტოტალიტარული სახელმწიფოებისათვის, მაგრამ არ არის უცხო ლიბერალური სახელმწიფოებისათვისაც. ასე მაგალითად, ნიუ-იორკის პოლიცია პოტენციური დამნაშევეების დასაშინებლაად შეიარაღებულია დიდკალიბრიანი და ნახევრადავტომატური რევოლვერებითა და ხელკეტებით, ხოლო კაიროს პოლიცია შეიარაღებულია ავტომატებით ან ავტომატური შაშხანებით.

პოლიტიკური პოლიცია

პოლიცია შეიძლება იყოს „პოლიტიკური“ ორი მიმართულებით. პირველ რიგში, მის საქმეს შეიძლება ახლდეს რაღაც მუდმივი ტენდენცია, რომელიც კეთილგანწყობილია ერთი ჯგუფისადმი და მოქმედებს სხვათა წინააღმდეგ. მეორე რიგში, ის შეიძლება გასცდეს თავისი საქმიანობის ფარგლებს და ეცადოს, რომ ზემოქმედება მოახდინოს უშუალოდ პოლიტიკურ პროცესებზე. პირველი პრობლემა წამოსწიეს რადიკალური და სოციალისტური მიმართულების კრიტიკოსებმა მათთვის ჩვეული აბსოლუტური ურწმუნობით იმაში, რომ შეეძლოთ კი პოლიტიკურ ძალებს ყოფილიყვნენ რაღაცაში ნეიტრალურნი, ძლიერნი და ემოქმედათ სამართლიანად და

დაინტერესების გარეშე (რომელ სახელმწიფო ორგანოსაც არ უნდა ემსახურონ). ამ თვალსაზრისით საქმე ასე წარმოვიდგინოთ: პოლიციის ძალების სპეციალური მომზადება და დისციპლინა უკვე თვითონ თავისთავად ქმნიან მათში ისეთ კულტურას, რომელიც არსებითად არის ავტორიტარული და პოლიტიკურად კონსერვატიული, ამიტომ ისეთ ჯგუფებთან, როგორიცაა მუშები, გაფიცულები, ქალები და ეთნიკური უმცირესობანი, პოლიტიკური ძალები მოიქცევიან უფრო მკაცრად, ვიდრე სხვებთან.

პოლიციის პოლიტიზაციის დონე უცვლელად იზრდება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად უფრო რთული და ფრაგმენტირებული ხდება საზოგადოება. ზოგიერთი თეორეტიკოსი კიდეც ამტკიცებს, რომ საერთოდ არ შეიძლება ზღვარის გავლება პოლიციის საქმიანობის სამოქალაქო და პოლიტიკურ სფეროებს შორის. ძალზე ხშირად პოლიციის ნეიტრალობის საერთოდ არ სწამთ თვით საზოგადოებასაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა პოლიციელს გადაისვრიან გაფიცვების, დემონსტრაციების და სამოქალაქო უწესრიგობების წინააღმდეგ, რაც გამომდინარეობს აღმოუფხვრელი საზოგადოებრივი დაპირისპირებებიდან და წინააღმდეგობებიდან. ასე ხდება ხშირად იმ რეგიონებში, სადაც არსებობს მწვავე ეთნიკური ან ნაციონალური პრობლემები. ასე მაგალითად, ესპანეთის ჩრდილოეთში, ბასკების ქვეყანაში, ან ჩრდილოეთ ირლანდიაში, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არ აღიქვამს პოლიციელს როგორც „კანონიერ ძალას“.

ხშირად სახელმწიფოებისათვის „პოლიტიკურად ძალზე საჩოთირო“ ოპერაციების შესასრულებლად ქმნიან სპეციალურ ნახევრად გასამხედროებული ხასიათის პოლიციურ რაზმებს. ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს საფრანგეთის რესპუბლიკური უშიშროების სამსახური, რომელიც ორგანიზებულია სამხედრო ყაიდაზე იქამდეც კი, რომ მისი თანამშრომლები ცხოვრობენ სპეციალურ გარნიზონებში. დიდ ბრიტანეთში ამავე მიზნებისათვისაა შექმნილი პატრულირების სპეციალური ჯგუფი.

და ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ ყოველ სახელმწიფოში არის შექმნილი თავისი სპეციალური საიდუმლო სამსახურები დაზვერვისა და უშიშროების დარგში. მათი ფუნქციები ერთმნიშვნელოვნად ატარებენ პოლიტიკურ ხასიათს, რომელიც აგრეთვე შეიცავს ისეთი ხალხისა და ადამიანთა ჯგუფებზე მეთვალყურეობას, რომელთა საქმიანობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს და ზოგჯერ დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. ასეთ სამსახურებს წარმოადგენს შინაგანი უშიშროების სამსახურები, როგორიც არიან: დიდ ბრიტანეთში დაზვერვის ცენტრალური სამმართველო, დაზ-

ვერვის ფედერალური ბიურო აშშ-ში და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი. უშიშროებისა და დაზვერვის სამსახური – სააგენტო, რომელსაც ევალებოდა უსაფრთხოების დაცვა და კონტრრევოლუციური საქმიანობის განხორციელება დიდ ბრიტანეთში შეიქმნა 1909 წელს სის ბრიტანეთში გერმანელი ჯაშუშების წინააღმდეგსაბრძოლველად და იგი ითვლება ერთ-ერთ უძლიერეს სადაზვერვო სამსახურად მსოფლიოში.

საქართველოში ესენია კუდი (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარპამენტი) და სოდი (სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი).

პოლიციური სახელმწიფოები

ტერმინი „პოლიციური სახელმწიფოები“ განეკუთვნება ისეთი პოლიტიკური რეჟიმის გამომხატველ ცნებებს და სახელმწიფოებს, რომლებშიც გათელილია ყველა და ყოველგვარი სამოქალაქო თავისუფლებები, პოლიციაზე არ მოქმედებს არავითარი კანონი, ის არ არის პასუხისმგებელი საერთოდ არც სასამართლო ხელისუფლების და არც საზოგადოების წინაშე და მოქმედებს ყველაზე უხეში და გაურკვეველი საშუალებით. პოლიციური სახელმწიფოები წარმოადგენენ ტოტალიტარიზმის პირდაპირ განსახიერებას: აქ პოლიცია, რომელსაც მიცემული აქვს განუსაზღვრელი ძალაუფლება, ყოველთვის ქმნის მუდმივი შიშის ატმოსფეროს, რათა მმართველმა ელიტამ თავის კონტროლ ქვეშ მტკიცედ იქონიოს საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარე. მაგრამ ყველაფერ ამასთან ერთად, პოლიციელს ასეთ პოლიციურ სახელმწიფოში არა აქვს მინიჭებული ისეთი ადგილი, როგორიც უკავია არმიას სამხედრო დიქტატურის პირობებში – ის უბრალოდ არის პოლიტიკური ელიტის სამსახურში.

სწორედ ასეთი მდგომარეობა იყო გერმანიაში, სადაც შექმნილი იყო დაშინებისა და ზედამხედველობის აპარატი. გესტაპოს „ყავისფერი პერანგები“-ს რაზმები მზად იყვნენ მთავრობის პირველი სიტყვისთანავე გასწორებოდნენ ნებისმიერ მოწინააღმდეგეს. გესტაპო ასრულებდა საიდუმლო პოლიციის ამოცანებს, CD-ის დანაყოფები ითავსებდნენ დაზვერვისა და უშიშროების საკითხებს, ხოლო CC-I წარმოადგენდა ნამდვილ სახელმწიფოს სახელმწიფოში. ანალოგიური ადგილი ჰქონდა მოვლენებს საბჭოთა კავშირში: ლენინმა 1917 წელს შექმნა – საგანგები კომისია ბურჟუაზიისა და პოლიტიკური მეტოქეების წინააღმდეგ საბრძოლველად. შემდეგ მისი

ადგილი დაიკავა – სსრ კავშირის სახალხო კომისიათა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ. შემდეგ შეიქმნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, რომელიც იყო სტალინის ძალაუფლების პირადი ინსტრუმენტი და ბოლოს, 1953 წელს შეიქმნა – სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი (სუკი), რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად ახორციელებდა კონტროლს სასაზღვრო სამსახურისა და შრომითი ბანაკების სისტემაზე. კომუნისტურ სახელმწიფოებში საიდუმლო პოლიციის მაგალითებს წარმოადგენდნენ გდრ-ში „შტასი“ და „სეკიურიტატე“ რუმინეთში.

სახელმწიფო უშიშროების ასეთ სისტემებთან ერთად შეიძლება არსებობდეს „ჩვეულებრივი“ პოლიციური ძალები. ასე მაგალითად, ნაცისტურ გერმანიაში ფაშისტური გერმანიის არსებობის მთელ პერიოდში საქმიანობდა ჩვეულებრივ ტერიტორიალური ორგანიზებული პოლიცია, რომელიც თვალყურს ადევნებდა წესრიგს ამ სიტყვის სრული ტრადიციული მნიშვნელობით. საბჭოთა კავშირში არსებობდა მილიცია, რომელიც ექვემდებარებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და პასუხისმგებელი იყო სისხლის სამართლის დანაშაულობათა გამოვლენაზე, დამნაშავეთა დაკავებაზე, საპასპორტო რეჟიმის ზედამხედველობასა და საერთო წესრიგის დაცვაზე.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ თვით ე.წ. „ლიბერალურ სახელმწიფოებსაც“ კი ჰყავთ თავისი საიდუმლო პოლიცია. ასე მაგალითად, აშშ-ს დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ საიდუმლო ოპერაციების ჩატარებაში, თვით ჩილეში პინოჩეტის გადატრიალების მხარდაჭერის ჩათვლით,კუბის ლიდერის ფიდელ კასტროს მოკვლის მცდელობაშიც და სალვადორში კანონიერი გზით არჩეული მთავრობის მოწინააღმდეგეთათვის შეიარაღების მიწოდებაში. არსებობს მოსაზრება, რომ დაზვერვის ცენტრალური სამმართველო არაერთხელ ატარებდა საიდუმლო ოპერაციებს საკუთარი ქვეყნის შიგნითაც და ითამაშა თავისებური როლი 1963 წელს პრეზიდენტ კენედის მკვლელობაში, თუმცა ეს ჯერ კიდევ დაუმტკიცებელია. „პოლიტიკური ტერორის “მეთოდები გამოყენებულ იქნა ჩრდილოეთ ირლანდიაშიც 1960-იანი წლების ბოლოს, სადაც დიდი ბრიტანეთის პოლიციის სპეციალური ძალები არა მარტო აკონტროლებდნენ სამოქალაქო დემონსტრაციებს და წინააღმდეგობას უწევდნენ ირლანდიის რესპუბლიკურ არმიას, არამედ ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ დაეშინებინათ ქალაქ ოლსტერის კათოლიკური უბნების მოსახლეობა. 1969 წელს კი ეს რაზმები დაშლილ იქნა, მაგრამ არა უადრეს იმისა, სანამ პოლიციური ფუნქციები გადაცემული იქნებოდა ბრიტანეთის არმიისათვის.

დასკვნები

– არმია წარმოადგენს განსაკუთრებული სახის პოლიტიკურ ინსტიტუტს. საზოგადოების სხვა ინსტიტუტებისაგან განსხვავებით შეიარაღებული ძალები განსხვავდებიან იმით, რომ ისინი ფლობენ სრულ მონოპოლიას შეიარაღებაზე, აქვთ შეზღუდული ხასიათის უდიდესი ძალაუფლება,უმაღლეს დონეზე დისციპლინირებული და სტრუქტურირებული დაქვემდებარების საფეხურების მიხედვით, გააჩნიათ უმაღლესი კულტურა და ფასეულობათა ორიენტაცია, წარმოადგენენ საერთო ეროვნული ინტერესების მატარებლებს, რაც მათ აყენებს „პოლიტიკაზე მაღლა“.

– შეიარაღებული ძალების მთავარი ამოცანაა – წარმოადგენდეს ომის იარაღს სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთანავე არმია წარმოადგენს ინტერესთა უძლიერეს დაჯგუფებას, რომელიც გავლენას ახდენს პოლიტიკაზე, განსაკუთრებით კი საგარეო და თავდაცვით პოლიტიკაზე. გარდა ამისა მას გამოიყენებენ, როგორც დამატებით საშუალებას შინაგანი წესრიგისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად, განსაკუთრებით კი იმ სიტუაციებში, როცა სამოქალაქო სამსახურები ვერ ძლევენ ამ ამოცანას. ბოლოს კი არმია წარმოადგენს ძალას, რომელსაც ძალუძს (შეუძლია) გადააყენოს სამოქალაქო ხელისუფლება და დაამყაროს თავისი – სამხედრო დიქტატურა.

– შეიქმნა არმიაზე კონტროლის განხორციელების ორი ფორმა. ლიბერალური, ანუ „ობიექტური“ კონტროლის მოდელი გულისხმობს, რომ არმია უნდა უყოს პოლიტიკის გარეშე სამოქალაქო ორგანოების მექანიზმების საშუალებით და ამ დროს არმია უნდა ემორჩილებოდეს სამოქალაქო ხელისუფლებას და უნდა არსებობდეს მის წინაშე ანგარიშვალდებული. არმია ექვემდებარება სამოქალაქო ხელმძღვანელობას იმით, რომ ის იდეოლოგიურად ექვემდებარება მმართველი პარტიის ფასეულობებსა და მიზნებს.

– სამხედრო გადატრიალებები ხდება განსაზღვრულ შემთხვევებში. აქ მთავარი ფაქტორია: ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობა (მოქმედი მთავრობა ნაკლებად უჭერს მხარს ეკონომიკას); ხელისუფლების ინსტიტუტებისა და მმართველი ელიტის მიერ საზოგადოების თვალში ლეგიტიმურობის დაკარგვა; ინტერესთა კონფლიქტი სამხედროებსა და სამოქალაქო ხელისუფლებას შორის და ბოლოს საერთაშორისო ვითარება, რომელიც უბიძგებს სამხედროებს სახელმწიფო გადატრიალებისაკენ, ან როგორც მინიმუმ უადვილებს მათ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

– პოლიციის მთავარი ამოცანაა – განახორციელოს სამარ-

თალაღსრულება და ხელი შეუწყოს სამოქალაქო წესრიგს. ამასთანავე მას შეუძლია ჰქონდეს პოლიტიკური ხასიათი, იმ შემთხვევაში თუ თვით პოლიციაში მოქმედებს ესა თუ ის ტენდენციები, როცა მას იყენებენ სამოქალაქო უწერიგობის ჩასახშობად ან პოლიტიკურ უთანხმოებათა მოსაწესრიგებლად, ან როცა ის წარმოადგენს პოლიციური სახელმწიფოს იარაღს, გადაიქცევა რა ამ შემთხვევაში პოლიტიკური ელიტის სამსახურში თითქოსდა კერძო არმიად.

– პოლიციაზე მოქმედი კონტროლი მოითხოვს ბალანსის არსებობას მის პოლიტიკურ ანგარიშვალდებულებასა და მისი პოლიტიზაციის პრინციპს შორის, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია იმაზე,თუ რომელ პრინციპზეა იგი ფორმირებული – ცენტრალიზებულ თუ დეცენტრალიზებულ საფუძველზე. დეცენტრალიზებული საპოლიციო ძალები დამოუკიდებელნი არიან ცენტრალური ხელისუფლებისაგან და ყურადღებით უნდა რეაგირებდნენ ადგილობრივ საჭიროებებზე. ცენტრალიზაცია კი უფრო ადეკვატურად პასუხობს საერთო ეროვნული მმართველობის ამოცანებს და ეფექტურობის მოთხოვნებს.

თავი XVI
საქართველოს პოლიტიკური სისტემა

საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო".

ქალაქის მოსახლეობა 58%, სოფლის – 42%.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა: საქართველოს დედაქალაქი – თბილისი, 2 ავტონომიური რესპუბლიკა (აჭარის და აფხაზეთის), 9 მხარე (კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-თიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის), 63 რაიონი, 942 სასოფლო საბჭო (სულ 62 ქალაქი,53 ქალაქის ტიპის დაბა,4475 სოფელი). მოსახლეობა 4 მილიონზე მეტი, მათ შორის თბილისში 1,2 მილიონი. ქვეყანაში მოქმედებს 1995 წლის 24 აგვისტოს პარლამენტის მიერ მიღებული კონსტიტუცია.

კონსტიტუცია აგებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მკვეთრი გამიჯვნის პრინციპზე. საქართველოს საზღვრები განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით (მუხლი 2); აღიარებულია საერთაშორისო ხელშეკრულებების უპირატესობა ეროვნულ კანონმდებლობასთან შედარებით (მუხლი 6) საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ენიჭებათ პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, საპარლამენტო კომიტეტს, ავტონომიურ წარმონაქმნებს ან 30 ათას ამომრჩეველს (მუხლი 6). რეფერენდუმი შეიძლება მოეწყოს პრეზიდენტის, პარლამენტის ან 200 ათასი ამომრჩეველის ინიციატივით (მუხლი 74).

საკანონმდებლო კონფლიქტების გადასაწყვეტად დაარსდა საკონსტიტუციო სასამართლო.

კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივით სარგებლობს პრეზიდენტი, პარლამენტის სიით შემადგენლობის ნახევარი ან 200 ათასი ამომრჩეველი (მუხლი 102).

1995 წლის კონსტიტუციაში ღიადაა დატოვებული საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი. აღნიშნულია, რომ იგი

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ გადაწყდება ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ სპეციალურად მიღებული ორგანული კანონით.

საკანონმდებლო ხელისუფლება პარლამენტი

1990 წლის 28 ოქტომბერს, 1992 წლის 11 ოქტომბერს, 1995 წლის 5 ნოემბერს, 1999 წლის 31 ოქტომბერს, 2003 წლის 2 ნოემბერს, 2004 წლის 28 მარტს, 2008 წლის 21 მაისს ჩატარებულმა მრავალპარტიულმა არჩევნებმა საქართველოში უკვე შექმნა პარლამენტარიზმის გარკვეული ტრადიციები და გამოცდილება. პარლამენტი სულ უფრო გამოკვეთილ ადგილს იკავებს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

2008 წლის 21 მაისის არჩევნებზე გაიმარჯვა მმართველმა პარტიამ – ნაციონალურმა მოძრაობამ, რომელმაც გადალახა 5-პროცენტიანი ბარიერი და 150-დან 120 დეპუტატი გაიყვანა. ბოლო წლების არჩევნების თავისებურება ისიც იყო, რომ ისინი ვერ ჩატარდა სეპარატისტული მთავრობის კონტროლის ქვეშ მყოფ აფხაზეთის ტერიტორიაზე და 1992 წელს აფხაზეთიდან არჩეულ პარლამენტარებს 2004 წლამდე გაუგრძელდათ მანდატები.

1999 წლის პარლამენტის არჩევნებში გაიმარჯვა 2003 წელს ხელისუფლებაში მოსულმა საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა, რომელმაც საპარლამენტო უმრავლესობა შექმნა, მაგრამ ეს უმრავლესობა მტკიცე ვერ აღმოჩნდა. მისი დაშლა დააჩქარა ედუარდ შევარდნაძის წასვლამ პარტიის თავჯდომარეობიდან და პარლამენტის თავჯდომარის ზურაბ ჟვანიას გადადგომამ. 2001 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტის თავჯდომარედ არჩეული იქნა ნინო ბურჯანაძე. ამჟამად პარლამენტში არის 16 საპარლამენტო კომიტეტი და 5 საპარლამენტო ფრაქცია (ფრაქციაში 6 კაცზე მეტი შედის).

2003 წელს გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად დაწყებულმა მოძრაობამ შეიწირა შევარდნაძის ხელისუფლება. 2004 წლის 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოვიდა ნაციონალური მოძრაობა, რომელიც დღემდე მართავს ქვეყანას.

აღმასრულებელი ხელისუფლება

ა) პრეზიდენტი

პირველი საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში 1991 წლის

26 მაისს ჩატარდა და მასში ზვიად გამსახურდიამ გაიმარჯვა. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ გაუქმდა პრეზიდენტის ინსტიტუტი. 1992 წლის 6 ნოემბერს მიღებული სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის მიხედვით პარლამენტის თავჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს სახელმწიფო მეთაურის უფლებამოსილება მიენიჭა.

1995 წლის კონსტიტუციით კვლავ შემოღებული იქნა პრეზიდენტის თანამდებობა. პრეზიდენტი აირჩევა საერთო-სახალხო კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პიროვნება პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ ორი ვადით. იგი არის სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, უმაღლესი მთავარსარდალი.

პარლამენტს აქვს პრეზიდენტის იმპიჩმენტის (გადაყენების) უფლება ხმათა 2/3-ით. პრეზიდენტად არ შეიძლება აირჩეს პიროვნება, რომელსაც არ შესრულებია 35 წელი. (ზედა ზღვარი დადგენილი არ არის). 1995 და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე გაიმარჯვა ედუარდ შევარდნაძემ, 2004 და 2008 წლის რიგგარეშე არჩევნებში გაიმარჯვა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტი იმავდროულად არის ეროვნული უშიშროების საბჭოს თავჯდომარე.

ბ) მთავრობა

1995 წლის კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად შეცვალა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა. გაუქმდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, აღარ არსებობდა მინისტრთა კაბინეტი, თუმცა 2004 წლიდან კვლავ აღდგენილ იქნა ეს თანამდებობა.

1997 წლის 3 მაისს ძალაში შევიდა ახალი კანონი სახელმწიფო მოწყობის შესახებ. დღეისათვის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურას ქმნიან:

პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი (სახელმწიფო კანცელარიის მეთაური) სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები, სახელმწიფო ინსპექციები.

წინა წლებში პარლამენტმა რამდენიმე მინისტრი იმპიჩმენტის წესით გადააყენა. პარლამენტთან შეთანხმებით მინისტრების წარდგენის და დანიშვნის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს.

2004 წლის იანვრიდან საქართველოს მესამე პრეზიდენტი გახდა მიხეილ სააკაშვილი. 2008 წლის იანვარში ის ხელმეორედ იქნა არჩეული პრეზიდენტად. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ 2004 წლიდან დღემდე 5 პრემიერ-მინისტრი შეიცვალა.

სასამართლო ხელისუფლება

1995 წლის კონსტიტუციით აკრძალულია სპეციალური სასამართლოების შექმნა. მოსამართლეებს ირჩევენ 10 წლის ვადით შესაბამისი გამოცდების ჩაბარების შემდეგ. გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადა 5 წელია. 1996 წლიდან პირველად შეიქმნა საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც მოწოდებულია კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა დასაცავად. იგი შედგება 10 წლის ვადით დანიშნული 9 წევრისაგან. მოსამართლე შეიძლება გახდეს 28 წელს გადაცილებული პირი. სასამართლო სისტემაზე მეთვალყურეობა ავალია საქართველოს პრეზიდენტთან შექმნილ სათათბირო ორგანოს – იუსტიციის საბჭოს, შექმნილია რაიონული, საოლქო, სააპელაციო, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი, საქართველოს უზენაესი სასამართლოები.

1997 წლიდან შემოღებული იქნა სახალხო დამცველის ანუ ომბუდსმენის თანამდებობა, რომელსაც საკმაოდ დიდი უფლებები გააჩნია და რომელიც არც ერთი პარტიის წევრი არ უნდა იყოს.

ადგილობრივი ხელისუფლება

ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების მოწყობის პრობლემა ყველაზე მტკივნეული აღმოჩნდა ახალი ქართული სახელმწიფოებრიობისათვის. ქვეყნის ტერიტორიის 15%-ზე მეტი, ყოფილი აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია სეპარატისტული მთავრობების ხელშია კვლავაც და უდიდეს პრობლემებს უქმნის ქვეყანას. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ცალმხრივად აღიარა, ამასთან დაიკავა ახალგორის რაიონი, დიდი და პატარა ლიახვის და ფრონეს ხეობები.

ავტონომიები

აფხაზეთს ავტონომიის უფლება (სოხუმის ოლქი) ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციით ჰქონდა მინიჭებული. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ 1921 წლის 16 დეკემბერს იგი "სახელშეკრულებო რესპუბლიკად" გამოაცხადა, ხოლო 1931 წლის 19 თებერვალს იგი გაფორმდა ავტონომიურ რესპუბლიკად საქართველოს სსრ შემადგენლობაში.

აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ სეპარატისტულ მოძრაობას ყოველთვის რუსეთი აღვივებდა, რომელსაც დიდად არ ანაღვლებდა არც აფხაზეთის ბედი. 1991 წლის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლის დროისათვის ეთნიკური აფხაზების წილი აფხაზეთის მოსახლეობის 18%-ს შეადგენდა, ქართველებისა კი-46%.

აფხაზები სარგებლობდნენ ქართველებზე მეტი უფლებებით ყველა სფეროში, რასაც დემოკრატიის პროცესის დაწყებამ საფრთხე შეუქმნა. მიუხედავად იმისა რომ 1991 წლის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში აფხაზებს გამსახურდიას ხელისუფლებამ ქართველებზე მეტი ქვოტა მისცა (აფხაზებს 28 მანდატი, ქართველებს – 26, 2 ადგილი კი სხვა ეროვნების წარმომადგენლებს) კონფლიქტი რუსების წაქეზებით მაინც მწიფდებოდა და იგი განსაკუთრებით გაღრმავდა 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ხმათა უმრავლესობით გამოაცხადა აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენა, რაც ფაქტიურად აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფას ნიშნავდა. საქართველოს სამხედრო საბჭომ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართულმა ფრაქციამ (31 დეპუტატი) არ ცნო ეს უკანონო აქტი.

დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია 1992 წლის 14 აგვისტოს, როცა სარკინიგზო მაგისტრალების უსაფრთხოების დაცვისა და სინამდვილეში კი ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა განეიტრალების მიზნით საქართველოს შეიარაღებული ძალები შევიდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამან გამოიწვია ომი აფხაზეთის სეპარატისტულად განწყობილ ხელისუფლებასთან, რომელსაც აქტიურად დაეხმარნენ იქ დისლოცირებული რუსი სამხედროები და ჩრდილოეთკავკასიელი დაქირავებული მეომრები.

ეს ომი 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დამარცხებით დამთავრდა, ომში დაახლოებით 30 ათასამდე ადამიანი დაიღუპა, მოხდა ქართველთა გენოციდი – 250 ათასზე მეტი ქართველი გამოძევებული იქნა აფხაზეთიდან, დაიკარგა აფხაზეთის ყოფილი ავტონომიის ტერიტორია, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ კი – კოდორის ხეობაც.

1994 წლიდან მიმდინარეობს მოლაპარაკებები თბილისსა და სოხუმის დეფაქტო ხელისუფლებას შორის, რომელშიც შუამავლის როლს 2008 წლამდე რუსეთი ასრულებდა, აგრეთვე მასში სხვადასხვა სტატუსით მონაწილეობს, გაერო, ეუთო, "საქართველოს მეგობართა" ჯგუფი (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი). კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ფუნქციებს "ასრულებდა" რუსეთის სამხედრო კონტინგენტი, რომელიც დამოუკიდებელ

სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ეგიდით მოქმედებდა და რომელიც ფაქტიურად ეხმარება აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას მიღწეულის შენარჩუნებაში.

მოლაპარაკებები ძირითადად ორ საკითზე მიმდინარეობს: აფხაზეთის სტატუსზე და ლტოლვილების დაბრუნებაზე. არც ერთ ამ საკითხზე რაიმე პროგრესი არაა მიღწეული. გალის რაიონში სტიქიურად დაბრუნდა და ცხოვრობს 60 ათასამდე ქართველი.

1995 წლის 22 აგვისტოს სოხუმის ე.წ. პარლამენტმა სპეციალური რეზოლუციით დაადასტურა აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობა, არჩეული იქნა აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტიც. დღეს აფხაზეთის საკითხი ჩიხშია მოქცეული. საქართველო არასოდეს არ შეეგუება აფხაზეთის დაკარგვას, აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლებას კი გაგონებაც არ უნდა საქართველოს შიგნით ფართო ავტონომიის მიღებაზე.

სამწუხაროდ საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მოაგვარა აფხაზეთის პრობლემა. 2008 წლის აგვისტოში დაწყებული რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად რუსეთმა ცნო აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, თუმცა ამ აქტს მხარი არავინ დაუჭირა ნიკარაგუას გარდა.

ცხინვალის რეგიონი

თუკი აფხაზეთის განსაკუთრებული ავტონომიურის სტატუსი პრინციპულად მისაღებია ქართული საზოგადოებისათვის,იგივე არ ითქმის ცხინვალის რეგიონზე, ე.წ. სამხრეთ ოსეთზე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ხელოვნურად შექმნა 1922 წლის 20 აპრილს ბოლშევიკებისადმი ოსი ხალხის დახმარების ჯილდოდ. ამიტომ ქართული საზოგადოების უმრავლესობის თვალში ამ ავტონომიური ოლქის თვით არსებობა არალეგიტიმური იყო.

რეგიონში შექმნილმა მოძრაობამ XX საუკუნის 80-იან წლებში "ადამონ ნიხასის" ხელმძღვანელობით მოითხოვა ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანება, რაც უკანონო ნაბიჯი იყო. პირველი შეტაკებები რეგიონში დაიწყო 1989 წელს. გამსახურდიას ხელისუფლებამ თავდაპირველად განაცხადა, რომ ეჭვის ქვეშ აყენებდა ავტონომიის ლეგიტიმურობას, მაგრამ როცა თბილისთან შეთანხმების გარეშე ავტონომიურ ოლქში არჩევნები ჩატარდა და ახლადარჩეულმა უზენაესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა (ფაქტიურად საქართველოდან გამოყოფა) გამოაცხადა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა

საბჭომ 1990 წლის დეკემბერში გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამას სამხედრო დაპირისპირება მოჰყვა. ეს კონფლიქტი ორმხრივი მსხვერპლით მიმდინარეობდა 1992 წლის ივლისამდე. იგი დამთავრდა სამმხრივი ქართულ-ოსურ-რუსული შეთანხმებით, რომლითაც ყოფილი ოლქის სტატუსის გარკვევამდე რეგიონში სამმხრივი სამშვიდობო ძალები დადგებოდა. ეს შეთანხმება დღემდე მოქმედებს, ოლქის ტერიტორიას კი რეალურად დღემდე აკონტროლებს ცხინვალის ე.წ. ხელიუფლება – მთავრობა და პრეზიდენტი. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად საქართველომ დამატებით დაკარგა დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობები, ახალგორის რაიონი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (ადრე მას 1918-1921 წწ დამოუკიდებლობის წლებში სამუსლიმანო საქართველოს ეძახდნენ) შექმნილია არა ეთნიკური ნიშნით (აჭარლები ქართველებია ყველა), არამედ რელიგიური ნიშნით, თურქეთთან გარკვეული შეთანხმების საფუძველზე. აჭარის ხელმძღვანელობას არასოდეს დაუყენებია ეჭვქვეშ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა. 1991 წლიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარედ აირჩიეს ასლან აბაშიძე, რომელიც ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერით სარგებლობდა.

1992 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ასლან აბაშიძემ ცნო ახალი ხელისუფლება, მიესალმა ედუარდ შევარდნაძის დაბრუნებას საქართველოში. მან მოახერხა (რუსული ნაწილების დახმარებით) არ დაეშვა აჭარაზე იმუამად ძლიერი სამხედრო ფორმირებების (მხედრიონი, გვარდია) გავლენების გავრცელება, რისი წყალობითაც რეგიონი ფაქტიურად გადაურჩა ნგრევას, შენარჩუნდა წესრიგი და გარკვეული აღმშენებლობა დაიწყო. ამან ასლან აბაშიძე პოპულარულ ფიგურად აქცია, რასაც მისი ფინანსური სიძლიერეც ხელს უწყობდა. მან შექმნა ახალი პარტია "საქართველოს აღორძინების კავშირი", რომელიც გავლენით მეორე პოლიტიკური ძალა იყო საქართველოში. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მან 60-მდე დეპუტატის საპარლამენტო მანდატი მიიღო საქართველოს პარლამენტში. ასლან აბაშიძე ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის ერთგულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის იდეისადმი. იგი ძლიერი მმართველი იყო და ნაკლებად სჯეროდა დემოკრატიული მმართველობის სიკეთის.

ყოველივე ამის მიუხედავად შეინიშნებოდა გარკვეული დაძაბულობა ცენტრსა და აჭარის მმართველობას შორის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში დაფიქსირდა აჭარის ავტონომიის საკითხი, რეალურად არ მომდარა გამიჯვნა ცენტრსა და რეგიონს შორის. ეს ეხებოდა საკადრო საკითხებსაც. ხშირი იყო ურთიერთბრალდებები. 1991 წლიდან ასლან აბაშიძე არ ჩამოსულა თბილისში ტერორისტული აქტების შიშის გამო. 1996 და 2001, 2004 და 2008 წლებში ჩატარდა აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნები. მიღებულია აჭარის ავტონომიის კონსტიტუციაც. 2001 წელს ასლან აბაშიძე არჩეულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურად პირდაპირი კენჭისყრით, აჭარის უზენაესი საბჭო კი ორპალატიანი გახდა.

2004 წლის მაისიდან აჭარაში შეიცვალა ხელისუფლებაც. ასლან აბაშიძის ნაცვლად აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ლევან ვაშალომიძე.

ადგილობრივი თვითმმართველობა

1995 წლის კონსტიტუციაში ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სისტემა არ იქნა შეტანილი და იგი განიხილება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა ორგანული კანონით უნდა განსაზღვრულიყო. ყველაზე დიდი ცვლილებაა ადგილობრივი მმართველობის შუალედური (რეგიონალური) რგოლის – მხარის შექმნა (სულ 9 მხარე შეიქმნა, რომელსაც პრეზიდენტის რწმუნებულები განაგებენ 1993 წლიდან. მხარეების შექმნა განახორციელდა ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით და მისი (და არა პარლამენტის მიერ მიღებული კანონის) ბრძანებულებით და ამდენად იგი ჯერჯერობით არაკონსტიტუციურ წარმონაქმს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ 1997 წელს მიღებული იქნა კანონი – მხარის შესახებ. მომავალში მოსალოდნელია რეგიონების გაუქმება და რეგიონალურ (სამხარეო) მმართველობაზე გადასვლა, ორპალატიანი პარლამენტის შემოღება).

1997 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომლის საფუძველზეც 1998 წლის 15 ნოემბერს ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი არჩევნები საქართველოში აფხაზეთისა და ცხვინვალის რეგიონის გამოკლებით.

2002 წლის 2 ივნისს (1 წლის დაგვიანებით) ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე არჩევნები. ქალაქებში (თბილისისა და ფოთის გარდა) პირდაპირი კენჭისყრით აირჩიეს ქალაქის მერები, აგრეთვე სოფლებისა და ქალაქის საკრებულოები. რაიონის გამგებლებს კვლავ ნიშნავს პრეზიდენტი რაიონული საკრებულოს წარდგინებით. ასევე ინიშნებიან თბილისისა და ფოთის მერები. თბილისში და ფოთში პროპორციული წესით აირჩა საკრებულოები. ეს არჩევნები დაძაბულ და რთულ, დაპირისპირებულ ვითარებაში ჩატარდა. იყო მრავალი დარღვევა, არჩევნების შედეგების გაყალბება, სასამართლოში გასაჩივრება. ამ არჩევნებში წარმატებას მიაღწიეს ახალმა მემარჯვენეებმა,"მრეწველებმა", ლეიბორისტებმა,ნაციონალურმა მოძრაობამ-დემოკრატიულმა ფრონტმა. 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებში გაიმარჯვა ნაციონალურმა მოძრაობამ.

პოლიტიკური პარტიები

საბჭოთა რეჟიმის რღვევის პროცესმა 1987-1988 წლიდან დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნა გამოიწვია. იმ პერიოდში შეიქმნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, სოციალურ-დემოკრატიული პარტია და სხვები, რომელთა მთავარი მოთხოვნა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ მოხერხდა სახალხო ფრონტის შექმნა, რომელმაც გააერთიანა ყველა პოლიტიკური ძალა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. ეს ერთიანობა დროებითი აღმოჩნდა. იმძლავრა ამბიციებმა და ეროვნული ძალები ძირითადად ორ ბანაკად გაიყვნენ: ზვიად გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა შექმნეს ბლოკი "მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო" რომელმაც გაიმარჯვა კიდეც 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში. ამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 34 პოლიტიკურმა ორგანიზაციამ. ეროვნული მოძრაობის მეორე ბანაკი მკვეთრად დაუპირისპირდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას.

1991-1992 წლის სამოქალაქო დაპირისპირება სწორედ ამ პოლიტიკურ ძალებს შორის მოხდა. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაიწყო ახალი პარტიების წარმოშობა – 1993 წლის ნოემბერში ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი" რომელმაც გაიმარჯვა 1995 და 1999 წლების საპარლამენტო არჩევნებზე. 1993 წლის თებერვლიდან შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული აღორძინების კავშირი, რომლის თავჯდომარე იყო ასლან აბაშიძე. 1999 წლიდან მოქმედებს პოლიტიკური

მოძრაობა: “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს”, რომლის თავჯ-დომარეა გოგი თოფაძე. სწორედ ამ სამმა პაარტიამ გადალახა 7%-იანი საარჩევნო ბარიერი 1999 წლის არჩევნებზე.

1996 წლიდან მოქმედებს საქართველოს ლეიბორისტული (შრომის პარტია (თავჯდომარე შალვა ნათელაშვილი), რომელმაც წარმატებას მიაღწია 1998 და 2002 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე. 1978 წლიდან ფუნქციონირებს საქართველოს რესპუბლიკური პარტია (თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი). 2001 წელს კი 2 პოლიტიკური გაერთიანება “ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი” რომლის თავჯდომარეა მიხეილ სააკაშვილი და “გაერთიანებული დემოკრატები” (თავჯდომარე ზურაბ ჟვანია). ეს ბოლო სამი პოლიტიკური გაერთიანება მოქალაქეთა კავშირის ნამსხვრევებზე აღმოცენდა და საკმაოდ წარმატებას მიაღწიეს 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. ბოლო წლებში შეიქმნა ახალი პარტიებიც – „ეროვნული ფორუმი“ (კახა შარტავა და გუბაზ სანიკიძე), „საქართველოს გზა“ (სალომე ზურაბიშვილი), „ახალი მემარჯვენეები“ (დავით გამყრელიძე), კონსერვატორები (ზვიად ძიძიგური), „ხალხის პარტია“ (კობა დავითაშვილი), ნინო ბურჯანაძის, ირაკლი ალასანიას და ირაკლი ოქრუაშვილის პარტიები.

მასმედია

1987 წლიდან დაიწყო დამოუკიდებელი პარტიული გამოცემების გამოშვება, მაგალითად სახალხო ფრონტის გაზეთი “საქართველო” მასობრივ პოპულარულ გამოცემად იქცა. დამოუკიდებელი არაპარტიული გამოცემების ისტორია 1990 წლიდან გაზეთ “7 დღის” გამოსვლით იწყება, რომელსაც მერე გაზეთი “დრონიც” დაემატა. საგაზეთო პლურალიზმი განსაკუთრებით გაგრძელდა სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. პრესაზე სახელმწიფო ცენზურა არ ხორციელდება და იგი თავისუფალია დღეს (თუ არ ჩავთვლით მატერიალური დამოუკიდებლობის მწვავე პრობლემას. დამოუკიდებელი პრესის პრინციპით მოქმედებენ საგაზეთო ლიდერები “რეზონანსი”,“ახალი თაობა”, “ალია”, “ჯორჯიან ტაიმსი”, “ახალი ვერსია”, “ახალი 7 დღე”, “კვირის პალიტრა”, ჟურნალები “სარკე”, “გზა”, “ბომონდი”, “თბილისელები”, “იმიჯი”, “რეიტინგი” და სხვა.

რაც შეეხება სამაუწყებლო მედიას (ტელევიზია, რადიო, ელექტრონული მედია), ხელისუფლება გაცილებით უხალისოდ ელევა თავის მონოპოლიას ამ დარგში. სახელმწიფო ტელე და რადიო არხებთან ერთად (რომლებიც ხელისუფლების თვალსაზრისს გამოხ-

ატავენ მეტწილად), შეიქმნა დამოუკიდებელი არხებიც: “რუსთავი-2”, “ევრიკა”, “მაესტრო”, “აჭარა”, “კავკასია”, “იმედი”, “მზე”, რადიოარხები: “ფორტუნა”, “რადიო-105”, “იმედი”, “უცნობი“, “ნაცნობი”, “საქართველოს ხმა”, “რადიო თავისუფლების” ქართული რედაქცია და სხვა. სატელევიზიო ადგილობრივი საკაბელო არხები გააჩნია ბევრ რაიონს და რეგიონს. 2001 წლის ოქტომბერში “რუსთავი-2”-ის გარშემო დიდი სკანდალი მოხდა, რაც პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ტელეკომპანიაში შევიდნენ უშიშროების სამინისტროს მუშაკები და ფაქტიურად მისი შეზღუდვა და გაუქმება მოინდომეს სხვა საბაბით. ხალხმა მაშინ მასიურად დაუჭირა მხარი “რუსთავი-2”-ს, მერე კი ეს ყოველივე პარლამეტთან მჯდომარე აქციაში გადაიზარდა, რომელსაც მთავრობის გადადგომა მოჰყვა.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ ამ “დამოუკიდებელი” ტელე და რადიო არხების უკან სახელისუფლებო პოლიტიკური და ფინანსური ჯგუფები დგანან, რომლებიც ხშირად ჭეშმარიტ ქართულ ინტერესებს სულაც არ გამოხატავენ. 2004 წლიდან გაუქმდა ტელეკომპანიები „მე-9 არხი“, „იბერია“, „202“, რაშიც ხელისუფლებას მიუძღვის წვლილი.

არასამთავრობო ორგანიზაციები

დღეს საზოგადოებრივი ორგანიზაციები ძირითადად სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: შემოქმედებითი კავშირები და პროფკავშირები (რომლებიც საბჭოური პოლიტიკური სისტემის სპეციფიკურ ელემენტს წარმოადგენენ), ახალი არასამთავრობო ორგანიზაციები, რელიგიური ორგანიზაციები. 1992 წლიდან გამოკვეთილად დაიწყო არაპოლიტიკური არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩამოყალიბება, რომელთა რიცხვმა 3000-ს გადააჭარბა. მათი უმრავლესობა ფუნქციონირებს უცხო ფონდების (მაგალითად “ღია საზოგადოება-საქართველო, ანუ სოროსის ფონდი, ფონდი “ევრაზია”, ფონდი “ჰორიზონტი”, ტასისის პროგრამა, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, ასევე ქართული ფირმა “ქართუს” საქველმოქედო ფონდი, გოგი თოფაძის ფონდი, კათოლიკოს პატრიარქის ფონდი, ედუარდ შევარდნაძის ფონდი, ახალი მემარჯვენეების ფონდი და სხვა) და იშვიათად საკუთარი სახსრების მეშვეობით. არასამთავრობო სექტორი უფრო მეტად აქტიურია ისეთ სფეროებში, როგორიცაა გარემოს დაცვა, ადამიანის უფლებები, სამოქალაქო განათლება, დემოკრატიული რეფორმების საკანონმდებლო საფუძვლების შემუშავება, კონფლიქტების რეგულირება, სოციალური და ჰუმანიტარული დახმარება, ახალგაზრდობის და

ქალთა პრობლემები. არასამთავრობო ორგანიზაციებს “მესამე სექტორს” უწოდებენ, თუმცა ისინი ფინანსურად მთლიანად უცხოეთზე არიან დამოკიდებული.

საქართველოში ახლა იწყება ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბება (მაგალითად მეწარმეები, რომლებიც მძაფრად აკრიტიკებენ სავალუტო ფონდს და სხვა “დამხმარე” ორგანიზაციებს), რომლებიც ლობირებენ სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს ხელისუფლებაში.

თავი XVII
ქართული პოლიტიკური აზრი

ქართული პოლიტიკური აზროვნების სათავეებთან

საქართველო უძველესი ცივილიზებული ქვეყანაა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის გასაყარზე მდებარე საქართველოს შორეული წარსულიდან მჭიდრო დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა ევროპისა და წინა აზიის ქვეყნებთან, რაც უშუალო ასახვას პოულობდა ქართველი ხალხის პოლიტიკურ აზროვნებაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია იმან, რომ ჯერ კიდევ გვაროვნული ურთიერთობის საფეხურზე საქართველოში სახელმწიფოებრივი წყობა არსებობდა.

საგარეო ორიენტაციის საკითხმაც თავისებურად დააჩქარა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება.

კოლხეთი იმთავითვე ბიზანტიის გავლენას განიცდიდა, რაც მისი გეოგრაფიული მდებარეობით იყო განპირობებული. აღმოსავლეთ საქართველოს კი უნდა აერჩია ბიზანტია და ქრისტიანობა ან ირანი და ზოროასტრიზმი. საგარეო ორიენტაცია განპირობებული იყო ბიზანტიის ბატონობით, რომელიც კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციათა მიხედვით მეტ-ნაკლებად გამწვავებულ ხასიათს იღებდა.

შეიძლება ითქვას რომ განვითარების ამ ეტაპზე ქართული პოლიტიკური აზროვნების ორი ძირითადი ხაზი განპირობებული იყო, ერთ შემთვევაში ეკონომიკურ-პრაქტიკული ინტერესებით (კოლხეთი), ხოლო, მეორე შემთხვევაში პოლიტიკური ანგარიშიანობის (საორიენტაციო ინტერესებიდან გამომდინარე) შედეგად მიღებული ქრისტიანობის დაცვა-განმტკიცებით (იბერია). მიმართულებათ საერთო სააზროვნო საფუძველს წარმოადგენდა საეკლესიო თეოლოგია და ანტიკური ფილოსოფია.

ამას ადასტურებს კოლხეთის აკადემიის საქმიანობა.

პოლიტიკური ცოდნისა და პოლიტიკური პრაქტიკის დაახლოების იდეა თანდათან განვითარებას პოულობდა. ამაზე ნათლად მეტყველებს VI საუკუნის კოლხეთის სამეფოს საგარეო ორიენტაციისა და პოლიტიკური ინსტიტუტების საკითხებზე აიეტისა და ფარტაძეს შეხედულებანი. აიეტი კოლხეთის წარჩინებულთა წარმომადგენელი და ფეოდალური არისტოკრატიის მსოფმხედველობის გამომხატველი იყო. მას მიაჩნდა რომ ბიზანტიის სამეფო თელავს კოლხეთის სახელმწიფო სუვერენიტეტს. ამიტომ იგი სპარსელების მხარეზე გადასვლას მოითხოვდა.

სახელმწიფო, ამტკიცებდა აიეტი, ადამიანების მიერ შექმნილი რთული დაწესებულებაა, რომლის მიზანია ადამიანთა ბედნიერი ცხოვრების უზრუნველყოფა. ამ მიზანს სახელმწიფო უშუალოდ თვითონ უნდა ახორციელებდეს. აიეტის აზრით, იდეალური ის სახელმწიფოა, რომელსაც მეზობელი ქვეყნები ანგარიშს უწევენ, რომელიც საგარეო ურთიერთობაში დამოუკიდებელ საგარეო კურსს ახორციელებს და საკუთარი სახელმწიფოებრიობის სარეალიზაციოდ მას არ სჭირდება უცხო, გარეშე ძალების გამოყენება. ყველა პოლიტიკური მოღვაწის მიზანია იმდენად ძლიერი გახადოს სახელმწიფო, რომ მას ყოველთვის საკუთარი თავის იმედი ჰქონდეს. მაგრამ სახელმწიფოს ბედს მარტო პოლიტიკურ მოღვაწეთა ნიჭი, უნდარი და ცოდნა არ განსაზღვრავს, მიუთითებდა აიეტი და განმარტავდა: "სახელმწიფო განვითარების კანონზომიერება ხშირად ემყარება "ჟამთა ტრიალს", ბედის უკუღმართობას, ან ორივეს ერთად", ის, რომ აიეტი სახელმწიფოსა და სხვა სოციალური მოვლენების განმსაზღვრელად "ჟამთა ტრიალს" ან "ბედის უკუღმართობას" და სხვა მიზეზებს ასახელებს , არ ნიშნავს მის მიერ ღმერთის სრულ იგნორირებას. აიეტი იმასაც მიუთითებს რომ "ღმერთი ყველაფრის გამგებელია", სწორედ იგი ანიჭებს ადამიანებს ინტელექტსა და გონიერი აზროვნების უნარს, ეხმარება რთული და წინააღმდეგობრივი მოვლენების გარკვევაში. ვინც "უზენაესის" ნებას არ მისდევს, ღმერთი მათ "ურისხდება" და პირიქით, გონივრული მოქმედება "უზენაესსაც სიამოვნებს" – აღნიშნავდა აიეტი.

საყურადღებოა აიეტის შეხედულებანი თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფოს პრობლემებზე. მისი აზრით სუვერენული და ძლიერი სახელმწიფო შეურიგებელი უნდა იყოს ყველა იმ ბოროტმოქმედების მიმართ,რომელიც ლახავს ხალხის ღირსებას. თავისი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული სახელმწიფომ არასოდეს არ უნდა დატოვოს უყურადღებოდ, თუ მას სურს მომავალში ქვეშევრდომთა უზრუნველი ცხოვრება.

აიეტის შეხედულებებში ნათლად ჩანს საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ადათ-წესებისადმი პატივისცემა, რომელიც არ გამორიცხავს ახლისადმი მხარდაჭერას, როცა ამას საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესები მოითხოვენ.

აიეტის თანამედროვე, დიდი ორატორი და სწავლული ფარტაძე, არ ეთანხმებოდა აზრს ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტისა და სპარსელების მხარეზე გადასვლის შესახებ. ამ შემთხვევაში ფარტაძის ძირითადი არგუმენტი ისაა, რომ სპარსელები ქრისტიანობის მტრები იყვნენ, ბიზანტიელები – მართლმორწმუნენი. ამიტომ კოლხებს არ შეეფერება უღალატოს ქრისტიანობას და მიმართოს

წმინდა სარწმუნოების მტრებს, რითაც შეიბღალება "მართლმორწმუნეობა და წმინდა საიდუმლოთა უმწიკვლობა". ქართულ რელიგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებაში დიდი მნიშვნელობა შეიძინა ქრისტეს ორი ბუნების – ღვთაებრივისა და ადამიანურობის შესახებ პრობლემის განხილვამ. რომელია განმსაზღვრელი – მიწა თუ ზეცა, კაცი თუ ღმერთი? აი კითხვა, რომლის პასუხიც არსებითად განაპირობებდა პოლიტიკური აზრის ხასიათს. ამ საკითხის გარკვევაში განსაკუთრებით წარმოჩნდა იმ ეპოქის ქართული აზროვნების კანონმდებელი პეტრე იბერი.

პეტრე იბერის სახით ქართული რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის პროგრესული ფრთა დაინტერესებული იყო არა იმდენად ღმერთის განკაცებით, რამდენადაც კაცის გაღმერთებით., ადამიანის ღმერთთან გათანასწორებით. ამ პრობლემის პოლიტიკური დატვირთვა უშუალოდ უკავშირდება ერთისა და სიმრავლის პრობლემას.

პეტრე იბერი, რომელსაც თანამედროვენი, მოწაფეები და ბიოგრაფები "მეორე მოსეს" უწოდებდნენ, ერთისა და სიმრავლის განუყრელობის იდეას ქადაგებდა. იგი მონოფიზიტიცაა (ქრისტეს ერთბუნებიანობის – ღვთაებრიობის რწმენა), რამდენადაც ყველაფერი ერთზე, ღმერთზე დაჰყავდა და დიოფიზიტიც (ქრისტეს ორბუნებიანობა – ღვთაებრიობა და ადამიანობა), რამდენადაც ღმერთში (ერთში) ხედავდა ადამიანურ მსოფლიოს. პეტრე იბერის თანახმად არ არის ერთი სიმრავლის გარეშე და პირიქით, სიმრავლე ერთის გარეშე.

აღნიშნული პრობლემის თეორიული დამუშავებით პეტრე იბერმა შეამზადა ნიადაგი იოანე პეტრიწის მიერ ამ საკითხის კლასიკური განზოგადებისათვის.

VII-VIII საუკუნეების მიჯნიდან XI საუკუნემდე პერიოდი ქართული აზროვნების ისტორიაში სქოლასტიკის ხანადაა ცნობილი. ამ ეტაპზე პოლიტიკური აზროვნების თავისებურებანი არსებითად განისაზღვრებოდა, ერთის მხრივ, ქვეყნის შიგნით სოციალური ბრძოლის გამძაფრებით, მეორეს მხრივ, არაბთა გაბატონებით.

ამ პერიოდის პოლიტიკური ცხოვრების არსებითი დამახასიათებელი ნიშანია საერო და სასულიერო აზროვნების დაახლოება. ამ საფუძველზე X საუკუნის დასასრულისათვის საქართველომ ერთგვარ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ კონსოლიდაციას მიაღწია. პოლიტიკური ყოფიერება წარმოდგენილი იყო ოთხი ძალით: მდაბიონი და სოფლის მუშაკნი, დიდაზნაურნი, ეკლესია და არისტოკრატია. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური

აზროვნება ამ ოთხი მებრძოლი ძალის პარტიულ-იდეოლოგიური ცხოვრების გამოხატვაა. უმთავრეს თეორიულ იდეას "ერთმმართველობისათვის ბრძოლას წარმოადგენს.

ერთმმართველობის თეორიული იდეის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საფეხურებრივად განლაგებულ ძალებს სათავეში ერთი საწყისი უდგას. ამ საწყისის (ერთის) გაგება კაცობრიობის პოლიტიკური აზროვნების უმნიშვნელოვანესი თეორიული პრობლემაა.

აღნიშნულ პერიოდში იგი ძირითადად აბსოლუტიზირებული იყო (მაგალითად ბიზანტიის იმპერიაში). საქართველოში ერთმმართველობის დროს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ გაგებაში აისახა ქართული ყოფიერების თავისებურებანი.

ერთმმართველობის სახელმწიფო სისტემა პრაქტიკულად განახორციელა დავით აღმაშენებელმა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა მისმა პიროვნებამ. დავითის პოლიტიკური მოღვაწეობა ძალისა და სამართლიანობის, სამართლიანობისა და ძალის ერთიანობაა. სამართლიანობა იცავს ძალას დესპოტიზმისაგან, ხოლო ძალა იცავს სამართლიანობას ხელისუფლებითი პარტიკულარიზმისაგან.

დავით აღმაშენებელი (1089-1125) - პოლიტიკოსი და მოაზროვნე

საქართველოს უდიდესი მეფე დავით IV აღმაშენებელი იმ დროს მეფობდა საქართველოში, როდესაც ძველ რუსეთში ვლადიმერ მონომახი (1113-1125) ცდილობდა ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნას; ბიზანტიაში ალექსი კომნენოსს (1081-1112) უჭირდა ძალაუფლების შენარჩუნება; ინგლისში ჰენრიხ I-ის (1100-1135) ცდას ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შესაქმნელად შედეგი არ მოჰყოლია, გერმანიაში ჰენრიხ V (1106-1125) – ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების შექმნისათვის ბრძოლაში დამარცხებული – იძულებული ხდება 1112 წელს კომპრომისული ხელშეკრულება დადოს რომის პაპთან, ხოლო საფრანგეთში ჯერ კიდევ ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდი ბატონობს და მეფე ლუი VI (1108-1137),რომელიც დამოუკიდებლად ვერ მართავს ქვეყანას, რადგანაც იძულებული იყო სახელმწიფოებრივი ხელისუფლება გაენაწილებინა მისი ფაქტიური თანამმართველის აბატი სუგერისათვის, მხოლოდ იმას ახერხებს, რომ იმორჩილებს ზოგიერთ ფეოდალს სამეფოში.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ შეხედულებებზე წარმოდგენას გვაძლევს მისი "გალობანი სინანულისანი", უცნობი ავტორის

თხზულება "ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი", 1103 წლის რუის-ურბნისის კრების დადგენილება, 1123 წელს შიო-მღვიმის მონასტრისადმი ბოძებული ანდერძი და 1125 წელს გარდაცვალების წინ მემკვიდრეებისადმი დატოვებული ანდერძი.

დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური რეფორმები ცხადად მოწმობენ, რომ იგი იყო იმ ეპოქის როგორც უძლიერესი მეფე, ასევე დიდი თეორეტიკოსი და მოაზროვნე.

იგი ერთი პირველთაგანია შუა საუკუნეებში, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ფეოდალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემის სრულყოფის საქმეში, მტკიცედ ჩამოაყალიბა რა XI-XII საუკუნეების საქართველოში ფეოდალიზმის ეპოქის მმართველობის თითქმის უცნობი ფორმა – აბსოლუტიზმი და მეცნიერულ საწყისებზე დაასაბუთა მისი, როგორც ახალი პოლიტიკური წყობილების უპირატესობა ფეოდალურ დაქუცმაცებულობასთან შედარებით.

მართლმადიდებელ მორწმუნე მეფეს ღრმად სწამს, რომ ღმერთი განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას. მისი ნებით ხდება სამეფო ტახტზე მეფეთა ასვლა და სამეფოთა დამხობა, ღმერთი ანიჭებს მეფეებს მტერზე გამარჯვებას. დავით აღმაშენებელი ღრმადაა დარწმუნებული, რომ სამეფო ხელისუფლების განხორციელებისას იგი ღმერთის თანაგრძნობითა და წყალობით სარგებლობს, თუმცა, რადგანაც, შუა საუკუნეების რელიგიურ-სქოლასტიკური მოძღვრების მიხედვით ყოველი ადამიანი ცოდვილია, დავით აღმაშენებლსაც არ მიაჩნია თავი უცოდველად.

რადგანაც ყოველივე არსებული ღვთაებრივი წარმოშობისაა, ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების იდეოლოგი დავით აღმაშენებელი ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევის, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დათრგუნვის და სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტის ამაღლების მიზნით, თავის ამ ზოგად ფილოსოფიური მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ მოსაზრებას მოხერხებულად იყენებს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წარმოშობის ასახსნელად. მისი მტკიცებით, სამეფო ხელისუფლება ღვთაებრივი წარმოშობისაა, ღმერთი გადასცემს მეფეებს სახელმწიფოებს მართვა-გამგეობისათვის და ამავე დროს იგი უმაღლესი მეფეთა-მეფე და ამქვეყნიური გამგებელია, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყველა პიროვნება სახელმწიფოში.

ეკლესია-მონასტრები წარმოადგენენ შუამავლებს ღმერთსა და ქვეშევრდომებს შორის, მაგრამ დავით აღმაშენებლის აზრით, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სასულიერო ხელისუფლება საეროზე

მაღლა დგას, პირიქით, ღმერთის ნების გამომხატველი საერო ხელისუფლება ვალდებულია ჩაერიოს საეკლესიო ხელისუფლების საქმეში და ღმერთის ნების შესაბამისად მოაწესრიგოს იგი, თუ ამის საჭიროება არსებობს. იმ დროს, როცა დასავლეთ ევროპაში რომის პაპებმა დაიმორჩილეს იმპერატორებიც კი, დავით აღმაშენებელმა 1103 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევით მიზნად დაისახა და განახორციელა თურქ-სელჩუკთა ბატონობით გამოწვეული შერყეული ზნეობის აღდგენა, გარდა ამისა„ მწიგნობართ-უხუცესის და ჭყონდიდელის თანამდებობის შეერთებით პრაქტიკულად განხორციელდა საერო ხელისუფლებისადმი საეკლესიო ხელისუფლების დაქვემდებარება.

დავით აღმაშენებელი სამეფო ხელისუფლების განხორციელების პროცესში აბსოლუტიზმის იდეებით (“ერთმმართველობის” იდეით) ხელმძღვანელობს. იგი აქტიურად ერევა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, განსაზღვრავს მრავალფეროვანი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობას.

აბსოლუტური სამეფო ხელისუფლების შეუზღუდველობას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგებში მისი ჩარევის განუსაზღვრელობას დავითის მემატიანე უძირო უფსკრულს ადარებს და ამ შესანიშნავი მხატვრული შედარებით მოკლედ და ლაკონურად აქვს დახასიათებული აბსოლუტიზმის პოლიტიკური მოძღვრება, რომელიც დასავლეთ ევროპაში მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ განხორციელდა.

აბსოლუტიზმის იდეების სრული განვითარება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი პრაქტიკული განხორციელება მოხდა დავით აღმაშენებლის მეფობისას. აბსოლუტიზმის პოლიტიკური მოძღვრება ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებისას ეროვნულმა თავისებურებებმა განსაზღვრა. ამიტომაც მისი ხასიათი ქართული სახელმწიფოებრიობის ინიციატივით შექმნილ მრავალეროვან სახელმწიფოში მხოლოდ საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ადრინდელი რენესანსის პოლიტიკური გარემოებებით უნდა აიხსნას. ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა, რჯულშემწყნარებლობა და სხვა ერებისადმი პატივისცემა, წინანდელი ეპოქების ცნობილ მხედართმთავართა და მეფეთა გამოცდილების გათვალისწინება სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებისას, სხვადასხვა პოლიტიკურ-რელიგიური და ფილოსოფიური მიმართულებების წარმომადგენელთაგან სწავლულთა რაზმის შექმნა, ქვეყანაში განათლებისა და კულტურის დანერგვა, სახელმწიფოში წესრიგის დამყარება და ხელისუფლების პასუხისმგებლობის ამაღლება, ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება და საგარეო და საშინაო ურთიერთობებში პატრიოტულ ძალებზე დაყრდნობა, გვაროვნული წარმოშობის უარყოფა, ნიჭისა და პირადი უნარის მიხედვით ადამიანის დაფასება, რეალიზმი პოლიტიკაში – აი, ის ძირითადი მახასიათებლები, რითაც ხელმძღვანელობდა დავით აღმაშენებელი განათლებული აბსოლუტიზმის იდეებზე მრავალეროვანი სახელმწიფოს მოწყობისას.

დავით აღმაშენებელი ფეოდალიზმის იდეოლოგი და დამცველია, ამიტომ სახელმწიფოს ყველაზე უკეთეს ფორმად მას მონარქია მიაჩნია, იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ის დიდი ისტორიული მისია რომელიც ღმერთმა ფეოდალურ საქართველოს დააკისრა – კავკასიის ხალხთა გათავისუფლება თურქ-სელჩუკთაგან, მრავალეროვანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა – შესაძლებელია მხოლოდ ცენტრალიზებული მონარქიული წყობილების პირობებში. დავითი ვერ ეგუება მის მიერ შექმნილ მრავალეროვან სახელმწიფოში მონარქიისაგან განსხვავებულ და რესპუბლიკურ პრინციპებზე აგებულ თავისუფალ ფეოდალურ ქალაქებს და მძიმე, შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს, სადაც ჯაფარიდების დინასტიის განდევნისა და ამოწყვეტის შემდეგ დავით აღმაშენებლის მიერ ქალაქის დაკავებამდე თავისი არსებობის უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში რესპუბლიკური წყობილება არსებობდა.

გაოცებას და აღტაცებას იწვევს დავითის წინდახედულება და პოლიტიკური რეალიზმი. უთუოდ ამით იყო გამოწვეული ის საოცარი მოვლენა, რომ ევროპის რელიგიურ-ჯვაროსანთა ომებში დავითმა და მისმა მემკვიდრეებმა მონაწილეობა არ მიიღეს და სომხეთივით თავისი თავი სასაკლაოზე არ მიიტანეს. შედეგიც მალე გამოჩნდა: მოისპო სომხური სახელმწიფოებრიობა, საქართველო კი – გადარჩა. ქართველობა და კერძოდ დავით აღმაშენებელი, კარგად ხედავდა რომ ევროპელები ადრე თუ გვიან შინ დაბრუნდებოდნენ (ასეც მოხდა), თვითონ კი საქართველო დარჩებოდა პირისპირ მაჰმადიანთა მტრულ გარემოცვასთან.

დავით აღმაშენებელი აყალიბებს თავის შეხედულებას მმართველზე და მეფეზე. მისი აზრით, მონარქი უნდა იყოს განათლებული, ჰუმანისტი, მართლმსაჯული, ქველმოქმედი და ქვეშევრდომთა მოწყალე. განათლებული აბსოლუტიზმის ამ ნიშნების მიხედვით დავით აღმაშენებელი მონარქიას ანსხვავებს ტირანიისაგან. დავითის აზრით, ტირანთა გულქვაობა, სისასტიკე, სიხარბე, შეუბრალებლობა და ძალადობა არღვევს სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის პრინციპებს და სწორედ ღმერთი ტირანებს ყოველთვის სამაგიეროს მიაგებს.

დავით აღმაშენებელი სამართლის ნორმებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ადამიანებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სამ კატეგორიად ყოფს: ბუნებითი, ღვთაებრივი და დადებითი. თავის "გალობანი სინანულისანი"-ში, რომელიც შეიცავს დავით აღმაშენებლის აღსარებას ღმერთის მიმართ მის მიერ ჩადენილი საქმეების თაობაზე და ზოგჯერ უმართებულო თვითბრალდებებსაც ("რა ცოდვა გქონდა ასეთი მეფეო" – ანა კალანდაძე), იგი აღნიშნავს, რომ თითქოს მან ფეხქვეშ გათელა და არ შეასრულა არა მარტო ბუნებითი სამართლის, არამედ ღვთაებრივი სამართლის მოთხოვნებიც და დაემონა ხორციელი, ამქვეყნიური გატაცებისა და ინტერესების მიხედვით სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ დადგენილ სამართალს". სინამდვილე სხვას ღაღადებს: წყაროების მიხედვით, დავით აღმაშენებელი იყო არა მარტო ძლიერი ნებისყოფის და მტრისათვის შიშის მომგვრელი მეფე, არამედ იგი ამავე დროს ცნობილია, როგორც რჯულშემწყნარებელი, მართლმსაჯული, ღარიბთა და ქვრივთა დამხმარე, სამართლიანობისა და მშვიდობის დამცველი, თავის დროის დიდი ჰუმანისტი და მოაზროვნე, ქველმოქმედი.

მთელს საქართველოში დადიოდა ხალხზე და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული მეფე, მფარველობდა ქვრივ-ობლებსა და გლახაკებს. ცალკე ქისა ჰქონდა დავითს, ყოველ დღე ფულით ავსებდა და ღარიბ-ღატაკებს ურიგებდა თურმე. საყურადღებოა ისიც, რომ იგი ქველმოქმედებას სახელმწიფო ხაზინიდან კი არ ეწეოდა ზოგიერთებივით, არამედ "ხელთა თვისთა ნადირებულთა" – ე.ი. საკუთარი ქონებიდან. კაცთმოყვარე მეფემ გელათთან აღაშენა ქსენონი (საავადმყოფო), სადაც ხშირად ნახულობდა ავადმყოფებს და ყურადღებას არ აკლებდა მათ – ყველას მოიკითხავდა, გადაჰკოცნიდა და ამ მზრუნველობით ტკივილებს უამებდა გაჭირვებულთ.

ლეგენდებს თხზავდა ხალხი სამშობლოს მამაზე. ამიტომ უწოდეს მას აქამდე გაუგონარი სახელი – "აღმაშენებელი".

1125 წლის 24 იანვარს, შაბათ დღეს გარდაიცვალა დიდი დავით აღმაშენებელი, რომელმაც თანმიმდევრულად გაატარა ცხოვრებაში ყველა ის რეფორმა, რომელმაც უზრუნველყო საქართველოს გადაქცევა პირველხარისხოვან სახელმწიფოდ და იმპერიად:

1) შექმნა თანამოაზრეთა, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანთა გუნდი;

2) ჩაატარა ეკონომიკის რეფორმა, რამაც უზრუნველყო მიწათმოქმედებისა და ვაჭრობის განვითარება, შემოსავლების ზრდა;

3) ჩაატარა სამხედრო რეფორმა, შექმნა რეგულარული ჯარი;

4) უზრუნველყო ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების ჩამოშორება სახელმწიფოს სათავეებიდან;

5) ჯერ ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით მოაძლიერა ქვეყანა და შემდგომ ამისა შეწყვიტა ხარკის ძლევა და დაუპირისპირდა თურქ-სელჩუკებს;

6) შექმნა სახელმწიფო უშიშროების უძლიერესი სიტემა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო მსტოვართა ინფორმაციით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარედან;

7) მოახდინა სახელმწიფოს მმართველობის რეორგანიზაცია, შექმნა სავაზირო;

8)ჩაატარა საეკლესიო კრება და რეფორმა, ეკლესია დაუმორჩილა სახელმწიფოს;

9) ჩაატარა სასამართლო რეფორმა, შექმნა სწავლა-აღზრდის ერთიანის სისტემა;

10) მტერს თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ წაართვა სტრატეგიული ქალაქები;

11) გაიმარჯვა ყველაზე დიდ გენერალურ ბრძოლაში და განავრცო ქვეყნის საზღვრები.

შოთა რუსთაველის სოციალურ-პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებები

შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანში" მხატვრული ფორმით გადმოცემულია XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, აგრეთვე სამეფო ხელისუფლების ის დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები და შეხედულებები, მათ შორის რელიგიურ საკითხებშიც, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების, დაცვისა და განმტკიცების დასაბუთებას ისახავს მიზნად.

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების საკითხებზე შოთა რუსთაველის მიერ "ვეფხისტყაოსანში" გადმოცემული გააზრებული თეორიული დასკვნები და სახელმწიფოს მართვის რეკომენდაციები არა მარტო XII საუკუნის საქართველოს (დავით აღმაშენებლიდან თამარის ჩათვლით) სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის ანარეკლია, არამედ ამასთან ერთად ისინი წარმოადგენენ რჩევა-დარიგებას სამეფო ხელისუფლებისა და აგრეთვე ურჩ ფეოდალთა მიმართაც, საქართველოს მეთაურობით შექმნილ საერთო-კავკასიურ სახელმწიფოში შემავალ მრავალმილიონიან მოსახლეობაზე და სხვადასხვა სარწმუნოებისა და ჩვევების მქონე ხალხებზე – თუ რა მეთოდისა და ხერხების გამოყენებით შეიძლება განხორციელებული იქნეს ქართული

სახელმწიფოებრიობა. ამ მიზნით სამეფო ხელისუფლება საყოველთაო მშვიდობისა და კლასობრივი ზავის პოლიტიკას ატარებდა.

ტახტის მემკვიდრეობის უფლება, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობა, ფეოდალური საზოგადოების თითოეული წოდებისათვის სავსებით გარკვეული უფლებებისა და მოვალეობების დადგენა, ომისა და აჯანყების უფლება, აი, ის მთავარი საკითხები, რომლებიც წარმოდგენას გვაძლევს მის სამართლებრივ შეხედულებებზე, რომელიც რუსთაველს გადაწყვეტილი აქვს ე.წ. "მართალი სამართლის" მოძღვრების, ("ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად"), ანუ ბუნებითი, ღვთაებრივი სამართლის მიხედვით.

"ვეფხისტყაოსნში" რუსთაველმა ასევე ჩააქსოვა თავისი შეხედულებანი სოციალურ-პოლიტიკურ და რელიგიურ პრობლემებზეც.

რუსთაველის მიერ დახატული საზოგადოება იერარქიულად აშენებულია შემდეგნაირად: მაღლა დგას მეფე, მის ქვემოთ ვეზირები და დიდებულები. შემდეგ მოდის სპა,ანუ ლაშქარი,მიწის მუშაკნი და ვაჭრები, ხოლო სულ დაბლა – მონები.

რუსთაველის მიერ დახატული მეფე სრულად არ ჰგავს ფეოდალურ მეფეს. ის არ არის პირველი თანასწორთა შორის (პრიმუს ინტერ პარეს) პირიქით, მისი სწორი არავინაა, მისი ძალა უსაზღვროა, მისი წარმოშობა ღვთაებრივია. მეფეა მთელი ქვეყნის თვითმპყრობელი. მცირე ქვეყნის მეფე სარიდან უარს ამბობს ტახტზე დიდი მეფის ფარსადანის სასარგებლოდ და მისი მოხელე, ამირბარი ხდება. ამ წესით მოხდა ქვეყნის გაერთიანება, ერთი მეფობის დამკვიდრება. **ერთი ხალხი – ერთი მეფე პოლიტიკური იდეალია.** მეფის სურვილი კანონია, მას წინ ვერავინ დაუდგება.

ერთი სიტყვით, რუსთაველის მეფე არის თვითმპყრობელი, აბსოლუტური მონარქი, რომელსაც მორჩილებს ყველა კლასი, მთელი ერი. როგორ იყენებს **მეფე** ამ დიდ ძალაუფლებას? იგი **ამ დიდ ძალას ხმარობს ხალხის სასარგებლოდ,** მეფე არის „მაღალი, უხვი, მდაბალი", „მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი." ის ეხმარება გაჭირვებულთ და დავრდომილთ, ებრძვის სიავეს და ბოროტებას, აწარმოებს ფართო ქველმოქმედებას. იგი არის „გონიერი,გული ლბილი". ასეთი მეფის ქვეშევრდომნი ბედნიერნი არიან, ვინაიდან მეფე

„ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვებს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავის მქმნელნი დააშინეს, კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს."

ამრიგად, **რუსთაველის იდეალია** მეფე თვითმპყრობელი, მეფე რეფორმატორი, მეფე მოსიყვარულე და ქვეშევრდომთათვის სამართლის მომნიჭებელი.

ეს იდეალი რუსთაველმა აიღო მაშინდელი XII საუკუნის საქართველოს რეალური შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობიდან, თამარ მეფის მოღვაწეობიდან. ტახტზე ასულ 18 წლის თამარს დაუპირისპირდა დიდებულთა ჯგუფი ყუთლუ არსლანის მეთაურობით და მას მოსთხოვეს ისანში კარვის დაარსება, სადაც ისინი დაჯდებოდნენ „თავის უფლებათა მსხდომარენი, რათა მივცემდეთ და მოვიღებდეთ, რომელთამე ვრისხავდეთ და რომელთამე ვწყალობდეთ, ამას ესრეთ ვაკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფესა და დედოფალსა და მუნდა სრულ იქნებოდეს განგებული ჩვენნი". ე.ი. ყუთლუ-არსლანის დასი მოითხოვდა მთელი კანონმდებლობის და მმართველობის მათთვის გადაცემას, მეფე კი მხოლოდ დაამტკიცებდა მათ გადაწყვეტილებას.

ეს იყო ხელისუფლების დანაწილების პროგრესული, მაგრამ მაშინდელი საქართველოსათვის ნაადრევი იდეა, რომელიც ცენტრალიზებული სახელმწიფოს დასუსტებას და დანაწევრებას გამოიწვევდა.

რუსთაველი ამ დიდ პოლიტიკურ დავაში გადაჭრით დადგა მეფის მხარეს, რომელმაც შესძლო აჯანყებულთა დაშოშმინება და აჯანყების ჩაქრობა. რუსთაველმა ეს არ იკმარა და საჭიროდ ჩათვალა მეფის უფლებების ხალხში გამაგრება იდეურადაც, მან პირველმა წამოაყენა ლიტერატურაში თვითმპყრობელობის თეორია და აღჭურვა მეფე ასეთი წარმტაცი თვისებებით. ამის საფუძველს მას დავით IV და თამარის მოღვაწეობა აძლევდა. თამარმა პირველად გააუქმა საქართველოში სიკვდილით დასჯა, ასოების მოკვეთა, თვალების დათხრა. ცნობილი იყო თამარის ქველმოქმედება. ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით თამარის დროს ყოფილა კანონი, რომლის ძალით საშინაო და საგარეო შემოსავლის 10% ქველმოქმედებაზე იხარჯებოდა. ამისათვის დაარსდა საგანგებო უწყება.

მეფე თვითმპყრობელი, რუსთაველის მიხედვით, თავის პოლიტიკას ატარებს დიდებულთა მეშვეობით. ეს წრე მოიცავს პირველ რიგში ვეზირებს, შემდეგ კი სპასპეტებს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, **„დიდება"** ძველად თანამდებობასა და მასზე დაფუძნებულ პატივს ნიშნავდა, დიდებული იმავე დროს დიდი მოხელე იყო. **რუსთაველის იდეალია მოხელეობა, სახელმწიფოს სამსახური და არა გვარიშვილობა,** რაც სრულიად ეთანხმება მის პოლიტიკურ კონცეფციას. „ვეფხისტყაოსანი" შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა საზოგადოებაში მარტო წოდებრივი წარმოშობით კი არ უნდა განისაზღვროს, არამედ მასზე მაღლა დგას ადამიანთა პირადი ღირსება. რუსთაველის ეს მოსაზრება („თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა"), რომელიც

ჯერ კიდევ გიორგი მთაწმინდელმა წამოაყენა და იგი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მტკიცედ დანერგა ჯერ დავით აღმაშენებელმა, მეფე გიორგი III, წითელი ზოლივით გასდევს „ვეფხისტყაოსანს“.

რუსთაველი არ ხმარობს სიტყვა „აზნაურს“, ხმარობს „თავადს“, მაგრამ არა თანამედროვე მნიშვნელობით. მისთვის თავადი ნიშნავს არა წოდებრიობას, დიდგვაროვნებას, არამედ მეთაურობას, წინამძღოლობას („ჩემ წილ დაგაგდებ პატრონად, თავადად ჩემთა სპათასა“).

ამ მმართველთა წრეს მოსდევს სპა ანუ ლაშქარი. მის მთავარ ძალას, უეჭველია, მიწის მუშაკნი არ შეადგენდნენ. „მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნებდეს“ – ასე აქვს გაყოფილი პოეტს ეს ორი კატეგორია. მაშინდელ დროში ომი იყო თითქმის მუდამ, პერმანენტულად და მაშასადამე მისი წარმოება შეეძლო მოცლილ ხალხს. გლეხთა ომში ჩაბმა ნიშნავდა მთელი საზოგადოების შიმშილით ამოწყვეტას, მატერიალური საფუძვლის მოშლას. მასში არ შედიოდა ვაჭართა კლასი ამავე მიზეზით – დაინგრეოდა ვაჭრობა, უმნიშვნელოვანესი სფერო. ამიტომ მათ ომი არც კი იცოდნენ („ოქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი“). ხოლო ეს მოცლილნი იყვნენ უფლება-უპირატესობით მოსილნი აზნაურები. მათთვის ლაშქრობა ხელობად და შემოსავლის მიღების წყაროდ იქცა და ისინი თვით ითხოვდნენ მეფისაგან „გვალაშქრეთო“ (მაგ: ლაშქრობდა ირანში), როცა მშვიდობიანობა გახანგრძლივდებოდა. „ვეფხისტყაოსანში“ შეიარაღებულ ძალთა შორის ხშირად ვხედავთ მონებს, რომლებიც ერთობ დიდ როლს თამაშობენ მეფის გარშემო. ესენი არ არიან უბრალო მონები, არამედ „მონასპა“ – მეფის პირად მცველთა ჯარია, მუდმივი გვარდია.

ვაჭრებს რუსთველი ორ ნაწილად ჰყოფს: ვაჭარნი და დიდვაჭარნი. ეს უკანასკნელნი დაახლოებულნი არიან სასახლესთან და მეფესთანაც.

ყველა ზემოთ აღწერილ კლასებს და ფენებს შეადგენდნენ თავისუფალი ადამიანები. ამათგან გამორიცხულია მხოლოდ ერთი კლასი – მონები. ომების წყალობით ტყვეთა რიცხვი მაშინდელ საქართველოში ერთობ დიდი იყო და თბილისის ბაზარზე ტყვე ხუთი შაური ღირდა. მონა ჰყავდა ყველას, ვისაც შეეძლო მისი ყიდვა. რაკი მონები ასე ბევრი და იაფი იყო, გლეხების დამონება და ძალით მიწაზე სამუშაოდ მიკერება ეკონომიკურ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. გლეხი თუ თავისუფლებას მოკლებული იყო, რუსთველი მხოლოდ მონების გათავისუფლებას რად ითხოვს და არასოდეს გლეხებისას? იმიტომ, რომ იმ დროს გლეხი ჯერ კიდევ თავისუფალი იყო და ეს ასახა რუსთველმა რეალისტურად. რუსთველის მიერ პოემაში დახატული სოციალური ურთიერთობები არის პატრონყმობა – სადაც ერთი მხრით დგას სიუზერენი, მეორე მხრით კი მისი ვასალი. რუსთველთან მხოლოდ ორი ფენაა დაბეჩავებული და დახმარების მაძიებელი – გლახაკნი და მონები. **ღარიბებს – დახმარება, მონებს – თავისუფლება – აი, რუსთველის სოციალური იდეალი.**

ამრიგად, რუსთველის პოლიტიკური დოქტრინაა განათლებული აბსოლუტიზმი, რომელიც რეფორმებზეა დამყარებული. ის მეფეს ადარებს მზეს, რომლის სხივები ყველას ერთნაირად ეფინება. პოეტის იდეალია არა ყოველნაირი მეფე, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც ღარიბებს ეხმარება, მონებს ათავისუფლებს, სიმართლეს მისდევს („ქმნა მართლისა სამართლისა“) – ერთი სიტყვით, უმაღლესი კაცთმოყვარული თვისებებით დაჯილდოვებული, „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ – ამ გზით მაღლდება მეფის ავტორიტეტი და ძლიერდება სახელმწიფო. საბოლოოდ რუსთველის მიზანია სახელმწიფოს მკვიდრ, ფართო საფუძველზე აგება.

ამავე პოლიტიკურ მიზანს უმორჩილებს რუსთველი თავის **რელიგიურ** დოქტრინასაც. შუა საუკუნეებში ქრისტიანულ სამყაროში არ დაწერილა არც ერთი პოემა, სადაც არ იყო ქრისტიანობის აპოლოგია, ქრისტეს მოძღვრების ქებათა-ქება. ჯვაროსნული ომები იმ ეპოქაში წარმოებდა. ამ საერთო რელიგიური აღტკინების პერიოდში იწერება გენიალური „ვეფხისტყაოსანი“ და შიგ ერთი სიტყვითაც არაა ნახსენები არც ქრისტიანობა, არც სამება, არც მართლმადიდებლობა და მისი რელიგიური დოგმატები.

რუსთველი რელიგიური მონიზმის მიმდევარია – ღმერთი ერთია. პოემაში ღმერთი ნახსენებია 193-ჯერ და ყოველთვის ერთი და იმავე აზრით. პოეტი ჯერ კიდევ წინასიტყვაობაში გვამცნობს თავის რელიგიურ შეხედულებას, რაც გატარებულია მთელ პოემაში:

„ჰე, ღმერთო, ერთო შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა.“

ე.ი. ღმერთი ერთია, ქვეყნის გამჩენი, მაგრამ არის აგრეთვე სატანა, მაცდური, რომლის დათრგუნვა ღვთის დახმარებით შეიძლება. ეს, ასე ვთქვათ, საკაცობრიო-სახალხო რწმენაა. რუსთველის მსოფლმხედველობა არც პანთეისტურია, არც მაჰმადიანური, არც სექტანტური. ის არის საყოველთაო, საკაცობრიო, ადამიანური.

სხვადასხვა არაქრისტიან ერებს შორის მოქცეული მცირერიცხოვანი ქართველი ერი თავს ვერ გადაირჩენდა სარწმუნოებრივი ფანატიზმით და დროშით. მას უნდა გამოენახა საერთო ენა მეზობლებთან, რომელთაგან მას ჰყოფდა სარწმუნოება. საერთო ენის გამონახვა კი შეიძლებოდა სახელმწიფო ინტერესების ნიადაგზე.

აქედან, **სარწმუნოების თითოეული ხალხის შინაურ საქმედ აღიარება, ხოლო სახელმწიფო ინტერესების პოლიტიკის მთავარ ღერძად გამოცხადება** – აი, რით ხასიათდება საქართველოს მეფეთა პოლიტიკა დაწყებული დავით აღმაშენებლიდან. ეს მიდრეკილება კიდევ უფრო განვითარდა თამარის მეფობისას. რით შეეძლო თამარს მის საბრძანებელში შემავალი უამრავი ეროვნების მილიონობით ადამიანთა ერთი ინტერესებით შეკვრა – მხოლოდ ერთით: შემაკავშირებელი მომენტების წინ წამოწევით და რელიგიური ბრძოლის სავსებით განდევნით. ამრიგად, რელიგიური მშვიდობიანობა, ყველა რელიგიის პატივისცემა და დახმარება საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა იყო.

ერთი სიტყვით, თამარ მეფის ხანაში გაბატონებული პოლიტიკა მოითხოვდა რელიგიური საკითხების უკუგდებას და საერთო პოლიტიკურ და სოციალურ ინტერესებზე სახელმწიფოს დაყრდნობას. რუსთველი, როგორც თამარის იდეები გამტარებელი, დადგა სწორედ ამ ნიადაგზე: მისი ურელიგიობა მისი პოლიტიკაა, სახელმწიფო მოსაზრებაა. ის უგალობს არა ქრისტიანს ან მაჰმადიანს, არამედ ადამიანს, საზოგადოებას, რომელსაც მეთაურობდა გონიერი ქართველი მეფექალი და რომლის პოლიტიკა მას მოსწონდა და სწორად მიაჩნდა.

ხელისუფლების დანაწილების ქართული მოდელი („ისნის კარავი“)

ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის მეცნიერულ კვლევას საფუძველი ჩაუყარა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც XII ს-ის საქართველოს ისტორიასა და მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ამ აჯანყებას კუთვნილი ადგილი მიუჩინა.

დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა რეფორმებმა განამტკიცა საქართველოში ფეოდალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების სისტემა, უზრუნველყო ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება. ფეოდალური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ქვეყნის ეკონომიკაში ყალიბდება ახალი, ბურჟუაზიული წყობილების წანამძღვრები, სოციალური ძალები, რამაც გამოიწვია კლასობრივი ბრძოლის გამწვავება როგორც სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვაროვან აზნაურთა შორის, ასევე დიდგვაროვან აზნაურთა, სამეფო ხელისუფლებასა და დაბალი წარმოშობის სოციალურ ფენებს შორის.

დიდგვაროვანი აზნაურები უკმაყოფილონი იყვნენ იმ პროგრესული პოლიტიკური რეჟიმისა, რომელიც ფეოდალურ საქართველოში დავით აღმაშენებელმა დანერგა და შემდგომში თამარის მამამ, გიორგი III-ემ განავითარა – უგვარო, მაგრამ ნიჭიერ ადამიანთა დაწინაურება.

როგორც კი გარდაიცვალა გიორგი III, ამით იდროვეს დიდგვაროვანმა აზნაურებმა, თამარის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს, მეფეს მოთხოვეს უგვაროთა გადაყენება და კვლავ დიდაზნაურთა დანიშვნა დიდ სახელმწიფო პოსტებზე. ახალგზარდა თამარი იძულებული გახდა, დეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა.

დიდგვაროვან აზნაურთა შეთქმულება ჯერ კიდევ დამცხრალი არ იყო, რომ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ყუთლუ-არსლანის მეთაურობით იფეთქა მეორე აჯანყებამ, რომლის მსგავსი თავისი ორგანიზაციულ-პოლიტიკური სიმტკიცითა და დასახული პროგრამის მიხედვით საქართველოს ისტორიას არ ახსოვს.

აი, როგორ გადმოსცემს ანონიმი ავტორი თავის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ამ ამბავს: „და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სახ(ედ) ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცეს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რისამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა სადოდებლისასა და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ეჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი.“

ამრიგად, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი მოითხოვდა ისანში, სამეფო ხელისუფლების რეზიდენციის და დარბაზის გვერდით სრულიად ახალი დაწესებულების „კარავის“ ჩამოყალიბებას, რომელიც სამეფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად იქნებოდა „განმგებელი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი“ და მისი გადაწყვეტილების მეფისათვის მოხსენების შემდეგ „მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩვენი“. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამაში 2 პუნქტია მთავარი:

ა) პარლამენტის მსგავსი დაწესებულების შექმნა;

ბ) და უფრო მთავარი, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილება და განხორციელება სხვადასხვა ორგანოების მიერ.

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის მიხედვით, სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა მიკუთვნებოდა ყუთლუ-არსლანის მომხრეებისაგან შემდგარ პარლამენტს, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება – მეფეს.

ყუთლუ-არსლანის პროგრამაში უცნობი ისტორიკოსის მიერ გამოყენებული ტერმინები „განგება“, „სრულქმნა“, „წყალობა და შერისხვა“, როგორც ეს ივანე ჯავახიშვილმა ცხადყო, ნიშნავს კანონმდებლობას, აღსრულებასა და მართლმსაჯულობას. ყოველივე ეს ქართული სახელმწიფო სამართლისა და აზროვნების დიდი განვითარების დამადასტურებელია.

მართლაც, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა, როგორც საერთოდ შუა საუკუნეებში დაწყებული იდეოლოგიური ბრძოლის მანამდე უცნობი მიმართულების გამოვლენა, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის შუქზე მსოფლიო კულტურის ისტორიის ახალი ფურცელია და მას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

შუა საუკუნეებში სახელმწიფოსა და სამართლის ყველა საკითხს მხოლოდ ღმერთის ნების მიხედვით ხსნიდნენ. ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა მთლიანად თავისუფალია ღვთაებრივ-რელიგიური წარმოდგენებისაგან და საერო მოძღვრებას ემყარება, დასაბუთებულია იდეებით. ამ პროგრამაში მთელი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების გარდაქმნის იურიდიულ საფუძვლად მიჩნეულია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების საერო მოძღვრება.

სამეფო ხელისუფლების და ყუთლუ-არსლანის დასის იდეოლოგიურ თვალსაზრისთა განსხვავებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აჯანყებული მეჭურჭლეთუხუცესის ყუთლუ-არსლანის დასის მომხრეების შეთანხმების სიმტკიცე და დაურღვევლობა ყოვლისშემძლე ღმერთზე მითითებას კი არა, მხოლოდ ფიცს ემყარება. ეხება რა ამ თავისებურებას, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „პირველი შემთხვევა გვაქვს აქ, როდესაც პოლიტიკური საკითხის განსახორციელებლად ძველ საქართველოში ფიცზე დამყარებული შეთანხმებული პოლიტიკური დასი გვევლინება.“

ყუთლუ-არსლანი – ერთ-ერთი თვალსაჩინო ვაზირი, მეჭურჭლეთუხუცესი (ანუ ფინანსთა მინისტრი) ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, დაბალი სოციალური წარმოშობის იყო. მისი დასიც შედგებოდა როგორც დაბალი სოციალური წარმოშობის საქალაქო წრეებისაგან, ისე განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის წყალობით სამეფო ხელისუფლების მიერ ყუთლუ-არსლანივით აღზევებულთაგან.

თუ იმ ისტორიულ მოვლენებს დავუკვირდებით, რომელიც წინ უძღოდა ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას, შეიძლება ითქვას, რომ ეს გამოსვლა ე.წ. „მესამე წოდების“ სოციალური მოძრაობის

შედეგი იყო. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა დიდგვაროვან აზნაურთა გამოსვლა რომ ყოფილიყო, მაშინ ისინი თამარის წინააღმდეგ მათზე ადრე გამოსულ დიდაზნაურებთან ადვილად დაამყარებდნენ კავშირს. ყუთლუ-არსლანის დასი დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდა აჯანყებას და ხელსაყრელ დროს უცდიდა, ამასთან მათი პროგრამა დიდად განსხვავდებოდა დიდაზნაურთა პროგრამისაგან, თუმცა ორივე ჯგუფი მიზნად ისახავდა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას, მაგრამ ყუთლუ-არსლანის ჯგუფს სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა სხვანაირად წარმოუდგენია. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ დიდგვარიან აზნაურთა შეთქმულების შედეგად ქვეყანაში წინათ არსებული პროგრესული პოლიტიკური რეჟიმის (რომლის დროსაც უგვარო, მაგრამ ნიჭიერ ხალხს გზა ეხსნებოდა ხელისუფლებისაკენ) შეცვლა ყველაზე მწვავედ დაბალი წარმოშობის სოციალურმა ფენებმა განიცადეს, რადგანაც ამან საბოლოოდ დაუხშო გზა დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებს ხელისუფლებისაკენ. სწორედ ამიტომ დიდაზნაურთათვის თამარის დათმობას და ნიჭიერი, მაგრამ უგვარო ხალხის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას დაბალმა სოციალურმა ფენებმა დაუყოვნებლად უპასუხეს დიდი აჯანყებით, რომელიც ანტიფეოდალურ ხასიათს ატარებდა. აჯანყებულთა მოთხოვნა მიზნად ისახავდა სამეფო ხელისუფლების უკიდურესად შეზღუდვას სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების გზით.

ყუთლუ-არსლანის ანტიფეოდალური იდეოლოგიის იდეურ-პოლიტიკური ფესვები დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის დაპყრობამდე ქალაქში არსებულ რესპუბლიკურ წყობილებაშია საძიებელი. მართალია, ყუთლუ-არსლანის ჯგუფის გამოსვლა თბილისში არსებული რესპუბლიკური წყობილების დამხობიდან 60-ზე მეტი წლის შემდეგ მოხდა, მაგრამ, როგორც აღიარებულია, თბილისის მოსახლეობაში და საქალაქო ცხოვრებაში ძველი რესპუბლიკური წყობილებისათვის დამახასიათებელი თანამდებობრივი ინსტიტუტები და შეხედულებანი დიდხანს შემორჩა.

ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა გამოხატავდა XII საუკუნის საქართველოს განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების, კერძოდ, წინაბურჟუაზიული ეპოქის იდეოლოგიას. ეს იდეოლოგია რომ XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს ეკონომიკას შეესაბამებოდა, იქიდანაც ჩანს, რომ სამეფო ხელისუფლებამ, რომელიც ფეოდალური იდეოლოგიით ხელმძღვანელობდა, ვერ გაბედა მესამე წოდების ინტერესთა გამომხატველი ყუთლუ-არსლანის პროგრამის უგულვებელყოფა (რაც ფაქტიურად თამარის მეფობის დასასრულს მოასწავებდა) და მან ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ დასთან კომპრომისის და მორიგების გზა აირჩია. სამეფო ხელისუფლებამ

უარყო პარლამენტის შექმნისა და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების იდეა, მაგრამ სამაგიეროდ **ამიერიდან სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტისას იგი ხელმძღვანელობს „თანადგომისა და ერთიანობის“ პრინციპებით და სახელმწიფო დარბაზში თვალსაჩინო როლს ასრულებენ მესამე წოდების წარმომადგენლები.**

ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურმა პროგრამამ და მისმა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ უდიდესი როლი შეასრულა XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. იგი ჩამოყალიბდა XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში, როცა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ ისეთ მაღალ დონეს მიაღწია, რომ მისი შემდგომში განვითარება ამ ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვა-წარმოქმნის გზით შეიძლებოდა მხოლოდ წასულიყო.

მართალია, ყუთლუ-არსლანის დასის პროგრესული, მაგრამ ცოტაოდენ ნაადრევი პოლიტიკური პროგრამა ვერ განხორციელდა, მაგრამ ამ აჯანყების შედეგად გაფართოვდა სამეფო დარბაზის უფლებები (მასში შევიდნენ მესამე წოდების წარმომადგენლებიც) და შეიზღუდა სამეფო ხელისუფლება და ამ მოვლენას, როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა, „იმ ეპოქის მსოფლიო ისტორიაში ანალოგია შეიძლება მოეძებნოს მხოლოდ ინგლისის თავისუფლებათა დიდ ქარტიაში“ (XIII ს-ის II ნახევარი). ეს კი მოძრაობის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ (1801 წ.) პირველად სოლომონ დოდაშვილმა დასვა რუსეთის იმპერიაში ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ორი უმთავრესი პრობლემის, კერძოდ, სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სამართლებრივი გადაწყვეტის საკითხი, რომელმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა ქართველი თერგდალეულებისა და მათი ბელადის – ი. ჭავჭავაძის საბრძოლო მოთხოვნაში: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

ილია, მიუთითებდა რა ადამიანისა და ერის დანიშნულებაზე, ხაზგასმით წერდა, რომ „ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავისი შთამომავალი“. ე.ი. **ილიას გადამწყვეტად მიაჩნდა სულიერი მოღვაწეობა.**

შესაბამისად, ილია ადამიანებსა და ერებს იმის მიხედვით კი არ აფასებდა, ვინ უფრო ადრე წარმოიშვა და რა მანძილი გაიარა, არამედ „ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთასწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, – აი, საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელი ერისა“.

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოს და საზოგადოებრივი წყობის საფუძვლად სამართლიანად თვლიდა **კერძო საკუთრებას** და მისი დაცვის აუცილებლობაზე მიუთითებდა ქართველობას: „კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უდევს არამც თუ მთელს სახელმწიფურს და საზოგადოებრივ წყობას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებული ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე... კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება დიდ პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდა იყოს, იაფად არ დაუჯდება.“

ძალზე საინტერესო და ტევადია **ერის და მისი ნიშნების** ილიასეული თვალთახედვა. ი. ჭავჭავაძის აზრით **ერი** ესაა ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური წყობის, ერთობისა და ერთიანი ბუნებით განსაზღვრული სულისა და ხორცის (ფსიქიკური წყობა, კულტურა და ა.შ.) ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კავშირი. ხალხების ერებად ჩამოყალიბება წარმოუდგენელია ერთიანი ენის არსებობის გარეშე: „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული – ენაა.“ – წერდა ილია. გარდა ენისა, რომელიც ახასიათებს ერს, როგორც დამოუკიდებლად არსებულ სოციალურ მოვლენას, ესაა „ისტორიის ერთობით“ (ილია) განმტკიცებული ადამიანთა გვარტომობითი კავშირი, ანუ ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, **ერი ესაა ისტორიულად ერთმანეთთან დაკავშირებული, სულით და ხორცით ურთიერთმონათესავე ადამიანთა ერთობა:** „ერი როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა“ ერთობაა. ილია ამ ნიშანს (ისტოიულ ერთობას) გადამწყვეტ მნიშვნელობა ანიჭებს, რადგანაც **„ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა, თავისის ყოფილ ცხოვრებისა.“** ასეთი ერი უბედურია, რადგან მას „რა იყო – ის დავიწყებული აქვს და მაშასადამე, რა არის – არც ის იცის... შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა“ (ილია).

ერი ერთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ერთობისაგან წარმომდგარი მთლიანი ორგანიზმია. სანამ ერი

მთლიანი და ერთიანია, იგი უძლეველია, როცა ერში იწყება „განთვითეულობა“, იგი გარდაუვალი დაღუპვის წინაშე აღმოჩნდება: **ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთი ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არის, თითოში – ყველა, საცა თითოეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თითოეულისათვის, საცა „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ – „იშვიათი“.** იქ, სადაც საზოგადოება ურთიერთდაპირისპირებულ წოდებადაა დანაწევრებული, სადაც გაბატონებულია ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღლისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, ადამიანთა ასეთ ერთობას ერი არ ჰქვია. **მხოლოდ ის ერია უძლეველი, მხოლოდ იმ ერს გადაუტანია გმირულად განსაცდელი, „რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ თუ ერიც წინ არ წაწეულა, პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია. ვერც ერთი ცალკე წოდება ერისა ვერ დაიქადებს, რომ თუ მე კარგად ვარ, სხვანიც კარგად იქნებიანო... ყველამ ერთად და თითოეულმა ცალკე უნდა იცოდეს, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელი ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე.“**

ამ დებულებაზე დაყრდნობით ილია აყალიბებს „საერთო ნიადაგის“ თეორიის ქვაკუთხედს: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ცდილობს ცხოვრების გზა გაიკვლიოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად საყოველთაოდ.“

ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ ერის, საზოგადოების პრობლემებისა და ჭირის მოგვარება ადგილობრივი ძალებით უნდა მოხდეს და მისი ღრმად გაცნობიერების აუცილებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას: „ძინამ ჩვენს საკუთარ ჭირს სხვისაგან ნაცად წამალს შეურჩევდეთ, ჯერ თვითონ ჩვენ უნდა ვიცოდეთ – რა თვისების ჭირია, მისი სიგრძე-სიგანე გაზომილი უნდა გვქონდეს, მისი სიმძიმე აწონილი, ერთის სიტყვით, ისე ჭირი თავიდამ ფეხებამდე ჩვენს მიერ ცნობილი და გაგებული უნდა იყოს, თორემ ქარისაგან შეშინებულსავით დოს დავუწყებთ ბერვასა.“ ამასთან ილია იმასაც მიუთითებდა, რომ **„ყოველივე ცვლილება, საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური, მაშინ არის მარგებელი და მკვიდრი, როცა**

ცვლილების საგანი ყოველმხრივ გასინჯულია და შუქმოფენილი, ამისათვის, რასაკვირველია, ყველაზე უწინარეს კაცმა გონება უნდა მიაქციოს ადგილობრივს ვითარებას, რადგანაც ყოველს საგანს ამ შემთხვევაში თავის ადგილზევე აქვს სათავე, თავისი ძირი და თავისი გზა მსვლელობისა და განვითარებისა. მაგრამ ძალიან შესცდება ის, ვინც მარტო ამას დასჯერდება და მარტო აქედან გამოიყვანს თავის დასკვნას.“

ილია არ უარყოფდა სხვათა დახმარებას, მაგრამ დაუშვებლად და გაუმართლებლად მიაჩნდა საკუთარი საქმეების სხვაზე მინდობა და მინებება: **„სხვაზედ მინდობა – ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა და იქნება კიდეც ამ ქვეყნიერობაში. წამოუვლის ნიაღვარი „შემთხვევისა“ და იმ იმედს, იმ მინდობას აღგვის ხოლმე დედამიწის ზურგიდამ და იმედევნეულს, სხვაზედ დანდობილს, ერთს უდაბურს ტინზედ გარიყავს, შენს თავს შენვე მოუარეო.** ეს კანონი – ისტორიული კანონია, იქნება ზოგიერთისათვის ფრიად არმოსაწონი, მაგრამ აუცილებელი კი. ბევრიც ვივაგლახოთ, ბევრიც რომ ვატაროთ უბეში სხვაზედ დამყარებული იმედი, მაინც ბოლოს „უამთა სვლა ამ კანონზედ დაგვაყენებს და დრო წარსული ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული დრო იქნება. ჩვენ ვამბობთ, **რომ ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით, თუ ხორცით. რაც მალე დავიჯერებთ ამ ჭეშმარიტებას, რაც მალე შევითვისებთ, მით მალე გამოვიხსნით თავს იმ გაჭირვებიდამ, რომელშიც ასე სასოწარკვეთილებით დღეს ვიმყოფებით.“**

ილია ჭავჭავაძე, როგორც ერის ღირსეული წინამძღოლი, შესაბამის დასკვნას აკეთებდა აქედან, და მიუთითებდა, რომ ჩვენი ბედის პატრონი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენვე, ქართველობა, უნდა გავხდეთ: **„გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ის უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შოებულა ამ ქვეყნიერებაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ.“**

ილია ჭავჭავაძე სწავლობს იმ მთავარ მიზეზს, რაც უზრუნველყოფს ერებისა და სახელმწიფოების სიმტკიცეს და იმ ფაქტორებსაც, რომელთა მოქმედების შედეგად იწყება ერების პოლიტიკური დაკნინება და გაქრობა. ილია იკვლევდა, თუ რა მიზეზებმა და

ფაქტორებმა გააძლებინა ქართველ ხალხს მძიმე ქარტეხილებში და რამ განსაზღვრა ქართული სახელმწიფოებრიობის კრიზისი და მისი რუსეთთან ძალით მიერთება: „საქართველო დღე-დამ იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველი მხრიდან მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ორი ათასი წელი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა, და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფობითი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი და ვახში არ დასდებია. ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა?... ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო, – და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“, სვამს ამ კითხვას ილია ჭავჭავაძე და თავის მოსაზრებებსაც გვთავაზობს, რომლებიც ფრიად ანგარიშგასაწევია; პირველი, ეს არის ის, რომ **„დროთა შესაფერისი ხერხი, დროთა შესაფერისი ცოდნა გვქონდა: ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხესიმაგრე, მისი ფარხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!... იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი.“** მეორე და უმთავრესს მიზეზს იმისა, თუ რამ გაგვაძლებინა, ილია ჩვენს ეკონომიკურ აგებულებასა და წყობაში ხედავდა: **„უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში.“**

ილია ჭავჭავაძის აზრით, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოს ეკონომიკური წყობილების თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ უძველესი დროიდან ქვეყნის ეკონომიკაში გაბატონებული იყო არა „საკომლო“, არამედ „სამსოფლო“ საკუთრება მიწაზე, რომელსაც ხალხი და სახელმწიფო უფრთხილდებოდა და იცავდა. როცა ერთიანი ქართული სახელმწიფო ცალკეულ სამთავროებად დაიშალა, „ამ უკეთეს მხარეს ჩვენის ეკონომიკური წყობისასა ყური აღარ ათხოვეს, გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორმასწორობა მიწის მფლობელობაში, არამც თუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც“, რამაც, საბოლოო ჯამში დაასუსტა საქართველოს ერთ დროს ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს რუსეთთან შეერთებას პროგრესულ მოვლენად თვლიდა და ისტორიული კანონზომიერებით განპირობებულად, მარამ იგი კარგად ხედავდა ამ დიდ პრობლემებს და საშიშროებას, რომელიც ამ დროიდან დაიწყო ქართველთა ცხოვრებაში: **„ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა... ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო რა, შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონი საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან.“** ეს რომ არ მოხდეს, უკვე დროის შესაბამისი ქმედებანი უნდა განახორციელოს ქართველობამ: **„ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ახლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი განსჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთამძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა... ეხლაც ომია, ხოლო სისხლისღვრისა – კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი... ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა – პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავგამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე.“**

ერის გაძღოლისა და დარაზმვის, მისი ფეხზე დაყენების საქმეში ილია დიდ როლს ანიჭებდა ქვეყნის ხელისუფლებას – მთავრობას, მის ზნეობას და კომპეტენტურობას: „ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყო ცნობიერებად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის; და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ, **რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე, მარტო სიყვარულით გულგამთბარ ხალხს შეუძლია სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის... საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმის გადამსხვრევა ერთია.“**

ილიას ისიც კარგად ესმოდა, რომ მარტო მთავრობის და მის მოხელეთა იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა. იგი ასევე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა ქვეყნის ინტელექტუალურ ელიტას, განათლებულ და ზნეობრივ ნაწილს, რომლებიც (მაშინაც და ახლაც) გარკვეულ პასიურობას იჩენდნენ: **„ვისაც ზნეობრივი და გონებრივი ძალ-ღონე აქვს წინ გაუძღვეს თავის საკუთარი ქვეყნის ცხოვრებას, განზედა დგას. იქნება ამის მიზეზი ჩვენი ცხოვრებაც არის, მით, უფრო ბევრ სიამოვნებას და ხელის შეწყობას არ უქადდეს, მაგრამ ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი. ამ შემთხვევაში დგომა-ცდომაა.“**

ილია სწორად აღნიშნავდა, რომ ქართველობამ მეტ სულიერებაზე უნდა იზრუნოს („ჩვენში ხორციელი თვალი უფრო მოქმედებს, ვიდრე თვალი სულისა“), გათავისუფლდეს დამპყრობელთაგან გადმოღებული ბევრი უღირსი ჩვეულებისაგან, მაგალითად, პირფერობისაგან. **„ჩვენ საწყალ ქართველებს, წერდა იგი, – ერთი სხვა საძაგელი სენიც გვჭირს – ყიზილბაშობა. გულის შემაზრზენი, კაცის ღირსების დამამდაბლებელი პირფერობა, ურცხვი ტყუილი ქება, საძაგელი კლაკვნა და პირიდამ თაფლის დენა, რომელსაც ქართველი „ზრდილობას“ ეძახის, – ესენი ერთად შტოები არიან დამპალ ყიზილბაშობისა.“**

ილია სარწმუნოებრივი თავისუფლების პატივისმცემელი იყო და მიუთითებდა, რომ „სარწმუნოება სინიდისის, სასოების საქმეა, აქ ყველა თავისუფალია და ხელშეუხებელი.“ **ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური იდეალი იყო ადგილობრივი თვითმმართველობით განმტკიცებული პარლამენტური რესპუბლიკა უნიტარული (მარტივი) მოწყობით.** შესაბამისად **ილია წინააღმდეგი იყო დიქტატორული მმართველობის და სახელმწიფოსი, რომელიც სპობს ყოველგვარ თვითმმართველობას და ადგილობრივი საქმეების გამგებლობასაც ცენტრს უმორჩილებს.**

ილია ჭავჭავაძე საქართველოს თავისუფლებაზე ოცნებობდა, მაგრამ იყო რეალისტი და კარგად ხედავდა, რომ საჭირო იყო ქართველი ხალხის სათანადო შემზადება ამისათვის. სანამ ეს მოხდებოდა, იგი კმაყოფილდებოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიით, თვითმმართველობით – ქართველობას საშინაო საქმეები თვითონ უნდა განეგო და გადაეწყვიტა.

ნიკო ნიკოლაძის (1843-1928) პოლიტიკური შეხედულებები

ნიკო ნიკოლაძის, როგორც ქართული პოლიტიკური რეალიზმისა და ეკონომიკური პრაგმატიზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის, მრწამსი ორ მთავარ საყრდენს ემყარება:

1) პრაგმატული – რა სჭირდება, რა გამოადგება საქართველოს და რა არა;

2) რეალისტური – საჭიროა არამეტაფიზიკური აზროვნება და ქმედება, რომელიც სინამდვილის მოთხოვნებს უპასუხებს. უშედეგო და არაფრისმომტანია აბსტრაქტული მსჯელობა და აზროვნება, რომანტიკული ჭვრეტა და ოხვრა **(„დროა ჩვენც ავიხილოთ თვალი სინამდვილეზე, იმის გარჩევა ვისწავლოთ, ჩვენს გარშემო რა ამბავია, რა ნამდვილი წამალი უშველის ჩვენს ჭირს? თვალუწვდენელ ოცნებას ეს მცირე ამაგი სჯობია“).**

ნიკო ნიკოლაძეს პირველი რიგის იდეოლოგიურ ამოცანად მიაჩნდა იმის გარკვევა, **თუ რა გზა და მიმართულება უნდა აირჩიოს ერმა სამომავლო ცხოვრებისათვის: „როგორც ჭკვიანი ირჩევს ტანსაცმელს მას რა მოერგება და რა მოუხდება საკუთარი სხეულის აღნაგობის გათვალისწინებით, ასევე უნდა მოიქცეს ერი ამა თუ იმ მოძღვრების არჩევისას.** ჯერ ერთი, თუ შეუძლია, ის მოძღვრება, რაც მას სჭირდება, მან თვითონვე უნდა შექმნას. მეორეც, თუ ამისათვის ჭკუა-გონება არ ყოფნის და აუცილებლად სხვას უნდა დაესესხოს, მაშინ ის უნდა აიღოს, რაც მას უეჭველად გამოადგება, თუმცა ამასაც დიდი გონიერება სჭირდება“. **ნ. ნიკოლაძე მაინც განვითარების ეროვნული მოდელის შექმნას უჭერდა მხარს უცხოური დადებითი გამოცდილების გამოყენების გათვალისწინებით** და თვლიდა, რომ შეუძლებელი იყო უცხოელს, ქართული სპეციფიკის არმცოდნეს, ქვეყნისათვის ზუსტად მისადაგებული განვითარების რეცეპტი მოენახა: **„ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისათვის დიდი უბედურებაა ის გარემობა, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ. ისიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისას... უცხოელი ძიძა, რაგინდ საღი იყოს, შენს დედა-ენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს,“** – მიუთითებდა იგი.

ნიკო ნიკოლაძე ქვეყნის შინაგანი საქმეების პირველ რიგში მოგვარებას პრიორიტეტს ანიჭებდა და წერდა, რომ **„მხოლოდ შინაგანი საქმეების გონივრულად და დამაკმაყოფილებლად**

მოგვარება, უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელ საშიშროებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას. რა დიდიც უნდა იყოს ჩვენი გამარჯვებები, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ აუცილებელ მოთხოვნილებებს, თუკი ხელს მივყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემატურ იგნორირებას, შევუქმნით ჩვენს თავს მრავალ ხელოვნურ სიძნელეს, მაშინ ეს გარემოება ადრე თუ გვიან სამხედრო წარმატებებზეც კი უდავო დამასუსტებელ გავლენას იქონიებს.“

ზემოთ აღნიშნული დებულების ქართული საზოგადოებისათვის დასამტკიცებლად ნიკო ნიკოლაძემ კარგად შეისწავლა და გააანალიზა XIX საუკუნის II ნახევრის იაპონიის ე.წ. „მეიძის რევოლუციის“ პერიოდი, რომლის დროს ქვეყანამ დაიწყო და სწრაფად შეძლო უზარმაზარი თვისობრივი ნახტომის გაკეთება ცხოვრების ყველა სფეროში.

კარგად გააცნობიერა რა თავისი პასუხისმგებლობა საკუთარი ერის წინაშე, **იაპონიის გონიერმა მთავრობამ და მმართველმა ელიტამ დასახა ქვეყნის მომავალი პოლიტიკური და სოციალური მოწყობის მეცნიერული გეგმა, რომელშიც ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების საწყისად და ბალავრად დადებული იყო საკუთარი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, იაპონური ცხოვრების წესის მდიდარი ეროვნული შინაარსი.** ნიკო ნიკოლაძეს სამაგალითოდ მიაჩნდა მოკლე დროში ქვეყნის ასეთი აღორძინება და ილიასავით გონიერი მთავრობის აუცილებლობაზე და პასუხისმგებლობაზე მიანიშნებდა ქართველობას: **„იაპონია ერთობ დიდ და ნათელ მაგალითს წარმოგვიდგენს იმისას, თუ რა ადვილი ყოფილა თითქმის სრულიად ველური და უკან ჩამორჩენილი ხალხისათვის სწავლითა და რიგიანი წესით წელში გამართვა და ძალის შეძენა, როცა მას გონიერი მთავრობა ჰყავს და ბეჯითი სურვილი აქვს რიგიანი ადგილი დაიკავოს სხვა ერსა და სამეფოებს შუა.“** ნედლეულითა და სხვა სახის სტრატეგიული რესურსების სიმწირის მიუხედავად, იაპონიის გაძლიერება, ნიკოლაძის სამართლიანი მოსაზრებით, შრომის ჭკვიანურმა ორგანიზაციამ და საშემსრულებლო დისციპლინის მაღალმა დონემ განაპირობა,რაც მას ასევე სანიმუშოდ მიაჩნდა. ნიკო ნიკოლაძე ამასთან დაკავშირებით ხაზს უსვამდა, რომ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა როდი ჰქონდა ქვეყნის სიდიდესა და მოსახლეობის მრავალრიცხოვნებას, არამედ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, ახალი ტექნოლოგიების სწრაფ დანერგვას: **„ძალა და ძლევა რიცხვსა და სივრცეს კი არა,**

ცოდნას, ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესს და დისციპლინას“, – წერდა იგი (და დღეს, მართლაც, უზარმაზარ და ნედლეულით უმდიდრეს რუსეთზე გაცილებით წინ არიან პატარა ქვეყნები – შვეიცარია, ბელგია, ნიდერლანდები და სხვა, რომლებმაც განავითარეს საწარმოო ძალები,ტექნიკა,ცოდნა და დისციპლინა).

ამრიგად, საქართველომ რომ რეალური დამოუკიდებლობა მოიპოვოს, აუცილებელია ის ჯერ ეკონომიკურად აღორძინდეს. ქვეყნის აღორძინების უმთავრეს პირობად ნიკო ნიკოლაძეს, ილია ჭავჭავაძის დარად, თავჩაუხრელი შრომა, თვითგანვითარება და სწავლა მიაჩნდა. ამასთან იგი თვლიდა, რომ **„სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მეწველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება“.**

ქვეყნის ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი აღორძინებისა და აღმშენებლობის პროცესში ნიკო ნიკოლაძეს ასევე აუცილებლად მიაჩნდა სხვისი მოიმედეობისა და აზიური ინერტულობის, იოლი გამდიდრების განწყობილების დაძლევა და მოითხოვდა ამგვარი ილუზიებისაგან დროზე გათავისუფლებას: **„ჩვენს საზოგადოებაში, – წერდა იგი, – ყველა დარწმუნებულია, რომ შვილა ჩვენ ერთ მშვენიერს დილას ჩამოგვიფრინდება, ისე, რომ თვითონ ხელის განძრევაც არ დაგვჭირდება ჩვენი ბედის გაუმჯობესებისათვის“.** ნიკო ნიკოლაძეც აქცენტს აკეთებდა უმთავრესად საკუთარი რესურსებით და შრომით ქვეყნის განვითარების აუცილებლობაზე და არა მხოლოდ უცხოელთა ფინანსურ და ეკონომიკურ დახმარებაზე, რაც არასოდეს უანგაროდ არ ხდება: **„ჯერ არსად, არც ერთ ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი, ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით თუ არა საკუთარი შრომით და ჯანით. ადვილად შენაძენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი არც კერძო კაცს დააყრის ხეირს და არც მთელ საზოგადოებას. კაცისათვის და ქვეყნისათვის მარტო ის არის გამოსადეგი და ძვირფასი, რაც იმას თავისი საკუთარი შრომით, ოფლის ღვრით და შრომით შეუძენია... ნაპოვნი და ნაწყალობევი კი, თითქმის ყოველთვის, ისე ადვილად იკარგება, როგორც ადვილად ნაშოვნი იყო“,** – მიუთითებდა იგი.

ნიკო ნიკოლაძე კარგად ხედავდა, რომ ქართველობა მრავალრიცხოვანი და ძლიერი მტრებით გარშემორტყმული, ეული და მცირერიცხოვანი ერია და ამადაც შესაბამის დასკვნას აკეთებდა: **„ჩვენ**

ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისათვის ვიზრუნოთ: მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივენდოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებასა და განათლებაზე ვიმუშაოთ, – მაშინ მეგობარიც გაუჩნდება ჩვენ ხალხს და დამხმარებელიც“. ხოლო თუ ჩვენ კვლავ სხვის იმედსა და დახმარებაზე დავამყარებთ მომავალს, და ხელს და ჭკუას არ გავანძრევთ, მაშინ კაპიტალიზმის ულმობელი კანონების საფუძველზე ჩვენი მომავალი პერსპექტივა ძალზე არასახარბიელო იქნება, მიაჩნდა ნ. ნიკოლაძეს და წერდა კიდეც მოურიდებლად: **„ევროპის სახელმფწიფოები საქართველოს ან ალჟირივით (ე.ი. მკვიდრთათვის უფლება მიუნიჭებლად) დაიმონებენ, ან ინდოჩინეთივით ძარცვას დაუწყებენ“** (იგულისხმება დამოუკიდებლობის შემთხვევაში – ვ.შ.).

ნიკო ნიკოლაძემ ერთ-ერთმა პირველმა ქართველ მოღვაწეთაგან, წინა პლანზე პრაქტიკული და პრაგმატული საკითხები წამოსწია, რაც მთლიანად შეესაბამებოდა ქვეყნის განვითარების მოთხოვნებს: „საჭიროდ ვთვლიდი შემეძრა ის ცხოველმყოფელი ძალები, რომლის მოქმედება და ურთიერთობა ერს ზრდის, ამაღლებს, აძლიერებს, შევეხე ეკონომიკას, კრედიტს, მრეწველობას, მიწისმფლობელობას და თვითმმართველობას... რამდენჯერ დაგვჭირდა დუშეთს ასვლა... ჭავჭავაძისათვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვეღებინებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგვეღო, ბანკი განახლების ბანაკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებინა. თბილისის ქალაქის თავად სომხებს დიმ. ყიფიანი ავარჩევინეთ. ქუთაისს,გრ. ლევაშოვთან აუწერელი ბრძოლის შემდეგ, თვით-მმართველობა შემოვაღებინეთ. ქართველობის ასპარეზი ხუთიოდე წელიწადში უცნობათ გავაფართოვეთ.“

ნიკო ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, რომ ყოველი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება სამ მთავარ ბურჯს ეყრდნობოდა – „**თავისუფალი მეწარმეობისა და მრეწველობის განვითარებას, სოფლის მეურნეობასა** და **ცივილიზებულ ვაჭრობას.** იგი მართებულად მიუთითებდა, რომ „ყოველი ერის საფუძველი, ძალა, მომავალი, უფრო მის მეურნეობაზეა დამყარებული, მის მწარმოებლობაზე. სხვა ყველაფერი თითქმის უმნიშვნელოა ამასთან შედარებით. **ერი, რომლის წარმოებაც შეფერხდა და სხვა ქვეყნების წარმოებასთან შედარებით ხეირიანად ვეღარ აჯილდოვებს მწარმოებელს, სხვის მსხვერპლადაა გამზადებული. იმან თუ სწრაფად ვერ მოახერხა თავისი წარმოების გაუმჯობესება, გაიაფება,** გაადვილება და გახვავიანება, მისი საქმე წასული და დაღუპულია“.

ნიკო ნიკოლაძე ილიასავით საქართველოს მომავალს ბედს

ადრე რუსეთს უკავშირებდა, მაგრამ ი. ჭავჭავაძისაგან განსხვავებით იგი მოესწრო საქართველოს დამოუკიდებლობას (1918 წ. 26 მაისი) და პირველი დღეებიდანვე ქვეყნის სამსახურში ჩადგა, როგორც უკვე სახელმწიფო მოღვაწე და დიდი გამოცდილების ადამიანი. იგი სწორად შთააგონებდა ხელისუფლებაში მყოფ გამოუცდელ სოციალ-დემოკრატებს, რომ „როცა არ გვაბადია წარმოება და არც შემოსავალი, ვერ გვიხსნის ვერავითარი გადასახადი. **წარმოების გაჩაღება არის ერთადერთი ჩვენი ხსნა: უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოელს ვთხოვთ საყიდ საქონელს. სანამ მოსაზიდი მეტი გვექნება, ვინემ გასაზიდი, მონობას ვერ ავიცილებთ.“** ნიკო ნიკოლაძე პირველია ქართველ მოაზროვნეებში, ვინც ვაჭრობის, აღებ-მიცემობის პროპაგანდა დაიწყო და მისი ფასი კარგად იცოდა. შეიძლებოდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელი მოგება წყალში გადაყრილიყო, თუ იგი გონიერი და შორსმჭვრეტი კომერსანტის ხელში არ აღმოჩნდებოდა. **ვაჭრობა აგრეთვე წესრიგია, ანგარიშიანობაა, აწყობილი საქმეა. ყოველი ქვეყნის ერთიანობა-მთლიანობას ორი საძირკველი უდევს – რელიგია და ვაჭრობა.** საქართველოში ყოველთვის ათვალწუნებით უყურებდნენ ვაჭრობას (თვით ილია ჭავჭავაძეც ვერ აფასებდა მის როლს სათანადოდ – ვ.შ.), რაც ქართველი ხალხის წინააღმდეგობას ძალას აცლიდა. დისციპლინის, წესრიგის, აწყობილი საქმიანობის შინაგანი მოთხოვნილება გამქრალი იყო, რაკიდა ესენი ვაჭრობის თანმხლები არიან. ამიტომაც დაჟინებით არწმუნებდა ნიკო ნიკოლაძე ქართველებს, რომ **„ვიდრე ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას სისხლსა და ხორცში ის რწმენა არ გაუჯდება, რომ საზიზღარი, სამარცხვინო და სათაკილო ქვეყანაზე მარტო უსაქმობა და მუქთა პურის ჭამაა, მანამდე ნუ გწამთ, ვითომ განათლებისა ანუ წარმატების მირონი მოგვეცხოს. ვაჭრობა შრომაა და ისევე პატივსაცემია, როგორც ყოველნაირი შრომა“.**

ნიკო ნიკოლაძე ეროვნული საქმეების გადაწყვეტის პროცესში გადაჭრით უარყოფდა ყოველგვარ რადიკალიზმს და წერდა, რომ **„ქართველობის მიზნები მხოლოდ ზომიერების გზით მიიღწევა“.**

ნიკო ნიკოლაძე მარტო სიტყვით როდი არწმუნებდა ვინმეს, არამედ მისთვის უმთავრესი იყო პრაქტიკული საქმე და ამადაც უწოდა არჩილ ჯორჯაძემ მას **„ულმობელი საქმის კაცი“.**

ნიკო ნიკოლაძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქ. ფოთის აღმშენებლობაში, პორტის ელექტროფიკაციასა და მექანიზაციაში (მან მოიარა ევროპის დიდი ქვეყნების პორტები და მიიღო შესაბამ-

ისი გამოცდილება). 1894 წელს, როცა იგი ქალაქის თავად აირჩიეს, ფოთის ბიუჯეტი 75 ათას მანეთს შეადგენდა. მისი ქალაქის თავად ყოფნის 20 წლის განმავლობაში ქალაქის ბიუჯეტი 10-ჯერ გაიზარდა (მან ფოთის პორტის ამოქმედებით ფანჯარა გაჭრა ევროპაში საქართველოსათვის). უდიდესი შრომა გასწია ნიკო ნიკოლაძემ ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ათვისებისა და ჭიათურის მანგანუმის წარმოების გასაფართოებლად. მან მოახერხა დიდი ბრიტანეთის ბანკიდან კრედიტის აღება, გაიყვანა შორაპან-ჭიათურის სარკინიგზო გზა, ამით მანგანუმის გადაზიდვის საქმეც მოაგვარა და გააიაფა (არსებობდა პლატფორმაც კი – „ნიკო ნიკოლაძე“. მანვე ქართულ ენაში დაამკვიდრა ისეთი სიტყვები, როგორიცაა „ლიანდაგი“, „ორთქლმავალი“). ნიკო ნიკოლაძე აქტიურად მონაწილეობდა თბილისის წყალსადენის მშენებლობაში, კახეთის რკინიგზისა და სურამის გვირაბის გაყვანაში, ქუთაისის აღმშენებლობაში, ტრანსციმბირის რკინიგზის მშენებლობაშიც კი. მანვე ჩამოიყვანა როტშილდი ამიერკავკასიაში,პრინციპულად დაუპირისპირდა ნობელს (პრემიის დამაარსებელს) და დიმიტრი მენდელეევს და მათ დავა მოუგო.

ნიკო ნიკოლაძემ ფოთის ქალაქის თავად ყოფნის პერიოდში დააარსა თანამედროვე ბანკი. ქართულ სინამდვილეში პირველმა ნიკო ნიკოლაძემ დაბეჭდა ობლიგაციები, ლატარიის ბილეთები და მთელი შემოსავალი ფოთის კეთილმოწყობას მოახმარა, რაც უპრეცედენტო ნოვატორული პრაქტიკული ნაბიჯი იყო მაშინ საქართველოში.

ნიკო ნიკოლაძემ გერმანელ დიპლომატებთან ოფიციალურ საუბარში, დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-21 წწ.), წამოაყენა იდეა ევროპის შორეულ აღმოსავლეთთან ვაჭრობის ფოთზე გატარების თაობაზე (ბერლინი-ფოთი-პეკინი), რაც დღეს უკვე პრაქტიკულად ხორცს ისხამს ევრაზიული დერეფნისა და აბრეშუმის გზის სახელწოდებით).

ნიკო ნიკოლაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოლიტიკურ ლიდერთა პიროვნებებს,მოგვცა კიდეც მათი ტიპები და დახასიათება. **იქ, სადაც ყველაფერი ერთ კაცზე ტრიალებს და არა დაწესებულებაზე, – წერდა იგი, – ის კაციც ნელ-ნელა იმ შეხედულებას იღებს, რომ მე ვარ, სხვა არავინაო, ყველა მე უნდა მემსახუროს და არა ქვეყანასაო. ქვეყნის, ერის, იდეალის ხსენება თანდათან ქრება დიდში და პატარაში. „დესპოტის სამსახური, ქვეყნის და იდეალის სამსახური, დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან“.**

ნიკო ნიკოლაძე მიუთითებს – რომ „ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთავარ როლს ჩვეულებრივ ორი ტიპის მოღვაწენი

ასრულებენ ხოლმე: ფანატიკოსები და მოანგარეები... რას ვხედავთ ამ მხრივ ჩვენში? **საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მომზადებული ადამიანები, რომლებიც ამ საქმიანობისათვის საჭირო ცოდნითა და ნიჭით იყვნენ აღჭურვილნი, ჩვენში ძლიერ ცოტაა.** კიდევ უფრო ნაკლებად გვყვანან ფანატიკოსები, რომლებიც იკისრებდნენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა რკინის ბორკილების ტარებას... სამაგიეროდ ჩვენ გვყვანან უამრავი შესანიშნავი და კეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებსაც ალალი და წრფელი გულით სურთ სამშობლოსათვის ყოველგვარი სიკეთე, მაგრამ რომელთაც არ შეუძლიათ ამის გამო უარი თქვან ისეთ სიამოვნებაზეც კი, როგორიც არის პაპიროსისი მოწევა ან ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა წვიამიანსა და ცივ ამინდში... ამათ გარდა, **კიდევ უფრო მეტი რაოდენობით გვყვანან სავსებით მოუმზადებელნი პირნი, რომლებსაც ბრწყინვალე საზოგადოებრივი მდგომარეობის უზომო მადა აქვთ, მაგრამ სრულიადაც არ გააჩნიათ არც მშვიდი ანგარიშიანობა, არც გამძლეობა, არც უნარი, რომ საკუთარი ძალ-ღონით და მეტნაკლებად რიგიანი საზოგადო საშუალებებით მიაღწიონ თავიანთ მიზანს და რაკი სხვა ტიპის საზოგადო მოღვაწენი ჩვენ არ გაგვაჩნია, ამიტომ ბურთი და მოედანი რჩება ხოლმე ამ ორ ტიპს, ზემოთ რომ დავხატე: სათნო აზიზმაზიზებს – ერთი მხრივ, და არაკეთილსინდისიერ ინტრიგანებსა და მოანგარეებს – მეორეს მხრივ“.**

შესაბამისად ეს განაპირობებდა, რომ ნიკოლაძის სიტყვებით, **„მოდიოდნენ ჩვენში მეთაურად ვიღაც სრულიად უცნობი და უზრდელი კინტოები. არავინ იცოდა, თუ ვინ იყვნენ, საიდან მოსული, რა რჯულის ან რა აზრის, სახელი რა ერქვათ, გვარი მათი რა იყო, როგორი წარსული ჰქონდათ: „ამბოხება დავიწყოთო“, – დაიძახებდნენ და ყველა მათ გაჰყვებოდა, თითქოს თხას – ცხვრის ფარა. ჭკუაში არავის მოსვლია მოეთხოვა მათგან ახსნა, ან ცოდნა ან სიმტკიცე. იფარფაშებდნენ, სანამ გსაჭირი არ მოახლოვდებოდა და მაშინ კი მოქუსლავდნენ და გაჰქრებოდნენ.**

გინახავთ სადმე სხვა ერი, ასე მჩატედ რომ გაჰყოლოდეს პროვოკატორს?“

ასეთი „ლიდერებისა“ და „მოღვაწეების“ ჩამოყალიბებაში ნეგატიურ როლს ჩვენში საზოგადოებაც ასრულებდა მისთვის დამახასიათებელი ისეთი თვისებებით, როგორიცაა პირმოთნეობა, მლიქვნელობა, პანეგერიკი (ანუ „ყიზილბაშობა“, როგორც ილია უწოდებდა): „გასაგებია ისეთი საზოგადოების მავნებლობა, – წერ-

და ნიკო ნიკოლაძე, – სადაც თქვენს აზრებს ბრმად იმეორებენ და სადაც კრიტიკული დამოკიდებულების ნაცვლად ხოტბას გასხამენ. ასეთ ვითარებაში ადამიანის გონებას ეუფლება ძილი და იგი სულ უფრო ნაკლებს მუშაობს საკუთარ თავზე". ნიკო ნიკოლაძე თვლიდა, რომ **„პოლიტიკა** ახალმოდური შლიაპკა კი არ არის, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია, **ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება"** შესაბამისად, პოლიტიკაც მეცნიერებაა და იგი შესწავლას მოითხოვს, რომ აქ უნდა მოდიოდეს არა ხელმოცარული, უზნეო და არაკომპეტენტური ხალხი, არამედ ნიჭიერი, ზნეობრივი და მცოდნე პიროვნებები, ლიდერები, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე და უანგაროდ ემსახურებიან ქვეყანას საქმით და არა ტყუილი დაპირებებით. ნიკო ნიკოლაძეს აქ მოჰყავს განვითარებული ქვეყნების მაგალითი: **„საზღვარგარეთ კი ყველა პოლიტიკური პარტიის კადრი და შტაბი სხვადასხვა სპეციალისტების საჩინო მოღვაწეებისაგან არის შემდგარი. პარტიებს იქ მეტად რთული სასიცოცხლო საქმეები მორიგად უდგათ წინ, რომლის მართვა ერთობ მარჯვე ღონისა და ცოდნის მოხმარებას თხოულობს: ამიტომაც მეთაურებს გავლენის შერჩენა როდიღა შეუძლიათ მარტო ფრაზების რახა-რუხით, ან მიუწვდომელ სიმაღლისაკენ ფრთების ფართხალით".**

და ბოლოს, კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც შეიძლება პირობითად ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური ანდერძი ვუწოდოთ და რომელიც მან დაუტოვა თავის სათაყვანებელ საქართველოს: **„ერთი აიარაღი გვაქვს ჩვენ, მარტო ერთი – აზრის სისწორე, სინდისის სიმართლე, გონიერება, საქმის სიწმინდე. მარტო ამით შეგვიძლია ჩვენ გავიმარჯვოთ შემდეგში, მომავალში, როდესმე. მაშ, ჩვენ უმანკოდ და გაუსვრელად უნდა შევინახოთ ეს ჩვენი მხოლოდი იარაღი, თორემ იმ დღეს, როცა ჩვენი მტერნი, რიცხვით და ძალით ძლიერნი, ჩვენს წინააღმდეგ სიმართლესაც მოიპოვებენ, ჩვენ საქმე ფიზიკურად და ზნეობრივად დაღუპული იქნება".**

ვაჟა-ფშაველა კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის შესახებ

ზოგს ჰგონია, ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია, ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავისი სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. **თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანის აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა;** თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისთვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურება გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახურებოდეს მთელი თავისი ძალ-ღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი დვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მის შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გებულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. აგრეთვე სერვანტესი, გოეთე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმისათვის იღწვოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსი ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთა ნაწარმოებები უფრო გასაგებია და ეროვნული ნიადაგისათვის. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს თავისი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავისი სოციალური ყოფნის ავ-კარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიკური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე დაბადებისთანავე, ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედა-ენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოდვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა... იმავ წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე – საზრდოდ, ნანა – მოსასველებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმთავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთანა გრძნობს, ვინც იმას ემსახურება, ვინც გარშემო ახვევია, – ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად,რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი მშვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდ უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულია და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? – იმიტომ: ერთიდაიგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას: ყველა ერი ერთნაირად მიყვარსო – ტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც შეიძლება,ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს სამშობლოდ...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურების ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: **გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს. რათა თვითონ იყოს თავის თავის პატრონი, თვითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.**

(ვაჟა-ფშაველა)

თავი XVIII
საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია: წარსული და თანამედროვეობა

რა განაპირობებდა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის აუცილებლობას ჯერ კიდევ ძველი დროიდან? ორი ძირითადი ფაქტორი:

1. საქართველოს რთული გეოპოლიტიკური მდებარეობა;
2. მოსახლეობის მცირერიცხოვნება.

მოსახლეობის მცირერიცხოვნება საქართველოს სახელმწიფოს საშუალებას არ აძლევდა ეწარმოებინა აგრესიული პოლიტიკა, სხვა ხალხების დაპყრობა და დარბევა (ცალკეული გამონაკლისების გარდა. მხედველობაში გვაქვს – XII-XIII საუკუნეები – ვ.შ.); არის მოსაზრება, რომ გეოპოლიტიკური „მერიდიანული ღერძის“ მიმოქცევის ფარგლებში მცხოვრებმა ხალხმა რაც შეიძლება სრულფასოვნად უნდა განაკუთვნოს თავი (სახელმწიფო წყობით და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეგნებით) ან დასავლეთს, ან აღმოსავლეთს – თუ სურს შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა.

საქართველოსათვის პოლიტიკური ორიენტაციის არჩევის საკითხი ჯერ კიდევ IV საუკუნიდან დგას, როცა ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს და ამით გარკვეული არჩევანი გააკეთეს ქრისტიანულ ბიზანტიასა და მაზდეანურ ირანს შორის.

მაგრამ რელიგიური ფაქტორი XV საუკუნებამდე ორიენტაციის საკითხში გადამწყვეტ როლს მაინც არ თამაშობდა. აქ წინა პლანზე იყო წამოწეული სახელმწიფო ინტერესი, რომელიც აგებული იყო რეალურ ანგარიშზე, მოკლებული იყო ავანტიურას და ფანტაზიას. ზემოთ აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ (ან დასავლეთი ან აღმოსავლეთი), ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები სხვა პოლიტიკას ატარებდნენ: ირანსა და ბიზანტიას, ორ დიდ მოქიშპე მტერს შორის, საქართველოს შეეძლო თავი გადაერჩინა ორივესაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებით, დარჩენილიყო მესამე ფაქტორად, არ მიმხრობოდა არც ერთის კოალიციას და ამით სამუდამოდ ხიდი არ ჩაეტეხა მეორე მეზობელთან. ამ პოლიტიკის საუცხოო ნიმუშია ვახტანგ გორგასლის მეფობა და ქმედება.

მაგრამ როგორი იყო ჩვენს წინაპართა მოქმედება იმ ვითარებაში, როცა საქართველო (ან მისი რომელიმე ნაწილი) უკვე დაპყრობილი ჰქონდა მტერს, როგორც ეს იყო VI საუკუნეში, მეფე გუბაზის მკვლელობის მომენტში (554 წ.) მეფე გუბაზის მოკვლას ბიზანტიელი სარდლების მიერ მოჰყვა საგარეო ორიენტაციის გადასინჯვის

მცდელობა ორატორ აიეტის მიერ ირანელთა სასარგებლოდ. აიეტს დაუპირისპირდა ფარტაძე, რომლის სიტყვა აგებული იყო ორ პრინციპზე: **სარგებლიანობაზე** და **უმჯობესობაზე,** რომელიც ერთიანდებოდა ერთ დევიზში – **„თავდაცვის მიზნით სუვერენიტეტის შეზღუდვა, როგორც უმცირესი ბოროტება“.** ლოგიკური დასაბუთებით ფარტაძემ დაარწმუნა შეკრებილნი, რომ უმჯობესია ისევ ბიზანტიასთან დარჩენა, მაგრამ მასთან უფრო პრინციპული პოლიტიკის წარმოება, ვიდრე ირანისკენ გადახრა.

თურქეთის მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობისა და ერთიანი საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ წინა პლანზე წამოიწია რელიგიურმა საკითხებმა და დაიწყო ქვეყნის ინტერესების სარწმუნოების თვალსაზრისით გაზომვა. ამით იყო გამოწვეული ქრისტიანულ რუსეთზე ორიენტაციის აღება.

პირველ მიწერ-მოწერას და ელჩების გაგზავნას მოსკოვში იწყებენ კახეთის მეფეები XV საუკუნის ბოლოდან. თავის ნაშრომში „საქართველოს საგარეო პოლიტიკა“, რომელიც ემიგრაციაშია შექმნილი 1934 წელს, ნოე ჟორდანია სამართლიანად წერდა: „იცოდნენ კი ამ ახირებულმა პოლიტიკოსებმა არა თუ მოსკოვის მმართველობის სისტემა, არამედ მისი გეოგრაფიული საზღვარი მაინც? იმ დროს, როცა კახეთი ითხოვდა მისგან ჯარით შველას, რუსეთის სამხრეთის საზღვარი გადიოდა მდინარე ოკაზე (დღევანდელი მოსკოვისა და რიაზანის გუბერნიებს შორის), ქვემოთ მდებარეობდა კაზაკების დამოუკიდებელი რესპუბლიკა, იმის ქვევით ყირიმისა და ასტრახანის სახანო, მერე კიდევ ჩერქეზეთი – ერთი სიტყვით, არავითარი საშუალება რუსეთიდან რაიმე სამხედრო დახმარების მიღების. პოლონეთი გაცილებით უფრო ახლო მდებარეობდა ჩვენგან, ვიდრე მაშინდელი რუსეთი. არავითარი რეალური დახმარება მოსკოვიდან არ მიუღია საქართველოს არც ერთ გაჭირვებულ მდგომარეობაში, ხოლო რუსეთში კი მიდიოდნენ ქართველები, შედიოდნენ იქ სამხედრო სამსახურში და თავს დებდნენ მოსკოვისათვის“.

ამ ფანტასტიურმა ავანტურისტულმა ცალმხრივმა ორიენტაციამ რუსეთზე სრულიად შეცვალა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა და საფუძვლად დაედო ყველა უბედურებას, რაც შემდგომ საქართველოს თავს დაატყდა ირანისა და თურქეთისაგან. ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის მცდელობას ორიენტაცია აეღოთ ევროპაზე – შედეგი არ მოჰყოლია – ევროპას თავისი პრობლემები ჰქონდა, და პატარა საქართველოსთვის, რომელიც დაქუცმაცებული იყო, თავს არ შეიწუხებდა. ამას მოჰყვა ვახტანგ VI-ის დიდი შეცდომები საგარეო პოლიტიკაში, რამაც იგი იძულებული გახადა გადახვეწილიყო რუსეთში და ქვეყანა უპატრონოდ მიეტოვებინა.

სიტუაცია მცირე ხნით გამოასწორა ერეკლე II-ის მამამ თეიმურაზ მეორემ, მაგრამ XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან კვლავ რუსეთზე ცალმხრივად ორიენტაციის აღებამ, გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამ, რითაც ძალზე გაღიზიანდა ირანი და თურქეთი, საბოლოო ჯამში ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა გამოიწვია. ყოველივე ეს იყო დიდი ტრაგედია ქართველი ხალხისათვის.

ქართველ თერგდალეულებს კარგად ესმოდათ, რომ რუსეთის ბატონობის მძიმე პირობებში შეუძლებელი იყო დამოუკიდებლობაზე ფიქრი. ამიტომ მათ მთელი აქცენტი გადაიტანეს ხალხის გამოფხიზლებაზე, ქვეყნის სამეურნეო აღორძინებაზე და ერის დამოუკიდებლობისათვის შემზადებაზე. ნიკო ნიკოლაძე მიუთითებდა, რომ „ნაციონალური მისწრაფების გადაჭარბება საქართველოს იმ საყასპოში ურგავს თავს, საცა ეხლახან ტყავი გააძრეს პოლშას და სისხლი დაუშვრეს ჩერქეზებს“. ამიტომ, დროებით, სანამ შავი ზღვიდან გასავალი სრუტე ოსმალოს ხელშია, სანამ სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით – რუსეთი, ბევრიც რომ ვიწრიალოთ, იმ პოლიტიკას ვერ ავცილდებით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უაღრეს გმირებს ბევრი ცდის, ძებნის და მსხვერპლის შემდეგ... რა ძალამ და აუცილებლობამ ეს დევები გასტეხა, ის ახლაც უცვლელად არსებობს; მას ვერც ჩვენ ვერ მოვერევით“.

ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი შამუელ ჰანთინგტონი თავის ნაშრომში „ცივილიზაციათა შეჯახება“ ასაბუტებს, რომ მალე საერთაშორისო ურთიერთობებში დასავლეთის ქვეყნები სულ უფრო და უფრო მცირე როლს ითამაშებენ, საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარი ღერძი დასავლეთსა და დანარჩენ სამყაროს შორის წყალგამყოფ ხაზს გაუყვება.

ამ უაღრესად საინტერესო ნაშრომში ბევრი საინტერესო საკითხია დასმული, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად საქართველოსაც ეხება.

ს. ჰანთინგტონი სწორად აღნიშნავს, რომ „ცივ ომში“ საბჭოთა კავშირის დამარცხების და მისი დაშლის შემდეგ დასავლეთი ძალაუფლების მწვერვალზე იმყოფება. ამავე დროს და ალბათ, სწორედ ამის შედეგად, არადასავლურ ცივილიზაციებში სულ უფრო აშკარად იჩენს თავს ფესვებისაკენ დაბრუნების ფენომენი. ამ ბოლო დროს თანდათან აშკარად იკვეთება იაპონიის საკუთარ თავში ჩაღრმავებისა და „გააზიურების“ ტენდენცია. სულ უფრო ხშირად ისმის ლაპარაკი ნერუს მემკვიდრეობის დასასრულსა და ინდოეთის „ინდუიციაზე“, სოციალიზმისა და სახელმწიფოებრიობის დასავლური იდეების მარცხზე ახლო აღმოსავლეთში და, ამდენად, მის

„რეისლამიზაციაზე“, ყოველივე ამას კი ვლადიმერ პუტინის და დიმიტრი მედვედევის რუსეთში ატეხილი გაცხოველებული კამათიც ემატება რუსეთის ვესტერნიზაციის შესახებ, ისევე როგორც საქართველოშიც – დასავლეთი თუ რუსეთი?

ძალაუფლების მწვერვალზე მყოფი დასავლეთი პირისპირ შეეჯახა არადასავლეთს, რომელიც სულ უფრო მზარდ მისწრაფებას, სურვილს და შესაძლებლობასაც ავლენს თავისებურ არადასავლურ ყაიდაზე მოაწყოს სამყარო.

წარსულში არადასავლურ საზოგადოებათა ელიტას, ჩვეულებრივ, ის ხალხი წარმოადგენდა, ვინც ყველაზე მეტად იყო ნაზიარები დასავლურ იდეებს. ოქსფორდში, სორბონში თუ სენდჰერსტში ჰქონდა განათლება მიღებული და დასავლური შეხედულებები და ფასეულობები გათავისებული, ხოლო უბრალო ხალხი, არადასავლური ქვეყნების მოსახლეობა – მკვიდრი კულტურისადმი ერთგულებას ინარჩუნებდა. დღეს მდგომარეობა აშკარად შეიცვალა. ბევრ არადასავლურ ქვეყანაში თავს იჩენს ელიტის მიდრეკილება დევესტერნიზაციისაკენ, მაშინ, როცა დასავლური კულტურა, ცხოვრების სტილი და წეს-ჩვეულებანი ნელ-ნელა პოპულარული ხდება ხალხის მასებში (მაგ: საქართველოში).

ს. ჰანთინგტონი მიუთითებს, რომ საომარი კონფლიქტი დასავლურ სახელმწიფოთა შორის წარმოუდგენელია, დასავლეთს სამხედრო ძლიერებაშიც ტოლი არ ჰყავს. თუ იაპონიას არ ჩავთვლით, დასავლეთს არც ეკონომიკური მეტოქე უპირისპირდება (თუმცაღა ვარაუდობენ, რომ 2020 წლისათვის ჩინეთი ამერიკას გადაუსწრებს ეკონომიკის კუთხით – ვ.შ.) ის საერთაშორისო პოლიტიკურ ორგანიზაციებშიც დომინირებს, უსაფრთხოების ინსტიტუტშიც და იაპონიასთან ერთად, ეკონომიკურშიც. ნებისმიერ გლობალურ პოლიტიკურ დავას აშშ-ის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის, ეკონომიკურს კი – აშშ-ის, გერმანიისა და იაპონიის მმართველი წრეები აგვარებენ (გერმანია და იაპონია ჯერ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არ არიან და პოლიტიკაში ჯერ კიდევ გადამწყვეტ სიტყვას ვერ ამბობენ ამადაც – ვ.შ.) **გაეროს უშიშროების საბჭოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის გადაწყვეტილებანი, რომლებიც პრაქტიკულად დასავლეთის ინტერესებს შეესაბამება,** – ხაზს უსვამს ს. ჰანთინგტონი, მსოფლიოს წარედგინება საერთაშორისო თანამეგობრობის მისწრაფებათა გამომხატველ დოკუმენტად.

თვით ფრაზა „საერთაშორიო თანამეგობრობა“, განაგრძობს ავტორი, ერთგვარ ევფემისტურ კრებით სახელად იქცა („თავისუფალი სამყაროს“ ნაცვლად), რამაც აშშ-ის და სხვა დასავლური ძალების ინტერესებით განპირობებულ ქმედებებს საყოველთაო კანონიერე-

ბის სახე უნდა მისცეს. **საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების მეშვეობით, წერს ს. ჰანთინგტონი, დასავლეთი თავის ეკონომიკურ პოტენციალს აფართოებს და იმ ეკონომიკურ პოლიტიკას ახვევს თავზე სხვა ერებს, რომელიც თვითონ მიაჩნიათ სასურველად.** თუ ყოველივე ამას საქართველოს პრიზმით შევხედავთ, სურათი აქაც თვალსაჩინოა: ფაქტია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ე.წ. „რეკომენდაციები“ (სინამდვილეში მაცრი მოთხოვნები) აქ ეროვნული წარმოების განვითარებას არ უწყობს ხელს და საქართველოს დასავლეთის სანედლეულო დანამატად აქცევს. საქმე იქამდე მივიდა, რომ საქართველოში აღარ იწარმოება ტომატპასტაც კი, აღარაფერს ვამბობთ სხვა პროდუქციაზე. ქვეყანაში გაბატონებულია „იმპორტის ლობი“,რომელთაც ხელს აძლევს ყველაფრის უცხოეთიდან შემოტანა კონტრაბანდის გზით და შემდგომში გადასახადების გადაუხდელად გამდიდრება.

სტრატეგიული ნედლეულის (ჯართი, ხე-ტყე, ოქროულობა, ინტელექტის გადინება) უცხოეთში გატანამ ქვეყანა გააჩანაგა და ეკოლოგიური და სოციალური კატასტროფის პირას მიიყვანა. სავალუტო ფონდისა და სხვა ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ „ლობირებული“ უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები, ცხადია, წინააღმდეგობას ვერ უწევენ ამ „რეკომენდაციების“ მომცემთ. ეკონომიკურ და პოლიტიკურ წრეებშიც საეჭვოდ მომრავლდნენ ე.წ. „ლობისტები“, რომლებიც სავალუტო ფონდსა და უცხოურ ფირმებს ხშირად ანტიეროვნულ საქმეებშიც უჭერენ მხარს, ცხადია, გარკვეული საზღაურის ნაცვლად (ე.წ. „ტროას ცხენის სინდრომი“).

არადასავლური ქვეყნების ნებისმიერ საარჩევნო სიაში, განაგრძობს ს. ჰანთინგტონი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ნამდვილად მოიპოვებდა ფინანსთა მინისტრებისა და ზოგიერთი სხვა პირის მხარდაჭერას, მაგრამ ამომრჩევლის ძირითადი მასა ალბათ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური პირების გიორგი არბატოვისეულ დახასიათებას უფრო გაიზიარებდა: „ესენი არიან ნეობოლშევიკები, ძალიან რომ უყვართ სხვისი ფულის ექსპროპრიაცია; არადემოკრატიული, უცხო ეკონომიკური წესებისა და პოლიტიკური სისტემების თავს მოხვევა და ეკონომიკური თავისუფლების ჩახშობა“.

უშიშროების საბჭოსა და მის გადაწყვეტილებებზე დასავლეთის ლამის ერთპიროვნულმა დომინირებამ,რასაც დროდადრო ჩინეთი თუ ეწინააღმდეგებოდა, შესაძლებელი გახადა ძალის გამოყენებაც კუვეიტიდან ერაყის გამოსადევნად, ერაყის მიერ უკვე გამოცდილი იარაღის განადგურებაც და შემდგომში ამგვარი იარაღის წარმოების აკრძალვაც, ბოლოს კი რეჟიმის ძალით შეცვლაც. დასავლეთი ეფექტურად იყენებს საერთაშორისო ინსტიტუტებს, სამხედრო ძლიერებას და ეკონომიკურ რესურსებს მსოფლიოს იმგვარად სამართავად, რომ საკუთარი გავლენაც შეინარჩუნოს და დასავლური პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფასეულობანიც საყოველთაოდ გაავრცელოს. ეს ეხება კულტურის სფეროსაც. როგორც ვ. ნაიპოლი ამტკიცებს, დასავლური ცივილიზაცია „უნივერსალური ცივილიზაციაა“, რომელიც „ყველა ადამიანისათვის ზედგამოჭრილია“. ზედაპირულ დონეზე, დასავლური კულტურის მნიშვნელოვანმა ნაწილმა მართლაც შეაღწია დანარჩენ მსოფლიოში. თუმცა, უფრო ძირეულ დონეზე დასავლური წარმოდგენები საფუძვლიანად განსხვავდებოდა სხვა ცივილიზაციებში გაბატონებული წარმოდგენებისაგან.

ინდივიდუალიზმის, ლიბერალიზმის, კონსტიტუციონალიზმის, თავისუფლების, კანონის უზენაესობის, დემოკრატიის, თავისუფალი ბაზრის, სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის დასავლური იდეები ხშირად ძალიან სუსტ გამოძახილს პოულობს ისლამურ, კონფუციანურ, იაპონურ, ინდურ, ბუდისტურ თუ მართლმადიდებლურ კულტურებში, – განაგრძობს ს. ჰანთინგტონი. ამგვარი იდეების პროპაგანდა დასავლეთის მხრიდან სანაცვლოდ იწვევს რეაქციას „დემოკრატიული იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ. ამის ნათელი მაგალითია არადასავლურ კულტურებში რელიგიური ფუნდამენტალიზმის აქტიური მხარდაჭერა ახალგაზრდა თაობის მიერ. თავისთავად მოსაზრება „უნივერსალური ცივილიზაციის“ არსებობის შესახებ, წმინდა დასავლური იდეა, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება უმეტეს აზიურ საზოგადოებათა პარტიკულარიზმს, მათ ძირეულ შეხედულებებს ერთი ხალხის მეორისაგან განსხვავების თაობაზე: მართლაც, – წერს ს. ჰანთინგტონი, როგორც სხვადასხვა საზოგადოებაში ჩატარებულმა ღირებულებათა შედარებითმა კვლევამ დაადასტურა, **„დასავლეთისათვის ყველაზე უფრო ფასეული ღირებულებანი მსოფლიო მასშტაბით ყველაზე ნაკლებად ფასობენ“** პოლიტიკურ სფეროში, რა თქმა უნდა, ამ განსხვავებას ყველაზე ნათლად ადასტურებს აშშისა და დასავლეთის სხვა დიდ სახელმწიფოთა მცდელობანი, „სხვებიც აზიარონ“ დემოკრატიისა და პიროვნებების უფლებათა დასავლურ იდეებს. არადასავლურ საზოგადოებაში კი, წერს ავტორი, ის ან დასავლეთის კოლონიალიზმის ნაყოფია, ან იძულების (საქართველოში ამას იძულების ხასიათი აქვს, რადგან დასავლეთი და აშშ სხვადასხვა ბერკეტებით აიძულებს ხელისუფლებაში მყოფ ყოფილ ნომენკლატურას და ნაციონალურ მოძრაობას გაატაროს ე.წ. დემოკრატიული რეფორმები, რომლის არსი ხელისუფლებას არც ესმის – ვ.შ.).

ს. ჰანთინგტონი აღნიშნავს, რომ მომავალში მსოფლიო პოლიტიკის ცენტრალური ღერძი, როგორც ჩანს, იქნება კონფლიქტი „დასავლეთსა და დანარჩენებს შორის“ და არადასავლური ცივილიზაციების საპასუხო რეაქცია დასავლეთის ძლიერებასა და ღირებულებებზე (ს. ჰანთინგტონის ეს თეზისი კარგად დაადასტურა 2002 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარმა უძლიერესმა ტერაქტებმა, რომლებმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და რომელმაც დასაბამი მისცა მუსულმანური და ქრისტიანული ცივილიზაციების ფაქტიურ დაპირისპირებას, აგრეთვე რუსეთ-საქართველოს საომარმა კონფლიქტმა 2008 წელს).

ამგვარი რეაქცია, როგორც წესი, ერთგვაროვანია ან სამი სხვადასხვა ფორმის კომბინაციას წარმოადგენს. ერთი უკიდურესობაა, როცა არადასავლურ სახელმწიფოებს, ბირმისა და ჩრდილოეთ კორეის მსგავსად, შეუძლიათ ბოლომდე იზოლაციის გატარებას შეეცადონ, საკუთარი საზოგადოებანი დასავლეთის „გამრყვნელი ზეგავლენისაგან“ დაიცვან და ამის შედეგად დასავლეთის მიერ მართული გლობალური საზოგადოებისაგან გარიყულნი დარჩნენ. თუმცა მსგავსი კურსის საზღაური ძალიან მძიმეა და ცოტა ქვეყანა თუ მისცემს თავს ამგვარი ფუფუნების ნებას. **მეორე** ალტერნატივა იგივეა, რაც „გამარჯვებულის მიმხრობის“ ტაქტიკა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში: დასავლეთთან შეერთების მცდელობა და მისი ღირებულებებისა და წესრიგის „გათავისება“ (საქართველოში ეს მოდელია დღეს დამკვიდრებული – ჩვენ გამარჯვებულ დასავლეთს ვემხრობით).

მესამე ალტერნატივაა დასავლეთის „გაწონასწორების“ ცდა საკუთარი ეკონომიკური და სამხედრო განვითარების გზით, სხვა არადასავლურ სახელმწიფოებთან დასავლეთის წინააღმდეგ თანამშრომლობით და ტრადიციული ღირებულებების, ცხოვრების წესის დაცვითა და შენარჩუნებით, მოკლედ მოდერნიზაცია, მაგრამ ვესტერნიზაციის გარეშე (ს. ჰანთინგტონი).

თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ძველი წინაპრების გამოცდილებას XV საუკუნემდე, სწორედ ეს მესამე ალტერნატივაა დღეისათვის ყველაზე მისაღები საქართველოსათვის, ერთის გამოკლებით – დასავლეთის წინააღმდეგ ვინმესთან თანამშრომლობა არ ღირს, არც ღიად, არც ფარულად, დანარჩენი უეჭველად გასაკეთებელია – ეკონომიკური და სამხედრო გაძლიერება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ტრადიციული ღირებულებების, ცხოვრების წესის დაცვა და შენარჩუნება, ყოველივე კარგის გადმოღება ხანგრძლივი განსჯის შედეგად როგორც დასავლეთიდან, ასევე აღმოსავ-

ლეთიდან და თუნდაც რუსეთიდან. ეს იქნებოდა ჩვენი წინაპრების ტრადიციების გაგრძელება. გამოჩენილი ქართველი მოაზროვნენი ხაზს უსვამდნენ, რომ ქართველობის მისია იყო და ისევ უნდა იყოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა სინთეზი. აქედან შეიძლება ასეთი დევიზი ჩამოყალიბდეს პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით **– „თანამშრომლობა ყველა ძალასთან, მაგრამ არშესვლა აშკარად არც ერთ სამხედრო ბლოკში, არც ნატოში და არც რუსეთის მიერ შექმნილ რაიმე გაერთიანებაში“.** არც ნატოს ქვეყნები და არც რუსეთი პატარა საქართველოს გულისათვის ერთმანეთს თავს არ დაესხმიან მათი წესდებიდან გამომდინარე. ეს საკუთარ თავზე გამოვცადეთ 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის დროს. **სუსტს არავინ ანგარიშს არ უწევს,** არც აშშ-ი და არც თითქოს დასუსტებული რუსეთი. „ჩვენს დროში მიღებული არ არის ანგარიშის გაწევა სუსტებისათვის – ანგარიშს უწევენ მხოლოდ ძლიერებს“ **(ი. სტალინი).** თავის მხრივ რუსეთი დღეს მკაცრი ალტერნატივის წინაშე დგას: თუ მას უნდა, რომ შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა დღეს არსებულ საზღვრებში, მაშინ ის აღმოსავლური ტიპის ავტორიტარულ სახელმწიფოდ უნდა დარჩეს. თუ რუსეთის ნამდვილი ვესტერნიზაცია დაიწყო, მაშინ მისი დაშლა გარდაუვალია. რუსეთი დღეს პირველ ვარიანტს ირჩევს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. დასავლეთიდან ნატოს და აღმოსავლეთიდან ჩინეთ-იაპონიის მიერ შევიწროვებული რუსეთის აგრესიული ენერგია უმცირესი წინააღმდეგობის ზონაში, ანუ ახლო და შუა აღმოსავლეთისაკენ, მათ შორის კავკასიისკენ მიილტვის, რომელიც მახლობელი აღმოსავლეთის კარიბჭეა. დასუსტების მიუხედავად ყველა უფრთხის რუსეთს მისი ბირთვული პოტენციალის გამო. რუსეთი არც არასდროს იყო აყვავებული ეკონომიკის ქვეყანა, მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით ის ანგარიშგასაწევი ძალა იყო და დღესაც რჩება. დღევანდელმა ხელმძღვანელობამ ეკონომიკას ჯერჯერობით ისეთი ვერაფერი მოუხერხა, მაგრამ სამხედრო ძლიერების საკითხს მაინც ჯეროვან ყურადღებას აქცევს და ამბიციებს არასოდეს დათმობს, განსაკუთრებით კავკასიაში, სადაც ნატოს შემოსვლას ის ალბათ არ შეურიგდება.

საქართველოს ხელისუფლებამ ბევრჯერ გააკეთა განცხადება ნატოში და ევროკავშირში საქართველოს გასაწევრიანებლად, რამაც ძალზე გააღიზიანა რუსეთი. ეს შორეული პერსპექტივაა და ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ იქ სიხარულით არავინ გველოდება. **საქართველომ, ალბათ ამ ეტაპზე დაბალანსებული, გარკვეული ნეიტრალიტეტი უნდა შეინარჩუნოს, განავითაროს თავისი**

ეკონომიკა, გაძლიერდეს სამხედრო თვალსაზრისით და თუ შემდგომ მას დაუდგა უკიდურესი აუცილებლობა, მხოლოდ მაშინ უნდა გააკეთოს არჩევანი ამა თუ იმ მხარეს. მანამდე კი ვიაროთ ჩვენი გზით, გავატაროთ დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ნუ ვიქნებით მხოლოდ სხვისი დახმარების იმედზე, ჩვენს სატკივარს მხოლოდ ჩვენ თუ ვუმკურნალებთ. ამას ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ გვასწავლიდა **ნიკო ნიკოლაძე: „ჯერ არსად, არც ერთ ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა საკუთარი შრომით და ჯანით... დროა თვალი გამოვახილოთ და დავრწმუნდეთ, რომ დამხმარებელი და გამკეთებლი ჩვენს თავზე უკეთესი არასოდეს არ გვეღირსება“.**

ძირითადი ფაქტორი სახელმწიფოთაშორის, ერთაშორის ურთიერთობებში საკუთარი ნაციონალური ინტერესებისათვის ბრძოლაა. ასეთია რეალობა. ნაციონალური ინტერესებისათვის კი თავის მხრივ განმსაზღვრელია:

ა) ერის თავისუფალი და დამოუკიდებელი სახით არსებობა;

ბ) სამხედრო ხიფათისა და სუვერენიტეტის დაკარგვის (ან შეზღუდვის) თავიდან აცილება;

გ) ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფა;

დ) საერთაშორისო სარბიელზე საკუთარი პოლიტიკური სტატუსის შენარჩუნება;

ე) მოკავშირეების შენარჩუნება.

ამა თუ იმ საკუთარი ნაციონალური ინტერესების უზრუნველყოფა დამოკიდებულია ამ ქვეყნის **ნაციონალურ ძალაზე.**

ნაციონალური ძალის დახასიათებისას ***მორგენტაუ*** გამოჰყოფს 9 ძირითად პარამეტრს:

1. ქვეყნის გეოგრაფიული ადგიმსამყოფელი (ხელსაყრელია თუ არა გეოპოლიტიკური თვალსაზრისით)

2. ქვეყნის ბუნებრივი რესურსები (შეუძლია თუ არა საკუთარი თავის უზრუნველყოფა ომის პირობებში სურსათისა და სიცოცხლისუნარიანობისათვის აუცილებელი ნედლეულით)

3. საწარმოო შესაძლებლობები (ახალი ტექნოლოგიები, როგორაა ათვისებული ბუნებრივი რესურსები)

4. სამხედრო პოტენციალი (სამხედრო ხელმძღვანელობის ხარისხი, ჯარის ოდენობა, შეიარაღება, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ზურგის უზრუნველყოფის დონე)

5. მოსახლეობა (მისი ოდენობა საომარი და სამშვიდობო

ოპერაციების უზრუნველსაყოფად)

6. ეროვნული ხასიათი (კულტურული ღირებულებების შკალა, მოსახლეობის სიმპატიები და ანტიპატიები: უნარი, დიდხანს და შუპოვრად ისწრაფოდეს დასახული მიზნისაკენ, და ითმინოს გაჭირვება და დროებითი წარუმატებლობანი ან პირიქით, პირველივე სერიოზული ბარიერის შეხვედრისთანავე ჩაიქნიოს ხელი, ომში მობილიზების უნარი)

7. „ნაციონალური მორალი“ (უჭერს თუ არა ხალხი თავის მთავრობას მხარს, განსაკუთრებით ომის დროს)

8. დიპლომატიის ხარისხი (იმგვარად წარმართონ სახელმწიფოს ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, რომ უზრუნველყონ მისთვის საკუთარი ნაციონალური ძალის შესაბამისი ადგილი მსოფლიოში)

9. მართვის ხარისხი (გულისხმობს მთავრობის, ხელისუფლების მიერ საზოგადოებრივი აზრის იმგვარ ხელმძღვანელობას, წარმართვას, როგორიც ამ ხელისუფლებას გატარებული პოლიტიკური კურსისადმი ხალხის სრულ მხარდაჭერას მოუტანდა).

ამ 9 პარამეტრიდან პირველის გარდა (გეოგრაფიული ადგილსამყოფელი), **8 პარამეტრის ცენტრში არსებითად ადამიანი** დგას, ადამიანის მოქმედების საშუალებით ხორციელდება. ეს იმას ნიშნავს, რომ **ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ჩვენი ნაციონალური ინტერესების დამაკმაყოფილებელი ნაციონალური ძალა ისევ ჩვენზე ყოფილა დამოკიდებული.** არ არსებობს ამ რვიდან რომელიმე პარამეტრი, რომლის გაუმჯობესებაც არ შეიძლებოდეს, თუ კი საამისოდ საკმარისი საერთო ნება გაგვაჩნია. ამ საერთო ნების ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის **ხელისუფლებას, რომელიც ღრმად ეროვნული უნდა იყოს**.

ა

ანტიპოლიტიკა – ოფიციალური პოლიტიკითა და პოლიტიკური მექანიზმებით გამოწვეული იმედგაცრუება, გამოხატული სისტემის ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერით ან პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უარის თქმით.

ანთროპოცენტრიზმი – შეხედულება, რომლის თანახმადაც ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებასა და სურვილებს, როგორც ზნეობრივი, ასევე ფილოსოფიური თვალსაზრისითაც უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება. ეკოცენტრიზმის საპირისპირო პოზიცია.

ანარქია – სიტყვა-სიტყვით მმართველობის გარეშე. იგი ხშირად გამოიყენება უარყოფით კონტექსტში დესტაბილიზაციისა და ქაოსის აღსანიშნავად.

ავთარკია – სიტყვა-სიტყვით თვითმმართველობა. ეკონომიკური თვითმმართველობა, რომელიც კოლონიური დაპყრობით ან საერთაშორისო ვაჭრობაზე უარის თქმით მიიღწევა.

ასიმილაცია – პროცესი, რომლის დროსაც იმიგრანტი საზოგადოება ფასეულობებთან და ცხოვრების წესთან შეწყობითა და მისდამი ლოიალობით,საკუთარ კულტურულ თვითმყოფადობას კარგავს.

ალტრუიზმი – სხვათა კეთილდღეობაზე ზრუნვა, რაც საერთო სიკეთის გააზრებაზეა დამოკიდებული.

არჩევნები – არჩევითი თანამდებობების დაკავების საშუალება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის – ამომრჩევლის გადაწყვეტილების თანახმად.

ასოციაცია – ნებაყოფლობითი, წევრთა საერთო ინტერესებისა თუ მიზნების გამომხატველი ორგანიზაცია.

ადამიანის უფლებები (ინგ.: human rights) – პოლიტიკური უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებები, აღიარებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ, რომლებიც განსაზღვრულია სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებასა და დეკლარაციაში.

არასახელმწიფო აქტორი (ინგ.: nonstate actor) – საერთაშორისო ურთიერთქმედების მონაწილე. ამ კუთხით შეიძლება გამოვიდნენ ტრანსნაციონალური კორპორაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, შიდასახელმწიფოებრივი რეგიონები და სხვა.

ბ

ბიჰევიორიზმი – რწმენა, რომ სოციალური თეორიები უნდა აიგოს იმ ხელმისაწვდომ ქცევებზე, რაც კვლევისათვის აღნუსხვად მონაცემებს იძლევა.

ბონაპარტიზმი – მმართველობის სტილი, როდესაც პიროვნული ლიდერობა კონსერვატიულ ნაციონალიზმთანაა შერწყმული.

ბალკანიზაცია – ამა თუ იმ პოლიტიკური ორგანიზმის ურთიერთდაპირისპირებულ ნაწილებად დახლეჩა, რისი მაგალითებიც ხშირად გვხვდება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

ბირთვული გაუვრცელებლობა (ინგ.: nuclear nonproliferation) – ბირთვული იარაღის ან მისი წარმოების ტექნოლოგიის შეუქმნელობა, აგრეთვე, ამ იარაღის მიუწოდებლობა სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც ის არ გააჩნიათ.

ბიპოლარული სისტემა (ინგ.: bipolar system) – საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა ძალის ორი ცენტრით. საერთაშორისო ურთიერთობებში ბიპოლარული სისტემის მაგალითი იყო ცივი ომი.

ბლოკები (ინგ.: blocs) – სახელმწიფოების ჯგუფები, რომლებიც ერთიანდებიან და ქმნიან ასოციაციებს ამა თუ იმ მიზნებისათვის. მაგალითისათვის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი – ნატო, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია და სხვ.

ბრეტონ-ვუდსის სისტემა (ინგ.: Bretton Woods System, BWS) – სისტემა მოიცავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს. შეიქმნა ბრეტონ-ვუდსში ნიუ-ჰემპშირის შტატში 1944 წ. ივლისში. შეხვედრის მონაწილეები გამოდიოდნენ აუცილებლობიდან მოეხდინათ ვალუტის გაცვლითი კურსების სტაბილიზება, საერთაშორისო ვაჭრობის აქტივიზირება, აღმოეჩინათ დახმარება იმ ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკაც საგრძნობლად დაზარალდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად. მაშინ შეიქმნა ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (ინგ.: United National, UN), – უნივერსალური სამთავრობოთაშორისი ორგანო, შექმნილი 1945 წ. მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, აგრეთვე ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში თანამშრომლობისათვის.

გ

გენოციდი – მასობრივი მკვლელობების, იძულებითი გადასახლებების, ხელოვნურად თუ სტერილიზაციის გზით ხალხის განადგურება ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით.

გენდერი – სოციალურ და პოლიტიკურ თეორიებში მამაკაცებსა და ქალებს შორის არსებული სოციო-კულტურულ სხვაობები.

გენდერული უთანასწორობა (ინგ.: gender inequality) – უთანასწორობა მამაკაცთა და ქალთა შორის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში, რაც გამოიხატება არათანბარი ანაზღაურებით ერთნაირ სამუშაოზე, განათლების მიღების ნაკლები შესაძლებლობებით, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შეზღუდვით და ა.შ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერების და კულტურის საკითხებზე, იუნესკო (ინგ.: United National Edication, Scihtific and Cultural Organization, Unesco) – გაეროს სპეციალიზირებული დაწესებულება, შექმნილია ნაკლებგანვითარებული ქვეყნების მოსახლეობის წერა-კითხვის დონის ამაღლებისთვის ხელშეწყობის, სამეცნიერო და კულტურული გაცვლების ინტენსიფიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების მიზნით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ინგ.: Economic and Social Council, Ecosoc) – გაეროს ორგანო, რომელიც ამზადებს რეკომენდაციებს, მოხსენებებს საერთაშორისო საკითხებზე ეკონომიკის, სოციალური ურთიერთობების, ჯანდაცვისა და სხვა სფეროებში.

გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა (ინგ.: General Assembly) – გაეროს მთავარი სათათბირო ორგანო, გაეროს ყველა წევრით წარმოდგენილი და წესდებით უფლებამოსილი – გადაწყვიტოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საკითხების ფართო წრე.

გეოპოლიტიკა (ინგ.: Geopolitic) – განათლება როგორც ერთერთი მიმართულება რეალიზმის ძირითადი დებულებებიდან გამომდინარე.

გეოპოლიტიკაში სახელმწიფოს ძლიერება განიხილება მისი ტერიტორიებიდან, გეოგრაფიული მდებარეობიდან, კლიმატიდან, ტოპოგრაფიიდან, დემოგრაფიიდან, რესურსებიდან, ზღვაზე გასასვლელიდან გამომდინარე. გეოპოლიტიკოსთა აზრით, სახელმწიფოს მთავარი ამოცანა სწორედ ამ რესურსების გაფართოებაში მდგომარეობს. თვითონ ტერმინი „გეოპოლიტიკა“ აქტიურად გამოიყენებოდა გერმანიაში მესამე რაიხის აგრესიული მიზნებისათვის.

გლობალიზაცია – (ინგ.: Globalization) – პროცესი, რის შედეგადაც ნაციონალურ სახელმწიფოთა საზღვრები, სხვადასხვა სფეროებში – ეკონომიკაში, სოციალურ ურთიერთქმედებებში და ა.შ. სულ უფრო გამჭვირვალეა.

დ

დეტერმინიზმი – რწმენა იმისა, რომ ადამიანის ქმედება თუ არჩევანი გარე ფაქტორების ზემოქმედებითაა გამოწვეული და, ამდენად, თავისუფალი ნება-ფიქციაა.

დემაგოგი – პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ხალხის გარკვეულ მასას ისტერიული ენთუზიაზმის აგორების მეშვეობით აკონტროლებს.

დიასპორა – ებრაული სიტყვაა და გაბნევას ნიშნავს. ხალხის ძალით გადასახლება, გაფანტვა.

დიქტატურა – მმართველობის იმგვარი ფორმა, როდესაც აბსოლუტური ძალაუფლება ერთი პიროვნების ხელშია თავმოყრილი და ამ გაგებით დიქტატურა ავტოკრატიის სინონიმია.

დაბალი დონის პოლიტიკა (ინგ.: dependency theory) – ნეომარქსიზმის თეორიებში საერთაშორისო ეკონომიკისა და პოლიტიკის მოდელი, დამყარებული იმ მტკიცებულებაზე, რომ ნაკლებგანვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნების ეკონომიკა ექსპლოატირდება განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნების მიერ. ამ პირობებში ნაკლებგანვითარებული ქვეყნები დამოკიდებული ხდებიან განვითარებული ქვეყნების კაპიტალზე, ტექნოლოგიებსა და საქონელზე.

დიპლომატია (ინგ.: diplomacy) – მეთოდები და პრაქტიკა, რომელთა დახმარებითაც სახელმწიფო ატარებს საგარეო პოლიტიკას.

ე

ეთნოცენტრიზმი – საკუთარ კულტურაში არსებული მზა ღირებულებებისა და თეორიების მორგება სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებსა და ეთნოსებზე.

ეთნოსი – საერთო ისტორიული და კულტურული მეობის

მქონე ადამიანთა ჯგუფი, რასაც საერთო წარმომავლობის რწმენა უდევს საფუძვლად.

ექსპანსიონიზმი – ტერიტორიული გაფართოების მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესია.

ევროცენტრიზმი – კულტურის თვალსაზრისით მიკერძოებული მიდგომა, რომლის თანახმადაც ევროპული, თუ ზოგადად, დასავლური იდეები, ფასეულობები და იმთავითვე „ჭეშმარიტად“ მიიჩნევა.

ევროსკეპტიციზმი – ევროპასთან შემდგომი ინტეგრაციის წინააღმდეგობა – ძირითადად, დამოუკიდებლობასა და ეროვნულ თვითმყოფადობაზე აქცენტირებით.

ევროპული კონცერნი (ინგ.: Concert of Europe) – ნაპოლეონის ომების შემდეგ 1815 წ. ვენაში შექმნილი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, პრუსიისა და სხვათა ევროპული ქვეყნების მიერ, რომელიც მიმართული იყო საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისაკენ და დავების ომში გადაზრდის შეჩერებისკენ.

ევროპის კავშირი (ინგ.: European Union, Eu) – ევროგაერთიანების მემკვიდრე ორგანიზაცია, როგორც მასტრიხტის 1992 წ. ხელმოწერილ შეთანხმებაშია ნათქვამი.

ევროპული გაერთიანება (ინგ.: uropean community, ec) – შექმნილია დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ რომის 1957 წ. შეთანხმების საფუძველზე. წარმოადგენს ინტეგრაციული პროცესების ეტაპებს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ინგ.: Organization for Economic Cooperation and Development, DECD) – ეკონომიკის დარგში ყველაზე განვითარებული ქვეყნების გაერთიანება. ძირითადი მიზანი – ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისათვის ხელის შეწყობა.

ეკონომიკური ლიბერალიზმი (ინგ.: economic liberalism) – მიდგომა, რომლის თანახმად ქვეყნები უკეთ ვითარდებიან ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს მხრიდან მინიმალური ჩარევის პირობებში.

ემბარგო (ინგ.: embargo) – სახელმწიფოს გადაწყვეტილება გარკვეულ სახელმწიფოსთან კომერციული კავშირის აკრძალვაზე.

ეთნიკური წმენდა (ინგ.: ethnic cleansing) – ეთნიკურ და რასობრივ ნიადაგზე მოქალაქეთა დევნა, გადასახლება ან მკვლელობა.

ვ

ვესტმინისტერის მოდელი – მართვის სისტემა, სადაც აღმასრულებელი ხელისუფალი საკანონმდებლო ორგანოს მიერაა დამტკიცებული და (თეორიულად მაინც) ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

ვესტფალიის მშვიდობა (ინგ.: Peace of Westpfalia) – შეთანხმება ხელმოწერილი 1648 წ. ევროპაში 30-წლიანი ომის დამთავრების შემდეგ. მან საწყისი დაუდო ნაციონალური სახელმწიფოების სისტემასა და მსოფლიო სახელმწიფო-ცენტრისტული მოდელის ფორმირებას.

თ

თეოკრატია – სიტყვა-სიტყვით „ღვთის მმართველობა“. პრინციპი,რომლის მიხედვითაც სასულიერო ხელისუფლება საეროზე მაღლა უნდა იდგეს. რეჟიმი, სადაც სახელისუფლებო თანამდებობა იმისდა მიხედვით ნაწილდება, თუ რა ადგილი უკავია პიროვნებას სასულიერო იერარქიაში.

თორიზმი – კონსერვატიზმის დოქტრინა, რომლისთვისაც იერარქიის რწმენა, ტრადიციის მნიშვნელობა, მოვალეობისა და ორგანიციზმის მხარდაჭერაა დამახასიათებელი.

თოფოსნობა – (უორლორდიზმი); მდგომარეობა, რომლის დროსაც სუვერენული სახელმწიფოს არსებობის პირობებში, ადგილობრივი შეიარაღებული დაჯგუფებები გაუთავებლად იბრძვიან ძალაუფლებისათვის.

ი

ინდიგენიზაცია – შეთვისება; პროცესი, რომლის შედეგადაც უცხოური ნაწარმი თუ ცხოვრების წესი გათავისდება ადგილობრივ მოთხოვნილებებსა თუ გარემოებებზე მორგების მიზნით.

ინიცირება – რეფერენდუმის ერთ-ერთი სახეობა, როდესაც საზოგადოებას შეუძლია საკანონმდებლო ინიციატივით გამოსვლა.

ინტერესი – პიროვნებისა თუ ჯგუფის სარგებელი, რომელსაც უბრალო სურვილისაგან განსხვავებით ობიექტური ანუ „რეალური“ საფუძველი გააჩნია.

ინტერვენციონიზმი – ხელისუფლების პოლიტიკა, მიმა-

რთული ეკონომიკის მაქსიმალური კონტროლირებისა და მართვისათვის; უფრო ზოგადად კი „სხვის საქმეში“ ჩარევის პოლიტიკა.

იმპიჩმენტი – თანამდებობის პირის გადაყენების ოფიციალური პროცედურა პიროვნული თუ პროფესიული გადაცდომის მოტივით.

ინკრემენტალიზმი – თეორია, რომლის თანახმად გადაწყვეტილებები მიიღება არა წინასწარ გამოკვეთილი მიზნის შესაბამისად, არამედ ცვალებადი ვითარების კვალდაკვალ.

იდეალიზმი – (ინგ.: idedalism) -სკოლა საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელმაც გავრცელება ჰპოვა მე-20 ს. პირველ ნახევარში. საერთაშორისო საქმეებში მთავარ როლს ანიჭებს საერთაშორისო სამართალს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, აგრეთვე მორალს.

იზოლაციონიზმი – (ინგ.: isolationism) – სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების (პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვ.) შეზღუდვაზე.

ინტეგრაცია (ინგ.: integration) – დაახლოებისა და გაერთიანების პროცესი სახელმწიფოთა დონეზე.

ინტერვენცია (ინგ.: intervention) – ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის შიდა საქმეებში სამხედრო,ეკონომიკური და დიპლომატიური ჩარევა, აგრეთვე, მის ტერიტორიაზე შეჭრა.

ინტეგრაციის თეორიები (ინგ.: integration theory) – გვიხსნიან, თუ როგორ ერთიანდებიან ქვეყნები და გადასცემენ თავისი სუვერენიტეტის ნაწილს ზენაციონალურ წარმონაქმნებს.

კ

კონსენსუსი – განსაკუთრებული ყაიდის თანხმობა. იგი გამოიყენება ორი მნიშვნელობით: პროცედურული კონსენსუსი – კონსულტაციებისა და გარიგების გზით გადაწყვეტილების მიღების სურვილი პოლიტიკურ პარტიებს ან მთავრობასა და ძირითად ინტერეს-ჯგუფებს შორის; და არსებითი კონსენსუსი – ორი ან მეტი პარტიის იდეოლოგიური პოზიციების თანხვდომა პოლიტიკურ მიზნებთან დაკავშირებით.

კონფედერაცია – სახელმწიფოთა გარკვეული ტიპის კავშირი, როცა ყოველი სუბიექტი საკუთარი დამოუკიდებლობის ხარისხს ინარჩუნებს წინასწარი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

კოკუსი – დახურული, შიდაპარტიული თავყრილობები, სადაც საარჩევნო კანდიდატურები დგინდება ან საკანონმდებლო ინიციატივები მუშავდება მათ ოფიციალურ პროცესუალურ განხილვამდე.

კოალიცია – პოლიტიკურ კონკურენტთა იმგვარი დაჯგუფება, რასაც ან საერთო საფრთხის განცდა ან ცალ-ცალკე მოქმედების უპერსპექტივობა იწვევს.

კონვენცია – ოფიციალური პოლიტიკური თავყრილობა ან კამათისა და მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმება. საკონსტიტუციო კონვენცია – ესაა ქმედებებისა და ქცევის წესები, რომლებიც არა კანონს, არამედ ჩვეულებასა და პრეცედენტს ემყარება.

კანონმდებლობა – სახელმწიფოს მთელ პოლიტიკურ სივრცეში გამოყენებულ საჯარო და სავალდებულო წესთა ერთობლიობა.

კოლექტიური უსაფრთხოება (ინგ.: collective security) – მსოფლიო წყობის სისტემა, რომლის დროსაც მსოფლიო თანამეგობრობა კოლექტიურად გამოდის აგრესორი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

კრიზისი (ინგ.: crisis) – მწვავე პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც საშიშროების ქვეშ აყენებს მთავარ ინტერესებს. კრიზისისთვის დამახასიათებელია მოვლენების ზვავისებური განვითარება, რაც ქმნის პირობებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ლ

ლიბერალიზაცია – სახელმწიფო ძალაუფლების შიდა და გარე კონტროლი და კერძო მეწარმეობისა და თავისუფალი ბაზრისაკენ აღებული კურსი.

ლობი, ლობირება – ნიშნავს საკუთარი წარმომადგენლის მეშვეობით მიაწოდონ პოლიტიკოსს საკუთარი მოსაზრებები თუ მოთხოვნები. თავად ცნება „ლობი“ იგივე ინტერეს-ჯგუფია, რამდენადაც ისიც საჯარო პოლიტიკაზე ზემოქმედებას ისახავს მიზნად.

ლიბერტარიანიზმი – რწმენა, რომ პიროვნული თავისუფლების სფერო მაქსიმალურად უნდა გაფართოვდეს, რაც, თავის მხრივ, ხშირად საზოგადოებრივი გავლენის შემცირების მცდელობებთანაც ასოცირდება.

ლიბერალიზმი (ინგ.: liberalism) – ერთ-ერთიი ძირითადი სკოლა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევებში. გამომდინარეობს ადამიანის მისწრაფებებიდან თანამშრომლობისაკენ, მშვიდობისაკ-

ენ, სამართლიანობასა და მორალზე ორიენტაციისაკენ, XX საუკუნის I ნახევარში ცნობილი იყო, როგორც „იდეალიზმი“.

ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი (ინგ.: liberal institutionalism) – საერთაშორისო კვლევებში ნეოლიბერალური მიდგომა. აქცენტი გაკეთებულია თანამედროვე მსოფლიოში გლობალური ინსტიტუტების ფორმირების შესწავლაზე.

მ

მეტაიდეოლოგია – ზეიდეოლოგია, საფუძველი მსჯელობისათვის უფრო კერძო იდეოლოგიური პრობლემების გარშემო.

მერიტოკრატია – უნარიანთა მმართველობა; პრინციპი, რომლის თანახმად, ჯილდოცა და საზოგადოებრივი მდგომარეობაც ადამიანს პიროვნული ღირსების მიხედვით ერგება.

მულტილატერალიზმი – მრავალმხრივობა; შეთანხმებულ ურთიერთობათა სისტემა სამ ან მეტ სახელმწიფოს შორის, რაც ხელშეკრულებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებებით განმსაზღვრელი ქცევის ნორმებს ემყარება.

მერკანტილიზმი – ეკონომიკური თეორია, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოს როლს საერთაშორისო ვაჭრობისა და ქვეყნის უზრუნველყოფის საქმეში.

მას-მედია – საზოგადოებრივი ინსტიტუტების ერთობლიობა, რომლებიც დაკავებულნი არიან ფაქტების, ინფორმაციებისა და მოვლენების შეკრება-გავრცელებით.

მანიფესტი – დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა ჩამოყალიბებული, რა პოლიტიკას გაატარებს ესა თუ ის პარტია ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში.

მანდატი – ზემდგომი მითითება ან დავალება, რომლის შესრულებაც სავალდებულოა.

მაკკარტიზმი – „კუდიანებზე ნადირობა“. ეს ტერმინი 1950-იან წლებში ამერიკაში სენატორ მაკკარტის მიერ კომუნისტების დევნის პერიოდიდან იღებს სათავეს.

მილიტარიზმი – მიზნის მიღწევა შეიარაღებული ძალის გამოყენებით და ზოგადად პრობლემათა სამხედრო ძალით გადაწყვეტა. ფართო გაგებით კი იმგვარი კულტურული თუ იდეოლოგიური მოვლენა, როცა სამხედრო პრიორიტეტები, იდეალები და ღირებულებები საზოგადოების ფართო ფენებს მოიცავს.

მაასტრიხტის შეთანხმება (ინგ.: Maastricht Treaty) ხელმოწერილია 1992 წ. 12 ევროპული სახელმწიფოს მიერ (ბელგია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, საფრანგეთი) ქ. მაასტრიხტში (ნიდერლანდები), რაც გახდა ევროკავშირის შექმნის საფუძველი. შეთანხმება რატიფიცირებულია 1993 წ.

მაღალი დონის პოლიტიკა (ინგ.: high politics) – მიეკუთვნება ნაციონალურ უსაფრთხოებას.

მოდერნისტები (ინგ.: modernists) – საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარები, რომლებიც ანალიზს აფუძნებენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პრინციპებზე აგებულ მეთოდებზე.

მრავალპოლარული სისტემა (ინგ.: bipolar system) – საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა, რომელიც ხასიათდება ძალის ცენტრების სიმრავლით.

მსოფლიოს სახელმწიფოებრივ-ცენტრისტული მოდელი (ინგ.: state-centric model) – მსოფლიო პოლიტიკური სისტემა, რომელიც შეიქმნა ვესტფალიის მშვიდობის შედეგად (აქედანაა მისი მეორე სახელწოდება – მსოფლიოს ვესტფალიის მოდელი) და რომლის ცენტრალური რგოლია სახელმწიფო.

მსოფლიო-სისტემური თეორია (ინგ.: world-system theory) – ნეომარქსიზმის ყველაზე ცნობილი ვარიანტი, გამომდინარეობს წარმოდგენიდან, რომ მსოფლიო იყოფა არა მხოლოდ სახელმწიფოებად, არამედ უფრო მნიშვნელოვან სტრუქტურულ ერთეულებად – კლასებად: კაპიტალიზმის განვითარების შედეგად მოხდა ქვეყნების დაყოფა სამ ნაწილად ეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე. ესენია: ცენტრი (ბირთვი), პერიფერია და ნახევრად პერიფერია. ქვეყნები, რომლებიც აღმოჩნდნენ ცენტრში, გააჩნიათ ცხოვრების მაღალი დონე და დომინირებენ დანარჩენებს შორის. ბირთვის განვითარება ხორციელდება სხვა ქვეყნების ხარჯზე, რასაც მივყავართ კონფლიქტამდე.

მშვიდობის შენარჩუნება (ინგ.: peacekeeping) – სხვადასხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შეიარაღებული ძალების შეყვანა დაპირისპირებული მხარეების გათიშვის მიზნით. ხორციელდება მხოლოდ იმ ქვეყნის თანხმობის შემთხვევაში, რომლის ტერიტორიაზეც შეჰყავთ ძალები.

მშვიდობის აღდგენა (ინგ.: peacebuilding) – მშვიდობის განმტკიცებისათვის ხელშემწყობი პირობების, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების შექმნა.

მშვიდობის იძულება (ინგ.: peace enforcement) – სამხედრო მოქმედებები მიმართული მშვიდობიანი დარეგულირებისაკენ ან მეომარი მხარეების ჩაბარების შესახებ წინადადებების მიღებისაკენ ადრე დაწყებული ომის შესაწყვეტად.

ნ

ნორმატივი – ფასეულობათა და ქცევის წესების განმსაზღვრელი კატეგორია – „ის, რაც სასურველია იყოს“ და არა „ის, რაც არის“.

ნეოკორპორატივიზმი – ტენდენცია, რომელიც დასავლურ პოლიარქიებში შეინიშნება: გულისხმობს ორგანიზებულ ინტერესჯგუფთათვის პრივილეგიების მინიჭებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინსტიტუციურ მონაწილეობას.

ნეო-იდეალიზმი – საერთაშორისო პოლიტიკის იმგვარი ხედვა, რომელიც განსაკუთრებულად ზნეობრივ ფასეულობებზე, კერძოდ, ადამიანის უფლებებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პატივისცემაზე ამახვილებს ყურადღებას.

ნაციონალიზმი (ინგ.: nationalism) – იდეოლოგია, რომელიც ეროვნებას განიხილავს, როგორც პოლიტიკური იდენტიფიკაციის საფუძველს. ხშირად გამოიყენება თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური ბრძოლის დროს, მათ შორის, შეიარაღებულ კონფლიქტებში.

ნაციონალური ინტერესები (ინგ.: national interest) – ნეორეალიზმის ერთ-ერთი ძირითადი ცნება. ინტერესები განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ და მათ მისაღწევად გამოიყენება საგარეო პოლიტიკა. ცნება, ჩვეულებრივ, მოიცავს უსაფრთხოების, დამოუკიდებლობის, და აგრეთვე, ეკონომიკური კეთილდღეობის დაცვას.

ნაციონალური სუვერენიტეტი (ინგ.: national sovereignty) – საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და საერთაშორისო სამართალში ერთ-ერთი ძირითადი ცნება. ის გულისხმობს, რომ სახელმწიფო ფლობს ძალაუფლებრივ უფლებამოსილებებს მის კუთვნილ ტერიტორიაზე და რომ ის დამოუკიდებელია საერთაშორისო საკითხებში. ამასთან სუვერენიტეტი არ ათავისუფლებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობისაგან განხორციელებულ მოქმედებებზე.

ნეიტრალიტეტი (ინგ.: neitralitet) – სახელმწიფოს ოფიციალური პოზიცია, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს უართან გაერთიანდეს სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებსა და ორგანიზაციებში.

ნეოკოლონიალიზმი (ინგ.: neocolonialism) – თეორიული მიდგომა, რომლის თანახმად განვითარებული ქვეყნები აგრძელებენ განვითარებადი ქვეყნების ექსპლუატაციას ეკონომიკური საშუალებებით.

ნეომარქსიზმი (ინგ.: neomarxism) – ერთ-ერთი წამყვანი სკოლა საერთაშორისო ურთიერთობებში. ხაზს უსვამს ეკონომიკურ უთანასწორობას თანამედროვე მსოფლიოში და მოსახლეობის

ეკონომიკური პარამეტრებით ფენებად დაშლას, რომელიც მიმდინარეობს არა ნაციონალური სახელმწიფოების საზვრების გასწვრივ, არამედ ძირითადად ღერძზე „ჩრდილოეთი-სამხრეთი“.

ნეორეალიზმი (ინგ.: neorealism) – რეალიზმის თანამედროვე მიმდინარეობა, რომლის თანახმად, სახელმწიფოები რჩებიან საერთაშორისო ურთიერთობათა ანალიზის ერთადერთ ერთეულად. თუმცა, გათვალისწინებულია ის სტრუქტურებიც, რომელთაც ქმნიან კავშირებისა და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების სახით.

ნეოფუნქციონალიზმი (ინგ.: neofunctionalism) – ეფუძნება ფუნქციონალიზმის ძირითად გზავნილებს. პრიორიტეტი ეძლევა იმ დარგებს, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას: ჯანმრთელობის დაცვას, ახალ ტექნოლოგიებს და სხვ., ამასთანავე ხაზი ესმევა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მნიშვნელობას.

პ

პოლიარქია – სიტყვა-სიტყვით – „ბევრის მმართველობა“, როგორც წესი, თანამედროვე წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტებთან და პოლიტიკურ პროცესებთანაა დაკავშირებული.

პატერნალიზმი – ურთიერთობა, ან მართვის იმგვარი წესი, რომლის პრინციპიც მათზე ზრუნვაა,ვისაც დამოუკიდებლად საკუთარი თავის გატანა უჭირს.

პლურალიზმი – ფართო გაგებით მრავალფეროვნებისა და სხვადასხვაგვარობის აღიარება (მრავლის არსებობა).

როგორც ტერმინი იხმარება პარტიებს შორის არსებული კონკურენციის (პოლიტიკურ პლურალიზმი), ზნეობრივ ფასეულობათა სხვადასხვაობის (ზნეობრივი პლურალიზმი) და კულტურულ ნორმათა განსხვავებულობის (კულტურული პლურალიზმი) აღსანიშნავად.

პან-ნაციონალიზმი – ნაციონალიზმის უკიდურესი გამოხატულება, რომელშიც ყველაფერი ერთ მიზანს ემსახურება შეაკავშიროს მონათესავე ხალხები ექსპანსიის ან პოლიტიკური გამთლიანებისაკენ მოწოდებების გზით.

პროტექციონიზმი – ადგილობრივ მეწარმეთა დაცვის მიზნით იმპორტის შეზღუდვა ქვოტებისა თუ ტარიფების დაწესების მეშვეობით.

პარტიკულარიზმი – თეორია, რომლის თანახმად, მეობა კერძო და არა ზოგად მახასიათებელშია ფესვგადგმული. აღნიშნულ

თეორიაში ისეთ ფაქტორებს ესმება ხაზი, როგორებიცაა წარმომავლობა, კულტურა, ეთნიკურობა.

პოპულიზმი – ლათინური სიტყვაა, ნიშნავს ხალხს. ეს ტერმინი იხმარება, როგორც გარკვეული პოლიტიკური მიმართულება, ასევე პოლიტიკური აზროვნების გარკვეული წყობის აღსანიშნავად, როდესაც მოძრაობები და პარტიები საკუთარ თავს ხალხის ნების გამომხატველებად სახავენ.

პრივატიზაცია – სახელმწიფო საკუთრების საზოგადოებრივიდან კერძო სექტორისათვის გადაცემა, რაც სახელმწიფო პასუხისმგებლობათა შემცირების გამოხატულებაა.

პაციფიზმი (ინგ.: pacifism) – მსოფლმხედველობა, რომელიც უარყოფს სიცოცხლის ხელყოფის უფლებას და მიმართულია კონფლიქტების უსისხლოდ მოგვარების გზების ძიებისაკენ.

პერიფერია (ინგ.: periphery) – ტერინი, რომელიც ნეომარქსიზმში აღნიშნავს განვითარებად ქვეყნებს. პერიფერიული ქვეყნები დამოკიდებულნი არიან „ცენტრზე“ და ნაკლებ განვითარებულნი არიან უთანასწორო დამოკიდებულების გამო.

პოსტმოდერნიზმი (ინგ.: postmodernism) – მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობებში ფორმირებული 1980 წლებში, ერთის მხრივ, როგორც რეაქცია კლასიკურ თეორიაზე (ნეოლიბერალიზმსა და, უპირველეს ყოვლისა, ნეორეალიზმზე), მეორეს მხრივ, ნეომარქსიზმის გავლენით სხვა თეორიული ალტერნატივების ძიების პროცესი.

რ

რევიზიონიზმი – ფუძემდებლური იდეების გადასინჯვა; ტერმინი ადრინდელი პრინციპებისა და მოსაზრებების უარყოფასაც გულისხმობს.

რევოლუცია – სიტყვა-სიტყვით ბრუნვა-ტრიალი. იგი ციკლურ ცვლილებებს ნიშნავს, არსებული წესრიგის მსხვრევისა და ახლით შეცვლას გულისხმობს.

რელატივიზმი – ფილოსოფიური შეხედულება, რომელიც ობიექტური – „აბსოლუტური“ საზომის არსებობას უარყოფს და ამტკიცებს, რომ „ყველაფერი შეფარდებითია“ და ნებისმიერი მსჯელობა აზრს იძენს მხოლოდ საკუთარ კონტექსტთან მიმართებაში.

რეალიზმი (ინგ.: realism) –საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი სკოლა. სახელმწიფოები გამოდიან, როგორც ანარქიული საერთაშორისო ურთიერთობების ერთადერთი აქტორები.

რეალპოლიტიკა (ინგ.: realpolitic) – საერთაშორისო ურთიერთობებში თეორიული მიდგომა. ეყრდნობა წინაპირობას, რომ ქვეყნები ემზადებოდნენ ომისათვის მშვიდობის შესანარჩუნებლად. უფრო რბილ ვარიანტში გულისხმობს პოლიტიკური მოღვაწეობის პრინციპს,რომლის თანახმადაც უმთავრესი ყურადღება უნდა დაეთმოს მოწინააღმდეგის რეალურ ინტერესებზე ორიენტირებას და არა იმას, რასაც ის დეკლარირებს; ასევე მზადყოფნას ძალის გამოყენებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოქმედების ყველა სხვა საშუალება ამოწურულია.

ს

სეკულარიზმი – თვალსაზრისი, რომ რელიგია საერო საქმიანობაში არ უნდა ერეოდეს; როგორც წესი, ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის მცდელობა.

სტეტიზმი – ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს სახელმწიფოებრიობას. იგი ემყარება მოსაზრებას, რომ სახელმწიფო ჩარევა ყველაზე უპრიანი გზაა პოლიტიკური პრობლემების გადასაწყვეტად და ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშესაწყობად.

სეპარატიზმი – არსებული პოლიტიკური წესრიგიდან გამოყოფის სურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მიზნით.

სიონიზმი – „ებრაული სამშობლოს“ დაფუძნებისაკენ მიმართული მოძრაობა. დღესდღეობით ისრაელის სახელმწიფო ინტერესებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვასთანაა დაკავშირებული.

საგარეო პოლიტიკა (ინგ.: foreign policy) – პრიორიტეტების, პრინციპებისა და მოქმედებების სისტემა, რომელთა რეალიზაციას ახდენს სახელმწიფო მსოფლიოსთან ურთიერთობებში – სახელმწიფო საზღვრებს მიღმა.

საგარეო პოლიტიკის შედარებითი ანალიზი (ინგ.: comparative foreign policy analysis) – გამოკვლევის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკური ქცევის მოდელს.

საერთაშორისო და შიდა პოლიტიკა (ინგ.: intermestic politicy) – ტერმინი შემოღებულია სამეცნიერო ბრუნვაში იმ სახელმწიფოს პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით, რომელსაც იმავდროულად გააჩნია როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ასპექტი.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია (ინგ.: international political economy) – კვლევების დარგი, რომელიც სწავლობს

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთობას.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები (ინგ.: international nongovermental organizations, INGO's) – დაფუძნებულნი არ არიან სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე და მოქმედებენ არა მხოლოდ ერთი ქვეყნის საზღვრებში (ამიტომ მათ ზოგჯერ უწოდებენ ტრანსნაციონალურს). ამასთან, მათი მოღვაწეობა არ არის მიმართული მოგების მიღებაზე.

საერთაშორისო რეჟიმები (ინგ.: international regimes) – გადაწყვეტილებების მიღების პრინციპები,ნორმები,წესები და პროცედურები.

სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები (ინგ.: intergovernmental organizations, IGO's) – ინსტიტუტები,რომლებიც დაფუძნებულია მათი წევრი სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე.

სამხედრო ინტერვენცია (ინგ.: military intervention) – ერთი ქვეყნის შეიარაღებული ჯარების გამოყენება სხვა ქვეყნის, ანუ ინტერვენციის ობიექტის, ხელისუფლებაზე გავლენის მოსახდენად.

„სამშვიდობო დივიდენდი" (ინგ.: peace dividend) – დანაზოგი შეიარაღების შემცირებიდან, რომელიც შესაძლებელი გახდა ცივი ომის დამთავრების წყალობით.

სამშვიდობო ოპერაციები (ინგ.: peace operations) – ფართო ცნება, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ქმედებებს, მათ შორის სამხედროების მონაწილეობას კონფლიქტის დარეგულირებაში.

სახელმწიფო (ინგ.: state) – პოლიტიკური წარმონაქმნი, რომელიც მოიცავს ხალხით დასახლებულ ტერიტორიას და სხვა სახელმწიფოების მიერ აღიარებულ ლეგიტიმურ ხელისუფლებას.

ტ

ტრაიბალიზმი – ჯგუფური ცხოვრების წესი, რომელიც კარჩაკეტილობითა და გაუცხოებით ხასიათდება. იგი ჩვეულებრივ მტრულადაა განწყობილი სხვა ჯგუფების მიმართ.

ტერორიზმი (ინგ.: terorism) – ძალადობის გამოყენება; მუქარა მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ პოლიტიკური გამომძალველობის, იძულების ან პროპაგანდის მიზნით.

ტრანსნაციონალური კორპორაცია (ინგ.: multinational corporation TNC) – მრავალნაციონალური კორპორაცია, რომელსაც აქვს საწარმოები ერთი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ მსოფლიო არენაზე.

უ

უტოპია, უტოპიზმი – ბერძნული სიტყვაა, „ოუტოპია" ნიშნავს „არსად", ხოლო „ეუტოპია" – კარგ ადგილს. სიტყვასიტყვით იგი იდეალურ ან სრულყოფილ საზოგადოებას ნიშნავს. უტოპიზმი თეორიული პოლიტიკური აზროვნების ფორმაა, რომელიც არსებულ წყობას აკრიტიკებს და იდეალური და სრულყოფილი ალტერნატივის მხოლოდ წარმოსახვით მოდელს გვთავაზობს.

უტილიტარულობა – გამართლებული ხარჯი, რაიმე მატერიალური მოხმარებით გამოწვეული დაკმაყოფილება.

უნივერსალიზმი – თეორია, რომლის მიხედვით არსებობს ადამიანთა მეობის განმსაზღვრული ზოგადი საწყისი, რომელიც ყველასათვის ერთია.

უტილიტარიზმი – ეთიკური მიმართულება, რომლის მიხედვითაც ადამიანებს სიამოვნების მიღების ბუნებრივი სურვილი ამოძრავებთ. სიამოვნება „სიკეთეა", ხოლო ტანჯვა „ბოროტება". ამის მიხედვით სიამოვნება შეიძლება სასარგებლომდე დავიყვანოთ. პოლიტიკურ სფეროში უტილიტარიზმი მჭიდროდ უკავშირდება კლასიკურ ლიბერალიზმისა და თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიას.

ქ

ქსენოფობია – შიში ან სიძულვილი უცხოტომელთა მიმართ; პათოლოგიური სახით გამოვლენილი ეთნოცენტრიზმი.

შ

შარიათი – ღვთაებრივ გამოცხადებაზე დაფუძნებული ისლამური კანონი, რომლის ძირითადი წყაროებიც ყურანი და ჰადითია (ე.წ. „მუჰამედის შეგონებანი").

შუამავლობა (ინგ.: mediation) – კონფლიქტის დარეგულირების პროცედურა, რომლის ფარგლებში მესამე მხარე აგვარებს მოლაპარაკების პროცესს და მონაწილეობს პრობლემის მშვიდობიანად დარეგულირებაში.

ხ

ხუნტა – სიტყვა-სიტყვით – საბჭო. როგორც წესი, ხუნტას წარმოადგენს სამხედროთა ჯგუფი, რომელიც ძალაუფლებას რევოლუციის ან შეიარაღებული გადატრიალების გზით იგდებს ხელში.

ჯ

ჯიჰადი – „წმინდა ომი“, უფრო ზუსტად, „საღვთო ბრძოლა“ ან „ძალისხმევა“, რაც ნიშნავს ისლამური იდეალებისადმი უსაზღვრო, ყოვლისმომცველ ერთგულებას.

ჯინგოიზმი – უკიდურესი ენთუზიაზმის გამოხატულება, რომელიც სამხედრო გამარჯვებებსა და ახალი ტერიტორიების შემოერთებას მოსდევს.

ჰ

ჰომოგენიზაცია – გაერთგვაროვნება; ყველა მხარისა თუ შემადგენელი ნაწილის (ქვეყნების) ტენდენცია დაემგვანონ ან გაიგივდნენ ერთმანეთთან.

ჰეგემონია – ბერძნული სიტყვაა და წინამძღოლს ნიშნავს. როგორც პოლიტიკური ტერმინი გულისხმობს ამა თუ იმ სისტემის ერთ-ერთი ელემენტის უპირატესობას ყველა დანარჩენთან შედარებით.

ჰიბრიდულობა – სოციალური და კულტურული, აღრევის მდგომარეობა“.

ჰეგემონიალური სტაბილურობის თეორია (ინგ.: theory of hegemonic stability) – რის თანახმად ჰეგემონი სახელმწიფოს არსებობის შემთხვევაში მყარდება სტაბილური ეკონომიკური რეჟიმი (წყობილება), ვინაიდან იგი შეიმუშავებს ქცევის იმ წესებსა და ნორმებს, რომლებიც მისაღებია სხვა მონაწილეთათვის.

იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 28.05.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.07.2009. ქაღალდის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 20. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი,
კოსტავას 77

Verba volant,
scripta manent